ლოურენს რიზი

მეორე მსოფლიო ომი
დაცურულ კარს მიღმა

სტალინი, ნაცისტები და დასავლეთი

BBC BOOKS 2008

რედაქტორი ნინო კაციტაძე

კორექტორი ვახტანგ გურული

დააკაბადონა ეთერ კვანჭიანმა

ISBN 978-9941-0-9212-1

ს ა რ ჩ ე ვ ი

მთარგმნელისაგან 5

ავტორის შესახებ 7

შესავალი 9

თავი პირველი: უსახელო ალიანსი 15

თავი მეორე: გადამწყვეტი მომენტები 86

თავი მესამე: ნდობის კრიზისი 136

თავი მეოთხე: ცვლილებების სიო 186

თავი მეხუთე: ევროპის გაყოფა 237

თავი მეექვსე: რკინის ფარდა 291

პოსტსკრიპტუმი 339

წყაროები 345

მთარგმნელისგან

ადამის გაჩენიდან მომდინარე კაცობრიობის ისტორია სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელ ჭიდილს წარმოადგენს და ამ შერკინების უპირველესი ასპარეზი თვით ადამიანია, რომელშიც მეტ-ნაკლებადაა ჩარგული ამ ორივე ჯიშის „ყვავილი". სწორედ ადამიანის ბუნება-ხასიათია ის უნიკალური გარემო, სადაც თანადროულად შეუძლია იხაროს ამ ორმა ურთიერთგამანადგურებელმა ფენომენმა. თვით ადამიანის სრულყოფის ანუ ჰუმანურობის ხარისხს კი ამ ორყვავილოვან „ბაღნარში" სიკეთის ფენომენის სიჭარბე განაპირობებს.

ისტორიული მოვლენების შესწავლა-ანალიზი სრულყოფილი ვერ იქნება და ალბათ ვერც მოხერხდება ამ მოვლენების მონაწილე ხალხების თუ ქვეყნების ლიდერთა ან სხვა გამოჩენილ ფიგურათა პიროვნული თვისებების ხელშეუხებლობის პირობებში. ცნობისმოყვარეობა *Homo Sapience*-ის უცილობელი თვისებაა და მისი დაკმაყოფილებისთვის სიმართლეს გემოს არავინ უსინჯავს, მით უმეტეს წინასწარ. აქვე გავკადნიერდები და დავამატებ, რომ ქართველი ერი ერთ-ერთი თავგამოდებული მართლმაძიებელი ერია და თავისი არსებობის ქარიშხლიანი ათასწლეულების განმავლობაში მას საკმაო იმუნიტეტი გამოუმუშავდა მწარე სიმართლით გამოწვეული შოკური დაავადებების მიმართ.

მეორე მსოფლიო ომზე უამრავი მასალაა გავრცელებული ბეჭდვითი თუ ვირტუალური საშუალებებით როგორც უკვე არარსებულ საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. პირადად მე მშობლიურ „იავნანასთან" ერთად ამ ომისადმი და სტალინისადმი მიძღვნილ სიმღერებში გავიზარდე, როცა ჩვენს უკიდეგანო „სამშობლოში" ყველას (ან თითქმის ყველას) ოჯახში კედელზე ბაბუის სურათის ადგილას სტალინის სურათი გვეკიდა. ბევრი ყოფილი საბჭოელის შეგნებაში დღესაც სწორედ სტალინთანაა გაიგივებული ის მესიის ტოლფასი პიროვნება, ვინც სიკეთის სახელით დაამარცხა ბოროტება და ნახევარი მსოფლიო მონობისგან იხსნა. რა თქმა უნდა, უდავოა საბჭოთა ხალხისა და მისი მაშინდელი პოლიტიკური თუ სამხედრო ლიდერების გადამწყვეტი როლი ჰიტლერული ფაშიზმის დამარცხებაში, მაგრამ საკითხავია თავისუფლების რა ულუფას მიირთმევდნენ ომისშემდგომ ფაშისტური მონობიდან დახსნილი აღმოსავლეთ

ევროპის ხალხები რეპრესიული საბჭოთა რეჟიმის ჩექმისქვეშ რომ იმყოფებოდნენ.

საბჭოთა იმპერიის დაშლამ მრავალი გასაიდუმლოებული ომისდროინდელი დოკუმენტური თუ პირადი ხასიათის საარქივო მასალა გახადა ხელმისაწვდომი, რამაც ხელი შეუწყო ბევრი მიჩქმალული სიმართლის გამომზეურებას. და მაინც, ჩვენში დღესაც ნაკლებადაა ცნობილი ამ ომის მონაწილე სხვა ქვეყნების ისტორიკოსთა თვალით დანახული მაშინდელი მსოფლიოს სურათი. არა და ამ სურათის აღქმა უდავოდ წაადგება ჩვენში საღი და გაწონასწორებული აზრის ჩამოყალიბებას ამ მასშტაბური მოვლენისა და მისი წარმმართველი ფიგურების მიმართ. ზოგადად ერთი რამ ცხადია: რაც უფრო ინფორმირებულია ცალკეული ადამიანი თუ საერთოდ საზოგადოება, მით უფრო საღი და ობიექტურია მისი დამოკიდებულება გარე სამყაროს მიმართ და უფრო ნაკლებადაა მიდრეკილი ფანატიზმის ვირუსული დაავადებისადმი. ამ აზრმა მიმიყვანა წინამდებარე წიგნის ქართულად თარგმნისა და თანამემამულეთათვის მისი მიწოდების მცდელობამდე. მით უმეტეს, რომ ეს წიგნი არ წარმოადგენს რაიმე ოფიციალური სახელმძღვანელოს ფუნქციას და არ ართმევს უფლებას მკითხველს (მთარგმნელის ჩათვლით) არ დაეთანხმოს მასში გამოთქმულ ზოგიერთ ავტორისეულ მოსაზრებას თუ დასკვნას, თუმცა წარმოდგენილი ისტორიული მასალისა თუ პიროვნული თავგადასავლების უტყუარობაში ეჭვის შეტანა ერთობ ძნელია. წიგნისადმი ავტორის სერიოზულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს მასში გამოყენებული დოკუმენტებისა თუ სხვა მასალის სიუხვე და მრავალფეროვნება.

საბჭოთა ფორმაციაში გაზრდილ-დაჭარმაგებულ ადამიანთა გარკვეული ნაწილისთვის დასავლელი ისტორიკოსის თვალით დანახული მეორე მსოფლიო ომის სურათი გარკვეულწილად შეიძლება გამაღიზიანებელიც აღმოჩნდეს. და მაინც ურყევად ვინარჩუნებ რწმენას, რომ გაცხადებული სიმართლე, თუნდაც არასრული და ვინმეს მიმართ არადელიკატური, ყოველთვის სჯობს თუნდაც დელიკატურად ფაქტებმიჩქმალულ და მაამებლურ სიცრუეს, რამეთუ დაფარული ეშმაკის კერძია მუდამ, ხოლო გაცხადებული – ღვთისა.

თამაზ თაბაგარი

ავტორის შესახებ

ბრიტანელმა ლოურენს რიზმა განათლება სოლიჰალის სკოლაში და ოქსფორდის უნივერსიტეტში მიიღო. ამჟამად იგი ბი-ბი-სის ტელევიზიაში ისტორიული პროგრამების აღმასრულებელ დირექტორად მუშაობს. ამავ-დროულად ის მწერალი და ბი-ბი-სის სერიების „მეორე მსოფლიო ომი: დაახურულ კარს მიღმა“ პროდიუსერია. უფრო ადრე ბ-ნი რიზის ავტო-რობით წარმოებულ იქნა გახმაურებული სატელევიზიო სერიები და დაი-წერა ბესტსელერები თემებზე „ნაცისტები: ისტორიის გაკვეთილები“, „საუკუნის ომი“, „საშინელებანი აღმოსავლეთში და აუშვიცი: ნაცისტები და საბოლოო განაჩენი“.

წინამდებარე წიგნში ისტორიკოსი ლოურენს რიზი მეორე მსოფლიო ომის განსხვავებულ, ჩვენთვის აქამდე უცნობ ისტორიას მოგვითხრობს. დაწყებული დრამატული საიდუმლო გარიგებებით, რამაც შესაძლებე-ლი გახადა მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება, და დამთავრებული ამ ომის პერიოდში მიღებული საბედისწერო გადაწყვეტილებებით, წიგნი „მეორე მსოფლიო ომი: დახურულ კარს მიღმა“ განსხვავებული კუთხით წარ-მოაჩენს მეოცე საუკუნის ამ უმთავრეს მოვლენას.

ეყრდნობა რა მასალებს, რომელთა მოძიება მხოლოდ აღმოსავლეთის ბლოკის დაშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი, რიზი აანალიზებს ომის პე-რიოდში სტალინის, ჩერჩილისა და რუზველტის მიერ მიღებულ გლობა-ლურ გადაწყვეტილებებს. ნაცისტებთან სტალინის ომისწინანდელი მეგობ-რული ურთიერთობის გამოაშკარავება კი საბჭოთა ლიდერის პორტრეტს გამაოგნებელი შტრიხებით ავსებს.

წიგნის ემოციურ ბირთვს შეადგენს ასამდე ომისდროინდელი თვითმ-ხილველის მამხილებელი ჩვენება თუ პირადი ისტორია: ყოფილი სუკის თანამშრომელი პირველად გვიამბობს გულწრფელად საკუთარი რეპრესი-ული საქმიანობის შესახებ; ყოფილი მოკავშირეთა მეზღვაური არქტიკული კონვოის უცნობ პერიპეტიებს აღგვიწერს; ვეტერანი წითელარმიელი გერ-

მანელებთან ხელჩართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს და ა. შ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით წინამდებარე წიგნში შთამბეჭდავადაა შერწყმული დიდი პოლიტიკური შიგასამზარეულოს, მათ შორის თეირანის, იალტისა და პოტსდამის შეხვედრების პერიპეტიები და ამ პოლიტიკით დაჩაგრული უბრალო ადამიანების პირადი დრამატული ისტორიები.

შესავალი

თუ გიფიქრიათ როდის დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი? გგონიათ, 1945 წლისის აგვისტოში იაპონელთა კაპიტულაციის შემდეგ?

გააჩნია, როგორ აღიქვამთ ამ მოვლენას. თუ მივიჩნევთ, რომ მის დამთავრებას ნაცისტური ოკუპაციით დატანჯული ქვეყნებისათვის თავისუფლება უნდა მოეტანა, მაშინ მილიონობით ადამიანისათვის ეს ომი მხოლოდ ოციოდე წლის წინ კომუნიზმის დაცემით დამთავრდა. 1945 წლის ზაფხულში კი პოლონეთის, ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის რიგი სხვა ქვეყნებისთვის ერთი სახის ტირანიას უბრალოდ მეორე ჩაენაცვლა. ამ უსიამოვნო რეალობის გამოძახილი იყო ესტონეთისა და ლიტვის პრეზიდენტების უარი 2005-ში მოსკოვში ჩასვლაზე „ევროპაში ომის დამთავრების" მესამოცე წლისთავისადმი მიძღვნილ „ზეიმში" მონაწილეობის მისაღებად.

როგორ მოხდა ეს უსამართლობა? ეს წიგნი არის მცდელობა, პასუხი გასცეს ამ და სხვა საკვანძო საკითხებს. ეს გახლავთ ის ისტორია, რომლის მოყოლაც მხოლოდ კომუნიზმის დაცემის შემდეგ გახდა შესაძლებელი. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასამდე თვითმხილველი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან, რომლებსაც შეეხვდი, კომუნისტური რეჟიმის პირობებში ვერასდროს ისაუბრებდნენ გულახდილად, არამედ იმიტომაც, რომ უკლებლივ ყველა საბჭოთა მთავრობის მიერ მკაცრად გასაიდუმლოებული უამრავი საარქივო მასალა მხოლოდ ბოლო ხანებში გახდა ხელმისაწვდომი. ამ დოკუმენტების გაცნობის წყალობით აეხადა ფარდა დასავლეთისა და სტალინის ფარულ გარიგებას. ამიტომ ვიმედოვნებ, რომ ეს წიგნი მკითხველს ბევრ ახალ ინფორმაციას მიაწვდის.

გამიმართლა, რომ აღმოსავლეთის ბლოკის დაშლამ ამ ნაშრომის შექმნის საშუალება მომცა. ამის წარმოდგენა შეუძლებელი იყო 1970-იანი წლების დასაწყისში, როცა სკოლაში მეორე მსოფლიო ომის ისტორიას მასწავლიდნენ. მაშინ ჩემი ისტორიის მასწავლებელი ამ ომში საბჭოთა კავშირის[1] მონაწილეობის მორალურ და პოლიტიკურ სირთულეებს ამ საკითხის იგნორირებით უვლიდა გვერდს. მაშინ, ცივი ომის პერიოდში უმეტესობა ასე ცდილობდა მიეჩქმალა დასავლეთის სტალინთან გარიგებების სამარცხვინო შედეგები. უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა დასავლელ

მოკავშირეთა გმირულ მოქმედებას – დიუნკერკს, ბრიტანეთის ბრძოლებს და ნორმანდიაში მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმას. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ყურადღებას იმსახურებს, თუმცა სრულ ისტორიას არ წარმოადგენს.

კომუნიზმის დაცემამდე ჩვენს კულტურაში საბჭოთა კავშირის როლს მეორე მსოფლიო ომში შესაბამისი ადგილი არ ჰქონდა მიჩენილი. როგორც ჩანს, ეს უფრო ადვილი იყო, ვიდრე მწარე სინამდვილისთვის თვალის გასწორება, რომელიც მწვავე კითხვებს წამოჭრის. მაგალითად, მიგვიძღვის თუ არა ჩვენც წვლილი იმ საშინელ უბედურებაში, რომელიც 1945 წელს დაატყდა თავს პოლონეთს – ქვეყანას, რომლის დასაცავადაც ჩავებით ომში? მაშ რაღას გავკივით, რომ ტირანიის დასამხობად ვიბრძოდით ამ ომში? ამ საკუთარ სამართლიან კითხვებს კიდევ უფრო საჩოთირო კითხვები მოსდევს: არის თუ არა დასავლეთში ვინმე გასაკიცხი იმისთვის, რაც ომის დამთავრებას მოჰყვა ევროპაში? რასა იქმოდნენ ბრიტანეთისა და ამერიკის ისტორიის დიადი გმირები უინსტონ ჩერჩილი და ფრანკლინ რუზველტი?

იქნებ პარადოქსია, მაგრამ ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საუკეთესო მცდელობაა ყურადღების გამახვილება სულ სხვა პიროვნებაზე – იოსებ სტალინზე. ვინაიდან ეს წიგნი ძირითადად ურთიერთობებს ასახავს, მასში სწორედ სტალინი დომინირებს. ამ საბჭოთა ლიდერის ომისდროინდელ პლატფორმაში გარკვევა დასავლეთთან საბჭოეთის ალიანსამდელ პერიოდში მისი ქმედებების შესწავლით გახდა შესაძლებელი. ეს პერიოდი – ნაცისტებსა და საბჭოელებს შორის 1939 წელს პაქტის დადებიდან 1941 წელს მათ დაპირისპირებამდე – უგულებელყოფილი იყო საზოგადოებრივ ცნობიერებაში, განსაკუთრებით კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. მახსოვს როგორ შეეკითხე ერთ რუსს ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ: „როგორ ასწავლიდნენ საბჭოთა სკოლებში ნაცისტურ-საბჭოური პაქტის ისტორიას? ალბათ ძნელი იყო ამ საჩოთირო ამბავის ახსნა, არა?“ მან პასუხად გაიღიმა: „ოჰ, არა, სულაც არ იყო ძნელი. ჩემთვის ამ პაქტის არსებობა მხოლოდ 1990 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა ცნობილი“.

ნაცისტებთან სტალინის მაშინდელი ურთიერთობის შესწავლა აუცილებელია ამ პიროვნების ჭეშმარიტი ბუნების შესაცნობად, რადგან ამ ურთიერთობის თუნდაც საწყისი ეტაპი მეტად ჰარმონიული იყო. საბჭოთა კომუნისტებს და გერმანელ ნაცისტებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო – არა იდეოლოგიურად, რა თქმა უნდა, არამედ პრაქტიკულ ქმედებებში. ორივე მათგანი პატივს სცემდა უხეშ ძალას; ორივეს ეზიზღებოდა ღირებულებები, რომლებიც ესოდენ ძვირფასი იყო ფრანკლინ რუზველტის მსგავსი ადამიანებისათვის – სიტყვის თავისუფლება და კანონის უზენაესობა. ამიტო-

მაა, რომ წიგნის დასაწყისში მოყვანილ ეპიზოდში ასე მშვიდად ანაწილებს რუკის დახმარებით ევროპას სტალინი ნაცისტების საგარეო საქმეთა მინისტრ იოახიმ ფონ რიბენტროპთან ერთად. საბჭოთა ლიდერისთვის არასოდეს დამდგარა ასეთი ურთიერთდაინტერესებისა და ურთიერთგაგების მომენტი ჩერჩილთან და რუზველტთან მისი მოკავშირეობის არც ერთ ეტაპზე.

მნიშვნელოვანია იმაში გარკვევაც, თუ რა გზებით ახორციელებდნენ საბჭოელები აღმოსავლეთ პოლონეთის ოკუპაციას 1939-41 წლებში. ეს იმიტომ, რომ ომისშემდგომ ოკუპირებულ აღმოსავლეთ ევროპაში ჩადენილი უკანონობის უმეტესობა იმის ანალოგიური იყო, რაც საბჭოელებმა მანამდე პოლონეთში ჩაიდინეს – წამება, თვითნებური დაპატიმრება, დეპორტაცია, გაყალბებული არჩევნები და მკვლელობა. ამრიგად, სტალინიზმის ჭეშმარიტი ბუნება ჯერ კიდევ აღმოსავლეთ პოლონეთის ადრეული საბჭოური ოკუპაციის დროს წარმოჩინდა. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ჩერჩილმა და რუზველტმა იმთავითვე არ იცოდნენ, თუ რა ტიპის რეჟიმთან იჭერდნენ საქმეს საბჭოეთთან მოკავშირეობით. 1941 წლის ივნისში საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმისას თავიდან არც ერთი მათგანი არ ამჟღავნებდა სტალინთან ალიანსის შექმნის დიდ სურვილს. ჩერჩილი ასეთ ალიანსს „საატანასთან" პაქტს ადარებდა, ხოლო რუზველტი, თუმცა 1941 წლის ზაფხულში შეერთებულ შტატებს ჯერ კიდევ ნეიტრალიტეტი ეკავა, ნაცისტების თავდასხმის შემდეგ გაკეთებულ თავის პირველ ფრთხილ განცხადებაში გმობდა საბჭოელებს ამერიკის ადრინდელი ლანძღვისთვის.

ამ წიგნის მთავარი ფიბულა მდგომარეობს იმის გარკვევაში, თუ როგორ მივიდნენ ბრიტანელები და ამერიკელები სტალინის მიმართ სამართლიანი სკეპტიციზმის ამ ზნეობრივი განნყობიდან 1945 წლის თებერვლის იალტის სულისკვეთებამდე, როცა ისინი გულწრფელად აცხაებდნენ, რომ სტალინი „მსოფლიოსათვის სიკეთეს ნიშნავს" და რომ იგი „ლოგიკური და კეთილგონიერი ადამიანია". ამ ცვლილების გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენდა არა მარტო გლობალური გეოპოლიტური ინტერესები – უმთავრესად ნაცისტებზე საბჭოელების წარმატებული კონტრშეტევების ზეგავლენა დასავლეთზე, არამედ პიროვნული ემოციების მოძალებაც. ჩერჩილიც და რუზველტიც ეგოცენტრიზმით გამოირჩეოდნენ და მოლაპარაკების მაგიდასთან დომინირება უყვარდათ. მათ სიამოვნებას გვრიდათ საკუთარი ხმის მოსმენა. სტალინი კი სულაც არ იყო ასეთი. იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკვირვებული და ჩასაფრებული მსმენელი გახლდათ.

შემთხვევითი როდია, რომ ორმა უაღრესად ინტელექტუალურმა ბრიტანელმა ფუნქციონერმა – საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივმა მოადგილემ, სერ ალექსანდერ კადოგანმა და სამეფო გენშტაბის უფროსმა, ლორდმა ალანბრუკმა – საკმაოდ დრო მიუძღვნეს სტალინის პიროვნების

შესწავლას. ისინი მასში ხედავდნენ არა პოლიტიკოსს, რომელიც ცდილობს თავი მოანონოს პუბლიკას და თვითკმაყოფილებას განიცდის თავისი ორატორობით, არამედ ბიუროკრატის ტიპის პრაქტიკულ ადამიანს, რომელიც საქმეებს აგვარებს. კადოგანი თავის იალტის დღიურში წერდა: „უნდა ვაღიარო, რომ ამ სამი კაციდან ძია ჯო (სტალინი) ყველაზე შთამბეჭდავია. იგი ძალზედ მშვიდი და თავშეკავებულია... პრეზიდენტი ხელებს აბრახუნებდა, პრემიერ-მინისტრი როხროხებდა, ჯო კი უბრალოდ იჯდა, ყველაფერს აკვირდებოდა და ამით ერთობოდა, ხოლო თუ ლაპარაკში ჩაერთვებოდა, ზედმეტს არაფერს ამბობდა და მხოლოდ საქმის არსს ეხებოდა[2]“.

ფელდმარშალ ლორდ ალანბრუკს „დიდი შთაბეჭდილება შეექმნა სტალინის ენერგიულობაზე, ხასიათის სიძლიერესა და გამჭრიახობაზე“[3]. ალანბრუკი განსაკუთრებით იმით მოიხიბლა, რომ სტალინმა „რკინიგზის ტექნიკური დეტალების გასაოცარი ცოდნა გამოამჟღავნა“[4]. არავის მოუვიდოდა აზრად, რომ ჩერჩილი ან რუზველტი „რკინიგზის ტექნიკური დეტალების ცოდნაში“ შეემოწმებინა. სწორედ ალანბრუკი ჩაწვდა პირველად სტალინსა და ჩერჩილს შორის არსებულ ძირითად განსხვავებას: „სტალინი საოცარი რეალისტია“, წერდა იგი თავის დღიურში. „მას მხოლოდ ფაქტები აინტერესებს... [ჩერჩილი] სტალინში ეძებს სენტიმენტებს, რომელიც, ჩემი აზრით, მას საერთოდ არ გააჩნია[5]“.

როგორც ერთმა ისტორიკოსმა მოსწრებულად შენიშნა, ომის მიწურულს დასავლეთის ლიდერებს „საქმე ჰქონდათ არა ერთ ჩვეულებრივ, სახელნიფო მოხელის ტიპის მთავრობის მეთაურთან, არამედ ფსიქოლოგიურად აშლილ, მაგრამ სრულად ფუნქციონირებად და უაღრესად გონიერ დიქტატორთან, რომელსაც საკუთარი პიროვნება გაფეტიშებული ჰყავდა არა მარტო საკუთარ გარემოცვაში, არამედ მთელ საკუთარ ხალხში მთელი თავისი დამღუპველი შედეგებით[6]“.

ერთ-ერთი პრობლემა ისიც გახლდათ, რომ პიროვნულად სტალინი მკვეთრად განსხვავდებოდა ტირანი სტალინის იმიჯისგან. ანტონი ედენი, ერთ-ერთი პირველი დასავლელი პოლიტიკოსი, ვისაც ომის პერიოდში ურთიერთობა ჰქონდა სტალინთან, მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ მას უჭირდა საბჭოთა ბელადი „საკუთარი ოპონენტებისა და მოწინააღმდეგეების სისხლით მოსვრილი“ წარმოედგინა[7].

მაგრამ ჩერჩილი და რუზველტი განაფული პოლიტიკოსები იყვნენ და შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ სტალინმა ისინი უბრალოდ გააბრიყვა. არა, სხვა უფრო ჩახლართულ და საინტერესო ამბებთან გვაქვს საქმე მთელ ამ ისტორიაში. რუზველტს და ჩერჩილს ომის მოგება თავიანთი ქვეყნებისთვის რაც შეიძლებოდა ნაკლები ადამიანური თუ მატერიალური დანაკარგებით სურდათ. ამ მიზნის მისაღწევად სტალინის „მიმხრობა“, გან-

საკუთრებით კი მეორე ფრონტის გახსნის წინა წლებში, როცა საბჭოელებს არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნდათ, რომ ისინი მარტო ეომებოდნენ გერმანელებს, რუზველტის თქმით „ფრთხილ მიდგომას“ მოითხოვდა. ამიტომ დახურული მოლაპარაკებისას დასავლელი ლიდერები მძიმე პოლიტიკურ კომპრომისებზე წასვლის აუცილებლობას გრძნობდნენ. ერთ-ერთი ასეთი კომპრომისი იყო საბჭოთა ლიდერის დადებითად წარმოჩენის მცდელობა, მეორე კი – საბჭოური რეჟიმის შესახებ სიმართლის შეგნებულად ჩახშობა. როგორც ერთ-ერთმა ბრიტანელმა დიპლომატმა მოსწრებულად შენიშნა[8], ამ პროცესში დასავლელმა ლიდერებმა ადვილად მოახერხეს „დაერღვიათ საკუთარი ინტელექტუალური და მორალური მექანიზმების ნორმალური და ჯანსაღი ფუნქციონირება“.

მაგრამ ეს წიგნი არ წარმოადგენს ომის მონაწილე ქვეყნების მხოლოდ ლიდერთა ისტორიას და მათი მენტალიტეტისა თუ მსოფლხედველობის ანალიზს. იმთავითვე ვგრძნობდი, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეჩვენებინა, თუ როგორ აისახებოდა უბრალო ადამიანებზე სტალინისა და მისი მოკავშირეების დახურულ კარს მიღმა მიღებული გადაწყვეტილებები. ამიტომ წიგნზე მუშაობის პერიოდში ბევრი ვიმოგზაურე ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ვთხოვე იქაურ ადამიანებს საბჭოური პერიოდის პირადი ისტორიების მოყოლა. ამ ისტორიების გაცნობა ჩემთვის უჩვეულო და ხშირად ემოციური გამოცდილება იყო. ეს ყველაფერი სიახლედ და აქტუალურად მეჩვენებოდა. განსაკუთრებული სიმძაფრით ეს ლვოვის ოპერის შენობის ბალში ვიგრძენი. ეს კოპნია ქალაქი მეოცე საუკუნის დამდეგს ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შედიოდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პოლონეთის ნაწილი გახდა, შემდეგ – 1939-41 წლებში – საბჭოთა კავშირის ნაწილი, შემდეგ 1944-მდე – ნაცისტური იმპერიის ნაწილი, რის შემდეგაც 1991 წლამდე კვლავ საბჭოთა კავშირში შედიოდა, ხოლო ამჟამად დამოუკიდებელ უკრაინას ეკუთვნის. ბოლო ასი წლის განმავლობაში ამ ქალაქს ხან ლემბერგი ერქვა, ხან ლვოვი და ხან ლვივი. ამ ქალაქში არ შემხვედრია მოსახლეობის არც ერთი ჯგუფი, რომელიც ამა თუ იმ რეჟიმის დროს არ დასჯილა თავისი წარმომავლობის გამო. კათოლიკე თუ ებრაელი, უკრაინელი, რუსი თუ პოლონელი – სხვადასხვა დროს ყველა დევნას განიცდიდა. რა თქმა უნდა, ყველაზე ბარბაროსული და მასშტაბური მაინც ნაცისტების მიერ განხორციელებული ებრაელების დევნა და ხოცვა-ულეტა იყო, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ არაებრაელთა შორისაც ცოტა ვინმე თუ იყო ისეთი, ცენტრალური ევროპის ამ ნაწილში დატრიალებული კონფლიქტები და ორომტრიალი რომ არ შეხებოდა.

გამიმართლა, ისტორიის ამ ცოცხალ მოწმეებთან შეხვედრის საშუალება მომეცა. მით უმეტეს, რომ ახლო მომავალში ომგამოვლილთაგან

ითქმის აღარავინ დარჩება ცოცხალი. ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ღმოსავლეთ ევროპის ბლოკის ამ ვეტერანებთან გატარებული დროისა და ,ასაუბრების შემდეგ ცხადად ვიგრძენი მათი ისტორიის, ისევე როგორც ვენი საერთო ისტორიის გადახედვის აუცილებლობა. ჩვენი ერები ამ ომში რთად იბრძოდნენ და ვალდებული ვართ, როგორც მათი, ისე საკუთარი ავის წინაშე, რომ თვალი გავუსწოროთ სიმართლეს.

ლოურენს რიზი
ლონდონი, მაისი 2008

1

უსახელო ალიანსი

უცნაური მეგობრობა

1939 წლის 23 აგვისტოს ნაშუადღევის ოთხი საათისთვის სტალინის პირადმა ავტომობილმა წითელი მოედანი გადაკვეთა. მანქანაში საბჭოთა ლიდერის უჩვეულო სტუმარი იჯდა. დიპლომატიის ისტორიაში ამ ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი გარდატეხის ჟამს, ნაცისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ იოახიმ ფონ რიბენტროპს, საბჭოთა კავშირის პირნავარდნილ მტერს, კრემლში სტუმრად ელოდებოდნენ. როცა ავტომობილმა წმინდა ბასილის საკათედრო ტაძრის გუმბათებს ჩაუარა და კრემლის სპასკის კარიბჭეს მიუახლოვდა, რიბენტროპი შიშმა შეიპყრო. იგი მხოლოდ რამდენიმე საათის ჩამოსული იყო საბჭოთა კავშირში და მისი ერთგვარი შებოჭილობა მაშინვე შენიშნა მისმა თანმხლებმა გერმანელმა გენერალმა ერნესტ კიოსტრინგმა. „ვცდილობდი იგი დამემშვიდებინა", წერდა გენერალი, „(მაგრამ) რიბენტროპი კვლავ ნერვიული და აღგზნებული იყო[1]".

მანქანამ კრემლის კარიბჭესთან განთავსებულ შინსახკომის საგუშაგოს ჩაუარა და უმაღლესი საბჭოს შენობის წინ გაჩერდა. აქ რიბენტროპი, გერმანიის ელჩი გრაფი შულენბურგი და საელჩოს მრჩეველი ჰილგერი (რომელსაც თარჯიმნის როლი ეკისრებოდა) დერეფნის გავლით საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის ვიაჩესლავ მოლოტოვის მოძველებულ მისაღებამდე მიაცილეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი მართკუთხედის ფორმის კაბინეტში შეიპატიჟეს, სადაც ერთი კედლის გასწვრივ მოლაპარაკების გრძელი მაგიდა, ხოლო ოთახის ბოლოში საწერი მაგიდა იდგა. როგორც ერთ-ერთმა ბრიტანელმა სტუმარმა მოგვიანებით მოსწრებულად შენიშნა, კომუნისტური ელიტის ყველა კაბინეტის მსგავსად, ეს კაბინეტიც „რკინიგზის სადგურის მეორე კლასის მოსაცდელ დარბაზს წააგავდა"[2].

მათ შესახვედრად ფეხზე იდგა მოლოტოვი, მაგრამ რიბენტროპი იქ სხვა პიროვნების ყოფნამ გააკვირვა[3]. ეს დაბალი, სამოციოდე წლის მამაკაცი, რომელსაც ნაყვავილარი სახე, უფერული კბილები და ჩაყვითლებული თვალის უპეები ჰქონდა, ცივად ათვალიერებდა რიბენტროპს. ეს იყო საბჭოთა კავშირის დიდი ბელადი – იოსებ სტალინი. იგი იშვიათად ხვდებოდა უცხოელებს, ამგვარად მისი ყოფნა ოთახში ხაზს უსვამდა ამ შეხვედრის

დიდ მნიშვნელოვნებას. „ეს იყო სვლა“, წერდა ჰილგერი, „[ნაცისტების] საგარეო საქმეთა მინისტრის დასაბნევად გამიზნული[4]“.

თვალშისაცემი იყო განსხვავება ოთახში მყოფ ამ ორ უმთავრეს პიროვნებას შორის. რიბენტროპი სტალინზე რამოდენიმე დუიმით მაღალი იყო და ჩვეულებისამებრ, უზადოდ ეცვა. ჩინებულად შეკერილი მისი ძვირფასი კოსტუმი მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა სტალინის ჯვალოს კიტელთან და შარვალთან.

რიბენტროპი მეტად წარმოსადეგი და საკუთარი ღირსებით აღსავსე პიროვნება გახლდათ. ნაციონალ-სოციალიზმის დამფუძნებელი ფანატიკოსებისგან განსხვავებით იგი ნაცისტებს მოგვიანებით, 1932 წელს შეუერთდა, როცა ცხადი გახდა, რომ ჰიტლერი ანგარიშგასაწევი ფიგურა იყო. 1920-იანი წლების ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში რიბენტროპი შამპანური ღვინოების მდიდარი იმპორტიორი იყო. სხვა ნაცისტ ლიდერთა უმრავლესობა მას ნაკლებად სცემდა პატივს. კერძოდ, ნაცისტთა პროპაგანდის მინისტრი იოზეფ ჰებელსი ამბობდა, რომ „რიბენტროპმა იყიდა თავისი სახელი, დაქორწინდა საკუთარ ფულებზე და თაღლითურად გაიკვლია გზა მინისტრობისაკენ[5]“. გერმანული ავიაციის ლიუფტვაფეს მეთაურმა ჰერმან გერინგმა ჰიტლერს უთხრა, რომ ლონდონში ელჩად ყოფნის დროს რიბენტროპი ბრიტანელებთან ურთიერთობაში „უკანალის“ ფუნქციას ასრულებდა. „მაგრამ ის ბევრ საჭირო ხალხს იცნობს ლონდონში“, უპასუხა ჰიტლერმა, რაზეც გერინგმა მიუგო: „ჩემო ფიურერო, ეგ შეიძლება მართალია, მაგრამ ცუდი ისაა, რომ ისინიც იცნობენ მას[6]“. ნაცისტების მოკავშირეთა შორისაც ბევრს არ მოსწონდა რიბენტროპი. იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი კონტი კიანო ზიზღით აღნიშნავდა: „დუჩე (ბენიტო მუსოლინი) ამბობს, საკმარისია რიბენტროპის თავს შეხედო და მიხვდები რა პატარა ტვინი აქვს[7]“.

მაშინ, როცა რიბენტროპი თავის კოლეგებს შორისაც კი ნაკლები პატივისცემით სარგებლობდა, სტალინი სიყვარულსა და პატივისცემას იმკიდა საპირისპირო გრძნობის – შიშის თესვით. „სტალინისთვის ყველანი დროებით ადამიანებს წარმოვადგენდით“, ამბობს საბჭოთა კავშირის შემდგომი ლიდერი ნიკიტა ხრუშჩოვი. „ჩვენ შეგვეძლო გვეცოცხლა და გვემუშავა მანამ, სანამ ის გარკვეულწილად გვენდობოდა. როგორც კი მის ნდობას დაკარგავდი, მაშინვე მისი უნდობლობის ნიაღვარი წაგლეკავდა[8]“. პოლიტბიუროს წევრის ანასტას მიქოიანის ვაჟი სტეფანე, რომელიც 1930-იანი წლების კრემლის კედლებში გაიზარდა, იზიარებს ხრუშჩოვის ამ მოსაზრებას. „(სტალინი) ლაპარაკის დროს მსმენელებს თვალებზე აკვირდებოდა“, ამბობს სტეფანე მიქოიანი[9]. „თუ პირდაპირ თვალებში არ უყურებდით, შეეძლო ეეჭვიანა, რომ რაღაცას ატყუებდით. ამას კი შეიძლებოდა დიდი უსიამოვნება მოეტანა თქვენთვის... ეჭვიანობა მისი ხასიათის ნიშანს წარ-

მოადგენდა... მეტად დაუნდობელი ადამიანი იყო... შეეძლო გაეწირა ვინმე ან მოეტყუებინა, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიდა. ამიტომ იყო, რომ სხვისგანაც ამასვე ელოდა... მისი აზრით ყველა შეიძლებოდა მოღალატე გამხდარიყო". სტალინი, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციონერი იყო. ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლამდე იგი იყო ტერორისტი მარქსისტი, რომელიც მონაწილეობდა ბანკების ძარცვაში, ადამიანების გატაცებაში და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში, რის გამოც გარკვეული პერიოდი ციმბირში იყო გადასახლებული.

ამ კონტრასტმა ამპარტავან რიბენტროპსა და გამჭრიახ და ცინიკოს სტალინს შორის იმ საღამოს საუბრის დასაწყისშივე იჩინა თავი, როცა რიბენტროპმა ზარ-ზეიმით განაცხადა: „ფიურერისაგან მონიჭებული მაქვს უფლება შემოგთავაზოთ ჩვენს ორ ქვეყანას შორის თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმება ასი წლის ვადით".

„ასწლიან ვადაზე რომ დაგეთანხმოთ", მიუგო სტალინმა, „ხალხი არასერიოზულობას დაგვწამებს. მე ათწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას გთავაზობთ[10]". ასეთი დელიკატური ეპიზოდით დაიწყო ნაცისტებსა და კომუნისტებს შორის მოლაპარაკება.

იდეოლოგიურად დაპირისპირებულ ამ ორ მხარეს შორის გამართულმა მოლაპარაკებამ მსოფლიო შოკში ჩააგდო. ამ საუბარს „ცეცხლისა და წყალის" ურთიერთობას და ერთი ნახვით ქორწინებას უწოდებდნენ[11]. მართლაცდა, როგორ შეიძლებოდა ოდესმე კრემლში რიბენტროპის მიღება საპატიო სტუმრის რანგში? მით უმეტეს, როცა ნაცისტები არასდროს მალავდნენ თავიანთ სიძულვილს საბჭოთა კავშირის მიმართ. 1937 წელს ნიურნბერგში სიტყვით გამოსვლისას ჰიტლერმა საბჭოთა ლიდერებს „კრიმინალების არაცივილიზებული ებრაულ-ბოლშევიკური საერთაშორისო გილდია" უწოდა და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი „უდიდესია იმ საშიშროებათაგან, რომლებიც კი ოდესმე დამუქრებია კაცობრიობის კულტურას და ცივილიზაციას ანტიკური ცივილიზაციის განადგურების შემდეგ[12]".

თავის წიგნში *Mein Kampf* (ჩემი ბრძოლა) ჰიტლერი ღიად აცხადებდა, რომ გერმანიამ სამომავლოდ რუსეთისა და დანარჩენი საბჭოთა კავშირის ნაყოფიერი მიწების დაპყრობაზე უნდა იფიქროსო: „ჩვენ წერტილს ვუსვამთ გაუთავებელ გერმანულ მარშებს ევროპის სამხრეთისა და დასავლეთისაკენ და ჩვენს მზერას აღმოსავლეთისკენ მივაპყრობთ... ყოველ შემთხვევაში, როცა დღეს ევროპაში ახალ მიწებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რუსეთი და მისი მოსაზღვრე [საბჭოთა] ქვეყნები. თვით ბედისწერას სურს აქ ჩვენთვის გზის გაკვალვა[13]".

მაგრამ 1939 წლის ზაფხულში ნაცისტებმა საკუთარ პრინციპებს პრაგმატიზმი ამჯობინეს. ჰიტლერს უმოკლეს ხანში პოლონეთში შეჭრა სურდა, რათა, მისი აზრით, დაებრუნებინა გერმანული ტერიტორიები – ქალაქი დანცინგი, დასავლეთ პრუსია და პოზნანის მიმდებარე გერმანული მიწები. ამასთან, სურდა პოლონეთის ნაყოფიერი მიწებიც ეგდო ხელთ, თუმცა იცოდა, რომ პოლონეთში შეჭრა ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ომის რისკს შეიცავდა. 1939 წლის მარტში, მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ნევილ ჩემბერლენი ჰიტლერის ჩეხეთში შეჭრამ მიახვედრა, რომ ერთი წლის წინანდელ მიუნხენის შეთანხმებაში ფიურერის მიერ ჩადებული დაპირებები ფუჭი გამოდგა, ბრიტანელები პოლონელებს უცხოური აგრესიისგან დაცვას დაპირდნენ. ამასთან ნაცისტებს პოლონეთში შეჭრასთან დაკავშირებით უფრო მნიშვნელოვანი, და ჯერჯერობით პასუხგაუცემელი, კითხვა აწუხებდათ: როგორი იქნებოდა ამ შეჭრაზე პოლონეთის აღმოსავლელი მეზობლის – საბჭოთა კავშირის რეაქცია? თუკი საბჭოთა კავშირი ფრანგებთან და ბრიტანელებთან ალიანსს შექმნიდა, გერმანია მტრების გარემოცვაში აღმოჩნდებოდა.

ამიტომ იყო, რომ 1939 წლის ზაფხულში ბერლინში მიმდინარე სავაჭრო მოლაპარაკების კულისებში გერმანელებმა საბჭოელებთან სავარაუდო ურთიერთთანადგომის პაქტის გაფორმებისთვის ნიადაგი მოსინჯეს. რასაკვირველია, თავიდან საბჭოელები სკეპტიკურად განეწყვნენ ამ იდეის მიმართ. საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელმა ასტახოვმა თავის გერმანელ კოლეგა შნურეს განუცხადა: „მოსკოვში არ სჯერათ, რომ გერმანელების გაჟღერებული ცვლილებები მათ საგარეო პოლიტიკაში სერიოზული, არაკონიუნქტურული და ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი ცვლილებებია".

შნურემ მიუგო: „მითხარით, რა მტკიცებულებანი გჭირდებათ. მზად ვართ შეთანხმების მისაღწევად ნებისმიერ საკითხში ნებისმიერი გარანტია შემოგთავაზოთ[14]". 2 აგვისტოსათვის გერმანელთა მოწადინებამ პიკს მიაღწია და ასტახოვს თვით რიბენტროპმა განუცხადა, რომ არ არსებობდა „არანაირი პრობლემა ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე", რომლის გადაჭრასაც ისინი ვერ შეძლებდნენ[15]. გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ხელშეკრულება 19 აგვისტოს გაფორმდა ბერლინში. ამის შემდეგ რიბენტროპმა დაჟინებით მოსთხოვა საბჭოელებს თავდაუსხმელობის პაქტის გასაფორმებლად მოსკოვში ჩასვლის ნებართვა. როცა საბჭოელებს კვლავ ყოყმანი შეატყვეს, საქმეში ჰიტლერი ჩაერთო და სტალინს რიბენტროპის ვიზიტის ნებართვის თხოვნით პირადად მისწერა წერილი... საბჭოელები დათანხმდნენ და რიბენტროპი 23 აგვისტოს ჩავიდა მოსკოვში.

გერმანელთა მოტივაცია ძნელი მისახვედრი როდია. იგი ჰიტლერის გრძელვადიანი გეგმიდან – ვითომდა მესიანური ხედვიდან – გამომდინარეობდა. საბჭოთა კავშირი მისი იდეოლოგიური მტერი იყო და თანაც

ნაყოფიერ მიწებს ფლობდა, რომელთა ღირსიც არ იყო ეს ხალხი. ერთ მშვენიერ დღეს ამ მიწებზე ახალი გერმანული იმპერია იბატონებდა. მაგრამ ჯერ ამ „მესიანური ხედვის“ ხორცშესხმის დრო არ დამდგარიყო. ახლა საჭირო იყო პოტენციალური მოწინააღმდეგის სწრაფი ნეიტრალიზაციის პრაქტიკული პრობლემის მოგვარება. ნაცისტურ რეჟიმს დიდი დინამიკურობა ახასიათებდა. საბჭოელების გაოცება და მოწონება დაიმსახურა იმან, თუ რა სწრაფად მოამზადეს ნაცისტებმა და გააფორმეს მათთან თავდაუსხმელობის პაქტი. „იმ ფაქტმა, რომ ბ-ნი რიბენტროპი საათში 650 კილომეტრი სიჩქარის რეჟიმში მოქმედებდა, საბჭოთა მთავრობის გულწრფელი აღტაცება გამოიწვია“, განაცხადა მოლოტოვმა 1939 წლის სექტემბერში სიტყვით გამოსვლისას. „მისი ენერგია და გულმოდგინება გერმანიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისთვის მტკიცე საფუძველი გახდა[16]“.

მაშინ, როცა შედარებით ადვილია ამ ხელშეკრულებით გერმანელთა დაინტერესების ახსნა, ძნელი გასაგებია საბჭოელების მოტივაცია. გერმანელებისაგან განსხვავებით, საბჭოელებს პარტნიორების არჩევანი ჰქონდათ. მათ შეეძლოთ გერმანელებისთვის უარი ეთქვათ და ბრიტანელებთან და ფრანგებთან შეექმნაათ ალიანსი. ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ ეს მოვლენების უფრო ლოგიკური განვითარება იქნებოდა; მით უმეტეს, რომ საბჭოელებს 1932 წელს პოლონელებთან თავდაუსხმელობის ხელშეკრულება უკვე ჰქონდათ გაფორმებული. ამასთან, ნაცისტები ყოველთვის უფრო მტრობდნენ საბჭოთა კავშირს, ვიდრე ბრიტანელები ან ფრანგები. ბრიტანელებს უკვე გადადგმულიც ჰქონდათ შემრიგებლური ნაბიჯები მოსკოვის მიმართულებით. მაგრამ სტალინმა ისიც იცოდა, რომ ბრიტანელებს წინათ გერმანიასთან მორიგება ერჩივნათ საბჭოელებთან ალიანსს. ეს იმ ფაქტით დადასტურდა, რომ 1938 წლის სექტემბერში მიუნხენში ბრიტანელებმა საბჭოელების დაუკითხავად დადეს ხელშეკრულება გერმანელებთან, რითაც ჩემბერლენმა ნაცისტებს ჩეხოსლოვაკიის ეთნიკური გერმანელებით დასახლებული სუდეტის რეგიონი გადაულოცა.

მიუნხენიდან უკან დაბრუნებულმა ჩემბერლენმა მაშინ თავისი მოქმედების გასამართლებლად ციტატა მოიშველია შექსპირის „ჰენრი IV“-დან: „...ამ მსუსხავ ჭინჭარში ჩვენ ეს ყვავილი უხიფათოდ მოვწყვიტეთ“. მაგრამ გაზეთ „იზვესტიის“ გამანადგურებელ სტატიაში საბჭოელებმა მას იგივე პიესიდან სხვა ამონარიდით უპასუხეს: „თქვენი ქმედებანი ერთობ საშიშია; თქვენი შერჩეული მეგობრები – ერთობ არასანდო, შერჩეული დრო – არახელსაყრელი, ხოლო თქვენი სიმუხთლე – სამხილებლად ერთობ ადვილი[17]“.

მართალია შემდგომში ნაცისტების მიერ მთლიანი ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციამ ბრიტანელები დაარწმუნა საბჭოელებთან მორიგების უპირატესობაში, მაგრამ მათმა აღიარებამ ვერ მოალბო სტალინი, რომელიც სკკპ

მე-18 ყრილობაზე დასავლეთის მწვავე კრიტიკით გამოვიდა. მან ილაპარაკა ომზე, რომელიც გააჩაღეს „აგრესორმა ქვეყნებმა არააგრესიული ქვეყნების წინააღმდეგ ბრიტანეთის, საფრანგეთისა და შეერთებული შტატების ხელშეწყობით, რომლებიც მუდმივად დათმობაზე მიდიან აგრესორთან. ამრიგად ჩვენ მოწმენი ვხდებით მსოფლიოსა და გავლენის სფეროების აშკარა გადანაწილებისა არააგრესიული ქვეყნების ხარჯზე მათი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე და აშკარა ნაქეზებითაც კი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია[18]". ნაწილობრივ ამ „არააგრესიული" ქვეყნების პასიურობით მოგვრილმა ზიზღმა ათქმევინა სტალინს იგივე მოხსენებაში, რომ „ვერ ელირსებიან კონფლიქტში საბჭოთა კავშირის ჩათრევას ომის წამქეზებლები, რომლებიც ნაჩვევნი არიან სხვისი ხელით ვარდების კრეფას".

და მაინც, სტალინი და საბჭოთა ხელისუფლება ჯერ კიდევ შესაძლებლად მიიჩნევდნენ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ურთიერთთანადგომის ხელშეკრულების გაფორმებას, მაგრამ ნაცისტების „650-კილომეტრიანი სიჩქარისაგან" განსხვავებით, დასავლელი „მოკავშირეობის კანდიდატები" დისკუსიების ჭაობში ეფლობოდნენ და საკითხების დაკონკრეტებისგან თავს იკავებდნენ. 27 მაისს ბრიტანელებმა და ფრანგებმა საბჭოელებს სამხედრო და პოლიტიკური ალიანსის გეგმა შესთავაზეს, მაგრამ მოლოტოვმა ეს გეგმა უარყო. იგი ძალიან ბუნდოვანი იყო და ბევრი საჭირო დეტალი აკლდა, განსაკუთრებით კი იმ ნაწილში, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საბჭოელთა რეაქცია პოლონეთზე გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში.

საბჭოელების ბრიტანელებთან რაიმე სერიოზული ალიანსის შექმნის პერსპექტივა გააქარწლა იმ ზაფხულს მოსკოვში ჩასულმა ბრიტანულმა მისიამ წარჩინებული გვარის ადმირალის, მისი აღმატებულება სერ რეჯინალდ აილმერ რანფურლი პლუნკეტ-ერნლ-ერლ-დრაქსის მეთაურობით. საბჭოთა ელჩი ლონდონში მაევსკი მანამდე მოსკოვში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ ჰალიფაქსის ჩასვლას მოითხოვდა, რათა მას მოლოტოვთან პირადი შეხვედრების დონეზე განეხილა ეს საკითხები. პასუხად ბრიტანელებს ჯერ საგარეო საქმეთა სამინისტროს რომელიღაც დეპარტამენტის უფროსის გაგზავნა უნდოდათ, შემდეგ კი არჩევანი ამ გაბღენძილ ადმირალზე შეაჩერეს. მოვლენები იმანაც გააუარესა, რომ დრაქსმა და მისმა ამალამ დრო არაფრად ჩააგდეს, ინგლისიდან სავაჭრო გემით 5 აგვისტოს გაემგზავრნენ და ოთხი დღე ლენინგრადში ჩასვლას მოანდომეს.

როცა ბრიტანელთა დელეგაციამ ბოლოს და ბოლოს მოსკოვში ჩააღწია, საბჭოელები დარწმუნდნენ მაევსკის მიერ ლონდონიდან გაგზავნილი საიდუმლო შეტყობინების სისნორეში, რომ „დელეგაციის წევრები ვერ შეძლებენ ადგილზე გადაწყვეტილების მიღებას... ეს საკმაოდ გააძნელებს მოლაპარაკების წინსვლას[19]". მართლაც, მოსკოვში გამგზავრებამდე დრაქსი

პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა დამოძღვრეს, რომ საბჭოელებთან ნებისმიერი გართულების შემთხვევაშიც კი ცდილიყო, როგორმე გაეჭიანურებინა მოლაპარაკება ოქტომბრამდე, როცა პოლონეთში ამინდის გაუარესება გაართულებდა იქ ნაცისტების შეჭრას[20]. ბრიტანელები იმედოვნებდნენ, რომ საბჭოელებთან მათი ალიანსის შექმნის მუქარა შეაჩერებდა გერმანელებს.

ძნელი არაა საბჭოელებთან მოლაპარაკებისადმი ბრიტანელთა ასეთი აგდებული დამოკიდებულების მიზეზის ამოცნობა. ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა ტრადიციულად გერმანიასთან მეგობრობას უფრო ემყარებოდა, ვიდრე საბჭოთა კავშირთან თანხმობას. ბევრ ბრიტანელს არა მარტო სძულდა სტალინის კომუნისტური რეჟიმი, არამედ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სიძლიერეს და ვარგისიანობასაც ეჭვქვეშ აყენებდა. არსებობდა სხვა, უფრო პრაქტიკული მიზეზიც – ეს იყო პოლონეთის საკითხი. ამ ქვეყნის მიმართ სწორი პოლიტიკის გატარების სირთულეებმა, რაც წითელ ზოლად გასდევს ამ წიგნს, ჯერ კიდევ ომამდე იჩინა თავი. ბრიტანელებმა იცოდნენ, რომ საბჭოელებთან ნებისმიერი სამხედრო პაქტის დადების შემთხვევაში მათთვის უნდა მიეცათ პოლონეთის საზღვრის გადაკვეთის უფლება ამ ქვეყანაზე გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში. მაგრამ თავად პოლონელები ნებისმიერი ასეთი უფლების წინააღმდეგი იყვნენ. ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ბრიტანელებმა ამ საკითხის საერთოდ წაყრუების გასაგებ, მაგრამ აშკარად წამგებიან ტაქტიკას მიმართეს. როცა საბჭოთა მარშალმა ვოროშილოვმა 14 აგვისტოს მათთან მოლაპარაკებისას პირდაპირ იკითხა, ჰქონდა თუ არა საბჭოთა არმიას ნაცისტებთან საბრძოლველად პოლონეთში შესვლის უფლება, დრაქსის დელეგაციამ მას პასუხი არ გასცა.

და მაინც შეცდომა იქნებოდა გვევარაუდა, რომ ბრიტანელებისა და ფრანგების მცდარი პოლიტიკა გახდა სტალინისა და საბჭოთა ხელისუფლების ნაცისტებთან დაახლოების მთავარი მიზეზი. რეალურად დასავლეთის ალიანსს ძალიან ცოტა რამის შეთავაზება შეეძლო საბჭოეთისთვის. ლოგიკურია სტალინს გასჩენოდა კითხვა, თუ რატომ უნდა ყოფილიყო „ჩათრეული კონფლიქტში“ წითელი არმია, რათა დახმარებოდა თვით ამ კონფლიქტის გამომწვევ გარეშე არამეგობრულ რეჟიმებს. სტალინი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ისეთივე იდეოლოგიური მტერი იყო, როგორიც ნაცისტური გერმანიისა. მარქსისტული თეორიის თანახმად მთელი ამ ქვეყნების რეჟიმები დიდ ბიზნესს და მშრომელთა მასების ექსპლოატაციას ემყარებოდნენ. მხოლოდ საბჭოთა კავშირი იყო სტალინის მსოფლმხედველობის „შესაფერისი“ სახელმწიფო, რომელიც საკუთარ ხალხს სთავაზობდა საყოველთაო განათლებას, უფასო მკურნალობას, „საყოველთაო არჩევნებს“ და საერთო-სახალხო საკუთრებას. ლენინის მოძღვრება მოუწოდებდა

საბჭოთა მთავრობას, არ ჩარეულიყო კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთკონფლიქტში და ეცლია მათთვის ერთმანეთი დაესუსტებინათ. ახლა კი, როდესაც ამ ერთნაირად საძულველი ქვეყნებიდან რომელიმესთან საქმის დაჭერის აუცილებლობა დადგა, სტალინმა უფრო ხელსაყრელად გერმანიასთან თუნდაც მოკლევადიანი ხელშეკრულების დადება მიიჩნია. კარსმომდგარი ომების თავიდან აცილების შედარებით უსაფრთხო გზების გარდა, ნაცისტები, დასავლეთის ალიანსისაგან განსხვავებით, საბჭოელებს დამატებითი მატერიალური და ტერიტორიული სარგებლის პერსპექტივას სთავაზობდნენ. ამ თვალსაზრისით გერმანელების – რიბენტროპისა და შულენბურგის და საბჭოელების – სტალინისა და მოლოტოვის 1939 წლის 23 აგვისტოს შემდგარი შეხვედრის მთავარ მიზეზად საღი აზროვნება კი არა, საერთო ინტერესთა თანხვედრა უნდა მივიჩნიოთ.

მოლაპარაკება დაიწყო

ამ შეხვედრის უაღრესად პრაქტიკულ ხასიათზე მიანიშნებდა ის სისწრაფე, რითაც დისკუსია ეგრეთწოდებულ „გავლენის სფეროებზე“ გადავიდა. ამ თითქოსდა უვნებელი ფრაზის მნიშვნელობას იმხანად თითოეული მხარის ნება-სურვილი განსაზღვრავდა. მოგვიანებით, ნაცისტების პოლონეთში შეჭრის შემდეგ იგი გამოიყენებოდა იმის მაჩვენებლად, თუ ვის კონტროლს დაექვემდებარებოდა აღმოსავლეთ ევროპის ესა თუ ის ქვეყანა.

რიბენტროპმა განაცხადა: „ფიურერი თანახმაა, რომ პოლონეთისა და ბესარაბიის აღმოსავლეთი ნაწილი, აგრეთვე ფინეთი, ესტონეთი და ლატვიის ნაწილი მდინარე დვინამდე, საბჭოთა გავლენის სფეროში მოექცნენ[21]“. სტალინმა მაშინვე დაიწუნა გერმანელთა შეთავაზება და მთელი ლატვიის საბჭოეთის „გავლენის სფეროში“ მოქცევა მოითხოვა რიბენტროპმა ჰიტლერის თანხმობის გარეშე ვერ გაბედა სტალინის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ამიტომ შეხვედრა ფიურერისაგან ინსტრუქციების მიღებამდე გადაიდო.

ჰიტლერი ამ მოლაპარაკების შედეგებს სამხრეთ ბავარიის მთებში აგებულ ბერგჰოფის სასახლეში ელოდებოდა. იმ დილით იქ სამხედრო მეთაურთა კონფერენცია გაიმართა, რომელსაც ჰიტლერმა რიბენტროპის მისიის შესახებ აუწყა. „გენერლები გაოცებულნი უყურებდნენ ერთმანეთს“, ამბობს ბერგჰოფის მაშინდელი კომენდანტი ჰერბერტ დორინგი, რომელიც იმ კონფერენციას ესწრებოდა. „მათ ვერ წარმოედგინათ, თუ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო: კომუნისტი სტალინი და ნაციონალ-სოციალისტი ჰიტლერი უეცრად ერთიანდებიან! რა იმალებოდა ამ ყველაფრის უკან, არავინ უნყოდა“[22].

„ზაფხულის ცხელი, დახუთული საღამო იყო“, იხსენებს დორინგი. „სამხედროები, სამოქალაქო პერსონალი, მინისტრები და მდივნები ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყვნენ ტერასაზე და სატელეფონო კომუტატორთან. ყველა დაძაბული ელოდა სატელეფონო ზარს“. უეცრად ზარი გაისმა და მოსკოვიდან რიბენტროპმა ფიურერს სტალინის მოთხოვნა აცნობა. „ჰიტლერს სატელეფონო შეტყობინების დროს ხმა არ ამოუღია“, იხსენებს დორინგი. „რომ იტყვიან, სტალინმა მას საფეთქელზე პისტოლეტი მიაბჯინა“. ასე „პისტოლეტმიბჯენილი“ დათანხმდა ჰიტლერი სტალინის „გავლენის სფეროში“ მთლიანი ლატვიის მოქცევას.

რაკი გავლენის სფეროების მთავარ საკითხზე მორიგდნენ და ეს მორიგება პაქტს საიდუმლო ოქმად დაურთეს, მოსკოვში საუბრები უფრო გულახდილი გახდა. სტალინმა გულწრფელად გაუზიარა გერმანელებს საკუთარი შეხედულება იმ ერზე, რომლის მოკავშირე კინაღამ გახდა 1941 წლის ზაფხულში: „მე არ მომწონს და არ ვენდობი ბრიტანელებს; ისინი გაწაფული და ჯიუტი ოპონენტები არიან, მაგრამ მათი არმია სუსტია. თუ ინგლისი ჯერ კიდევ ბატონობს მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში, ეს იმ ქვეყნების სიბეცის ბრალია, ვინც მას თავს ატყუებინებს. სასაცილოა, რომ მხოლოდ რამდენიმე ასეული ბრიტანელი ჯერ ისევ ახერხებს ინდოეთის ასეულობით მილიონი ადამიანის მართვას“[23]. შემდეგ სტალინმა ბრიტანელები დაადანაშაულა საბჭოელებისა და გერმანელების ურთიერთდაახლოებისადმი ხელის შეშლის მრავალწლიან მცდელობაში და ამ „ხრიკებისათვის“ წერტილის დასმა „კარგ იდეად“ მიიჩნია.

საგულისხმოა, რომ მოსკოვის ამ მოლაპარაკებაზე არავითარი დისკუსია არ გამართულა ნაცისტების პოლონეთში მოსალოდნელი შეჭრისა და, შესაბამისად, ამ შეჭრაზე საბჭოელების მოსალოდნელი რეაქციის შესახებ. ნაცისტების ამ განზრახვამ ნაწილობრივ მხოლოდ რიბენტროპის სიტყვებში გამოჟონა: „გერმანიის რაიხის მთავრობა ველარ შეეგუება პოლონეთში გერმანული მოსახლეობის შევიწროებას და ფიურერი მოწადინებულია დაუყოვნებლივ გადაჭრას გერმანია – პოლონეთის ეს სადავო საკითხი“. სტალინმა ამ განცხადებას უპასუხა არაფრისმთქმელი სიტყვით – „გასაგებია“.

ამის შემდეგ სტალინს და რიბენტროპს გამოსაქვეყნებელი კომუნიკეს მონახაზი წარუდგინეს. საბჭოთა ლიდერს ამ პირველი ვარიანტის საზეიმო ტონი საკმაოდ კომიკურად მოეჩვენა. „ნუთუ საჭიროდ არ თვლით, რომ ცოტა მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს ქვეყნებში ხალხის აზრს?“, იკითხა მან. „წლების განმავლობაში ერთმანეთს თავსლაფს ვასხამდით და ჩვენი პროპაგანდისტი ბიჭები ამაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ; ჰოდა ასე უცებ ვინ დაგვიჯერებს, რომ ყველაფერი დავივიწყეთ და ვაპატიეთ ერთმანეთს? ამგვარი რამ ასე სწრაფად არ ხდება[24]“. ამ სიტყვების შემდეგ

სტალინი კომუნიკეს ჩასწორებას შეუდგა, რათა მისი პათეტიკური ტონი შეერბილებინა.

შუაღამისას წითელთავსაფრიანმა ქალმა ჯერ ჩაი შემოიტანა, შემდეგ კი ტკბილეული, ხიზილალა, ბუტერბროდები და ბლომად არაყი, ღვინო და შამპანური მოაყოლა. გერმანელი დიპლომატი ანდორ ჰენკე, რომელიც თარჯიმნის ფუნქციასაც ასრულებდა, იხსენებს: „ისედაც უკვე გულთბილი ატმოსფერო საზეიმოში გადაიზარდა. სტალინი და მოლოტოვი საოცრად გულუხვი მასპინძლები აღმოჩნდნენ. რუსეთის მბრძანებელი სტუმრებს თავად უვსებდა ჭიქებს, სთავაზობდა სიგარეტს და მათ მოკიდებასაც კი არ თაკილობდა. სტალინის ამ გულითადმა და ამავდროულად ღირსეულმა ქცევამ ყოველ ჩვენგანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა... მე შეძლებისდაგვარად გადავთარგმნე სტალინის მიერ ალბათ ცხოვრებაში პირველად წარმოთქმული ჰიტლერის სადღეგრძელო: „რადგან ვიცი, თუ რარიგ უყვართ გერმანელებს თავისი ფიურერი, მსურს მისი სადღეგრძელო შევსვა[25]“.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტს 1939 წლის 24 აგვისტოს გამთენიისას მოაწერეს ხელი. დარბაზში გერმანელი და საბჭოთა ფოტოგრაფები მიიწვიეს, რათა ამ ორი ქვეყნის უპრეცედენტო მეგობრობის გაფურჩქვნის მომენტი სამუდამოდ აღებეჭდათ. სტალინმა მხოლოდ ერთი პირობა წაუყენა ფოტოგრაფებს: „ჯერ ცარიელი ბოთლები მოვაშოროთ აქაურობას, თორემ ხალხი იფიქრებს, რომ ჯერ დავთვერით და მერე მოვაწერეთ ხელი ხელშეკრულებას[26]“. სტალინის ამ ხუმრობანარევი გაფრთხილების მიუხედავად, ერთ-ერთმა გერმანელმა ფოტოგრაფმა ჰელმუტ ლაუქსმა მაინც მოახერხა ხელში შამპანურის ჭიქიანი სტალინისა და რიბენტროპის ერთად გადაღება. სტალინმა თქვა, რომ ეს ფოტო „მცდარ შთაბეჭდილებას“ შექმნიდა. ლაუქსი ფოტოაპარატიდან ფირის ამოღებას შეუდგა, მაგრამ საბჭოთა ლიდერმა შეაჩერა და უთხრა, ვენდობი თქვენს დაპირებას, რომ ამ ფოტოს არ გამოაქვეყნებთო[27].

ჰიტლერის პირადი ფოტოგრაფი ჰეინრიხ ჰოფმანი, რომელიც ასევე იმყოფებოდა იქ, რუსების მოძველებულ აპარატურას „ადამისდროინდელად“ მოიხსენიებს. მან სტალინს პირადად მიმართა: „თქვენო აღმატებულებავ, მაქვს უდიდესი პატივი პირადად გადმოგცეთ ჩემი ფიურერისა და კარგი მეგობრის ადოლფ ჰიტლერის გულითადი სალამი და კეთილი სურვილები. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ იგი მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა პირადად შეხვდება რუსი ხალხის დიდ ბელადს“. ჰოფმანის გადმოცემით, ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტალინზე, რომელმაც საპასუხოდ განაცხადა, გერმანიასთან და მის დიდ ფიურერთან ჩვენი მეგობრობა ხანგრძლივი იქნებაო[28].

წვეულებამ გათენებამდე გასტანა და როცა სტუმრები როგორც იქნა აიშალნენ, სტალინი, ჰოფმანის გადმოცემით, „საკმაოდ შეზარხოშებული

იყო[29]". საბჭოთა ლიდერს კარგად ესმოდა გუშინდელ მტერთან დადებული სამეგობრო ხელშეკრულების ალოგიკურობა. სწორედ ამიტომ ერთ მომენტში სარკასტულად განაცხადა, მოდით, ახლად მოვლენილი ანტიკომინტერნისტის – სტალინის სადღეგრძელო შევსვათო[30]. სამაგიეროდ აშკარა გულწრფელობა იგრძნობოდა რიბენტროპისადმი მის გამოსამშვიდობებელ მიმართვაში: „გარწმუნებთ, რომ საბჭოთა კავშირი უაღრესად სერიოზულად აღიქვამს ამ პაქტს. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ იგი არასოდეს უღალატებს თავის ახალ პარტნიორს[31]".

რაც შეეხება ბერგჰოფს, პაქტის ხელმოწერის წინა საათებში იქაური ატმოსფერო კიდევ უფრო დაიძაბა. ჰერბერტ დორინგი იმ ღამით თვალს ადევნებდა, თუ როგორ შეჰყურებდნენ ჰიტლერი და მისი სტუმრები გარშემოჯარულ მთათა მწვერვალებზე დამხობილ დრამატულ ცას. თითქოს ცაც კი აფორიაქებული იყოო, იგონებს იგი. „ცა სისხლისფრად წითელი, რუხ-გოგირდისფერ-ნაცრისფერი, ღამესავით შავი, ყვითლად აჭრელებული იყო. ყველა აფორიაქებული ჩანდა და ყველაფერი იდუმალებით იყო მოცული. მაგარი ნერვები უნდა გქონოდა, რომ არ დამფრთხალიყავი". დორინგის ყურადღება მიიპყრო ჰიტლერის ერთ-ერთი სტუმრის, უნგრელი ქალის შენიშვნამ: „ჩემო ფიურერო, ეს კარგს არაფერს გვიქადის. ეს ნიშნავს სისხლს, სისხლს და კიდევ სისხლს". ჰიტლერი სრულ შოკში იყოო, ამბობს დორინგი. „ლამის კანკალებდა. დაე, რაც მოსახდენია, მოხდესო, თქვა მან. აღგზნებული იყო და შეშლილს ჰგავდა თმაანენილი და შორს მიპყრობილი მზერით. ბოლოს, როცა პაქტის ხელმოწერის სასიამოვნო ამბავი მოვიდა, იგი დაგვემშვიდობა, ზედა სართულისკენ გაემართა და წვეულებაც დასრულდა".

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის „დაძმობილებამ" ბრიტანული საზოგადოების უზომო განცვიფრება გამოიწვია. „ეს გერმანული დიპლომატიის ახალი და გაუგებარი მიმართულებაა", წერდა ერთ-ერთი ბრიტანული გაზეთი. „რა დაემართა *Mein Kampf*-ის პრინციპებს? ანდა რა საერთო უნდა ჰქონდეს რუსეთს გერმანიასთან?[32]".

მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიები ამაოდ ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ ამ ახალი მოვლენის აზრს. ბრიტანელ კომუნისტს ბრაიან პირსს[33] საკმაოდ შეურყია რწმენა ამ სიახლემ: „ჩვენ გვჯეროდა, რომ სტალინი ჭკვიანი, გამჭრიახი კაცი იყო და როცა პაქტის შესახებ შევიტყვეთ, უმრავლესობამ ძნელად აღიქვა ეს ჩახლართული სიტუაცია... ალბათ ამხანაგი სტალინი, ვფიქრობდით ჩვენ, თავისი სადაზვერვო სამსახურის ინფორმაციიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ეს საუკეთესო გზაა საიმისოდ, რათა რუსეთმა თავიდან აიცილოს ის სიტუაცია, რომელშიც დასავლეთის ალიანსი ცდილობს მის მოქცევას".

რაც შეეხება თვით გერმანელებს, ესესელმა ოფიცერმა ჰანს ბერნარდმა[34], მაგალითად, პაქტის ხელმონერის შესახებ იმ დროს შეიტყო, როცა თავის ქვედანაყოფთან ერთად პოლონეთში შეჭრისთვის ემზადებოდა. მისთვის ამ პაქტის დადება „ნამდვილი სიურპრიზი იყო. მისი აზრი არ გვესმოდა... გერმანიაში პროპაგანდა წლების განმავლობაში ჩაგვჩიჩინებდა, რომ ბოლშევიკები ჩვენი მთავარი მტრები იყვნენ". ამიტომ ბერნარდი და მისი თანამებრძოლები ამ ახალ გარიგებას „პოლიტიკური თვალსაზრისით არაბუნებრივად" მიიჩნევდნენ.

მაგრამ პაქტის გაფორმება მოულოდნელი არ ყოფილა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ ჰალიფაქსისთვის. მან ჯერ კიდევ ოთხი თვით ადრე, 3 მაისს გააფრთხილა ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტი სტალინისა და ჰიტლერის მოსალოდნელი გარიგების თაობაზე[35]. როგორც ბრიტანეთის, ასევე საფრანგეთის მთავრობებმა ახლაღა გააცნობიერეს, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მიღწეული შეთანხმება ხელფეხს უხსნიდა ჰიტლერს პოლონეთში შესაჭრელად, რაც მალევე მოხდა კიდეც. 1 სექტემბერს გერმანულმა შენაერთებმა პოლონეთის საზღვარი გადაკვეთეს და ორი დღის შემდეგ, პოლონეთთან დადებული შეთანხმებით ვალდებულმა ბრიტანეთმა გერმანიას ომი გამოუცხადა. მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

გერმანიის პოლონეთში შეჭრას საბჭოთა კავშირის მხრიდან აღმოსავლეთიდან პოლონეთში შესაჭრელად რაიმე მოძრაობა არ მოჰყოლია. შესაბამისად რიბენტროპს აფიქრებდა სტალინის სავარაუდო რეაქცია გერმანელთა მოსალოდნელ, თუნდაც ეპიზოდურ გადაადგილებაზე პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც საბჭოთა კავშირს ესაზღვრებოდა და ახლადმიღწეული შეთანხმების თანახმად საბჭოეთის „გავლენის სფეროდ" ითვლებოდა. მან 3 სექტემბერს დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში გერმანიის ელჩს შულენბურგს: „სამხედრო ინტერესებიდან გამომდინარე, მოგვიწევს შეტევები განვახორციელოთ პოლონელთა იმ საბრძოლო შენაერთებზე, რომლებიც რუსების გავლენის სფეროსადმი მიკუთვნებულ ტერიტორიაზე იმყოფებიან. გთხოვთ სასწრაფოდ განიხილოთ ეს საკითხი მოლოტოვთან და გაარკვიოთ, ხომ არ ინებებს საბჭოთა კავშირი დროულად დაძრას რუსული არმია თავის გავლენის სფეროში მყოფი პოლონეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ და დაიკავოს ეს ტერიტორია. დარწმუნებული ვარ, ეს არა მარტო ჩვენ გაგვიადვილებს საქმეს, არამედ თვით საბჭოელების ინტერესებშიც შედის[36]".

გერმანელების ეს შეთავაზება საბჭოთა ხელისუფლებამ კარგა ხნით უპასუხოდ დატოვა. ჯერ ერთი, სტალინი არასდროს ყოფილა იმპულსური ადამიანი. მეორეც, აქ გასათვალისწინებელი იყო მნიშვნელოვანი საკითხები. მაგალითად, როგორი იქნებოდა ბრიტანელებისა და ფრანგების

რეაქცია პოლონეთში საბჭოელების შეჭრაზე? დასავლეთის ალიანსმა ხომ სულ ახლახან გამოუცხადა ომი გერმანიას იმიტომ, რომ ხელშეკრულება ავალდებულებდა დაეცვა პოლონეთი ყოველგვარი აგრესიისგან. ჰოდა გამოუცხადებდა თუ არა იგი ომს საბჭოთა კავშირსაც აღმოსავლეთ პოლონეთში წითელი არმიის შეჭრის შემთხვევაში? შესაბამისად, ჩაითრევდა თუ არა ნაცისტებთან დადებული „თავდაუსხმელობის" პაქტი საბჭოელებს სწორედ იმ ომში, რომლის თავიდან აცილებასაც მიზნად ისახავდა?

თუმცაღა საომარ მოქმედებათა სასარგებლოდაც არსებობდა მძლავრი არგუმენტები. ამ ანექსიით მიღებული მატერიალური სარგებლის გარდა, საბჭოელების მოტივაციას ძლიერი ისტორიული მიზეზებიც განსაზღვრავდა. პირადად სტალინს მიაჩნდა, რომ პოლონელებთან ძველი ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი. ჯერ კიდევ მწარედ იხსენიებდა იგი 1919–20 წლებში ბოლშევიკების ომს პოლონეთთან (ბევრი ამ ომს შეცდომით საბჭოეთ-პოლონეთის ომს უწოდებს, თუმცა საბჭოთა კავშირი 1922 წელს შეიქმნა და 1924 წელს აღიარა იგი საერთაშორისო საზოგადოებამ). პოლონეთმა მეთვრამეტე საუკუნეში დაკარგული დამოუკიდებლობა პირველი მსოფლიო ომის დასასრულს ვერსალის ზავის საფუძველზე აღიდგინა. მაშინ, როცა პოლონელთა მაშინდელი ლიდერი იოზეფ პოლზუცკი საზღვრების რაც შეიძლება აღმოსავლეთით გადაწევას ცდილობდა, ლენინი პოლონეთში ხედავდა დაბრკოლებას რევოლუციის გავრცელების გზაზე ევროპისაკენ, კერძოდ კი ომისშემდგომი გერმანიისკენ, რომელიც მისი აზრით მომწიფებული იყო მარქსიზმისთვის.

ბოლშევიკებისა და პოლონეთის ომში თავიდან ბოლშევიკებმა იმარჯვეს და მათმა არმიამ 1920 წლის ზაფხულისთვის თითქმის ვარშავას მიაღწია, თუმცა შემდეგ პოლონელებმა მდინარე ნემანთან კონტრშეტევა განახორციელეს და ბოლშევიკები გაანადგურეს. ამრიგად, 1921 წლის მარტში რიგაში ხელმოწერილი ზავის საფუძველზე პოლონეთს დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია მიეკუთვნა. ამ ახალი საზღვრების რატიფიკაცია 1923 წელს მოხდა ვერსალში მოკავშირეთა კონფერენციაზე (ეს უსიამოვნო ისტორია ედო საფუძვლად მოლოტოვის არაეთიკურ გამონათქვამს, რომ პოლონეთი „ვერსალის შეთანხმების უკანონოდშობილი ურჩხული" იყო[37]). საგულისხმოა, რომ პოლონეთთან ბრძოლაში განცდილი მარცხი არა მარტო ბოლშევიკების საერთო სირცხვილი, არამედ მაშინდელი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომისრის პირადი სირცხვილიც იყო. ეს კომისარი კი იოსებ სტალინი გახლდათ. როცა ბოლშევიკური არმიის სარდალმა, მარშალმა ტუხაჩევსკიმ დამატებითი ძალები მოითხოვა, სტალინმა მათი გაგზავნა ვერ უზრუნველყო. 1925 წელს იგი თავისი კარიერის ამ შავი ლაქის მოცილებას კიევის არქივიდან შესაბამისი დოკუმენტების გაქრობით შეეცადა[38].

მაგრამ პოლონელთა მიმართ ძლიერი ანტიპათიის მიუხედავად, 1939 წლის სექტემბერში სტალინი არ აპირებდა ემოციებზე დაყრდნობით ემოქმედა. ამასთანავე მან იცოდა, რომ უმჯობესი იქნებოდა პოლონეთში საბჭოელთა შეჭრის გამამართლებელი პროპაგანდა პოლონეთსა და მის აღმოსავლეთ მეზობლებს შორის ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ კერზონის მიერ 1919 წელს დადგენილ საზღვარს – ე. წ. „კერზონის ხაზს" დაფუძნებოდა. მაშინ ეს საზღვარი ბოლშევიკებმა უარყვეს, მაგრამ როგორც ახლა აღმოჩნდა, იგი თითქმის ემთხვეოდა სტალინისა და მოლოტოვის მიერ რიბენტროპთან ახლახან შეჯერებულ „გავლენის სფეროების" გამყოფ საზღვარს. ამასთან პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში ეთნიკური პოლონელები მოსახლეობის უმრავლესობას არ შეადგენდნენ. აქ მათი რაოდენობა მოსახლეობის 40% იყო, უკრაინელების – 34%, ხოლო ბელორუსების – 9%. საბჭოთა პროპაგანდის თვალსაზრისით, ეს საშუალებას იძლეოდა პოლონეთის ამ ნაწილის ოკუპაცია პოლონელთა ჩაგვრისგან ადგილობრივი მოსახლეობის განთავისუფლებად წარმოეჩინათ.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით უპასუხა 9 სექტემბერს მოლოტოვმა რიბენტროპის მიერ ექვსი დღით ადრე გაგზავნილ დეპეშას. ეს პასუხი იტყობინებოდა წითელი არმიის მზადყოფნას, შესულიყო „საბჭოთა გავლენის სფეროდ" განსაზღვრულ პოლონეთის ნაწილში. მეორე დღეს მოსკოვში გერმანიის ელჩ შულენბურგთან შეხვედრისას მოლოტოვმა მას აცნობა, რომ შეჭრის ოფიციალური საბაბი საბჭოთა კავშირის მხრიდან უკრაინელებისა და ბელორუსებისათვის დახმარების გაწევა იქნებოდა. „ეს არგუმენტი", როგორც მან თქვა, „საჭიროა საბჭოთა ინტერვენციის გასამართლებლად და შესაბამისად საბჭოთა კავშირისათვის აგრესორის იარლიყის ასაცილებლად[39]".

საბჭოელების შეჭრა პოლონეთში

17 სექტემბერს მარშალ კოვალიოვის ბელორუსიის ფრონტისა და მარშალ ტიმოშენკოს უკრაინული ფრონტისაგან შემდგარმა ექვსასიათასიანმა საბჭოთა კონტიგენტმა პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვარი გადაკვეთა. იმავე დღეს რადიოში სიტყვით გამოსვლისას მოლოტოვმა საბჭოთა ინტერვენცია ადრე შულენბურგისადმი გამხელილი „სარწმუნო" არგუმენტით ახსნა, განაცხადა რა, რომ ეს სამხედრო ოპერაცია საჭიროა აღმოსავლეთ პოლონეთში მცხოვრები ჩვენი „ღვიძლი ძმების" გადასარჩენადო. ამ ოპერაციის ჩაუტარებლობა მათი მიტოვების ტოლფასი იქნებოდაო, ამტკიცებდა მოლოტოვი.

„ჩვენ ოფიციალურად გავუწოდეთ მეგობრობის ხელი ჩვენს ბელორუს და უკრაინელ ძმებს", გვიამბობს იმ სექტემბერს პოლონეთში შეჭრილი ერთ-ერთი საბჭოთა ჯარისკაცი გიორგი დრაგუნოვი[40]. „ჩვენი სამხედრო პრესა და პოლიტკომისრები მუდმივად ჩაგვჩიჩინებდნენ, რომ პოლონეთის მუშათა კლასს ჩვენი დახმარება სჭირდებოდა, რადგან მას პოლონური ბურჟუაზია უნევდა ექსპლოატაციას". თავიდან წითელ არმიას ბევრგან სიხარულით ხვდებოდნენ. ერთგვარი დაბნეულობაც კი არსებობდა იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ეს სამხედრო მარში საერთოდ ოკუპაცია. „იქნებ საბჭოელები მართლა ჩვენს დასახმარებლად არიან მოსული?", ფიქრობდა ზოგიერთი პოლონელი, „იქნებ მათ აღმოსავლეთ პოლონეთის ვაკე რელიეფი თავიანთი ტექნიკის გადასაადგილებლად სჭირდებათ, რათა დასავლეთ პოლონეთში შემოჭრილ გერმანელებს შეებრძოლონ?"

ბოგუსლავა გრივინის[41] ოჯახი იმ დროს ლვოვში ცხოვრობდა, რომელიც მაშინდელი პოლონეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი იყო[42]. ისინი წარმოშობით უკრაინელები იყვნენ და შესაბამისად საბჭოელების ნაკლებად ეშინოდათ. „ხალხი მათ [ჯარისკაცებს] ხელის ქნევით ესალმებოდა", გვიამბობს ბოგუსლავა. „ზოგი მათ ყვავილებით და ლურჯ-ყვითელი [უკრაინული] დროშებითაც კი ეგებებოდა... ისინი [წითელარმიელები] თავიანთი ტანკების ხუფებს აღებდნენ და იქიდან ულიმოდნენ მოსახლეობას... ცუდს არაფერს ველოდით... როცა დედაჩემმა თქვა, გავიქცეთო, მამამ უპასუხა, არა, ესენი 1919 წლის დროინდელი ბოლშევიკები აღარ არიან, მათ ოც წელიწადში განავითარეს კულტურა, აქვთ სახელმწიფოებრიობა და სასამართლო სისტემაო. ამგვარად ის იმედოვნებდა, რომ ბანდიტებთან არ გვექნებოდა საქმე".

„როცა 1939 წელს წითელი არმია შემოვიდა, ხალხი და მათ შორის მეც სიძულვილს არ ვგრძნობდით მათ მიმართ, მაგრამ არც სიყვარული გვამოძრავებდა", გვიამბობს მაშინდელი სკოლის მოსწავლე ზენონ ვრუბლევსკი[43]. „ხალხი მართლაც ორად იყო გაყოფილი. იცით, ჩვენ რამდენიმე

ოჯახი ვცხოვრობდით ერთ სართულზე. ზოგი კმაყოფილი იყო მათი [წითელი არმიის] შემოსვლით, სხვები კი ამბობდნენ: მოიცადეთ, გიჩვენებენ სეირს, ციმბირი დიდია, ყველას იქ გიკრავენ თავსო. მე კი მათ მიმართ არავითარი ემოციები არ გამაჩნდა. ისინი მივიღე როგორც ახალი არმია, ახალი მთავრობა და ახალი ხელისუფლება".

პოლონეთის მთავრობამ საკუთარ არმიას უბრძანა, უკან დაეხია და წინააღმდეგობა არ გაეწია საბჭოელებისთვის, თუმცაღა რამდენიმე შეტაკება მაინც მოხდა, განსაკუთრებით გროდნოსთან. პოლონეთის ხელისუფლება მალევე მიხვდა, რომ წითელი არმია „დასახმარებლად" როდი იყო მოსული. ამასთანავე პოლონელებმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ გერმანელთა და საბჭოელთა ერთდროულ აგრესიასთან გამკლავების შანსი არ ჰქონდათ. როგორც გაირკვა, ეს მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში მძლავრი მეზობლების მიერ პოლონეთის შთანთქმის ანალოგიური კატასტროფა იყო.

მაგრამ იმ სექტემბერს პოლონეთში მარშით შესული წითელი არმია ნაკლებ ჩამოჰგავდა ძლევამოსილ სამხედრო ძალას. სინამდვილეში ეს აქოთებული არმია იყო. „სუნი, რომელიც მათ ასდიოდათ", ამბობს ზენონ ვრუბლევსკი, „იმ დეზიფექტანტის სუნს ჰგავდა, ჩვენთან საზოგადოებრივ ტუალეტებში რომ იყენებდნენ". ლვოვის სხვა მცხოვრები ანა ლევიცკაც[44] იგივეს ადასტურებს: „უცნაური სუნი ასდიოდათ, თავისებური, მძაფრი". ბევრმა ადგილობრივმა მცხოვრებმა შენიშნა მკვეთრი კონტრასტი ელეგანტურ და „კარგად ჩაცმულ-მოწესრიგებულ" პოლონელ ჯარისკაცებსა და იმ აყროლებულ და ჩამოძონძილ სამხედროებს შორის, რომლებიც ახლა დაეპატრონენ მათ ქალაქებსა და სოფლებს. „ბევრი დასცინოდა მათ", ამბობს ზენონ ვრუბლევსკი, „შეხედეთ, რა აცვიათ! შეხედეთ, მათხოვრებს როგორ გვანანო".

„რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო ვამჩნევდით [პოლონელი] ხალხის უკეთეს ცხოვრებას", ამბობს გიორგი დრაგუნოვი, რომელიც გაოცებული იყო კომუნისტური საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური პოლონეთის ცხოვრების დონის განსხვავებით. „ვხედავდით საუცხოოდ გაწყობილ სახლებს, მათ შორის გლეხების სახლებსაც. მათგან ყველაზე ღარიბიც კი ჩვენზე უკეთესად ცხოვრობდა. მათი ავეჯი პრიალებდა. მხოლოდ მოგვიანებით შემოვიდა ჩვენში ასეთი ავეჯი. ყველაზე ღარიბ [პოლონელ] გლეხსაც კი ჰყავდა სულ ცოტა ორი ცხენი, სამი-ოთხი ძროხა და უამრავი ფრინველი. ჩვენთვის ეს მოულოდნელი იყო, რადგან ჩვენი პროპაგანდა სანინააღმდეგოს ამტკიცებდა. იქ გლეხების სახლებიც კი ელექტროფიცირებული იყო მაშინ, როცა საბჭოთა ბელორუსიაში საერთოდ არ გვქონდა ელექტრობა".

პოლონელი გოგონა ვიესლავა სატერნისი, რომელიც თავის ოჯახთან ერთად უკრაინის საზღვართან ცხოვრობდა, გააოცა საბჭოთა ჯარის-

კაცების როგორც ჩაცმულობამ, ასევე ქცევამ: „რუსმა ჯარისკაცმა მინდორი გადმოირბინა და დაგვიყვირა, რაიმე საჭმელი მომეცითო. შემდეგ სახლში შემოვიდა; ძალიან ცუდად ეცვა და იარაღი თოკით ეკიდა. დედამ თქვა, მივცეთ ცოტა საჭმელიო... [შემდეგ] ამ რუსმა ჯარისკაცმა მაგიდიდან საათი აიღო და დაუკითხავად ჩაიდო ჯიბეში, თანაც კვლავ გაჰყვიროდა, საჭმელი მომეცითო. დედაჩემმა ბლომად საჭმელი მისცა, რომელიც ლაბადის ჯიბეებში ჩაიტენა“.

ოდესღაც ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ერთ-ერთ ულამაზეს და კულტურულ ქალაქ ლვოვში საბჭოთა კავშირიდან 1939 წელს ჩასულ ბევრ დამპყრობელს თავი ზღაპრულ სამყაროში ეგონა. ბევრი რამ მათთვის უცხო იყო. ანა ლევიცკამ ნახა, რომ წითელი არმიის ოფიცრის ცოლს სადღაც ნაშოვნი ღამის პერანგი დღისით-მზისით ქუჩაში ეცვა, თანაც მშვენიერ კაბას უწოდებდა; იმავე ქალმა მაღაზიაში ღამის ქოთანი შეიძინა, რომელზეც ამბობდა, მშვენიერი თასიაო. ხშირად ხდებოდა, რომ წითელი არმიის ჯარისკაცები ქალის ლიფებს ქუჩაში ყურების დასათბობად იყენებდნენ.

რა გასაკვირია, რომ ბევრი საბჭოელი შეცბუნებული იყო ამ ბურჟუაზიული ფუფუნებით და ურცხვად ცრუობდა, ჩვენი ქვეყანა უფრო მდიდარია და იქ ყველაფერი იშოვებაო. მაგრამ ხალხს მათი სიცრუის არ სჯეროდა და ხშირად მასხრად იგდებდა. ერთ ასეთ ეპიზოდს შეესწრო ლვოვის ცენტრში ზენონ ვრუბლევსკი, როდესაც ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა წითელარმიელებს ჰკითხა, ამხანაგებო, თქვენს ქვეყანაში ტიფი თუ იშოვებაო. ჯარისკაცებმა ფიცხლად უპასუხეს, რა თქმა უნდა, იშოვება, თანაც უამრავიო. ახლა აქაც ჩამოგვივა ტიფით დატვირთული ორი მატარებელიო. ხალხს სიცილი აუტყდა. ჯარისკაცები მიხვდნენ, რომ რაღაც სისულელე წამოროშეს და იქაურობას გაეცალნენ.

ანა ლევიცკაც შეესწრო მსგავს საუბარს დედამისსა და წითელი არმიის ოფიცერს შორის: „ამ ოფიცერმა თქვა, აქ ყველაფერი ბურჟუებს ეკუთვნით და უბრალო ხალხი არაფრისმქონეა, ჩვენს ქვეყანაში – საბჭოთა კავშირში კი ყველაფერი მშრომელებს ეკუთვნითო. ყველაფერი უხვად გვაქვს. ჩვენთან ფორთოხალი ქარხანაში მზადდება და შეგიძლია, რამდენიც გინდა იმდენი შეიძინო. ასევეა ხიზილალაც. მას ყველგან ვაგზავნით და მალე აქაც შემოვა... ჩვენს ქვეყანაში ყველაფერს – ფორთოხალს, მანდარინს, ხიზილალას – ქარხნული წესით ვამზადებთ. ამიტომ ყველას შეუძლია მათი შეძენაო. ძალაუნებურად გვეცინებოდა. განა შესაძლებელია ამ პროდუქტების ქარხანაში დამზადება?!“

მაგრამ მალევე იჩინა თავი საბჭოთა ოკუპაციის ბნელმა მხარეებმა, ჩვეულებრივი ქურდობით დაწყებული, როცა საბჭოთა ჯარისკაცები გამვლელებს უბრალოდ სტაცებდნენ სამკაულებს, და უფრო მძიმე დანაშაულით დამთავრებული. ანა ლევიცკას ნაცნობი ორი მოსწავლე გოგონა წითელი

არმიის ოფიცრებმა გააუპატიურეს: „ისინი ცახცახებდნენ და ტიროდნენ, ამ ამბავს რომ მიყვებოდნენ. გაოგნებული იყვნენ და მეც გავოგნდი, როცა ამის შესახებ მიამბეს“.

ქურდობა და გაუპატიურება წითელარმიელთა ყოველდღიური დანაშაული იყო, თუმცა ოკუპაციის დასაწყისშივე იგრძნობოდა, რომ საბჭოელებს განზრახული ჰქონდათ მთლიანად გაეძარცვათ პოლონეთი – გაეძარცვათ ქონება, გაეძარცვათ ხალხი, გაეძარცვათ იდეები... მისდევდა რა მარქსისტული „თანასწორობის“ თეორიას, საბჭოთა ხელისუფლებამ ტრადიციული ღირებულებები ამოაყირავა: მდიდრად ყოფნა უკვე პრესტიჟული კი არა, საშიში მდგომარეობა გახდა. მაშინ, როცა ადრე მიღებული იყო ლვოვის ოპერის მოჩუქურთმებული შენობის ახლო ბულვარში კოხტად გამოწყობილა გესეირნა, ახლა ეს „ბურჟუაზიულ“ ქცევად ითვლებოდა და ამის გამო შეიძლება დაეპატიმრებინეთ კიდეც. ხშირად დავიწყებას ეძლევა ის ფაქტი, რომ 1939 წელს, ნაცისტების მიერ დასავლეთ პოლონეთის ოკუპაციის მსგავსად, საბჭოელების მიერ აღმოსავლეთ პოლონეთის ოკუპაციის მამოძრავებელი ძალაც იდეოლოგია იყო.

ლვოვისა და აღმოსავლეთ პოლონეთის სხვა ქალაქებისა და დაბების მაღაზიები მალევე დაცარიელდა, რადგან საბჭოთა ხელისუფლებამ ოკუპაციის პირველ დღეებშივე გამონახა ძარცვის ნოვატორული გზა. მან საბჭოთა მანეთის კურსი ერთი ერთზე შეუფარდა პოლონურ ზლოტს, მაშინ, როცა ზლოტი რეალურად ბევრად უფრო მეტი ღირდა. ეს ნიშნავდა, რომ საბჭოთა არმიის ჯარისკაცებს შეეძლოთ მუქთად „ეყიდათ“ მაღაზიაში ყველაფერი, რაც მოესურვებოდათ. შედეგად, რასაკვირველია, ზლოტი გაუფასურდა. ბოგუსლავა გრივინი მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ კატასტროფულად იმოქმედა ამ გაუფასურებამ მის მეზობელზე, რომელიც ლვოვის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის ლათინური და ბერძნული ენების მასწავლებელი იყო: „სახელმწიფო მოსამსახურეებს მაღალი ხელფასი ჰქონდათ და ჩემს მეზობელს ბანკის ანგარიშზე დიდი თანხა ერიცხებოდა. ომის დაწყებისთანავე იგი იძულებული გახდა ფული ბანკიდან გამოეტანა და სახლში შეენახა... ერთ დღეს ჩვენთან (მისი ძმისწული) შემოვიდა და გვითხრა, დღეს ცეცხლი გავაჩაღეთ, ბიძაჩემმა ფულები დაწვაო. გამოუტანია იმ კაცს თავისი ჩემოდანი, იღებდა იქიდან ბანკნოტების დასტას, ცეცხლში ისროდა და იძახდა, ეს არის ჩემი ოცდაათი წლის ნაშრომი, ეს არის ჩემი დანაზოგიო. იმ ფულს უკვე უბრალო ქაღალდის ფასი ჰქონდა“. მალე საბანკო და ფასიანი ქაღალდების დახვეწილ სისტემა პრიმიტიული ბარტერული ეკონომიკა ჩაენაცვლა. ხალხი იძულებული გახდა „ბეწვის ქურქი სამ-ხუთ ლიტრ ბენზინზე“ ან „სვიტერი ერთ კალათა კარტოფილზე“ გადაეცვალა.

საბჭოელებმა არა მხოლოდ არსებული ფულადი სისტემა მოშალეს, არამედ კერძო თუ პირადი საკუთრების მცნებაც მთლიანად წაშალეს. საცხოვრებლის საძებნელად გამოსული წითელარმიელები უბრალოდ დაუყვებოდნენ ქუჩას და რომელი სახლიც მოეწონებოდათ, კარზე აბრახუნებდნენ და პატრონებს უცხადებდნენ, აქ ჩვენ უნდა ვიცხოვროთო. ანა ლევიცკამ და მისმა ოჯახმა ლვოვის გარეუბანში მდებარე მათი კომფორტული ვილის გასხვისების შესახებ მაშინღა შეიტყვეს, როცა პარმაღზე ორი საბჭოთა ოფიცერი გამოჩნდა და განუცხადეს, თქვენი მდგმურები ვართო. ამის შემდეგ ორ-ორი ოთახი დაიკავეს და ცოლებთან ერთად შესახლდნენ. „წაიღეს ავეჯი და სხვა ნივთები", გვიამბობს ანა ლევიცკა. „ყველაფერს ისინი დაეპატრონენ... ეს იყო ხუთოთახიანი სახლი, რომლის ოთხი ოთახიც მათ დაიკავეს... ტანსაცმელიც კი წაგვართვეს; ეს კაბა ჩემს ცოლს მოუხდებაო, გვეუბნებდნენ ისინი".

ანა და მისი მშობლები მანამდე ბედნიერად ცხოვრობდნენ იმ სახლში, ახლა კი ერთ ოთახში იყვნენ შეყუჟულნი: „იცით, ამ ყველაფერმა გაგვაოგნა. ვერ წარმოგვედგინა, რომ ამ უცხო ადამიანებს, რომლებიც ჩვენი ნათესავებიც კი არ იყვნენ, შეეძლოთ ასე წაერთმიათ ჩვენთვის სახლი, ავეჯი, მთელი ქონება და ყველაფერი ეს ნორმალურ საქციელად მიეჩნიათ... თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ეს უაღრესად აღმაშფოთებელი იყო. უფრო მეტიც, გვტანჯავდა იმის ფიქრი, რომ ხვალ შეეძლოთ ეთქვათ, აბა, მოუსვით აქედან, აქ არაფერი გესაქმებათო".

ანა ლევიცკას ოჯახის მსგავსი ე. წ. „ბურჟუაზიული" ინტელიგენცია მუდმივი რისკის წინაშე იყო. საბჭოთა არმიამ პოლონეთში შესვლისთანავე პროკლამაციები გაავრცელა, სადაც მოსახლეობას მოუწოდებდა, ებრძოლა მისი ე.წ. „ნამდვილი" მტრების – მდიდრების, მიწათმფლობელებისა და ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ოკუპაცია მიზნად ისახავდა პოლონეთის სოციალური სტრუქტურისა და წყობილების შეცვლას. „მათ ჩაგვამწკრივეს და ყველას ხელები შეგვიმოწმეს", იგონებდა ერთი პოლონელი გლეხი. „შემდეგ მათ, ვისაც ხელებზე ფიზიკური მუშაობის კვალი არ ემჩნეოდა, მწკრივიდან გასვლა უბრძანეს და თოფის კონდახებით სცემეს, ერთი პოლიციელი კი დახვრიტეს"[45].

კომუნისტური სისტემის „კლასობრივი მტრების" ყოველდღიური ლანძღვა მალევე ყოველდღიურ დაპატიმრებაში გადაიზარდა. 27 სექტემბერს, ოკუპაციის დაწყებიდან ზუსტად ათი დღის თავზე, საბჭოელებმა ბოგუსლავა გრივინის მამასაც მიაკითხეს. იგი ცნობილი ადვოკატი და უკრაინული ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის (უნდპ) რეგიონალური განყოფილების ხელმძღვანელი იყო. რაკი უნდპ ოფიციალურად რეგისტრირებული ლეგალური ორგანიზაცია იყო, იგი ფიქრობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების შიში არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ თურმე ცდებოდა.

ის დღე რელიგიური უქმე დღე იყო, ამიტომ როდესაც კარზე კაკუნი გაიგონეს და კარი გააღეს, გრივინების ოჯახს გაუკვირდა ადგილობრივი საბჭოთა წარმომადგენლის დანახვა. მან განუცხადათ, რომ ბოგუსლავას მამას ადგილობრივ სამმართველოში იბარებდნენ. დღეს უქმეა და სადილისთვის ვემზადებით, იქნებ სადილის შემდეგ მოსულიყავით და წაგეყვანათო, უთხრა ბოგუსლავას დედამ. ბოგუსლავამ მამამისს ნერვიულობა შეატყო, როცა ცოლს უთხრა, როგორც მოითხოვენ, ისე უნდა მოვიქცეთო. „როგორც კი მამა წაიყვანეს", იგონებს ბოგუსლავა, „დედაჩემმა გვითხრა, ყოველ საღამოს ხატის წინაშე დაჩოქილებმა უნდა ვილოცოთ და უფალს შევთხოვოთ, რომ მშვიდობიანად დაგვიბრუნდესო. ერთადერთი, რაც შეგვეძლო, ღმერთს უნდა შეევედრებოდით, რომ არ დაესაჯათ ისეთი კარგი, კეთილი ადამიანი, როგორიც მამაჩემი იყო". ბოგუსლავა გრივინის მამა საბჭოთა რეჟიმის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იყო აღმოსავლეთ პოლონეთში. მომდევნო თვეებში კი ასეთ მსხვერპლთა რაოდენობას მკვეთრი ზრდა ელოდა.

რიბენტროპის დაბრუნება

პოლონეთში ბოგუსლავა გრივინის მამის დაპატიმრების დღეს მოსკოვში სულ სხვა ტიპის ადამიანური ურთიერთობა ვითარდებოდა. პოლონეთის ელვისებური ოკუპაციის განხორციელებისთანავე საბჭოთა მთავრობამ თავის ახალ მეგობარს იოახიმ ფონ რიბენტროპს კვლავ კრემლში მოუხმო საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ახალი საზღვრების დასაზუსტებლად. ორივე მხარის განწყობა საზეიმო იყო. საბჭოელებმა რაიმე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს თავიანთი „გავლენის სფერო" – მათ ფორმალურად ომიც კი არ გამოუცხადებიათ პოლონეთისთვის. თავის მხრივ, მიუხედავად პოლონელთა გააფთრებული წინააღმდეგობისა, გერმანელებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს დასავლეთ პოლონეთი და სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ მეორე დღეს – 28 სექტემბერს ვარშავასაც აიღებდნენ.

მკვეთრი განსხვავება შეიმჩნეოდა რიბენტროპის პირველ, ლამის ფარულ და მეორე, პომპეზურ ვიზიტს შორის. მას ახლა უკვე არა ერთი, არამედ ორი კონდორის მარკის თვითმფრინავი დასჭირდა მრავალრიცხოვან ამალასთან ერთად მოსკოვში ჩასასვლელად. მისი ერთ-ერთი თანმხლების გენერალ კიოსტრინგის გადმოცემით, მოსკოვის აეროპორტში მათ „გრანდიოზული დახვედრა[46]" მოუწყვეს საპატიო ყარაულითა და ორკესტრით, რომელმაც „ინტერნაციონალი" შეასრულა. აეროპორტის თავზე რამდენიმე ნაცისტური დროშა ფრიალებდა. იმ ფაქტმა კი, რომ დროშებზე სვას-

ტიკა უკულმა იყო გამოსახული, ნაცისტებში მხოლოდ „ღიმილი“ გამოიწვია როგორც „პატარა შეცდომამ“, რადგან იგრძნეს, რომ მთლიანად „განწყობა შესანიშნავი იყო“.

რიბენტროპი მოსკოვში საღამოს ექვს საათზე ჩაფრინდა და სტალინს და მოლოტოვს ათ საათზე ნაცნობ ადგილზე – მოლოტოვის კაბინეტში შეხვდა. სტალინმა „კმაყოფილება გამოხატა[47]“ გერმანელების წარმატებებით და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თანამშრომლობა კვლავაც განვითარდებოდა. შემდეგ რიბენტროპმა ჩვეულებისამებრ მაღალფარდოვნად და ბუნდოვნად ილაპარაკა ორი ქვეყნის მეგობრობის უზარმაზარ მნიშვნელობაზე. მან ხაზი გაუსვა, რომ გერმანელებს საბჭოთა კავშირთან „თანამშრომლობა“ სურდათ, მაგრამ ეს იმდენად გაურკვეველად და ზოგადად იყო ნათქვამი, რომ შეუძლებელი იყო ამ „თანამშრომლობის“ კონკრეტული მიმართულებების გარკვევა. სტალინმა, რომელიც უცხოელ დიპლომატებს ყოველთვის ხიბლავდა ნებისმიერი დისკუსიის არსში წვდომის უნარით, თავის მხრივ აღნიშნა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელიკატურად მიგვანიშნა, რომ ამ „თანამშრომლობაში“ გერმანია არ გულისხმობს სამხედრო დახმარებას ან რაიმე ომში საბჭოთა კავშირის ჩათრევის მცდელობას, ეს გასაგებად და ტაქტიანად ითქვაო.

ამის შემდეგ საბჭოთა ლიდერმა საკუთარი იდეოლოგიური მრწამსის საწინააღმდეგო ერთობ უჩვეულო განცხადება გააჟღერა (მისი ეს სიტყვები საზოგადოებისთვის უცნობი იყო 90-იან წლებამდე, ვიდრე ელჩ შულენბურგის საქაღალდეში არ აღმოაჩინეს)[48]: ფაქტია, რომ ამჟამად გერმანიას საგარეო დახმარება არ სჭირდება და შესაძლოა არც მომავალში დაჭირდეს. მაგრამ თუკი შემთხვევით გერმანია მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდება, მაშინ მას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ საბჭოთა ხალხი მოვა გერმანიის დასახმარებლად და არავის დაჩაგვრინებს მას. ძლიერი გერმანია საბჭოთა კავშირის ინტერესებში შედის და იგი არ დაუშვებს მის დაცემასო.

უშვებდა თუ არა მართლაც სტალინი წითელი არმიის მიერ გერმანიისადმი სამხედრო დახმარების შესაძლებლობას, თუ ოდესმე ნაცისტები „მძიმე სიტუაციაში“ აღმოჩნდებოდნენ? დასავლეთის ალიანსისთვის ეს საშინელი პერსპექტივა იქნებოდა. რასაკვირველია, სინამდვილეში სტალინის სიტყვებს ახდომა არ ეწერა. გერმანიას არ გასჭირვებია ისე, რომ საბჭოელებთან სამხედრო ალიანსზე ეფიქრა. მაგრამ სტალინის ეს განცხადება იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად შორს შეიძლებოდა წასულიყო იგი ჰიტლერთან ალიანსის შესანარჩუნებლად. იმის გათვალისწინებით, რაც შემდგომში მოხდა, ეს სიტყვები სტალინის ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინო გამოსვლად შეიძლება მივიჩნიოთ.

შემდეგ სტალინი პრაქტიკულ საკითხებზე გადავიდა და გაამხილა, რომ სურდა 23 აგვისტოს შეხვედრაზე შეთანხმებული საზღვრების გადახედვა, კერძოდ, საბჭოლების მიერ უკვე ოკუპირებული პოლონეთის ზოგიერთი რეგიონის – ლუბლინის ტერიტორიის და ვარშავის რეგიონის სამხრეთ ნაწილის ლიტვაზე გადაცვლა. საბჭოთა კავშირი აღმოსავლეთ პოლონეთის უპირატესად რუსებითა და უკრაინელებით დასახლებულ ტერიტორიებს მიიერთებდა და უპირატესად ეთნიკური პოლონელებით დასახლებულ რეგიონებს დათმობდა. ამ თემაზე დისკუსია მეტად პრაგმატული სულისკვეთებით წარიმართა. რიბენტროპმა განაცხადა, რომ გერმანიის სურვილი იყო, დაპატრონებოდა აღმოსავლეთ პრუსიასთან ახლომდებარე ავგუსტოვას ტყეს (როგორც ჩანს იმიტომ, რომ ეს ტყე საუცხოო სანადირო ადგილი იყო), ხოლო სტალინმა გაამხილა, რომ საბჭოელები გეგმავდნენ ბალტიისპირეთის ყველა სახელმწიფო საბჭოური სისტემისთვის დაემორჩილებინათ.

იმ ღამით მდიდრული ბანკეტი გაიმართა კრემლის წმ. ანდრიას დარბაზში. მოლოტოვის კაბინეტის ღარიბული უტილიტარიზმისგან განსხვავებით, საბანკეტო დარბაზი „ყვავილებით მორთული და მდიდრული ფაიფურითა და მოოქრული დანა-ჩანგლით[49]“ იყო გაწყობილი. ამ ცარისტულ ფუფუნებაში რიბენტროპის მრავალრიცხოვანი ამალა კომუნისტურ ელიტასთან ერთად თავს შინაურულად გრძნობდა. სტალინმა რიბენტროპს შინსახკომის შეფი ლავრენტი ბერია წარუდგინა შემდეგი საყურადღებო სიტყვებით: „გაიცანით, ეს ჩვენი ჰიმლერია – ცუდი არც ესაა [თავის საქმეში][50]“. ატმოსფერო მეგობრული იყო და ბევრი ალკოჰოლური სასმელი დაილია. „დამსწრე საზოგადოების, საუცხოო მასპინძლობისა და თბილი ატმოსფეროს გამო ეს ბანკეტი იყო ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ღონისძიება, რაც კი ჩემს ცხოვრებაში მინახავს[51]“, იგონებს გერმანელი დიპლომატი ანდორ ჰენკე. სტალინი მთელ საბანკეტო დარბაზში მიდი-მოდიოდა და გერმანული დელეგაციის თითოეულ წევრს ცალ-ცალკე ადღეგრძელებდა. მოლოტოვი კი წამდაუწუმ სტალინს ადღეგრძელებდა როგორც „საბჭოთა კავშირის დიდ ბელადს და გერმანულ-რუსული მეგობრობის სულისჩამდგმელს“. სტალინი მოლოტოვის მლიქვნელობაზე ასე ხუმრობით რეაგირებდა, თუ მოლოტოვს დალევა უნდა, რა მენაღვლება, დალიოს, ოღონდ საბაბად მე ნუ მიყენებსო[52].

გერმანელი დიპლომატი გუსტავ ჰილგერი მაგიდასთან ბერიას გვერდით დასვეს. საბჭოთა საიდუმლო პოლიციის შეფი – დაბალი, მელოტი და გულცივი – სასიამოვნო თანამეინახე არ გამოდგა. ჰილგერი შემდგომში იხსენებდა, თუ როგორ აძალებდა ბერია მას სასმელს. საპირისპირო მხარეს მჯდომმა სტალინმა მათ კამათს ყური მოჰკრა და იკითხა, რაშია საქმეო. როცა ჰილგერმა მიზეზი აუხსნა, სტალინმა უთხრა, კეთილი, თუ დალევა

არ გსურთ, ვერავინ დაგაძალებთო. თვით შინსახკომის შეფიც კიო, იკითხა ხუმრობით ჰილგერმა. აქ, ამ სუფრასთან, უთხრა სტალინმა, შინსახკომის შეფსაც კი არა აქვს უპირატესი უფლებაო[53].

მოლოტოვმა რიბენტროპის სადღეგრძელო წარმოთქვა: „გაუმარჯოს ჩვენს სტუმარს, რომლის ჩამოსვლამაც ასეთი ბედნიერება მოგვანიჭა! ვაშა გერმანიას, მის ფიურერს და მის საგარეო საქმეთა მინისტრს!"

„კვლავ მომიჯნავე მეზობლებად ყოფნა", თქვა რიბენტროპმა პასუხად, „როგორებიც გერმანია და რუსეთი მრავალი საუკუნის განმავლობაში იყვნენ, ამ ორი ქვეყნის მეგობრობის საიმედო საძირკველია. ჩვენს სისტემებს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, ფიურერი სავსებით შესაძლებლად მიიჩნევს ამ მეგობრობის გაღრმავებას. ამ განწყობით გთავაზობთ ამხანაგი სტალინისა და ამხანაგი მოლოტოვის სადღეგრძელოს, რომლებმაც ასეთი გულითადი მასპინძლობა გაგვიწიეს[54]".

ბანკეტის შემდეგ გერმანელთა დელეგაცია მოსკოვის დიდ თეატრში ბალეტის „გედების ტბის" სანახავად გაემართა, სტალინი და მოლოტოვი კი დაუყოვნებლივ შეუდგნენ ბალტიისპირეთის ქვეყნების ლიდერთა დამუშავების პროცესს. კრემლში მათ უკვე ელოდებოდათ ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც მოლოტოვმა აცნობა, რომ მის ქვეყანაში ოცდათხუთმეტათასიანი საბჭოთა სამხედრო გარნიზონი უნდა განთავსებულიყო. „კარგი რა, მოლოტოვ", უთხრა სტალინმა, „ნუ ხარ ასეთი ბოროტი ჩვენი მეგობრების მიმართ". ამის შემდეგ საბჭოთა ლიდერმა მათ გარნიზონის ჯარისკაცთა რაოდენობის ოცდახუთ ათასამდე შემცირება შესთავაზა[55].

დილით ადრე გერმანელთა და საბჭოელთა დელეგაციები კვლავ შეიკრიბნენ და ჰიტლერთან სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ შეთანხმების დეტალები დაააზუსტეს. მერე შემოიტანეს რუკა, რომელზეც სტალინმა უზარმაზარი ასოებით მოაწერა ხელი და თან იხუმრა, ახლა ხომ კარგად ჩანს ჩემი ხელმოწერაო[56].

კრემლში ამ მოლაპარაკებების ბევრი მონაწილისთვის ეს ახალი მსოფლიო წესრიგის დასაწყისს ნიშნავდა. „დარწმუნებული ვიყავი", წერდა ჰილგერი, „რომ ამ ორი სერიოზული ხელშეკრულებით გამყარებული გერმანია-საბჭოეთის მეგობრობა ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა და დიდხანს გაგრძელდებოდა[57]". თუმცა ნაკლებსავარაუდოა, რომ სტალინს ამ გარიგების გრძელვადიანობაზე ეფიქრა. სინამდვილეში იგი ამ პაქტს აღიქვამდა როგორც გერმანიასა და დასავლეთის ალიანსს შორის გაჩაღებული ომის თავიდან აცილების საშუალებას. ცნობილია, რომ 19 აგვისტოს პოლიტბიუროს სხდომაზე მან თქვა, საბჭოთა კავშირმა ყველაფერი უნდა იღონოს ამ ომის გასაჭიანურებლად და დასავლეთის ქვეყნების დასასუსტებლადო[58]. თავდაუსხმელობის ეს პაქტიც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების შედარებით დაბალ ფენებში სულ უფრო მეტად სჯეროდათ, რომ ეს შეთანხმება სასარგებლო გამოდგებოდა. საზღვრების შეთანხმებიდან ორიოდე დღეში ოკუპირებულ პოლონეთში განლაგებული ერთ-ერთი საბჭოთა სამხედრო ნაწილის მეთაურმა ტიულენევმა ასეთი „ლექცია წაუკითხა“ პოლონელ გენერალ ანდერსს: „გერმანიასთან მეგობრობის პაქტი რუსებს და გერმანელებს მსოფლიოს ბატონ-პატრონებად გვაქცევს. ეს ორი ხალხი ერთად გაანადგურებს საბჭოთა კავშირის უდიდეს მტრებს ფრანგებს და ბრიტანელებს“. ანდერსის გადმოცემით, შემდეგ ტიულენევმა დასძინა: „არა გვგონია შეერთებული შტატები ამ ომში ჩაერიოს, რადგან ამის თავიდან ასაცილებლად მათივე კომუნისტურ ორგანიზაციებს გამოვიყენებთ[59]“.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მართალია იგი ახლო მომავალში კონფლიქტში სამხედრო ჩარევას არ გეგმავდა, მაგრამ ნათელი იყო, თუ ვის ემხრობოდა პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი. აგვისტოს შუა რიცხვებში მან საბჭოთა ელჩს კონსტანტინ უმანსკის განუცხადა, საკუთარი მომავლის საკეთილდღეოდ საბჭოთა კავშირმა შეთანხმებას ბრიტანეთთან და საფრანგეთთან უნდა მიაღწიოს და არა ნაცისტურ გერმანიასთანო. უფრო მეტიც, ელჩის პირით ოფიციალურად შეუთვალეს სტალინს, რომ „თუ მისი მთავრობა ჰიტლერთან დაიჭერს საქმეს, მაშინ დღესავით ნათელი გახდება, რომ ჰიტლერი საფრანგეთის ოკუპაციისთანავე რუსეთს შემოუბრუნდება და მისი დაპყრობის ჯერი დადგება[60]“.

რუზველტს თავისი დიდი პოლიტიკური ალღო კარნახობდა, რომ ჰიტლერის ნდობა არ შეიძლებოდა. მაგრამ 1939 წლის სექტემბერში საბჭოთა ხელმძღვანელობა უდავოდ ფიქრობდა, რომ ამერიკის პრეზიდენტის ეს შემაშფოთებელი წინასწარმეტყველება პროვოკაცია იყო. მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა – მოსალოდნელზე უფრო კარგადაც. საბჭოელები განსაკუთრებით ფრთაშესხმულნი იყვნენ, რადგან არ გამართლდა მათი შიში, რომ პოლონეთში წითელი არმიის შეჭრის გამო ბრიტანეთი და საფრანგეთი ომს გამოუცხადებდნენ.

20 სექტემბერს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ნევილ ჩემბერლენმა თემთა პალატაში სიტყვა წარმოთქვა აღმოსავლეთ პოლონეთში საბჭოელების შეჭრასთან დაკავშირებით: „ამ ცინიკური თავდასხმის შედეგი მის უბედურ მსხვერპლთათვის უმძიმესი ტრაგედიაა. მთელი მსოფლიო, რომელიც თვალს ადევნებს პოლონელი ერის უთანასწორო ბრძოლას გამანადგურებელი ძალის წინააღმდეგ, ღრმა სიბრალულითა და სიმპათიით აღიქვამს იმათ მამაცობას, ვინც დღესაც კი არ ურიგდება დამარცხებას... არ არსებობს თავგანწირვა, რომელიც არ შეგვძრავს; არ არსებობს ჩვენი მოკავშირეებისა და მრჩეველებისგან შემოთავაზებული არც ერთი ქმედება, რომელსაც საკუთარ თავზე არ ავიღებთ და გვჯერა, რომ ამით ღირსეულ წვლილს შევიტანთ ჩვენს საერთო გამარჯვებაში. მაგრამ რასაც არ გავაკეთებთ, არის ის, რომ არ ჩავებმებით ავანტიურაში, რომელიც წარმატების მოტანის ნაცვლად ჩვენს რესურსებს დაასუსტებს და უეჭველ გამარჯვებას გადაავადებს“[61]. უდავოდ ლამაზი სიტყვებია, თუმცა ფუჭი.

ბრიტანელი დიპლომატები პოლიტიკოსებზე კიდევ უფრო ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენდნენ საბჭოთა კავშირთან შესაძლო კონფლიქტის მიმართ (ანუ, როგორც ჩემბერლენმა თქვა, „წარმატების ნაკლებად მომტანი ავანტიურის“ მიმართ). საბჭოთა კავშირთან საომარ დაპირისპირებაში რაიმე სარგებელს ვერ ვხედავო, წერდა ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში სერ უილიამ სიდსი 18 სექტემბერს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილ საიდუმლო შეტყობინებაში, „თუმცა პირადად ძალიან მესიამოვნებოდა ბ-ნი მოლოტოვისთვის მეცნობებინა ომის გამოცხადება“[62]. სიდსი იგივე დეპეშაში ერთობ მცდარ წინასწარმეტყველებას აკეთებს: „საბჭოელების შეჭრა პოლონეთში ჩვენთვის პერსპექტივაში უპირატესობის მომტანია, რადგან იგი რუსეთისგან საზღვარგარეთ უზარმაზარი არმიის ყოლას და მის საკვებით, ტანსაცმლით, საწვავითა და ტრანსპორტით მომარაგებას მოითხოვს. ეს კი, თავის მხრივ, შეზღუდავს გერმანიისადმი მათი სამხედრო და მატერიალურ დახმარების შესაძლებლობას[63].

იმავე თვის დამლევს გერმანია-საბჭოთა კავშირის სასაზღვრო პაქტის გაფორმების შემდეგ სერ უილიამსი იძულებული გახდა უფრო რეალური პროგნოზი გაეკეთებინა. „უნდა გვახსოვდეს“, წერდა იგი 30 სექტემბრის დეპეშაში, „რომ თუ ომი კარგა ხანს გაგრძელდა, მაშინ მისი დასრულებისას პოლონეთის საბჭოური ნაწილი გაწმენდილი იქნება არასაბჭოური მოსახლეობისგან, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება მისი ჩამოშორება დანარჩენი რუსეთისგან“. ამის მიუხედავად სიდსი იგივე დეპეშაში ლონდონში თავის უფროსებს სთხოვდა, გაენდოთ კრემლისთვის, რომ

„ჩვენი სამხედრო სტრატეგია არაა შეუთავსებადი [პოლონეთში] ეთნიკური და კულტურული საკითხების საფუძვლიან გადახედვასთან“[64].

ეს შეთავაზება უნიკალური იყო თავისი ალეგიკურობით. საბჭოთა კავშირი სულ ცოტა ხნის წინ შეიჭრა და ის-ის იყო იმორჩილებდა იმ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს, რომლის დაცვაც ბრიტანელებს საქვეყნოდ ჰქონდათ გაცხადებული. ამ დროს კი ეს მაღალჩინოსანი ბრიტანელი ამ აგრესიის დაუყოვნებლივ ჩაფარცხვას მოითხოვდა. თავის მხრივ კი ლონდონში მეორე მაღალჩინოსანი დიპლომატი სერ ივონ კიკპატრიკი 1 ოქტომბრის მოხსენებაში მხარს უჭერდა სიდსის მოსაზრებას: „რა თქმა უნდა, რუსეთის ინტერვენციამ ბევრად უფრო გააძნელა პოლონეთის რეკონსტრუქცია. ამიტომ ჭკუა უნდა გვეყოს და არ გამოვაცხადოთ, რომ პოლონეთის ძველი საზღვრების აღდგენას მოვითხოვთ. ასეთი მიდგომა უეჭველ კონფლიქტს გამოიწვევს რუსეთთან, რაც სულაც არ გვსურს. ამ თვალსაზრისით სერ უ. სიდსის არგუმენტებს უფრო მეტი ძალა ენიჭებათ“[65]. კიკპატრიკმა თავის მოხსენებას „პოლონეთის რუკის ესკიზი“ დაურთო, სადაც მრავალმნიშვნელოვნად მიუთითებდა, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ახალი საზღვარი უმეტესწილად ემთხვეოდა „კერზონის ხაზს“ ანუ სადემარკაციო ხაზს, რომელიც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა 1919 წელს შემოიღო და რომელიც მაშინ უარყვეს როგორც პოლონელებმა, ასევე ბოლშევიკებმა.

იმავდროულად ბრიტანეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაოცებული იყო იმით, რომ მათმა ქვეყანამ საბჭოთა კავშირს ომი არ გამოუცხადა. თუკი ბრიტანეთის ხელშეკრულებამ, დაეცვა პოლონეთი აგრესიისგან, გერმანიასთან ომი გამოიწვია, რატომ არ იწვევდა ომს საბჭოთა კავშირთან?

ბრიტანეთის მთავრობა ამ საკითხში მართლაცდა დელიკატურ პოზიციაში აღმოჩნდა. საქმე კი ის გახლდათ, რომ ნაცისტურ- საბჭოური პაქტის მსგავსად 1939 წელს დადებულ ინგლისურ-პოლონურ შეთანხმებასაც ჰქონდა საიდუმლო დანართი. იმ დროს, როცა ამ შეთანხმების ღია ნაწილი ზოგადად აფიქსირებდა ბრიტანეთის ვალდებულებას, დაეცვა პოლონეთი „აგრესიისაგან“, საიდუმლო დანართში ეს ვალდებულება მხოლოდ გერმანიის აგრესიაზე ვრცელდებოდა. საბჭოთა აგრესიის წინაშე ბრიტანეთის პასიურობის დასაბუთების გასაადვილებლად ბრიტანეთის ინფორმაციის სამინისტროს მაღალჩინოსანმა, პერთის გრაფმა საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივ თანაშემწეს სერ ალექსანდერ კადოგანს მისწერა: „დადგა დრო, რომ ცნობილი გახდეს ჩვენსა და პოლონეთს შორის საიდუმლო ოქმის არსებობა“[66]. ამასთან იგი დასძენდა, რომ ასეთი ქმედება დამატებით სარგებელს მოიტანდა, რადგან „ამ ოქმის გაცნობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ეფექტი მოახდინოს რუსეთის მთავრობაზე, რომელსაც ჩემი აზრით

ჰგონია, რომ ჩვენს სამხედრო მიზანს პოლონეთის სახელმწიფოს ომისწინანდელი საზღვრების აღდგენა წარმოადგენს“.

იტონსა და ოქსფორდში განათლებამიღებულმა კადოგანმა, რომლის თავშეკავება ხშირად გამყინვარების წერტილს აღწევდა, პერთის გრაფის წერილს მხოლოდ 3 ნოემბერს უპასუხა, სადაც იგი აღნიშნავდა: „ჩვენ მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ამის გაკეთება, რადგან ეს ეჭვს აღძრავს, რომ სხვა შეთანხმებებშიც არსებობს მსგავსი საიდუმლო ოქმები[67]“. იმავდროულად უკვე ნათელი გახდა ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალური ხაზიც ამ საჩოთირო თემაზე. მართალია საიდუმლო ოქმის არსებობა არ გამოაშკარავებულა, მაგრამ თემთა პალატაში გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ პოლონელები „გაგებით მოეკიდნენ ჩვენს შორის შეთანხმების უფლებამოსილების გავრცელებას მხოლოდ გერმანიის აგრესიაზე[68]“.

ამგვარად დასაწყისშივე საბჭოთა აგრესიისადმი მიდგომა სხვაგვარი იყო, ვიდრე გერმანიის აგრესიისადმი. ამის მიზეზის ამოცნობა არაა ძნელი. წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით ბრიტანეთისთვის აშკარად წამგებიანი იყო კიდევ ერთი ტოტალური ძალისთვის ომის გამოცხადება. უკვე ცხადი იყო, რომ ბრიტანეთმა პოლონეთის დაცვა ერთი აგრესორისგანაც კი ვერ შეძლო, არა თუ ორისგან. პოლონეთი ბრიტანეთისგან ტერიტორიულად საკმაოდ შორს იყო, რაც აძნელებდა დახმარების გაწევას. მთავარი კი მაინც ისაა, რომ, როგორც ამას ზემოთ მოყვანილი საიდუმლო მიმოწერა მოწმობს, ბრიტანეთის ხელისუფლების ეშელონებში იმთავითვე არ სურდათ, პოლონელებისთვის მათი ტერიტორიების დაბრუნების გარანტია მიეცათ. ეს იყო არა მარტო შიშველი პრაგმატიზმის გამოვლინება, არამედ იმის მანიშნებელიც, რომ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი მოხელე პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვარს ერთგვარ „ნინიას ბაღად“ აღიქვამდა. ამ დიპლომატიურ და სამთავრობო მიმოწერაში ასევე შეიმჩნევა, თუ როგორ იზრდება შეუსაბამობა ბრიტანეთის მთავრობის მაღალფარდოვან ოფიციალურ განცხადებებს – „ცინიკური თავდასხმა“, „უმძიმესი ტრაგედია“ – და კერძო მიმოწერის ან საუბრის ტონს – „საბჭოელების შეჭრა პოლონეთში ჩვენთვის პერსპექტივაში უპირატესობის მომტანია“ – შორის.

თითქოსდა გასაკვირი და შოკისმომგვრელი არაა იმის გაცნობიერება, რომ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს შეუძლიათ ითვალთმაქცონ, მაგრამ ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ მეორე მსოფლიო ომი „მორალური“ ომის, ლამის სატანის წინააღმდეგ თანამედროვე ჯვაროსნული ომის მანტიაშია გახვეული, და როგორც შემდგომში ვნახავთ, დასავლეთის ლიდერები ამ მორალურ ასპექტს გამუდმებით ხაზს უსვამდნენ, თუმცა კულისებში ყველა მათგანი ცდილობდა ბალანსი დაემყარებინა „მორალსა“ და ტრადიციულ, ეროვნულ ინტერესებს შორის.

საბჭოთა ხელისუფლება, გულმოცემული იმის გაცნობიერებით, რომ დასავლეთის ალიანსი რეალურად არაფერს მოიმოქმედებდა მისი ექსპანსიის შესაჩერებლად, სასწრაფოდ შეუდგა აღმოსავლეთ პოლონეთის მოსახლეობაზე საკუთარი კონტროლის გამკაცრებას. ამ პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო დემოკრატიის ყალბი საბაბით 22 ოქტომბერს გამართული პირველი არჩევნები.

მხოლოდ საბჭოელების მიერ ხელდასმულ კანდიდატებს შეეძლოთ ეყარათ კენჭი ამ არჩევნებში, რაც ხშირ შემთხვევაში არჩევანის არარსებობას ნიშნავდა. „დიახ", ადასტურებს ნიკოლაი დიუკარევი[69], რომელიც მაშინ ოკუპირებულ პოლონეთში შიონსახკომის თანამშრომელი იყო, „[თუ] კანდიდატი მხოლოდ ერთი იყო, [მაშინ] ყველას ის უნდა აგვერჩია. ახლანდელივით კი არ იყო მაშინ!"

საბჭოთა ხელმძღვანელობა ხშირად განგებ ირჩევდა კანდიდატებს ნაკლებგანათლებული ან სულაც უწიგნური გლეხობიდან. „ვცდილობდით ღარიბი ხალხი აგვერჩია, რადგან მათ უფრო ვენდობოდით", აღიარებს დიუკარევი. „ისინი საბჭოთა რეჟიმს უჭერდნენ მხარს, მდიდრებს კი საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ. ბოლოს და ბოლოს [ღარიბი ადამიანი] მთელი ცხოვრება მუშაობს და იმიტომაცაა კარგი". ერთ-ერთ საარჩევნო შეკრებაზე ვინმე კოვალევსკიმ საბჭოელებს მათი ხრიკების თაობაზე პირდაპირ მიახალა: „კანდიდატებად იმ იდიოტების შერჩევას ცდილობთ, ბიულეტენში საკუთარი გვარის წაკითხვაც კი რომ არ შეუძლიათ[70]". ამ პიროვნების შემდგომი ბედი უცნობია, მაგრამ საბჭოთა ოკუპანტების ზნეს თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ შინსახკომი მას უთუოდ დააპატიმრებდა.

ძალადობრივი ცვლილებების მეორე შემადგენელი ნაწილი იყო ძველი განათლების სისტემის მოშლა. ახალ სისტემაში ადგილის შენარჩუნების მსურველ მასწავლებლებს მოსთხოვეს, მოსწავლეებისათვის სრულიად ახალი – კათოლიკური ეკლესიის საწინააღმდეგო და სტალინისა და კომუნიზმის მადიდებელი იდეები ჩაენერგათ. რწმენითი სისტემის ამ ძალადობრივი გადატრიალების მიღმა, რა თქმა უნდა, დაშინების ტოტალური მეთოდები მოქმედებდა.

„წითელი არმია რომ შემოვიდა", იხსენებს მაშინდელი მოსწავლე ზენონ ვრუბლევსკი, „საკლასო ოთახებში სტალინის პორტრეტები დაკიდეს. ჩვენ ძველ რეჟიმს ვიყავით მიჩვეული და ახალიც ისეთივე გვეგონა. ამიტომ, იცით, ის გავაკეთეთ, რასაც ყოველთვის ვაკეთებდით, და მალე სტალინმა ახალი ულვაშები შეიძინა! ჩვენმა მოხუცმა მასწავლებელმა ეს შენიშნა და სკოლის დირექტორთან გაიქცა. დირექტორმა მოირბინა და ატყდა ერთი

ალიაქოთი. მან პორტრეტი ჩამოხსნა, ჩვენ კი ვიცინოდით. შემდეგ ყველაფერი აგვიხსნეს. მასწავლებელმა გვითხრა, როგორ არ გესმით, თქვენ სულელებო, რომ თქვენ კი არაფერს გიზამენ, მაგრამ დირექტორს და ჩვენ, მასწავლებლებს [ამის გამო] ციხეში ამოგვალპობენო. ამან შოკში ჩაგვაგდო. ვინ წარმოიდგენდა, რომ ვინმეს პორტრეტზე ულვაშის ოდნავ დაგრძელების გამო ამდენ ხალხს ციხეში უკრავდნენ თავს?"

პოლონეთის საგანმანათლებლო სისტემის შესაცვლელად საბჭოთა ხელისუფლება დაშინებასთან ერთად წახალისებასაც მიმართავდა. პოლონელი გენერალი ანდერსი ასეთი წახალისების ერთ-ერთ შემთხვევას აღგვიწერს: „ბოლშევიკურმა კომისიამ... ერთ-ერთი დაწყებითი სკოლა მოინახულა, სადაც დამშეული ბავშვები სწავლობდნენ. ლოცვას ხომ ხართ მიჩვეული, უთხრეს მათ რუსებმა, ჰოდა, ახლა თქვენს ღმერთს შესთხოვეთ, პური მოგცეთო. ასე აიძულეს ბავშვები, ელოცათ. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თქვეს, ხომ ხედავთ, ვერაფერი ვერ მიიღეთ. ახლა იგივე დიდ სტალინს შესთხოვეთო. თხოვნისთანავე საკლასო ოთახში ჩაი, სენდვიჩები და ტკბილეული შემოიტანეს. ახლა ხომ ხედავთ ვინ ჯობია და ვინ უფრო ძლიერიაო[71]".

აღმოსავლეთ პოლონეთის მოსახლეობის ასეთ „ახლებურად აღზრდასთან" ერთად საბჭოელები სასაზღვრო კომიტეტში გერმანელებთან მჭიდრო თანამშრომლობას განაგრძობდნენ. ეს ჯგუფი საბჭოელებისა და რიბენტროპის 27 სექტემბრის შეხვედრის შემდეგ ჩამოყალიბდა და ორ ქვეყანას შორის საზღვრის დადგენით იყო დასაქმებული. ოქტომბრის ბოლოს ამ ორგანიზაციის ყველა ქვეკომიტეტი გერმანელების მიერ ოკუპირებულ ვარშავაში შეიკრიბა ინსტრუქტაჟის მისაღებად. „ამ შეხვედრას გერმანიის საელჩო მასპინძლობდა", წერდა ანდორ ჰენკე[72], „სადაც გერმანიის მხარეს მე წარმოვადგენდი, როგორც დელეგაციის მეთაური. ეს იყო პირველი შესაძლებლობა გვეპასუხა იმ სტუმართმოყვარეობაზე, რუსებმა მოსკოვში რომ გაგვიწიეს. რაიხის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით განსაკუთრებით მოვემზადეთ, რათა საბჭოთა ოფიციოზისა და კომიტეტის წევრების ვიზიტი პოლონეთის დედაქალაქში მათთვის სასიამოვნო გაგვეხადა".

პოლონეთის ამ რეგიონის ახალდანიშნულმა ნაცისტმა მმართველმა ჰანს ფრანკმა „კმაყოფილებით" აღნიშნა, რომ გენერალ-გუბერნატორის რანგში მისი პირველი ღონისძიება საბჭოელების გამასპინძლება იყო. მან ასევე დასძინა: „კომიტეტის მიზანია მშვიდობიანი ცხოვრება დაუბრუნოს პოლონეთის მოსახლეობას, რომელიც უგუნურმა პოლონურმა მთავრობამ უკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდო"[73]. საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ალექსანდროვმა საპასუხო სიტყვაში განაცხადა: „ამ მოლაპარაკებისას გამოვლინდა თანამშრომლობის სურვილი ორი უდიდესი ერის – გერმანე-

ლი და საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ". ისედაც ამაღლებული განწყობა კიდევ უფრო გულითადი გახდა, როდესაც ფრანკმა ალექსანდროვს სიგარეტი შესთავაზა და უთხარა, მე და თქვენ ორივე პოლონურ სიგარეტს ვეწევით იმის დასტურად, რომ პოლონეთი ქარს გავატანეთო[74]. (ფრანკს კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რას ამბობდა – ომის შემდეგ იგი პოლონეთში ჩადენილი სამხედრო დანაშაულისათვის მკაცრად დაისაჯა).

ამასობაში წითელი არმიის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ პოლონეთში გასაბჭოების პროცესი უკვე საერთო-ეროვნულ დონეზე განხორციელდა და „არჩეულმა" დელეგატებმა სასწრაფოდ მოითხოვეს მთელი ამ ტერიტორიის საბჭოთა კავშირთან მიერთება. სსრკ უზენაესმა საბჭომ, რასაკვირველია, ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა და 1939 წლის 28 ნოემბერს აღმოსავლეთ პოლონეთის ყველა მცხოვრები, მათ დაუკითხავად, საბჭოთა მოქალაქე გახდა.

რადიკალურ ადმინისტრაციულ ცვლილებებს საბჭოელები თავიანთი უმთავრესი იარაღის – ტერორის გამოყენებით ახორციელებდნენ. საბოლოო ანგარიშით საბჭოთა მმართველობის ამ პირველ პერიოდში, 1939 წლის სექტემბრიდან 1941 წლის ივნისამდე დაახლოებით 110 000 ადამიანი იქნა დაპატიმრებული[75]. როგორც ბოგუსლავა გრივინის მამის მაგალითზე უკვე ვნახეთ, ინტელიგენციის წარმომადგენლებისა და ახალი რეჟიმისთვის საშიში სხვა პიროვნებების ცალკეული დაპატიმრება წითელი არმიის შესვლისთანავე დაიწყო. ბოგუსლავას მამის ამბავი პოლონეთში საბჭოელების თვითნებობის თვალსაჩინო მაგალითია.

დაპატიმრებისთანავე იგი ადგილობრივ ციხეში გამოამწყვდიეს. „ეს იყო პატარა საკანი", იხსენებს მისი ქალიშვილი, „სადაც ძირითადად ლოთებს და წვრილმან დამნაშავეებს ათავსებდნენ... უკვე ვიცოდით, რომ ქალაქის ყველა ცნობილი პიროვნება უკვე იმ ციხეში იმყოფებოდა... მათ ეგონათ, რომ ეს მხოლოდ გაუგებრობა იყო. სამი კვირის შემდეგ კი, როცა მათ სანახავად მივედით, იქ უკვე აღარ დაგვხვდნენ". გრივინის მამა ჩერტკოვის უფრო დიდ საპყრობილეში გადაიყვანეს, სადაც მას ბრალად წაუყენეს უკრაინული ნაციონალ-დემოკრატიული ალიანსის ანუ იმ ორგანიზაციის წევრობა, რომელიც ოკუპაციამდე ლეგალურად არსებობდა და სულაც არ იყო ანტიბოლშევიკური. იგი ვერც კი ხვდებოდა, თუ რატომ მიაჩნდათ საბჭოელებს ყოფილი „მმართველი კლასის" პოტენციალურად საშიშ წარმომადგენლად. 1939 წლის დამლევს ბოგუსლავა გრივინის მამა საერთოდ გაქრა საპყრობილედან. ორმოცდაათი წელი გავიდა იმ დრომდე, ვიდრე მისი ოჯახი ბოლოს და ბოლოს შეიტყობდა, რომ შინსახკომმა იგი 1940 წლის გაზაფხულზე დახვრიტა.

1939 წლის შემოდგომაზე საბჭოეთის მიერ პოლონეთის ოკუპაციას ბრიტანეთში ან შეერთებულ შტატებში მასიური საზოგადოებრივი პროტესტი არ მოჰყოლია, რადგან საბჭოელებმა დასავლეთი „დაარწმუნეს", რომ ისინი ამ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის „დასახმარებლად" იყვნენ მისული. იგივე სატყუარას გამოყენება შეუძლებელი იყო მეორე მეზობელ ქვეყანასთან – ფინეთთან მიმართებაში.

სტალინსა და სხვა საბჭოთა მმართველებს თვალი ფინეთის აღმოსავლეთ ნაწილზე ძირითადად ორი მიზეზის გამო ეჭირათ. ჯერ ერთი, მისი საზღვარი მხოლოდ ოცდაათიოდე კილომეტრით იყო დაშორებული ლენინგრადიდან, რაც, მათი აზრით, აადვილებდა ფინეთის გავლით ამ ქალაქში გარეშე მტრის შეჭრას. მეორე, მათ სურდათ ბალტიის ზღვაზე პორტი ჰქონოდათ. მიუხედავად იმისა, რომ რუსები ადრე მართავდნენ ფინეთის საჰერცოგოს, თანამედროვე მსოფლიოსთვის მათი ფინეთში შეჭრა გაცილებით უფრო დიდ აგრესიად ჩაითვლებოდა, ვიდრე აღმოსავლეთ პოლონეთის დაპყრობა. აქ უკვე ვეღარ გაჭრიდა ადგილობრივი მოსახლეობისადმი „დახმარების" მომიზეზება.

ოქტომბერში, როცა ცნობილი გახდა, რომ ფინეთს საბჭოეთის თავდასხმა ემუქრებოდა, ბრიტანელი პოლიტიკოსები დაბნეულობამ მოიცვა. მიუხედავად ნაცისტურ-საბჭოური პაქტის არსებობისა, ბრიტანეთი საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებას აპირებდა, რათა მისგან ფრიად საჭირო ხე-ტყე შეეძინა. ასევე ფართოდ იყო გავრცელებული აზრი, რომ არ იყო საჭირო სტალინთან კონფრონტაცია. უინსტონ ჩერჩილი, რომელიც მაშინ საადმირალოს პირველი ლორდი იყო, ამ მხრივ ისე შორს წავიდა, რომ 16 ოქტომბერს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განაცხადა, ჩვენს ინტერესებში შედის, რომ ბალტიისპირეთში საბჭოთა კავშირის სიძლიერე გაიზარდოს, რათა ამ რეგიონში ბოლო მოეღოს გერმანელთა ბატონობასო[76].

სინამდვილეში ჩრდილოეთ ევროპაში უმთავრეს საშიშროებას საბჭოთა აგრესია წარმოადგენდა – მთელი სკანდინავია შეიძლებოდა საბჭოელთა შეტევის რისკის წინაშე დამდგარიყო. არსებობდა ფინეთის საკითხის მორალური მხარეც, რომელიც ჰელსინკში ბრიტანეთის წარმომადგენელმა ბ-ნმა სნოუმ თავის 1939 წლის 21 ოქტომბრის ანგარიშში ასე ჩამოაყალიბა: „ვფიქრობ, უნდა გამოირიცხოს აგრესიის მოწინააღმდეგე ბრიტანეთისა და საფრანგეთის მხრიდან ასეთი ცივსისხლიანი დანაშაულის [საბჭოელების შეჭრა ფინეთში] პატიება. საბჭოელების წინა ვერაგობიდან [აღმოსავლეთ პოლონეთში შეჭრა] გამოდინარე მჯერა, რომ საბჭოთა მთავრობასთან ურთიერთობის გაწყვეტა საერთო-სახალხო მხარდაჭერას ჰპოვებს მა-

შინ, როცა პატიება გამოიწვევს ჩვენდამი რწმენის დაკარგვას არა მარტო სკანდინავიაში ან სხვაგან, არამედ ასევე ჩვენსავე ქვეყნებში და ჩვენსავე გულებში"[77]. შემდეგ სნოუ ასკვნიდა, რომ საბჭოელების ფინეთში შეჭრის შემთხვევაში (რასაც იგი „ნამდვილ დანაშაულს" უწოდებდა), ბრიტანელების არჩევანი „რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ან ომის გამოცხადება" უნდა იყოსო.

სნოუს ეს ანგარიში უდავოდ მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა იმ პრაგმატულ მსჯელობასთან, რომელსაც მისი კოლეგა მოხელეები ეწეოდნენ აღმოსავლეთ პოლონეთში საბჭოელთა შეჭრის პერიოდში. ამიტომ ეს დოკუმენტი მნიშვნელოვანია არა იმით, რომ იქ გამოთქმული აზრები განხორციელდა (სულაც არ განხორციელებულა), არამედ იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ არ სჯეროდათ ძალაუფლების ბერკეტების არმქონე რომანტიკოსებს იმის თავგამოდებული მტკიცება, თითქოსდა ეს ომი „აგრესიის წინააღმდეგ იდეალისტების ომი იყო".

ბრიტანეთის არმიის შტაბის უფროსობას დაევალა, განეხილა ფინეთში საბჭოელების შეჭრის შემთხვევაში საბჭოთა კავშირთან მოსალოდნელი ომის პრაქტიკული საკითხები. მათ მიერ შემუშავებულ ანგარიშს აკლდა სნოუს მორალური პათოსი, თუმცა აცნობიერებდნენ, რომ „ბრიტანეთისა და საფრანგეთის გულწრფელობისა არავის სჯერა, ამიტომ გერმანიის პროპაგანდა უფრო წარმატებულია, განსაკუთრებით იტალიასა და ესპანეთში. ეს იმიტომ, რომ რუსეთს ომი არ გამოვუცხადეთ, როცა გერმანიის მსგავსად აგრესია განახორციელა პატარა ქვეყნების მიმართ[78]". მაგრამ შტაბის უფროსობისთვის მნიშვნელოვანი იყო არა პრინციპები, არამედ პრაქტიკული მხარე: „საკითხის გადაჭრისას უნდა გავითვალისწინოთ, გადანონის თუ არა რუსეთთან ომის შემთხვევაში ნეიტრალური ქვეყნების მხარდაჭერით მოპოვებული უპირატესობა იმ ნაკლს, რაც დაკავშირებული იქნება სამხედრო ხარჯების უეჭველ ზრდასთან და გერმანია-რუსეთის კავშირის კიდევ უფრო გამყარებასთან". დასკვნით ნაწილში ეწერა, არც ჩვენ და არც საფრანგეთს ამჟამად არ ძალგვიძს ამ დამატებითი ტვირთის ზიდვაო, მაგრამ თუკი თავდაცვის სამინისტრო გადაწყვეტდა, რომ ბრიტანეთს მკვეთრი პოზიცია დაეკავებინა, მაშინ საჭირო იქნებოდა „სწორი მომენტის" შერჩევა, ე. ი. თუკი საფრთხე დაემუქრებოდა ბრიტანეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის შვედეთის რკინის საბადოებს.

ვიდრე ბრიტანეთის მთავრობას, ბ-ნი სნოუსგან განსხვავებით, ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა რა პოლიტიკას დასდგომოდა, საბჭოთა კავშირი 1939 წლის 30 ნოემბერს თავს დაესხა ფინეთს. საბჭოელები ომის დამთავრებას არა უმეტეს თორმეტ დღეში გეგმავდნენ და დასავლეთიც ვარაუდობდა, რომ რიცხობრივად სამჯერ დიდი წითელი არმია ფინელებს მალე მოუთავებდა ხელს, მაგრამ ნურას უკაცრავად.

მიხეილ ტიმოშენკო[79] იმ დროს წითელი არმიის 44-ე უკრაინული დივიზიის ჯარისკაცი იყო და იხსენებს, თუ რა ეფექტიანად იყენებდნენ პარტიზანულ ტაქტიკას ფინელები საბჭოელი დამპყრობლების წინააღმდეგ: „ფინელები პატარ-პატარა ათ-თხუთმეტკაციანი ჯგუფებით მოგვეპარებოდნენ ხოლმე კოცონთან შეგროვილებს, ტყვიამფრქვევების მოკლე ჯერს დაგვიშენდნენ და ისევ გაუჩინარდებოდნენ... როცა კვალდაკვალ მდევართა ჯგუფს დავადევნებდით, ის ჯგუფი უკან ვეღარ ბრუნდებოდა. ფინელები უსაფრდებოდნენ მათ და ყველას ანადგურებდნენ. ჩვენ მივხვდით, რომ ამ ომში მათი დამარცხება უბრალოდ შეუძლებელი იყო... პირადად მე მეჩვენებოდა, რომ რაღაც გაუგებრობა ხდებოდა – არ მესმოდა რა საჭირო იყო ეს ომი, რატომ გაგზავნეს ჩვენი დივიზია იქ, სადაც არავითარი მტერი არ იყო, თანაც ისეთ სიცივეში, რომ ხალხი ყინვისგან იხოცებოდა?" ტიმოშენკოს ოთხიათასიანი შენაერთიდან მხოლოდ მერვედი გადაურჩა უვნებლად ფინეთის ომს.

ამასობაში მთელი ბრიტანეთი საბჭოთა კავშირის აგრესიის მიმართ აღშფოთებამ მოიცვა. დასავლეთის თვალში პოლონეთში საბჭოეთის შეჭრის ნამდვილი ბუნების შენიღბვის წარმატებული მცდელობისგან განსხვავებით, ფინეთის შემთხვევაში სრულიად აშკარა იყო აგრესორის მორალური სიმდაბლე. ბოლოს და ბოლოს რით განსხვავდებოდა პოლონეთში ნაცისტების აგრესია ფინეთში საბჭოელთა აგრესიისგან? ორივე შემთხვევა თვალსაჩინო მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ ჩაგრავდა ძლიერი ქვეყანა სუსტს.

საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ მყოფმა და დანარჩენი სკანდინავიის დაკარგვის ალბათობით შეშფოთებულმა ბრიტანეთის მთავრობამ ფინელებს მცირეოდენი დახმარება გაუწია ბლენჰეიმის ტიპის თორმეტი ბომბდამშენისა და ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგის სახით. მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ფინელები წითელი არმიის შეტევას დიდხანს ვეღარ გაუძლებდნენ. ომის პირველ თვეებში ისინი ძირითადად ცუდი ამინდის გამო უქმნიდნენ პრობლემას დამპყრობელს. ეს სიტუაცია კი მალე შეიცვლებოდა. ბრიტანელები აცნობიერებდნენ, რომ თოვლის გადნობისთანავე წითელი არმიის რიცხობრივი უპირატესობა თავისას იზამდა. ამიტომ ბრიტანეთის არმიის შტაბის უფროსებს კიდევ ერთხელ დაევალათ განეხილათ ფინელებისადმი პირდაპირი სამხედრო დახმარების განევის საკითხი.

ამ გეგმის შესახებ მითქმა-მოთქმამ ბრიტანელი კომუნისტის ბრაიან პირსის ყურამდეც მიაღწია. იგი ახალი ჩარიცხული იყო სამხედრო სამსახურში და ამ ახალმა ამბავმა უკიდურესად მძიმე მორალურ მდგომარეობაში ჩააგდო. პირსი აღიარებს, რომ ფინეთში გაგზავნის შემთხვევაში მას გაუჭირდებოდა საბჭოთა მეომრების წინააღმდეგ ბრძოლა. „ალბათ მოწინააღმდეგის მხარეს გადავიდოდი... წითელი არმია ჩვენი ანუ კომუნისტების

არმია იყო და კრიტიკულ სიტუაციაში საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ უნდა მემოქმედა... ჩვენ მას არ აღვიქვამდით როგორც უცხო ქვეყანას; ის ხომ მსოფლიო რევოლუციის ფლაგმანი იყო! ჩვენ კომინტერნის ბრიტანეთის სექცია ვიყავით, ისინი კი რუსული სექციას წარმოადგენდნენ, რომელმაც პირველმა მოახდინა რევოლუცია და ამის გამო წამყვანი პოზიცია ეკავა. მას უფლება ჰქონდა არაერთი პატარ-პატარა დანაშაული ჩაედინა დიადი მიზნის მისაღწევად... იცით, მიზანი ამართლებს საშუალებას".

ბრაიან პირსის საბედნიეროდ, ბრიტანეთის მთავრობამ ბოლოს გადაწყვიტა არ ეტვირთა სრულმასშტაბიანი სამხედრო დახმარება ფინელებისადმი. ამიტომ იგი არ აღმოჩენილა სიტუაციაში, რომელიც მას დეზერტირობისკენ უბიძგებდა.

იმავდროულად რამოდენიმე ასეული ბრიტანელი მოხალისე, რომელიც ბრაიან პირსისგან განსხვავებით, საბჭოთა აგრესიის მედგარი მონინააღმდეგე იყო, მაინც გაემგზავრა ფინეთში წითელი არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ყველაფერი უკვე ამაო გამოდგა, რადგან, ვარაუდის შესაბამისად, თოვლის დნობასთან ერთად ფინელების უპირატესობაც დასრულდა. ეს ომი 1940 წლის მარტში დამთავრდა და ფინელები იძულებული გახადეს იმაზე მეტი დაეთმოთ, ვიდრე ამას კრემლი ომის დაწყებამდე ვარაუდობდა.

შეიძლება ეს ომი იყო პატარა ომი შორეულ ქვეყანაში, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს. მან გერმანიისა და ბრიტანეთის სამხედრო მთავარსარდლობის მახვილ თვალს საბჭოთა სამხედრო ძალის უბადრუკობა დაანახა. გერმანიის გენშტაბის დასკვნით „საბჭოთა ხალხს არ შეუძლია თანამედროვე არმიის შექმნა"[80], ხოლო ბრიტანელი სამხედროების შეფასებაში პირდაპირ ეწერა, რომ თუ გერმანიის შეიარაღებული ძალები ოდესმე გადაწყვეტდნენ დაერღვიათ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი და თავს დასხმოდნენ საბჭოთა კავშირს, წითელი არმია ვერ შეძლებდა მათთან გამკლავებას[81]. ამ აზრს იზიარებს მაშინდელი წითელი არმიის მებრძოლი მიხაილ ტიმოშენკო: „გერმანელებმა საკმაოდ ლოგიკურად დაასკვნეს, რომ წითელი არმია სუსტი იყო. პრინციპში ისინი მართალნი იყვნენ".

გარდა ამისა ფინეთის ომმა კიდევ ერთხელ გამოააშკარავა ბრიტანელი პოლიტიკოსების დაბნეულობა საბჭოთა კავშირთან მიმართებაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ მცირე მასშტაბის დახმარება აღმოუჩინეს ფინელებს წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამრიგად, იყო თუ არა საბჭოთა კავშირი მტერი? ეწეოდა თუ არა ბრიტანეთი „იდეალისტურ ომს აგრესიის წინააღმდეგ" თუ რაღაც უფრო ტრადიციულისთვის იბრძოდა? გახდა თუ არა ეს ომი უფრო „მორალური" ახლა, როცა ბრიტანეთის პირად ინტერესებს – შვედეთის რკინის საბადოების სახით – საფრთხე დაემუქრა? ეს კითხვები ჯერ ისევ პასუხგაუცემელი რჩებოდა.

პირველი დეპორტაცია პოლონეთში

მაშინ, როცა ჯერ კიდევ ფინეთის ომი მძვინვარებდა, 1940 წლის თებერვალში საბჭოელებმა აღმოსავლეთ პოლონეთში მასიური რეპრესიებისა და დეპორტაციების სერია ჩაატარეს. საერთო ანგარიშით ამ რეგიონს გადასახლებების ოთხმა ტალღამ გაადაუარა და თითოეული მათგანი თავისებურად იყო მოტივირებული. პირველი 1940 წლის 10 თებერვლის ღამით დაიწყო და ძირითადად იმ ხალხს შეეხო, რომელთა მიმართაც სტალინს პირადი ბოღმა ამოძრავებდა. ესენი იყვნენ პოლონელებსა და ბოლშევიკებს შორის 1920 წლის ომის ვეტერანები, რომლებსაც ოსადნიკებს უწოდებდნენ.

1939 წლის 2 დეკემბერს ბერიამ სტალინს პატაკი წარუდგინა გრიფით „სრულიად საიდუმლო". პატაკი ისტორიული მიმოხილვით იწყებოდა: „1920 წლის დეკემბერში პოლონეთის მაშინდელმა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი სსრკ-ს საზღვრებთან ეგრეთ წოდებული ოსადნიკების ჩასახლების შესახებ, რომლებიც მხოლოდ პოლონეთის ყოფილი სამხედრო პერსონალიდან იქნენ შერჩეულნი. თითოეულ მათგანს 25 ჰექტარი მიწა გამოუყვეს პირუტყვთან და სამეურნეო იარაღთან ერთად და ბელორუსიის ან უკრაინის საზღვართან ჩაასახლეს[82]". ბერიას მიაჩნდა, რომ აღმოსავლეთ პოლონეთში ამ ხალხის არსებობაც კი საფრთხეს წარმოადგენდა საბჭოთა სახელმწიფოსთვის, და ირწმუნებოდა, რომ ისინი „საუკეთესო ნიადაგს ქმნიდნენ ყოველგვარი ანტისაბჭოთა ქმედებისთვის". ამიტომ მისი დასკვნა მარტივი იყო: მათი და მათი ოჯახების გადასახლებას აუცილებლად მივიჩნევთო. ზუსტად ორ დღეში მან მიიღო ამ აქციის განხორციელების ნებართვა; ყველა ოსადნიკი უნდა გადაესახლებინათ საბჭოთა კავშირის შორეულ რეგიონებში „ხე-ტყის გადამუშავების[83]" იძულებით სამუშაოებზე. მათ შორის „ყველაზე ბოროტად განწყობილნი" კი ციხეში უნდა გაეშვათ.

ნიკოლაი დიუკარევი მაშინდელი აღმოსავლეთ პოლონეთის (ამჟამად უკრაინის) ქალაქ როვნოს შინსახკომის თანამშრომელი იყო და ამ ადამიანთა გადასახლებაში მონაწილეობდა. „1939 წლის მიწურულს მივიღეთ ბრძანება ოსადნიკების გასახლების შესახებ", იხსენებს იგი, „და მაშინვე შევუდექით მათი ოჯახების აღწერას... მაშინ ოცი წლის ახალგაზრდა ვიყავი და კარგად ვერ ვერკვეოდი, თუ რა ხდებოდა – ბრძანებებს კიევიდან იძლეოდნენ". თუმცა მას სჯეროდა, რომ ოსადნიკები „ჩვენი მტრები იყვნენ. ისინი ენინაალმდეგებოდნენ საბჭოთა კავშირს და მხარს უჭერდნენ პოლონეთს. ჩვენ ვიცოდით, რომ ადგილობრივ ხალხს ისინი სძულდა, რადგან მდიდრები იყვნენ, ფლობდნენ მიწას და ყველაფერი ჰქონდათ, სხვები კი გაჭირვებულად ცხოვრობდნენ".

შინსახკომი გადასახლებებს მოულოდნელად და ელვის სისწრაფით ახორციელებდა, მაგრამ მხოლოდ ხანგრძლივი და საიდუმლო წინასწარი

მომზადების შემდეგ. ნიკოლაი რამდენიმე კვირის განმავლობაში დადიოდა თავისი სამოქმედო რეგიონის ოსადნიკთა ოჯახებში როგორც „სოფლის მეურნეობის ექსპერტი“ და ოჯახის შემადგენლობის, მინის ფართობისა და შინაური ფრინველისა და პირუტყვის სახეობა-რაოდენობას აღწერდა. მხოლოდ ყველა ამ მონაცემის შეგროვების შემდეგ შინსახკომი მზად იყო ერთი ღამის განმავლობაში მოეხდინა მასობრივი დეპორტაცია.

1940 წლის 11 თებერვალს გამთენიისას შინსახკომი ვიესლავა სატერნისის ოჯახსაც მიადგა. ვიესლავას მამა ოცი წლის წინანდელი ომის მონაწილე იყო და ისიც ჩასახლებული იყო ვლოდზიმეჟ ვოლინსკის რაიონში. ამიტომ იგი ოჯახთან ერთად შინსახკომმა ოსადნიკთა სიაში შეიყვანა. ოჯახი მეუღლისა და ოთხი შვილისგან შედგებოდა. როცა შინსახკომის წარმომადგენლებმა მათ კარზე მიუკაკუნეს, ვიესლავას ნახევრად მძინარე მამამ კარი გაუღო და ჯარისკაცები ოთახში შევიდნენ. „ორი მათგანი ძალიან სასტიკი და აგრესიული იყო“, იხსენებს ვიესლავა. „მათ მამაჩემს ხელი ჰკრეს და უბრძანეს, იატაკზე დამჯდარიყო და ხელები კისერზე შემოეწყო“.

იმ სამი ჯარისკაციდან უფროსმა, რომელიც ვიესლავას ნაკლებად აგრესიული მოეჩვენა, განუცხადათ, რომ მთელი ოჯახი უნდა „გაესახლებინათ“. ვიესლავას ბებიამ, რომელიც მათთან სტუმრად იმყოფებოდა, შინსახკომელებს უთხრა, რომ გადასახლება მას არ ეხებოდა. ოფიცერმა პროტესტი არ გაითვალისწინა და მასაც უბრძანა ნივთების ჩალაგება. ოჯახი ქაოსმა მოიცვა, როცა ვიესლავას დედა ფაციფუცით ცდილობდა ნივთების ჩალაგებას. ბავშვები ტიროდნენ და შიშით უყურებდნენ, თუ როგორ ჩხრეკდნენ ჯარისკაცები მათ მამას. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ვიესლავას დას – ქრისტინას უთხრა თან წაეღო თოჯინა, მაგრამ ბავშვმა თოჯინა გადააგდო. „მაშინ [შინსახკომელმა ჯარისკაცმა] თოჯინა მე მომცა“, იხსენებს ვიესლავა, „და პოლონურად მითხრა – არ ვიცი სად ისწავლა პოლონური – წაიღე ეს თოჯინა, რადგან იქ, სადაც თქვენ მიდიხართ, ასეთი თოჯინები არ არისო. ის თოჯინა წავიღე და მოგვიანებით გამოგვადგა კიდეც – დედაჩემმა ის საჭმელზე გადაცვალა“.

ოჯახს მხოლოდ ნახევარი საათი მისცეს ნივთების ჩასალაგებლად. შემდეგ სატვირთო მანქანით რკინიგზის სადგურზე წაიყვანეს, სადაც სხვა გადასახლებულებთან ერთად სატვირთო ვაგონებში შეყარეს. „ამის შემდეგ საშინელი ხმაურით ჩარაზეს ვაგონები და მივხვდით, რომ დამწყვდეულები და დატყვევებულები ვიყავით“. ეს პირველი დეპორტაციები სხვადასხვა გათვლებით 130 000-დან 200 000-მდე ადამიანს შეეხო, რომელთა საშინელი მოგზაურობა საბჭოთა კავშირის შორეული ჩრდილოეთისკენ რამდენიმე კვირა გრძელდებოდა. ვიესლავა სატერნისის ოჯახი ციმბირში ხე-ტყის საჭრელ ბანაკში აღმოჩნდა. „იქ საშინელი შიმშილობა იყო“, იხსენებს იგი.

„ვისაც ეს არ გამოუცდია, ვერასდროს გაიგებს, თუ რა საშინელებაა შიმშილობა. იგი ადამიანს მხეცად აქცევს“.

„მე პასუხისმგებელი ვიყავი ერთი თუ ორი სოფლის გასახლებაზე, ზუსტად არ მახსოვს“, ამბობს ნიკოლაი დიუკარევი. „არ ვიცი რა ბედი ენიათ მათ, მაგრამ ძალიან მძიმე და უსიამოვნო სამუშაო კი იყო [გადასახლებების ორგანიზება]. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და უბრალოდ ბრძანებებს ვასრულებდი. თუმცა ახლა ვხვდები, თუ რა სისასტიკეა პატარა ბავშვების აყრა და გადასახლება. ახლა მიმძიმს ამაზე ლაპარაკი, მაშინ კი მჯეროდა, რომ ისინი ჩვენი მტრები, საბჭოთა კავშირის მტრები იყვნენ და „დამუშავებას“ საჭიროებდნენ. ახლა კი ვწუხვარ ამის გამო, მაგრამ მაშინ სხვაგვარად ვფიქრობდი“.

დიუკარევს და მის ამხანაგებს ღრმად სწამდათ, რომ შინსახკომის ამ ქმედებების სულისჩამდგმელი საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი იყო. „დიახ, სტალინს ყველანი ვაღმერთებდით და მისი ყოველი სიტყვა ჩვენთვის კანონი იყო. იმის გაფიქრებაც კი დაუშვებელი იყო, რომ მას რამე ეშლებოდა. მაშინ ამის ეჭვიც კი არ არსებობდა. ყველა მისი გადაწყვეტილება სწორი იყო. ეს მარტო ჩემი აზრი როდი იყო, მაშინ ყველა ასე ფიქრობდა. ჩვენ კომუნიზმს ვაშენებდით. ჩვენ ბრძანებებს ვასრულებდით. ჩვენ გვჯეროდა“.

ამ „კლასობრივი მტრების“ გადასახლების პარალელურად გრძელდებოდა აღმოსავლეთ პოლონეთის ახალგასაბჭოებული მოსახლეობის მონიტორინგი ახალი რეჟიმისადმი მათი დამორჩილების უზრუნველსაყოფად. აიკრძალა სიტყვის, რელიგიის, გადაადგილებისა და თითქმის ყოველნაირი თავისუფლება. პირველ რიგში კი საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ამოეძირკვა ეროვნული შეგნების ნებისმიერი გამოვლინება.

გალინა სტავარსკაიამ[84] საკუთარ თავზე იწვნია, თუ როგორ სასტიკად ეპყრობოდნენ ოკუპანტები პოლიტიკურ ოპონენტებს. ოკუპაციის პირველივე დღეებში შინსახკომი ლვოვის გარეუბანში მის პატარა კოტეჯსაც მიადგა და ცხრამეტი წლის გოგონა დასაკითხად წაიყვანა როგორც ერთ-ერთი უკრაინული ნაციონალისტური ორგანიზაციის ინფორმატორობაში ეჭვმიტანილი. დაკითხვა ლვოვის ციხეში მიმდინარეობდა: „იქ სამი ჯანმაგარი ზორბა მამაკაცი იჯდა. მათ მკითხეს, ვიყავი თუ არა საიდუმლო ორგანიზაციის წევრი. ვუპასუხე, არა-მეთქი. მერე მკითხეს:

– რა როლს ასრულებ იმ ორგანიზაციაში?

– არავითარ ორგანიზაციაში არა ვარ და როგორ შეიძლება მქონდეს რაიმე როლი?

მაშინ ჯერ მარჯვნიდან დამარტყეს, მერე – მარცხნიდან და შემდეგ თავში ჩამცხეს... ფერდშიც წიხლი ჩამაზილეს. ღონივრები და კარგად ნაკვებნი იყვნენ და, უნდა გითხრათ, რომ კარგად ნავარჯიშები კუნთები ჰქონდათ“.

ხელები რომ დაეღალათ, გალინას რეზინის ხელკეტებით დაუწყეს ცემა. „ნახევარმეტრიანი ხელკეტები ჰქონდათ... მათი ნაიარევი ახლაც შავ ზოლებად მაჩნია კისერზე და მთელ სხეულზე. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ამის გახსენებაც კი ძალიან მტკივნეულია“.

გალინა ამაოდ ევედრებოდა თავის ჯალათებს შეებრალებინათ იგი. „მაგრამ მათ სიამოვნებდათ ჩემი ცემა... ისინი სადისტები იყვნენ... უშვერი სიტყვებით მლანძღავდნენ. მე კი ახალგაზრდა გოგონა ვიყავი, რომელსაც ჯერ არც კი ეკოცნა მამაკაცისთვის“.

ასეთი „დაკითხვის“ შემდეგ გალინა საკანში შეაგდეს, სადაც „პატიმრები ისე იყვნენ ჩაწყობილი, როგორც თევზი კონსერვის ქილაში. საკანში პატიმარმა ქალებმა მომხედეს, დამბანეს და ჭრილობები მომიშუშეს“.

ასეთ დაკითხვასა და წამებას შორის დროის შუალედში გალინას საკანში იმ კასრის გვერდით ეძინა, რომელსაც საპირფარეშოდ ხმარობდნენ. „შარდი კასრის გარშემოც იღვრებოდა და მორიგეობით ვწმენდდით. ერთ-ერთ პატიმარს ამის გაკეთებისას ყოველთვის აღებინებდა“.

მაშინ, როცა საბჭოელების მიერ აღმოსავლეთ პოლონეთის მოსახლეობის ტანჯვა-წამების შესახებ დასავლეთში ნაკლებადაა ცნობილი, მთელი მსოფლიო შეძრა მათ მიერვე თითქმის იმავდროულად ჩადენილმა საშინელმა დანაშაულმა. ესაა მასობრივ მკვლელობათა სერია, რომელიც შემოკლებით ერთი სიტყვითაა ცნობილი: კატინი.

კატინის მხეცობა

1940 წლის 5 მარტს სტალინმა[85] პოლიტბიუროს წევრ სხვა ამხანაგებთან – ვოროშილოვთან, მიქოიანთან და მოლოტოვთან ერთად, პირადად მოაწერა ხელი ბერიას მიერ წარდგენილ გეგმას აღმოსავლეთ პოლონეთის ოცი ათასზე მეტი იმ რჩეული მოქალაქის დახვრეტის შესახებ, რომელთა უმრავლესობა პოლონური არმიის ოფიცერი იყო. ეს დანაშაული მსოფლიოსთვის პირველად 1943 წლის აპრილში გახდა ცნობილი, როდესაც გერმანელებმა მათ მიერ ოკუპირებულ რუსეთის ქალაქ სმოლენსკთან ახლოს კატინის ტყეში მასობრივი სამარხი აღმოაჩინეს (სინამდვილეში ეს იყო ერთ-ერთი იმ სამი ადგილიდან, სადაც შინსახკომმა თავის მსხვერპლთა გვამები დამარხა). ეს აღმოჩენა წითელ ზოლად გაჰყვა დასავლელი მოკავშირეებისა და საბჭოთა კავშირის შემდგომ ურთიერთობას.

კატინის დანაშაული უნიკალურია მთელ რიგ გარემოებათა გამო; არა იმიტომ, რომ იგი სტალინისა და მისი ამფსონების ბუნებაში არ ჯდებოდა, არამედ იმიტომ, რომ, თუმცა საბჭოთა კავშირში მანამდეც ყოფილა ეპიზოდური შემთხვევები, როცა ადამიანთა გარკვეული ჯგუფები დაუხვრიტავთ,

მაგრამ მთელი ოფიცერთა კორპუსის ასეთი მასშტაბის ერთდროული განადგურება არასდროს მომხდარა. კატინამდე სტალინის რეჟიმისთვის „საშიშ“ ადამიანთა დიდ ჯგუფებთან ანგარიშსწორების „ნორმალურ“ მეთოდად მათი გადასახლება ითვლებოდა. საბჭოთა პენიტენციალური სისტემის ბანაკებში (რომელთა ერთობლიობას გულაგი ერქვა) სიკვდილიანობა წელიწადში 20 პროცენტს აღწევდა. პოლონეთის დაბალჩინოსან ოფიცერთა და რიგით ჯარისკაცთა ძირითადი მასა, რომელიც 1939 წელს წითელმა არმიამ ტყვედ აიყვანა, სწორედ ასეთ ბანაკებში გამოამწყვდიეს.

აღმოსავლეთ პოლონეთში დისლოცირებული მაშინდელი წითელი არმიის ოფიცერი გიორგი დრაგუნოვი ამბობს, რომ დეპორტაცია „საბჭოელებს არ გვიკვირდა, რადგან ეს ყველაფერი ადრეც გვქონდა ნანახი. მე რკინიგზასთან ახლოს გავიზარდე და 30-იან წლებში გადასახლებული ხალხით სავსე ბევრი მატარებელი მინახავს... ჩემთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო – თუკი მოსკოვიდან ასახლებდნენ ციმბირში ხალხს, რატომ არ შეიძლებოდა დასავლეთ ბელორუსიიდანაც (ოკუპირებული პოლონეთის ნაწილი) გადაესახლებინათ? ჩვენ იმ რწმენით გაგვზარდეს, რომ „ხალხის მტრები“ დეპორტაციას იმსახურებდნენ. მხოლოდ ახლა, რეტროსპექციული ანალიზით ვხვდები, რომ ისინი საუკეთესო ადამიანები იყვნენ, მაგრამ ამის შესაცნობად მთელი ცხოვრება დამჭირდა“. ჰოდა, თუკი სტალინური საბჭოთა კავშირის ცხოვრების „ნორმალურ“ და ფართოდ გავრცელებულ წესს გადასახლება წარმოადგენდა, რატომ მოექცნენ პოლონეთის ამ მოქალაქეებს სხვაგვარად და ასე მასობრივად რატომ დახვრიტეს?

შინსახკომის დოკუმენტები ამ დანაშაულის რამდენიმე შესაძლო მიზეზს მიანიშნებს. უწინარეს ყოვლისა საბჭოთა პენიტენციალური სისტემა 1939 წლის შემოდგომაზე გადატვირთული იყო პოლონელი ტყვეების ასე მოზღვავებით – დაახლოებით მეოთხედი მილიონი ადამიანი დააპატიმრეს. ამ პრობლემის გამო სასწრაფო ბრძანებებიც კი გაიცა ტყვეების დაახლოებით ერთი მესამედის გათავისუფლების თაობაზე, მაგრამ მხოლოდ დაბალი რანგის მეომრებს დართეს შინ დაბრუნების ნება – არც ერთი ოფიცერი არ გაუთავისუფლებიათ. მათი უმრავლესობა სამ ბანაკში იყო განთავსებული: კოზელსკში (სმოლენსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით), ოსტაშკოვოში (კალინინის რაიონი) და სტარობელსკში (ხარკოვთან ახლოს). ოფიცრებთან ერთად იქ იყვნენ პოლონეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები – ექიმები, ადვოკატები, აკადემიკოსები და მწერლები. აშკარა იყო რომ ოკუპაციის პირველი დღიდანვე შინსახკომის საქმიანობაში პრიორიტეტი პოლონეთის ინტელიგენციის განადგურების პოლიტიკას ენიჭებოდა.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე ამ ბანაკებში ცხოვრება თუმცა არაკომფორტული, მაგრამ საბჭოთა სტანდარტებით არცთუ აუტანელი იყო. პატიმრებს აცრა ჩაუტარდათ და მიმოწერის ნება მიეცათ. მაგრამ შინ-

სახკომის 1939 წლის 1 დეკემბრის დოკუმენტიდან[86] ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ პატიმრებს „ჩვეულებრივ“ საბჭოთა ტყვეებად უკვე აღარ აღიქვამს და მათ „კონტრრევოლუციონერებად“ მოიხსენიებენ. როგორც კონტრრევოლუციონერები კი უკვე დაკითხვას და თავიანთი „დანაშაულისთვის“ შესაბამისად „დასჯას» ექვემდებარებოდნენ. ბანაკებში მიავლინეს შინსახკომის გამომძიებლები, რომლებიც თვეების განმავლობაში აწარმოებდნენ პატიმართა გამოკითხვას. მათი მიზანი იყო დაედგინათ, თუ რამდენად დამყოლნი იყვნენ პოლონელები და იყო თუ არა მზად ზოგიერთი მათგანი კომუნისტი გამხდარიყო. აღმოჩნდა, რომ პოლონელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მტკიცედ რჩებოდა კათოლიკური რწმენისა და მასზე დამყარებული ტრადიციების ერთგული. 1940 წლის დასაწყისში, როცა შინსახკომმა ყველა პატიმრის „ატესტაცია“ დაასრულა, საბჭოთა უშიშროების სისტემამ საჭიროდ ჩათვალა, პოლონელები გულაგის სისტემის ბანაკებში გადაეწანილებინათ[87]. მერე კი უცებ, 5 მარტისთვის, მათი დახვრეტა გადაწყვიტეს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ სტალინი უაღრესად ნეგატიურად იყო განწყობილი პოლონელების მიმართ. მისი ეს სიძულვილი და უნდობლობა კიდევ უფრო გაამძაფრა ბერიას მიერ თებერვალში მისთვის წარდგენილმა ანგარიშმა, სადაც პოლონელი პატიმრები გამოუსწორებლებად მოიხსენიებოდნენ. ამასთანავე, როგორც შემდგომში დასავლელ მოკავშირეებთან მისი დისკუსიებიდანაც ირკვევა, სტალინს არასდროს მოსვლია თავში მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების პოლონეთისთვის დაბრუნება. ასეთ ვითარებაში სამშობლოს დაკარგვისადმი შეურიგებელი პოლონური ელიტა უაღრესად საშიში იყო მისთვის. მათი აბსოლუტური უმრავლესობა, თუკი ოდესმე სამშობლოში დაბრუნდებოდა, უყოყმანოდ აირჩევდა საბჭოელებთან ბრძოლის გზას.

ადვილი სავარაუდოა, რომ მეორე ფაქტორი, რომელმაც საბჭოელთა გადაწყვეტილების ასეთი უეცარი ცვლილება გამოიწვია, ის იყო, რომ სტალინმა სწრაფად გაითავისა ნაცისტური მენტალიტეტი და მოქმედების სტილი. იმხანად საბჭოელები ნაცისტებთან თანამშრომლობდნენ არა მარტო საზღვრების დამდგენი კომისიის, არამედ ათასობით ტყვეთა გაცვლის ფარგლებშიც. 1939 წლის ოქტომბერში გესტაპოსა და შინსახკომის წარმომადგენლები ლვოვში შეიკრიბნენ ორივე მხარისთვის საინტერესო მთელი რიგი საკითხების განსახილველად, ხოლო 1940 წლის ნოემბერში ბერლინში იმავე მიზნით უკვე ესეს-ის შეფი ჰიმლერი და ბერიას მოადგილე მერკულოვი შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, სტალინს კარგად უნდა სცოდნოდა იმ რეპრესიების შესახებ, რომლებსაც ნაცისტები დასავლეთ პოლონეთში ახორციელებდნენ. ეთნიკური წმენდის ამბიციური პოლიტიკის გატარების მიზნით ნაცისტები ასეულობით ათასი ადამიანის დეპორტაციას

ახორციელებდნენ დასავლეთ პოლონეთის აღმოსავლეთი რეგიონებისკენ, ხოლო დასავლეთ რეგიონებს – დანცინგს (დასავლეთი პრუსია) და პოზნანის მიმდებარე ტერიტორიას (ვართეგაუ) – გერმანიის რაიხში აერთიანებდნენ. გარდა ამისა, ნაცისტები პოლონელ ებრაელებს გეტოებში, ხოლო პოლონურ ინტელიგენციას საკონცენტრაციო ბანაკებში ამწყვდევდნენ. უფრო მეტიც, ბოლოდროინდელი გამოკვლევები მოწმობს, რომ ზოგიერთი აქცია, კერძოდ, ნაცისტების მიერ 1939 წლის ნოემბერში პოლონელი აკადემიკოსების დაპატიმრება კრაკოვში და იმავდროულად შინსახკომის მიერ ლვოვის უნივერსიტეტებში განხორციელებული დაპატიმრება – ნაცისტური და საბჭოთა უშიშროების ფუნქციონერთა მიერ ერთობლივად იყო დაგეგმილი და კოორდინირებული[88]. ეს ყველაფერი ამყარებს იმ ვარაუდს, რომ სტალინი და ბერია აკვირდებოდნენ დასავლეთ პოლონეთის რეორგანიზაციის საქმეში ნაცისტთა რადიკალურ მეთოდებს და შესაბამისად გადაწყვიტეს თვითონაც უფრო რადიკალურად ემოქმედათ.

იმ დროს, როცა ბოლომდე მაინც არ არის გამოკვლეული საბჭოელების ქმედებებზე ნაცისტური მეთოდების ზეგავლენის დონე, იმის საკმაო მტკიცებულებანი არსებობს, რომ საბჭოელებს პრიორიტეტად მიაჩნდათ პოლონეთის წამყვანი კლასის განადგურება. ამასთან მათ ეს აქცია არც ისე სარისკოდ ეჩვენებოდათ; ეეჭვებოდათ, რომ ოდესმე ვინმე გახსნიდა ამ დანაშაულს. და მართლაც, ბერიას რომ დახვრეტის ადგილი კატინის ტყის მაგივრად უფრო აღმოსავლეთით შეერჩია, ეს შემზარავი დანაშაული შეიძლება დღესაც გაუხსნელი ყოფილიყო.

ეჭვგარეშეა, რომ სტალინმა და მისმა კოლეგებმა ამ დაუსჯელობის სინდრომშეყრილებმა მოაწერეს ხელი 5 მარტის ბრძანებას, რომელიც „სპეციალური პროცედურის“ მიხედვით პოლონელთა ზერელე გამოკვლევას და „გამოძიების“ საფუძველზე მათ დახვრეტას გულისხმობდა. ბრძანება ვრცელდებოდა როგორც სამ ბანაკში განთავსებულ თითქმის თხუთმეტ ათას პოლონელზე, ასევე თორმეტი ათას სხვა მათ თანამემამულეზე, მათ შორის ეთნიკურ უკრაინელებსა და ბელორუსებზე, რომლებიც „კონტრრევოლუციური აქტიურობისთვის“ იყვნენ დაპატიმრებული. ტყვეთა ბანაკებში მყოფი პოლონელების „სპეციალური გამოკვლევა“ ფიქციური იყო და თითქმის ყველა მათგანი დასახვრეტად გასწირა მერკულოვის, ბაშტაკოვისა და ქობულოვის ცნობილმა სამეულმა მათი პირადი საქმეების ზერელე გაცნობის შემდეგ. ჯალათის ტყვიას მათგან მხოლოდ ოთხასზე ნაკლები გადაურჩა – ისინი, ვინც ადრე შინსახკომის მიერ დაკითხვისას საბჭოთა კავშირში დარჩენის სურვილი გამოთქვა.

შვიდი ათასზე მეტ დაპატიმრებულ პოლონელს დახვრეტა მიესაჯა. საერთო ანგარიშით, საბჭოთა დოკუმენტაციის თანახმად, რომლის გაცნო-

ბაც კომუნიზმის დამხობის შემდეგ გახდა შესაძლებელი, 5 მარტის დირექ-ტივის საფუძველზე სულ 21 857 პოლონელია დახვრეტილი.

მაგრამ ერთია, გასცე ათასობით ადამიანის დახვრეტის ბრძანება, და მეორეა, მოახერხო მისი შესრულება. იმ დროს, როცა სტალინი და მისი ამფსონები ახალი ტერიტორიების დაპყროსთანავე ასე ფიცხლად აშან-შალებდნენ ბრძანებებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების დახვრეტის შესახებ, შინსახკომის მუშაკები ერთ ვაივაგლახში იყვნენ, რომ ასევე ფიცხლად მოეყვანათ სისრულეში ეს ბრძანებები.

შინსახკომის ამ ამაზრზენი პროცედურის დეტალები 1991 წელს გახდა ცნობილი რუსეთის სამხედრო პროკურორის მიერ კალინინის ოლქის შინ-სახკომის ყოფილი უფროსის, გენერალ დიმიტრი ტოკარევის დაკითხვის დროს[89]. გენერალმა გაიხსენა, თუ როგორ გამოიძახეს 1940 წლის მარტ-ში ორ კოლეგასთან ერთად მოსკოვში, სადაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ განუცხადათ, რომ „უმაღლეს ეშელონებში" მიღე-ბული გადაწყვეტილებით პოლონელების დახვრეტა ევალებოდათ. ტოკა-რევის გადმოცემით, მან ქობულოვს ამ თათბირის შემდეგ ცალკე შეხვედრა სთხოვა, სადაც განუცხადა, ასეთ ოპერაციაში არასდროს მიმიღია მონა-წილეობაო, რაზეც ქობულოვს გაბრაზებით უპასუხია, ჩვენ შენი იმედი გვაქვსო.

ამის შემდეგ ტოკარევი შინ დაბრუნდა და გასცა განკარგულება, რომ კალინინის ციხეში ამ დახვრეტისთვის სამზადისს შესდგომოდნენ. ციხის ორ ოთახს სროლის ხმის ჩასახშობად ხავერდი გამოაკრეს. თითოეული პატიმარი ჯერ შინსახკომის ოფიციალური პირისთვის უნდა წარედგინათ სიაში მისი იდენტურობის გადასამოწმებლად. შემდეგ მას ხელბორკილებს დაადებდნენ და დახვრეტის ოთახში შეიყვანდნენ, სადაც უკნიდან თავში სროლით მოკლავდნენ. შემდეგ გვამს ოთახიდან გაიტანდნენ და პროცესი ახალი მსხვერპლით განმეორდებოდა.

პოლონელთა პირველი ჯგუფი კალინინის ციხეში ახლომდებარე ოს-ტაშკოვოს ბანაკიდან აპრილში მიიყვანეს. „უნდა გითხრათ, რომ პირველ ღამეს სამასი კაცი მოიყვანეს", იხსენებს ტოკარევი. „ეს ძალიან ბევრი იყო. მაშინ მოკლე ღამე იყო, არადა მხოლოდ ღამით უნდა გვემუშავა. ამი-ტომ შემდგომში ყოველ ღამე უკვე ორასორმოცდაათი კაცი მოყავდათ". ადამიანებს შინსახკომის შედარებით დაბალი რანგის თანამშრომლები, მათ შორის მძღოლები და მებადრაგეები ხვრეტდნენ. ერთ-ერთი მათგანს, გვარად ბლოხინს, სპეცტანსაცმელი ეცვა – ყავისფერი ტყავის წინსაფა-რი ეკეთა, ტყავის გრძელი ხელთათმანები ეცვა და ტყავის ქუდი ეხურა. „საშინელი სანახავი იყო", იხსენებს ტოკარევი. ირონიას იწვევს ის ფაქტი, რომ საბჭოთა ჯალათები გერმანულ პისტოლეტს – ვალტერს იყენებდნენ, რადგან იგი ჯობდა ანალოგიურ საბჭოურ იარაღს. მაგრამ ამ საუცხოო

გერმანულ იარაღსაც კი უჭირდა ზედიზედ ამდენი გასროლა და, ტოკარევის თქმით, ჯალათებს ჩემოდნებით უწევდათ სათადარიგო პისტოლეტების თრევა. მისივე გადმოცემით, დახვრეტამ დაახლოებით ერთი თვე გასტანა და ყოველთვის ღამით ხდებოდა. კალინინის ციხეში დახვრეტის დასრულების შემდეგ „წარმატების აღსანიშნავად" საზეიმო ბანკეტი გაიმართა. ტოკარევი ირწმუნებოდა, რომ ბანკეტს არ დასწრებია.

პოლონელ ტყვეთა სამი ბანაკიდან სიდიდით მეორე სტარობელსკის ბანაკის ტუსაღთა დახვრეტაც ანალოგიური სცენარით ჩატარდა ხარკოვის შინსახკომის ციხეში. პატიმრებს აქაც ღამით ხოცავდნენ უკნიდან თავში დამიზნებით. მათ გვამებსაც სატვირთო მანქანებით ეზიდებოდნენ ახლომდებარე ტყეში გათხრილი საერთო სამარხისკენ.

კოზელსკის ბანაკის პოლონელ პატიმართა დახვრეტა კი სხვაგვარად განხორციელდა. კატინის მიყრუებული ტყე მათი არა მარტო განსასვენებელი, არამედ დახოცვის ადგილიც გახდა. ნინა ვოევოდსკაია[90], რომელიც 1940 წელს თერთმეტი წლის იყო, იხსენებს, თუ როგორ იხილა სატვირთო მატარებელში გამომწყვდეული პოლონელები კატინის ტყესთან ახლოს გნეზდოვოს სადგურთან. იმ აკრძალულ ზონაში შესვლა იმიტომ მოახერხა, რომ ბიძამისი შინსახკომის ოფიცერი იყო და ნინას და მის უმცროს დას შესთავაზა, თუ გინდათ პოლონელებს გაჩვენებთო. მან ბავშვები რკინიგზის ჩიხთან მიიყვანა, სადაც მატარებლის რამდენიმე ვაგონი იდგა გისოსებიანი ფანჯრებით. „პოლონელები იქიდან ხელს გვიქნევდნენ და გვესალმებოდნენ. ისინი სამხედრო ფორმიანი ახალგაზრდები იყვნენ. ახლაც მახსოვს, რა ლამაზები იყვნენ", იხსენებს ნინა.

წინათ გავრცელებული ვერსიის თანახმად, სადგურიდან ყველა პოლონელი იმღამითვე წაიყვანეს ტყეში დასახვრეტად, მაგრამ 1990 წელს რუსეთის მთავრობის მიერ კატინის საქმის გამოსაკვლევად დანიშნულმა ერთ-ერთმა პროკურორმა დაადასტურა ვოევოდსკაიას ჩვენების სისწორე[91]. როგორც ჩანს, ჯალათები ტყეში ვერ აუდიოდნენ ამდენი ხალხის დახვრეტას, ამიტომაც ნანილს მატარებელში გნეზდოვოს სადგურთან ახლოს აცდევინებდნენ. რაოდენ შეუსაბამოც უნდა მოგვეჩვენოს ნინას მიერ აღწერილი მათი მხიარულება, ესეც მოვლენათა ჯაჭვში ჯდება. პოლონელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ისინი შრომით ბანაკში მიყავდათ. მათდამი მოპყრობასაც კი გაუმჯობესების ნიშნები ეტყობოდა – ყველა მათგანს მატარებელში საჭმელი მისცეს და აცრეს. ჰოდა, რომელი ჭკუათმყოფელი აცრიდა დასახვრეტად გამზადებულ ხალხს?

გნეზდოვოს სადგურიდან პოლონელები შინსახკომის სატვირთო მანქანებით ჯგუფ-ჯგუფად გადაჰყავდათ ტყეში. ადგილობრივმა მოსახლეობამ მალევე შეიტყო, თუ რა ხდებოდა იქ. რუსმა კოლმეურნე ო.კისელიოვმა[92] 1943 წელს გერმანელებს უამბო, რომ „1940 წლის გაზაფხულზე ოთხი-ხუ-

თი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად ხალხით სავსე სამი-ოთხი სატვირთო ავტომანქანა შედიოდა ტყეში... იქიდან ხშირად მესმოდა სროლისა და ადამიანთა გოდების ხმა... ჩვენს მხარეში ყველამ იცოდა, რომ შინსახკომმა პოლონელები დახვრიტა".

ზუსტად არავინ იცის, თუ რატომ დახვრიტეს პოლონელები პირდაპირ კატინის ტყეში და არა შინსახკომის ციხეში, როგორც ეს სხვა ბანაკებში ხდებოდა. სავარაუდოდ იმიტომ, რომ, რაკი ამ ტყეს ღობე ერტყა, რადგან წლების განმავლობაში აქ აკრძალული ზონა იყო, და ტყეში პატარა სახლი იდგა, რომელიც შინსახკომმა ბაზად გამოიყენა, მკვლელებმა იფიქრეს, რომ პოლონელების დახვრეტა უშუალოდ მათ საფლავებთან უფრო მარტივი იქნებოდა.

აპრილის დეპორტაცია

პოლონელი ოფიცრებისა და ინტელიგენციის დახოცვასთან ერთად მიზანში იყვნენ ამოღებული პოლონეთში დარჩენილი მათი ოჯახების წევრებიც. 5 მარტის ბრძანების შემდეგ მალენკოვ ბერიამ მოამზადა და შინსახკომს დაამტკიცებინა ახალი დირექტივა, რომლის თანახმადაც დახვრეტილი პოლონელების დედები, ცოლები, დები, შვილები და სხვა ნათესავები აღმოსავლეთ პოლონეთიდან უნდა გაესახლებინათ.

ბოგუსლავა გრივინმა, რომლის მამაც კატინის ტყეში დახვრიტეს, თავის ოჯახთან ერთად ერთი დღით ადრე შეიტყო, რომ გადასახლებას უპირებდნენ. ბოგუსლავას დედას აზრადაც არ მოსვლია დამალვა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ქმართან მიჰყავდათ გადასახლებაში. ბოგუსლავა იხსენებს: „მან მაშინვე თქვა, მამათქვენთან მივდივართ, ამით ჩვენ მას სიყვარულს დავუმტკიცებთო".

1940 წლის წლის 13 აპრილის ნაშუაღამევს მათ კარზე კაკუნი გაისმა. ეს იყო შინსახკომის ჯარისკაცი, რომელიც, ვითარების მიუხედავად, საკმაოდ კეთილგანწყობილი აღმოჩნდა. „იგი საკუჭნაოში შევიდა და იკითხა: „თქვენია ეს ყველაფერი?" დიახო, უპასუხა დედამ. მერე, რატომ არ მიგაქვთო,იკითხა მან. შემდეგ საჭმელებით სავსე დიდი კალათა გამოიღო და გვითხრა, ეს წაიღეთო. შემდეგ ჭურჭლის კარადაც გამოაღო და ჭურჭლის წაღებაც გვირჩია, ასევე გვირჩია საბნებისა და ზეწრების წაღებაც. იცოდა, რომ უკან აღარ დავბრუნდებოდით. დედაჩემი კი იდეალისტი იყო და ქმართან ერთად მოწამებრივი ცხოვრებისთვის ემზადებოდა. იმ ჯარისკაცის მადლობელი ვარ, რომ ასეთი სასარგებლო რჩევები მოგვცა".

გასაოცარია შინსახკომელთა საქციელის შესახებ გადასახლებულთა ჩვენებებს შორის განსხვავება. მაშინ, როცა ბოგუსლავა გრივინი „მად-

ლიერია“ მისი და მისი ოჯახის გამსახლებლის, თადეუშ მარკოვის[93] შთაბეჭდილება სრულიად სხვაგვარია. „მხოლოდ მცირეოდენი პური წავიღეთ, რადგან გვითხრეს, რომ სადილისთვის უკან დავბრუნდებოდით“, წერს იგი. „[ასევე] გვითხრეს, რომ თუ ძველმანებს ჩავიცვამდით, მამას გაათავისუფლებდნენ“ (მოტყუების პოლიტიკა, რის შედეგადაც საუკეთესო საკვები და ჩასაცმელი შინსახკომს რჩებოდა საძარცვად).

აპრილის იმ ღამეს ოკუპირებული პოლონეთის უკიდურეს აღმოსავლეთში, უკრაინის საზღვართან ახლომდებარე ქალაქ როვნოშიც გააღვიძეს შინსახკომელებმა კიდევ ერთი ოჯახი. იქ სკოლის მოსწავლე ნინა ანდრეევა[94] ცხოვრობდა თავის ქვრივ დედასთან ერთად. მისი უფროსი ძმა, ბოისკაუტი (მზეერავი ბიჭი) გასულ შემოდგომაზე დააპატიმრეს. ამ გოგონას ამბავი, ბოგუსლავა გრივინის ისტორიის მსგავსად, იმის მაჩვენებელია, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვა კატინის მკვლელობას, და შეგვახსენებს, რომ ბერიას დირექტივებმა პოლონელი ოფიცრების, ინტელიგენციისა და მათი ოჯახების გარდა მრავალი სხვაც დააზარალა.

შინსახკომმა ნინას ძმა იმ აპრილამდე ექვსი თვით ადრე ღამით დააპატიმრა. „მაშინ ხმაურზე გამეღვიძა და ძალიან შევშინდი. ოთახში უცხო ჯარისკაცები მიდი-მოდიოდნენ. იურეკს [ნინას ძმა] სკოლის ქურთუკი ეცვა. დაგვემშვიდობა და წავიდა. იმის შემდეგ ის აღარ გვინახავს“. ნინას დედა გამწარებული იძიებდა თავისი შვილის ბედს, მაგრამ მხოლოდ ის გაარკვია, რომ ბოისკაუტების მასობრივი დაპატიმრება ქალაქის პარკში ერთ-ერთი კომისრის მკვლელობით იყო გამოწვეული. ერთი მკვლელის ნაცვლად ყველა მოზარდი დააპატიმრეს „აღმზრდელობითი“ მოტივით.

ბოგუსლავას ოჯახის მსგავსად, ნინას და დედამისს შინსახკომმა ბარგის ჩასალაგებლად ოცი წუთი მისცა, მაგრამ ბოგუსლავასგან განსხვავებით მათ არცთუ წესიერი ჯარისკაცები შეხვდნენ. ბევრს ნურაფერს ჩაალაგებთო, ურჩიეს მათ. ძვირფასეულობას და ოქროს ნუ წაიღებთ, ნურც ფულს წაიღებთო.

„აბა სხვა რა უნდა წაგვეღო?“ თქვა ნინამ. „ჰოდა, მეც ჩემი თოჯინა წავიღე“.

იმ აპრილში აყრილი სხვა ოჯახების მსგავსად ბოგუსლავას და ნინას ოჯახებიც სატვირთო მანქანებით უახლოეს რკინიგზის სადგურში მიიყვანეს და სატვირთო ვაგონებში შეყარეს აღმოსავლეთით გასაგზავნად.

მატარებელში აუტანელი პირობები იყო. ბოგუსლავამ და დედამისმა ორსართულიანად გადაკეთებული ვაგონით იმგზავრეს, რომლის პირველ სართულზე ბარგი ეწყო, მეორეზე კი ხალხი და მათი საწოლები იყო განთავსებული.ეს საშინელ სივიწროვეს ქმნიდა და განძრევაც კი შეუძლებელი იყო. „მაშინ მრავალი დღის განმავლობაში უძრავად ყოფნის გამო დღემდე თრომბოზი მაწუხებს“, გვიამბობს ბოგუსლავა. „მძიმე პირობებში ვიყავით.

[ტუალეტის ნაცვლად] ერთი სათლი გვედგა, ამიტომ ვინმეს ზენარი ან საბანი უნდა აეფარებინა. მეორე უბედურება ის იყო, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში ვერ ვიბანდით და ტანსაცმელს ვერ ვიცვლიდით".

„ყველა ვგრძნობდით, რომ საშინელი უსამართლობის მსხვერპლი გავხდით. ყოველთვის გვჯეროდა, რომ ჩვენს საკუთრებას ვერასოდეს ვერავინ შეეხებოდა. გლეხის ნათქვამია, გლეხზე უარესს ვერავინ გამხდისო. ყველას ეგონა, რომ თუ გაქვს მიწა, გაქვს სახლი, მუდამ შენი იქნება და ვერავინ ვერასოდეს წაგართმევს. მამაჩემმა ჩვენი სახლი რომ ააშენა, თქვა, ეს ჩემი შვილებისა და შვილიშვილებისაც არისო... ახლა კი ასე უცებ ყველაფერი გაქრა".

როცა ბოგუსლავამ ვაგონში მყოფი ხალხი გაიცნო, მიხვდა, რომ იქ აღმოსავლეთ პოლონეთის ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ. მართალია უმრავლესობას კათოლიკე პოლონელები შეადგენდნენ, მაგრამ უკრაინელებიც და ებრაელებიც ბლომად იყვნენ. მას ვერ გაეგო, თუ რა საერთო დანაშაული აკავშირებდა ამ ხალხს. რასაკვირველია, მან არ იცოდა, რომ ისინი ყველა პოლონური ინტელიგენციის დასახვრეტად განწირულ წარმომადგენელთა ოჯახის წევრები იყვნენ.

ამ მატარებლებში ყველაზე მეტად მოხუცები და ბავშვები იტანჯებოდნენ. ნინა ანდრეევამ უყურა, როგორ მოუკვდა ვაგონში ერთ-ერთ ოჯახს ჩვილი გოგონა და მოძრავი ვაგონის კარიდან როგორ მოისროლა მისი გვამი შინსახკომელმა გუშაგმა. „ამ საშინელების აღწერა შეუძლებელია", თქვა მან.

აპრილის დეპორტაციის მსხვერპლთ საბჭოთა კავშირის მიყრუებულ აღმოსავლეთში – ძირითადად ციმბირსა და ყაზახეთში უკრეს თავი. თუკი თებერვალში გადასახლებული მარჩენალიანი ოჯახები ძირითადად ხეტყის გადამამუშავებელ ბანაკებში გაანაწილეს, აპრილში აყრილ ოჯახთა უმრავლესობა, რომელებიც მხოლოდ ქალებისა და ბავშვებისგან შედგებოდა, მიყრუებულ კოლმეურნეობებში გაამწესეს.

ნინა ანდრეევასა და დედამისის მატარებელი თითქმის ორკვირიანი მოგზაურობის შემდეგ ღამით ჩრდილოეთ ყაზახეთის ერთ-ერთ პატარა სადგურში შევიდა. ირგვლივ სულ თოვლი და თოვლჭყაპი იყო. თვალს მხოლოდ შავი ტყე და ტუნდრა იტაცებდა. გადასახლებულნი კიდევ ერთხელ შეყარეს სატვირთო მანქანებში და დანიშნულების ადგილისკენ წაიყვანეს. "დიდხანს არ გვიმგზავრია", ამბობს ნინა. „რადგან ჩვენი სატვირთო მანქანა მალევე ჩაეფლო თოვლჭყაპში. გარს თვალუწვდენელი ტრამალი გვერტყა. სადღაც მოშორებით ტყე მოჩანდა და დავინახეთ, თუ როგორ წამოვიდა ამ ტყიდან ჩვენკენ მგლების მთელი ხროვა".

მგლებმა სატვირთო მანქანას შეუტიეს. „მანქანის ძარა მაღალი იყო, მაგრამ მაინც შეგვეშინდა. დედაჩემმა რაღაც ნაჭერში შემფუთა და დამმა-

ლა. ავტომანქანის მძღოლმა ჩვარი დაასველა ბენზინით და აანთო. მგლები ცეცხლმა დააფრთხო და უკან დაიხიეს, მაგრამ მერე ისევ შეჯგუფდნენ და შემოგვიტიეს. გათენებამდე ასე გაგრძელდა", იხსენებს ნინა.

მეორე დილით ტრაქტორი მოვიდა და მანქანა ტალახიდან ამოათრია. ლტოლვილებმა გზა განაგრძეს და მიაღწიეს კოლმეურნეობას, სადაც ახალი უსიამოვნება ელოდათ. ირგვლივ ერთი საცხოვრებელი სახლიც კი არსად მოჩანდა: „სახლები არ იყო; უეცრად სადღაც თოვლიდან კვამლი ამოვიდა, მერე სხვაგანაც დავინახეთ. ბოლოს ადამიანებიც გამოჩნდნენ, მიწურებიდან ამოდიოდნენ".

ამის დანახვამ შოკში ჩააგდო ნინა და მისი ოჯახი, რადგან შედარებით კომფორტულ ქალაქურ ცხოვრებას იყვნენ ნაჩვევი. სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც ცხენზე ამხედრებულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თანასოფლელებს განუცხადა, ამათ სახლებში ნუ შეიფარებთ, რადგან პოლონელები, არიან, და მაშასადამე ხალხის მტრებიო. დეპორტირებულებს ტყეში სიცივით სიკვდილი ემუქრებოდათ, მაგრამ ზოგიერთმა ყაზახმა გლეხმა შეიცოდა ისინი და ზოგი თავლაში, ზოგი კი მიწურის სხვენში დააბინავა.

ნინას და მისი ოჯახის შემფარებელი ქალი რამდენიმე კვირაში ტუბერკულოზისაგან გარდაიცვალა და თავმჯდომარემ ნინას ოჯახი ისევ ქუჩაში გამოყარა. „ამიტომ დედაჩემი ფეხით წავიდა რაიონულ ცენტრში, რომელიც ჩვიდმეტი კილომეტრით იყო დაშორებული, შეიძლება მეტითაც, ზუსტად არ ვიცი და ჰოსპიტალში სანიტრის სამუშაო იშოვა".

ჰოსპიტალში გამომუშავებული გროშებით ნინას დედამ სხვა დეპორტირებულებთან საზიაროდ მიწურის დაქირავება შეძლო. „საშინელი სახლი იყო და შიგ თორმეტი ოჯახი ვცხოვრობდით. ჩვენ ერთი კუთხე გვეკავა, სადაც მხოლოდ შინიდან წამოღებული კალათი გვედგა. ამ კუთხეში შეყუჟულებმა სამი წელი ვიცხოვრეთ".

პირველივე ზამთარს ერთ-ერთ თანამობინადრეს დედა გარდაეცვალა. „იმ სუსხიან ზამთარში მიწა გაყინული იყო და საფლავს ვერ თხრიდნენ. არც სასაფლაო გვქონდა და ზამთარში მკვდრებს თოვლში მარხავდნენ, საიდანაც მათ ველური ძაღლები და მგლები თხრიდნენ და ჭამდნენ. ჩვენს მიწურში გარდაცვლილი ქალის ვაჟიშვილს არ სურდა დედამისის გვამს ასე დამართოდა და გვთხოვა, ნუ მიწყენთ, არ მინდა დედაჩემი მგლებმა დაგლიჯონ, ნება მომეცით აქ ესვენოს, სანამ მიწა გალღვება და საფლავს გავთხრი. ისედაც ჩონჩხდაა ქცეული, გაყინული მორივითაა და არ გაიხრწნებაო. ასე ესვენა ეს ქალი დერეფანში მერხზე და ყოველ შესვლა-გამოსვლისას გვერდს ვუვლიდით".

წარმოუდგენლად საშინელ პირობებში უწევდათ არსებობა ამ ქალებსა და ბავშვებს. მათ მდგომარეობას ის მტანჯველი განცდაც ამძაფრებდა,

რომ არ იცოდნენ რა ბედი ეწიათ მათ მამებს, ქმრებსა და ძმებს. რუსეთის არქივში ფურცლის ნაგლეჯზე დაწერილი ერთი წერილი ინახება, რომელიც ამ ტანჯვის ასახავს. იგი პატარა გოგონას – კრისი მიკუნსკოის დაწერილია და „ჩვენს ძვირფას და კეთილ მამა სტალინს" ეძღვნება. მასში წერია: „ახლა ავად ვარ და ვნევარ, და ძალიან დამწუხრებული ვარ, რადგან მენატრება მამა, რომელიც თვეებია არ მინახავს. ჩემთვის ვიფიქრე, რომ მხოლოდ თქვენ – დიდ სტალინს შეგიძლიათ დამიბრუნოთ იგი. ის ინჟინერია, ომის დროს სამსახურში გაიწვიეს და ტყვედ ჩავარდა, ამჟამად კი სმოლენსკის ოლქის კოზელსკის ციხეში ზის. ჩვენ პინსკადან ყაზახეთის რესპუბლიკაში გადაგვასახლეს... აქ ნათესავები არ გვყავს. დედაჩემი ძალიან ავადაა. მთელი გულით გევედრებით, დაგვიბრუნეთ მამაჩემი[95]". სტალინს, რასაკვირველია, არასოდეს გაუცია პასუხი ამ თხოვნაზე.

არ არსებობს იმის ზუსტი სტატისტიკური მონაცემები, თუ რამდენი ადამიანი გადაასახლეს 1940 წლის აპრილში აღმოსავლეთ პოლონეთიდან. რუსეთის არქივებში არსებულმა მონაცემებმა დაახლოებით სამოცი ათასი ადამიანი გამოავლინა, მაგრამ ბევრის აზრით ეს ციფრი მეტად მცირეა. სინამდვილესთან უფრო ახლოა ადრინდელი ვარაუდი დაახლოებით სამასი ათასი ადამიანის შესახებ[96].

არ არის დადგენილი დეპორტაციის შედეგად დაღუპული ადამიანების ზუსტი რაოდენობაც, თუმცა ფართოდ გავრცელებულია აზრი, რომ ამ რეპრესიების შედეგად გადასახლებულთა ერთი მესამედი დაიღუპა. დოკუმენტებით დასტურდება, რომ უდავოდ დაკავშირებულია ერთმანეთთან აპრილის დეპორტაცია და კატინის მკვლელობა. პოლონელი სამხედროების დახოცვის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ მათი ოჯახები საბჭოთა კავშირის გაყინულ ტრამალებში გადახვეწა. ამ ოჯახებს თვით საბჭოელთა თვალშიც კი არავითარი დანაშაული არ მიუძღოდათ – თუ დანაშაულად არ ჩავთვლით იმას, რომ ისინი მოკლულთა ნათესავები იყვნენ. მათი გადასახლება კი გრანდიოზული მასშტაბის დანაშაული იყო, რომლის გამო ერთი ადამიანიც კი არ წარმდგარა მართლმსაჯულების წინაშე.

დეპორტაცია საიდუმლოს არ წარმოადგენდა და დასავლეთის გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ ამ პროცესს. „საბჭოთა ხელისუფლება აღმოსავლეთ პოლონეთის მოსახლეობის დიდი ნაწილს შიდა რუსეთში ასახლებს“[97], იუწყებოდა 1940 წლის 15 აპრილის „ნიუ-იორკ ტაიმსი“. „ქვეყნიდან გასასახლებლებს მხოლოდ თხუთმეტი წუთი ეძლევათ საკუთარი სახლების დასატოვებლად... მძიმე ავადმყოფებსაც კი გაყინულ საიმიგრაციო მატარებლებში ტენიან“. სტატიაში ასევე საუბარი იყო შინსახკომის მიერ პოლონელთა ღამით დაპატიმრების, აღმოსავლეთ პოლონეთის საბჭოურ ციხეებში აუტანელი პირობებისა და ოკუპირებულ რეგიონში ტექნიკისა და აღჭურვილობის სისტემატიური ძარცვის შესახებ.

ბრიტანეთის მთავრობაც კარგად იყო ინფორმირებული პოლონეთის მოვლენების შესახებ. ლონდონში ბაზირებულ პოლონეთის დევნილ მთავრობაში მივლინებული ბრიტანეთის ელჩი სერ ჰოვარდ კენარდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ ჰალიფაქსისადმი 1940 წლის 18 მაისს გაგზავნილ პატაკში იუწყებოდა[98]: „ისევ დიდი მასშტაბით განხორციელდა დეპორტაციის პოლიტიკა... დეპორტირებულთა უმრავლესობა ინტელიგენციაა, რომელიც ამჟამად საზღვარგარეთ მყოფი პოლონელი ოფიცრების ცოლების და ოჯახის წევრებისგან შედგება. ასევე შეინიშნება სასკოლო ასაკის ყმაწვილთა მასობრივი დაპატიმრებაც... მსგავსი ბედი ელით საბჭოელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ჩრდილოეთში მცხოვრებ პოლონელ მიწათმფლობელებსაც. ყველაზე საშინელი ისაა, რომ გადასახლებულთა უმრავლესობა ქალები და ბავშვები არიან, რადგან მამაკაცები ძირითადად უკვე ან საზღვარგარეთ ან რუსების ციხეებში და საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებიან“.

ამ პატაკის შედგენამდე ორიოდე კვირით ადრე კენანმა საგარეო საქმეთა სამინისტროს შეტყობინება გაუგზავნა იმის თაობაზე, რომ პოლონეთის დევნილი მთავრობა აპირებდა, ეთხოვა ბრიტანეთის მთავრობისთვის, დაეგმო საბჭოელების სიმხეცე ოკუპირებულ პოლონეთში, რათა სამშობლოში შეეტყოთ „ამ ბარბაროსობით მათი აღშფოთების შესახებ[99]“. კენარდის თქმით, მან აუხსნა პოლონელებს, რომ უაღრესად ძნელი იქნება ჩვენი დათანხმება ასეთი დეკლარაციის მიღებაზე. საბჭოთა კავშირი ჩვენ არ გვეომება და ამიტომ ამ მომენტისთვის მიზანშეუწონლად მიგვაჩნია ასეთი განცხადების გაკეთებაო.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანმა სერ უილიამ სტრანგმა კენარდის შეტყობინებას 14 მაისს უპასუხა, სადაც წერდა: „სავსებით ვეთანხმებით თქვენ მიერ არჩეულ პოზიციას... ერთია, რომ ჩვენმა ალიანსმა საერთო დეკლარაცია მიიღოს გერმანიის მიმართ, რომელთანაც სა-

მივე წევრი საომარ ვითარებაში ვიმყოფებით, ხოლო სულ სხვაა მსგავსი საერთო დეკლარაცია გაკეთება სსრკ-ს მიმართ, რომელთანაც მხოლოდ პოლონელებს აქვთ ურთიერთობა გაწყვეტილი[100]". ამრიგად, ბრიტანეთის მთავრობამ არა მარტო იცოდა საბჭოელთა მიერ აღმოსავლეთ პოლონეთში ჩადენილი მრავალი მხეცობის შესახებ, არამედ შეგნებულად გადაწყვიტა მისი წაყრუება, თანაც იმავდროულად ღიად თათხავდა ნაცისტებს დასავლეთ პოლონეთში ჩადენილ მსგავს დანაშაულობათა გამო.

ძნელი მისახვედრი არაა, თუ რატომ აირჩია ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასეთი ტაქტიკა, რადგან იგი ფაქტობრივად იმავე პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომელსაც ბრიტანეთი 1939 წელს საბჭოელების აღმოსავლეთ პოლონეთში შეჭრის შემდეგ ახორციელებდა. ბრიტანეთის მთავრობა მიიჩნევდა, რომ თავისთავად გერმანიასთან ომი საბჭოელებთან კონფლიქტის გარეშეც უკვე საკმაოდ მძიმე იყო და აღარ აპირებდა ამ ახალი კონფლიქტის გაღვივებას. თუმცა ასეთი წაყრუების პოლიტიკას ბრიტანეთისთვის საზიანო ორი შედეგი მოჰყვა. ჯერ ერთი, მისი მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ვერ შეიცნო პოლონეთში ნაცისტებისა და საბჭოელების ქმედებათა იდენტურობა. მეორე, საბჭოთა ხელისუფლება თავის მხრივ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა არ აპირებდა მისთვის პასუხი მოეთხოვა პოლონეთში ჩადენილ დანაშაულობათა გამო.

ბრიტანეთის ასეთი პოლიტიკა ემყარებოდა იმ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირი ნაცისტების მოკავშირე კი არ იყო, არამედ მათთან მხოლოდ თავდაუსხმელობის პაქტი გააფორმა. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო. საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა ნაცისტების მართალია გაუფორმებელ, მაგრამ სრულყოფილ მოკავშირეს. იგი არა მარტო ომის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულს აწვდიდა გერმანელებს, არამედ – და ეს იყო საბჭოელების ყველაზე დიდი საიდუმლო ამ ომში – სამხედრო დახმარებასაც უწევდა მათ.

ფარული სამხედრო დახმარება გერმანელებისადმი

1939 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირის შორეული ჩრდილოეთის ქალაქ მურმანსკის პორტში გერმანული გემები გამოჩნდნენ, რომლებიც სამშობლოში წასაღები ხორბლით დატვირთეს. გერმანელი მეზღვაურები თავისუფლად დასეირნობდნენ ქალაქში და „საერთაშორისო კლუბში" – პორტთან ახლომდებარე ხის სახლში ერთობოდნენ. შედეგად ზოგიერთ გერმანელსა და ადგილობრივ გოგონას შორის კავშირი დამყარდა, თუმცა ეს ოფიციალურად იკრძალებოდა. „მე მგონი", ამბობს მურმანსკელი მა-

რია ვეტშევა[101], რომელიც მაშინ ჩვიდმეტი წლის გოგონა იყო, „სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც საპორტო ქალაქში მეზღვაური სამეგობროდ გოგონას ეძებს და პოულობს“.

სანამ გერმანული სავაჭრო გემის მეზღვაურები საბჭოელებთან მეგობრობის ძაფებს აბამდნენ, საზოგადოებისგან მალულად სხვა, საიდუმლო ხასიათის საზღვაო თანამშრომლობა ვითარდებოდა. ამის საფუძველი გახდა რიბენტროპის მიერ გაჟღერებული თხოვნა სტალინთან და მოლოტოვთან 1939 წლის სექტემბერში მისი შეხვედრის დროს[102]. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაშინ იკითხა, შეეძლოთ თუ არა საბჭოელებს მურმანსკში ბაზა გამოეყოთ გერმანელებისთვის წყალქვეშა ნავების შესაკეთებლად, რაზეც პრინციპული თანხმობაც მიიღო. თუმცა მოგვიანებით საბჭოელები შეშფოთდნენ იმის გამო, რომ ბრიტანელებს ან სხვებს შეეძლოთ გაეგო ამ სამხედრო დახმარების შესახებ.

5 ოქტომბერს გერმანიის ელჩმა მოსკოვში შულენბურგმა ბერლინს შეატყობინა, რომ მოლოტოვის აზრით მურმანსკი არ იყო „საკმარისად იზოლირებული[103]“ გერმანიის საზღვაო ბაზის განთავსებისთვის; ამჯერად მან გერმანელებს კოლის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთში გადაკარგული ნავსადგური ტერიბერკა შესთავაზა. ექვსი დღის შემდეგ საბჭოელებმა ისევ შეიცვალეს აზრი და ახლა უკვე ზაპადნაია ლიზას ყურე შესთავაზეს გერმანელებს. საბჭოთა საზღვაო კომისარიატის მიერ მალევე გაცემული ნებართვის თანახმად, გერმანელებს შეეძლოთ ეს ბაზა გამოეყენებინათ წყალქვეშა ნავებისა და „სავარაუდოდ სხვა სამხედრო გემების“ შესაკეთებლად და აღსაჭურვად. უსაფრთხოების მიზნით არცერთ შეტყობინებაში არ უნდა ყოფილიყო ნახსენები ბაზის ნამდვილი სახელი და ამიერიდან მას „*Basis Nord*“ (ჩრდილოეთის ბაზა) უნდა რქმეოდა. პირველი ამ ბაზაში 1939 წლის 1 დეკემბერს გერმანული მომარაგების გემი *Sachsenwald*-ი შევიდა, რომელსაც მალევე რამდენიმე სხვა გემი მიჰყვა. 9 დეკემბერს, სამხედრო თანამშრომლობის გაფართოების ფარგლებში, საბჭოელებმა გერმანელებს სთხოვეს „ჩრდილოეთ შვედეთში მიმავალი თავიანთი გემების საშუალებით საბჭოთა წყალქვეშა ნავებისთვის სურსათი და საწვავი მიეწოდებინათ[104]“. ეს წყალქვეშა ნავები ფინეთის ბლოკადას ახორციელებდნენ. ოთხი დღის შემდეგ საბჭოელებს სავარაუდოდ უკეთესი იდეა მოუვიდათ თავში, რადგან ეს თხოვნა უკანვე წაიღეს.

საბჭოთა ხელისუფლებას ერთგვარად აღიზიანებდა საბჭოთა კავშირის ამ მიყრუებულ მხარეში გერმანელთა სამხედრო ყოფნა, და ამ გაღიზიანებამ არაერთგზის იჩინა თავი. მაგალითად, გერმანელებს არ მიეცათ ბაზასთან საკუთარი რადიოკავშირის დამყარების უფლება. ისინი აიძულეს ყველა შეტყობინება იმავე ყურეში ღუზაჩაშვებული საბჭოთა სავახტო გემის საშუალებით გადაეცათ. ეს მეთოდი უაღრესად არაეფექტიანი იყო,

რადგან საბჭოელები შეუჩვევეველნი იყვნენ ლათინურ შრიფტს და უამრავ შეცდომას უშვებდნენ. ამ შეზღუდვების გამო გარკვეული დროის შემდეგ ჩრდილოეთის ბაზაზე სავალალო ვითარება შეიქმნა და გერმანიის არც ერთი წყალქვეშა ნავი ან რაიმე სხვა სამხედრო გემი იქ აღარ შესულა. მართალია დაიგეგმა ორი წყალქვეშა ნავის შეკეთება, მაგრამ ერთი მათგანი ბაზის ექსპლოატაციაში შესვლამდე ჩაიძირა, ხოლო მეორის შეკეთების საჭიროება არ დამდგარა – რაც გერმანელებისთვის ალბათ ჯობდა კიდეც, რადგან საბჭოელების ეჭვიანობისა და ჭირვეულობის გამო მათი მომარაგების გემები თავად გახდა მოსამარაგებელი.

1940 წლის აპრილში საბჭოელებმა გერმანელებს ბაზის კიდევ უფრო შორს – მიყრუებული იოკანგის ყურეში გადატანა შესთავაზეს. მოლოტოვმა გერმანიის საზღვაო ატაშეს მოსკოვში განუცხადა, რომ საბჭოელები ფრთხილობდნენ, რათა ფინეთის შორიახლო მფრინავ მოკავშირეთა თვითმფრინავს არ ამოეცნო გერმანული გემები. როცა გერმანელმა კავშირგაბმულობის ოფიცერმა აუერბახმა 20 მაისს ეს ახალი ბაზა პირველად მოინახულა, იქ დემორალიზებული თანამემამულე მეზღვაურები იხილა. მის ანგარიშში წერია, რომ იქ მყოფი მომარაგების გემების ეკიპაჟის მდგომარეობა სავალალოა უმთავრესად იმიტომ, რომ ჩრდილოეთის ბაზას არავითარი არსებითი დატვირთვა არა აქვსო[105]. მათი მოკავშირე საბჭოელებიც ვერ აღმოჩნდნენ კარგი მასპინძლები; აუერბახის საბჭოთა კოლეგამ მასთან ლაპარაკიც კი არ ისურვა, რამაც გერმანელი ერთობ გააოგნა.

მოსკოვში გერმანიის საელჩოში ფიქრობდნენ, რომ პრობლემების მიზეზი საბჭოური სისტემის ხარვეზები იყო და არა კრემლის ხრიკები. გერმანელი სამხედრო-საზღვაო ატაშე იტყობინებოდა, რომ საზღვაო კომისარიატში და სხვა საბჭოთა დეპარტამენტებში მთავრობის ეშინიათ და არ სურთ პასუხისმგებლობის [საკუთარ თავზე] აღებაო[106].

პირქუში ცხოვრება ჰქონდათ გერმანელ მეზღვაურებს ჩრდილოეთის ბაზაზე. გერმანული გემის *Phoenicia*-ს ექიმი კამპფი 1940 წლის აპრილში თავის დღიურში წერდა უვარგისი რუსული საკვების შესახებ, რომელიც შედგებოდა „მლაშე თევზის, ირმისა და საქონლის დაობებული ხორცისა და მომწარო რუსული კარაქისგან[107]“. უვარგისმა საკვებმა, ხანგრძლივმა იზოლირებამ და მისიის უაზრობის შეგრძნებამ გერმანელ მეზღვაურებს ჯანმრთელობა შეურყია. თითოეულმა მათგანმა წონაში საშუალოდ ათი კილო დაიკლო; ისინი განიცდიდნენ „მუდმივ დაღლილობას, ამიტომ დღეში თექვსმეტი-თვრამეტი საათი ეძინათ... სურავანდშეყრილებს ღრძილებიდან ჩირქიანი სისხლი სდიოდათ... ახასიათებდათ სხვა უცნაური სიმპტომები... ბევრს შარდის გამოყოფა უჭირდა და ნვეთ-ნვეთად შარდავდნენ[108]“.

„თავს სრულიად მიტოვებულად ვგრძნობთ და მარტოობის განცდა გვაქვს“, წერდა ექიმი კამპფი 4 მაისს. „ირგვლივ პირქუში პეიზაჟია: ბრ-

ტყელი ზეგანი და თოვლი. არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი... სასმელიც აღარაფერი დაგვრჩა. გემზე საშინელი ატმოსფეროა, სულ კამათი და საქმის გარჩევაა. ზოგმა საჩივარიც კი მისწერა მეთაურებს[109]". ასევე უარყოფითია კამპფის დღიურში 29 მაისის ჩანაწერი საბჭოთა მოხელეების შესახებ: „მოკავშირე რუსი ოფიცერი მეტად ბოროტი ვინმეა, სულ შარზეა და გვაღიზიანებს, ყველაფერზე უარს გვეუბნება და აცხადებს, ჯერ ჩემს მეთაურს უნდა დავეკითხოო. გონებრივად შეზღუდული, ვერაგი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს და ჩემს დიდ აღშფოთებას იწვევს[110]".

გერმანელთა საომარ მოქმედებაში შეტანილი მცირე წვლილის მიუხედავად, ჩრდილოეთის ბაზის ისტორია საყურადღებოა იმით, რომ ცხადყოფს საბჭოელების შიზოფრენიულ დამოკიდებულებას გერმანიისადმი თანადგომის მიმართ. ერთი მხრივ, ჩრდილოეთის ბაზის დათმობით მათ აშკარა დახმარების ხელი გაუწოდეს ნაცისტებს; მეორე მხრივ, იდეოლოგიურად ნაცისტები მათ პოტენციალურ მტრებად რჩებოდნენ; ე. ი. ერთდროულად ისინი მოკავშირეებიც იყვნენ და მტრებიც. ძლიერი გერმანიის გული რომ მოეგო, საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო მისთვის პრაქტიკული სამხედრო დახმარება გაეწია, რითაც მის კიდევ უფრო გაძლიერებას უწყობდა ხელს. ამიტომ გასაკვირი არაა საბჭოთა ჩინოვნიკების მაშინდელი დაბნეულობა.

მაგრამ სანამ იმ მაისის დღეებში დოქტორი კამპფი საკუთარ შთაბეჭდილებებს თავის დღიურს ანდობდა, ჩრდილოეთ ბაზიდან სამხრეთ-დასავლეთით 1700 მილის დაშორებით სხვა მოვლენები ვითარდებოდა, რომლებმაც რადიკალური ცვლილებები შეიტანეს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ბალანსში და ძრწოლა მოჰგვარა დასავლეთის ალიანსს.

ნაცისტები იმარჯვებენ

პაქტის გაფორმების პერიოდში სტალინის ურთიერთობა ნაცისტებთან იმ ძირითად ვარაუდს ემყარებოდა, რომ გერმანიის ნებისმიერი მცდელობა, დაეპყრო საფრანგეთი, დროში გაიწელებოდა და ჰიტლერი ვეღარ შეძლებდა ყურადღება საბჭოთა კავშირზე გადაეტანა. სტალინის ეს ვარაუდი სრულიად მცდარი გამოდგა.

1940 წლის 10 მაისს გერმანული შენაერთები ოპერაცია *Fall Gelb*-ის („ყვითელი გეგმა") ფარგლებში ბელგიის არდენის ტყეების გავლით საფრანგეთს მიადგნენ. თანამედროვე ისტორიის ამ ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაციით, უპირატესად სატანკო ნაწილების მეთაურების გუდერიანისა და რომელის ბრწყინვალე სამხედრო ნიჭის წყალობით, გერმანელებმა ალყაში მოაქციეს დასავლეთის ალიანსის მთელი

არმია. 16 მაისს სედანის დაცემის შემდეგ, პარიზისაკენ გზა ფაქტობრივად ხსნილი აღმოჩნდა.

თავის მხრივ, ნორვეგიაში სამხედრო წარუმატებლობის გამო ლონდონში პრემიერ-მინისტრი ნევილ ჩემბერლენი გადადგა და იგი უინსტონ ჩერჩილმა შეცვალა. ასე მოუწია ჩერჩილს დიდი ბრიტანეთის მართვა ამ ერის ისტორიაში ყველაზე კრიტიკულ პერიოდში. მაისის დამლევს გერმანელებმა საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპირო დაიკავეს და ალიანსის ასეულ ათასობით მებრძოლი დიუნკერკში მოიმწყვდიეს, ასე რომ ბევრი აღარაფერი რჩებოდა ლა მანშის სრუტეს გადაღმა დიდი ბრიტანეთის დასაცავად.

ჩერჩილი მოგვიანებით თავის მემუარებში წერდა: „მომავალ თაობებს შეუძლიათ ყურადღების ღირსად ჩათვალონ ის ფაქტი, რომ ჩვენს სამხედრო საბჭოს სხდომაზე არასდროს დასმულა საკითხი, ღირდა თუ არა მარტოდმარტო ებრძოლა ბრიტანეთს[111]". სინამდვილეში კი საქმე არც ასე მარტივად იყო. ცნობილია, რომ 1940 წლის მაისში საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა ჰალიფაქსმა სამხედრო საბჭოს შესთავაზა, მუსოლინისთვის ეთხოვათ, ეშუამდგომლა ჰიტლერთან და გაერკვია თუ რა პირობებით შეიძლებოდა მასთან მოლაპარაკება. სამხედრო საბჭოს 27 მაისის სხდომის სტენოგრამის თანახმად, ჩერჩილმა ეს თემა განავრცო და აღნიშნა, რომ „თუ ჰერ ჰიტლერი მზად არის ზავის სანაცვლოდ დაკმაყოფილდეს გერმანიის კოლონიების აღდგენით და ცენტრალურ ევროპაში გაბატონებით, ამაზე თანახმა ვიქნებით, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჰიტლერმა ამგვარი შეთავაზება მიიღოს[112]".

ჩერჩილი ასეთი მსჯელობით ერთგვარ ბალანსს იცავდა – მას არც ჰალიფაქსის საქმიდან ჩამოშორება სურდა და არც ჰიტლერთან მოლაპარაკებაზე წასვლა. მას სჯეროდა, რომ ჰიტლერთან საზავო მოლაპარაკების ხელსაყრელი დრო მაშინ დადგებოდა, „როცა გერმანია დიდი ბრიტანეთის დაპყრობის წარუმატებელ მცდელობას განახორციელებდა". ჩერჩილის აზრით, გერმანიასთან დაზავების შემთხვევაში ჰიტლერი არასდროს მისცემდა ბრიტანეთს სამხედრო განვითარების უფლებას და ქვეყანა მისი სამონყალო გახდებოდა. ბრძოლისა და თუნდაც დამარცხების შემთხვევაში კი იმაზე უარეს დღეში არ ვიქნებით, ვიდრე ასეთი დაზავების პირობებშიო, მიაჩნდა მას. ჰალიფაქსის შეხედულებას, შუამავლობის ძიებაში ცუდი არაფერიაო, ჩერჩილმა დაუპირისპირა თავისი მოსაზრება, ბრძოლაში დამარცხებული ერები კვლავ აღდგებიან, დანებებულნი კი – აღარასოდესო.

იმავე პერიოდში, 28 მაისს ჩერჩილი სიტყვით გამოვიდა თემთა პალატაში ოცდახუთი გავლენიანი წევრის წინაშე. მაშინდელი სამხედრო ეკონომიკის მინისტრის ჰიუ დალტონის გადმოცემით, ჩერჩილს არ დაუ-

მალავს ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც ბრიტანეთი აღმოჩნდა. ბრიტანული საომარი შენაერთები საფრანგეთის სანაპიროზე იყვნენ მიმწყვდეულნი და საჭირო იყო ამ ასეულობით ათასი მეომრის ამ ხაფანგიდან გამოყვანა. შემდეგ ჩერჩილმა განაცხადა: „მე ამ დღეების განმავლობაში ბევრი ვიფიქრე იმაზე, ვარ თუ არა ვალდებული წავიდე მოლაპარაკებაზე ამ კაცთან (ჰიტლერთან), მაგრამ ფუჭია იმაზე ფიქრი, რომ ამ მოლაპარაკებით მიღწეული შედეგები ბრძოლით მოპოვებულს აჯობებს. გერმანელები განიარაღების საბაბით ეცდებიან ხელთ იგდონ ჩვენი ფლოტი, ჩვენი საზღვაო ბაზები და კიდევ ბევრი სხვა რამ. ჩვენ გავხდებით დამონებული ქვეყანა, რომელსაც ეყოლება მოსლის (ბრიტანელი ფაშისტების ლიდერი) ან სხვა მსგავსი მარიონეტული მთავრობა. აი სად მიგვიყვანს ეს ყველაფერი. მეორე მხრივ, ჩვენ უზარმაზარი რეზერვები და უპირატესობა გვაქვს. და დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული თქვენგანი მოვარდება და ადგილზე ჩამქოლავს, თუნდაც წამით რომ გავიფიქრო მტერთან მორიგება ან დანებება. თუ ამ კუნძულის ხანგრძლივ ისტორიას მაინცდამაინც დასრულება უწერია, დაე ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს, თუკი თითოეული ჩვენგანი მიწაზე დაღვრილ საკუთარ სისხლში ჩაიხრჩობა“[113].

მოგვიანებით ჩერჩილი წერდა, რომ ამ სიტყვების დასრულების შემდეგ „დამსწრეთა უმრავლესობა ადგილიდან წამოხტა, მომვარდა, მაქებდა და მხარზე ხელის დარტყმით მამხნევებდა. იმ კრიტიკულ მომენტში ერის რჩეულთა წინაშე სისუსტე რომ გამომეჩინა, დარწმუნებული ვარ, მაშინვე კაბინეტიდან მომისვრიდნენ. ღრმად მწამდა, რომ თითოეულ მინისტრს ერჩივნა მომკვდარიყო და ოჯახი და საკუთრება გაეწირა, ვიდრე მტერს დანებებოდა“[114].

ეს იყო ამ ომის ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი – ალბათ ყველაზე გადამწყვეტიც კი. ჩერჩილს რომ ეყოყმანა და დათანხმებოდა ჰალიფაქსს გერმანელებთან სამშვიდობო მოლაპარაკებაზე, ბრიტანეთი ვეღარ შეძლებდა ასე ფართოდ და მედგრად შებრძოლებოდა ნაციზმს. ჰიტლერის სურვილიც სწორედ ასეთი დაზავება იყო ბრიტანეთთან, თანაც ჩერჩილის მიერ ნაწინასწარმეტყველები კასტრაციული პირობებით. მართლაც, შემდგომში ფიურერმა არაერთხელ გამოხატა გაკვირვება იმით, რომ ბრიტანეთი „რაციონალურად“ არ მოიქცა და არ დაუზავდა გერმანელებს.

ჩერჩილი შეგვიძლია სამართლიანად გავაკრიტიკოთ მრავალი შემდგომი ქმედებისთვის, მაგრამ შეუძლებელია ჯეროვნად არ დავაფასოთ ეს მომენტი, როცა 1940 წლის 28 მაისს თემთა პალატაში ამ კაცის პირით გაიჟღერა ურყევმა ნებამ, რომელმაც დიდი ბრიტანეთის დამოუკიდებლობა იხსნა. მაგრამ ამ კრიზისული ეტაპის არანაკლებ საყურადღებო – და ხშირად უგულვებელყოფილი – ასპექტია ჩერჩილის ღრმა რწმენა, რომ ბრიტანეთისთვის ომის ღირსეულად წარმოების წინაპირობას ამერიკის

თანადგომა ნარმოადგენდა. „ეს ქვეყანა რომ შეერთებულ შტატებს ბედის ანაბარა მიეტოვებინა“, წერდა იგი პრეზიდენტ რუზველტს 18 მაისს, „აღარავის ექნებოდა უფლება, მისი მესვეურები თავისი ხალხის გადასარჩენად კომპრომისზე წასვლისათვის გაეკიცხა[115]“.

სანამ ჩერჩილი ბრიტანეთის გადასარჩენად ქვეყანაში და ატლანტიკის გაღმა ძალების მოკრებას ცდილობდა, სტალინი გაოგნებული იყო ფრანგების სწრაფი კაპიტულაციით. როცა გერმანელების პარიზში შესვლის ამბავმა 17 აგვისტოს მოსკოვამდე ჩააღწია, მან გულდაწყვეტით დაიჩივლა: „ნუთუ მათ საერთოდ არავინ შეწინააღმდეგებია?[116]“ სტალინის განზე დგომის პოლიტიკა, დამყარებული ვარაუდზე, რომ გერმანია და საფრანგეთი დასავლეთის ფრონტზე ერთმანეთს დაერეოდნენ, საპნის ბუშტივით გასკდა. ჰიტლერი დასავლეთ ევროპის კონტინენტის ბატონ-პატრონი გახდა. მას მხოლოდ ბრიტანელები ეომებოდნენ. ჰოდა, ვის შეეძლო ეთქვა რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს?

მოვლენათა ამ სავალალო განვითარებაზე სტალინის პასუხი ნაცისტებისადმი თანადგომის გაორმაგება იყო. შემდგომ თვეებში მან მკვეთრად გაზარდა გერმანიისთვის ნედლეულის მიწოდება, რათა ჰიტლერისათვის დაემტკიცებინა, რომ ნაცისტებს ომის გარეშეც შეეძლოთ მიეღოთ საბჭოთა კავშირისგან ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ. რასაკვირველია, სტალინმა ბოლომდე არ იცოდა, თუ რაოდენ სძულდა ჰიტლერს ზოგადად კომუნიზმი და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირი. 1940 წლის 31 ივლისს ბერგჰოფში სამხედრო სარდლობასთან შეხვედრისას ფიურერის ამ იდეოლოგიურმა ზიზღმა პრაქტიკული გამოვლენა ჰპოვა, როცა მან გამაოგნებელი პოლიტიკური ნახტომი გააკეთა და თავის სამხედროებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმის შემუშავება დაავალა.

ჰიტლერის არცთუ მყარი მოტივაცია იყო ის, რომ თითქოსდა ბრიტანელების რწმენა გამარჯვებისადმი მათდამი წითელი არმიის დახმარების იმედს ემყარებოდა. ეს ლოგიკა, რასაკვირველია, თავიდანვე მცდარი იყო. ბრიტანეთი ბრძოლას ამერიკის დახმარების იმედით და არა საბჭოთა კავშირის თანადგომის მოლოდინით განაგრძობდა. ჰიტლერის მეორე მცდარი ვარაუდი – თითქოსდა შედარებით ადვილი საქმე იყო საბჭოთა კავშირის დამარცხება – დაუფიქრებლად გაიზიარეს მისმა სამხედრო მეთაურებმაც. მათ ხომ სულ ახლახან ფრანგების 3-მილიონიანი „ცივილიზებული“ არმია დაამარცხეს და „ბოლშევიკების ბრბოს“ რა წინააღმდეგობა უნდა გაეწია მათთვის? მოქმედებდა დროის ფაქტორიც. მართალია ნაცისტები აღზევების ხანაში იყვნენ, მაგრამ არ არსებობდა იმის რაიმე გარანტია, რომ ეს სიტუაცია კარგა ხანს არ შეიცვლებოდა. „ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ორ წელიწადში“, ამბობს გერმანული არმიის მაშინდელი შტაბის მაიორი ჰუბერტ მენზელი[117], „ანუ 1942 წლის დამლევს და 1943 წლის დამდეგს ინგლი-

სელები მოძლიერდებოდნენ, ამერიკელები მოძლიერდებოდნენ, რუსებიც მოძლიერდებოდნენ და მაშინ სამივესთან მოგვიწევდა ბრძოლა... ამიტომ გადავწყვიტეთ აღმოსავლეთიდან მომდინარე უდიდესი საშიშროება მოგვეხსნა... იმ პერიოდში ჩვენ ეს შესაძლებლად მიგვაჩნდა".

აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიის არმიის შემდგომი კატასტროფის ფონზე ადვილია იმის მტკიცება, რომ ჰიტლერის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირში შეჭრის შესახებ სიგიჟე იყო. მაიორი მენზელი შეგვახსენებს, რომ მაშინ გერმანელთა უმრავლესობას ასე არ მიაჩნდა. მართალია ჰიტლერი იდეოლოგიის გავლენის განიცდიდა, მაგრამ მან შეძლო საკუთარი არმიის მეთაურები დაერწმუნებინა, რომ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის დრო მომწიფდა.

ამ ოფიცრებს ისიც ახსოვდათ, რომ მათ ცხოვრებაში ეს არ იყო გერმანიის პირველი გალაშქრება აღმოსავლეთისკენ. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელებს დაპყრობილი ჰქონდათ ბელორუსიისა და უკრაინის დიდი ნაწილი. შემდეგ კი 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ხელმოწერით ლენინი იძულებული გახადეს გერმანიის პროტექტორატობა ეღიარებინა არა მარტო უკრაინასა და ბელორუსიაზე, არამედ პოლონეთზე, ფინეთზე, ლიტვაზე, ლატვიასა და ესტონეთზე. იმავე წელს გერმანიის მარცხი და ამ უზარმაზარი ტერიტორიების დაკარგვა კიდევ უფრო ამძაფრებდა ნაცისტების ნოსტალგიას ერის გარდასული დიდებისადმი. თუკი ახლო წარსულში გერმანელებს ერთხელ უკვე დაპყრობილი ჰქონდათ აღმოსავლეთი და საბჭოთა სახელმწიფოს ემბრიონი აიძულეს სამარცხვინო ზავს დათანხმებულიყო, ახლაც იგივეს განმეორება რატომ არ შეიძლებოდა?

საბჭოთა კავშირის დაპყრობა გერმანიის ხელისუფლებას კიდევ ერთი, სულ უფრო და უფრო გამაღიზიანებელი პრობლემის გადაჭრას ჰპირდებოდა. ეს იყო საბჭოთა ნედლეულზე გერმანიის სულ უფრო მზარდი დამოკიდებულება. ჰიტლერისა და სხვა ნაცისტ ლიდერთა უმრავლესობისთვის მიუღებელი იყო, რომ გერმანიის მომავალი სტალინის კეთილ ნებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. როგორც ნაცისტების ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, გერმანია არ უნდა იყოს იმ სამხედრო ძალებსა და ქვეყნებზე დამოკიდებული, რომლებსაც ვერ ვაკონტროლებთო"[118].

ნაცისტების მიერ საფრანგეთის დაპყრობის ფონზე სტალინი მათდამი მაამებლურ პოლიტიკას განაგრძობდა. ამ მაამებლობის ერთ-ერთი მკვეთრი გამოვლენა იყო საიდუმლო სამხედრო თანამშრომლობის არაორდინალური ეპიზოდი, დაკავშირებული გერმანული გემის *Komet*–ის ვოიაჟთან.

Komet-ი გარეგნულად ჩვეულებრივი სავაჭრო გემი იყო, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს დამხმარე სამხედრო კრუიზერად გადააკეთეს. ამისთვის მასზე დამონტაჟდა 5,9-დიუმიანი ქვემეხები, რამდენიმე ჰაერსაწინააღმდეგო ქვემეხი და ტორპედო. ეს ყველაფერი შენიღბული იყო და ხომალდი კვლავ ჩვეულებრივი სავაჭრო გემივით გამოიყურებოდა, რაც მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავის წყლიდან ამოსატყუებლად გამოიყენებოდა. მოტყუებული წყალქვეშა ნავების მეთაურები ამჯობინებდნენ „შეუიარაღებელ“ სავაჭრო გემზე თავდასხმა გემბანის ქვემეხით განეხორციელებინათ, რაც ძვირფას ტორპედოს დაზოგავდა. ამოყვინთული წყალქვეშა ნავის წინააღმდეგ *Komet*-ი შენიღბულ ქვემეხებს იყენებდა და ნავს ანადგურებდა.

1940 წლის ზაფხულში, ვიდრე ჰიტლერის გენერლები საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ფიურერისეულ იდეას ამუშავებდნენ, *Komet*-მა ერთ-ერთი ყველაზე გაბედული საზღვაო კრუიზი განახორციელა[119]. მისი კაპიტნის, კონტრადმირალ რობერტ ეისენის გეგმის თანახმად, გემს კოლის ნახევარკუნძულიდან სტარტის აღების შემდეგ ჩრდილოეთის წყლების გავლით წყნარ ოკეანეში უნდა შეეცურა, სადაც ალიანსის სავაჭრო გემებზე მოულოდნელი თავდასხმა უნდა განეხორციელებინა. ეს მარშრუტი, „ჩრდილოეთის პასაჟის“ სახელწოდებით ცნობილი, უაღრესად სახიფათო იყო და მისი განხორციელება მხოლოდ მძლავრი ყინულმჭრელების დახმარებით იყო შესაძლებელი.

საბჭოეთის ჩრდილოეთის რამდენიმე საზღვაო ბაზაზე გატარებული ერთი თვის შემდეგ *Komet*-მა 1940 წლის 13 აგვისტოს სტარტი აიღო და 19 აგვისტოს ყინულით დაფარულ ციმბირის ზღვას მიაღწია. „ეს ოპერაცია დიდი გამოწვევა იყო ჩვენთვის“, იხსენებს მაშინდელი ეკიპაჟის წევრი კარლ-ჰერმან მიულერი[120]. „ვიცოდით, რომ საქმე შეიძლება ცუდად წაგვსვლოდა, მაგრამ მზად ვიყავით, მსხვერპლი გაგვეღო“.

26 აგვისტოს კონტრადმირალი ეისენი ყინულმჭრელ *Stalin*-ზე ორ საბჭოთა მფრინავს და ორ ოფიცერს შეხვდა. ამ შეხვედრის გერმანულ სტენოგრამაში წერია, რომ *Komet*–ის ყინულგამძლეობაზე, სიჩქარესა და სხვა საკითხებზე მეგობრული საუბრის შემდეგ ყველა რუკებიან ოთახში გაემართა სიტუაციის გასაანალიზებლად... დილის ექვს საათზე კი ეისენი და კროპეში (მისი თანმხლები ოფიცერი) იძულებული გახადეს წყლის სას-

მელი ჭიქებით არაყი ესვათ[121]". საბჭოთა მეზღვაურებისა და გერმანელების ურთიერთდამოკიდებულება მეგობრული იყო. „რუსები დინჯად, მშვიდად და საქმიანად გამოიყურებოდნენ", ამბობს მიულერი. „ისინი მოგვეწონა. ვხედავდით, რომ კარგი ადამიანები იყვნენ. სიძნელეები ან უთანხმოება არ გვქონია".

სამხედრო აღჭურვილობის შენიღბვის მიუხედავად, საბჭოელები იმთავითვე მიხვდნენ, რომ *Komet*-ი სავაჭრო კი არა, სამხედრო გემი იყო. „რა თქმა უნდა, იცოდნენ", ამბობს მიულერი. „ჩვენ ხომ მხოლოდ სამხედრო ეკიპაჟი გვყავდა... ყველას სამხედრო ფორმა გვეცვა". საბჭოელებს გემისადმი დახმარება არც საომარი ოპერაციის დაწყების შემდეგ შეუწყვეტიათ. უფრო მეტიც, ბრიტანულ გემებზე განხორციელებული შეტევის წარმატებას, მიულერის გადმოცემით, გერმანელებთან ერთად რუსებიც ზეიმობდნენ: „რუსებიც ჩვენსავით ბედნიერები იყვნენ. იზიარებდნენ ჩვენს წარმატებას. ეს არ იყო თვალთმაქცობა. რუსები, შეიძლება ითქვას, ჩვენ მხარეზე იყვნენ".

მიუხედავად ამისა, 1 სექტემბერს *Komet*–ის გემბანზე ავიდა ერთ-ერთი თანმხლები ყინულმჭრელის „კაგანოვიჩის" კაპიტანი და განაცხადა, რომ ბერინგის სრუტეში ამერიკული და იაპონური გემების გამოჩენის გამო მან მოსკოვიდან ბრძანება მიიღო, რომ *Komet*-ი უკან გაებრუნებინა. „ამას ყოველგვარი აღელვების ან სასოწარკვეთის გარეშე შევხვდი", წერდა ეისენი,[122] „თუმცა შინაგანად ძალიან აღელვებული ვიყავი. ამდენი რამ გადავიტანეთ, სულ მალე ნეიტრალურ წყლებში უნდა შევსულიყავით, კიდევ 400 მილი უნდა გაგვეევლო და სამშვიდობოს გავდიოდით! და ახლა მეუბნებოდნენ, უკან გაბრუნდიო. ეს არჩევანი არ იყო, მე ამაზე არ წავიდოდი, თუნდაც გერმანიის საზღვაო მთავარსარდლობას ებრძანებინა ჩემთვის".

მეორე დღეს ეისენმა დაჟინებით მოითხოვა გზის გაგრძელების ნებართვა და იმაზეც კი წავიდა, რომ ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის თანახმადაც „კაგანოვიჩის" კაპიტანს ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებდა. ამის შემდეგ საბჭოელებმა კიდევ ერთი დღე გააცილეს *Komet*-ი წყნარი ოკეანისკენ და უკან გაბრუნდნენ. „გამომშვიდობება მეგობრული იყო", ამბობს კარლ-ჰერმან მიულერი. „საყვირებითა და საზღვაო სიგნალებით დავცილდით ერთმანეთს".

რაკი საბჭოელებმა *Komet*-ი ყინულებს უკვე გააშორეს, ორიოდე დღეში გერმანული გემი საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის ბერინგის ზღვაში შევიდა. „ჩრდილოეთის პასაჟი" რეკორდულ დროში, ოცდასამ დღეში დასრულდა. „ვამაყობ, რომ ჩემი მისია შევასრულე და ვიმყოფებოდი პირველ გერმანულ გემზე, რომელმაც ციმბირის ზღვა გადაცურა", ამბობს კარლ-ჰერმან მიულერი. „ეს შეუძლებელი იქნებოდა [საბჭოთა] ყინულმჭრელების დაუხმარებლად". *Komet*-ი ახლა უკვე ლაღად მიაპობდა

წყნარ ოკეანეს და გზადაგზა ალიანსის გემებს ანადგურებდა. საბოლოო ანგარიშით მან ცხრა გემი ჩაძირა შორეულ აღმოსავლეთში, მათ შორის უზარმაზარი სამგზავრო-სატვირთო გემი *Rangitane*. ამის შემდეგ *Komet*-ი შედარებით უსაფრთხო მარშრუტით – სამხრეთ აფრიკის მწვანე კონცხის გაელით დაბრუნდა გერმანიაში.

გერმანელთა სამხედრო-საზღვაო ადმირალიტეტი საბჭოელების მადლიერი იყო როგორც „ჩრდილოეთის ბაზის", ასევე რეისში *Komet*–ის თანადგომის გამო. ეს მადლიერება მთავარმა ადმირალმა რაედერმა საბჭოთა საზღვაო საქმეთა კომისარ ადმირალ კუზნეცოვისადმი 1940 წლის 16 სექტემბერს გაგზავნილ წერილში გამოხატა. ამ წერილშივე იგი იტყობინებოდა, რომ ნორვეგიის ოკუპაციის შემდეგ გერმანიას აღარ სჭირდებოდა „ჩრდილოეთის ბაზის" გამოყენება. წერილი მთავრდებოდა სიტყვებით: „მაქვს პატივი გერმანული სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელით გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ პირადად თქვენ, პატივცემულო კომისარო, თქვენი ფასდაუდებელი მხარდაჭერისთვის". წერილი პირადად ადმირალ კუზნეცოვს გადასცა მოსკოვში გერმანიის სამხედრო ატაშემ ბაუმბახმა, რომელიც აღნიშნავდა, რომ კუზნეცოვი „კმაყოფილი დარჩა". ბაუმბახმა საბჭოთა ადმირალს ასევე განუცხადა, რომ დავალებული ჰქონდა პირადად ეთქვა მისთვის მადლობა „ჩვენი გემის ჩრდილოეთის რეისის დროს საბჭოთა საზღვაო ფლოტის მიერ გაწეული დახმარებისთვის"[123].

გერმანელთა ასეთი აღტაცებული მადლიერების გათვალისწინებით გასაკვირი არაა, რომ საბჭოელებისთვის როგორც „ჩრდილოეთის ბაზის" დათმობის, ასევე *Komet*–ის ვოიაჟი შემდგომში დიდად საჩოთირო ინციდენტებად გადაიქცა. 1941 წელს მათ ქვეყანაზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობა ნაცისტებს პირდაპირ და ეფექტიან სამხედრო დახმარებას უწევდა, აფეთქების ტოლფას ინფორმაციას წარმოადგენდა. დღესაც კი ეს რუსეთისთვის ომისდროინდელი ისტორიის ერთ-ერთი უხერხული და მტკივნეული მომენტია.

მოლოტოვი ბერლინში

ადმირალ რაედერის წერილის მხურვალე სენტიმენტებისა და სტალინის მაამებლური მცდელობის მიუხედავად, გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში მაინც იგრძნობოდა დაძაბულობა და უნდობლობა. გერმანელების მიერ საფრანგეთის მოულოდნელი და ელვისებური ოკუპაციით შეშფოთებული სტალინი სასწრაფოდ დათანხმდა გერმანელების წინადადებას სამომავლო გეგმების განსახილველად 1940 წლის ოქტომბერში მოლოტოვის ბერლინში მივლინების შესახებ.

ინტერესთა თანხვედრა, რითაც წინა წელს თავდაუსხმელობის პაქტზე სამუშაოდ შემდგარი ორი შეხვედრა გამოირჩეოდა, სადღაც გამქრალიყო და მის ადგილზე ეჭვიანობა დაბუდებულიყო. საბჭოელების შეშფოთების საბაბი გერმანელთა მიერ ბუფერული ქვეყნების – უნგრეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის – მოსალოდნელი დაპყრობა და დარდანელის სრუტეში საბჭოთა გემების თავისუფალი მიმოსვლის მოსალოდნელი შეზღუდვა იყო. საბჭოელები დიდად იყვნენ დაინტერესებული ამ სრუტით, რომელსაც მუდმივად თურქეთი აკონტროლებდა. ამას ისტორიული მოვლენები ედო საფუძვლად – ბოლო ორასი წლის განმავლობაში ამ სრუტის გავლით ორჯერ შეიჭრნენ რუსეთში დამპყრობლები, მათ შორის 1850-იანი წლების ყირიმის ომის დროს.

ასე, რომ 1940 წლის ნოემბერში მოლოტოვი გერმანიაში სტალინის დავალებით ერთგვარ შემეცნებით მისიას ასრულებდა, რათა გაერკვია რიგი საკითხები აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთში გერმანელთა ზრახვების შესახებ. მას გარკვეულწილად აკრძალული ჰქონდა დეტალურ დისკუსიებში შესვლა, განსაკუთრებით თუ ეს საბჭოელთა მომავალი საგარეო პოლიტიკის სფეროს ეხებოდა. საბჭოელებს განზრახული ჰქონდათ ასეთი გლობალური საკითხები შემდგომი შეხვედრისას განეხილათ, თუნდაც რიბენტროპის მოსკოვში ხელახალი ვიზიტისა და სტალინთან პირისპირ მოლაპარაკების პირობებში.

ჰიტლერს კი, თავის მხრივ, მოლოტოვთან შეხვედრისთვის სერიოზული საკითხები ჰქონდა მომზადებული. მართალია მან ივლისში გასცა დირექტივა საბჭოთა კავშირში შეჭრის გეგმის შემუშავების შესახებ, მაგრამ ეს ნაბიჯი ჯერჯერობით მისი საგარეო პოლიტიკის მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლო, თუმცა ერთობ სასურველ ვარიანტად რჩებოდა. გერმანელებს მოლოტოვთან შეხვედრების დროს სურდათ გაერკვიათ, დათანხმდებოდნენ თუ არა საბჭოელები, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გერმანიისთვის დაეთმოთ და თავიანთი ყურადღება სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეზე გადაეტანათ. ნაცისტურ ხელისუფლებას სჯეროდა, რომ ამ თბილ რეგიონებში საბჭოთა საგარეო პოლიტიკა წარმატებული იქნებოდა

ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორიებისა და გავლენის სფეროების მიტაცების ხარჯზე.

გასარკვევი იყო ასევე საბჭოეთიდან ნედლეულის მიწოდების საკითხი. როგორ აპირებდნენ საბჭოელები ჰიტლერისა და მისი კოლეგების დარწმუნებას იმაში, რომ კიდევ კარგა ხანს დარჩებოდნენ მათ საიმედო პარტნიორებად?

ასეთი საკითხები აწუხებდათ მხარეებს 12 ნოემბერს მოლოტოვის ბერლინში ჩასვლისას. სილეზიის სადგურზე მას და მის თანმხლებ პირთ რიბენტროპი საპატიო ყარაულით შეეგება, ხოლო იმავე დღეს მოგვიანებით გაიმართა მოლოტოვის პირველი შეხვედრა ჰიტლერთან, რომელიც, ამ ვიზიტის მომდევნო შეხვედრების მსგავსად, წარუმატებელი გამოდგა. მოლოტოვს, ჰიტლერისგან განსხვავებით, საკითხის სიღრმისეული განხილვა სჩვეოდა. იგი ჯიუტად და მოთმინებით კითხვას კითხვაზე სვამდა, რათა გერმანელთა ზრახვები ამოეცნო. რატომ არიან გერმანელთა ჯარები ფინეთში? რატომ არიან გერმანელთა ჯარები რუმინეთში? რას აპირებენ გერმანელები ბალკანეთში? როგორი იქნება გერმანელთა რეაქცია, თუ ბულგარელები თავიანთ ქვეყანაში საბჭოთა ჯარების შესვლას მოითხოვენ?

ჰიტლერი აშკარად დაიღალა ამ გაუთავებელი ლიტანიით. იგი ეპოქალური საკითხების გადაჭრას ცდილობდა, აქ კი ვიღაც ჩია, ჩამოძენძილი რუსი დაკითხვას უწყობდა. იგი გაკვირვებული იყო, თუ რატომ არ ძრწოდა შიშით მოლოტოვი გერმანიის ძლიერების წინაშე. რაიხსკანცელარიის ახალი შენობის ინტერიერი ჰიტლერის გრანდიოზულ ხედვებს ესადაგებოდა. მან თავის ფავორიტ არქიტექტორს ალბერტ სპეერს გაუმხილა, რომ სურდა ამ შენობას გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოეხდინა უცხოელ დიპლომატებზე. „ჰიტლერს განსაკუთრებით მოსწონდა გრძელი გალერეა, რომელიც უცხოელ სტუმრებს და დიპლომატებს უნდა გაევლოთ მისაღებ დარბაზში შესასვლელად[124]“, წერდა სპეერი. გერმანიის ლიდერთან შესახვედრად მიმავალი მოლოტოვიც იძულებული გახდა გაევლო ეს პრიალა, მარმარილოს იატაკიანი გალერეა, რომლის სიგრძე ორჯერ აღემატებოდა ვერსალის სარკეებიანი დარბაზის სიგრძეს. როდესაც სპეერმა ჰიტლერს ამ გალერეის გეგმა წარუდგინა, ფიურერს უთქვამს, მართლაც კარგია, რადგან დიპლომატებმა მოლიპულ გზაზე სიარულში უნდა ივარჯიშონო. სპეერი ამბობს, რომ ჰიტლერს ამ ახალ შენობაში განსაკუთრებით საკუთარი კაბინეტი მოსწონდა. უზომოდ კმაყოფილი იყო თავისი მაგიდის ინკრუსტაციით, რომელიც ქარქაშიდან ნახევრად ამოღებულ ხმალს განასახიერებდა. „კარგია, კარგი... როცა ჩემ პირისპირ მსხდომი დიპლომატები ამას დაინახავენ, ძრწოლას და ცახცახს დაიწყებენ“.

მაგრამ მოლოტოვი არც „ძრწოდა“ და არც „ცახცახებდა“ ჰიტლერის წინაშე. საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის მომაბეზრებელ კითხვებზე

გაღიზიანებული ფიურერი მკვეთრ პასუხებს იძლეოდა – გერმანული ჯარები ფინეთში იმყოფებიან ნორვეგიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად, ბულგარელები არასოდეს მოითხოვენ წითელი არმიის დახმარებას და ა. შ. თავის მხრივ კი ჰიტლერს მხოლოდ გლობალური საკითხები აინტერესებდა; ირწმუნებოდა, რომ ბრიტანელები დამარცხებული იყვნენ და მალე დაზავებას მოითხოვდნენ. ჰოდა, იყო თუ არა დაინტერესებული საბჭოთა კავშირი მიერთებოდა სამთა – გერმანიის, იაპონიისა და იტალიის ღერძს, რომელიც 1940 წლის სექტემბერში შეიქმნა? ბრიტანეთის დაცემასთან ერთად მთელი მისი იმპერია ნადავლად იქცეოდა. სურდა თუ არა საბჭოთა კავშირს შესულიყო წილში?

ეს იყო ნამდვილი ყრუთა დიალოგი. მოლოტოვი გაურბოდა ჰიტლერის ამ გლობალურ კითხვებზე პასუხის გაცემას და თავის მხრივ დაჟინებით ცდილობდა გერმანელთა უახლოესი ზრახვების ჩაწვდომოდა. საბჭოთა თარჯიმანმა პავლოვმა ამ მოლაპარაკებას მოგვიანებით „მომქანცველი და აშკარად უსარგებლო“[125] უწოდა და ძნელია არ დაეთანხმო ამ ვერდიქტს.

რიბენტროპთან მოლოტოვის შეხვედრებსაც ასეთივე დაკითხვის სახე ჰქონდა. რას უპირებდნენ გერმანელები პოლონეთს? რა აზრის იყვნენ გერმანელები შვეციის ან უნგრეთის ან იუგოსლავის ნეიტრალიტეტზე?

რიბენტროპმა პროტესტი გამოთქვა ამ „დაჟინებული კითხვების[126]“ გამო. ფიურერის მსგავსად ისიც ცდილობდა „გადამწყვეტ“ საკითხზე გადასულიყო, რომელიც იმაში მდგომარეობდა, „იყო თუ არა მზად საბჭოთა კავშირი ეთანამშრომლა გერმანიასთან ბრიტანეთის იმპერიის ლიკვიდაციისთვის... ამ გლობალურ საკითხთან შედარებით სხვა პრობლემები უმნიშვნელო იყო და საერთო ურთიერთგაგების მიღწევისთანავე ავტომატურად გადაიჭრებოდა[127]“.

ამ შეხვედრის კომიკურ კულმინაციას წარმოადგენდა რიბენტროპისა და მოლოტოვის იძულებითი გადაადგილება ბომბსაწინააღმდეგო თავშესაფარში ბრიტანელთა საჰაერო რეიდის გამო. სანამ რიბენტროპი ისევ განაგრძობდა იმის მტკიცებას, რომ ბრიტანეთის იმპერია დანანევრებისთვის იყო განწირული, მოლოტოვმა შენიშნა: „თქვენ ამტკიცებთ, რომ ბრიტანეთი განადგურებულია. მაშ ახლა აქ, ამ თავშესაფარში რატომღა ვზივართ?“[128]

ამ ორ ქვეყანას შორის კავშირის გაწყვეტას ბევრი აღარაფერი აკლდა. ჰიტლერის ახირება, ჩაეთრია საბჭოთა კავშირი ბრიტანეთის იმპერიის სამომავლო დანანევრების პროცესში, აშკარა ფანდი იყო, რითაც მას სურდა მოახლოებული ომის წინ სტალინის ყურადღება მოედუნებინა. მოლოტოვი არ წამოეგო ჰიტლერის ანკესს და მისმა „ვერაგულმა“ კითხვებმა კიდევ უფრო ცხადი გახადა, თუ რაოდენ მყიფე იყო ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა. ამან ჰიტლერი ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ მართალი იყო,

როცა წინ წამოსწია ბოლშევიკების დამარცხებისა და ძალის გამოყენებით მათი სიმდიდრის ხელში ჩაგდების გეგმა. 18 დეკემბერს მან ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ოფიციალურ დირექტივას.

რაც შეეხება სტალინს, იგი ჰიტლერთან შეძლებისდაგვარად კარგი დამოკიდებულების გარდა სხვა გზას ვერ ხედავდა, თუმცა მისი პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრი არასწორად მიიჩნევდა ნაცისტებთან მეგობრობას. ისინი ნაჩქარევ ქმედებად თვლიდნენ პოლონელ ოფიცერთა კორპუსის თითქმის მთლიანად განადგურებას, რადგან გერმანიასთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში ეს პოლონელები სავარაუდოდ მტრებიდან ხელსაყრელ მოკავშირეებად გადაიქცეოდნენ.

რაოდენ ირონიულადაც უნდა ჟღერდეს, ასეთი აზრი შინსახკომის შეფმა ბერიამაც გააჟღერა 1940 წლის ოქტომბერში ლუბიანკის ციხეში გამართულ ერთ უცნაურ სადილზე. იქ ბერია პოლონური არმიის აღდგენის საკითხს განიხილავდა იმ მცირერიცხოვან პოლონელ ოფიცრებთან ერთად, რომლებმაც კომუნიზმის მიმართ სიმპათია გამოხატეს და ამით (გაუცნობიერებლად) დახვრეტას გადაურჩნენ. მთავარმა პოლონელმა კოლაბორაციონისტმა პოლკოვნიკმა ბერლინგმა იკითხა, შეიძლებოდა თუ არა ბანაკებიდან გარკვეული რაოდენობის ოფიცერთა გათავისუფლება ახალი არმიის დასაკომპლექტებლად. იცოდა რა ამ ოფიცრების დახვრეტის შესახებ, ბერიამ უპასუხა, ჩვენ დიდი დაუფიქრებლობა გამოვიჩინეთო. შემდეგ რამდენჯერმე გაიმეორა: „ჩვენ დიდი შეცდომა დავუშვით, დიდი შეცდომა დავუშვით“[129].

ამერიკელთა დახმარება

ჰიტლერის მიერ საბჭოთა კავშირში შეჭრის ოფიციალური დირექტივის დამტკიცებამდე ერთი დღით ადრე ატლანტიკის გაღმა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომელმაც ომის შემდგომ მსვლელობაზე და ძალთა თანაფარდობაზე დიდი გავლენა იქონია. ეს იყო 1940 წლის 17 დეკემბრის პრესკონფერენცია, რომელზეც პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა პირველად გააჟღერა ალყაშემორტყმული ბრიტანეთისადმი ეკონომიკური დახმარების იდეა ისეთი სისტემის მეშვეობით, რომელიც შემდგომში „ლენდ ლიზის“ სახელით გახდა ცნობილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრემიერ-მინისტრად გახდომის მომენტიდანვე ჩერჩილისთვის ცხადი გახდა, რომ ამერიკის დახმარების გარეშე ბრიტანეთი ვერ შეძლებდა ომის გაგრძელებას. რუზველტისადმი 1940 წლის 31ივლისს გაგზავნილ წერილში ჩერჩილი ევედრებოდა პრეზიდენტს სამხედრო თანადგომას, რადგან მსოფლიოს ხანგრძლივი ისტორიის მან-

ძილზე ყველაზე მეტად ახლაა საჭირო ამის გაკეთებაო[130]. იმავე წლის სექტემბერში ეს თხოვნა დაედო საფუძვლად შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ბრიტანეთი ორმოცდაათ ნახმარ ამერიკულ ავიაგამანადგურებელს მიიღებდა, ხოლო ამის სანაცვლოდ ამერიკა ინგლისის კოლონიებში – ძირითადად „ვესტ-ინდოეთის“ რეგიონში ბაზებს განალაგებდა. ამერიკისთვის ეს ხელსაყრელი გარიგება იყო და ასეც უნდა ყოფილიყო, რათა რუზველტს თავისი სკეპტიკოსი თანამემამულენი დაეყოლიებინა. ამერიკელთა უმრავლესობა მართალია თანახმა იყო, დახმარებოდნენ ბრიტანელებს, მაგრამ ასევე უმრავლესობას არ სურდა ომში ჩარევა და ბრიტანეთის გამარჯვების არ სჯეროდა[131].

სექტემბრის ხელშეკრულების ფარგლებს მიღმა ბრიტანეთისადმი დახმარების რუზველტისეულ სურვილს ის ფაქტი უშლიდა ხელს, რომ ბრიტანეთი ფინანსებისგან იცლებოდა. ბრიტანეთის ელჩმა ვაშინგტონში ლორდმა ლოთიანმა 1940 წლის 23 ნოემბერს მოკლედ მოუჭრა ამერიკელ ჟურნალისტებს: „იცით, ბიჭებო, ბრიტანეთი გაკოტრებულია. ჩვენ თქვენი ფული გვჭირდება[132]“.

ამას მოჰყვა რუზველტის დრამატული გამოსვლა 17 დეკემბრის პრეს-კონფერენციაზე[133]. „ახლა შეეეცდები უკუვაგდო დოლარის ნიშანი“, თქვა მან. „ამ დარბაზში მყოფთაგან ალბათ ყველასთვის გამაოგნებელი სიახლეა ის, რომ მე ვცდილობ უგულებელვყო ეს ყეყეჩი, ბებერი დოლარის კუპიურა... კეთილი, ნება მიბოძეთ ილუსტრაციას მივმართო“, განაგრძო მან. „დავუშვათ ჩემი მეზობლის სახლს ცეცხლი გაუჩნდა და ოთხასი-ხუთასი ფუტის სიგრძის სახანძრო შლანგი მაქვს. თუ მას შეუძლია აიღოს ჩემი შლანგი და თავის ონკანს მიუერთოს, მაშინ ის ჩემი დახმარებით ხანძარს ჩააქრობს. მე კი რას ვიზამ? არ ვეტყვი, მეზობელო, ჩემი შლანგი 15 დოლარი ღირს და უნდა გადამიხადო-მეთქი. რა გარიგებას შევთავაზებ ამის სანაცვლოდ? მე არ მინდა 15 დოლარი, მხოლოდ ჩემი შლანგის უკან დაბრუნება მსურს ხანძრის ჩაქრობის შემდეგ, ესაა და ეს. თუ შლანგი უვნებელი გადაურჩა ხანძარს, მაშინ მეზობელი მას უკან მიბრუნებს და დიდ მადლობას მიხდის დახმარებისთვის. მაგრამ დავუშვათ შლანგი დაზიანდა, ხანძრის ჩაქრობისას დაიჭყლიტა ან გაიხვრიტა; დიდი ფორმალობა არც აქაა საჭირო. მეზობელს ვეუბნები, მიხარია, ჩემი შლანგი რომ გამოგადგა, მაგრამ მას ველარ გამოვიყენებ, რადგან გახვრეტილ-დაჭყლეტილია-მეთქი. ის მეკითხება, რამდენი ფუტია გაფუჭებულიო. მეც ვპასუხობ, 150 ფუტამდე-მეთქი. ის მეუბნება, კეთილი, შევაკეთებო. ამგვარად განახლებულ-შეკეთებულ შლანგს ვიბრუნებ უკან და კმაყოფილი ვრჩები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ გარკვეული რაოდენობის საომარ აღჭურვილობას გავასესხებთ და ომის დამთავრებისას ამ აღჭურვილობას დაუზიანებელს დაგვიბრუნებენ უკან, ეს რასაკვირველია კარგია; ხოლო თუკი მისი ნაწილი დაზიანდა ან

გაფუჭდა, მაშინ, ჩემი აზრით, კმაყოფილები უნდა ვიყოთ, თუ მისი მსესხებელი ჩვენი მეგობრები ამ ნაწილს ვარგისით შეგვიცვლიან".

ამ იდეამ ბევრი ამერიკელი და ბრიტანელი მოქალაქე მოხიბლა. რუზველტმა ასეთი ფოლკლორული მეტაფორით გონივრულად გამოკვეთა ორი ქვეყნის კეთილმეზობლობა და ამერიკელთა დიდი სურვილი, დახმარებოდნენ გაჭირვებაში აღმოჩენილ მეგობრებს. მხოლოდ ზოგიერთმა ცინიკოსმა შენიშნა მაშინ ის, რაც დღეს აშკარაა – ნაკლებმოსალოდნელი იყო, რომ ბრიტანეთში გაგზავნილი ნებისმიერი საომარი აღჭურვილობა ოდესმე უკან დაბრუნებულიყო. ამერიკელები სესხად გასცემდნენ არა შლანგს, არამედ ხმარებაში განადგურებად აღჭურვილობას. თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ „ლენდ ლიზი" იყო ღონისძიება, რომელმაც ბრიტანელებს ომში ბრძოლის გაგრძელების საშუალება მისცა.

ამ შეთანხმებას არ უნდა გაეკვირვებინა სტალინი ან ჰიტლერი, რადგან რუზველტის ადმინისტრაცია მათი რეპრესიული რეჟიმებით უკმაყოფილებას ყოველთვის აშკარად გამოხატავდა. ცხრა თვით ადრე, 1940 წლის თებერვალში რუზველტმა ევროპაში სიტუაციის შესასწავლად სახელმწიფო მდივანი სამნერ უელსი მიავლინა. ეს მისია განსაკუთრებით დასამახსოვრებელია უელსის ფუჭი საუბრებით რიბენტროპთან. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი მას ორი საათის განმავლობაში უკითხავდა ლექციას „ცივად... ისე, რომ ღიმილის ნატამალიც არ ეტყობოდა... მეტწილად თვალებდახუჭული[134]". უელსის ვერდიქტი ჰიტლერის საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართ ცალსახა იყო: „რიბენტროპი აბსოლუტურად გონებადახშულია... ნამდვილი ყეყეჩია... იშვიათად შემხვედრია ასეთი უსიამოვნო პიროვნება".

იმ დროს, როცა უელსის ამ ვიზიტმა კიდევ უფრო გაამყარა რუზველტის თვალსაზრისი, რომ შეუძლებელი იყო ჰიტლერთან რაიმე ღირებული სამშვიდობო გარიგება, საბჭოთა კავშირის ქმედებებმა ამერიკის პრეზიდენტს აჩვენა, რომ არც სტალინი იყო კანონის უზენაესობის მოტრფიალე სახელმწიფო მოღვაწე. რუზველტი აღშფოთებული იყო საბჭოელთა ფინეთში შეჭრით და ეს აღშფოთება 1940 წლის 10 თებერვალს ამერიკის პროკომუნისტური ახალგაზრდობის კონგრესზე სიტყვით გამოსვლისას გამოხატა: „ბევრი თქვენგანივით მეც ვიმედოვნებდი, რომ რუსეთი საკუთარ პრობლემებს გაუმკლავდებოდა და დროთა განმავლობაში მშვიდობისმოყვარე და თავისუფალი არჩევნების გზით მოსული სახალხო მთავრობა ეყოლებოდა, რომელიც არ დაარღვევდა თავისი მეზობლების ტერიტორიულ მთლიანობას. დღეს ეს იმედები ან დამსხვრეულია, ან სეიფშია ჩაკეტილი უკეთესი დღეების მოლოდინში. დღეს ყველა, ვისაც შესწევს უნარი თვალი გაუსწოროს ფაქტებს, ხედავს, რომ საბჭოთა კავშირში მსოფლიოს სხვა დიქტატურათა მსგავსი საყოველთაო დიქტატურაა

დამყარებული. მან ალიანსი დაამყარა სხვა დიქტატურასთან, თავს დაესხა და დაიპყრო ბევრად პატარა მეზობელი, რომელსაც მისდამი არავითარი საგრძნობი ზიანის მიყენება არ შეუძლია; მეზობელი, რომელსაც მხოლოდ მშვიდობიანი, ლიბერალური, პროგრესულ-დემოკრატიული ცხოვრება სურს[135]".

ეს იმ სახელმწიფო მეთაურის არაორაზროვანი სიტყვები იყო, რომელსაც ორაზროვანი საუბარი სჩვეოდა. შეუძლებელი იყო სტალინს ეს არ შეენიშნა.

სტალინის დილემა

1940 წლის მიწურულს მოვლენები საბჭოთა დიქტატორისთვის შემაშფოთებლად ვითარდებოდა. ამერიკელები საბჭოთა კავშირს მტრად მიიჩნევდნენ და, მართალია ახლო მომავალში ომში ჩაბმას არ აპირებდნენ, მაგრამ ბრიტანეთისთვის დახმარების გაწევას განაგრძობდნენ, რათა გერმანელთა შეტევებისთვის გაეძლო. თავის მხრივ, გერმანია აღზევების პიკზე იყო და მეთოდურად აქცევდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს საკუთარ ვასალებად ან მარიონეტებად.

ამ ყველაფრის გამო სტალინს მუდმივად აწუხებდა ერთი მწვავე კითხვა: „კიდევ რას მოიმოქმედებს შემდგომში ჰიტლერი?" პასუხის ერთ-ერთი ვარიანტი – საბჭოთა კავშირზე თავდასხმა – მისთვის შემაძრწუნებელი იყო. 1940 წლის დამლევს გერმანული არმიის სამი მეოთხედი უკვე საბჭოთა კავშირის საზღვრის გასწვრივ იყო განლაგებული და სტალინმა ეს კარგად იცოდა. იგი სისტემატურად იღებდა დაზვერვის მონაცემებს, რომლებიც მიანიშნებდა ჰიტლერის განზრახვას, თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს. მაგალითად, აგენტი „მეტეორი" წერდა, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკის დეპარტამენტის უფროსის კარლ შნურეს თქმით, ჰიტლერი აღმოსავლეთის საკითხის სამხედრო გზით გადაჭრას აპირებსო[136]. საბჭოთა სამხედრო კონტრდაზვერვის მეთაური საფრანგეთში და ბელგიაში ანატოლი გურევიჩი[137] კი 1941 წლის დასაწყისში მოსკოვში გაგზავნილ პატაკში პირდაპირ მიუთითებდა, ომი 1941 წლის მაისში დაიწყებაო.

მაგრამ სტალინი არ იყო განწყობილი დაეჯერებინა ამ აგენტებისთვის. მისი აზრით ჰიტლერის ინტერესებში არ შედიოდა საბჭოთა კავშირთან ომის დაწყება მანამ, სანამ ბრიტანეთთან ომს არ დაასრულებდა. საბჭოთა დიქტატორს ეგონა, რომ გერმანიის ძალები საბჭოეთის საზღვართან მის დასაშინებლად იყვნენ განლაგებული და არა საომრად. რადგან სტალინის ეს განწყობა მისი გარემოცვისათვის კარგად იყო ცნობილი, ადვილი სავარაუდოა, რომ ეს გარემოცვა მას სადაზვერვო მასალების შელამაზებულ

ინტერპრეტაციას ანვდიდა. კრემლში თავის მოტყუების გზა აირჩიეს. რაც უფრო მატულობდა ინფორმაცია მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, მით უფრო მეტად უგულვებელყოფდნენ მას და წმინდა წყლის დეზინფორმაციად მიიჩნევდნენ. სტალინი ვარაუდობდა, რომ ბრიტანელები, საკუთარი ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ომის პროვოცირებას ეწეოდნენ. ამიტომ დასავლეთიდან მოსული ნებისმიერი შეტყობინება სიცრუედ აღიქმებოდა.

სტალინის მსჯელობა უმეტესწილად სასურველის სინამდვილედ აღქმას ეფუძნებოდა. 1941 წლის იანვარში წითელ არმიაში ჩატარებულმა წვრთნამ ცხადყო, რომ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს არ შესწევდათ უნარი შეეჩერებინათ გერმანელთა შემოტევა საბჭოთა საზღვრებთან და განეხორციელებინათ კონტრშეტევა მტრის ტერიტორიაზე – „აქტიური თავდაცვის" ტაქტიკა, რომელსაც იმდროინდელი საბჭოთა სამხედრო დოქტრინა ემყარებოდა. 1930-იანი წლების რეპრესიებით დასუსტებულ წითელ არმიას, რომლის ათასობით გამოცდილი სამხედრო მეთაური მაშინ საქმეს ჩამოაშორეს, უბრალოდ არ ძალუძდა გამკლავებოდა გერმანელებს.

სტალინი, რომელმაც კარგად იცოდა რაოდენ უბადრუკ მდგომარეობაში იყო მისი შეიარაღებული ძალები, შიშობდა, რომ წითელი არმიის ნებისმიერ გადაადგილებას, რათა უკეთ გამკლავებოდა მოსალოდნელ შეტევას, ჰიტლერი პროვოკაციად მიიჩნევდა, რაც კიდევ უფრო გაზრდიდა ომის საფრთხეს. სტალინის ღრმა რწმენით, ერთადერთი გონივრული გზა იყო გერმანელებისადმი მაამებლობა და დიპლომატიური ძალისხმევის გაგრძელება და გაძლიერება. ეს რწმენა საფუძვლად ედო როგორც იაპონიასთან 1941 წლის 13 აპრილს დადებულ თავდაუსხმელობის პაქტს, ასევე იმავე დღეს მოსკოვის რკინიგზის სადგურში საბჭოთა ბელადის ერთობ სამარცხვინო საქციელს, როცა იგი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ მაცუოკასთან გამომშვიდობების მაგივრად გერმანიის საელჩოს პოლკოვნიკ ჰანს კრებსს მიადგა, გადაეხვია და შეჰღაღადა, რაც უნდა მოხდეს, ჩვენ მუდამ თქვენი მეგობრები ვიქნებითო. ეტყობოდა, სტალინი უაღრესად დაძაბული იყო. ორი დღის შემდეგ კრებსმა ამ ინციდენტის შესახებ ბერლინში თავის კოლეგას მისწერა, სადაც აღნიშნავდა, რომ „სტალინი საკმაოდ მობერებული ჩანდა. იგი გაჭაღარავებულიყო; სახეზე ავადმყოფური ფერი ედო; მარცხენა თვალი დროდადრო ეხუჭებოდა. არაა გამორიცხული, რომ იგი ალკოჰოლის ზემოქმედებაში იმყოფებოდა...[138]"

სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა, როდესაც გერმანიის არმიამ პირველივე მცდელობით გადალახა ყველა წინააღმდეგობა და 1941 წლის აპრილის ბოლოს იუგოსლავია და საბერძნეთი დაიპყრო. 5 მაისს კრემლში სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა წინაშე სიტყვით გამოსვლისას სტალინი ერთგვარად შეეცადა საკუთარი შეიარაღებული ძალების

ენთუზიაზმის გაღვივებას, თუმცა ეს უკვე დაგვიანებული იყო. „ახლა, როცა გავძლიერდით", თქვა მან, „თავდაცვიდან შეტევაზე უნდა გადავიდეთ. შეტევითი სულისკვეთებით უნდა განვმსჭვალოთ ჩვენი აგიტაცია, პროპაგანდა და პრესა. წითელი არმია თანამედროვე არმიაა, ხოლო თანამედროვე არმია შემტევი არმიაა". ეს გამოსვლა ზოგმა მაშინ მცდარად აღიქვა სტალინის სურვილად, შებრძოლებოდა გერმანელებს. თუმცა ასე როდი იყო. ეს მხოლოდ იმეორებდა არსებულ სამხედრო დოქტრინას, რომლის თანახმადაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში წითელი არმია კონტრშეტევაზე უნდა გადასულიყო, რათა ომი მტრის ტერიტორიაზე ეწარმოებინა. სტალინი საშინლად განურისხდა თავის გენერლებს ჟუკოვს და ტიმოშენკოს, რომლებმაც ასევე არასწორად გაიგეს მისი 5 მაისის გამოსვლა და შედეგად 15 მაისს მას საბჭოთა საზღვრებთან განლაგებულ გერმანულ სამხედრო შენაერთებზე წინმსწრები დარტყმის გეგმა წარუდგინეს. „თქვენ რა, გაგიჟდით? გერმანელთა პროვოცირება გინდათ?" – ბობოქრობდა სტალინი. „ტიმოშენკო ზორბა ტანისაა და თავიც დიდი აბია, მაგრამ ეტყობა შიგ ცოტა ტვინი უდევს... არ გაბედოთ გერმანელების პროვოცირება საზღვარზე და ჩვენი ნებართვის გარეშე შეიარაღებული ძალები არ დაძრათ, თორემ ორივეს თავებს წაგაცლით"[139].

საბჭოელები შეძლებისდაგვარად ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა დაერწმუნებინათ გერმანელები, რომ მათთან მტრობას, მეგობრობა ჯობდა. ისინი განაგრძობდნენ გერმანელებისთვის დიდძალი ნედლეულის მიწოდებას (მათ შორის მარტო 1941 წლის პირველ ოთხ თვეში 232 000 ტონა ნავთობი და 632 000 ტონა ხორბალი მიაწოდეს[140]) მაშინ, როცა თავად საბჭოთა ეკონომიკა გაჩანაგების პირას იმყოფებოდა. მართალია საანაცვლოდ საბჭოელები გერმანელებისგან კონტრაქტით გათვალისწინებულ გარკვეულ ანაზღაურებას იღებდნენ საქონლის ან ტექნიკური დახმარების სახით, მაგრამ ეს ანაზღაურება სრულიად არაადეკვატური იყო.

სტალინის მღელვარება კიდევ უფრო გაამძაფრა იმის შეტყობამ, რომ ჰიტლერის ერთ-ერთი თანამოაზრე რუდოლფ ჰესი 10 მაისს შოტლანდიაში ჩაფრინდა. სტალინმა ეს ვიზიტი გერმანიისა და ბრიტანეთის დაზავების ფარულ მცდელობად აღიქვა. სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა და მოგვიანებით გაირკვა, რომ ჰესი ფსიქიკურად არაადეკვატურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ იმ დროისთვის საბჭოთა ლიდერს სულ სხვა სურათი ედგა თვალწინ. ბრიტანელებმა სამი კვირით ადრე ძალაუნებურად გააღვივეს მისი პარანოია, როცა 18 აპრილს ბრიტანეთის ელჩმა მოსკოვში სერ სტაფორდ კრიპსმა მას და მოლოტოვს მისწერა, რომ „თუ ომი დიდხანს გაგრძელდა, მაშინ შესაძლოა ბრიტანეთი აჰყვეს ცდუნებას და რაიმე სამშვიდობო შეთანხმებას მიაღწიოს გერმანიასთან მისი ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ უკვე შემოთავაზებულ პირობებზე"[141]. ამ

წერილით კრიპსს სურდა საბჭოთა ხელმძღვანელობა გაეფრთხილებინა, რომ დიდად სახიფათო იქნებოდა თუ დიდ ბრიტანეთთან არ შექმნიდნენ ალიანსს გერმანიის წინააღმდეგ. მაგრამ წერილმა სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო და სტალინს გაუმძაფრა ეჭვი, რომ ბრიტანელები მის ზურგს უკან რაღაც საიდუმლო გარიგებას აწყობდნენ გერმანელებთან. ეს შიში კიდევ უფრო გაამძაფრა შოტლანდიაში ჰესის ჩასვლამ.

სტალინი ლამის სასოწარკვეთილი ეჭიდებოდა რწმენას, რომ გერმანია არ აპირებდა ახლო ხანში მის ქვეყანაში შეჭრას. ამ შეჭრამდე სულ რამდენიმე დღით ადრე იგი გაეცნო უშიშროების სახალხო კომისრის მერკულოვის ანგარიშს, სადაც გარკვევით ეწერა: „გერმანიის ავიაციის სამმართველოში მომუშავე წყარო იტყობინება: გერმანიას მთელი სამხედრო ძალები მობილიზებული აქვს საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმისთვის და შეტევა ნებისმიერ მომენტშია მოსალოდნელი". სტალინმა დოკუმენტში ეს სიტყვები გადახაზა და მერკულოვს განუცხადა: „ამხანაგო მერკულოვ, შეგიძლია ეგ შენი „წყარო" გერმანიის საჰაერო ძალების შტაბიდან თავის დედის გასაუიმად გაუშვა. ეგ წყარო კი არა, დეზინფორმატორია[142]".

ბოლო ხანებში შეინიშნება სტალინის მაშინდელი ქცევის ერთგვარი გამართლების ტენდენცია და მას წინანდებურად აღარ ადანაშაულებენ ისე, როგორც ეს ჩერჩილმა გააკეთა, უწოდა რა სტალინს და მის მრჩევლებს „მეორე მსოფლიო ომის ყველაზე გაბრიყვებული ფარჩაკები"[143]. დიახ, მაშინ მოვლენები მარტივად როდი ვითარდებოდა, და როგორც მარშალი ჟუკოვი მოგვიანებით წერდა: „იმაზე ადვილი არაფერია, ვიდრე ახალი ინტერპრეტაცია მისცე მოვლენებს მაშინ, როცა ისინი უკვე მომხდარია და შედეგებიც ცნობილი"[144]. და მაინც, სტალინის მაშინდელი ვარაუდები და მოსაზრებები სრულიად მცდარია. სრულიად აშკარა იყო გერმანელთა სამხედრო ძალების მობილიზაცია, ის კი წითელი არმიის ოდნავ გადაადგილებასაც კი ვერ ბედავდა, რომ მცირედით მაინც გაეუმჯობესებინა მისი პოზიციები. ეს იყო შეცდომა, რომელსაც მარშალმა ვასილევსკიმ მოგვიანებით „საბედისწერო" უწოდა[145]. იმის შედეგად, რომ სტალინმა ვერ შეძლო ამ კრიტიკული სიტუაციის მართვა, ომის პირველივე საათებში უამრავი საბჭოთა თვითმფრინავი და საომარი ტექნიკა განადგურდა. და ყველაფერი ამის მერე განა სწორედ სტალინი არ იყო ის „გაბრიყვებული ფარჩაკი"?

1941 წლის 22 ივნისს დილის ოთხ საათზე გერმანიის ელჩი მოსკოვში გრაფი შულენბურგი კრემლში მოლოტოვის კაბინეტში შევიდა იმ ამბავის გადასაცემად, რასაც ასე უფრთხოდა საბჭოთა ხელისუფლება. საზღვართან ახლოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების კონცენტრაციის გამო გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა საბჭოთა საზღვარი გადმოკვეთესო, განაცხადა შულენბურგმა. ეს საბაბი აშკარად უსუსური იყო. შულენბურგის თანმხლები გუსტავ ჰილგერი იხსენებს[146]: „ელჩის ამ განცხადების შემდეგ

რამდენიმე წამი სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მოლოტოვი აშკარად ცდილობდა არ გაემჟღავნებინა თავისი მღელვარება... შემდეგ მან გერმანელთა ამ ქმედებას ისტორიაში ნდობის დარღვევის უპრეცედენტო შემთხვევა უწოდა. მისი თქმით, „გერმანია ყოველგვარი მიზეზის გარეშე თავს დაესხა ქვეყანას, რომელთანაც თავდაუსხმელობის პაქტი ჰქონდა დადებული". (მოლოტოვს ეტყობა დაავიწყდა, რომ გერმანელთა ამ ქმედებას სწორედაც რომ ჰქონდა ისტორიული პრეცედენტი – დაახლოებით ორი წლით ადრე, 1939 წლის სექტემბერში თვით საბჭოთა კავშირი შეიჭრა პოლონეთში – ქვეყანაში, რომელთანაც თავდაუსხმელობის პაქტი ჰქონდა დადებული 1932 წლის ივლისში).

ამის შემდეგ მოლოტოვმა მეტი ვეღარაფერი მოიფიქრა და შულენბურგს სინანულით ასე მიმართა: „ნუთუ ჩვენ ეს დავიმსახურეთ?"

2

გადამწყვეტი მომენტები

თავდასხმის პირველი დღეები

1941 წლის 22 ივნისის კვირას გამთენიისას გერმანელებმა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ტერიტორიის დაპყრობა დაიწყეს. 3 მილიონზე მეტი მეომარი დაიძრა სამი ძირითადი მიმართულებით: ჩრდილოეთის საჯარისო დაჯგუფება ფელდმარშალ ფონ ლეების მეთაურობით – ბალტიის ქვეყნებისა და ლენინგრადის მიმართულებით, ცენტრალური საჯარისო დაჯგუფება ფელდმარშალ ფონ ბოკის მეთაურობით – მინსკი-სმოლენსკი-ვიაზმა-მოსკოვის ხაზის გასწვრივ და სამხრეთის საჯარისო დაჯგუფება ფელდმარშალ ფონ რუნდშტედტის მეთაურობით – უკრაინის ნაყოფიერი მიწების დასაპყრობად.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები მეტად სუსტ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. მართალია არსებობდა მედგარი წინააღმდეგობის ცალკეული კერები, მაგრამ საერთო სურათი სავალალო იყო. „საზღვარზე სამი დღეღამე ვიბრძოდი", იხსენებს 204-ე საბჭოთა დივიზიის ჯარისკაცი გიორგი სემენიაკი[1]. „დაბომბვა, სროლა... საარტილერიო აფეთქება არ წყდებოდა". მეოთხე დღეს მისი შენაერთი დაიქსაქსა და უკან დახევა დაიწყო. „საშინელი სანახაობა იყო. გერმანული თვითმფრინავები შეუწყვეტლივ ბომბავდნენ უკანდახეულ მეომრებს". გერმანელების შემოჭრისას მისი დივიზიის მეთაურთა უმრავლესობამ მიატოვა თავისი მეომრები. „ლეიტენანტები, კაპიტნები, უმცროსი ლეიტენანტები აღმოსავლეთისკენ მიმავალ მანქანებში სხდებოდნენ და გარბოდნენ... როცა ოფიცერი თავის წოდებას საკუთარი ტყავის გადასარჩენად იყენებს, ეს აღმაშფოთებელია. თუმცა რას იზამ, ადამიანს ახასიათებს სისუსტეები".

ომის პირველი დღეების ასეთივე საშინელი ქაოსი გადაიტანა საბჭოთა ჯარისკაცმა ივან კულიშმა[2], რომელიც უფრო ადრე, 1939 წელს პოლონეთის ოკუპაციაში მონაწილეობდა. „ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ლვოვის დატოვება მოგვიწევდა[3]", ამბობს იგი. „არადა, რა სამარცხვინოდ გავრბოდით! შენაერთებში სრული ქაოსი სუფევდა... არავითარი კავშირგაბმულობა; დივიზიისა და არმიის მეთაურებმა არც თავიანთი შენაერთების და არც საკუთარი ადგილსამყოფელი იცოდნენ... ყველა პანიკას მოეცვა და გარბოდა". წითელი არმიის დანაკარგები კატასტროფული იყო. თითქმის მთე-

ლი საბჭოთა საჰაერო ძალები გერმანელთა შეტევის პირველივე საათებში მინაზევე განადგურდა, ხოლო ერთ თვეზე ნაკლებ დროში ცენტრალურმა საჯარისო დაჯგუფებამ სამასი ათასზე მეტი საბჭოთა მეომარი დაატყვევა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი რეპორტიორები ბრესტ-ლიტოვსკში[4] და სხვაგანაც საბჭოელთა „ძლიერი და გააფთრებული“ წინააღმდეგობის შესახებ იუწყებოდნენ, აშკარად გამოვლინდა წითელი არმიის უსუსურობა ვერმახტის წინაშე.

პანიკით შეპყრობილმა შინსახკომმა ფრონტის ხაზის სიახლოვეს საპყრობილეების მეტ-ნაკლებად „საშიში“ (უმეტესწილად პოლიტიკური მოტივით დაკავებული) პატიმრების დახვრეტის გადაწყვეტილება მიიღო. ლვოვში ომის პირველ დღეებში სავარაუდოდ 4 000 კაცი დახვრიტეს[5]. ოლგა პოპადინი[6] მაშინ ლვოვის ბრიგიდის საპატიმროს ჰოსპიტალში მუშაობდა და იხსენებს, რომ ივნისის ბოლო კვირაში „გახრწნილი გვამების საშინელი სუნი ტრიალებდა. აშკარა იყო, რომ ისინი (შინსახკომელები) პატიმრებს ხოცავდნენ. ზაფხულის სიცხეში გვამების სუნი დღითიდღე სულ უფრო აუტანელი ხდებოდა“... სტალინის რეჟიმი საკუთარ თავს არ ღალატობდა. მან მასიური ხოცვა-ჟლეტით დაიკავა პოლონეთის ტერიტორია და ასევე მასიური ხოცვა-ჟლეტით ტოვებდა მას.

საბჭოთა ლიდერი ომის დაწყების პირველ საათებშიც კი უგულებელყოფდა ფაქტებს. როცა იგი მოსკოვის მახლობლად კუნცევოს აგარაკზე 22 ივნისს დილით ადრე გააღვიძეს, კრემლში თათბირი მოიწვია, რათა განეცხადებინა, რომ ეს „ეგრეთ წოდებული“ თავდასხმა შეიძლებოდა „პროვოკაცია“ ყოფილიყო. როცა როგორც იქნა დაარწმუნეს, რომ ის, რასაც გერმანელები სჩადიოდნენ, პროვოკაცია არ იყო, სტალინმა ისეთი ბრძანებების გაცემა დაიწყო, რომლებსაც რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. მაგალითად, მისი „დირექტივა 3“ წითელ არმიას მოუწოდებდა ლუბლინის მიმართულებით მტრის ტერიტორიაზე გადასულიყო, რათა განეხორციელებინა დრომოჭმული საბჭოთა სამხედრო დოქტრინა – თავდაცვითი ბრძოლების წარმოება მტრის ტერიტორიაზე.

მაგრამ სიტუაციის გასაცნობად მოსკოვიდან ფრონტის ხაზზე მივლენილმა სტალინის ემისრებმა მალევე გაარკვიეს საშინელი სიმართლე. ერთ-ერთმა უმაღლესმა პოლიტფუნქციონერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა საკუთარი თვალით იხილა ოფიცერთა კორპუსის კრახი, როცა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომისარს ვაშუგინს შეხვდა. „თავის მოკვლა გადავწყვიტე“, უთხრა ვაშუგინმა ხრუშჩოვს. „ბრალად მიმიძღვის მოტორიზებული კორპუსის მეთაურებისადმი არასწორი ბრძანებების გაცემა. მე თავს აღარ ვიცოცხლებ“.

„ეს რას ნიშნავს?“ – გაბრაზდა ხრუშჩოვი.

ვაშუგინი ახსნა-განმარტებას შეუდგა, მაგრამ ხრუშჩოვი არგუმენტებს აღარ დაელოდა და მას საუბარი შეაწყვეტინა: „რა სისულელეებს როშავ? თუ თავის მოკვლა გადაგიწყვეტია, რაღას ელოდები?"

ამ სიტყვებზე ვაშუგინმა პისტოლეტი იძრო, საფეთქელზე მიიბჯინა და სასხლეტს გამოჰკრა. იგი უსულოდ დაეცა ხრუშჩოვის ფეხებთან[7].

ვაშუგინის თვითმკვლელობა სიმბოლურად გამოხატავს ომის იმ საწყის ეტაპზე სტალინური სისტემის უვარგისობას. 30-იან წლებში შეიარაღებულ ძალებში განხორციელებულმა რეპრესიებმა, როდესაც სტალინმა გადაწყვიტა გაენადგურებინა ოპოზიცია, თუმცა უმეტესობას ოპოზიციონერობა უსაფუძვლოდ ბრალდებოდა, უკიდურესად დაასუსტა წითელი არმია. მრავალი ნიჭიერი მხედართმთავარი ჩამოაშორეს საქმეს, ხოლო მათ ადგილზე სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდა ოფიცრები დანიშნეს (მაგალითად, საბჭოთა საჰაერო ძალების მაშინდელი სარდალი მხოლოდ ოცდაცხრა წლის იყო). არმიაში გამეფებული საყოველთაო შიშის ატმოსფერო სამხედრო მეთაურებს კრიტიკულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების უნარს უხშობდა.

პრობლემა იყო არა მარტო ის, რომ სტალინური სისტემა ტერორს ეფუძნებოდა, არამედ ისიც, რომ დასჯა თვითნებური კრიტერიუმებით ხდებოდა. ბერიასა და სტალინის მიერ სახელმწიფოს სავარაუდო მოწინააღმდეგეთა მიმართ წაყენებულ ბრალდებათა შორის ერთ-ერთი უპირატესი იყო „ხალხის მტერის" კატეგორია. ამ ბრალდების ნაყენების შემდეგ შეუძლებელი იყო თავის დაცვა. ამიტომ ბევრი ოფიცერი თვლიდა, რომ თავის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო თავიდან აერიდებინა არა მხოლოდ სარისკო, არამედ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება. საბჭოთა სისტემის სწორედ ამ სიმახინჯემ აღაშფოთა გერმანელები „ჩრდილოეთის ბაზაზე" 1940 წელს.

ამრიგად წითელი არმია მოწინააღმდეგეს ჩამოუვარდებოდა არა მარტო აღჭურვილობით, არამედ მმართველობითაც. გერმანული არმიის მმართველობის სისტემა ძირეულად განსხვავდებოდა საბჭოურისგან. იმ დროისთვის გერმანელებს უმაღლეს დონეზე ჰქონდათ დამუშავებული თავიანთი ბლიცკრიგის (ელვისებური შეტევა) ტაქტიკა, რაც თითქმის შეუძლებელს ხდიდა მათი ჯავშანსატანკო დარტყმის მოგერიებას. ასევე მოქნილი და ეფექტიანი იყო მათი მმართველობის თეორიაზე დაფუძნებული არმიის მართვის სისტემა *Auftragstaktik* (საკომანდო მისია).

საბჭოთა საველე მეთაურებისგან განსხვავებით, რომლებსაც ეკრძალებოდათ ადგილზე გადაწყვეტილების მიღება, გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა ამ უფლებას ნებისმიერი რანგის ოფიცერს ანიჭებდა. უმაღლესი მთავარსარდლობა აყალიბებდა სტრატეგიულ მიზნებს, ხოლო ამ მიზნების მისაღწევი საუკეთესო გზის შერჩევა ბრძოლის ველზე მოქმედი

ოფიცრებისა და უნტეროფიცრების ხელში იყო. უმეტესწილად *Aufstragstaktik*-ით მინიჭებული მოქმედების თავისუფლება იყო ომის საწყის ეტაპზე ჰაინც გუდერიანის სატანკო არმიის უზომო წარმატების წინაპირობა. ომის დაწყებიდან ოთხ კვირაზე ნაკლებ დროში გუდერიანის ტანკებმა სმოლენსკამდე მიაღწიეს და აიღეს კიდეც (ტყუილად როდი შეარქვეს მისმა მეომრებმა გუდერიანს მეტსახელად „*Schneller Heinz*" – „წრაფი ჰეინცი").

„ყველაფერი თამაშად მიგვაჩნდა", ამბობს მაშინდელი გერმანული 201-ე საარტილერიო ბატალიონის მეომარი ალბერტ შნაიდერი. ის და მისი თანამებრძოლები ფიქრობდნენ, რომ ომი ექვს თვეში ან ერთ წელიწადში მაინც დამთავრდებოდა – „მივაღწევდით ურალის მთებს და მორჩა... განა რა უნდა მოგვსვლოდა? ჩვენ ხომ ძლევამოსილი არმია ვიყავით? ყველაფერი შესანიშნავად იყო და ბევრი ჯარისკაცი სიმღერით მიიწევდა წინ! ახლა ეს ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია".

გერმანელთა დრამატული წინსვლის შემხედვარე სტალინი სასოწარკვეთალებამ შეიპყრო. როდესაც 29 ივნისის სამხედრო ოპერატიულ თათბირზე მოახსენეს, რომ გერმანელები მინსკს უტევდნენ, იგი ისე განრისხდა, რომ თათბირი დატოვა სიტყვებით: „ლენინმა შექმნა ჩვენი სახელმწიფო და ჩვენ კი მას დედა ვუტირეთ"[8]. ამის შემდეგ იგი აგარაკზე გაემგზავრა. ხელსაყრელი მომენტი დაუდგათ პოლიტბიუროს იმ წევრებს, რომლებიც სტალინის გადაყენებაზე ოცნებობდნენ. კაცმა რომ თქვას, სწორედ სტალინის არაკომპეტენტურობა იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ წითელი არმია უმწეო აღმოჩნდა წინააღდგომოდა გერმანელთა შეტევას. მის კისერზე იყო 1930-იანი წლების რეპრესიებით არმიის საუკეთესო მეთაურების განადგურება და გერმანელთა შემოსევის წინა პერიოდში სადაზვერვო სამსახურის უამრავი მონაცემის უგულვებელყოფით არმიის თავდაცვისუნარიანობის მოშლა. გარდა ამისა, ომის პირველი კვირის განმავლობაში სტალინი უაღრესად არაადეკვატურად იქცეოდა. კერძოდ, ქვეყანაზე გერმანიის თავდასხმის შესახებ რადიოში გამოცხადება მან მოლოტოვს დაავალა მაშინ, როცა ასეთი ამბავი ქვეყნის პირველმა პირმა უნდა აცნობოს მოსახლეობას. პოლიტბიუროს წევრები სტალინის მოქმედებით დაბნეულები იყვნენ. ვოზნესენსკიმ მოლოტოვს ისიც კი მიანიშნა, რომ მას საკუთარ თავზე აეღო ლიდერობა („ვიაჩესლავ, გაგვიძეხ წინ, ჩვენ გამოგყვებით!" – უთქვამს მას)[9]. თუმცა ეს აზრი მაშინვე უარყვეს პოლიტბიუროს სხვა წევრებმა.

ეს ის მომენტი იყო, როდესაც სტალინს მის მიერ წლების განმავლობაში დანერგილმა ტერორის ატმოსფერომ უშველა. მის მიერ დაშვებული შეცდომების მიუხედავად, მისი ადგილის დაკავებისა და ლიდერობის სურვილი მაინც არავის გასჩენია. პოლიტბიუროს ყველა წევრს სჯეროდა, რომ

თუნდაც დასუსტებული სტალინის წინააღმდეგ შეთქმულების მონყობა წამებით სიკვდილს ნიშნავდა.

30 ივნისს პოლიტბიუროს წამყვანი ფიგურები – ბერია, მიქოიანი და მოლოტოვი სტალინს მოსკოვის მახლობლად მწვანეში ჩაფლულ და მწვანედშეღებილ აგარაკზე ეახლენ. მათ დანახვაზე სავარძელში მჯდარი სტალინი შეცბა.

რისთვის მოხვედითო, უკითხავს მას.

მიქოიანის მოგონების თანახმად, „იგი [სტალინი] საკმაოდ დაძაბული ჩანდა, უცნაურად გამოიყურებოდა. მისი ეს შეკითხვაც უცნაურად ჟღერდა. არადა, შექმნილ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, თავად უნდა ეხმო ჩვენთვის. დარწმუნებული ვარ, ეგონა, რომ მის დასაპატიმრებლად ვიყავით მისული[10]“. ბერიას ვაჟის გადმოცემით, მამამისი თურმე სტალინის სახის გამომეტყველებას აკვირდებოდა და მიხვდა, რომ „მას ეგონა, იმისთვის მივედით, რათა გადაყენების ამბავი გვეცნობებინა[11]“.

მოგვიანებით, როცა ნაცისტებთან ბრძოლაში წითელი არმიის წარმატებების პერიოდი დაიწყო, იმათ, ვინც სტალინს აღმერთებდა, ეს ეპიზოდი საბჭოთა ლიდერის გამჭრიახობის კიდევ ერთ მაგალითად წარმოაჩინეს. ისინი ამტკიცებენ, რომ სტალინმა, რომელიც დიდი გატაცებით ეწაფებოდა ისტორიას, ივანე მრისხანეს ხრიკი გამოიყენა, რომელიც ზოგჯერ გონების დაკარგვისა და შემდგომ გონზე მოსვლის სიმულაციას მიმართავდა, რათა მის წინააღმდეგ სავარაუდო შეთქმულების მოთავენი გამოეაშკარავებინა. მაგრამ ასეთი ინტერპრეტაცია მხოლოდ რეტროსპექციული აზროვნების შედეგია და სინამდვილეს არ შეესაბამება. 1941 წლის ივნისის იმ მძიმე დღეებში, როცა წითელი არმია კუდამოძუებული უკან გარბოდა და ნაცისტები მინსკს უტევდნენ, სტალინს ასეთი მაკიაველისეული ხრიკებისთვის არ ეცალა. არა, თავისი მმართველობას ამ ყველაზე დაბალ ნიშნულზე ყოფნისას, სტალინს მართლა ეგონა, რომ კოლეგები მასთანაც მივიდნენ, რათა განეცხადებინათ, ხალხის მტერი ხარო.

მაგრამ ვიდრე საბჭოთა ბელადი მობუზული და შეშფოთებული იჯდა თავის სავარძელში, მოლოტოვმა სრულიად სხვა რამ განუცხადა, ანუ ის მოსაზრება, რომ საჭირო იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნა.

მერედა ვინ უხელმძღვანელებსო, იკითხა ჯერ ისევ ეჭვებით შეპყრობილმა სტალინმა.

მოლოტოვმა უპასუხა, რომ მათი აზრით სტალინს თავად უნდა ეკისრა ეს როლი. საბოლოოდ დამშვიდებული სტალინი დათანხმდა და მაშინვე შეუდგა ამ ახალ კომიტეტში ფუნქციების განაწილებას.

სტალინი კრემლში სამუშაოდ 1 ივლისს დაბრუნდა. თავისი ხელქვეითების ერთგულებაში დარწმუნებულმა გადაწყვიტა, რომ დადგა დრო მას, დიდ საბჭოთა ბელადს, საკუთარი ხალხისთვის მიემართა. 3 ივლისს იგი რა-

დიოში სიტყვით გამოვიდა. ეს სიტყვა პოპულარული გახდა არა იმით, რომ მასში სტალინი მიკიბულ-მოკიბულად შეეცადა გაემართლებინა საბჭოთა ხელისუფლება ნაცისტებთან 1939 წლის პაქტის დადებაში; არც იმით, რომ მხურვალედ მოუწოდა საბჭოთა კავშირის ყველა ერს – უზბეკებს, თათრებს, ქართველებს, სომხებს და სხვებს ერთიანი ძალით ებრძოლათ ფაშისტური მონობის უღლის თავიდან ასაცილებლად. ეს გამოსვლა ცნობილი გახდა უმთავრესად გამოსვლის დასაწყისში ნათქვამი სიტყვებით: „ამხანაგებო, დებო და ძმებო". ამ სიტყვების წყალობით უამრავი საბჭოთა მოქალაქის თვალში სტალინი ახლებურად წარმოჩნდა, როგორც ბელადი, რომელიც მათზე ზრუნავდა არა მხოლოდ როგორც „ამხანაგებზე", არამედ როგორც ოჯახის წევრებზე. ამ გამოსვლაში სტალინი მათ მოუწოდებდა ებრძოლათ ნაციზმის არა როგორც იდეოლოგიური მტრის წინააღმდეგ, არამედ როგორც სისხლისმსმელი მტაცებლის წინააღმდეგ დედასამშობლოს დასახსნელად. ასეთი ბრძოლა კი ყველასთვის გასაგები იყო.

სტალინი და დასავლეთის ალიანსი – პირველი დღეები

სტალინის რიტორიკის ამ სიახლემ, რა თქმა უნდა, გერმანელთა წინსვლა ვერ შეაჩერა.

სასონარკვეთილმა საბჭოთა მთავრობამ ივლისის დამლევს ბერიას ერთ-ერთი მოადგილის პაველ სუდოპლატოვის პირით ბულგარეთის ელჩს მოსკოვში ივან სტამენოვს სთხოვა, გაერკვია გერმანელებთან, თუ საბჭოთა ტერიტორიების რა ნაწილის ხარჯზე შეიძლებოდა მათთან დაზავება. მოლოტოვი იმასაც ვარაუდობდა, რომ ტერიტორიების ასეთი შეთავაზება „მეორე ბრესტ-ლიტოვსკის ზავი" იქნებოდა და ამბობდა, თუ ლენინს ეყო გამბედაობა ასეთი ნაბიჯისთვის, ჩვენც იგივე უნდა გავაკეთოთო[12].

ეს თხოვნა უშედეგოდ დასრულდა. სტამენოვს სჯეროდა, რომ, თავდაპირველი წარუმატებლობის მიუხედავად, საბოლოო გამარჯვება საბჭოელებს დარჩებოდათ, ხოლო ნაცისტებთან მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა, რადგან ამ უზარმაზარი წარმატების პერიოდში ჰიტლერი არავითარ დაზავებას არ დათანხმდებოდა. თუმცა თავად ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლება მზად იყო გამოეყენებინა შესაძლებლობა ნაცისტებთან სეპარატიული ზავის დასადებად, ყურადღებას იმსახურებს. საქმე ისაა, რომ საბჭოთა კავშირზე ნაცისტების თავდასხმიდან მალევე, 1941 წლის 12 ივლისს ბრიტანელებმა საბჭოთა კავშირთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმეს, სადაც გარკვევით ეწერა, რომ არცერთ მათგანს არ ჰქონდა უფლება „ერთმანეთთან შეუთანხმებლად აწარმოოს მოლაპარაკება ან დადოს ხელშეკრულება [გერმანიასთან] ცეცხლის

შეწყვეტის ან დაზავების შესახებ". საბჭოთა ხელისუფლებამ კი სულ რაღაც ორ კვირაში დემონსტრაციულად დაარღვია ეს ხელშეკრულება, როცა ბერიას ემისარი ბულგარეთის ელჩს შეხვდა.

ამ ალიანსის შექმნის პირველივე დღეებში ორივე მხარე მიმართავდა ფარისევლობას. იმ დროს, როცა ჩერჩილმა 22 ივნისს საჯარო გამოსვლისას განაცხადა, რომ ნაცისტების თავდასხმის შემდეგ მისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი შეიცვალა – „წარსული მთელი თავისი უკანონობით, სიბეცითა და ტრაგედიებით, დავიწყებულია[13]", კერძო საუბარში თავის მდივანს ჯონ კოლვილს ზუსტად ამ თავდასხმის წინ უთხრა, ჰიტლერი ჯოჯოხეთსაც რომ თავს დაესხას, იძულებული ვიქნები თვით ეშმაკის მიმართაც კი უფრო კეთილგანწყობილი ვიყოო[14].

ბრიტანეთის ხელისუფლებაში ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირს გერმანიასთან გამკლავების რაიმე შანსი ჰქონდა. ბევრი პოლიტიკოსი და წამყვანი სამხედრო პირი თვლიდა, რომ საბჭოელები დიდხანს ვერ გაძლებდნენ. კერძოდ, თავდაცვის სამინისტრომ ბი-ბი-სის (*BBC*) ურჩია, არ შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოსდა „რუსების წინააღმდეგობა" ექვს კვირაზე მეტხანს გასტანდა[15]. ამასთან, არსებობდა ფართოდ გავრცელებული უარყოფითი შეხედულება საბჭოელებზე, რომლის გადალახვა არ იყო ადვილი. გაერთიანებული სამეფოს გენშტაბის უფროსის მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა ჰენრი პოუნალმა ბრიტანეთის ახალი მოკავშირის შესახებ 29 ივნისს თავის დღიურში ასეთი რამ ჩაწერა: „ვერიდები გამოთქმას „მოკავშირეები", რადგან თავად რუსები არიან ავაზაკი მკვლელები და პირნავარდნილი მატყუარები. სასიამოვნოა იმის ყურება, თუ რა გააფთრებით ებრძვის ერთმანეთს ევროპაში ორი პირსისხლიანი ჯალათი, ჰიტლერი და სტალინი[16]".

საკმაოდ ფრთხილი იყო შეერთებული შტატების რეაქციაც საბჭოეთში ნაცისტების შეჭრაზე. სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა სამნერ უელსმა პრეზიდენტ რუზველტთან მჭიდრო კონსულტაციის შემდეგ 23 ივნისს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ერთნაირად გმობდა როგორც „ნაცისტური დიქტატურის დოქტრინას და პრინციპებს", ისე „კომუნისტური დიქტატურის დოქტრინას და პრინციპებს"; ამასთან შეერთებული შტატების მთავრობა აცნობიერებდა, რომ იმ დროს ამერიკისთვის მთავარ საშიშროებას ჰიტლერის არმია წარმოადგენდა. ეს განცხადება საბჭოთა კავშირისადმი დახმარების შესაძლებლობას არ გამორიცხავდა, თუმცა შეერთებულ შტატებს არაფრით ავალდებულებდა, ასე მოქცეულიყო.

ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი ღიად აფიქსირებდა გენერალ-ლეიტენანტ პოუნალის მსგავს შეხედულებებს. მისურის შტატის სენატორმა ბენეტ კლარკმა განაცხადა: „ეს ის შემთხვევაა, როცა ძაღლი ძაღლის ტყავს ხევს. სტალინსაც ჰიტლერივით სისხლით აქვს ხელები მოთხვრილი.

არა მგონია, რომ რომელიმე მათგანს უნდა დავეხმაროთ[17]". მეორე ამერიკელმა სენატორმა კი უაღრესად პრაგმატული წინადადება წამოაყენა: „თუ დავინახავთ, რომ გერმანია იმარჯვებს, მაშინ რუსეთს უნდა დავეხმაროთ; თუ რუსეთს ექნება უპირატესობა, მაშინ გერმანიას უნდა დავეხმაროთ. ამით მათ საშუალებას მივცემთ, რაც შეიძლება მეტი ხალხი დაუხოცონ ერთმანეთს; ისე კი არავითარ შემთხვევაში არ მინდა ჰიტლერს დარჩეს გამარჯვება". მაშინდელ ამერიკულ პრესაში ფართოდ ციტირებული ეს სიტყვები ეკუთვნოდა იმ დროს ნაკლებად ცნობილ პოლიტიკოსს მისურის შტატიდან ჰარი ტრუმენს. ამ სიტყვებმა მას გარკვეული დისკომფორტი შეუქმნა ამერიკის პრეზიდენტად გახდომის შემდეგ სტალინთან პირადი შეხვედრების დროს. მაგრამ ცინიზმის მთავარ პრიზს იმსახურებდა სენატორი რობერტ ლა ფოლეტე, რომელმაც ჟურნალ *The Progressive*-ში დაწერა, რომ შეერთებულ შტატებში მალე დაიწყებოდა „ტვინების უპრეცედენტო რეცხვა" ქვეყნის ომში ჩათრევის მიზნით. „ამერიკელ ხალხს მოუწოდებენ დაივიწყონ რუსეთში გატარებული რეპრესიები... ქონების კონფისკაცია, რელიგიის დევნა, ფინეთის ოკუპაცია და სტალინის მტაცებლური როლი პოლონეთის უზარმაზარი ნაწილისა და ლატვიის, ესტონეთისა და ლიტვის დაპყრობაში. გვაიძულებენ ეს ყველაფერი ნაციზმთან ბრძოლისთვის „დემოკრატიულ წინასწარ მზადებად ჩავთვალოთ".

მაგრამ მის ქვეყანაზე თავდასხმის პირველ ხანებში სტალინს ეტყობა ნაკლებად აწუხებდა, თუ როგორ შეფასდებოდა საბჭოთა სისტემა მომავალში, და მთელი მისი ძალისხმევა იქით იყო მიმართული, რომ საბჭოთა კავშირს საერთოდ ჰქონოდა მომავალი. ამ ძალისხმევის ერთ-ერთი გამოვლენა იყო მისი 19 ივლისის წერილი ჩერჩილისადმი, რომელიც პრემიერ-მინისტრს საბჭოთა ელჩმა მაევსკიმ გადასცა. მასში სტალინი ყურადღებას ამახვილებდა მიმდინარე საომარი სიტუაციის სიძნელეებზე და ჩერჩილს დახმარებას სთხოვდა საფრანგეთში მეორე ფრონტის დაუყოვნებლივი გახსნით. ჩვენ ვნახავთ, რომ შემდგომი ორი-სამი წლის განმავლობაში ჩერჩილს მრავალგზის მოუწევს ამ თხოვნის უარყოფა; ამ პირველი თხოვნის საპასუხო უარში კი იგი მიზეზად ჩრდილოეთ საფრანგეთში განლაგებულ გერმანელთა ორმოც დივიზიას ასახელებდა.

მაგრამ ბრიტანელებმა იმ ზაფხულს საბჭოთა კავშირის დასახმარებლად მაინც ჩაატარეს ერთი ნაკლებად ცნობილი სამხედრო ოპერაცია შორეულ შპიცბერგენის კუნძულზე, ჩრდილოეთ პოლუსიდან 600 მილის დაშორებით. და თუმცა ეს ოპერაცია თავისი მასშტაბით ვერ შეედრებოდა სტალინის მოთხოვნილ მეორე ფრონტს, მაგრამ მასშიც სრულად გამომჟღავნდა ის დაძაბული ურთიერთობა, ამ ორ ახალ მოკავშირეს შორის რომ სუფევდა.

1941 წლის ივლისში მოსკოვში აკრედიტებული ბრიტანეთის ელჩის სერ სტაფორდ კრიპსისაგან ლონდონში შეტყობინება მიიღეს, რომ საბჭოელები ბრიტანელებს შპიცბერგენის აღებას სთხოვდნენ, რათა მურმანსკისა და არხანგელსკისკენ მიმავალი გზები უფრო უსაფრთხო გამხდარიყო. ბრიტანელებმა ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ შეიმუშავეს ამ ღონისძიების გეგმა, რომელსაც „ოპერაცია ხელთათმანი" დაარქვეს. გეგმის მიხედვით კუნძულს კანადელი მეომრების სპეცრაზმი უნდა შესეოდა, რომელიც გააჩერებდა იქ მოქმედ ქვანახშირის მაღაროებს და ამით ხელს შეუშლიდა გერმანელებს, გამოეყენებინათ კუნძული თავიანთი გემებისა და წყალქვეშა ნავების ბაზად. ამასთან ამ რაზმს უნდა განეხორციელებინა იქ მომუშავე ორი ათასი რუსი მაღაროელისა და ადგილობრივი შვიდასი ნორვეგიელის ევაკუაცია (თუმცა შპიცბერგენი ნორვეგიის ტერიტორია იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირი ქვანახშირის ძირითად კონცესიას ფლობდა კუნძულის დასავლეთ სანაპიროზე გაშენებულ ბარენცბურგში).

19 აგვისტოს სამი ნაღმოსნის, ორი კრუიზერისა და გადაკეთებული სამგზავრო ლაინერის *Empress of Canada*-საგან შემდგარი მცირე ფლოტილია *Scapa Flow*-ს სამეფო საზღვაო ბაზიდან გავიდა და 25 აგვისტოს შპიცბერგენის სანაპიროს მიადგა. უსიამოვნებამაც არ დააყოვნა – პირსზე გადასულ კანადელ ჯარისკაცებს იქ „თორმეტიოდე მოღუშული, მდუმარე რუსი დაგვხვდა, რომლებიც დიდი უნდობლობით და ეჭვით შეხვდნენ ჩვენს განზრახვას, თუმცა მოსკოვიდან მიღებული ჰქონდათ შეტყობინება ჩვენი მისიის შესახებ[18]". შემდეგ, „როგორც კი ქალაქში შევედით, მაშინვე ოდეკოლონის მძაფრი, უსიამოვნო სუნი ვიგრძენით. აღმოჩნდა, რომ კუნძულზე მშრალი კანონი მოქმედებდა, ამიტომ დიდი რაოდენობით შეჰქონდათ ოდეკოლონი და სასმელად იყენებდნენ. მთელი ქალაქი ოდეკოლონის სუნით იყო გაჟღენთილი[19]".

საბჭოთა კონსული უნდობლობით მოეკიდა მოკავშირეებთან თანამშრომლობის ყოველგვარ იდეას, თუმცა მოგვიანებით დათანხმდა ევაკუაციაზე. ამრიგად, 26 აგვისტოს საბჭოთა მოქალაქეთა უმრავლესობა *Empress of Canada*-ში ჩასხდა, მაგრამ მცირე ჯგუფი კონსულის ჩათვლით უარს ამბობდა კუნძულის დატოვებაზე. გავრცელდა ჭორი, რომ ისინი გერმანელებთან ნახშირით ვაჭრობდნენ და ეშინოდათ, რომ საბჭოთა კავშირში დაბრუნებისას ამისათვის დაისჯებოდნენ. ამასთან კონსული მოითხოვდა მაღაროს ზოგიერთი მძიმე აღჭურვილობის გემზე ატანას რუსეთში წასაღებად, რაც ბრიტანელებს და კანადელებს შეუძლებლად მიაჩნდათ.

კანადელთა რაზმის მეთაური ბრიგადირი როტსი გამოსავლის ძებნაში კონსულს ქალაქის გარეუბანში ბინაში ეწვია. საუბრისას კონსული შამპა-

ნურსა და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს ეძალებოდა (ამას ოდეკოლონის საჭიროება არა აქვსო, შენიშნა ერთ-ერთმა კანადელმა)[20] და ჭირვეულობას განაგრძობდა. ბოლოს სიმთვრალისგან გაითიშა და, ერთ-ერთი კანადელი ოფიცრის ჩანაწერის თანახმად, „კონსული [გემზე] საკაცით ზეწარგადაფარებული აიტანეს, რათა მისიანებს ასეთ მდგომარეობაში არ ენახათ[21]". როგორც იქნა 26 აგვისტოს შუაღამისას *Empress of Canada*-მ კუნძული დატოვა და რუსეთის ყველა მოქალაქე არხანგელსკში გადაიყვანა. 29 აგვისტოს დილით საბჭოთა ელჩმა ლონდონში მაევსკიმ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დარეკა და პროტესტი გამოთქვა ბრიტანელთა და კანადელთა „არაკოოპერაციული და უხეში" ქცევის გამო. ბრალდება ერთხმად უარყვეს დასავლელმა მოკავშირეებმა, რომლებიც მიხვდნენ, რომ პროტესტის წყარო ის ჭირვეული კონსული უნდა ყოფილიყო, რომელიც ამ გზით სიმთვრალეში თავის გამოხდომებზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდა.

თუმცა არც ბრიტანელთა და კანადელთა ყველა ქმედება ყოფილა შპიცბერგენზე უნაკლო. არხანგელსკიდან *Empress of Canada*-ს უკან დაბრუნებამდე კუნძულზე დარჩენილმა რაზმმა ბრძანების თანახმად მაღაროს აღჭურვილობა გაანადგურა, რათა გერმანელებს არ გამოეყენებინათ. მაგრამ იმავდროულად მოხდა ერთი უცნაური ამბავი – ქალაქის უდიდესი ნაწილი ცეცხლში გაეხვია. „ხანძარი 1 სექტემბერს 06:00 საათზე გაჩნდა რკინიგზის სადგურის ტერმინალში", ნათქვამია თავდაცვის სამინისტროს ანგარიშში[22]. „ცეცხლი სწრაფად მოედო ხის შენობებს, რომლებიც ზეთითა და ნახშირის მტვერით იყო გაჟღენთილი... ჩატარებული გამოკვლევების თანახმად შეუძლებელია ხანძრის მიზეზების დადგენა". ეს არ არის გულწრფელი მტკიცება, რადგან სამეფო სამხედრო მუზეუმში დღემდე დაცულ, იმ დროს იქ მყოფი კორესპონდენტის გადაღებულ ფირზე ნათლადაა ასახული, თუ როგორ დაუდევრად უკიდებენ ცეცხლს მოკავშირეთა ჯარისკაცები მაღაროს აღჭურვილობას და აფეთქებენ კავშირგაბმულობის ანძებს. ეს არ იყო სამხედრო სიზუსტით ჩატარებული ოპერაცია და დიდია იმის ალბათობა, რომ ბარენცბურგის განადგურება სწორედ ამ დაუდევრობამ გამოიწვია. იმ დროს, როცა ბრიტანეთის მთავრობა ოფიციალურად შპიცბერგენის ოპერაციის წარმატებაზე საუბრობდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო მემორანდუმში აღინიშნა, რომ „თავდაცვის სამინისტრო თავს დამნაშავედ უნდა გრძნობდეს ბარენცბურგის გადაბუგვის გამო. ჩვენ არაერთი წყაროსგან შევიტყვეთ, რომ კანადური რაზმის მოქმედება სულაც არ იყო სამაგალითო[23]".

ამ არაკომპეტენტურად ჩატარებული ოპერაციის უსაფუძვლო ქება-დიდება დააგვირგვინა ბი-ბი-სის რადიოსადგურის 9 სექტემბრის გადაცემამ, რომელმაც მას „გაბედული" ექსპედიცია და „დიდი კამპანია" უწო-

და, რომელშიც „პირველად იქნა გამოყენებული კანადის შეიარაღებული ძალები[24]“. ამ გაზვიადებით აღშფოთებული სერ სტაფორდ კრიპსი საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილ დეპეშაში ჩიოდა: „მაშინ, როცა ისინი [საბჭოელები] ჩვენგან ითხოვენ რაიმე სერიოზული მოვიმოქმედოთ, ერთ უბრალო და უსაფრთხო ოპერაციას სულელურად ვაზვიადებთ და მათი გაბრაზების და დაცინვის საგანი ვხდებით[25]“.

რა თქმა უნდა, შპიცბერგენის ოპერაცია მეორე მსოფლიო ომთან შედარებით მიკროსკოპული მასშტაბისაა, თუმცა მნიშვნელოვანია, რადგან ეს ახალჩამოყალიბებული ალიანსის პირველი პრაქტიკული კოოპერაცია იყო და მოწმობს, თუ რა ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ მის პროტაგონისტებს. შპიცბერგენის მიწაზე მყოფ საბჭოთა და დასავლელ მოკავშირეთა შორის სუფევდა ეჭვიანობა, ურთიერთპრეტენზიები და ორმხრივი უპატივცემლობა – თვისებები, რომლებიც ამ ქვეყნების ლიდერთა ურთიერთობაშიც შეინიშნებოდა ომის იმ პირველ თვეებში.

სექტემბრის დასაწყისში სტალინმა კვლავ მოითხოვა მეორე ფრონტის გახსნა, რათა გერმანელთა შეიარაღებული ძალების გარკვეული ნაწილი საბჭოთა კავშირს დახსნოდა. სტალინის მოთხოვნა ლონდონს ელჩმა მაევსკიმ 4 სექტემბერს გადასცა. მასში საბჭოთა ლიდერი ირწმუნებოდა, რომ მეორე ფრონტის გაუხსნელობის შემთხვევაში მისი ქვეყანა ან განადგურდებოდა, ან, სულ მცირე, საშინლად დასუსტდებოდა. როცა მაევსკი შეეცადა ამ მოსალოდნელი „კატასტროფით“ ჩერჩილი მოელბო, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მას გაღიზიანებული შეეპასუხა: „გაიხსენეთ, რომ სულ რაღაც ოთხი თვის წინათ ჩვენ ამ კუნძულზე [ბრიტანეთში] გერმანელებთან ერთად თქვენ შემოსევასაც არ გამოვრიცხავდით... რაც უნდა მოხდეს და რაც უნდა ეცადოთ, მაინც ყველაზე ნაკლებად გაქვთ უფლება გვისაყვედუროთ[26]“. საბოლოოდ ჩერჩილი მაინც შეპირდა მაევსკის თვეში 200 თვითმფრინავამდე და 250 ტანკამდე სამხედრო აღჭურვილობის მიწოდების გაზრდას.

სტალინის სამწუხაროდ, არც შეერთებული შტატები იტკივებდა თავს საბჭოთა კავშირის ბედზე ფიქრით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირში ნაცისტების შეჭრიდან მალევე გაკეთებულ განცხადებაში პრეზიდენტმა რუზველტმა ორივე რეჟიმი დაგმო, როგორც „მიუღებელი“. იმავე პრესკონფერენციაზე დასმულ კორესპონდენტის შეკითხვას, იყო თუ არა ამერიკისთვის „ბუნებრივი“ რუსებისადმი დახმარება, პრეზიდენტმა ორაზროვნად უპასუხა, ეჰ, სხვა რამე მკითხეო[27]. პრეზიდენტის თავშეკავების ერთ-ერთი მიზეზი იყო მის ხელქვეითებში ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ საბჭოთა კავშირი მალე დაიშლებოდა. სამხედრო საზღვაო მინისტრმა ფრანკ ნოხმა მას მოახსენა: „ჩემი ღრმა რწმენით ჰიტლერს სულ რაღაც თვენახევარი-ორი თვე დასჭირდება რუსეთის დასამარცხებლად“,

ხოლო თავდაცვის მინისტრმა ჰენრი სტიმსონმა რუზველტს 23 ივნისს მისწერა, გერმანელები საბჭოთა კავშირს სულ რაღაც სამ თვეში გაანადგურებენო[28]. რუზველტის თავშეკავების მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო მისი სიფრთხილე, წინ არ გაესწრო თავისი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრისთვის; ფართოდაა ცნობილი მისი გამოთქმა: „საშინელებაა, როცა ხალხის წინამძღოლი უკან მოიხედავს და იქ ვერავის აღმოაჩენს[29]". ამერიკელი ხალხის აზრის გამოკითხვის მაშინდელი შედეგების მიხედვით კი მათ უმრავლესობას მართალია სურდა საბჭოელების გამარჯვება ნაცისტებთან ბრძოლაში, მაგრამ წინააღმდეგი იყო, რომ მათ ქვეყანას სერიოზული დახმარება გაეწია სტალინისთვის.

ასე რომ, როგორც ყოველთვის, რუზველტი ფრთხილად და პრაგმატულად მოქმედებდა. მან გადაწყვიტა ივლისის დამლევისთვის მოსკოვში თავისი ერთგული მრჩეველი ჰარი ჰოპკინსი გაეგზავნა. მოსკოვში გამართული ორი ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ ჰოპკინსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ელაპარაკო სტალინს – ეს იგივეა, რაც „ელაპარაკო უზადოდ გამართულ მანქანას[30]". ამ „მანქანამ" მოლაპარაკებისას გამაოგნებელი შეთავაზება გააჟღერა – საბჭოთა კავშირი მიესალმება, თუკი ამერიკის არმიის დანაყოფები თავიანთი სარდლობითურთ შემოვლენ საბჭოთა ტერიტორიაზე გერმანელებთან საბრძოლველადო. ეს სტალინის სასოწარკვეთის კიდევ ერთი გამოვლინება იყო.

მაშინ, როცა ამერიკას ჯერ სტალინისთვის სანუკვარი დახმარების ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა, რუზველტმა იმ ზაფხულს სხვაგვარი თანადგომის ნიშნები გამოავლინა – გადაწყვიტა, უფრო მჭიდროდ ჩართულიყო ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლაში ბრიტანელთა მხარდამხარ.

ჩერჩილისა და რუზველტის შეხვედრა

ამერიკელი და ბრიტანელი ლიდერები ომის დაწყების შემდეგ პირველად 1941 წლის აგვისტოში არგენტინის ყურეში ნიუფაუნდლენდის სანაპიროსთან შეხვდნენ ერთმანეთს. ჩერჩილმა იქ ჩასასვლელად ატლანტიკა სამხედრო გემით *Prince of Wales* გადაცურა და ამ მგზავრობისას სტალინთან შეხვედრიდან ახლახან უკან დაბრუნებულ ჰარი ჰოპკინსს *Backgammon*-ს ეთამაშებოდა და მის მიერ საბჭოთა კავშირიდან ჩამოტანილ ხიზილალას აგემოვნებდა. მაშინ თურმე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა იქვე მყოფ ალექსანდერ კადოგანს გადაულაპარაკა, მშვენიერია, გქონდეს ასეთი ხიზილალა, თუნდაც მის საშოვნელად რუსებთან ომი დაგჭირდესო[31].

რუზველტი და ჩერჩილი პირველად ერთმანეთს პირველი მსოფლიო ომის ბოლოს შეხვდნენ, როცა რუზველტი ევროპაში ვიზიტით იმყოფებო-

და. მას არ მოსწონდა ჩერჩილი და ეს 1940 წლის მაისში მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე მისი გამოსვლისას გამჟღავნდა, როცა თქვა, ეტყობა საუკეთესოა ვინც ინგლისს ჰყავს, იმის მიუხედავად, რომ სულ ნახევრად მთვრალიაო[32].

თავიდან ჩერჩილისა და რუზველტის ურთიერთობა იმაზე ბევრად უარესი იყო, ვიდრე ამას მაშინდელი პროპაგანდა წარმოაჩენდა. თუმცა ორივე მათგანი ელიტას წარმოადგენდა – რუზველტი დანიური წარმოშობის მდიდარ ნიუ-იორკელთა ოჯახის წარმომადგენელი, ხოლო ჩერჩილი ლორდ რანდოლფ ჩერჩილისა და მდიდარი ამერიკელი სოციალისტის ჯენი ჯერომის ვაჟიშვილი – მათი პოლიტიკური შეხედულებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ჩერჩილმა, მაგალითად, ომისწინა პერიოდში დაწერა, თუ როგორ არ მოსწონდა მას ეგრეთ წოდებული „ახალი გარიგება" – სოციალური რეფორმების პაკეტი, რომელიც რუზველტის პოლიტიკური პროგრამის მთავარი იდეა იყო[33]. რუზველტი კი, თავის მხრივ, მძაფრი მოწინააღმდეგე იყო ბრიტანეთის იმპერიული წყობისა, რომელიც ჩერჩილის პოლიტიკური თვალთხედვის ქვაკუთხედს შეადგენდა. ისინი პიროვნული თვისებებითაც ძალიან განსხვავდებოდნენ იმისდა მიუხედავად, რომ ორივე დიდი პატივმოყვარეობითა და ეგოიზმით გამოირჩეოდა. ჩერჩილმა თავისი ვაჟკაცობა ჯერ კიდევ ოცდასამი წლისამ 1898 წელს სუდანში ომდურმანის ბრძოლაში გამოავლინა როგორც კავალერიის ოფიცერმა, მაშინ როცა რუზველტის სიმამაცე, მისი პოლიტიკური მრწამსის მსგავსად, ბევრად უფრო შეფარული იყო. 1921 წელს ოცდაცხრამეტი წლის რუზველტი პოლიომიელიტით დაავადდა, რის გამოც წელქვემოთ სხეული პარალიზებული ჰქონდა. მაგრამ მან არ დაუშვა, რომ ამ მძიმე სენს ზიანი მიეყენებინა მისი პოლიტიკური კარიერისთვის და მისი უაღრესად ოპტიმისტური და უდრეკი სულისთვის. როგორც შემდგომშიც ვნახავთ, რუზველტს უამრავი ხრიკის მოწყობა შეეძლო, მაგრამ მისი უდიდესი ხრიკი ალბათ მაინც ამერიკული საზოგადოების თვალში საკუთარი ფიზიკური შეზღუდულობის შენიღბვა იყო. პარალიზებული რუზველტი საზოგადოებას თავს ჯანმრთელად მოაჩვენებდა. ამისთვის ის საჯაროდ ქვედა კიდურების მტკივნეულ სალტეებს ხმარობდა, ხოლო ინვალიდის ეტლში მხოლოდ შინ ყოფნისას ჯდებოდა. არასოდეს მას არც აშკარად და, როგორც ამბობენ, არც ფარულად არ გამოუმჟღავნებია ტკივილის გრძნობა. როგორც ერთხელ თეთრი სახლის დაზვერვის ოფიცერს ჯორჯ ელსეის გაანდო, ოპტიმისტური განწყობის კაცი ვარო.

ასეთი იყო ეს ორი მამაკაცი, როდესაც ისინი თავიანთი ქვეყნების ლიდერების რანგში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს კანადის წყლებში 1941 წლის 9 აგვისტოს: განსხვავებული პიროვნებები, მაგრამ იმ ერთი სურვილით შეპყრობილი, რომ ეღვაწათ გერმანიის დასამარცხებლად და მთელი

მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ თავიანთი ერთობის ძალა. ეს შეხვედრა, რომელიც ატლანტიკის კონფერენციის სახელითაა ცნობილი, ისტორიულია ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, აქ რუზველტმა პირველად გააჟღერა ამერიკის შეიარაღებული ძალების მზადყოფნა, საბრძოლო დახმარება გაეწიათ ბრიტანეთისთვის. როცა ჩერჩილმა მას გაანდო, რომ ბრიტანეთი კანარის კუნძულების დაპყრობას აპირებდა და ამის გამო აზორის კუნძულების დასაცავად ძალები აღარ ჰყოფნიდა, რუზველტმა განუცხადა, რომ ამერიკა დაიცავდა აზორის კუნძულებს, თუკი ამ კუნძულების მფლობელი პორტუგალია მას ამას თხოვდა. მართალია მოგვიანებით ჩერჩილმა გადაიფიქრა კანარის კუნძულების დაპყრობა, მაგრამ ამ საუბარმა უკვე ცხადყო, რომ შეერთებული შტატების ოფიციალური ნეიტრალიტეტის მიუხედავად, რუზველტი მზად იყო საომარი დახმარება გაეწია ბრიტანეთისთვის.

ამ კონფერენციის ისტორიულობის მეორე, უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი არის იქ გაფორმებული დოკუმენტი – ატლანტიკის ქარტია. ეს დოკუმენტი, რომელიც კონფერენციაზე შემუშავებული პრინციპების ერთობლიობას წარმოადგენს, შემდგომში ომისდროინდელი მრავალი პრობლემის მიზეზი გახდა. ამ ქარტიამ წარმოაჩინა ის შიზოფრენია, რომელიც თან სდევდა დასავლელი ლიდერების მრავალ შემდგომ გარიგებას სტალინთან. იმ დროს, როცა ატლანტიკის ქარტია იდეალების ერთგულებას ღაღადებდა, სტალინთან ურთიერთობის რეალიები წმინდა პრაგმატულ პოლიტიკას ეფუძნებოდა.

ატლანტიკის ქარტია მოიცავდა რვა პუნქტად ჩამოყალიბებულ იმ პრინციპებს, რომლებზეც ამერიკელი და ბრიტანელი ლიდერები „მსოფლიოს უკეთესი მომავლის იმედებს“ ამყარებდნენ. სინამდვილეში ეს დოკუმენტი ერთი ადამიანის – ფრანკლინ რუზველტის ფიქრის ნაყოფი იყო. მართალია რუზველტი ყოველდღიურ პოლიტიკურ საქმიანობაში უაღრესად პრაქტიკული და საღად მოაზროვნე მოღვაწე გახლდათ, შინაგანად იგი უფრო ფართო ხედვას – უილსონისეულ იდეალს იზიარებდა (ამერიკის წინა პრეზიდენტმა ვუდრო უილსონმა დიდი წვლილი შეიტანა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერთა ლიგის ჩამოყალიბებაში). ეს იდეალი, რომელიც ატლანტიკის ქარტიაში მერვე პუნქტად ჩამოყალიბდა, გულისხმობდა, რომ „მსოფლიოს ყველა ერი, როგორც რეალისტური, ასევე სულიერი თვალსაზრისით ძალის გამოყენების უარყოფამდე უნდა მივიდეს“. მსოფლიო საზოგადოებრიობის ურთიერთთანადგომის ამ იდეამ მიიყვანა ომის დასასრულ რუზველტი გაეროს იდეის ხორცშესხმამდე. მაგრამ ატლანტიკის ამ აშკარად იდეალისტური ქარტიის მეორე და მესამე პუნქტები რეალობას მკვეთრად უპირისპირდებოდა და შემდგომში მრავალი სირთულის გამომწვევი მიზეზიც გახდა. მეორე პუნქტი ითვალისწინებდა: „ჩვენ (ბრიტა-

ნეთს და ამერიკას) არ გვსურს ვიხილოთ რაიმე ტერიტორიული ცვლილება, რომელიც არ ასახავს ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხთა თავისუფლად გამოხატულ ნებას". მესამე პუნქტი კი გულისხმობდა: „ჩვენ პატივს ვცემთ ყველა ხალხის უფლებას, აირჩიოს საკუთარი მთავრობა; და გვსურს ვიხილოთ იმათი სუვერენული უფლებებისა და თვითმმართველობის აღდგენა, ვისაც ისინი ძალით აქვს წართმეული". პარადოქსი ის იყო, რომ ბრიტანეთის ახალ მოკავშირეს – საბჭოთა კავშირს – უკვე ჩადენილი ჰქონდა მეორე პუნქტში გაჟღერებული პრინციპების საწინააღმდეგო ქმედება 1939 წლის სექტემბერში პოლონეთის ოკუპაციით, ხოლო ხალხების დიდ ნაწილს – არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ თვით ბრიტანეთის იმპერიაში (თუნდაც ინდოეთში) – არ ჰქონდა შესაძლებლობა განეხორციელებინა მესამე პუნქტში გაჟღერებული უფლებები.

მაგრამ იმ დროისთვის ქარტიის პრინციპები ერთგვარ თეორიულ დოკუმენტად აღიქმებოდა, ვინაიდან ამერიკა ჯერჯერობით არ იყო ოფიციალურად ომში ჩართული და, რაც მთავარია, ყველაფერი იმას მიუთითებდა, რომ საბჭოთა კავშირი მალე დამარცხდებოდა.

გერმანელები მოსკოვისკენ მიიწევენ

1941 წლის 18 სექტემბერს გუდერიანის ჯავშანსატანკო შენაერთებმა უკრაინის დედაქალაქი კიევი დაიპყრეს და ექვსასი ათასი საბჭოთა მეომარი დაატყვევეს. ეს კატასტროფა – სამხედრო ისტორიაში განხორციელებული უდიდესი ალყის შედეგი – უმეტესწილად იოსებ სტალინის შეცდომა იყო, რადგან დაჟინებით მოითხოვა, რომ საბჭოთა შენაერთებს ქალაქი არ დაეტოვებინათ. მარშალმა ჟუკოვმა წამოაყენა წინადადება, რომ წითელ არმიას უკან, უფრო გამაგრებული ხაზისკენ დაეხია, მაგრამ სტალინმა უთხრა, სისულელეს როშავო. განაწყენებულმა ჟუკოვმა გენშტაბის უფროსის თანამდებობიდან განთავისუფლება ითხოვა, რაზეც სტალინი დათანხმდა. სამხრეთის ფრონტზე წარმატებით ფრთაშესხმულმა გერმანულმა არმიამ ახლა ცენტრალური ფრონტით მოსკოვისკენ წინსვლა დააჩქარა და ოქტომბრის დასაწყისში მისი მე-3 და მე-4 ჯავშანსატანკო შენაერთები დედაქალაქთან ახლომდებარე ქალაქებში ვიაზმასა და ბრიანსკში გამოჩნდნენ. ერთხელ კიდევ გააბეს გერმანელებმა ხაფანგში საბჭოელები. ამჯერად მათი ხუთი არმია მოაქციეს ალყაში. საბჭოთა მეომრები ალყის გარღვევას პირველი მსოფლიო ომისდროინდელი თოფებით და ზოგჯერ შიშველი ხელებით ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ.

ვიაზმა-ბრიანსკის ბრძოლებში გერმანელებმა კიდევ 660 000 საბჭოთა მეომარი დაატყვევეს. ამ შთამბეჭდავმა წარმატებებმა და იმ ფაქტმა,

რომ ლენინგრადი უკვე ალყაში იყო მოქცეული, განაპირობა ჰიტლერის პრესმდივნის ოტო დიტრიხის მაშინდელი განცხადება: „ყველა სამხედრო თვალსაზრისით საბჭოთა რუსეთთან საქმე მოთავებულია“[34]. მხოლოდ „მცირედიღა“ რჩებოდა – მოსკოვის აღება, რომელიც არა მარტო საბჭოთა კავშირის დედაქალაქი იყო, არამედ რუსეთის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელის ცენტრსაც წარმოადგენდა. ამიტომ ვიაზმასა და ბრიანსკში ტრიუმფის შემდეგ გერმანული არმია ოპერაცია „ტაიფუნის“ კულმინაციურ ფაზაზე გადავიდა და ამ დიდი ნადავლის ხელში ჩაგდებას შეუდგა.

ცხრამეტი წლის გრიგორი ობოზნი[35] ერთ-ერთი იმ საბჭოთა მებრძოლთაგანი იყო, რომლებიც იმ ოქტომბერში დედაქალაქს იცავდნენ. იგი იხსენებს, თუ როგორი „პანიკა გამოიწვია“ გერმანელთა მხრიდან საარტილერიო დაბომბვის მოახლოებულმა საშიშროებამ. როგორც თვითმხილველები მოწმობენ, ზოგიერთი მაღაზიის გამგე მაღაზიის კარს აღებდა და გაიძახოდა, წაიღეთ, რაც გინდათ, არ მინდა ეს ყველაფერი გერმანელებს დარჩეთო... მაშინდელი თინეიჯერი ზოია საბურინა[36] ამბობს: „პანიკით შეპყრობილი ათასობით ადამიანი გარბოდა და თან მიჰქონდა საჭმელი და სხვადასხვა ნივთები. მენაღმეები შენობებს ნაღმავდნენ... ამის შემხედვარე ხალხი ტიროდა, მაგრამ არავის სურდა ეს ყველაფერი მტერს დარჩენოდა“.

საბჭოთა ისტორიის ეს ფურცელი, როდესაც მოსკოვი დაცემის პირას იყო და მოსახლეობის დიდი ნაწილი პანიკას მოეცვა, სრულიად ეწინააღმდეგება ნითელი არმიის უდრეკელობისა და უძლეველობის შემდგომში შექმნილ მითს. იმ ოქტომბერში არსებულ რეალობას მკაცრად ჩქმალავდა კომუნისტური რეჟიმი. მხოლოდ ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ გახსნილი რუსეთის არქივის დოკუმენტების გაცნობამ გახადა შესაძლებელი იმ შემოდგომას მოსკოვში გამეფებული შიშის მასშტაბის აღქმა. მაგალითად, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 15 ოქტომბრით დათარიღებული №34 საიდუმლო დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ მიიღეს გადაწყვეტილება „უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის ევაკუაციის შესახებ“; ამასთან „შინსახკომს – ამხანაგებს ბერიასა და შჩერბაკოვს დაევალათ, მოსკოვის მისადგომებთან მტრის ძალების გამოჩენის შემთხვევაში ააფეთქონ სავაჭრო შენობები, საწყობები, მთელი აღჭურვილობა, რომელიც ევაკუაციას არ ექვემდებარება, და მეტროს ყველა ელექტრომოწყობილობა“.

როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, ამ კრიტიკულ მომენტში ერთხანს სტალინიც აპირებდა მოსკოვის დატოვებას. სტალინის პირადი ტელეგრაფისტი ნიკოლაი პონომარიოვი[37] ირწმუნება, რომ 16 ოქტომბერს ღამით კრემლში საბჭოთა ბელადის კავშირგაბმულობის ყველა მოწყობილობის დემონტაჟი მოხდა და იმ მატარებელში ჩატვირთეს, რომელსაც სტალინი და მისი უახლოესი გარემოცვა აღმოსავლეთით უნდა წაეყვანა. მაგრამ ბო-

ლოს საბჭოთა ლიდერმა გაქცევა გადაიფიქრა. იგი მოსკოვში დარჩა, რათა ქალაქის გამაგრებისა და თავდაცვისთვის ეხელმძღვანელა და აღმოსავლეთიდან (ძირითადად ციმბირიდან) ახალი ცოცხალი ძალის მობილიზებით შეეჩერებინა გერმანელები.

იმ ოქტომბერს ვასილი ბორისოვი[38] შორეულ აღმოსავლეთში დისლოცირებულ ციმბირულ დივიზიაში მსახურობდა და იაპონელთა შემოტევას ელოდა. მაგრამ 18 რიცხვში მისმა შენაერთმა სასწრაფო ბრძანება მიიღო, მატარებელში ჩამსხდარიყო და სხვა მტერთან საბრძოლველად დასავლეთით გამგზავრებულიყო. „ზაფხულშივე ვიცოდით, რომ გერმანელები ძალიან სწრაფად მოინევდნენ წინ და იპყრობდნენ ჩვენს ტერიტორიებს; ვიცოდით ისიც, რომ ისინი ტექნიკურად ჩვენზე ბევრად უკეთ იყვნენ აღჭურვილნი... ვიცოდით, რომ ჩვენი საქმე ცუდად იყო". დასავლეთისკენ რომ მიემგზავრებოდნენ, ვასილი და მისი თანამებრძოლები ხვდებოდნენ, რომ ბევრი მათგანი დაიღუპებოდა. „ვიცოდით, რომ მძიმე ბრძოლები გველოდა. ძალიან რთული მდგომარეობა იყო. შიშმა შეგვიპყრო".

ჩამოსულებს უბრძანეს გაეძლიერებინათ თავდაცვის ხაზი, რომელიც იძულებით თანდათან უკან, მოსკოვისკენ ინაცვლებდა. „უკან ვიხევდით, რადგან სუსტი შეიარაღება გვქონდა... ყველაფერი კვამლსა და ცეცხლში იყო გახვეული, გზას ვერ ვიგნებდით, მხოლოდ ბრძანება გვესმოდა: წინ! წინ! ამის აღწერა შეუძლებელია... უამრავი მკვდარი ეყარა... საშინელება ტრიალებდა. ყველაფერს ცეცხლი ეკიდა. აფეთქებებისგან თოვლი გაშავებულიყო... ვფიქრობ, მთელი ომის განმავლობაში ეს ყველაზე მძიმე მომენტი იყო... ჩვენი მებრძოლები მიზანში ვერ ახვედრებდნენ, რადგან მხოლოდ ორიოდე დღე ივარჯიშეს სროლაში... მეტყვიამფრქვევე რომ მოეკლათ, მე ვერ შევძლებდი ტყვიამფრქვევის დატენვას და სროლას, რადგან ჩემი სამხედრო სამსახურის პერიოდში ეს არ მისწავლია".

მოსკოვის დასაცავად წითელ არმიაში გაწვეული თვრამეტი წლის სტუდენტი ნიკოლაი ბრანდტი[39] იხსენებს, თუ როგორი უვიცი იყო მეთაურთა თითქმის მთელი შემადგენლობა: „შაშხანის საკეტის ბლოკის გახსნა ვერ შევძელი და ჩემს უშუალო მეთაურს მივმართე. მან მითხრა, შენი შაშხანა გაყინულა და უნდა გააცხელოო. როგორ უნდა გამეცხელებინა -30° ყინვაში? ოცეულის მეთაურს მივმართე და იმანაც იგივე მირჩია. შემდეგ ბატალიონის მეთაურთან გამიშვეს, რომელიც ერთადერთი პროფესიონალი ოფიცერი იყო ჩვენს შენაერთში. იმწამსვე მან გახსნა უსაფრთხოების ჩამკეტი და საკეტის ბლოკიც მოიხსნა".

ნიკოლაი ბრანდტმა იცოდა, რომ მას და მის შენაერთს არ შესწევდათ ძალა რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ გერმანელებისთვის. თუ ის ძველისძველი შაშხანით მაინც იყო შეიარაღებული, მის თანამებრძოლთაგან ბევრს საერთოდ არ ჰქონდა იარაღი. ისინი ბრძოლის დროს

უკანა რიგებში იმყოფებოდნენ და მოკლული თანამებრძოლების იარაღს იღებდნენ. „გაუწვრთნელი და შეუიარაღებელი ხალხის საბრძოლველად გაშვება“, ამბობს ნიკოლაი, „სრულიად უსარგებლო და არაჰუმანური ქმედებაა“. მოსკოვთან ბრძოლის დროს იგი მძიმედ დაიჭრა: „მე ქვემეხის ჭურვის ნამსხვრევებით დავიჭერი და ღრმა თოვლში ჩავეფლე. იმ თოვლმა გადამარჩინა სიკვდილს“. იგი თოვლში ჩაფლული იწვა მთელი დღე და სისხლი სდიოდა; ბოლოს თავდაცვის ხაზთან მიხოხდა, სადაც აღმოაჩინა, რომ თითქმის მთელი მისი ნაწილი განადგურებულიყო. „დაბომბვაში მოხვედრილმა გამოუცდელმა მეომარმა არ იცის როგორ მოიქცეს“, ამბობს იგი. „ის ჭკუიდან იშლება. გამოცდილი მებრძოლი კი არ დაიბნევა; იცის, სად დაეცემა შემდეგი ჭურვი და საით გაიქცეს. მე ასეთი საბრძოლო გამოცდილება არ მქონდა“.

იმ დროისთვის სტალინს უკვე ნაკლებად შერჩა წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის ილუზია. მისი არმია ცუდად გაწვრთნილი და ცუდად შეიარაღებული იყო. ასეთ ვითარებაში სტალინმა საჭიროდ ჩათვალა გამოეყენებინა წარსულში უკვე არაერთხელ აპრობირებული მოტივაციის მეთოდი – დაშინება. იმის თვალსაჩინო მაგალითი, თუ როგორი პრიმიტიული გზით ახდენდა იგი თავისი შეიარაღებული ძალების მოტივაციას, არის მისი სატელეფონო საუბარი არმიის კომისარ სტეპანოვთან 1941 წლის ოქტომბერში. იმხანად სტეპანოვი მივლინებული იყო პერიშკოვოში განლაგებულ დასავლეთის ფრონტის შტაბში, რათა საომარ სიტუაციაში გარკვეულიყო. ტელეფონით საუბრისას მან სტალინს ამ ფრონტის შეიარაღებულ ძალების უკან დახევის ნებართვა სთხოვა. ამ თხოვნას ხანგრძლივი სიჩუმე მოჰყვა, რომელიც სტალინის ხმამ დაარღვია: „ჰკითხე მანდ ამხანაგებს, ნიჩბები თუ აქვთ“.

„რა ბრძანეთ, ამხანაგო სტალინ?“ დაიბნა სტეპანოვი.

„ნიჩბები თუ აქვთ ამხანაგებს?“ გაიმეორა კითხვა სტალინმა.

სტეპანოვმა ახლომყოფ მეთაურებთან სასწრაფოდ გაარკვია ეს საკითხი და სტალინს მოახსენა: „ამხანაგო სტალინ, გვაქვს ნიჩბები! რა გავაკეთოთ ამ ნიჩბებით?“

„ამხანაგო სტეპანოვ“, ხმას აუწია სტალინმა. „შენს ამხანაგებს გადაეცი, რომ აიღონ ეგ ნიჩბები და მანდვე საკუთარი საფლავები გაითხარონ. ჩვენ მოსკოვიდან არსად არ მივდივართ“[40].

საბოლოო ანგარიშით ამ ულმობელმა სისასტიკემ იხსნა მოსკოვი დაცემისგან, იმ ფსიქოლოგიურმა ზემოქმედებამ, რომელიც აღმოსავლეთიდან ახალი შენაერთების მოზიდვაზე კიდევ უფრო შედეგიანი აღმოჩნდა. ბრძოლის წარმოების ამ ეფექტიანი მეთოდის დაგვირგვინება იყო სტალინის ბრძანებით შექმნილი სპეციალური საარიერგარდო შენაერთი, რომელიც ადგილზევე ხვრეტდა ბრძოლის ველიდან გაქცეულ წითელარ-

მიელებს. მოსკოვის დამცველმა საბჭოთა მეომრებმა იცოდნენ, რომ მათ ან საკუთარი შიში უნდა დაეძლიათ, ან მათივე თანამემამულეების ხელით სიკვდილი ელოდათ.

„ასეთი საარიერგარდო რაზმები ასრულებდნენ, მე ვიტყოდი, ფსიქოლოგიური თუ მორალური მხარდამჭერის როლს", ამბობს შინსახკომის ოფიცერი ვლადიმერ ოგრიზკო[41], რომელიც ერთ-ერთ ასეთ რაზმში მსახურობდა. „თუ [რომელიმე ჯარისკაცი] დაუმორჩილებლობას ავლენდა ან ბრძოლის ველიდან გარბოდა, მას ვანადგურებდით. ადგილზე ვხვრეტდით, ეს იყო და ეს. ისინი მეომრები არ იყვნენ".

ოგრიზკო, მრავალი სხვა საბჭოთა მეომარის მსგავსად, შთაგონებული იყო სტალინის პიროვნული უდრეკელობის მაგალითით. საბჭოთა ლიდერმა მოსკოვში დარჩენა და მისი დაცვა გადაწყვიტა და ისინიც თავს ვალდებულად თვლიდნენ, ასე მოქცეულიყვნენ. 1941 წლის შემოდგომა სტალინისთვის, ისევე როგორც 1940 წლის გაზაფხული ჩერჩილისთვის, ჭეშმარიტების ის მომენტი იყო, როდესაც ძნელბედობის ჟამს ხდება ხასიათის გამოცდა. „სტალინი სწორად მოიქცა", ამბობს ოგრიზკო. „მისი უხეში შეცდომების მიუხედავად ისტორია მომავალში სტალინს უაღრესად დადებით პიროვნებად მოიხსენიებს. მაშინ ასეთი მკაცრი პიროვნება იყო საჭირო. ნათქვამია, შიშს შიში ამარცხებსო".

მოსკოვისკენ გერმანელების წინსვლა ერთხანს შემოდგომის წვიმებმა და თოვლჭყაპმა შეაფერხა, მაგრამ 15 ნოემბრისთვის გზები მოიყინა და მათი იერიშიც განახლდა. საბჭოთა დედაქალაქს მილიონამდე ვერმახტის მეომარი უტევდა, რომელსაც ნახევარ მილიონზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი უპირისპირდებოდა. თვის ბოლოსთვის გერმანელთა მე-7 ჯავშანსატანკო დივიზიამ უკანასკნელი სტრატეგიული ბარიერი – ვოლგა-მოსკოვის არხი გადაკვეთა. ახლა მათ მოსკოვის ცენტრში სტალინის კაბინეტისგან მხოლოდ ოცდაათიოდე კილომეტრილა აშორებდათ. მაგრამ წითელმა არმიამ მოახერხა არხის ამ მონაკვეთზე გერმანელთა შეჩერება. თავის მხრივ დამპყრობლებმა თავიანთი გამძლეობის ზღვარს მიაღწიეს – მათი მომარაგების ხაზები ათასობით კილომეტრზე გადაიჭიმა, ხოლო მათი მოტორიზებული ტექნიკის დიდი ნაწილი ყინვას ვეღარ უძლებდა.

გერმანელთა წინსვლას ასევე მნიშვნელოვნად აფერხებდა ზამთრის აღჭურვილობის უქონლობა – ჰიტლერს და მის გენერლებს საბჭოთა კავშირთან სწრაფი, ტოტალური ომი ჰქონდათ დაგეგმილი, რომელიც შემოდგომამდე უნდა დასრულებულიყო. ეჭვგარეშეა, რომ თბილი ტანსაცმლის უქონლობამ და ყინვის პირობებში იარაღისა და აღჭურვილობის მწყობრიდან გამოსვლამ გადამწყვეტი როლი შეასრულა გერმანელთა წინსვლის შეფერხებაში. „როდესაც ტემპერატურა მინუს 30 გრადუსზე დაბლა დაეცა, ჩვენი ტყვიამფრქვეევები ვეღარ ისროდა", გვიამბობს მოსკოვზე მაშინდელი

შეტევის მონაწილე, გერმანელთა სატანკო შენაერთის ოფიცერი ვალტერ შაეფნერ კეჰნერტი[42]. „ჩვენი ტყვიამფრქვევი უზადო იარაღი იყო, მაგრამ ყინვისგან მასში ზეთი სქელდებოდა და კარგად ვეღარ ისროდა. ეს ძალიან გვაშინებდა“. ასეთმა პირობებმა დამპყრობლები მორალურად შეარყია.

მაგრამ ამ პრაქტიკული პრობლემების გარდა საჭიროა ყურადღება დაეთმოს იმ ზოგჯერ უგულვებელყოფილ ფაქტსაც, რომ 1941 წლის დეკემბერში მოსკოვთან პირველად იჩინა თავი ფსიქოლოგიურმა განსხვავებამ ვერმახტსა და წითელ არმიას შორის, რაც ერთი წლის შემდეგ სტალინგრადთან პიკს მიაღწევს. ფაქტია, რომ გერმანელები თავს აღმატებულ მეომრებად მიიჩნევდნენ სლავური წითელი არმიის ჯარისკაცებთან შედარებით. ნაცისტური პროპაგანდა ქადაგებდა, რომ ეს ომი წარმოადგენდა ბრძოლას დაბალგანვითარებული მტრის გასანადგურებლად. ეს რასისტული განცხადებები დიდ გამოძახილს პოულობდა გერმანულ შეიარაღებულ ძალებში, სანამ ეს ძალები ტრიუმფით მიიწევდნენ წინ საბჭოთა ტერიტორიებზე. წითელი არმიის უძლურებამ, შეეჩერებინა გერმანელთა მოტორიზებული მარში კიდევ უფრო სიმბოლური გახადა უფსკრული ორ მხარეს შორის. ბევრი გერმანელი ჯარისკაცისთვის ეს ომი იყო დაპირისპირება თანამედროვე ინდუსტრიულ ერსა და პრიმიტიულ, ჩამორჩენილ ტომებს შორის. ამ განწყობას აღვივებდა ადოლფ ჰიტლერის რასისტული მრწამსი, რომელმაც თავის კოლეგებს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობას ისე უნდა მოვეპყრათ როგორც ამერიკელ წითელკანიანებსო[43].

მაგრამ იმ სუსხიან რუსულ ზამთარში გერმანელთა ყოველგვარი ტექნოლოგიური უპირატესობა გაუფასურდა. აქ ბრძოლა უფრო პირდაპირი, ხელჩართული გახდა, სადაც წითელი არმია თითქმის თანაბარ პირობებში ებრძოდა მტერს. ვასილი ბორისოვი დარწმუნებულია, რომ მოსკოვის ბრძოლებში მას და მის თანამებრძოლებს „ციმბირულმა ამტანობამ“ გააძლებინა: „მეთაურები ამბობდნენ, რომ ციმბირულმა დივიზიებმა გადაარჩინეს მოსკოვი“. თუკი ადრე ბორისოვი და მისი ამხანაგები გერმანელთა მასირებული შტურმის გამო უკანდახევისას შიშს გრძნობდნენ, 5 დეკემბერს დაწყებული კონტრშეტევის შემდეგ მათ საკუთარი ძალების რწმენა დაუბრუნდათ. „ძლიერები და საკმაოდ ამტანები ვართ... ასეთია ციმბირული სული. ბავშვობიდან ასე გვზრდიდნენ. ყველამ იცის ციმბირული გამძლეობის შესახებ. მე ჭეშმარიტი ციმბირელი ვარ“.

სწორედ ეს ფიზიკური სიძლიერე და ამტანობა გახდა საჭირო ხელჩართულ ანუ ფიზიკურ ბრძოლებში. „სანგრებში ხელჩართული ბრძოლა გვიწევდა, სადაც ძლიერი იმარჯვებს, სუსტი კი იღუპება... ხიშტიანი თოფები გვქონდა და ძალაც საკმაოდ მერჩოდა, შემეძლო [გერმანელი ჯარისკაცი] ხიშტზე წამომეგო და სანგრიდან მაღლა ამომეგდო... მათაც ჩვენსავით ქურთუკები ეცვათ, რომელსაც ხიშტი ადვილად ხვრეტდა... ეს იგივეა, რაც

პურის ფუნთუშას გაურჭო ხიშტი – არავითარი წინააღმდეგობა... საქმე დასწრებაზეა, ან ის მოგკლავს, ან შენ მოკლავ... სიამაყე ან ბედნიერება ადამიანის მოკვლით არასოდეს განმიცდია. მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რომ პატარა გამარჯვება მოვიპოვე და ბრძოლის გაგრძელება შემეძლო“.

ამ ხელჩართულმა ბრძოლებმა, ვასილი ბორისოვის თანახმად, გერმანელებს ნირი წაუხდინა: „ციმბირელთა ბრძოლისუნარიანობამ ისინი დააფრთხო – ციმბირელები ახოვანი ვაჟკაცები იყვნენ... ისინი [გერმანელები] კი უმეტესწილად ფუფუნებაში გაზრდილი. ძალ-ღონით ციმბირელებს ჩამოუვარდებოდნენ, ამიტომ ბრძოლის დროს შიში იტანდათ“. ფიოდორ სვერდლოვი, რომელიც მოსკოვის ბრძოლების მონაწილე საბჭოთა მე-19 საარტილერიო ბრიგადის მეთაურის მოადგილე იყო, ადასტურებს, რომ „გერმანული არმია მოსკოვთან საცოდავი სანახავი იყო. ძალიან კარგად მახსოვს გერმანელები 1941 წლის ივლისში. თავდაჯერებული, მაღალი, ძლიერი ბიჭები იყვნენ. ისინი მაშინ შეუპოვრად მოინევდნენ წინ ტყვიამფრქვევით ხელში. ახლა კი საბრალო ცინგლიან არსებებად ქცეულიყვნენ, სოფლებში დედაბრებისგან მოპარულ შალის თავშლებში გახვეულნი“.

სანამ გერმანელები მოსკოვთან ახლოს თავიანთ სანგრებში სიცივისგან კანკალებდნენ, დედამიწის მეორე მხარეს დატრიალდა ამბავი, რომელმაც სტალინს ახალი მოკავშირე, ჰიტლერს კი ახალი მტერი შესძინა.

საბედისწერო დეკემბრის თვე

1941 წლის 7 დეკემბერს, მოსკოვთან საბჭოელების კონტრშეტევის დაწყებიდან ზუსტად ორი დღის შემდეგ, იაპონელებმა ჰავაიზე პერლ ჰარბორთან ამერიკის ფლოტი დაბომბეს. ამერიკელები გააკვირვა ამ თავდასხმის მოულოდნელობამ და არა იაპონელთა დიპლომატიური მოთმინების დაკარგვამ.

შეერთებულ შტატებსა და იაპონიას შორის ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება იმ ზაფხულს იაპონელთა მიერ სამხრეთ ინდოჩინეთის (დღევანდელი ვიეტნამი) ოკუპაციამ გამოიწვია. ამ ოკუპაციის გამო შეერთებულმა შტატებმა იაპონიას საბანკო აქტივები გაუყინა და ნავთობისა და სხვა სასიცოცხლო ნედლეულის მიწოდების შეწყვეტით დაემუქრა. კომპრომისის მიღწევის რამდენიმეთვიანი უთავბოლო და ორივე მხრიდან ცუდად წარმართული მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. იაპონელთა მხრიდან საქმეს აფერხებდა მათი ელჩის სავალალო მდგომარეობა: ადმირალი კიჩისაბურო ნომურა ნახევრადყრუ, ნახევრადბრმა და უაღრესად დაბნეული პიროვნება გახლდათ.

ამერიკელები ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ისინი ოდესმე იაპონელთა თავდასხმის ობიექტი გახდებოდნენ. იაპონელთა პარტნიორობა ნაცისტებთან, რომელთა ინტერესებში არ შედიოდა ამერიკის ჩაბმა მათ წინააღმდეგ ომში, ამერიკელებს აფიქრებინებდა, რომ იაპონელთათვის უფრო ლოგიკური იყო აღმოსავლეთში ბრიტანულ ან დანიურ კოლონიებზე შეტევის განხორციელება. მაგრამ იაპონელებს უფრო მასშტაბური მიზნები ამოძრავებდათ. წყნარი ოკეანის შუაგულში აშენებულ პერლ ჰარბორზე მათი თავდასხმა მსოფლიო ძალთა ბალანსიდან ამერიკის მყისიერი გამოთიშვის მცდელობას წარმოადგენდა. „ამერიკა დიდი ქვეყანაა და ვიცოდით, რომ მასთან ხანგრძლივ ომს ვერ მოვიგებდით“, განმარტავს იაპონიის მაშინდელი საიმპერიო ფლოტის ჩინოსანი მასატაკე ოკუმია“, „მაგრამ მაშინ ამერიკის, ისევე როგორც ბრიტანეთის და იაპონიის, სამხედრო ძლიერების ხერხემალი საზღვაო ფლოტი იყო. ამიტომ თუ ფლოტს გაანადგურებდი, მაშინ ამ ქვეყანას უზარმაზარი ზარალი მიადგებოდა. ეს დაასამარებდა პრეზიდენტ რუზველტის როგორც მთავარსარდლის რეპუტაციას და მას გამოუვალ სიტუაციაში ჩააგდებდა“.

ეს ვარაუდი უაღრესად მცდარი აღმოჩნდა. პერლ ჰარბორზე თავდასხმამ ამერიკელები კი არ დააფრთხო, არამედ სამართლიანად აღაშფოთა და იაპონელებზე შურისძიების წყურვილით აღავსო. „გახსოვდეს პერლ ჰარბორი!“ ასეთი იყო ამერიკის შეიარაღებული ძალების დევიზი ამ ახალგაჩაღებულ ომში. ამერიკელ მეომართა ჟინს, დაუნდობელნი ყოფილიყვნენ „ვერაგი ნიპონელების მიმართ“, აძლიერებდა ამერიკის მთავრობის

წაქეზება, რომელიც პერლ ჰარბორზე იაპონელთა თავდასხმით გაკვირვებას ვერ მალავდა.

ამ თავდასხმამ ორმაგი სარგებელი მოუტანა საბჭოთა კავშირს. ჯერ ერთი, ამერიკასთან ომში ჩართული იაპონია კარგა ხანს ვეღარ დაემუქრებოდა საბჭოთა შორეული აღმოსავლეთის უსაფრთხოებას (სხვათა შორის, იაპონიაში მომუშავე საბჭოთა ჯაშუშის რიჰარდ ზორგეს ინფორმაცია, რომ იაპონია ამერიკელთა ბაზებზე თავდასხმას გეგმავდა, საფუძვლად დაედო სტალინის გადაწყვეტილებას ციმბირის დივიზიები მოსკოვისკენ გადაესროლა). მეორე, პერლ ჰარბორმა გერმანია აიძულა, დაუყოვნებლივ გამოეცხადებინა ომი ამერიკისთვის, რამაც სტალინს კოლოსალური პოტენციალის მქონე მოკავშირე შესძინა. ჰიტლერის ეს გადაწყვეტილება, რომელიც 1941 წლის 11 დეკემბერს გაუღერდა, აკვირვებს იმ ადამიანებს, ვინც კარგად ვერ ერკვევა ისტორიის დეტალებში. მართლაცდა რატომ მიუმატა ჰიტლერმა თავის მოწინააღმდეგეთა სოლიდურ სიას ასეთი ძლიერი მტერი მაშინ, როცა გერმანელთა ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე ასეთ უზარმაზარ ბრძოლებს აწარმოებდნენ?

პასუხი მარტივია. ჰიტლერი, სტალინის მსგავსად, იყო არა რიტორიკული, არამედ პრაქტიკული ყაიდის ლიდერი, რომელსაც კარგად ესმოდა შეერთებულ შტატებთან ომის გარდაუვალობა. ამ ომისკენ მიმავალ გზაზე მისთვის მთავარი ბიძგი იყო არა პერლ ჰარბორი, არამედ რუზველტის მიერ რამდენიმე თვით ადრე ამერიკული სამხედრო გემებისთვის გაცემული ბრძანება, გაეცილებინათ ატლანტიკაში ბრიტანული კონვოი.

როგორც ჩერჩილი იხსენებს, 1941 წლის აგვისტოს ატლანტიკის კონფერენციაზე რუზველტს გადაწყვეტილი ჰქონდა „ეწარმოებინა ომი, ოღონდ დეკლარირების გარეშე"[45]. თავის მხრივ, ასეთივე ომის მომხრე იყო გერმანელი ადმირალი რაედერიც, რომელმაც პერლ ჰარბორის დაბომბვამდე რამდენიმე თვით ადრე ჰიტლერს უთხრა, სანამ ჩვენს წყალქვეშა ნავებს ამერიკული გემების ჩაძირვის უფლებას არ მივცემთ, მანამ ატლანტიკის ბრძოლას ვერ მოვიგებთო. შედეგად, რუზველტის გადაწყვეტილებას, ამერიკულ გემებს ატლანტიკაში ბრიტანული კონვოი გაეცილებინათ, ინციდენტების მთელი სერია მოჰყვა. კერძოდ, გერმანულმა წყალქვეშა ნავმა სექტემბერში შეტევა განახორციელა აშშ-ს გემ *Greer*-ზე, ხოლო ნოემბერში მეორე გემი *Reuben James*-ი ჩაძირა, რამაც ასზე მეტი ამერიკელი მეზღვაურის სიცოცხლე შეიწირა. ამრიგად, როცა დეკემბერში ამერიკას ომს უცხადებდა, ჰიტლერი ნამდვილად გრძნობდა, რომ რაღაც გარდაუვალს აფიქსირებდა და ამით მოვლენების კონტროლის უპირატესობას იძენდა. იგი იმასაც ვარაუდობდა, რომ ამერიკის უშუალო ჩართვა ომში სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში არსებითად ვერაფერს შეცვლიდა. მისი აზრით, საბჭოელების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლების შედეგი განსაზღვრავდა

მოვლენების შემდგომ განვითარებას. უფრო მეტიც, ჰიტლერის ვარაუდით იაპონელები ახლა უფრო შებოჭავდნენ ამერიკის ფლოტს წყნარ ოკეანეში და ზიანს მიაყენებდნენ ბრიტანელთა სამფლობელოებს შორეულ აღმოსავლეთში.

1941 წლის დეკემბერი სხვა მოვლენებითაც გამოირჩეოდა. პერლ ჰარბორამდე ოთხი დღით ადრე, 3 რიცხვში, კრემლში სტალინს და მოლოტოვს ემიგრაციაში მყოფი პოლონეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრი გენერალი სიკორსკი არმიის მთავარსარდალ გენერალ ანდერსთან ერთად შეხვდა. ახლა, როცა პოლონეთი საბჭოთა კავშირის „მოკავშირე" გახდა, სტალინი ერთობ უხერხულ პოზიციაში აღმოჩნდა. მან ხომ სულ რაღაც წლინახევრის წინათ პოლონელ ოფიცერთა დიდი ნაწილის დახვრეტის ბრძანება გასცა. რა გასაკვირია, რომ გერმანელთა შემოსევის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება პოლონელი პატიმრებისადმი მკვეთრად შეიცვალა. თუ გუშინ ისინი იმ ბურჟუაზიული ქვეყნის შვილებად მოიხსენიებოდნენ, რომლის რუკიდან წაშლაც საბჭოთა კავშირის პრიორიტეტს წარმოადგენდა, დღეს ისინი უკვე პოტენციურ მოკავშირეებად მოიაზრებოდნენ ნაციზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პოლონელმა სტუდენტმა თადეუშ რუმანმა[46] საკუთარ თავზე გამოსცადა ეს თითქმის ჯადოსნური ტრანსფორმაცია. იგი 1940 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს საბჭოელებმა გერმანულ ზონასთან „საზღვრის" დარღვევის მცდელობისთვის, იატაკქვეშა საქმიანობის შეთითხნილი ბრალდება წაუყენეს და ლვოვის ცნობილ ბრიგიდკის ციხეში ჩასვეს. შემდეგ იგი საბჭოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში განთავსებულ შრომით ბანაკში გადაიყვანეს, სადაც სხვა პოლონელებთან ერთად თხუთმეტწლიანი შრომაგასწორების სამუშაოები მიუსაჯეს. „არავითარი სასამართლო არ ყოფილა", ამბობს იგი. „დაკითხვა სასამართლოს როლს ასრულებდა... ტოტალიტარულ სისტემას სამხილები არ სჭირდებოდა". ამ ახალგაზრდა კაცს თხუთმეტწლიანი სასჯელი ნაკლებ ანაღვლებდა, რადგან ბანაკში მას სხვა, უფრო ყოველდღიური პრობლემა აწუხებდა: „სულ იმაზე ვფიქრობდი, რა მეჭამა. როცა ადამიანს შია, სხვა პრობლემებისთვის აღარ სცხელა".

მაგრამ 1941 წლის ზაფხულის ერთ დღეს მისი ბედის ბორბალი სხვაგვარად დატრიალდა. იგი ციხის უფროსთან გამოიძახეს, რომელიც შინსახკომის პოლკოვნიკი იყო. იქ რუმანს სკამი და სიგარეტი შესთავაზეს. იგი დაიძაბა, რადგან კარგად იცნობდა შინსახკომის დაკითხვის ტექნიკას: „გეტყვიან დაჯექი, სიგარეტი ინებეო და მერე უცებ ზურგში ჩაგცხებენ". თუმცა ამჯერად საუბარი სხვაგვარად წარიმართა. შინსახკომის ოფიცერმა აცნობა, რომ ნაცისტები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს და ახლა პოლონელებს ეძლეოდათ საშუალება ერთად ებრძოლათ „საერთო მტრის წინააღმდეგ".

„კი, მაგრამ მე ხომ თხუთმეტი წელი მაქვს მოსჯილი პოლონეთის მხარეზე ბრძოლისთვის?“ იკითხა რუმანმა.

„ჰო, ეს უნდა დავივიწყოთ“, უთხრა ციხის უფროსმა. მან რუმანის საქმე აიღო, ჯვარედინად გადახაზა და წააწერა: „გათავისუფლებულია“.

ასე და ამგვარად, თადეუშ რუმანი, დასუსტებული და გამოფიტული, საბჭოთა ციხიდან გაათავისუფლეს და ათეულ ათასობით სხვა პოლონელთან ერთად შეიარაღებულ ძალებში გაიწვიეს, რათა თავის ახლად მოვლენილ მოკავშირეს – საბჭოთა კავშირს პოლონეთის გათავისუფლებაში დახმარებოდა.

მაგრამ საბჭოეთში მიმოფანტული სხვადასხვა შრომითი ბანაკებიდან ამ ადამიანთა მოგროვება, მათი დაბინავება და კვება უზარმაზარ პრობლემას წარმოადგენდა. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ცდილობდა მოსკოვში მყოფი პოლონეთის დელეგაცია გენერალ სიკორსკის მეთაურობით. პოლონელ ლიდერებს ასევე აინტერესებდათ გაერკვიათ, თუ რატომ გაათავისუფლეს ოფიცერთა მხოლოდ მცირე ნაწილი. კრემლში შეხვედრისას სიკორსკიმ სტალინს შესჩივლა, რომ ახალი საბჭოთა დირექტივა პოლონელი ტყვეების ამნისტიის შესახებ ბოლომდე არ იყო შესრულებული და უთხრა, ყველაზე გამოსადეგი ხალხის დიდი რაოდენობა ჯერ ისევ ბანაკებში და ციხეებში იმყოფებაო[47].

„ეს შეუძლებელია“, უპასუხა სტალინმა, „რადგან ამნისტია ყველას შეეხო და ყველა გამოშვებულია“. მოლოტოვმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

სიკორსკიმ განმარტა, რომ მას ჰქონდა იმ რამდენიმე ათასი პოლონელის სია, რომელთა პოვნა ვერ მოხერხდა. ამიტომ იგი ვარაუდობდა, რომ ისინი ჯერ კიდევ პატიმრობაში იმყოფებოდნენ.

„ეს შეუძლებელია“, გაიმეორა სტალინმა. „ისინი ალბათ გაიქცნენ“.

„კი, მაგრამ, სად უნდა გაქცეულიყვნენ?“ იკითხა გენერალმა ანდერსმა.

„სად და მანჯურიაში“, უპასუხა სტალინმა.

ასეთ გარიგებას მიმართავდა სტალინი მთელი ომის განმავლობაში. ასეთი იყო საბჭოთა ბელადი, რომელმაც ყველაზე კარგად უწყოდა ამ ოფიცრების ბედი და არხეინად აცხადებდა, ისინი ნამდვილად ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის მიყრუებულ მხარეში გადაიკარგენო. ეს იყო თანამედროვე ეპოქაში ძალაუფლების ერთ-ერთი ყველაზე ცინიკური დემონსტრაცია. ისევე, როგორც საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო ნებისმიერი „ხალხის მტრად“ შეერაცხა, რაც ყოველგვარ ობიექტურობას მოკლებული „ბრალდება“ იყო, ასევე შეეძლო თავისი ახირებული ფანტაზიით გაეცოცხლებინა დახვრეტილი პოლონელი ოფიცრები და ჯადოსნური ჯოხის აქნევით მიმოეფანტა ისინი მანჯურიის ტრამალებში.

გენერალმა ანდერსმა, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია საბჭოთა „სამართალი“ და სადამსჯელო სისტემის განუკითხაობა, გაბედა და ღიად შეეკამათა სტალინს: „შეუძლებელია, რომ ყველა მათგანი გაქცეულიყო“.

„ისინი ყველა ნამდვილად გაათავისუფლეს“, უპასუხა სტალინმა, „მაგრამ ეტყობა აქამდე ჯერ ვერ ჩამოღწიეს“.

იგივე პოლონეთის თემა უტრიალებდა თავში სტალინს, როცა იმავე დეკემბერში მეორე მნიშვნელოვანი მოლაპარაკება გამართა – ამჯერად ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ანტონი ედენთან. მურმანსკამდე გემით და შემდეგ მოსკოვამდე მატარებლით მგზავრობის შემდეგ ედენი 1941 წლის 16 დეკემბერს პირველად შეხვდა სტალინს. ეს შეხვედრაც იმით არის აღსანიშნავი, რომ კიდევ ერთხელ გვაძლევს საშუალებას, ჩავნვდეთ სტალინის აზროვნების ლოგიკას. იმ დროს, როცა გერმანელები ჯერ ისევ მოსკოვს უტევდნენ, როცა ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო მისი მრისხანება იმის გამო, რომ ბრიტანელები მეორე ფრონტს არ ხსნიდნენ, როცა მის გულისწყრომას იწვევდა მისი ქვეყნისადმი გაწეული სამხედრო დახმარების სიმწირე – მთელი ამ პრობლემებით დამძიმებულმა სტალინმა დისკუსიის თემად სულ სხვა, არცთუ საჩქარო, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხი აირჩია – საბჭოთა კავშირის ომისშემდგომი საზღვრები.

სტალინმა მკაცრად განაცხადა, რომ მხოლოდ ნაცისტებთან ადრე შეთანხმებული, ომისწინანდელი საზღვრების აღდგენაზე (მცირეოდენი შესწორებით) იყო თანახმა. აშკარად ჩანდა, რომ სურდა საერთაშორისო მხარდაჭერით დაეკანონებინა პოლონეთისგან წართმეული ტერიტორიების კონტროლის უფლება. სტალინი ასევე მოითხოვდა ფინეთისგან წართმეული ტერიტორიის ლეგიტიმაციას, ბალტიისპირა ქვეყნების საბჭოთა კავშირში გაწევრიანების დაკანონებას და სსრკ-ს დასავლეთ საზღვრის გასწვრივ არსებული სხვა მცირე ტერიტორიების კონტროლის უფლებას. ედენის თანმხლები დიპლომატი სერ ფრანკ რობერტსი მოგვიანებით ასე აღწერდა სტალინის ამ მოულოდნელი განცხადების მომენტებს: „როცა ენტონ ედენთან ერთად 1941 წლის დეკემბერში მოსკოვში ჩავედი და გერმანელები სულ რაღაც 19 კილომეტრის სიშორეზე იმყოფებოდნენ, ჩვენთან შეხვედრისთანავე სტალინის პირველი სიტყვები იყო: „ბატონო ედენ, მსურს დამიდასტუროთ, რომ ომის დამთავრებისას თქვენ ცნობთ ჩემს უფლებას ამა და ამ ტერიტორიებზე“... ედენმა უპასუხა: „ჯერ იმაზე ხომ არ გვეფიქრა, თუ როგორ მოვიგოთ ეს ომი?“ „არა, არა“, შეეწინააღმდეგა სტალინი, „მინდა, ეს საკითხი ახლავე მოვაგვაროთ“. ამგვარად ედენი იძულებული გახდა ეთქვა, რომ ჩვენ არ გაგვაჩნდა უფლებამოსილება გადაგვეჭრა ომისშემდგომი გადანაწილების საკითხები. მახსოვს, მაშინ მე, როგორც პოლონეთის საქმეში გარეულმა დიპლომატმა გავიფიქრე, ჩვენ ვერასდროს აღვადგენთ პოლონეთის დამოუკიდებლობას, თუ ამას არ ვი-

ზამთ მანამ, სანამ სტალინი ომს მოიგებს-მეთქი[48]". საგულისხმოა, რომ ამავე შეხვედრაზე სტალინმა ბრიტანელებს ომისშემდგომი საზღვრების შესახებ „საიდუმლო ოქმის" გაფორმება შესთავაზა. ტერმინი „საიდუმლო ოქმი", რა თქმა უნდა, იმ უდღეური გარიგების რემინისცენცია იყო, რომელიც ორი წლით ადრე იგივე დარბაზში შედგა ნაცისტებსა და საბჭოელებს შორის. ედენმა, გასაგები მიზეზების გამო, ასეთი გარიგება „შეუძლებლად ჩათვალა[49]".

სტალინის კიდევ ერთი საუბარი ედენთან, რომელიც მეორე დღეს შუაღამისას შედგა, უფრო მწვავე და გესლიანი აღმოჩნდა. ედენმა გარკვევით აღნიშნა, რომ მას არ შეეძლო სტალინის პრეტენზიების დაკმაყოფილება, რადგან ბრიტანეთი და ამერიკა შეთანხმებული იყვნენ, რომ ტერიტორიული საკითხები მხოლოდ გერმანიის დამარცხების შემდეგ უნდა მოგვარებულიყო. სტალინი განრისხდა, თუმცა ძნელი სათქმელია ეს განრისხება ნამდვილი იყო თუ მოჩვენებითი. სტალინისეული დიპლომატიის საყვარელი მეთოდი დაშინება იყო და საბჭოელებმა ეს მეორე შეხვედრაც სტუმრის დასაშინებლად და დასატუქსად გამოიყენეს, ხოლო მესამე და ბოლო შეხვედრა ამ დატუქსვით გამოწვეული წყენის გაქარწყლებას მიეძღვნა. ბოლო შეხვედრაზე სტალინი უფრო ლოიალური ჩანდა, თუმცა მაინც გაიმეორა თავისი მოთხოვნა, დაუყოვნებლივ გაეფორმებინათ შეთანხმება ომისშემდგომი საზღვრების შესახებ, რითაც საბჭოთა კავშირი 1941 წლამდე მოპოვებულ ტერიტორიებზე აღიდგენდა კონტროლს.

ედენი, რომელიც არისტოკრატი ჯენტლმენის განსახიერება იყო, სტალინის ქცევით აშკარად შეცბუნებული ჩანდა. ამ შეხვედრებმა გამოავლინა განსხვავება არა მარტო მათ პოლიტიკურ იდეოლოგიებს შორის, არამედ მათ შინაგან რწმენით სისტემებს შორისაც. სტალინს, რომელსაც ბრიტანელები აშკარად არ თვლიდნენ „ჯენტლმენად", უხეში, გლეხური ქცევა ახასიათებდა. მისმა დიპლომატიურმა მოუქნელობამ ზოგ ბრიტანელ დიპლომატს საკუთარი უპირატესობის გრძნობა გაუღვივა, ზოგმა კი იგი ეგზოტიკურ და საინტერესო პიროვნებად აღიქვა. ორივე შთაბეჭდილება მცდარი იყო. მაგალითად, ედენის თანაშემწე ალექსანდერ კადოგანი 17 დეკემბრის შეხვედრის შემდეგ თავის დღიურში წერდა: „ძნელია გაარკვიო, შთამბეჭდავია თუ არა სტალინი. აი ისიც – ნებისმიერ რუს „ცარზე" უდიდესი და წარმატებული დიქტატორი. მაგრამ თუ ეს არ იცი, მაშინ არა მგონია შეძლო ხალხის ბრბოში მისი გამორჩევა. პატარა მოციმციმე თვალებით და უკან გადავარცხნილი უხეში თმებით ის ძალიან წააგავს მაჩვზლარბს. მეტად თავშეკავებული და მშვიდია. ეტყობა იუმორის გრძნობაც აქვს. თავიდან მეგონა, რომ თვალთმაქცობდა, მაგრამ თურმე ვცდებოდი"[50].

ბრიტანულ და საბჭოურ მხარეებს შორის მოლაპარაკებისას გაჩენილი უფსკრული რამდენადმე ამოავსო ბოლო ღამით გამართულმა ბანკეტმა.

სუფრა კრემლში, იმპერატრიცა ეკატერინეს დარბაზში გაიშალა და, ედენის თქმით, „უხერხულად მდიდრული“[51] იყო. მსუყე ღორის ხორცით, ზუთხითა და ხიზილალით დანაყრების შემდეგ სმას მიეძალნენ, რაც მალე თავაშვებულობაში გადაიზარდა, რამაც სტუმრები გააკვირვა; თუმცა ბრიტანეთისა საელჩოს ერთ-ერთი ახალგაზრდა თანამშრომელიც ისე დათვრა, რომ ასევე მთვრალ მარშალ ვოროშილოვს ჭიდაობა დაუწყო[52]. მეორე საბჭოთა მარშალი ტიმოშენკო კი ისე გამოტყვრა, რომ მისმა შემხედვარე სტალინმა ედენს ჰკითხა, თქვენი გენერლებიც ასე ითიშებიანო, რაზეც ედენმა დიპლომატიურად მიუგო, მათ ამის შანსი იშვიათად ეძლევათო[53].

სუფრაზე ასეთი დაძმობილების მიუხედავად, სტალინის უხეშმა და დაჟინებულმა მოთხოვნამ, ელიარებინათ 1941 წლის წინანდელი საზღვრები, ეტყობა, თავისი გაიტანა. 1942 წლის 5 იანვარს ედენმა ჩერჩილს მისწერა: „ჩემთვის ცხადი გახდა, რომ სტალინის თვალში ეს საკითხი ჩვენი გულწრფელობის ერთგვარი გამოცდაა და სანამ მას არ გადავჭრით, ის ეჭვით მოგვეკიდება ჩვენ და შეერთებული შტატების მთავრობას“[54]. ედენი იქვე ხაზს უსვამდა ამ საზღვრების „დაუყოვნებლივი აღიარების შესაძლებლობას“, თუმცა დასძენდა, წარმომიდგენია შეერთებული შტატების მთავრობას როგორ გაუჭირდება ატლანტიკის ქარტიასთან ღიად დაპირისპირებაო.

ჩერჩილი ედენის წერილის წაკითხვისას გაბრაზდა და სტალინის მოთხოვნები უარყო. „რუსეთის 1941 წლის საზღვრები არასდროს გვიღიარებია, მხოლოდ დე-ფაქტო ვცანით“, წერდა ჩერჩილი. „ისინი აგრესიული გზით, ჰიტლერთან სამარცხვინო გარიგების შედეგადაა მოპოვებული“[55]. გარდა ამისა ჩერჩილი შეახსენებდა ედენს, თუ რა ვითარებაში გახდა საბჭოთა კავშირი ბრიტანეთის მოკავშირე: „ისინი ომში მხოლოდ მას მერე ჩაებნენ, რაც გერმანია თავს დაესხათ, და მანამდე ჩვენი ბედი საერთოდ არ ანაღვლებდათ. ახლა კი ჩვენს დიდ სატკივარს კიდევ თავისას ამატებენ“. ჩერჩილი თავის პასუხს შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „არ უნდა დავივიწყოთ ბრიტანეთის იმ მთავრობის დევიზი, რომლის მეთაურიც მე ვარ; კერძოდ, რომ იგი თავისუფლებისა და დემოკრატიის იმ პრინციპების ერთგული რჩება, რომლებიც ატლანტიკის ქარტიაშია ჩამოყალიბებული, და რომ ეს პრინციპები განსაკუთრებით აქტუალური მაშინ უნდა გახდეს, როცა ტერიტორიის გადახედვის რაიმე საკითხი წამოიჭრება“.

ყველაფერი ნათლად იყო ნათქვამი – რამდენიმე თვით ადრე ხელმოწერილი ატლანტიკის ქარტიის პრინციპები წმიდათაწმინდა იყო. არ შეიძლებოდა საზღვრების არავითარი ცვლილება იქ მცხოვრები მოსახლეობის თავისუფალი და სამართლიანი არჩევანის გარეშე. ამით კიდევ ერთხელ ხმამაღლა გაჟღერდა ის ფუნდამენტური ღირებულებები, რომელთა დასაცავადაც ბრტანეთი ოფიციალურად ჩაება ამ ომში. თუმცა ამავდროულად ეს ის პრინციპებია, ამ ომის განმავლობაში არაერთ თავსატეხს რომ გაუჩენს ჩერჩილს.

სტალინის ნაადრევი ოპტიმიზმი

მოსკოვთან გერმანელების შეჩერებაში წითელი არმიის წარმატებით გათამამებულმა სტალინმა თავის უმაღლეს სარდლობას – „სტავკას“ 5 იანვარს განუცხადა, რომ დადგა დრო საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს ერთდროულად განეხორციელებინათ ოპერაცია ჩრდილოეთში ლენინგრადის გასათავისუფლებლად, მოსკოვთან გერმანელთა ცენტრალურ საჯარისო ჯგუფზე იერიში და მასშტაბური შეტევა სამხრეთით ხარკოვის მიმართულებით. ეს გეგმა თავისი წრეგადასული ოპტიმიზმით ლამის ფანტასტიკურს უტოლდებოდა. მარშალი ჟუკოვი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვოზნესენსკი შეეცადნენ სტალინისთვის ამ იდეის ხარვეზები აეხსნათ, მაგრამ მან განუცხადა, გვეყოფა დაცვაში ყოფნაო, და ბრძანა, რომ ამ სამი მიმართულებით შეტევა „მომავალ გაზაფხულზე“ დაეწყოთ.

მრავალმა საბრძოლო მაგალითმა ცხადყო, რომ თუმცა მოსკოვთან თოვლსა და ყინვაში წითელმა არმიამ გარკვეული გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ძალუძდა წარმატებული მასიური შეტევის განხორციელება. მას არ გააჩნდა შესაბამისი აღჭურვილობა და გამოცდილება და, რაც მთავარია, არ შესწევდა ტაქტიკური უნარი, დაემარცხებინა გერმანელები ფართომასშტაბიან საომარ ოპერაციებში. ამასვე მოწმობს ციმბირელი ვასილი ბორისოვის საბრძოლო თავგადასავალიც.

მოსკოვის წარმატებით დაცვაში მონაწილეობის შემდეგ ბორისოვის შენაერთი გაზაფხულის დადგომისთანავე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გადაისროლეს 33-ე არმიის გასაძლიერებლად. მაგრამ სულ მალე ისინი გერმანელების ალყაში აღმოჩნდნენ. როგორც კი ბუნებრივი პირობები გაუმჯობესდა და შესაძლებელი გახდა ჯავშანსატანკო ტექნიკის ტაქტიკური უპირატესობის რეალიზება, ვერმახტის მეომრებმა მაშინვე ისევ მახეში გააბეს საბჭოელთა მთელი არმია. რამდენიმე კვირის განმავლობაში ცდილობდნენ ბორისოვი და მისი ამხანაგები გაერღვიათ რკალი, რომელიც თანდათან ვიწროვდებოდა. „გერმანელები პროკლამაციებს გვაყრიდნენ, რომლებითაც დანებებას მოგვიწოდებდნენ“, ამბობს ვასილი ბორისოვი. „მათ ვადაც კი დაგვიდგინეს. ვინც არ დანებდებოდა, არტილერიითა და ტყვიამფრქვევებით დახოცვას უქადდნენ“. ალყაშემორტყმულ ბანაკში კოშმარული ვითარება შეიქმნა. „მარხილებზე უამრავი დაჭრილი გვყავდა, ბევრ მათგანს კიდური ჰქონდა მოგლეჯილი. სისხლის გუბეები იდგა; უამრავი დახოცილი ადამიანი და ცხენი იყო მიმოფანტული. ერთი ნანლავებგადმოყრილი მეომარი გვეხვეწებოდა, მომკალით ან ხელყუმბარა მომეცით, რომ თავი ავიფეთქოო“.

მებრძოლები ტყეს შეეფარნენ, სადაც გერმანელები მათზე „როგორც კურდღლებზე, ისე ნადირობდნენ“. ბორისოვი ერთ-ერთი იყო იმ სამ გადარ-

ჩენილს შორის, ცამეტი თვე ტყეში რომ გაატარეს, ვიდრე წითელმა არმიამ არ გაათავისუფლა ის ტერიტორია 1943 წლის გაზაფხულზე. ძირითადად თავი გაჰქონდათ „მკვდარი ცხოველების აყროლებული ხორცით, რომელსაც ვრეცხავდით და კოცონზე ეწვავდით“. მათ ასევე კავშირი დაამყარეს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელიც მალულად აწვდიდათ საკვებს.

ბორისოვისა და სხვა უამრავი მეომრის ასე უაზროდ განირვას თითქოს შემაკავებელი გავლენა უნდა მოეხდინა სტალინზე, რათა არ დაემტკიცებინა მარშალ ტიმოშენკოს ნაჩქარევი გეგმა, მასიური შეტევა განეხორციელებინათ სამხრეთით ხარკოვის მიმართულებით, რომელიც მაისის დასაწყისში უნდა დაწყებულიყო. მაგრამ მან უგულვებელყო ყველა გაფრთხილება და გეგმის სისრულეში მოყვანა ბრძანა.

ხარკოვის ოპერაციის მონაწილე მრავალი მებრძოლი ბრმად იზიარებდა სტალინის ოპტიმიზმს. საბჭოთა მე-6 არმიის ოფიცერი ბორის ვიტმანი[56] იხსენებს, რომ „ოპერაციის დაგეგმვის შტაბში ყველას სრული წარმატების სჯეროდა და ამაღლებული განწყობა სუფევდა... ყველას ეგონა, რომ ომი 1943 წელს დამთავრდებოდა“.

ხარკოვის ოპერაციის იდეა იმ ვარაუდს ემყარებოდა, რომ გაზაფხულზე გერმანელები, თავის მხრივ, მოსკოვზე შეტევას დაგეგმავდნენ, თუმცა ეს ვარაუდი არ გამართლდა. გერმანელები თავიანთ ძალებს ხარკოვთან ახლოს სწორედ იმ ტერიტორიაზე უყრიდნენ თავს, სადაც წითელი არმია შეტევის დაწყებას აპირებდა.

საბჭოთა შენაერთებმა 12 მაისს დაიწყეს წინსვლა. მათ წინააღმდეგობას არავინ უწევდა, რაც შეტევის წინ განხორციელებული საარტილერიო მომზადების წარმატებად იქნა აღქმული. ეს კიდევ ერთი მცდარი გათვლა აღმოჩნდა. როცა გერმანელების თავდაცვით სანგრებს ჩაუარეს, ისინი ცარიელი დახვდათ. არტილერიას არაფერიც არ გაუნადგურებია. „ჩვენ მარშით მივიწევდით წინ“, ამბობს ვიტმანი. „თავს არ ვიტკიებდით იმაზე ფიქრით, თუ სად გაუჩინარდნენ გერმანელები; გვეგონა მარშით ბერლინამდე ჩავიდოდით“.

რამდენიმე საბჭოთა არმია (21-ე, 28-ე, 38-ე, მე-6 ჩრდილოეთიდან და 57-ე და მე-9 სამხრეთიდან) ბრმად მიიწევდა ხაფანგისკენ, რომელშიც მათი გაბმა უფრო და უფრო უადვილდებოდათ გერმანელებს. იგრძნეს თუ არა, რომ მათი ნატვრა ასრულდა, გერმანელებმა რკალი შეკრეს. 19 მაისს მე-6 ჯავშანსატანკო არმიამ გენერალ პაულიუსის მეთაურობით ჩრდილოეთის მხრიდან ელვისებური კონტრშეტევა განახორციელა და საბჭოელები ალყაში მოაქცია. წითელარმიელები, რომლებიც გვიან მოეგნენ გონს, გააფთრებით იბრძოდნენ რკალის გასარღვევად. „უჭირდათ იმის დაჯერება, რომ ამხელა უკან დასახევი გზა ასე სწრაფად მოვუჭერით“, იხსენებს გერმანელთა მე-6 არმიის ოფიცერი იოახიმ სტემპელი[57]. „ათასობით რუსი

სამშვიდობოს გასვლას ცდილობდა და ჩვენი მასირებული სროლისა და დაბომბვის მსხვერპლი ხდებოდა... შემაძრწუნებელი იყო ამდენი მოკლულისა და დაჭრილის ყურება". აშკარა იყო საბჭოელთა გეგმის სრული კრახი. 28 მაისს მარშალმა ტიმოშენკომ შეტევის შეჩერების ბრძანება გასცა, მაგრამ რაღა დროს! წითელი არმიის მებრძოლთა უმრავლესობა უკვე იმ ხაფანგში იმყოფებოდა, რომელსაც მოგვიანებით „ბარვენკოვოს სათაგური" შეარქვეს და რომელშიც გერმანელებმა ორასი ათასზე მეტი საბჭოთა მეომარი გამოამწყვდიეს.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ხარკოვთან გერმანელთა წარმატება. სტალინმა კი ამ ოპერაციით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი როგორც უვიცმა მხედარმთავარმა. ბოლოს და ბოლოს მან არა მარტო ამ მასიური შეტევის იდეა წამოჭრა და გეგმა დაამტკიცა, არამედ უმაღლესი სარდლობის 18 მაისის ის თხოვნაც უარყო, რომ მე-9 არმიისათვის დროულად უკან დახევისა და რკალის გარღვევის ნება მიეცათ. თუმცა მარტო სტალინი არაა გასაკიცხი ხარკოვის ტრაგედიის გამო. მთელი წითელი არმიის მასშტაბით იყო ჩავარდნა მმართველობაში, დაზვერვაში, საბრძოლო სტრატეგიასა და ტაქტიკაში. სპეციალურად უნდა აღინიშნოს, რომ ხარკოვთან ბრძოლის ველზე ყოველ ორ გერმანელ მეომარზე სამი საბჭოთა ჯარისკაცი მოდიოდა. ამრიგად, ხარკოვმა ცხადყო, რომ მხოლოდ რიცხობრივი უპირატესობით საბჭოთა კავშირს ამ ომის მოგება არ შეეძლო.

სტალინმა, როგორც ყოველთვის, საკუთარი შეცდომები არ აღიარა. სამაგიეროდ თანამდებობიდან გადააყენა და უმნიშვნელო სამსახურში გაუშვა მარშალი ტიმოშენკო, რომელთანაც ხანგრძლივი „მეგობრობა" აკავშირებდა, ხოლო შეტევისთვის პასუხისმგებელი მთავარი პოლიტკომისარი ნიკიტა ხრუშჩოვი თავისთან დაიბარა მოსკოვში. „ძალიან დათრგუნული ვიყავი", იხსენებს ხრუშჩოვი. „მრავალი ათასი მეომარი დავკარგეთ... რაც მთავარია, აქამდე ნალოლიავები ეს უკანასკნელი იმედიც გაგვიქრა... ჩემდა სამწუხაროდ, როგორც ჩანდა, ყველაფერ ამაზე მე უნდა მეგო პასუხი"[58]. ხრუშჩოვმა, რომელიც 30-იანი წლების დამდეგიდან მონურად ემსახურებოდა სტალინს, კარგად იცოდა, რომ საბჭოთა ბელადი „არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდა, რათა თავიდან აეცილებინა საკუთარი პასუხისმგებლობა რაიმე წარუმატებლობის გამო".

სტალინი ეთამაშებოდა მას. ისე იქცეოდა, თითქოს ჯერ ვერ გადაეწყვიტა, რას უპირებდა. ერთი მხრივ, მან ხრუშჩოვს აგრძნობინა, რომ ხარკოვის კატასტროფის გამო პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი მას ეკისრებოდა. მეორე მხრივ, ხრუშჩოვი კვლავ რჩებოდა მის ერთგულ მონად და სიამოვნებით ხდებოდა მისი სამასხარაო ობიექტი. ამიტომ ხრუშჩოვი ლუბიანკას სატუსაღოში წამებას კი გადაურჩა, თუმცა დამცირებას ვერ აცდა. რამდენიმე თვის შემდეგ მთელი სამხედრო სარდლობის თვალწინ

სტალინმა მას მოტვლეპილ თავზე ჩიბუხი დააბერტყა. საბჭოთა ბელადმა განმარტა, რომ იგი ძველებურ რიტუალს ასრულებდა: „რომელიმე რომაელი მხედარმთავარი ბრძოლას რომ წააგებდა, კოცონს აჩაღებდა, მის წინ ჯდებოდა და თავზე ღადარს იყრიდა“[59].

მოკავშირეთა გამოსმაურება

1942 წლის დასაწყისში მარცხი მხოლოდ საბჭოელებმა კი არა, არამედ მათმა დასავლელმა მოკავშირეებმაც იწვნიეს. 15 თებერვალს იაპონელებმა გენერალ – ლეიტენანტ არტურ პერსივალს სინგაპური დაატოვებინეს და სამოცდაათი ათასი ბრიტანელი და მათი მოკავშირე მეომარი ტყვედ აიყვანეს. ჩერჩილმა ამ მარცხს „ბრიტანეთის ისტორიაში უმძიმესი ტრაგედია და უდიდესი კაპიტულაცია“[60] უწოდა. მარტში კი უკვე ამერიკელებმა იწვნიეს მარცხი ფილიპინებზე იაპონელებთან ბრძოლაში, რომლის კულმინაცია ბრძოლის ველიდან გენერალ დუგლას მაკარტურის სამარცხვინო გაქცევა იყო.

მოკავშირეთათვის ამ უმძიმეს პერიოდში გაუგზავნა ჩერჩილმა მრავლისმეტყველი დეპეშა რუზველტს. 1942 წლის 7 მარტით დათარიღებულ ამ შეტყობინებაში ჩერჩილმა მკვეთრად შეცვალა ის კურსი, რომელიც მას სულ რაღაც ორი თვის წინ ედენისადმი მიწერილ წერილში ჰქონდა აღებული. „ომის მზარდმა სიმძაფრემ“, წერდა ჩერჩილი ამერიკის პრეზიდენტს, „მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ატლანტიკის ქარტიის პრინციპები არ უნდა აღვიქვათ როგორც რუსეთის იმ საზღვრების აღიარების უარყოფა, რომლებიც მას გერმანიის მასზე თავდასხმისას ჰქონდა“[61]. იმ მორალური პოზიციის დათმობა, რომელზეც იგი სულ ცოტა ხნის წინათ ასე მყარად იდგა, ჩერჩილმა პრაქტიკულ აუცილებლობას მიაწერა: „ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ გერმანელები გაზაფხულზე ტოტალურ შეტევას განაახლებენ და ცოტა რამით თუ შეგვიძლია დავეხმაროთ ქვეყანას, რომელიც ამ ტოტალური შეტევის ობიექტი იქნება“. ჩერჩილი ახლა იმის მტკიცებას ცდილობდა, რომ რაკი საბჭოელებს ბალტიის ქვეყნები და პოლონეთის ნაწილი ატლანტიკის ქარტიის გაფორმებამდე ჰქონდათ დაპყრობილი, მათი სურვილი, ომის შემდგომაც შეენარჩუნებინათ ეს ტერიტორიები, წინასწარ შეიძლებოდა ლეგიტიმურად მიჩნეულიყო. ეს არგუმენტი, რასაკვირველია, მცდარი იყო, რადგან ბალტიის ქვეყნებისა და აღმოსავლეთ პოლონეთის მოქალაქეებს არასოდეს გამოუთქვამთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით სურვილი, გამხდარიყვნენ საბჭოეთის მოქალაქეები.

ორი ურთიერთგამომრიცხავი პოზიციის შეთავსების ამ ჩერჩილისეულ მცდელობას მაშინ შედეგი არ მოჰყოლია. მაგრამ თავად მისი ასეთი ორჭოფობის ფაქტი უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ჯერ კიდევ ომის საწყის ეტაპზე, როცა საბჭოთა კავშირის დამარცხება ჯერ ისევ რეალურად მიიჩნეოდა, ჩერჩილი მზად იყო უარი ეთქვა ატლანტიკის ქარტიის პრინციპებისადმი ერთგულებაზე.

მისი ეს ახალი პოზიცია ამერიკელთა მხრიდან გაკილვას ვერ გადაურჩა. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ სამნერ უელსმა განაცხადა, ბრიტანეთის მთავრობის ასეთი პოზიცია არა მარტო მორალურად მიუღებელი, არამედ უჩვეულოდ სულელურიცააო[62]. სტალინის ხასიათის უელსისეული შეფასების თანახმად, საბჭოთა ლიდერი მით უფრო მეტ მოთხოვნებს აყენებდა მოლაპარაკებებზე, რაც უფრო მეტ სისუსტეს ამჩნევდა პარტნიორებს. ამიტომ საბჭოელებისათვის ამ ტერიტორიების დათმობას მისგან უფრო მეტი მოთხოვნები მოჰყვებოდა. ეს თვალსაზრისი ბრიტანეთის სამხედრო კაბინეტის წევრებმაც გაიზიარეს და ბოლოს გადაწყვეტეს, საბჭოელებისთვის უარი ეთქვათ ომისშემდგომი საზღვრების აღდგენის მოთხოვნაზე. განსაკუთრებით კი რუზველტის ადმინისტრაცია, არსებული სირთულეების მიუხედავად, არ აპირებდა ომის ამ ეტაპზე ატლანტიკის ქარტიის პრინციპების უარყოფას.

რუზველტის მიერ ჩერჩილის შეთავაზების უარყოფის შემდეგ მალევე, 1942 წლის აპრილში ახალგაზრდა საზღვაო ოფიცერი ჯორჯ ელსეი ბრიტანეთიდან ვაშინგტონში ჩავიდა თეთრი სახლის სამხედრო დაგეგმარების ოფისში, ეგრეთწოდებულ „რუკების ოთახში" (*Map room*) სამუშაოდ. მისი პირადი დაკვირვება ნათელს ჰფენს რუზველტისდროინდელი თეთრი სახლის მუშაობის სტილს და საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ რუზველტის სტალინთან ინფორმაციული ურთიერთობის ორიგინალურ მეთოდს. თუმცა ელსეი თეთრ სახლს უდავოდ „მეტად მიმზიდველ ადგილად" მიიჩნევდა, მალევე ჩასწვდა ამერიკის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების მუშაობის სტილის ზოგიერთ განსაცვიფრებელ თავისებურებას. „ფრანკლინ რუზველტს უცნაური ჩვევა ახასიათებდა", გვიამბობს იგი.[63] „რუზველტი შეტყობინებას ერთი დეპარტამენტის მეშვეობით აგზავნიდა, ხოლო პასუხს სხვა დეპარტამენტის მეშვეობით იღებდა, რადგან არ სურდა ვინმეს სრულად ჰქონოდა დოკუმენტები, რომლებიც მის საგარეო მიმოწერას ან სხვა კავშირებს ასახავდა.. ვერ იტანდა, რომ მის გარდა ვინმეს სხვას ჰქონოდა მოვლენების განვითარების სრული სურათი". თეთრ სახლში მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვების შედეგად ელსეი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რუზველტის მიერ საკუთარი უწყებების ასეთ უმეცრებაში ყოლა „სამარცხვინო" იყო და დიდ ადმინისტრაციულ არეულ-დარეულობას იწვევდა. პრეზიდენტი თავის ხელქვეითებთან ურთიერთობაში მართვის

თავისებურ ტექნიკას იყენებდა: „რუზველტი ბოლომდე არავის უზიარებდა თავის განზრახვებს, ამიტომ მის ხელქვეითებს მუდამ გაურკვევლობის შეგრძნება ჰქონდათ. ისინი თავს ვალდებულად თვლიდნენ, პრეზიდენტის ერთგულნი ყოფილიყვნენ, თუმცა არ იცოდნენ, თავად რამდენად გულწრფელი იყო მათ წინაშე. ასეთი იყო მისი ქცევის მოდელი, რომელიც საკმაოდ ძნელი გასაგები და ასახსნელია“.

ელსეის ამ დასკვნებს რუზველტის სხვა, უფრო მაღალი თანამდებობის ხელქვეითებიც ადასტურებდნენ. თავად ჰენრი მორგენთაუც კი, რომელიც რუზველტის ძველი მეზობელი იყო ნიუ-იორკის შტატიდან და 1933 წლიდან ერთგულად ემსახურებოდა, იშვიათად მონაწილეობდა რაიმე გადაწყვეტილების მიღებაში, იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკის მინისტრი იყო. ერთხელ რუზველტმა მას საიდუმლოდ გაანდო, რომ როგორც პრეზიდენტს ერჩივნა, „მის მარცხენა ხელს არ სცოდნოდა, თუ რას იქმოდა მისი მარჯვენა[64]“. მმართველობის ამ რუზველტისეულმა მეთოდმა წამგებიანად იმოქმედა სტალინთან მისი შემდგომი გარიგებების შედეგებზე.

თეთრ სახლში მუშაობისას ელსეი არა მარტო რუზველტის ხასიათს და მისი მმართველობის მეთოდებს ჩასწვდა, არამედ პრეზიდენტის უსაზღვრო თავდაჯერებულობაც გააცნობიერა: „როდესაც დაგეგმარების ოფისში (*Map room*) მუშაობა დავიწყე, ხშირად ღამის ცვლაში მარტო ვმორიგეობდი და ბევრი საქმე არ მქონდა. ამიტომ საქაღალდეებში ვიქექებოდი, რათა გამეგო, თუ რა ხდებოდა ჩემს მოსვლამდე. იქ მართლაც ინახებოდა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ბევრი საყურადღებო წერილი თუ საკაბელო შეტყობინება“. ელსეი განსაკუთრებით ერთმა დეპეშამ დააინტერესა, რომელიც ჩერჩილისათვის რუზველტის გაგზავნილ საიდუმლო შენიშვნებს შეიცავდა: „ვიცი არ გამინაწყენდებით უხეში გულწრფელობისთვის, თუ გეტყვით“, წერდა რუზველტი, „რომ პირადად მე უკეთ შემიძლია „მოვთოკო“ სტალინი, ვიდრე თქვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან ჩემს სახელმწიფო დეპარტამენტს. სტალინს სძულს ჩვენი მაღალჩინოსნები. მას მე უფრო მოვწონვარ და ვიმედოვნებ მომავალშიც ასე გაგრძელდება“[65].

„რუზველტის საყვარელი გამოთქმა იყო, შემიძლია ადამიანების მოთოკვაო“, ამბობს ელსეი. გამაოგნებელი იყო პრემიერ-მინისტრთან მისი ასეთი თავდაჯერებული საუბარი. რუზველტი ფიქრობდა, რომ მას ნებისმიერი ადამიანის მართვა შეეძლო, განურჩევლად მისი თანამდებობისა. ეგონა, რომ შეეძლო ყველა და ყველაფერი ეკონტროლებინა“.

რუზველტს მალევე მოუწია პრაქტიკაში მოესინჯა, თუ როგორ მოახერხებდა საბჭოთა ხელისუფლების „მოთოკვას“. ეს მცდელობა ალიანსისთვის კინაღამ დამღუპველი შედეგებით დასრულდა. საქმე ეხება საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის ვიაჩესლავ მოლოტოვის ვიზიტს ამერიკაში, რომელიც 1942 წლის მაისში შედგა. ეს იყო შეერთებული შტატებისა და

საბჭოთა კავშირის პირველი კონტაქტი მაღალ დონეზე და მოკავშირეთა ურთიერთობის მკვეთრი გამწვავების პერიოდს დაემთხვა.

ამერიკისკენ გზად მიმავალი მოლოტოვი ლონდონში შეჩერდა, სადაც ჩერჩილს და ბრიტანეთის მთავრობის სხვა წამყვან ფიგურებს შეხვდა. საუბარი მძიმედ წარიმართა. პრემიერ-მინისტრს საბჭოთა კავშირთან ალიანსის ფორმალური ხელშეკრულება უნდა გაეფორმებინა, რომელიც არსებულ ორმხრივ შეთანხმებას ჩაანაცვლებდა, მაგრამ არსებობდა სერიოზული პრობლემები, გამოწვეული მეორე ფრონტისა და ომისშემდგომი საზღვრების საკითხებში არსებული უთანხმოებით. ბრიტანელებისათვის მიუღებელი იყო, რომ საბჭოთა კავშირი აპირებდა არა მხოლოდ მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტით მიტაცებული აღმოსავლეთ პოლონეთის თავის მფლობელობაში დაკანონებას, არამედ ბალტიისპირეთის ქვეყნების ომისშემდგომ ანექსიასაც.

რაკი ჩერჩილი შეუძლებლად მიიჩნევდა ამ ორ საკვანძო საკითხში მოლოტოვისადმი დათმობას, 21 მაისს დაწყებული მოლაპარაკება ცივად მიმდინარეობდა. ჩერჩილმა ხაზი გაუსვა იმ უზარმაზარ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლიდა ბრიტანელებს მეორე ფრონტის გახსნაში, და შეუძლებლად მიიჩნია ლა მანშის არხის გადაკვეთის ოპერაციის განხორციელება 1943 წლამდე. საგულისხმოა, რომ როგორც კი ბრიტანელებმა მტკიცედ დაიცვეს საკუთარი პოზიცია და არაფერი დათმეს, მოლოტოვი თავად წავიდა დათმობაზე. მოსკოვთან კონსულტაციების შემდეგ 26 მაისს იგი დათანხმდა, ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე, სადაც ნახსენები არც ომისშემდგომი საზღვრები იყო და არც მეორე ფრონტის გახსნის თარიღი.

ბრიტანეთის ხისტი პოზიციით შეფიქრიანებული მოლოტოვი 29 მაისს ჩავიდა ვაშინგტონში. იგი თეთრ სახლში დააბინავეს. ეს იყო ერთ-ერთი ექსტრაორდინალური მომენტი ამ ქვეყნის ისტორიაში: ყოფილი ბოლშევიკი ტერორისტი, შეერთებული შტატების დაუძინებელი იდეოლოგიური მტერი, პიროვნება, რომელიც პირადად აწარმოებდა სამოკავშირეო მოლაპარაკებას ჰიტლერთან და რიბენტროპთან, მისთვის საძულველი სისტემის ყველაზე სიმბოლურ სახლს სტუმრობდა.

ეს შეუსაბამობა კიდევ უფრო წარმოაჩინა თეთრ სახლში მოლოტოვის საძინებელ ოთახში მომხდარმა ორმა ეპიზოდმა. პირველი, როცა თეთრი სახლის კამერდინერმა საბჭოთა მინისტრის ჩემოდანი გახსნა, მასში „შავი პურის მოზრდილი ნაჭერი, ძეხვი და პისტოლეტი“ აღმოაჩინა. ჩანდა, რომ ეს ყველაფერი მას თავისი ტერორისტული „საქმიანობის“ პერიოდშიც თან დაჰქონდა. პრეზიდენტის მეუღლე ელეონორა რუზველტი მოგვიანებით წერდა: „საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებს პისტოლეტიანი ვიზიტორები არ სიამოვნებდათ, მაგრამ ამჯერად დუმილი ამჯობინეს. ბატონ

მოლოტოვს ალბათ ეგონა, რომ ამერიკაში თავის დაცვა მოუნევდა ან მოშივდებოდა".[66]

მეორე საგულისხმო შემთხვევა იმავე საღამოს თერთმეტ საათზე მოხდა, როდესაც მოლოტოვს ოთახის კარზე მიუკაკუნეს. მოლოტოვმა კარი გააღო და ხელში რუზველტის საგანგებო მრჩეველი ჰარი ჰოპკინსი შერჩა.

„მისტერ მოლოტოვ, შეიძლება ხვალინდელ შეხვედრამდე ერთი-ორი სიტყვა მოგახსენოთ?" ჰკითხა ჰოპკინსმა.

მოლოტოვმა იგი ოთახში შეიპატიჟა.

„მინდა გაცნობოთ, რომ პრეზიდენტი რუზველტი 1942 წელს მეორე ფრონტის გასხნის აქტიური მომხრეა", უთხრა ჰოპკინსმა, „მაგრამ ამერიკელი გენერლები ვერ ხედავენ მეორე ფრონტის რეალურ საჭიროებას. ამიტომ გირჩევთ შეხვედრაზე საბჭოთა კავშირში შექმნილი სიტუაციის სულისშემძვრელი სურათი წარმოაჩინოთ, რათა ამერიკელმა გენერლებმა გაისიგრძეგანონ ვითარების მთელი სერიოზულობა"[67].

მოლოტოვმა უთხრა, რომ ფრონტის ხაზზე სიტუაცია მართლაც უაღრესად სავალალო იყო, ამიტომ მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა ამ რჩევის გათვალისწინება. ჰოპკინსმა აგრეთვე სთხოვა, გამოენახა დრო და ოფიციალურ შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე ეცნობებინა რუზველტისთვის, რომ გაითვალისწინებდა ჰოპკინსის რჩევას. მოლოტოვი ამაზეც დათანხმდა.

ეს მოკლე საუბარი არ არის ნახსენები ამ ვიზიტის ამერიკულ ანგარიშში. თვით ჰოპკინსი კი თავის ვრცელ მოხსენებით ბარათში[68] გაკვრით აღნიშნავს, თეთრ სახლში პრეზიდენტთან მიმავალმა საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრს მცირე ხნით სალაპარაკოდ შევუარეო, საუბრის შინაარსზე კი არაფერს ამბობს.

ეს უცნაური ღამის ვიზიტი საშუალებას გვაძლევს, ახლოს გავეცნოთ რუზველტისეულ „ადამიანების მოთოკვის" მეთოდს. (ის ფაქტი, რომ ჰოპკინსი რუზველტთან დაახლოებული პირი იყო და მოლოტოვს საგანგებოდ სთხოვა, პრეზიდენტისათვის შეხვედრის წინ ეცნობებინა თავისი თანხმობა, ნათელს ხდის, რომ რუზველტი ამ ყველაფრის საქმის კურსში იყო). ჰოპკინსის მოლოტოვთან მიგზავნით რუზველტი ერთდროულად რამოდენიმე პოლიტიკურ სვლას აკეთებდა. პირველი, იგი ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მეორე ფრონტთან მიმართებაში ფარულად მოლოტოვის მხარეზე იყო და საკუთარი ურჩი გენერლების ჭოჭმანს ებრძოდა; მეორე და მთავარი – ამ ქმედებით იგი საბჭოელებს აჩვენებდა, რომ სურდა მათი მეგობარი და მესაიდუმლე ყოფილიყო. დასანანია, რომ რუზველტს შეეძლო ასეთი უღირსი ხერხები გამოეყენებინა საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

„ადამიანების მოთოკვის" მეთოდი, როგორც ჩანს, თეთრ სახლში იშვიათი მოვლენა არ ყოფილა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 21 ივნისს,

ბრიტანელების ვაშინგტონში ვიზიტის დროს, საიმპერიო გენშტაბის უფროსი, გენერალი სერ ალან ბრუკი გაკვირვებული დარჩა, როდესაც იგი ჰოპკინსმა თავის საძინებელში სასაუბროდ შეიპატიჟა. „მის ოთახში შევედი", წერდა ბრუკი თავის დღიურში, „საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი და ვიდრე იგი პრეზიდენტის ზოგიერთ პირად აზრს მანდობდა, კბილისა და აბანოს ჯაგრისებს შევყურებდი! ასეთი ფარული საუბრები ჩვეულებრივი ამბავი იყო ამ უცნაური კაცისთვის, რომელსაც არავითარი ოფიციალური რწმუნებები არ გააჩნდა და მაინც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კაცი იყო პრეზიდენტის გარემოცვაში"[69].

რაც შეეხება მოლოტოვს, 30 მაისის ოფიციალურ შეხვედრაზე გამოჩნდა, რომ მან ყურად იღო ამ „უცნაური კაცის" რჩევა. პრეზიდენტ რუზველტისა და ამერიკის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსის, გენერალ ჯორჯ მარშალის თანდასწრებით მან დაწვრილებით მიმოიხილა საბჭოთა კავშირის წინაშე მდგარი სიძნელეები და დრამატულად დაასკვნა, რომ 1943 წლამდე მეორე ფრონტის გაუხსნელობის შემთხვევაში ჰიტლერი შეიძლებოდა „ევროპის ბატონ-პატრონი" გამხდარიყო, ხოლო საბჭოთა კავშირი განადგურებულიყო. მოლოტოვმა აღნიშნა, უმჯობესია მოვლენებს თვალი გავუსწოროთო, და ამერიკელებისგან „პირდაპირი პასუხი" მოითხოვა კითხვაზე, მზად იყვნენ თუ არა, გაეხსნათ მეორე ფრონტი. ამ შეხვედრის ამერიკული სტენოგრამის თანახმად, მან სწორედ ასეთივე „პირდაპირი პასუხი" მიიღო: „პრეზიდენტი გენერალ მარშალს შეეკითხა, საკმაოდ მომწიფდა თუ არა ვითარება საიმისოდ, რომ მარშალ სტალინისთვის ეცნობებინათ მეორე ფრონტის გახსნისთვის მათი მზაობის შესახებ. დიახო, უპასუხა გენერალმა. ამის შემდეგ პრეზიდენტმა უფლება მისცა მოლოტოვს ეცნობებინა სტალინისთვის, რომ ჩვენ მეორე ფრონტის გახსნას წელსვე ვვარაუდობდით[70]".

ამრიგად პრეზიდენტი რუზველტი უკვე შეპირდა საბჭოელებს იმას, რის თავიდან ასაცილებლადაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ამდენი იჯახირა. საინტერესოა, რომ ამ შეხვედრის რუსული სტენოგრამა[71] არ შეიცავს იმ საკვანძო წინადადებას, რომ პრეზიდენტმა უფლება მისცა მოლოტოვს ეცნობებინა სტალინისთვის, ამერიკელები მეორე ფრონტის გახსნას წელსვე ვარაუდობენო, თუმცა მოყვანილია გენერალ მარშალის სიტყვები, რომ შესაძლებელია მეორე ფრონტი 1942 წელს გაიხსნას და რომ ამერიკელები, რაც შეუძლიათ ყველაფერს აკეთებენ ამ მიზნის მისაღწევად.

შემდეგ გაიმართა დისკუსია ამ შეხვედრის კომუნიკეს ტექსტის გარშემო. როცა გენერალმა მარშალმა კომუნიკეს შავ ვარიანტში მეორე ფრონტის გახსნის კონკრეტული წელი – 1942 შენიშნა, იგი წინააღმდეგი წავიდა და „მოითხოვა 1942 წელი არ მიეთითებინათ"[72]. რუზველტმა მას ყური არ

ათხოვა და საბჭოელების საამებლად ტექსტში ამ თარიღის დატოვება გადაწყვიტა.

სავარაუდოდ რუზველტის ცნობიერებაში ღრმად იყო გამჯდარი იმის შიში, რომ საბჭოელები შეეცდებოდნენ გერმანელებთან დაზავებას, და იმედოვნებდა, რომ მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე რეალური დაპირება მათ ბრძოლას გააგრძელებინებდა. ანდა, იქნებ სჯეროდა კიდეც, რომ ამერიკელები მართლაც შეძლებდნენ 1942 წელს მეორე ფრონტის გახსნას მისი სამხედრო მრჩევლების განსხვავებული აზრის მიუხედავად. მაგრამ როგორიც უნდა ყოფილიყო რუზველტის ამ ქმედების ზუსტი მოტივი, ეს მაინც სტალინის „მოთოკვის" უაღრესად მცდარი გზა იყო. საბჭოთა ბელადი ის პიროვნება გახლდათ, რომელსაც ფუჭი სიტყვები არ უყვარდა. როგორც ჩანს, რუზველტი ამ კაცს მეტად ზერელედ აღიქვამდა.

მოლოტოვმა მოსკოვში ჩაიტანა საბოლოო კომუნიკე, რომელშიც ეწერა: „დისკუსიის შედეგად მხარეები შეთანხმდნენ, რომ მიიღებენ სასწრაფო ზომებს 1942 წელს მეორე ფრონტის გასახსნელად". როცა ჩერჩილმა ამ დაუფიქრებელი დაპირების შესახებ შეიტყო, იგი ყველანაირად შეეცადა აეხსნა მოლოტოვისთვის, რომ ასეთი ფორმულირება სასურველის რეალობად გასაღებას ნიშნავდა, მაგრამ მოლოტოვმა ჩერჩილის აზრი ყურად არ იღო და კომუნიკე უცვლელად გააცნო პოლიტბიუროს. საბჭოთა ხელმძღვანელობამაც მისი ტექსტიდან პირდაპირი აზრი გამოიტანა – დასავლეთის ალიანსი ჰპირდებოდათ, რომ 1942 წელს მეორე ფრონტს გახსნიდნენ, რაც საგრძნობლად შეასუსტებდა აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელების შემაშფოთებელ იერიშს.

შეუძლებელია გადაჭარბებით შეაფასო ამ ისტორიული მომენტის მნიშვნელობა. ამ მომენტამდე სტალინი თვლიდა, რომ დასავლელი მოკავშირეები განზე მდგარნი ადევნებდნენ თვალს გერმანელებისა და საბჭოელების სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებას. ახლა კი რუზველტმა თავისი დაპირებით კიდევ უფრო გაამძაფრა მისი ეჭვები, ხოლო ეს ნანატრი მეორე ფრონტი შეპირებულ 1942 წელსაც რომ არ გაიხსნებოდა, სტალინი აშკარად ჩათვლიდა, რომ უღალატეს. ჰოდა, რაკი ასეთ ფუნდამენტურ საკითხში ვერ მიენდობოდა დასავლელ მოკავშირეებს, მაშ სხვა რაში უნდა მინდობოდა?

მართალია საბჭოელებისათვის მოკავშირეებისადმი წაყენებულ ორ ძირითად მოთხოვნად კვლავ მეორე ფრონტის გახსნა და ომისწინანდელი – 1941 წლის საბჭოთა საზღვრების ლეგიტიმაცია რჩებოდა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი მოთხოვნა იყო საქონლითა და სამხედრო აღჭურვილობით მათი მომარაგების გაგრძელება და შემდგომი გაზრდა.

სტალინის აზრით, დასავლელი მოკავშირეები საბჭოთა კავშირს აქაც ატყუებდნენ. 1941 წლის სექტემბრის დამლევს მოსკოვში ჩავიდა ბრიტანულ-ამერიკული დელეგაცია ბრიტანეთის მომარაგების მინისტრის ლორდ ბივენბრუკისა და რუზველტის სპეციალური დესპანის ავერელ ჰარიმანის მეთაურობით და იქ მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც მოკავშირეებს საბჭოთა კავშირისთვის ყოველთვიურად 500 ტანკი, 400 თვითმფრინავი, დიდი რაოდენობის კალა, თუთია, სპილენძი და სხვა ფრიად საჭირო ნედლეული უნდა მიეწოდებინათ[73]. მაგრამ ეს დაპირება არ სრულდებოდა – საბჭოთა კავშირმა დახმარების მხოლოდ მცირე ნაწილი მიიღო ნოემბერსა და დეკემბერში. 1942 წლის თებერვალში, ამ შეთანხმების შეუსრულებლობის გამო პროტესტის ნიშნად ლორდი ბივენბრუკი მინისტრობიდან გადადგა და სათავეში ჩაუდგა მეორე ფრონტის მხარდამჭერ კამპანიას. ამ კამპანიის ფარგლებში ლონდონში 1942 წლის მაისში გამართულ მიტინგზე ორმოცდაათი ათასი ადამიანი შეიკრიბა[74].

1942 წლის პირველ თვეებში დახმარების მიწოდება გაიზარდა, თუმცა შეთანხმებაში დაფიქსირებული დონისთვის არასოდეს მიუღწევია. მომარაგების დიდი ნაწილის მიწოდება ან ირანზე გამავალი რკინიგზით ან წყნარი ოკეანისა და ვლადივოსტოკის გავლით ხდებოდა, თუმცა ასევე მნიშვნელოვანი იყო მესამე და ყველაზე სახიფათო მარშრუტი – ნორვეგიის ჩრდილოეთის წყლებისა და ბარენცის ზღვის გავლით საბჭოეთის ჩრდილოეთ პორტებში, ძირითადად მურმანსკსა და არხანგელსკში მიმავალი საზღვაო გზა.

პირველი კონვოი, რომელმაც ამ მარშრუტით ისარგებლა, 1941 წლის 12 აგვისტოს გავიდა ლივერპულიდან და 31 აგვისტოს ჩავიდა არხანგელსკში. ამის შემდეგ უკვე ცნობილ *PQ*-კონვოებს შორის (*PQ* წარმოადგენს ამ კონვოების დამგეგმავი ოფიცრის ფილიპ ქუელინ რობერტსის – *Philip Quellin Roberts* პირველ ორ ინიციალს) პირველი 29 სექტემბერს გავიდა ისლანდიის ივალფიორდის პორტიდან. 1941 წლის ოქტომბერში ჩერჩილი სტალინს კონვოის ყოველ ათ დღეში გაგზავნას შეპირდა, მაგრამ ამ ამბიციური განრიგის დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. ამან კი სტალინის დამატებითი გაღიზიანება გამოიიწვია.

უნდა ითქვას, რომ ეს კონვოები დიდ სირთულეებს აწყდებოდნენ, რომელთა გაცნობიერება საბჭოთა ლიდერს არ სურდა. თავიდან უმთავრესი სირთულე ამინდი იყო: ზამთარში მთელი მარშრუტის გასწვრივ ზღვები იყინებოდა და კონვოიზე თავდასხმისას წყალში მოხვედრის შემთხვევაში მეზღვაურებს გაყინვა და მყისიერი სიკვდილი ელოდათ. ამინდის გაუმჯობესებასთან ერთად კი საშიშროება კიდევ უფრო გაიზარდა. ვოიაჟს უაღრესად სახიფათოს ხდიდა ზაფხულის ღამის სიმოკლე, ჩრდილოეთ ნორვეგიაში გერმანული თვითმფრინავების დიდი კონცენტრაცია, გერმანული წყალქვეშა ნავების თავდასხმის მუდმივი საფრთხე, კონვოის გემების დაბალი სიჩქარე და შესაბამისად სრული უმწეობა მათზე შეტევის შემთხვევაში. ამიტომ იყო, რომ 1942 წლის 16 მაისს, მოლოტოვის ლონდონში ჩასვლამდე ერთი კვირით ადრე, ბრიტანეთის შტაბის ხელმძღვანელობამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მომდევნო *PQ*16 კონვოის გაგზავნის შესაძლებლობა.

შტაბის უფროსობა შეძრწუნებული იყო ისლანდიის რეიკიავიკიდან 20 მარტს გასული *PQ13* კონვოის ხვედრით. ამ კონვოის ოცი გემიდან ხუთი განადგურდა ერთ საესკორტო ხომალდთან ერთად. ერთ-ერთი სავაჭრო გემის *Induna*-ს ეკიპაჟის 66 წევრიდან მხოლოდ 24 გადარჩა და მათგან მხოლოდ ექვსს შერჩა კიდურები მთელი. ორი სხვა სავაჭრო გემი მურმანსკის პორტში ჩაძირეს გერმანელებმა საჰაერო რეიდის დროს. მართალია ბოლო *PQ15* კონვოი ნაკლებად დაზიანდა, მაგრამ შტაბის უფროსობა მაინც თვლიდა, რომ „ჩრდილოეთ რუსეთის წყლებში კონვოის გაგზავნის გადაწყვეტილება შეცდომა იყო“. პრაქტიკამ აჩვენა, რომ „ფრენისთვის ხელსაყრელ ამინდში საათში 18 კვანძის (1 კვანძი 1,87კმ-ია) სიჩქარით მოძრავ გემსაც კი მცირე შანსი აქვს, გადაურჩეს საჰაერო თავდასხმას“[75]. ამის გამო სამხედრო შტაბმა 16 მაისს პრემიერ-მინისტრს ურჩია, რომ ყინულის დადნობამდე ანუ იმ დრომდე, როცა კონვოის შეეძლო ესარგებლა ნორვეგიის გერმანული საჰაერო ბაზიდან უფრო დაშორებული ჩრდილოეთის მარშრუტით, გადაედოთ კონვოის გაგზავნა. შედეგად, სულ მცირე ორი კონვოი უნდა გაუქმებულიყო.

საკითხი სასწრაფოდ გადაჭრას ითხოვდა, რადგან მომდევნო *PQ16* კონვოი ორ დღეში გადიოდა. ჩერჩილმა 17 მაისს გენერალ ისმაის პასუხი მისწერა: „არა მარტო პრემიერი სტალინი, არამედ პრეზიდენტი რუზველტიც აღშფოთდება, თუ ახლა კონვოის გაგზავნისგან თავს შეიკავებთ... რუსები მძიმე ბრძოლებს აწარმოებენ და ჩვენგანაც რისკზე წასვლას და თანადგომას ელიან... ჩემი უღრმესი წუხილის მიუხედავად ვთვლი, რომ კონვოიმ 18-ში სტარტი უნდა აიღოს. მისი ნახევარიც რომ გადარჩეს, ოპერაცია გამართლებული იქნება. თუ ძალისხმევას შევასუსტებთ, გავლენას ორივე მოკავშირეზე დავკარგავთ. იქნებ ამინდი შეიცვალოს და ბედმაც

გაგვილიმოს. ვიზიარებ თქვენს შეშფოთებას, მაგრამ ვალი უნდა მოვიხადოთ[76]".

მეორე დღეს ჩერჩილმა *PQ16*-ის საკითხი სამხედრო კაბინეტის წინაშე დააყენა, მაგრამ რაკი პასუხი უკვე გაუგზავნა შტაბის უფროსებს, განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ჩერჩილმა კაბინეტს ჯერ საადმირალოს შეშფოთების მიზეზები გააცნო, შემდეგ მოისმინა შეთავაზება, ეკითხათ სტალინისთვის, სურდა თუ არა ისეთი დახმარება, რომლის ნახევარი გზაში იკარგებოდა. ეს შეთავაზება ჩერჩილმა იქვე უარყო სიტყვებით, სხვას კი არ უნდა დავეკითხოთ, გადაწყვეტილება ჩვენ უნდა მივიღოთო. შემდეგ კვლავ გაიმეორა, ჩვენი ვალია, რადაც უნდა დაგვიჯდეს, კონვოი გავგზავნოთ.... მაისის კონვოის გაუქმება დიდ დარტყმას მიაყენებს ჩვენი ალიანსის საბრძოლო ძმობასო[77].

ამით ჩერჩილმა ხაზი გაუსვა, რომ *PQ*16-ის გაგზავნა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და არა სამხედრო. მისი კატეგორიული განცხადება, რომ დაპირების შესრულებას აპირებდა იმ შემთხვევაშიც კი, თუ „მხოლოდ ნახევარი მიაღწევდა დანიშნულების ადგილამდე", მოწმობდა მის მზადყოფნას, მსხვერპლად გაეღო ასეულობით ბრიტანელის, ამერიკელისა თუ სხვა მოკავშირის სიცოცხლე და ათეულობით ტვირთიანი გემი, ოღონდაც სტალინისთვის დაემტკიცებინა ბრიტანელთა ომში თანადგომის დიდი სურვილი. სამხედრო თვალსაზრისით „სანახევრო დანაკარგზე" გათვლილი კონვოის განხორციელება აშკარად არახელსაყრელი იყო, მაგრამ წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით და არსებული სიტუაციის გათვალისწინებით შთამბეჭდავ ღონისძიებად ჩაითვლებოდა.

გადაწყვეტილება საჭირო დროს იქნა მიღებული. ორ დღეში ლონდონში მოლოტოვი ჩადიოდა და ჩერჩილი ელოდა, რომ იგი ამჯერადაც მოითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას. იცოდა რა, რომ ასეთი მასშტაბის დახმარების გაწევა არ შეეძლო, ჩერჩილმა ალბათ საჭიროდ მიიჩნია, ასეთი სარისკო კონვოის განხორციელებით ეჩვენებინა, თუ რა დიდი მსხვერპლი შეეძლო გაეღო წითელი არმიის დასახმარებლად. მართალია *PQ*16 კონვოის მეზღვაურებმა, ჯარისკაცებმა და მფრინავებმა არაფერი იცოდნენ ამ პოლიტიკური ხლართების შესახებ, მაგრამ, ერთ-ერთი გემის *Empire Lawrence*-ს სამხედრო მეზღვაურის ედი გლენფელის[78] თქმით, ხვდებოდნენ, რომ „სასიამოვნო მოგზაურობა არ გველოდა, რადგან გაგონილი გვქონდა იქაური საჰაერო თავდასხმებისა და ცუდი ამინდის შესახებ".

იგივე გემის მეზღვაური ნეილ ჰალსე[79] იხსენებს, რომ „არქტიკა მოგზაურებს შორის კარგი რეპუტაციით არ სარგებლობდა", ამიტომ სულაც არ ახარებდა *PQ*16-ის ვოიაჟში მონაწილეობა. „რამოდენიმე კაცმა გადავწყვიტეთ, სხვა გემზე გადაყვანა მოგვეთხოვა. ამიტომ ლივერპულში მოგზაურთა სახლში მივედით და სხვა ხომალდზე ჩაწერას დაველოდეთ".

მაგრამ იქ ლოდინისას ჰალსეს უეცრად „სირცხვილის გრძნობა“ დაეუფლა. იგი დააფიქრა *Empire Lawrence*-ს კაპიტნის დარკინის მაგალითმა, რომელიც სამოცდაათი წლის ასაკში მოხალისედ ჩაეწერა *PQ16* კონვოიში მონაწილეობის მისაღებად. ამის გამო ჰალსემ გადაწყვეტილება შეცვალა, ლივერპულის დოკში დაბრუნდა და გემზე დარჩა.

წითელი არმიისთვის განკუთვნილი ტანკებით დატვირთული *Empire Lawrence*-ი *PQ16*-ის სხვა გემებთან ერთად ისლანდიიდან 21 მაისს გავიდა. ნეილ ჰალსეს გადმოცემით, მათ ჩრდილოეთის ზღვა „შედარებით მშვიდად“ გადაცურეს: „მხოლოდ წინ მიმავალი გემიდან რადიოთი ვიგებდით ამბებს საჰაერო და წყალქვეშა თავდასხმების შესახებ“. ედი გლენფელი კი თითქმის ფატალისტურად აღიქვამდა ამ ვოიაჟს: „ხმელთაშუა ზღვაშიც და სხვაგანაც ასე იყო. ჩვენ სულ თავს გვესხმოდნენ და სულ იმაზე ვფიქრობდით, რომ როგორმე გადავრჩენილიყავით... გულწრფელად გეუბნებით, არასოდეს მიფიქრია, ნეტავ ყველა გადავრჩეთ-მეთქი. ამ დროს მხოლოდ იმას ფიქრობ, ნეტავ მე გადავრჩეო. ასეა ეს“.

26 მაისს ნორვეგიის ჩრდილოეთ სანაპიროდან 370 მილის დაშორებით *PQ16*-მა პირველი თავდასხმა იწვნია, თუმცა მომდევნო ოთხ დღეში ამან უკვე სისტემატიური ხასიათი მიიღო. „მთელი ომის განმავლობაში არსად არ მინახავს ისეთი კონცენტრირებული თავდასხმები, როგორც არქტიკაში“, ამბობს ედი გლენფელი. „იყო დრო, როდესაც დღეში 150 ბომბდამშენი გვიტევდა, რომ აღარაფერი ვთქვა წყალქვეშა ნავების მუდმივ თავდასხმაზე. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. უკვე გითხარით, რომ ნორვეგიიდან რამდენიმე წუთის საფრენი მანძილი გვაშორებდა, ამიტომ ერთდროულად ოცი-ოცდაათი მოფრინავდნენ, დაგვაყრიდნენ ბომბებს, გაფრინდებოდნენ აღსაჭურვად და მალე ისევ ბრუნდებოდნენ... მთელი დღეები გამაყრუებელი სროლისა და აფეთქების ხმა ისმოდა“.

კურტ დალმანი[80] ერთ-ერთი იმ გერმანელ პილოტთაგანი იყო, ვინც *PQ16*-ს თავს ესხმოდა. იგი თავისი „იუნკერს 88“-დან წყალქვეშ ფეთქებად ბომბებს ყრიდა, ხოლო მისი ამხანაგები „ჰეინკელ 111“-დან ტორპედოებით უტევდნენ. „იუნკერს 88“ „ჰეინკელ 111“-თან შედარებით უფრო სწრაფი იყო, ამიტომ ფრენისას შეტევის ერთდროულად განხორციელება ჭირდა“, იხსენებს დალმანი. ბრიტანელი მეზღვაურების მსგავსად, გერმანელი მფრინავების ერთ-ერთი მთავარი მტერი ცუდი ამინდი იყო: „რა თქმა უნდა, დიდი იყო გაყინვის საშიშროება, თანაც ყინვის პირობებში ბრძოლის არავითარი გამოცდილება არ გაგვაჩნდა“.

თავის მხრივ *Empire Lawrence*-ს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვას „*Hurricanes*“ ტიპის ერთადერთი გამანადგურებელი წარმოადგენდა, რომელსაც სამხრეთაფრიკელი პილოტი ალისტარ ჰეი მართავდა. „ჩვენი პილოტი ნამდვილი კამიკაძე იყო“, ამბობს ნეილ ჰალსე. „შიშის ნიშანწყალიც

კი არ ეტყობოდა და მშვიდად გვთხოვდა თვითმფრინავიდან წყალში გადახტომის შემდეგ დროზე ამოგვეყვანა წყალიდან, რათა არ გაყინულიყო".

26 მაისს ალისტარ ჰეი *Empire Lawrence*-ს გემბანზე თავისი „*Hurricanes*"-ის კაბინაში ჩაჯდა, ძრავა ჩართო და მუხრუჭი აუშვა. კატაპულტმა თვითმფრინავი ჰაერში აისროლა. როცა იგი გერმანული თვითმფრინავების ჯგუფს მიუახლოვდა, ნეილ ჰალსემ რადიოში ალისტარ ჰეის ხმა გაიგონა: „შევდივარ, შევდივარ!" იგი მარტოდმარტო შეებრძოლა გერმანული თვითმფრინავების მთელ ესკადრილიას და ორი მათგანის ჩამოგდებაც მოასწრო, ვიდრე საბრძოლო მასალა გაუთავდებოდა. ამის შემდეგ რადიოთი უბრძანეს გადმომხტარიყო. ჰეიმ თვითმფრინავი კონვოისკენ მიაბრუნა, მანევრების დახმარებით გერმანელებს დაუძვრა და კაბინიდან გადმოხტა. პარაშუტით ერთ-ერთ საესკორტო გემთან ახლოს მოახერხა დაშვება და მალევე ამ გემზე აიყვანეს.

მაგრამ ალისტარ ჰეის წარმატებული რეიდი არ ყოფილა იმ დღეს *Empire Lawrence*-ზე ჩადენილი ერთადერთი გმირობა. ედი გრენფელი ერთ სხვა მეზღვაურთან ერთად მოხალისედ აცოცდა გემის ანძაზე რადარის დასაყენებლად. სრული სიჩქარით მოძრავ გემზე ასეთი სამუშაოს შესრულება კარგ ამინდშიაც სახიფათო იყო, ხოლო არქტიკის მღელვარე ზღვა და ყინულით დაფარული ანძა რისკს უკიდურესამდე ზრდიდა. ფრთხილი ცოცვით ედიმ და მისმა ამხანაგმა ანძის კენწეროს მიაღწიეს და მავთულების მიერთება დაიწყეს. უეცრად გემს გერმანულმა თვითმფრინავებმა შეუტიეს. „ჩვენი გემიდან მათ ცეცხლი გაუხსნეს", ამბობს ედი, „ხოლო გერმანელებმა პიკირება და ბომბების ჩამოყრა დაიწყეს. ღმერთმანი, ცხოვრებაში ასე არ შემშინებია; შიშისგან მოვიკრუნჩხე". ამ დროს ჭურვმა მათ ქვემოთ ანძა გახვრიტა და ასასვლელი კიბე დააზიანა, თუმცა ანძა ჩამოვარდნას გადაურჩა. შემოტევა რომ დამთავრდა, ედი და მისი ამხანაგი რის ვაივაგლახით ჩამოცოცდნენ გემბანზე. ბიჭებს სასმელი მოუტანეთო, იყვირა კაპიტანმა. ასეთი სიმამაცე ჩემს დღეში არ მინახავსო.

მეორე დღეს, 27 მაისს, კონვოიზე შეტევები გახშირდა. „ჩვენ საჰაერო ძალებთან შეთანხმებულად ვმოქმედებდით", ამბობს გერმანული წყალქვეშა ნავის კაპიტანი იურგენ ოესტენი[8], რომელიც ჩრდილოეთ ნორვეგიის ბაზიდან კოორდინაციას უწევდა ამ ოპერაციას. „საჰაერო ძალებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით წყალქვეშა ნავების ხელსაყრელ პოზიციებზე განლაგებას ვცდილობდით". აღსანიშნავია, რომ ბრიტანული კონვოისთვის ესოდენ გამანადგურებელი არქტიკის ბრძოლები გერმანული წყალქვეშა ნავებისთვის ერთ-ერთი უსაფრთხო ოპერაცია აღმოჩნდა. „ატლანტიკის ბრძოლებში უფრო მეტი წყალქვეშა ნავი დავკარგეთ, ვიდრე არქტიკაში", იხსენებს ოესტენი.

ეს ნავები ბრიტანულ კონვოიზე შეტევას საყოველთაოდ ცნობილი ხერხით – წყალქვეშეთიდან ტორპედოების სროლით როდი ახორციელებდნენ. „მაშინდელი წყალქვეშა ნავი“, გვიხსნის ოესტენი, „თანამედროვე წყალქვეშა ნავს არ ჰგავდა. იგი წყალზედა ხომალდი იყო, რომელსაც ჩაყვინთვა შეეძლო, ხოლო ჩაყვინთვის შემდეგ თითქმის უძრავი ხდებოდა – მხოლოდ ძალიან დაბალი სიჩქარით შეეძლო გადაადგილება“. ამიტომ ასეთი წყალქვეშა ნავისთვის შეტევის საუკეთესო მეთოდი იყო ღამით წყალზევით მოქმედება. „მე მაგალითად“, ამბობს იურგენი, „სამი ასეთი წყალქვეშა ნავით მთელი ომის განმავლობაში მტრის ოცი გემი ჩავძირე. აქედან ცხრამეტი – ღამით, წყლის ზედაპირიდან შეტევით“.

დღის განმავლობაში საჰაერო დაბომბვისა და ღამ-ღამობით წყალქვეშა ნავების თავდასხმის პირობებში მიიწევდნენ *PQ16*-ის გემები საბჭოთა კავშირისკენ. ყოველი მომდევნო მილის გაევლა სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა ამ გემების მეზღვაურთათვის. 27 მაისს ედი გლენფელმა ცეცხლში გახვეული გემი დაინახა, რომლის გემბანზეც ერთადერთი ხნიერი მეზღვაური იდგა. „მივუახლოვდით და დავუყვირეთ, რომ ზღვაში გადამხტარიყო, რათა გადაგვერჩინა, მაგრამ ამაოდ. თანდათან უკან მოგვრჩა გემიც და გემბანზე მდგარი მოხუცი მეზღვაურიც, რომელიც ბედს შერიგებული ზეცას აჰყურებდა“.

მალევე ბომბდამშენებმა ედი გლენფელის გემიც დაბომბეს და ტყვიამფრქვევებით დაცხრილეს. გლენფელი გემბანზე დაემხო და, როცა დაბომბვა შეწყდა, მას ზემოდან გვამები ეყარა. რის ვაივაგლახით ამოძვრა მოკლულთა და მძიმედ დაჭრილთა გროვიდან. „შემდეგ ჯერზე ოთხმა ბომბდამშენმა განახორციელა იერიში. ეტყობოდა ბოლო ბომბი ჩვენი საბრძოლო მასალის საწყობს მოხვდა, რადგან საშინელი აფეთქება იყო, რომლის ტალღამ გემის ნამსხვრევებთან ერთად ჰაერში ამისროლა. არ მახსოვს წყალში როგორ გადავვარდი. გონს წყალქვეშ მოვედი“.

გემი რომ აფეთქდა, ნეილ ჰალსე სამაშველო ნავში ჯდებოდა. „აფეთქებამ ნავთან ერთად მეც ჰაერში ამაგდო. ჰაერში აღმოჩნდნენ სხვა მეზღვაურებიც. შემდეგ წყალში ჩავცვივდით და ერთ-ერთ ამობრუნებულ მაშველ ნავს ჩავებღაუჭეთ. წყალი ყინულივით ცივი იყო“.

ამასობაში ედი გლენფელი ზღვის სიღრმიდან ზედაპირზე *Empire Lawrence*-ს ბოილერის აფეთქებამ ამოაგდო. მაგრამ ფათერაკს ბოლო არ უჩანდა. „წყლის ზედაპირზე ამოგდებულმა კვლავ ჩაძირვა დავიწყე. ძლივს გადარჩენილი ისევ ვიხრჩობოდი. გავიფართხალე და ვიგრძენი, რომ მკლავზე რაღაც მეჭიდებოდა... მოვქაჩე და წყლიდან ჩემი ამხანაგის თავი გამოჩნდა, რომელსაც შრაპნელი მოხვედროდა და შუაზე გაეპო – იქიდან რაღაც რუხი სითხე გამოდიოდა, ეტყობა, ტვინი იყო“.

როგორც ჩანს, ედის ამხანაგი სიკვდილის მომენტში მის პულოვერს ჩაჭიდებოდა და ახლა მისი სიმძიმე ედის სიღრმისკენ ექაჩებოდა. „როგორც კი მისგან თავი გავითავისუფლე, ზღვაში გაუჩინარდა". შემდეგ ედი გადმობრუნებულ ნავზე აბობღდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს სიკვდილის მხოლოდ მცირე ხნით გადავადება იყო: „როცა ნავზე ავძვერი და დავინახე, რომ გარშემო გემის ჭაჭანება არ იყო, ვიფიქრე, ჩემი საქმე წასულია-მეთქი... ისევ პანიკამ შემიპყრო და გამახსენდა, რომ მხოლოდ ორიოდე თვის დაქორწინებული ვიყავი".

ნეილ ჰალსემაც მოახერხა წყლიდან რაღაც ტივისმაგვარზე აძრომა, სადაც მისი ეკიპაჟის ახალგაზრდა წევრმა უთხრა: „სერ, მგონი ფეხი აღარ გაქვთ". ჰალსემ წელს ქვემოთ ხელი მოისვა და „რაღაც ძვლისმაგვარი" იგრძნო. იფიქრა, რომ მართლაც დაკარგა ფეხი. გამბედაობა რომ მოიკრიბა და ფეხები მოისინჯა, მიხვდა, კიდურები წესრიგში ჰქონდა, ოღონდ მარჯვენა დუნდულში მოზრდილი ხის ნაჭრიდან ამოშვერილი ლურსმანი შერჭობოდა.

ედი გლენფელს და მის ამხანაგებს გაუმართლათ – ისინი ერთ-ერთმა საესკორტო ხომალდმა აიყვანა. „გემბანზე რომ ავედით, სიარული არ შეგვეძლო. ხელში აყვანილები გადაგვიყვანეს, რადგან ფეხები წართმეული გვქონდა". შემდეგ იგივე კორვეტი ნეილ ჰალსესა და მისი ამხანაგისკენ გაემართა, მაგრამ ამ დროს ბომბდამშენები გამოჩნდა. ამიტომ ჰალსეს და მის ამხანაგს რუპორის დახმარებით აუხსნეს, რომ გემი ახლოს ჩაუვლიდა და გემზე დაკიდებული ბადისთვის უნდა ჩაევლოთ ხელი.

„შეძლებთ ამოხტეთ, რომ ბადეს ხელი ჩაავლოთ?" დაუყვირეს გემიდან.

„თქვენ ოღონდ მოგვიახლოვდით და თუ გინდათ, მთვარეზე ავხტები!" უპასუხა ნეილ ჰალსემ.

მაგრამ მას ფეხები გაყინვოდა და კორვეტის მეზღვაურებმა ძლივს აიყვანეს გემბანზე. ნეილს მაშინვე ტანსაცმელი შემოაჭრეს, საბნებში გაახვიეს და გასათბობად სამანქანოში ჩაიყვანეს. იქ რამდენიმე ჭიქა რომი აყლუპეს და ერთი საათის შემდეგ ნეილი უკვე ინგლისურ ხალხურ სიმღერას გაჰყვიროდა. მოგვიანებით კი, გამთბარი და მომჯობინებული, გემის კაპიტანს წარუდგინეს პატაკის ჩასაბარებლად. კაპიტანმა უთხრა: „ვნუხვარ, მაგრამ უნდა გაუწყოთ, რომ თქვენი გემიდან თქვენ ერთადერთი გადარჩენილი ოფიცერი ხართ; სხვა ყველა დაიღუპა, მათ შორის თქვენი კაპიტანიც".

PQ16 კონვოის ოცდათექვსმეტი გემიდან ექვსი გერმანელთა თავდასხმის შედეგად არქტიკის ზღვაში ჩაიძირა, ხოლო კიდევ ერთი მურმანსკში საჰაერო რეიდის დროს განადგურდა. მაგრამ ამ საშინელი დანაკარგების მიუხედავად, ჩერჩილის კრიტერიუმების თანახმად კონვოი წარმატებული იყო, რადგან გემების „ნახევარზე მეტი" გადარჩა. მით უფრო წარმატებუ-

ლი იყო იგი პოლიტიკურად, როგორც სტალინისთვის განკუთვნილი იმის ნივთმტკიცებულება, რომ ბრიტანელები და ამერიკელები მზად იყვნენ ნებისმიერი მსხვერპლის ფასად დახმარებოდნენ საბჭოელებს ამ ომში.

კრიზისი მწვავდება

საბჭოელებს ნამდვილად სჭირდებოდათ დახმარება, რადგან წითელ არმიას წინ ომის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე კვირები და თვეები ელოდა. ხარკოვთან საბჭოთა არმიაზე მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვების შემდეგ, 1942 წლის 28 ივნისს გერმანელებმა საბჭოთა სამხრეთის ფრონტზე მასიური შეტევითი ოპერაცია წამოიწყეს სახელწოდებით „ლურჯი"(*Operation Blue*).

გერმანელთა შეტევა წარმატებული გამოდგა. ეს თითქმის წინა ზაფხულის ტრიუმფის განმეორება იყო. ხარკოვთან დამარცხებამ საგრძნობლად გაარღვია წითელი არმიის თავდაცვის ხაზი, რომელსაც ახლა გერმანელთა 1-ლი და მე-4 სატანკო არმიები ანადგურებდნენ. ივლისის დამლევს, როცა გერმანულმა შენაერთებმა მდინარე დონს მიაღწიეს, ჰიტლერმა საკუთარი ძალების ორად გაყოფა გადაწყვიტა: არმიათა A ჯგუფს სამხრეთით კავკასიის ნავთობსაბადოებისაკენ უნდა აეღო გეზი, ხოლო არმიათა B ჯგუფს ვოლგაზე გაშენებული ქალაქი სტალინგრადი უნდა ამოეღო მიზანში.

წითელი არმიის გენერალი მერეჟკო[82] ერთ-ერთი იმ მეთაურთაგანი იყო, ვინც იმ ზაფხულში ამაოდ ცდილობდა გერმანელთა შეჩერებას: „ბუნებრივია გერმანელები ძალიან თავდაჯერებულნი იყვნენ. მათ ხომ ხარკოვიდან დონამდე მოგვისროლეს. ისინი ხელებდაკაპიწებულნი და შორტებში გამოწყობილნი მიიწევდნენ წინ. ჩვენი უკუგდებული შენაერთების მებრძოლები კი სრულიად დემორალიზებულნი იყვნენ. მათ ისიც კი არ იცოდნენ, საით მიდიოდნენ ან სად იყო მათი შენაერთი".

1942 წლის ზაფხულში მარტო წითელმა არმიამ როდი იწვნია მარცხი. მოკავშირეთა ძალებსაც მძიმე ბრძოლები უწევდათ ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანელთა აფრიკული კორპუსის წინააღმდეგ, რომელსაც გენერალ-ლეიტენანტი ერვინ რომელი სარდლობდა. 21 ივნისს გერმანელებმა ქალაქი ტობრუკი აიღეს. რომელის ერთ-ერთი მეომარი რალფ მამმიგერი[83] იხსენებს, თუ როგორ იხილა იქ ალიანსის მებრძოლთა გროვებად დაყრილი გვამები: „ეტყობა, გვამები დღეთა განმავლობაში ეყარა იქ. ამის გახსენება ახლაც დიდ ემოციებს იწვევს ჩემში". სულ ტობრუკთან სამოცდაათი ათასამდე ბრიტანელი და მათი მოკავშირე მეომარი იქნა მოკლული ან დატყვევებული. ეს ორი წლის წინ მოკავშირეთა დაწყებულ „დასავლეთ უდაბნოს (*Western Desert*)" ოპერაციაში ყველაზე დიდი მარცხი იყო.

ჩერჩილი თეთრ სახლს სტუმრობდა, როდესაც მას ამ მარცხის შესახებ აცნობეს. ეს მისი მეორე ომისდროინდელი ვიზიტი იყო ამერიკაში. პირველად იგი პერლ ჰარბორის განადგურებისთანავე ჩავიდა იქ 1941 წლის დეკემბერში და თეთრი სახლის მეორე სართულზე დაბინავდა. ბრიტანელები მაშინ გაოცებულნი დარჩნენ ამერიკული მმართველობის უმაღლეს ეშელონებში გამეფებული ქაოსით. ვაშინგტონში ბრიტანული სამოკავშირეო მისიის შტაბის უფროსმა სერ ჯონ დილმა საიმპერიო გენშტაბის უფროსს სერ ალან ბრუკს მისწერა: „მათი შტაბის უფროსები არარეგულარულად იკრიბებიან და შეკრების სტენოგრაფირებას არავინ აწარმოებს... მთელი მათი ორგანიზაციული სისტემა ჯორჯ ვაშინგტონის დროინდელია...“[84]

ჰოდა ახლაც, 1942 წლის ზაფხულში ჩერჩილს საომარ ვითარებაში გარკვევა თეთრი სახლის რუზველტისეულ დეზორგანიზებულ გარემოში უწევდა. თეთრ სახლში მივლინებული ბრიტანელი ჯორჯ ელსეის პირველი შეხვედრაც პრემიერ-მინისტრთან ტობრუკიდან მოსულ ცუდ ამბავს დაემთხვა: „მეორე სართულზე ავედი, რათა ჰარი ჰოპკინსისთვის რაღაც დოკუმენტები გადამეცა. ოთახში რომ შევედი, თითქმის იმავდროულად აბანოს ხალათში ჩაცმული პრემიერ-მინისტრი შემოვარდა ყვირილით: „ჰარი! ჰარი!“ საშინლად დავიბენი; ქუდი არ მეხურა, რომ სამხედრო წესით მივსალმებოდი, ამიტომ ვუთხარი: „დილა მშვიდობისა, პრემიერ-მინისტრო!“ პასუხად გავიგონე გაურკვეველი „ჰარუმფ!“, რის შემდეგაც იგი გაბრუნდა, რადგან ჰოპკინსი იქ არ იყო... იმ დღეს უჟმურ ხასიათზე იყო ჩერჩილი, რადგან ჩრდილოეთ აფრიკაში რომელისგან მიყენებული მარცხის ამბავი შეიტყო“.

ასეთ უსიამოვნო ვითარებაში გაცნობის მიუხედავად, ელსეი ჩერჩილის დიდ თაყვანისმცემლად რჩებოდა: „ამ ადამიანთან მხოლოდ დადებითი ემოციები მაკავშირებს – ის ნამდვილად დიდი პიროვნებაა და ჩემთვის დიდი პატივია მასთან ახლოს ყოფნა... გამიკვირდა, რომ ტანდაბალი აღმოჩნდა, ბეჭებში მოხრილი, ვიწრო და მრგვალი მხრებით... და მაინც ჩემთვის ის ღვთიური არსება იყო, რომელსაც დასავლეთი უნდა გადაერჩინა“.

ჩერჩილისადმი ელსეის ასეთი ბრმა თაყვანისცემა იმდროინდელი მძიმე სიტუაციის შედეგი იყო. 1942 წლის ზაფხულში ბევრს მიაჩნდა, რომ მოკავშირეთა გამარჯვებისთვის ზებუნებრივი ძალების დახმარება იყო საჭირო. მით უმეტეს, რომ ბრიტანელებმა ტობრუკის დაკარგვიდან მალევე ერთ-ერთი უდიდესი საზღვაო მარცხი იწვნიეს *PQ 17* კონვოის განადგურებით.

PQ 17 საბჭოთა კავშირში გაგზავნილ უდიდესი კონვოი იყო. მის უშუალო დაცვაში ოთხი საესკადრო ნაღმოსანი და ათი კორვეტი შედიოდა. მის შორიახლოს ასევე იმყოფებოდნენ საბრძოლო გემები *Duke of York*-ი და *USS Washington*-ი ორ კრუიზერთან და რვა ნაღმოსანთან ერთად. 4 ივლისს

ღამით ლონდონის საადმირალომ დაზვერვისგან მიიღო ცნობები იმის თაობაზე, რომ გერმანულმა სამხედრო გემებმა *Tirpitz*-მა, *Admiral Scheer*-მა და *Admiral Hipper*-მა ნორვეგიის ტრონდჰეიმის ნავსადგური დატოვეს და კონვოიზე თავდასასხმელად გაეშურნენ. ამის გამო საადმირალოს პირველმა ლორდმა სერ დადლეი პოუნდმა *PQ17*-ის მეთაურს ადმირალ ტოვს რადიოდეპეშა გაუგზავნა: „საიდუმლო და სასწრაფო: საკრეისერო ძალები დასავლეთით დიდი სიჩქარით გადაადგილდნენ". თორმეტი წუთის შემდეგ კონვოის მეორე რადიოსიგნალი გაუგზავნეს: „საიდუმლო და სასწრაფო: მტრის წყალზედა გემების მოსალოდნელი თავდასხმის გამო კონვოი დაიფანტოს და ისე განაგრძოს სვლა რუსეთის პორტებისაკენ"[85]. მაგრამ ამ შეტყობინების გაგზავნის შემდეგ პოუნდმა იფიქრა, „დაფანტვამ" შეიძლება კონვოის დაშლა გამოიწვიოსო, და თხუთმეტ წუთში კიდევ ერთი სიგნალი გაგზავნა: „საიდუმლო და სასწრაფო: კონვოი გაიშალოს". ამ სიგნალების სიმრავლემ კონვოის შეუქმნა შთაბეჭდილება, რომ მალე თავს დაესხმოდნენ, რაც სულაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. როგორც შემდგომში გაირკვა, დაზვერვის ცნობები არასწორი იყო: *Tirpitz*-ი და სხვა სახაზო კრეისერები სულაც არ გეგმავდნენ *PQ17*-ზე თავდასხმას.

2 ივლისიდან *PQ17* ისედაც უკვე გერმანული ბომბდამშენებისა და წყალქვეშა ნავების შეტევების ობიექტად ქცეულიყო, ხოლო 4 ივლისს – იმ დღეს, როცა დადლეი პოუნდმა თავისი საბედისწერო შეტყობინება გაგზავნა – ორი გემი ჩაძირეს. ასე, რომ გერმანელებმა ზუსტად იცოდნენ, სად იმყოფებოდა კონვოი და საით მიემართებოდა.

„როცა კონვოიმ ბრძანებისამებრ გაშლა დაიწყო", გვიამბობს *PQ17*-ის მეზღვაური ფრანკ ჰიუტი[86], „მორალურად ყველა მოვიშალეთ". ასეთ ვითარებაში „დანაწევრების" ბრძანება თვითგანადგურების ბრძანების ტოლფასი იყო. „ამას ვერ ვიჯერებდით", ამბობს ჰიუტი. „ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ საადმირალომ კონვოი გაწირა. ბრძანება აბსურდულად ჟღერდა... ჩვენი კონვოის გემებს საათში მხოლოდ ოთხი კვანძი სიჩქარე ჰქონდათ და ისინი მოცურავე ბატებს წააგავდნენ".

ფრანკ ჰიუტი ერთ-ერთ საესკორტო ხომალდ *HMS La Malouine*-ზე მსახურობდა, რომელსაც უბრძანეს მარტო გაეგრძელებინა გზა ბარენცის ზღვისა და შემდგომ არხანგელსკისკენ. „ჩვენ ვგრძნობდით, რომ დეზერტირობას ჩავდიოდით და ეს ასეც იყო". გზად თან გაიყოლიეს ჩაძირული გემების გადარჩენილი მეზღვაურებით სავსე მაშველი ნავები. ჰიუტს მოჰყავს ერთ-ერთი ასეთი გადარჩენილი ეკიპაჟის ნაამბობი: „მათ გვიამბეს, თუ როგორ ამოყვინთა მათ გემთან ახლოს გერმანულმა წყალქვეშა ნავმა და როგორ დაუძახა იქედან ჩკიპერმა: „უკაცრავად, ჯენტლმენებო, მაგრამ თქვენი გემი უნდა ჩავძირო. ომი ომია. ათ წუთს გაძლევთ მაშველ ნავებში, რომ გადასხდეთ. საკმარისი სანოვაგე ხომ გაქვთ? აბა, წარმატებას გი-

სურვებთ". ანალოგიური ამბავი გვიამბეს სხვა გადარჩენილმა მეზღვაურებმაც. მათაც წყალქვეშა ნავიდან დაუძახეს: „უკაცრავად, ჯენტლმენებო, ომი ომია. იძულებული ვართ თქვენი გემი ჩავძიროთ. ათი წუთი გეძლევათ ნავებში გადასასხდომად. რატომ იბრძვით ბოლშევიკების მხარეზე? თქვენ ხომ ბოლშევიკები არა ხართ?"

ჰიუტი თვითონაც გახდა მონმე ერთ-ერთი გერმანული წყალქვეშა ნავის ეკიპაჟის თითქმის რაინდული რევერანსისა, როდესაც იგი არხანგელსკთან ახლოს ამ ნავების საწინააღმდეგო პატრულირებას ეწეოდა. „ყინულის საფარის გასწვრივ მივცურავდით, როდესაც გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ჩვენგან ნახევარი მილის დაშორებით ყინულის საფარიდან ამოყვინთა ბატარეის დასამუხტად. რასაკვირველია, ვესროლეთ, მაგრამ ჩვენი ქვემეხის ჭურვმა მიზანს ვერ მიაღწია. წყალქვეშა ნავიდან ალდას სასიგნალო ნათურით გვაცნობეს: „აგვცდა! კიდევ სცადეთ!" ჩვენმა შკიპერმაც ნათურითვე უპასუხა: „ვცდილობთ, რაც შეგვიძლია". ასე გრძელდებოდა ოთხი-ხუთი საათი, სანამ წყალქვეშა ნავის ბატარეა საკმაოდ არ დაიმუხტა. შემდეგ საბოლოო შეტყობინებაც მოვიდა: „გმადლობთ ჩვენზე ნადირობისთვის. იძულებული ვართ დაგტოვოთ. წარმატებას გისურვებთ". და ნავი ყინულქვეშ გაუჩინარდა".

ეს შემთხვევა არქტიკაში ომის ამ კრიტიკულ პერიოდში ბრიტანეთის საზღვაო ფლოტის არაეფექტიანობას მოწმობს. გამართლდა საადმირალოს ვარაუდი პოლარული გრძელდღეებიანი ზაფხულის პირობებში კონვოის წინაშე დიდი საფრთხეების არსებობის შესახებ. ამას *PQ17*-ის შემთხვევაში *Tirpitz*-ის მარშრუტის შესახებ სადაზვერვო მონაცემების სიმცდარეც დაემატა, რამაც კონვოის კატასტროფა გამოიწვია. 39 გემიდან 24 განადგურდა, 153 ადამიანი სიცოცხლეს გამოესალმა და 100 000 ტონამდე საომარი აღჭურვილობა, მათ შორის 210 ბომბდამშენი, 430 ტანკი და 3000-ზე მეტი სხვადასხვა სახის ტრანსპორტი ზღვაში ჩაიძირა.

რა გასაკვირია, რომ *PQ*17-ის კატასტროფის შემდეგ კონვოის გაგზავნა დროებით შეჩერდა.

ჰოდა, ახლა, 1942 წლის ზაფხულში, ჩერჩილმა მთლიანად გაისიგრძეგანა ალიანსის მარცხი ტობრუკთან, *PQ*17-ის კატასტროფული დანაკარგები და გერმანელთა ტრიუმფალური წინსვლა სტეპებში ოპერაცია „ლურჯის (*Blue*)" ფარგლებში. მოკავშირეთა გადასახედიდან ეს მძიმე სურათი იყო; შესაძლოა მათ ომი წაეგოთ.

ჩერჩილმა იცოდა, რომ მოსალოდნელი გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ გარანტს საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, რადგან გერმანელთა უმთავრესი დარტყმა მასზე მოდიოდა. ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ სტალინი წითელი არმიის მორალურ სულისკვეთებას მაღალ დონეზე ინარჩუნებდა და, რაც ყველაზე მთავარია, არც კი უცდია საკუთარი თავი

და თავისი ხალხი ომისგან გაერიდებინა.ამავდროულად ჩერჩილი აცნობიერებდა, თუ რა უსიამოვნებას მოუტანდა სტალინს ბოლო დროს განვითარებული მოვლენები. დასავლელი მოკავშირეები 1942 წელს მეორე ფრონტის გახსნას ვერ ახერხებდნენ – ტობრუკთან მარცხმა და სხვა წარუმატებლობამ ეს ოპერაცია თითქმის შეუძლებელი გახადა – და *PQ*17-ის შემდეგ კონვოის გაგზავნაც შეწყდა. საბჭოთა ლიდერი უეჭველად გაღიზიანებული იქნებოდა ამ ახალი ამბებით. ამიტომ ჩერჩილმა გადაწყვიტა ისე მოქცეულიყო, როგორც ნებისმიერი კრიზისის შემთხვევაში იქცეოდა: თვალი გაესწორებინა კრიზისისთვის. მან განაცხადა, რომ აპირებდა პირადად ჩაფრენილიყო მოსკოვში და სტალინისთვის აეხსნა, თუ რატომ ვერ ახერხებდნენ მოკავშირეები საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

3

ნდობის კრიზისი

შეხვედრა სტალინთან

იმ დროს, როცა გერმანელები სამხრეთ რუსეთის სტეპებში მარშით მიიწევდნენ წინ, საბჭოთა ნავთობმრეწველობის მინისტრის მოადგილე ნიკოლაი ბაიბაკოვი კრემლში სტალინთან შესახვედრად მიეშურებოდა. „მანამდე ხუთჯერ შევხვდი სტალინს“, გვიამბობს ბაიბაკოვი[1], „და მან ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე... ეს უაღრესად საქმიანი შეხვედრები იყო. იოსებ სტალინი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ნავთობმრეწველობისადმი და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მის განვითარებას“. მაგრამ ამ სასწრაფო შეხვედრამ სრულიად განსხვავებული ხასიათი მიიღო. სტალინთან წარდგენილი ბაიბაკოვი მოთმინებით ელოდა ბელადისგან საუბრის დაწყებას.

„ამხანაგო ბაიბაკოვ“, უთხრა სტალინმა, „ჰიტლერი კავკასიისკენ მოიწევს. მან განაცხადა, რომ თუ კავკასიის ნავთობსაბადოებს არ ჩაიგდებს ხელში, ისე ომს ვერ მოიგებს. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ნავთობის წვეთიც კი არ ჩაუვარდეს ხელში გერმანელებს“. მან ბაიბაკოვს დაავალა გამგზავრებულიყო კავკასიაში და საამისოდ ყველაფერი ეღონა. შემდეგ, ბაიბაკოვის გადმოცემით, სტალინმა „საკმაოდ მკაცრი“ ხმით დასძინა: „კარგად დაიმახსოვრე, რომ თუ გერმანელებს თუნდაც ერთ ტონა ნავთობს დაუტოვებ, დაგხვრეტთ. მაგრამ თუ ნავთობის მარაგს ნაადრევად გაანადგურებ, რომ გერმანელებმა ვერ ჩაიგდონ ხელში, და ჩვენ უსაწვავოდ დავრჩებით, მაინც დაგხვრეტთ“[2].

ალბათ გაგიკვირდებათ, მაგრამ ბაიბაკოვის აზრით სტალინის ასეთი მსჯელობა „სამართლიანი“ იყო. „რასაკვირველია, თუკი შეცდომას დავუშვებდი, ეს დანაშაული იქნებოდა“, ამბობს იგი. „ნავთობის საბადოები გერმანელებისთვის რომ დამეტოვებინა, ეს ქვეყნის ღალატი იქნებოდა“. ბაიბაკოვი ამასთან ალიარებს, რომ სტალინის ასეთი მკაცრი მუქარის გარეშეც ნავთობსადენის დაცვას „ყველანაირად შეეცდებოდა“. საინტერესოა, რომ ბაიბაკოვს უდიდეს პატივად და დიდი ნდობის გამოხატულებად მიაჩნია ის ფაქტი, რომ საბჭოთა ბელადმა თავისი უაღრესად ძვირფასი დრო დაუთმო, რათა პირადად დამუქრებოდა. „მის ადგილზე მეც ალბათ ასე მოვიქცეოდი“, თქვა მან. „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

ცხადია ბაიბაკოვი დახვრეტას გადაურჩა, რადგან გერმანელები ვერ მიუახლოვდნენ ნავთობსაბადოებს იმდენად, რომ მათი განადგურება-არგანადგურების გადაწყვეტილების მიღება დასჭირვებოდა. მაგრამ ეს ამბავი მოწმობს, თუ რა აღვირახსნილი სისასტიკე ედო საფუძვლად სტალინური მმართველობის სისტემას. სტალინის კრედო ამგვარი იყო: თუ ვინმეს სერიოზული საქმე გინდა გააკეთებინო, მაშინ ამ ვინმეს კარგად უნდა შეაგნებინო, რომ საქმის ჩაფლავება სიკვდილის ტოლფასია.

ამასობაში ჩერჩილი უკვე მიემგზავრებოდა მოსკოვში საბჭოთა ლიდერთან პირადი შეხვედრების სერიის ჩასატარებლად. მანამდე, 1942 წლის 18 ივლისს ჩერჩილმა სტალინს წერილით აცნობა მეორე ფრონტისა და კონვოის დაგვიანების უსიამოვნო ამბები. რა თქმა უნდა სტალინი ამ ცნობებით უკმაყოფილო დარჩა და 23 ივლისს ჩერჩილს ცივი და საყვედურით აღსავსე დეპეშით უპასუხა. „მივიღე თქვენი 18 ივლისის წერილი“, წერდა საბჭოთა ლიდერი[3]. „ამ წერილიდან ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება. პირველი, ბრიტანეთის მთავრობა უარს აცხადებს გააგრძელოს ჩრდილოეთის მარშრუტით საბჭოთა კავშირის მომარაგება საბრძოლო მასალებით, და მეორე, 1942 წელს მეორე ფრონტის გახსნის შესახებ ერთობლივი კომუნიკეს მიღების მიუხედავად, ბრიტანეთის მთავრობას ეს ღონისძიება 1943 წლისთვის გადააქვს“. ამ არადიპლომატიური შესავლის შემდეგ, სადაც იგი ფაქტობრივად ბრიტანელებს საბჭოთა კავშირისადმი მიცემული სიტყვის გატეხვაში ადანაშაულებდა, სტალინი წერდა, რომ საბჭოთა სამხედრო და საზღვაო ექსპერტების აზრით, კონვოის შეჩერების მიზეზები „სრულიად არადამაჯერებელი“ იყო. „რა თქმა უნდა“, წერდა იგი, „არ ვფიქრობ, რომ კონვოის განხორციელება საბჭოთა ჩრდილოეთის პორტებისკენ რისკის ან დანაკარგების გარეშეა შესაძლებელი. მაგრამ ომის დროს ვერც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ვერ განხორციელდება რისკის ან დანაკარგების გარეშე. ყოველ შემთხვევაში მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ბრიტანეთის მთავრობა შეგვიწყვეტდა საბრძოლო მასალების მოწოდებას ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში, როცა საბჭოთა კავშირს ეს მასალები ისე ესაჭიროება, როგორც არასდროს... იძულებული ვარ ასევე გადაჭრით განვაცხადო, რომ საბჭოთა მთავრობა ვერ დაეთანხმება ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის გადავადებას 1943 წლამდე“. სტალინი წერილს ამთავრებდა აშკარად ირონიული „იმედით“, რომ ჩერჩილი თავს შეურაცხყოფილად არ იგრძნობს იმის გამო, რომ ასე გულწრფელად და პატიოსნად გამოვხატე ჩემი აზრიო.

ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში მაშინ იყო სერ არჩიბალდ კლარკ კერი, რომელმაც ამ თანამდებობაზე 1942 წლის თებერვალში გაბღენძილი სერ არჩიბალდ სტაფორდ კრიპსი შეცვალა. 25 ივლისს ლონდონში გაგზავნილ საკაბელო შეტყობინებაში კერი სტალინის ამ მკაცრი და არადიპლომატიური ენით მსჯელობის მიზეზს განმარტავდა. მისი დასკვნის თანახმად,

საბჭოთა ხელმძღვანელობას არ სჯეროდა, რომ „ჩვენ ამ ომს სერიოზულად აღვიქვამთ. ისინი ახდენენ თავიანთი უზარმაზარი დანაკარგების შედარებას ჩვენს გაცილებით უმნიშვნელო დანაკარგებთან როგორც ადამიანური, ისე მატერიალური თვალსაზრისით“[4]. კლარკ კერმა პრემიერ-მინისტრს ურჩია პირადად ჩასულიყო მოსკოვში და ცდილიყო, დაეშოშმინებინა სტალინი.

ჩერჩილი მიხვდა, რომ მოუწევდა ამ მძიმე ვიზიტის განხორციელება იმისდა მიუხედავად, რომ ამ მძიმე პერიოდში სტალინთან პირისპირ საუბრის პერსპექტივა დიდად არ იზიდავდა. წასვლის წინ მან თავის ექიმს ჩარლზ უილსონს გაანდო, რომ ამ შეხვედრიდან კარგს არაფერს მოელოდა, რადგან „სტალინს არ მოეწონება ის, რის თქმასაც ვაპირებ“[5]. მოგვიანებით მან დაწერა, რომ მისი ეს ვიზიტი მოსკოვში „ჩრდილოეთ პოლუსზე ყინულის დიდი ნაჭრის წაღებას ჰგავდა“[6]. მაგრამ ბრიტანელების მაშინდელი პრობლემა ყველაზე ზუსტად და ლაკონურად მაშინდელმა სამეფო გენშტაბის უფროსმა სერ ალან ბრუკმა ჩამოაყალიბა: „ჩვენ ლომის ბუნაგში შესვლას ისე ვაპირებდით, რომ მისთვის საკვები არ მიგვქონდა“[7].

ჩერჩილი მოსკოვში ამერიკული ბომბდამშენით გაფრინდა, რომელშიც არც გათბობა იყო და არც კომფორტი. მას ჟანგბადის ნიღაბი ეკეთა სიგარის მოსაწევი სპეციალური მოწყობილობით. მცირე ხნით კაიროში შეჩერების შემდეგ, სადაც მან რომელის წინაშე გამოჩენილი უსუსურობისთვის თავისი სამხედრო მეთაურები დატუქსა, ჩერჩილი მოსკოვში 1942 წლის 12 აგვისტოს ჩაფრინდა. იმავე საღამოს შვიდ საათზე კრემლში იგი პირველად შეხვდა საბჭოთა ლიდერს. შეხვედრა უმაღლესი საბჭოს შენობის მეორე სართულზე განთავსებულ სტალინის სამუშაო კაბინეტში გაიმართა. პირობები მკვეთრად განსხვავდებოდა როგორც ბლენჰეიმის სასახლის არისტოკრატიული ფუფუნებისგან, რომელშიც ჩერჩილი დაიბადა და გაიზარდა, ასევე პრემიერ-მინისტრის ლონდონს გარეთ მდებარე ოფისისგანაც. სტალინი არა მარტო იცვამდა სადად, არამედ სადა პირობებშიც ცხოვრობდა და მუშაობდა. მის ჩაბნელებულ კაბინეტში მოლაპარაკების მართკუთხა მაგიდის გარშემო არაკომფორტული ხის სკამები ეწყო. შორეულ კუთხეში სამუშაო მაგიდა იდგა, მის უკან კედელზე ლენინის ფოტოსურათი ეკიდა, ხოლო სხვა კედლებზე – მარქსისა და ენგელსის სურათები. ერთ კუთხეში კაფელით მოპირკეთებული რუსული ღუმელი იყო ჩაშენებული. ყველა კედელს ხის უშნო პანელი ჰქონდა აკრული და მთელ ოთახში საპრიალებელი საცხისა და თამბაქოს სუნი ტრიალებდა.

როგორც კი ჩერჩილი მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდა, სტალინი მაშინვე შეუდგა ფრონტის ხაზიდან მოსული „ცუდი ამბების“ მოყოლას და აღნიშნა, რომ გერმანელები სტალინგრადს და ბაქოს მიუახლოვდნენ. მან დარწმუნებით განაცხადა, ევროპაში ძალები აღარ ჰყავთ, ყველა ჩვენსკენ გადმოისროლესო. ასეთ დამთრგუნავ ატმოსფეროში, როდესაც ოფი-

ციალური ბრიტანული სტენოგრამის თანახმადაც კი სტალინი „მეტად პირქუში"[8] იყო, ჩერჩილმაც ცუდი ამბების მოყოლით დაიწყო საუბარი. მან გაიმეორა ცოტა ხნით ადრე მოლოტოვისთვის ნათქვამი სიტყვები, რომ ბრიტანელებს არ შეეძლოთ დაპირებოდნენ მათ მეორე ფრონტის გახსნას 1942 წელს და რომ ბრიტანეთისა და ამერიკის მთავრობებს არ ძალუძთ რაიმე დიდი ოპერაციის წამოწყება სექტემბერში... მაგრამ, როგორც ბ-ნი სტალინისთვის უკვე ცნობილია, ისინი 1943 წელს მასშტაბური ოპერაციის ჩასატარებლად ემზადებიან.

ოფიციალური სტენოგრამის თანახმად, სტალინი „მეტად დაამწუხრა" ჩერჩილის ამ სიტყვებმა. მან გაღიზიანებით აღნიშნა, საფრანგეთში ერთი ნორმალური გერმანული დივიზიაც კი აღარ არისო. ჩერჩილი შეეპასუხა, საფრანგეთში მათი 25 დივიზია დგასო. სტალინმა კი გესლიანად შენიშნა, კაცი, რომელიც რისკზე წასასვლელად მზად არ არის, ომის მოგებას ვერ შეძლებსო.

პრემიერ-მინისტრი სიტუაციის განმუხტვას შეეცადა და საუბარი იმ ფაქტზე გადაიტანა, რომ ბრიტანელები და ამერიკელები უკვე უწევდნენ საომარ დახმარებას საბჭოთა კავშირს გერმანიის დაბომბვებით. სტალინმა ფიცხლად შენიშნა, გერმანიის არა მარტო ინდუსტრია, არამედ მოსახლეობაც უნდა დაიბომბოსო. ჩერჩილმა აქ ისეთი რამ თქვა, რაც მკვეთრ კონტრასტში მოდის მის შემდგომ მცდელობებთან, შორს დაეჭირა თავი „ტერორისტული" დაბომბვითი კამპანიებისგან. მან ცალსახად განაცხადა: „რაც შეეხება [გერმანიის] მოსახლეობას, მორალურად მათ საომარ სამიზნედ აღვიქვამთ. მათგან შებრალებას არ ველოდებით და ვერც ჩვენ შევიბრალებთ".

ეს ერთადერთი გზაარ, უთხრა სტალინმა და ამ საუბრის განმავლობაში პირველად გამოხატა რაღაცისადმი დადებითი დამოკიდებულება.

საბჭოთა ლიდერის ამ ნახალისებით გამხნევებული ჩერჩილი სისხლმოწყურებულივით შეუდგა იმის ჩამოთვლას, თუ რამდენად „უფრო მეტ თვითმფრინავს და უფრო დიდ ბომბებს" გამოიყენებდა და დასძინა, თუ საჭირო გახდა, გერმანიის თითქმის ყველა ქალაქში ყველა სახლს მინასთან გავასწორებთო. ოფიციალური სტენოგრამის თანახმად, „ამ სიტყვებმა შეხვედრის ატმოსფერო უფრო გულთბილი გახადა".

სურდა რა უფრო მეტი პოლიტიკური გამჭრიახობა გამოეჩინა, ჩერჩილი მეორე ფრონტის კონცეფციის რევიზიას შეეცადა. „რა არის მეორე ფრონტი?" რიტორიკულად იკითხა მან. „ეს მაინცდამაინც ინგლისის გაღმა გამაგრებულ სანაპიროზე შეტევაა თუ შეიძლება რაღაც სხვა, უფრო სასარგებლო ოპერაციის ფორმა მიიღოს?" ამ მსჯელობით იგი თანდათან გადავიდა კიდევ ერთ სასიამოვნო ახალ ამბავზე: დასავლელი მოკავშირეები 1942 წლის ოქტომბერში ჩრდილოეთ აფრიკაში შეჭრას გეგმავდნენ.

ამ სამხედრო ოპერაციის სარგებლიანობის საილუსტრაციოდ ჩერჩილმა ნიანგი დახატა და სტალინს აუხსნა, რომ ბრიტანელებს და ამერიკელებს განზრახული აქვთ ამ ქვეწარმავლის „რბილ მუცელზე" მიიტანონ იერიში. სტალინი აშკარად გამხნევებული ჩანდა მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკაში შეჭრის მოსალოდნელი სარგებლიანობით და საუბარი საღამოს 10.40-ზე პოზიტიური ნოტით დასრულდა.

ჩერჩილი ამ პირველი შეხვედრით კმაყოფილი დარჩა, მაგრამ მეორე დღეს გაირკვა, რომ სტალინის „მოთოკვის" მისმა მცდელობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ჩერჩილს მეორე დილით მოუწია შეხვედრა მოლოტოვთან, რომლის დაყოლიება ან მოხიბლვა არც ისე ადვილი იყო და რომელიც ისე იქცეოდა, თითქოს წინა საღამოს სიტყვაც არ თქმულა ჩრდილოეთ აფრიკის ოპერაციის შესახებ და თუთიყუშივით იმეორებდა საბჭოელების მოთხოვნას მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე. აქვე სტალინის მიერ შედგენილი დამატებითი შენიშვნების ტექსტი „*aide memoire*" გამოჩნდა[9], რომელიც ფაქტობრივად კიდევ ერთხელ ადანაშაულებდა ბრიტანელებს სიტყვის გატეხვაში. „როგორც კარგადაა ცნობილი", ეწერა მასში, „1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა წინასწარ იქნა შეთანხმებული მოლოტოვის ლონდონში ვიზიტის დროს... სრულიად აშკარაა, რომ თუ დიდი ბრიტანეთის მთავრობა გადაიფიქრებს 1942 წელს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას, ეს დიდ მორალურ დარტყმას მიაყენებს მთელ საბჭოთა ხალხს, რაც თავის მხრივ დააქვეითებს წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობას და საფრთხეს შეუქმნის საბჭოთა მთავარსარდლობის გეგმების განხორციელებას".

ასევე უაღრესად სარკასტული იყო სტალინი იმავე საღამოს ჩერჩილთან რიგით მეორე შეხვედრისას. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ბრიტანელებს ეშინოდათ გერმანელების და ამიტომ არ ხსნიდნენ მეორე ფრონტს. ამაზე ჩერჩილი გაბრაზდა და წონასწორობა დაკარგა. იგი ისე გაშმაგებით შეუდგა ბრიტანეთის პოზიციების დაცვას, რომ თარჯიმნები ძლივს აუდიოდნენ თარგმნას. „სიტყვები არაა მთავარი", თქვა ამის შემხედვარე სტალინმა. „მთავარია სულისკვეთება".

ჩერჩილი ამ შეხვედრით დათრგუნული იყო. როცა მოსკოვის მახლობლად მისთვის გამოყოფილ აგარაკზე დაბრუნდა, მის თანმხლებ ამერიკელ ელჩს ავერელ ჰარიმანს რამდენიმე საათი დასჭირდა მის დასამშვიდებლად. მეორე დღეს, 14 აგვისტოს, სამხედრო კაბინეტისთვის მიწერილ ანგარიშში ჩერჩილი ცდილობდა აეხსნა, თუ რატომ შეეცვალა სტალინს ასე უცებ განწყობა პირველი შეხვედრის შემდეგ. მისი ვარაუდით, ერთი მხრივ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო უბრალოდ სტალინის ტაქტიკა, რომელიც საკუთარ თავზე ედენმაც გამოსცადა წინა წლის დეკემბერში; მეორე მხრივ, იგი არ გამორიცხავდა, რომ „კომისართა საბჭო", რომელსაც სავარაუდოდ

სტალინმა პირველი შეხვედრის ანგარიში წარუდგინა, უკმაყოფილო დარჩა ბრიტანელთა ახალი შეთავაზებით (ეს სრულიად აბსურდული ხედვა, თითქოსდა სტალინის ზურგს უკან რაღაც ბნელი ძალები მოქმედებდნენ და საბჭოთა საგარეო პოლიტიკის შემოქმედი სტალინი არ იყო, კიდევ არაერთგზის იჩენს თავს ომის პერიოდში მოკავშირეთა ურთიერთობის კრიტიკულ მომენტებში)[10].

14 აგვისტოს პიჟამოში გამოწყობილი ჩერჩილი აგარაკზე გააფთრებული ბოლთას სცემდა. მან თავის თანმხლებ პირებს განუცხადა, რომ არ აპირებდა იმ საღამოს მის პატივსაცემად საბჭოელების მიერ გამართულ ვახშამზე დასწრებას. ამის შემხედვარე ბრიტანეთის ელჩი კლარკ კერი მოგვიანებით დაწერს, რომ მაშინ პრემიერ-მინისტრს ერთი კარგი პანღური მოუხდებოდაო[11].

ბოლოს და ბოლოს ჩერჩილი დაარწმუნეს, რომ თუ ნვეულებას არ დაესწრებოდა, ეს დიპლომატიური თვითმკვლელობა იქნებოდა და ისიც ბუზღუნ-ბუზღუნით დათანხმდა, თუმცა პროტესტის ნიშნად გადანყვიტა უცნაურ სამოსი ჩაეცვა, რომელიც, მისივე თქმით, თვითონ შეიკერა საჰაერო თავდასხმების დროს ჩასაცმელად. კლარკ კერიმ ეს სამოსი „მექანიკოსის სპეცტანსაცმელს, უფრო მეტად კი ჩვილი ბავშვის კომბინეზონს" შეადარა. მიუხედავად მისი რევოლუციური მენტალიტეტისა, საბჭოთა ხელისუფლება ჯერ ისევ ინარჩუნებდა იმ ტრადიციულ შეხედულებას, რომ ოფიციალურ საღამოებზე შესაფერ სამოსს კოსტიუმი ან უნიფორმა წარმოადგენდა. ამიტომ საპატიო სტუმრის უჩვეულო და შეუსაბამო ჩაცმულობით ყველა გაოცებული დარჩა. ასე ცუდად დაწყებული ნვეულება შემდგომ კიდევ უფრო უსიამოვნო გახდა ბრიტანელებისთვის ჩვეული ქედმაღლობისა და ამპარტავნობის გამო. სახელდობრ, სამხედრო კაბინეტის მდივნის თანაშემწე, პოლკოვნიკი იან ჯაკობი თავის დღიურში წერდა: „უცნაურია, რომ ეს კაფანდარა გლეხი [სტალინი], რომელიც ნესით მხარზე თოხგადებული სოფლის შარას არ უნდა სცილდებოდეს, ამ საუცხოო დარბაზში უდრტვინველად გრძნობდა თავს ამ ბანკეტზე"[12].

გენერალი სერ ალან ბრუკი კი თავის დღიურში უკმაყოფილო წერდა, რომ „ცხრამეტნაირი კერძი მოგვიტანეს და მაგიდიდან მხოლოდ ღამის 12 საათზე და 15 წუთზე ავდექით, 3 საათისა და 15 წუთის ჯდომის შემდეგ"[13]. მას სტალინზე ჯაკობთან შედარებით ნაკლებად ქედმაღლური შეხედულება ჩამოუყალიბდა, თუმცა არც ის თვლიდა სტალინს ჯენტლმენად. „ნვეულების ბოლოს", აღნიშნავდა ბრუკი, „სტალინი საკმაოდ აქტიურობდა, მაგიდის გასწვრივ დადიოდა, სტუმრებს ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდა და ადღეგრძელებდა. იგი უდავოდ გამოჩენილი, მაგრამ არამიმზიდველი ადამიანია. უსიამოვნოდ ცივი, ეშმაკური, გაშეშებული სახე აქვს და როცა მას ვუყურებდი, ადვილად შემეძლო წარმომედგინა, თუ როგორ წარბ-

შეუხრელად აგზავნიდა ხალხს დასახოცად. თუმცა ეჭვგარეშეა ისიც, რომ მას სხარტი გონება აქვს და ომის დეტალებში წვდომის საოცარი უნარი ახასიათებს"[14]. დელეგაციის კიდევ ერთმა წევრმა, თარჯიმანმა არტურ ბრაიანტმა[15] თავის მხრივ შენიშნა, რომ თავად ბრუკი წვეულებაზე უზრდელად იქცეოდა; იგი თავისი თანამეინახე მარშალ ვოროშილოვის შეკითხვებს უხალისოდ პასუხობდა და თავად არაფერს ეკითხებოდა.

ჩერჩილმა ბანკეტი საბჭოური სტანდარტისთვის უჩვეულოდ ადრე – ღამის 1 საათზე დატოვა და დაბოღმილი დაბრუნდა აგარაკზე. იგი თავის ექიმს ჩარლზ უილსონს ეწუწუნებოდა: „სტალინს ჩემთან საუბარი არ სურდა. მე მოლაპარაკებებს ვწყვეტ. საკმარისად ვიწვალე. საზიზღარი საჭმელები ჰქონდათ. ჯობდა არ ჩამოვსულიყავი"[16]. სერ ჩარლზი მის გადარწმუნებას შეეცადა: „საქმე ის კი არაა, სტალინი კეთილმოსურნეა თუ არა, არამედ ის, რომ თუ მასთან საერთო ენას ვერ გამონახავთ, ეს ომის გაჭიანურებას და მეტ მსხვერპლს ნიშნავს". ცდა უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ჩერჩილი მეორე დღესაც ბობოქრობდა: „ნუთუ [სტალინი] ვერ ხვდება, ვის ელაპარაკება? მსოფლიო ისტორიაში უდიდესი იმპერიის მმართველს!"[17] მან განაცხადა, რომ მოსკოვიდან წასვლა სურდა და სტალინთან შეხვედრა აღარ უნდოდა.

მეორე დილით ელჩ კლარკ კერის მთელი თავისი დიპლომატიური ნიჭის გამოყენება დასჭირდა, რომ ჩერჩილი საბჭოთა ლიდერთან კიდევ ერთ შეხვედრაზე დაეთანხმებინა. აგარაკის ბაღში სეირნობისას მან ჩერჩილს აუხსნა, რომ მთელ ამ საქმეს არასწორად უდგებოდა... შეცდომა ის იყო, რომ იგი, არისტოკრატი და მსოფლიო მნიშვნელობის პიროვნება, ამ ხალხისგან მოითხოვდა, ისინიც მისი მსგავსნი ყოფილიყვნენ. ეს კი სწორი არ იყო, რადგან გლეხები და მუშები იყვნენ, უხეშები და უმეცრები. ისინი ჩვენგან განსხვავებულად მსჯელობდნენ[18]. საბჭოთა ლიდერების ასეთი ქედმაღლურ-შემწყნარებლური შეფასების შემდეგ კლარკ კერმა, ექიმ ჩარლზ უილსონის მსგავსად, ჩერჩილს სტალინთან ურთიერთობის გაწყვეტის მოსალოდნელი სავალალო შედეგები შეახსენა: „თუ რუსეთი ვერ შეძლებს იმ მისიის შესრულებას, რომელიც მხოლოდ მას შეუძლია შეასრულოს... რამდენი ახალგაზრდა ბრიტანელის და ამერიკელის სიცოცხლის მსხვერპლად გაღება გახდება საჭირო ამის ასანაზღაურებლად?" კლარკ კერიმ კიდევ ერთხელ გაამტყუნა ჩერჩილი იმაში, რომ „განაწყენდა გლეხზე, რომელმაც არ იცის როგორ მოიქცეს". ამ მაგიური შეგონებებით დაითანხმა კლარკ კერმა ჩერჩილი სტალინთან ბოლო შეხვედრაზე, რომელიც იმავე საღამოს შედგა.

ეს შეხვედრაც თავიდან წარუმატებლობისთვის განწირული ჩანდა, რადგან საბჭოთა ლიდერმა ბრიტანელებისგან კვლავ მოითხოვა „დანაპირების" შესრულება და მეორე ფრონტის 1942 წელს გახსნა. ჩერჩილმა

ისევე გაამახვილა ყურადღება ლა-მანშის გადალახვის სიძნელეებზე და ხაზი გაუსვა, რომ ასეთი „დაპირება“ მას არ მიუცია. მის არგუმენტს, რომ ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს დიდი დანაკარგები ექნებოდათ არხის გადაკვეთის შემთხვევაში, სტალინმა უპასუხა, წითელი არმია ყოველდღიურად 10 000 მეომარს კარგავს და რისკის გარეშე ომის წარმოება შეუძლებელიაო[19].

საბჭოთა თარჯიმანის პავლოვის გადმოცემით, „შეხვედრაზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა“, მაგრამ შემდეგ, როცა ფორმალური დისკუსია დასრულდა, სტალინმა ჩერჩილი იქვე კრემლში თავის ბინაში ვახშამზე მიიწვია. ჩერჩილმა ეს ჟესტი მათ ურთიერთობაში არსებული ყინულის გალღობის მცდელობად მიიჩნია, მით უმეტეს, რომ სტალინმა თავისი ქალიშვილი სვეტლანა გააცნო. თუმცა საბჭოთა ლიდერი მალევე დაუბრუნდა ბრიტანელების გამკილავ მწვავე ტირადებს. „ნუთუ სამეფო ფლოტს არავითარი ღირსება არ გააჩნია?“ – იკითხა მან, როცა არქტიკული კონვოის შეწყვეტის საკითხს შეეხო. ჩერჩილმა უპასუხა, ბრიტანეთი უდიდესი საზღვაო ფლოტის ქვეყანაა და ბევრი რამ გამეგება საზღვაო ბრძოლების ხელოვნებიდანო. ისე გამოდის, რომ მე არაფერი გამეგებაო, გაღიზიანდა სტალინი.

თუმცა სასმელის გარკვეული დოზისა და გოჭის ხორცის დაგემოვნების შემდეგ ატმოსფერო თანდათან უფრო თბილი და ხალისიანი გახდა. ჩერჩილი იმდენად გათამამდა, რომ სტალინს ჰკითხა, იყო თუ არა მისთვის ახლანდელი პრობლემების მოგვარება ისეთივე ძნელი, როგორც ადრე გლეხების იძულებითი კლექტივიზაცია. „არა“, უპასუხა სტალინმა, „ის ბევრად უფრო ძნელი იყო“.

„კულაკებს რა უქენით?“ – ჰკითხა ჩერჩილმა.

„დავხოცეთ“, უპასუხა სტალინმა.

ამ უაღრესად გულღია დიალოგის შემდეგ თავიანთ თანამეინახეებს გადაწვდნენ და მათ შესახებ დამამცირებელი კომენტარები გაუზიარეს ერთმანეთს. ჩერჩილმა დრო იხელთა და კბილი გაჰკრა უჟმურსახიან და არაქარიზმატულ მოლოტოვს, რომელიც მათ მოგვიანებით შეუერთდა და ჭიქას ჭიქაზე იყუდებდა.

„იცოდით თუ არა“, ჰკითხა ჩერჩილმა სტალინს, „რომ თქვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაშინგტონში ამასწინანდელი ვიზიტისას განაცხადა, ნიუ-იორკის დათვალიერება მარტო მინდაო, და რომ უკან გამოფრენა თვითმფრინავის გაუმართაობის გამო კი დააგვიანა, არამედ იმიტომ, რომ გათიშული მთვრალი იყო?“

„არა, ის ნიუ-იორკში არ ჩასულა“, უპასუხა სტალინმა. „ის ჩიკაგოში ჩავიდა, სადაც სხვა განგსტერებიც არიან“[20].

ჩერჩილი გამთენიისას სამ საათზე დაბრუნდა აგარაკზე. მისი განწყობა რამდენიმე საათის განმავლობაში ძირფესვიანად შეცვლილიყო. კლარკ

კერი, რომელიც მას აგარაკზე დახვდა, წერდა: „აშკარად ეტყობოდა, რომ იგი კარგ ხასიათზე იყო“[21]. დივანზე წამოწოლილმა ჩერჩილმა „ხითხითი და ჰაერში ფეხების ქნევა“ დაიწყო... „ყველაფერმა დიდებულად ჩაიარა, მან სტალინთან მეგობრობა დაამყარა. სტალინი საუცხოო პიროვნება ყოფილა. რა ბედნიერებაა ასეთ დიდებულ ადამიანთან მუშაობა. ღმერთო ჩემო! ის გაუთავებლად ლაპარაკობდა სტალინის შესახებ. სტალინმა ესაო, სტალინმა ისაო“... სტალინი ახლა ერთი უბირი და ვერაგი აზიატი კი არა, უკვე სასურველი მოკავშირე იყო. პრემიერ-მინისტრი ლონდონში ბრუნდებოდა იმ პირადი ურთიერთობით ფრთაშესხმული, რომელიც მისი აზრით ღამის ქეიფის დროს დამყარდა.

კლარკ კერისა და ბრიტანეთის საელჩოს სხვა თანამშრომელთა შეფასებით, იმ ოთხდღიანი ვიზიტის განმავლობაში ჩერჩილის ქცევა უმეტეს შემთხვევაში არა თუ უცნაური, არამედ ბავშვურიც იყო. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოხდებოდა, ჩერჩილს რომ კლარკ კერისთვის არ დაეჯერებინა და განაწყენებულს მოლაპარაკება მიეტოვებინა. ანდა როგორ შეიძლება შეფასდეს პრემიერ-მინისტრის ბუტიაობა და აგდებული დამოკიდებულება მის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე? და ბოლოს, ყველაზე შემაშფოთებელი ის იყო, რომ ჩერჩილს სტალინზე საკუთარი შეხედულება ასე ძირეულად მის ბინაში მხოლოდ ერთი სტუმრობით შეეცვალა.

მთელი ეს ამბავი უფრო ძველებურ სასიყვარულო ვოდევილს წააგავს, ვიდრე ორი სახელმწიფო მეთაურის შეხვედრებს. ამიტომ უწოდა ამ საუბრებს „არშიყობა“ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მუდმივმა მდივანმა სერ ალექსანდერ კადოგანმა, რომელიც ჩერჩილს მოსკოვში ახლდა[22]. ჩერჩილი იქ არა მხოლოდ ალკოჰოლმა, არამედ იმ ადამიანთან პირადი მეგობრობის პერსპექტივის გაჩენამაც დაათრო, რომელსაც მისი აზრით ისტორია მომავალში მეოცე საუკუნის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად აღიარებდა. ამ აღტკინებამ მას რეალობის შეგრძნება მოუჩლუნგა. რეალობა კი ის გახლდათ, რომ სტალინს მეგობრობა არ აინტერესებდა და არც ჰყავდა მეგობრები.

ჩერჩილი იმ ღამით სტალინის ბინაში გულისხმიერი ვიზიტით ისე რომ არ მოხიბლულიყო, მაშინ მოსკოვის ვიზიტიდან ალბათ ორ დასკვნას გამოიტანდა. პირველი: ამ ვიზიტს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. სტალინი ნაწყენი დარჩა იმის გამო, რომ კონვოი შეაჩერეს და მეორე ფრონტის გახსნაზე „მოღალატურად“ უარი უთხრეს. ჩერჩილის ახსნა-განმარტებებმა ფაქტობრივად ვერ შეაცვლევინა უარყოფითი წარმოდგენა ბრიტანეთზე, როგორც უვარგის მოკავშირეზე. მეორე და მთავარი კი ისაა, რომ სტალინს არც კი უცდია ჩერჩილთან დაეფარა თავისი აღვირახსნილი სისასტიკე. როგორც ოფიციალურ შეხვედრაზე, როცა გერმანიის მოსახლეობის განადგურებას მოითხოვდა, ასევე თავის ბინაში არაოფიციალური საუბრი-

სას, როცა კულაკების დახოცვაზე ლაპარაკობდა, მან თავისი ნამდვილი ბუნება – იმ ულმობელი დიქტატორის ბუნება წარმოაჩინა, რომელიც ენთუზიაზმით ხოცავდა საკუთარ ხალხს და მმართველობის ისეთი სისტემით ამაყობდა, სადაც არ არსებობდა არავითარი დემოკრატია, არავითარი თავისუფლება და არავითარი კანონის უზენაესობა. თავის მემუარებში ჩერჩილი აღიარებს, რომ როდესაც სტალინმა მას კულაკების განადგურების შესახებ უამბო, მასზე „მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მილიონობით ქალისა და კაცის დახოცვისა და გადასახლების ამბავმა"[23]. მაგრამ მისი აზრით, იმ დროს „როცა ირგვლივ მსოფლიო ომი მძვინვარებს, ამაოა მაღალი მორალის კითხვა".

მეორე მსოფლიო ომის წამყვან ფიგურათა შორის – ალბათ ჰიტლერის გარდა – სტალინი იყო ის პიროვნება, ვისთანაც საჭირო იყო ყველაზე ცივსისხლიანი და ობიექტური ურთიერთობა. ამ დასკვნამდე მივიდა სტალინთან პირველივე შეხვედრისას 1942 წლის იმ აგვისტოში გენერალი სერ ალან ბრუკი. „თუ ვინმეზე რეალისტი ითქმის, ეს უპირველესად სტალინია", წერდა იგი თავის დღიურში. „მას მხოლოდ ფაქტები აინტერესებს... [ჩერჩილი] სტალინში ეძებს სენტიმენტებს, რაც ვგონებ, მასში საერთოდ არ არსებობს[24]". ბრუკი ინტუიციით გრძნობდა, რომ სტალინთან ემოციური ურთიერთობის გაბმის მცდელობა შეცდომა იქნებოდა. ჩერჩილი მოკავშირე ლიდერთაგან პირველი იყო, ვინც ეს შეცდომა დაუშვა; მოგვიანებით რუზველტი მეორე გახდება.

მაგრამ რასაკვირველია ჩერჩილის ან რუზველტის გულუბრყვილო პოლიტიკოსებად წარმოჩენა მართებული არ იქნება. ჩერჩილი შეგნებულად მიდიოდა სტალინთან ახლო ურთიერთობის დამყარებაზე. რა აზრი ჰქონდა სტალინისა და საბჭოთა კავშირის ჭუჭყიან თეთრეულში ქექვას იმ დროს, როცა მთავარი საზრუნავი გერმანიასთან ომი იყო და ამ ომის ლომის წილი წითელ არმიაზე მოდიოდა? კარგად ჩანს ისიც, რომ ჩერჩილი ვერ იყო სტალინივით განაფუული მოლაპარაკების წარმოებაში. საკმაოდ გულწრფელია მისი დადებითი ემოციები საბჭოთა ლიდერის ბინაში სტუმრად ყოფნის შემდეგ. მან იმ ღამით თავი დაირწმუნა არა მარტო იმაში, რომ სტალინი „დიდებული" პიროვნება იყო, არამედ იმაშიც, რომ მან – ჩერჩილმა შეძლო მისთვის თავი მოეწონებინა.

1942 წლის განმავლობაში მარტო ჩერჩილი როდი ცდილობდა საბჭოელებთან პირადი ურთიერთობის დამყარებას. ვიდრე იგი სტალინს ხვდებოდა, საბჭოეთის ჩრდილოეთში ჩარჩენილი მისი კონვოის მეზღვაურები ასევე ცდილობდნენ ალღო აეღოთ საბჭოური ცხოვრებისათვის. მათი პირადი გამოცდილება და მათთან შეხებაში მყოფ საბჭოთა მოქალაქეთა ისტორიები ნათელს ჰფენს მეორე მსოფლიო ომის პერიოდის დასავლეთისა და საბჭოეთის კულტურათა შორის არსებულ განსხვავებას.

როდესაც 1942 წლის 30 მაისს *PQ16* კონვოი მურმანსკში შევიდა, მისი მეზღვაურები იქაური სანახაობით განცვიფრებული დარჩნენ. „მურმანსკი მოჩვენებათა ქალაქს ჰგავდა“, ამბობს ედი გრენფელი. „საშინლად იყო დაბომბილი. ჩვენ ასეთი დაბომბვა არასოდეს განგვიცდია“. ქალაქი გერმანულ ავიაციას მიწასთან გაესწორებინა – საბჭოთა კავშირში მხოლოდ სტალინგრადმა განიცადა მურმანსკზე მეტი ნგრევა მთელი ომის განმავლობაში.

ედი და კონვოის ჩაძირული გემების სხვა მეზღვაურები მაშველი ნავებიდან გადმოსხეს და ნავსადგურის საწყობში დააბინავეს. „ამ უშველებელ საწყობში დაახლოებით 400 კაცი ერთად მოგვათავსეს. ეს იყო ჩვენი პირველი შეხება რუსულ ცხოვრებასთან. საწყობის ორივე გასასვლელში ხიშტიანი შაშხანით შეიარაღებული რუსი გუშაგები იდგნენ. ბევრი ჩვენგანი დაჭრილ-დაშავებული იყო კონვოიზე გერმანელთა თავდასხმის შედეგად და ამ საწყობში იატაკზე 36 საათის განმავლობაში ვეყარეთ“. გერმანელები საჰაერო რეიდებს არ წყვეტდნენ, ამიტომ თითქმის განუწყვეტლივ ისმოდა ბომბების აფეთქების ხმა. „საშინელება ტრიალებდა“, ამბობს ედი. „მტერსაც კი არ ვუსურვებდი ამის განცდას“.

ბრიტანელ მეზღვაურებს მხოლოდ წყალი მისცეს. შემდეგ ნეილ ჰალსე, ედი გრენფელი და სხვა დაჭრილები საბარგო მანქანებით ჰოსპიტლად გადაკეთებულ სკოლაში გადაიყვანეს. ბრიტანელებს ასეთი „ჰოსპიტალი“ არასოდეს ენახათ. „საშინელი სუნი ტრიალებდა“, ამბობს ედი გრენფელი. „ყოველი მხრიდან ყვირილი და კვნესა ისმოდა“.

„ეს ჰოსპიტალი რაღაც საზიზღრობა იყო“, ირწმუნება ნეილ ჰალსეც. „კიდევ კარგი ჩვენ ლოგინები მაინც შეგვხვდა, საბრალო რუსების უმრავლესობა კი პირდაპირ იატაკზე ეყარა. დაჭრილ რუსებს კიდურების ამპუტაციას ანესთეზიის გარეშე უტარებდნენ, ამიტომ ყველგან მათი ყვირილი და ღრიალი ისმოდა. ზოგი ასეთი ოპერაციისგან გაქცევას ცდილობდა და იყო ერთი განევ-გამონევა“.

ნეილ ჰალსე შიშობდა, რომ ფეხის თითების მოყინვის გამო შეიძლებოდა მასაც დასჭირვებოდა ამპუტაცია, რაც ასევე ანესთეზიის გარეშე უნდა

ჩატარებულიყო. მაგრამ მურმანსკში მდგომი ბრიტანული გემის ექიმმა ფეხის თითების მასაჟი ურჩია, რომ ფუნქცია აღედგინა და ქირურგის დანა აეცილებინა. ასე და ამგვარად ჰალსე მასავით თითებმოყინულ მეზღვაურს შეუთანხმდა და რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი ერთმანეთს მოყინულ თითებს უზელდნენ. „მადლობა ღმერთს, თითები მეც შემრჩა და მასაც“, ამბობს ჰალსე.

ღამღამობით, როცა სხვებს ეძინათ, ედი გრენფელი კედელს აკვირდებოდა და შენიშნა, რომ იგი „მთლიანად ტარაკნებით, ბაღლინჯოებით, რწყილებითა და სხვა ათასგვარი მწერით იფარებოდა“. ამიტომ გადაწყვიტა ყველაფერი ელონა, რათა ამ „ჰოსპიტლიდან“ თავი დაეღწია. მან ნაცნობობით და ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო მაღალჩინოსნის შუამდგომლობის წყალობით მოახერხა, რომ კოლის ნახევარკუნძულის ქალაქ ვაენგას საზღვაო ბანაკში გადაეყვანათ.

საბუქსირო გემზე, რომელსაც იგი რამდენიმე სხვა ინგლისელ მეზღვაურთან ერთად ვაენგაში გადაჰყავდა, დარწმუნდა, რომ „რუსი მეზღვაურები ჩვენგან დიდად არ განსხვავდებოდნენ... სვამდნენ არაყს, უსმენდნენ გრამოფონს და საკმაოდ თავაზიანად იქცეოდნენ. თანდათან ვრწმუნდებოდით, რომ რუსები საკმაოდ ნორმალური ადამიანები იყვნენ“.

ედისთვის მურანსკის „ჰოსპიტალზე“ ბევრად უკეთესი არც ვაენგის საზღვაო ბანაკი აღმოჩნდა: „შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ძალიან მეშინია ვირთხების. ღამით ისინი სხეულზე გვაცოცდებოდნენ, საკვების საძებნელად ტანსაცმელში გვიძვრებოდნენ, დახტოდნენ და ძილს გვიფრთხობდნენ“.

მაგრამ ედი გრენფელმა ნამდვილი შოკი მაშინ განიცადა, როცა ნახა, თუ როგორ უსწორდებოდნენ დისციპლინის დამრღვევ ხელქვეითებს საბჭოთა მეთაურები ვაენგაში. ერთხელ ღამით რუსმა დაბალჩინიანმა საზღვაო ოფიცერმა, რომელიც ბრიტანელ მეზღვაურებს დაუმეგობრდა, ბარაკის კარზე ბრახუნი ატეხა. იგი გვარიანად ნასვამი ჩანდა, რაც საბჭოთა მეთაურების დიდ რისხვას იმსახურებდა. როგორც კი დასავლელმა მეზღვაურებმა კარი გააღეს, იქვე მყოფმა საბჭოთა გუშაგმა მთვრალი კაპრალი მაშინვე დააპატიმრა და სადღაც წაიყვანა. „ნახევარი საათის შემდეგ სროლის ხმა გაისმა“, გვიამბობს ედი. „ცოტა ხანში ყაზარმის კარზე დააკაკუნეს, კარი გავაღეთ და [საბჭოთა] კომისარი შემოვიდა. ასეთი საშინელი გამომეტყველების კაცი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. მან მკაცრი სახით და გამართული ინგლისურით გვაცნობა: „ვწუხვართ, რომ ასე დაგირღვიეთ მყუდროება. ის, რაც იმ კაცმა ჩაიდინა, საზიზღრობაა. თქვენდა სასიამოვნოდ მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ იგი უკვე დავხვრიტეთ“. აი ასე! აიღეს და დახვრიტეს! ჩვენ, რასაკვირველია, გავოგნდით, რადგან ასეთ რამეს ჩვეული არ ვიყავით“.

ამგვარი სასტიკი მოპყრობის მხილველი ედი გრენფელი და მისი თანამემამულე მეზღვაურები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „უბრალო რუსები საკმაოდ სასიამოვნო ადამიანები არიან, მაგრამ სასტიკი მეთაურები მათ შიშში ამყოფებდნენ... ამრიგად დავასკვენით, რომ ეს მართლაც საშინელი რეჟიმი იყო, მაგრამ რაკი მოკავშირეობას გვიწევდა, იძულებული ვიყავით მის მიმართ ლოიალობა გამოგვეჩინა“.

ბრიტანელ მეზღვაურთა მსგავსად, ამერიკელ მეზღვაურებსაც მკვეთრად შეეცვალათ შეხედულება საბჭოურ ცხოვრებაზე. ჯიმ რისკი[25] მურმანსკში ამერიკული სავაჭრო გემით *City of Omaba*-თი ჩავიდა. ფლორიდაში გაზრდილს, მას ნიუ-იორკში ჩასვლამდე თოვლი არ ენახა. ატლანტიკის გავლით საბჭოთა ჩრდილოეთისკენ მოგზაურობა სწორედ ყინვასა და თოვლში მოუხდა.

ქალაქ მურმანსკის დანახვისას ჯიმ რისკს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ხედავდა „სასაკლაოს, სადაც ცოცხალი არავინ და არაფერი დარჩენილა“. მალე ამ პირველ გაოცებას მეორეც დაემატა, როცა პორტში მათი გემის დასაცლელად ქალთა ბრიგადა გამოცხადდა კუშტი გამომეტყველების ქალბატონის, ვინმე ოლგას მეთაურობით. რისკი გვიამბობს: „ერთხელაც გემის კაპიტანმა და დაცვის უფროსმა სადღაც უეცრად გაუჩინარებული ეკიპაჟი მოიკითხეს. მე როგორც ყველაზე უმცროს ოფიცერს, მათი პოვნა დამევალა. ჰოდა, მეც ძებნას შევუდექი“.

ძებნისას სამანქანოში ძრავების თავზე გადაჭიმულ რკინის ბადეზე მან საკმაოდ ეგზოტიკური სანახაობა იხილა. „მთელი ეკიპაჟი აქ მოგროვილიყო ქალბატონ ოლგასთან ერთად. მას სადღაც ლეიბი ეშოვა და ეკიპაჟის ყველა წევრთან რიგრიგობით ჟიმაობდა ამ სახელდახელო ლოგინზე თითოეულისგან ორი კოლოფი სიგარეტის სანაცვლოდ... ასეთ რამეს ჩემს ცხოვრებაში არ შევსწრებივარ. არც ამერიკულ და არც ინგლისურ გემზე მანამდე ასეთი რამ არ მომხდარა... რასაკვირველია მაშინვე გავაძევე ქალბატონი ოლგა გემიდან“. მაშინ, როცა რისკი ოლგას საქციელს დაუშვებლად მიიჩნევს, ეკიპაჟის წევრთა ქმედებას იგი გარკვეულწილად ამართლებს: ამ ბიჭებმა ჯოჯოხეთი გამოიარეს და გარკვეული განმუხტვა სჭირდებოდათო.

ოლგას ისტორიას უცნაური დასასრული ჰქონდა. საბჭოთა მოხელეების მკაცრი პროტესტი მოჰყვა ამერიკელ ოფიცერთა ქმედებას: „ისინი გემზე ამოვიდნენ და შავი დღე გვაყარეს გემიდან მისი გაგდების გამო“. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებმა უამბეს ამ მტვირთავი ქალის უღირსი საქციელის შესახებ, საბჭოელების აღშფოთება მაინც არ დამცხრალა. რაც შეეხება თავად ქალბატონ ოლგას, იგი დასჯის მაგივრად სხვა გემზე გაუშვეს სამუშაოდ.

კოლის ნახევარკუნძულის მეორე მხარეს, ქალაქ არხანგელსკში მცხოვრები რუსი თინეიჯერის ვალენტინა იევლევასთვის[26] მოკავშირე მეზღვაურების იქ ჩასვლა დღესასწაულად იქცა. „ეს ამაღელვებელი, სასიხარულო ამბავი იყო“, გვიამბობს იგი. „უცხო ენაზე მოლაპარაკე ეს მხიარული საზღვაო ოფიცრები ომის საშინელებას გვავიწყებდნენ“. მეზღვაურები არხანგელსკში ინტერნაციონალურ კლუბს სტუმრობდნენ, სადაც ისინი ერთობოდნენ და იქ მოწვეულ ადგილობრივებთან – ძირითადად ქალებთან ნაცნობობას აბამდნენ. „იმ კლუბში ყოველდღე დავდიოდი“, ამბობს ვალენტინა. „ამის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო. იქ აჩვენებდნენ „ლედი ჰამილტონს“, „პინოქიოს“, აგრეთვე ფილმებს ბინგ კროსბის მონაწილეობით – ვგიჟდებოდი ყველა მის სიმღერაზე“. ვალენტინასთვის ეს ადგილი მალე ამქვეყნიურ სამოთხედ იქცა. „ასეთი კომფორტი ცხოვრებაში არ მინახავს. ყველგან ხალიჩა ეფინა და ფეხის ხმაც კი არ ისმოდა. აქ იყო ბიბლიოთეკა, ჭადრაკის სათამაშო კუთხე, საცეკვაო დარბაზი და კინოდარბაზი. კვირაში ერთხელ ცეკვის საღამო იმართებოდა და საღამოს 8 საათიდან დილის 4 საათამდე გაუჩერებლად ვცეკვავდი“.

ინტერნაციონალურ კლუბში ვალენტინას ხშირმა სტუმრობამ მოკავშირე მეზღვაურებს მისდამი ინტერესი გაუღვივა: „ისინი მეტად თავაზიანები იყვნენ. ერთმა ოფიცერმა ტრამვაის გაჩერებამდე მიმაცილა, მხედრულად გამომემშვიდობა და ხელზე მაკოცა. მგზავრები გაკვირვებული დარჩნენ ამ სცენით, მე კი შეცბუნებული ავედი ტრამვაიში“. საბჭოთა ოფიცრებს ასეთი რაინდული ქცევა არ ახასიათებდათ. „თუ რომელიმე რუსი მამაკაცი სახლამდე მიმაცილებდა, ჯილდოდ ჩემგან სახლში შეპატიჟებას ელოდა. ერთი რუსი ოფიცერი საშინლად გამიბრაზდა, შინ რომ არ შევიპატიჟე. რუსებს თავაზიანობაზე დროის ხარჯვა ენანებოდათ და თუკი გოგო მოეწონებოდათ, მაშინვე მის დაუფლებას ცდილობდნენ; დასავლელები ასეთები არ იყვნენ“.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა საკმაო სხვაობა შენიშნეს აგრეთვე ბრიტანელ და ამერიკელ მეზღვაურთა ხასიათში. „ინგლისელები რაღაც უფრო ჩაკეტილები იყვნენ საკუთარ თავში“, გვიამბობს მაშინდელი ახალბედა საბჭოთა მეზღვაური მარია ვეტშევა. „ომში ჩაბმული ქვეყნიდან ჩამოსულები ძალიან დათრგუნულები იყვნენ. ამერიკელების ქვეყანა არ იბომბებოდა და ამიტომ ისინი უფრო ლაღად გამოიყურებოდნენ“. იგივეს ამტკიცებს არხანგელსკელი ალექსანდრ კულაკოვი[27], რომელიც იმ პერიოდში ქუჩაში მოსეირნე მეზღვაურებს აკვირდებოდა ხოლმე: „ამერიკელები უფრო გულგახსნილები ჩანდნენ, ხოლო ინგლისელები – საკუთარ თავში ჩაკეტილები“.

მარია ვეტშევამ საკუთარ თავზე გამოსცადა ამერიკელთა ასეთი „გულგახსნილობა“ მურმანსკის პორტში მოკავშირეთა ერთ-ერთი გემიდან

სურსათის გადმოტვირთვაზე მუშაობისას. ერთ დღეს მას ერთი ამერიკელი მეზღვაური მიუჯდა და საუბარი გაუბა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი სცადა მოხვეოდა, მაგრამ მარიამ კინწისკვრით გააგდო. შემდეგ საბჭოთა გუშაგს ჰკითხა, თუ როგორ მოეშორებინა მომავალში ეს აბეზარი ამერიკელი. გუშაგმა დიდი ჯოხი მისცა და ურჩია, თან ატარეო.

„შემდეგ ის ამერიკელი კიდევ უფრო გათავხედდა“, გვიამბობს მარია. „შემომთავაზა, „ჯიგი, ჯიგი“ არ გინდაო, შარვლის ღილები შეიხსნა და პენისი ამოიღო. ჯოხი ავიღე და დავთხლიშე, დაიყვირა და ყვირილზე გუშაგი მოვარდა“. გუშაგმა მოძალადე ამერიკელი გემიდან ჩააგდო. „რაც დაიმსახურა, ის მიიღო“, თქვა მარიამ. „მაგრად კი დავცხე, რაც ძალი და ღონე მქონდა. აი ასეთი ამბავი იყო“.

ვალენტინა იევლევას კი საპირისპირო პრობლემა ჰქონდა ბრიტანელ მეზღვაურ ბილთან, რომელიც შეუყვარდა, მაგრამ ბილი თავს იკავებდა. „ბილი ცეკვებზე გავიცანი და ერთმანეთს პაემანზე ვხვდებოდით. ერთ დღეს მითხრა, ხვალ მივემგზავრებიო, და ბრიტანეთში მცხოვრები თავისი დეიდის მისამართი მომცა. გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე კაკაოს კონსერვი და რაღაც საჭმელი მომიტანა... ვუთხარი, ბილ, მე შენგან შვილი მინდა, რადგან შენს გარდა ველარავის შევიყვარებ-მეთქი. მან კი მიპასუხა, ვალ, კარგი გოგონა ხარ და არ მინდა ჩემს გამო სახელი გაგიტყდესო. ძალიან გულნატკენი დავრჩი, რადგან მინდოდა ქალი გავმხდარიყავი, მან კი უარი მითხრა. რუსი მამაკაცი ქალის პატიოსან სახელზე ფიქრით თავს ასე არ შეიწუხებდა“.

მართალია არსებობდნენ საბჭოთა ქალები, რომლებიც, ვალენტინა იევლევას მსგავსად, მზად იყვნენ სექსი ჰქონოდათ უცხოელ მეზღვაურებთან, ბრიტანელ მეზღვაურთა უმრავლესობის აზრით, მათი დიდი ნაწილი არ იყო მზად ასეთი ინტიმური ურთიერთობისთვის. ამას მოწმობს ედი გრენფელისა და მისი ამხანაგების პირადი გამოცდილებაც. ისინი ყოველ ხუთშაბათს თავიანთი ბანაკიდან საბარგო მანქანით ახლომდებარე ქალაქში მიყავდათ ცეკვის საღამოზე გასართობად: „დიდი საცეკვაო დარბაზის ერთ ბოლოში ორკესტრი უკრავდა, ხოლო მეორეში – მაგნიტოფონი. ასე, რომ თუ დარბაზის ერთ ბოლოში ვალსს უკრავდნენ, მეორეში შეიძლებოდა ამ დროს ფოქსტროტი ყოფილიყო ჩართული და ერთდროულად ორივეს ცეკვა გვიწევდა... აქ წითელი არმიის ქალთა ნაწილის მთელი შემადგენლობა დადიოდა. ისინი საკმაოდ მიმზიდველები იყვნენ და ჩვენ ცეკვის დროს პარტნიორობას გვიწევდნენ – მაგრამ ეს იყო და ეს“.

ბრიტანელი მეზღვაურების ნამდვილი პრობლემა ცეკვის დროს პარტნიორი ქალების ნაკლებობა იყო – ხუთ მამაკაცზე მხოლოდ ერთი ქალი მოდიოდა. ამიტომ ცეკვისას პარტნიორობას მამაკაცებიც უწევდნენ ერთმანეთს. „ეს არასოდეს დამავიწყდება“, ამბობს ედი გრენფელი, „რად-

გან ასეთი რამ ცხოვრებაში არ მენახა. ერთ ჩვენს მეზღვაურს – ჯინჯერ ბეილის წითელი წვერი ჰქონდა მოშვებული. რუსებს მისი წითელი წვერი ძალიან მოსწონდათ და მოსვენებას არ აძლევდნენ. სხარტი რუსი ოფიცრები მას წამდაუწუმ აკითხავდნენ და საცეკვაოდ იწვევდნენ“.

მოგზაურობა ნიუ-იორკში

სანამ მოკავშირეთა მეზღვაურები სამშობლოში უკან დაბრუნების მოლოდინში საბჭოეთის ჩრდილოეთში დროს კლავდნენ, რამდენიმე საბჭოური გემი მურმანსკიდან ნიუ-იორკში საპირისპირო რეისს ახორციელებდა. 1942 წლის გაზაფხულზე ხე-ტყით დატვირთული ერთ-ერთი ასეთი გემით მარია ვეტშევაც მიემგზავრებოდა ამერიკაში. გემს ამერიკიდან საომარი აღჭურვილობა უნდა ჩამოეტანა საბჭოთა კავშირში. მარია გემზე სხვა სამ ქალთან ერთად დამლაგებლად და მზარეულად მუშაობდა: „რა თქმა უნდა, გემზე ქალის ხვედრი მძიმეა – გარდა იმისა, რომ ბევრი სამუშაოა, მორალურადაც დიდი ძალისხმევა სჭირდება. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და კაპიტანი მასწავლიდა როგორ მოვქცეულიყავი. მან ამიხსნა, რომ თითქმის მთელი ეკიპაჟი შეეცდებოდა ჩემთან გაარშიყებას, მაგრამ ცდუნებას არ უნდა ავყოლოდი. თუ ღირსეულად მოიქცევი, ისინიც პატივისცემით მოგეპყრობიანო, მმოძღვრავდა იგი“.

„მამაკაცებს და ქალებს განსხვავებული ფსიქოლოგია აქვთ“, ამბობს მარია. „ქალმა თავმოყვარეობა არ უნდა დაკარგოს და უფრო მიმზიდველი იქნება მამაკაცისთვის“. ამერიკაში წასვლის წინ მან საკუთარი თვალით იხილა ამ თავმოყვარეობის დაკარგვის სავალალო შედეგი. მაშინ მარიასთან ერთ კაიუტაში ცხოვრობდა გემის ეკიპაჟის ახალბედა წევრი ნინა, რომელიც სამზარეულოში მუშაობდა. ერთხელ დილით, როცა მარიამ გაიღვიძა, ნინა კაიუტაში არ იყო და მის საძებნად გაეშურა. გემბანზე მამაკაცების კაიუტიდან გამომავალი მთვრალი და შიშველი ნინა დაინახა, რომელსაც ტანსაცმელი ხელში ეჭირა. „რა თქმა უნდა, უფროსმა იმავე დღეს გააგდო ნინა გემიდან...“

მარია ვეტშევა ნიუ-იორკში 1942 წლის გვიან გაზაფხულზე ჩავიდა. ეს საზღვარგარეთ მისი პირველი მოგზაურობა და კაპიტალისტურ სამყაროსთან მისი პირველი შეხება იყო. „ჩვენ იქ პატარა ბავშვებივით ვიქცეოდით“, იხსენებს იგი. „იქ ნამდვილი სამოთხე იყო“. ნახეს მანჰეტენი, თავისუფლების ქანდაკება, სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენები. ბროდვეისა და ტაიმს სკვერში ისინი მანამდე არნახული ნეონის ნათურებითა და რეკლამებით მოიხიბლნენ. სამწუხაროდ მაღაზიებში ყველაფრის ნახვა შეეძლოთ, ყიდვით კი ვერაფერს იყიდდნენ. ნიუ-იორკში ყოფნის მთელი სამი თვის გან-

მავლობაში მარია ვეტშევას სახარჯოდ მხოლოდ 3.70 აშშ დოლარი მისცეს. ის და მისი ამხანაგი ქალები გულდაწყვეტით ათვალიერებდნენ მეშვიდე ავენიუს მაღაზიაში ფეხსაცმელებს, რომლებიც ჩამოფასების შემთხვევაშიც კი მიუწვდომელი იყო მათთვის. ბოლოს და ბოლოს გემის უფროსობამ შეიბრალა ქალები და თითოეულ მათგანს ერთი წყვილი საზაფხულო ფეხსაცმელი აჩუქა – სუვენირი ნიუ-იორკიდან.

მარია ამერიკაში რუსი ემიგრანტების ცხოვრებასაც გაეცნო. მან ის კლუბი მოინახულა, სადაც რევოლუციის გამო რუსეთიდან გაქცეული ადამიანები იკრიბებოდნენ: „რუსეთიდან ისინი ახალგაზრდები წავიდნენ და ახლა უკვე მოხუცები იყვნენ. ტიროდნენ და გვეხვეწებოდნენ ცოტაოდენი რუსული მიწა ჩაგვეტანა მათთვის, ჩიოდნენ, ჩვენი შვილები რუსები აღარ არიანო... ძალიან ენატრებოდათ სამშობლო". მარია იფიცება, რომ თუმცა ამერიკაში სტუმრობა კარგია, მაგრამ „იქ ცხოვრება შეუძლებელია. სამშობლო გვენატრებოდა. როგორც ერთ სიმღერაშია: „ბულგარეთი კარგია, მაგრამ რუსეთი უკეთესია". ასეთია რუსული სული და კარგია, რომ ეს სული გვაქვს".

თუმცა არც მთლად ასე ყოფილა საქმე. როცა ბოლომდე ჩავეკითხეთ, მარიამ აღიარა, რომ მას და მის ამხანაგებს ეშინოდათ ამერიკაში დარჩენა და პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნა, რადგან „მაინც არ მოგვცემდნენ თავშესაფარს. ჩვენ რომ გამორჩეულად ჭკვიანები ვყოფილიყავით, ალბათ მიგვიღებდნენ. ჩვენნაირები კი თვითონაც ბევრი ჰყავდათ. ამიტომ უსათუოდ უკან დაგვაბრუნებდნენ და რუსეთში კი გაციმბირება არ აგვცდებოდა. ასე რომ, არა მარტო პატრიოტული გრძნობები, არამედ შიშიც გვამოძრავებდა". ასეთი შერეული გრძნობით აღვსილი უყურებდა მარია ამერიკიდან მომავალი თავისი გემიდან 1942 წლის აგვისტოში ნიუ-იორკის ცათამბჯენებს, თანდათან შორეთს რომ ერწყმოდა. შურდა კაპიტალისტური ცხოვრების, მაგრამ ამაყობდა, რომ სამშობლოში ბრუნდებოდა.

მარიას სავაჭრო გემმა „ფრიდრიხ ენგელსმა" მარტოდმარტო, დამცავი კონვოის გარეშე უხიფათოდ მიაღწია ნორვეგიის ჩრდილოეთის წყლებს. *PQ*17-ის განადგურების შემდეგ საბჭოთა და მოკავშირეთა სავაჭრო გემები ასე მარტო იშვიათად დაცურავდნენ. ნორვეგიასთან ახლოს ნისლიდან უეცრად გერმანული მძიმე კრუიზერი *Admiral Schreer* გამოვიდა და მათ გემს ქვემეხები დაუმიზნა. „სასაწრაფოდ შეგვკრიბეს და გვიბრძანეს ყველა დოკუმენტი დაგვეწვა", იხსენებს მარია. „წუთი წუთს მისდევდა და გერმანული გემი სროლას არ აპირებდა. შემდეგ უეცრად სქელ ნისლში შევცურეთ და მაშინვე ძრავები ჩავაქრეთ. არავითარი მოძრაობა, არანაირი ხმაური – სამარისებური სიჩუმე... ასე ვიდექით ორმოცი წუთი, რის შემდეგაც კაპიტანმა დაახლოებით ორი საათის განმავლობაში გემი შეცვლილი კურსით ატარა". ნისლი რომ გაიფანტა, გერმანული გემი აღარსად ჩან-

და. გერმანელების მიერ სროლის დაყოვნების სავარაუდო მიზეზი მარიას გემის ოფიცერმა ასე ახსნა: გერმანელთა ეკიპაჟს ეგონა, რომ მათი გემი დიდი კონვოის ნაწილი იყო და არ უნდოდა მარტო ერთ გემზე შეტევით მთელი კონვოი დაეფრთხო და დაეფანტა.

მარია ვეტშევასთვის ეს დღე იყო ყველაზე საშინელი დღე მის ცხოვრებაში: „ამდენ ქვემეხს გიმიზნებენ და თანაც იცი, რომ გარშემო ყინულივით წყალია – ეს იგივეა, რომ სიკვდილს თვალებში ჩახედო". საბჭოთა კავშირში დაბრუნებისთანავე მარიას ამ მოგზაურობისას განცდილმა სტრესმა ნერვული აშლილობა დამართა. „დიდხანს ვიავადმყოფე", ამბობს იგი. „საშინელებაა, როცა ადამიანი კონტროლს კარგავს – ერთი ტორპედოც რომ მოგვხვედროდა, ჩავიძირებოდით და ამის მოლოდინი ჭკუიდან მშლიდა... სიკვდილს თვალებში უყურებ და ისიც თვალებში გიყურებს. ყველა მეზღვაური მიმიხვდება, თუ რას ვგულისხმობ".

ბრძოლა ვოლგაზე

იმ დროს, როცა მარია ვეტშევა არქტიკის ზღვაში საკუთარი ემოციების დაოკებას ცდილობდა, იოსებ სტალინი მზარდი მრისხანებით ადევნებდა თვალს გერმანელთა წინსვლას ოპერაცია „ლურჯის" ფარგლებში. სულ რაღაც ორ თვეში გერმანულმა მე-6 არმიამ 400 მილი (640 კმ) დაფარა და 1942 წლის აგვისტოს ბოლოს მდინარე ვოლგაზე გაშენებულ ქალაქ სტალინგრადს მიაღწია. გერმანელ მეომრებში საზეიმო განწყობა სუფევდა. მათი მთავარსარდლობის ახალ სტრატეგიას – მოსკოვზე შეტევის სანაცვლოდ საბჭოთა კავშირის ნედლეულის საბადოების ხელში ჩაგდება – აღსრულების პირი უჩანდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათი ახალი იმპერიის საზღვარი მდინარე ვოლგა იყო, ამიტომ ამ ომს ფაქტობრივად მოგებულად თვლიდნენ. „აი ვოლგაც! ერთი ხელის განვდენაზეა!" – ამბობს მაშინდელი მე-6 არმიის ოფიცერი იოახიმ სტემპელი. „შემოდგომის მზის შუქზე მეტად შთამბეჭდავია – გერმანიაში ასეთი ფართო მდინარე არ არის. და კიდევ ეს აზიის თვალუწვდენელი სივრცის არაჩვეულებრივი ხედები – მხოლოდ ტყეები, ტყეები და ტრამალები უსასრულო ჰორიზონტამდე! დიდებული გრძნობა დაგვეუფლა... ვფიქრობდით, რომ დიდი დრო აღარ გვჭირდებოდა – უკვე მოვედით!"

მაგრამ სტალინი არ აპირებდა დაეთმო ქალაქი, რომელსაც მისი სახელი ერქვა. არანაკლებ შეუპოვარმა ჰიტლერმა კი 30 სექტემბერს განაცხადა, რომ სულ მალე აიღებდა სტალინგრადს. იმ შემოდგომით იქაურობას თანამედროვე საომარი ტექნიკის საშინელი დამანგრეველი ძალის საცდელ პოლიგონად ქცევა ეწერა. გერმანელებმა იქ მანამდე არნახული მასშტა-

ბის საჰაერო დაბომბვა განახორციელეს, ხოლო მათმა არტილერიამ ქალაქი ნანგრევებად აქცია. ოქტომბერში სულ რამდენიმე შენობაღა იდგა. მაგრამ საბჭოთა 62-ე არმიის ნაწილები გენერალ-მაიორ ვასილი ჩუიკოვის სარდლობით ვოლგის დასავლეთ ნაპირზე სტალინგრადის ნანგრევებში კვლავ ინარჩუნებდნენ პოზიციებს.

ჩუიკოვის ტაქტიკამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოელების წარმატებულ თავდაცვაში. მან თავის შენაერთებს უბრძანა, გერმანელების ფრონტის ხაზთან რაც შეიძლება ახლოს განლაგებულიყვნენ. ეს დიდად უზღუდავდა გერმანელებს არტილერიისა და ავიაციის გამოყენების შესაძლებლობას. „ჩვენი დევიზი იყო არ დავშორებოდით მტერს“, ამბობს ჩუიკოვის მაშინდელი შტაბის უფროსი ანატოლი მერეჟკო. „მტერსა და ჩვენს შორის მანძილი 50-100 მეტრზე მეტი არ უნდა ყოფილიყო“.

გერმანელები ჯერ გაოცებამ, შემდეგ კი სასონარკვეთამ შეიპყრო, როცა ნახეს, თუ რა თავგანწირვით იცავდნენ საბჭოელები თითოეულ გოჯ მიწას. გერმანელთა 305-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცი ჰელმუტ ვალცი[28] იხსენებს სტალინგრადის ბრძოლის ერთ ეპიზოდს, თუ როგორ ახადა თავის ქალა მის ოფიცერს საბჭოთა ჯარისკაცის ნასროლმა ტყვიამ: „მისი ტვინი დავინახე, თავიდან სისხლი კი არა, წყალისმაგვარი სითხე გადმოსდიოდა“. ოქტომბრის იმ ერთ დღეში სტალინგრადში ვალცის სამოცდაათკაციანი ქვედანაყოფი მთლიანად განადგურდა: „ყველა დაიღუპა ან დაიჭრა – საღსალამათი არავინ დარჩენილა“. გერმანელები იმდენ მეომარს კარგავდნენ, რომ, იოახიმ სტემპელის თქმით, „მალე ალბათ ცოცხალი აღარავინ დარჩებოდა. ვიცოდით, რომ რუსები ვოლგის გაღმიდან ღამღამობით ახალ შევსებას იღებდნენ, მაგრამ რას ვიზამდით; ჩვენ შევსების გარეშე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა გვებრძოლა “.

დღესაც კი, თუ ვინმე გაზაფხულზე თოვლის დადნობის შემდეგ სტალინგრადის მაღლობებს შემოივლის, უთუოდ წაანყდება ადამიანის ძვლების ნამსხვრევებს, რომლებითაც ველებია მოფენილი. ამ ბრძოლაში ურიცხვი ადამიანი დაიღუპა... არავინ იცის მათი ზუსტი რაოდენობა, თუმცა დღემდე არსებული ვარაუდით წითელმა არმიამ სტალინგრადში დაახლოებით ნახევარი მილიონი მეომარი დაკარგა, ხოლო ვერმახტმა – დაახლოებით ორასი ათასი. თუ ამ ციფრებს მოკავშირეთა დანაკარგებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ მხოლოდ ამ ერთ ბრძოლაში იმაზე მეტი საბჭოთა მებრძოლი დაიღუპა, ვიდრე მთელ ომში ყველა ბრიტანელი და ამერიკელი ერთად აღებული.

ამ მოვლენების ფონზე გააანალიზა ომის მსვლელობა სტალინმა თავის 1942 წლის 7 ნოემბრის გამოსვლაში[29]. „მიმდინარე წლის დასაწყისში“, თქვა მან, „წითელმა არმიამ გერმანულ-ფაშისტურ ძალებს ძლიერი დარტყმა მიაყენა. მოიგერია რა გერმანელთა შემოტევა მოსკოვზე, ხელთ იგდო ინიციატივა, შეტევაზე გადავიდა და გერმანელები უკუაგდო, რითაც ჩვე-

ნი ქვეყნის გარკვეული ტერიტორიები გერმანელთა ბატონობისგან იხსნა. ამით წითელმა არმიამ აჩვენა, რომ ხელსაყრელ პირობებში გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურება შეუძლია". 1942 წლის პირველი ნახევრის ასეთი ოპტიმისტური შეფასების შემდეგ სტალინმა უფრო რეალისტურად ისაუბრა ომის შემდგომი მსვლელობის შესახებ: „მაგრამ ზაფხულში ფრონტზე ვითარება გაუარესდა. გერმანელებმა ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობით ისარგებლეს, ყველა რეზერვი აამოქმედეს, უკრაინის ფრონტზე იერიში გააძლიერეს და გაარღვიეს კიდეც იგი. მძიმე დანაკარგების ფასად მათ წინ წაიწიეს სამხრეთის მიმართულებით და სტალინგრადს, შავი ზღვის სანაპიროებს, ქალაქ გროზნოს და ტრანსკავკასიის მისადგომებს დაემუქრნენ... სტალინგრადთან შეფერხებისა და ათეულ ათასობით მებრძოლის დაკარგვის შემდეგ, მტერმა ახალი ძალები გადმოისროლა და ყველა ღონეს ხმარობს ქალაქის ასაღებად. საბჭოეთ – გერმანიის ფრონტზე სამკვდრო – სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებს. ამ ბრძოლის შედეგზეა დამოკიდებული საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბედი. წითელ არმიაზე ჰიტლერული გერმანიისა და მისი დამქაშების წინააღმდეგ წარმოებული ომის ლომის წილი მოდის". ამ გამოსვლაში აშკარად იგრძნობა, რომ სტალინის გამწარებულია მეორე ფრონტის არარსებობის გამო. კიდევ უფრო პირდაპირი იყო მისი გამოსვლა წინადღით დეპუტატთა ყრილობაზე, როცა დასავლელი მოკავშირენი ღიად გააფრთხილა, რომ „მეორე ფრონტის არარსებობა შეიძლება ცუდად დასრულდეს ყველა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნისთვის, მათ შორის თვით მოკავშირეებისთვისაც".

ამის შემდეგ ზუსტად ორ დღეში, 8 ნოემბერს, დასავლელმა მოკავშირეებმა მეორე ფრონტის მსგავსი რამ გახსნეს – განახორციელეს ჩრდილოეთ აფრიკაში შეჭრა ოპერაცია „ჩირაღდნის" (*Torch*) ფარგლებში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო სტალინის მიერ მოთხოვნილი მეორე ფრონტი – ლა-მანშის გადაკვეთა, რასაც აღმოსავლეთის ფრონტიდან დასავლეთით გერმანელთა ძალების გადანაწილება უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ, იმისდა მიუხედავად, რომ ოპერაცია „ჩირაღდნის" განსახორციელებლად ატლანტიკის ოკეანე ასი ათასამდე მეომრით დატვირთულმა ექვსასმა გემმა გადასერა, სტალინი ამ გაერთიანებულ ძალისხმევას წითელი არმიის ბრძოლების მასშტაბებთან შედარებით მაინც უმნიშვნელოდ მიიჩნევდა. „როგორ შეძლეს ამის გაკეთება?" – დასვა მან რიტორიკული შეკითხვა. „როგორ და ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობამ მისცა მათ ასეთი ურისკო ოპერაციის ჩატარების საშუალება"[30]. მან განმარტა, რომ იმ დროს, როცა წითელი არმია აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელთა 240 დივიზიას უპირისპირდება, დასავლელი მოკავშირენი გერმანელთა და იტალიელთა მხოლოდ 15 დივიზიას ებრძვიანო.

სტალინის ამ შედარების სისწორის კიდევ ერთი დასტური იყო ოპერაცია „ურანი“, რომლის განხორციელებას საბჭოელები 1942 წლის 19 ნოემბერს შეუდგნენ. მილიონზე მეტმა წითელარმიელმა მიიღო მონაწილეობა გერმანელთა ალყაში მოქცევის ამ მცდელობაში და ყველა მათგანმა მოისმინა ბელადის სიტყვა, რომელიც შეტევის წინ დილის ექვს საათზე წაუკითხეს. „დღეს თქვენ იწყებთ შეტევას“, თქვა სტალინმა ამ მიმართვაში, „და თქვენს ბრძოლაზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედი“.

იმ ჯარისკაცების აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ვინც ეს სიტყვები მოისმინა, სტალინი ლამის ზებუნებრივი არსება იყო. ისინი აღზრდილნი იყვნენ კინოთეატრებში ნაჩვენები პროპაგანდისტული ფილმებით და საბჭოთა სკოლის მასწავლებელთა შეგონებებით, რომლებიც ერთსა და იმავეს ღაღადებდნენ: სტალინი უდიდესი ბელადი და აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და რწმენის განსახიერებაა. მათ სჯეროდათ, რომ მოსკოვში მისმა ყოფნამ ერთი წლის წინ დედაქალაქი გადაარჩინა და ახლაც მისი რწმენა გაამარჯვებინებდა მათ სტალინგრადის ბრძოლაში.

ამჯერად უკვე საბჭოთა სამხედრო ძალებმა მოუწყვეს სიურპრიზი გერმანელებს. მათ შეძლეს შეტევისთვის საიდუმლოდ მომზადებულიყვნენ და ეს იმით მოახერხეს, რომ ომის ისტორიაში არნახული მასშტაბის სატყუარა შეაჩერეს მოწინააღმდეგეს: ცრუ კომუნიკაციები ააგეს და მათზე ცრუ მოიერიშე ძალები განათავსეს. მე-5 სატანკო არმიის ოფიცერი ივან გოლოკოლენკო[31], რომელიც ამ სატყუარების აგებაში მონაწილეობდა, გვიამბობს: „ეს იყო ხიდების, ტექნიკისა და ცოცხალი ძალის ფიტულები, რომლებიც ნამდვილი შეტევის ადგილებიდან მოშორებით განვალაგეთ“. რაც შეეხებოდა შეტევისთვის საჭირო ნამდვილ ხიდებს, ისინი გერმანული სადაზვერვო თვითმფრინავისთვის უხილავი რჩებოდნენ: „ეს ხიდები წყალქვეშ 50-70 სანტიმეტრის სიღრმეზე განვალაგეთ და თვითმფრინავიდან მათი ამოცნობა შეუძლებელი იყო“.

წითელმა არმიამ მოახერხა, გერმანელების მალულად მილიონზე მეტი მეომარი და მათი აღჭურვილობა მოემზადებინა; გერმანელები საკუთარ თვალებს არ უჯერებდნენ, როცა დაინახეს, თუ როგორ შეესივნენ საბჭოელები მათ ფლანგებს და შემუსრეს უნგრელთა, იტალიელთა და რუმინელთა შენაერთები. ამ ბრძოლიდან 60 წლის შემდეგაც კი აშკარაა გერმანული მე-6 არმიის მაშინდელ მეომართა უკმაყოფილება თავიანთ მოკავშირეთა არასაკმარისი ბრძოლისუნარიანობით. ამ არმიის ერთ-ერთი ვეტერანი იმდროინდელ ხუმრობას იხსენებს: ახალ იტალიურ ტანკს თურმე ექვსი სიჩქარე ჰქონია, აქედან ხუთი – უკუსვლისო.

მაგრამ გერმანელთა მოკავშირეების ამ თითქოსდა არასაკმარისი ეფექტიანობის გარდა, თავად საბჭოთა არმიის ბრძოლის მეთოდებიც ბევრად გაუმჯობესდა ოპერაცია „ურანის“ დროს. საქმე ისაა, რომ სტალინი ამ

ოპერაციის დაგეგმვისას ძირითადად უკვე თავისი სამხედრო ექსპერტების, კერძოდ კი მარშლების – ჟუკოვისა და ვასილევსკის რჩევებს ეყრდნობოდა და არა საკუთარ ინსტიქტებს, როგორც ეს ხარკოვის დამღუპველი ბრძოლების დროს მოხდა რამდენიმე თვით ადრე. სტალინი საბჭოთა სამხედრო სტრატეგიის შემუშავებისას ყოველთვის ფლობდა გადამწყვეტი სიტყვის უფლებას, მაგრამ ახლა იგი სხვების აზრსაც ისმენდა და იზიარებდა. 9 ოქტომბერს მან „ერთპიროვნული მეთაურობის" ინსტიტუტიც კი აღუდგინა თავის გენერლებს, გაათავისუფლა რა ისინი „ორმაგი მეთაურობის", ანუ პოლიტიკური ოფიცრების (კომისრების) კონსულტაციებისგან. ამ ცვლილებამ, ასევე შეიარაღების, ადმინისტრირებისა და ტაქტიკის გაუმჯობესებამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო – ოპერაციის დაწყებიდან სულ რაღაც ოთხ დღეში ბრწყინვალე საბრძოლო მანევრების შედეგად სხვადასხვა ფლანგებიდან ორი საბჭოთა მოიერიშე სატანკო კორპუსი ქალაქ კალაჩთან ერთმანეთს შეუერთდა. სტალინგრადში მებრძოლი გერმანული მე-6 არმია ხაფანგში გაბმული აღმოჩნდა.

უნდა ითქვას, რომ ამ არმიის ბედი ნაწილობრივ იმანაც განსაზღვრა, რომ ადოლფ ჰიტლერმა ვერ შეძლო ადეკვატურად აღექვა მოვლენები. სტალინისგან განსხვავებით, რომელიც ომის მსვლელობასთან ერთად სულ უფრო და უფრო ნაკლებად ერეოდა ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, ჰიტლერი საპირისპიროს აკეთებდა. იმის ნაცვლად, რომ ოპერაცია „ურანის" საწინააღმდეგო მოქმედებების დასაგეგმად სამხედრო სპეციალისტების თათბირი მოეწვია, მან იმ კრიტიკულ სიტუაციაში დასვენება გადაწყვიტა და ბავარიის მთებში განმარტოებულ ბერგჰოფის სასახლეს მიაშურა. საბჭოელთა ფართომასშტაბიანმა შეტევამაც კი ვერ შეარყია მისი თავდაჯერებულობა. ალბათ ფიქრობდა, რა უნდა დააკლოს წითელმა არმიამ მასზე ბევრად უფრო ძლიერ გერმანულ სამხედრო მანქანას? ეს ილუზია მას არმიის გენშტაბის უფროსმა, პირმოთნე გენერალმა ზეიცლერმაც გაუღვივა წინა თვეში გაკეთებული დასკვნით, წითელ არმიას არ შესწევს ძალა, რაიმე სერიოზული შედეგის მომტანი ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელოსო[32].

ამ ყველაფრის გამო ოპერაცია „ურანზე" გერმანელთა პასუხი არაადეკვატური იყო, ხოლო როცა გერმანიის ხელისუფლებამ ბოლოს და ბოლოს გააცნობიერა მე-6 არმიის წინაშე წამოჭრილი უზარმაზარი პრობლემა, ამ პრობლემის გადასაჭრელად ერთობ სასაცილო და გაუმართლებლად ოპტიმისტური გზა აირჩია. ჰერმან გერინგმა ჰიტლერს პირობა მისცა, რომ მისი საჰაერო ძალები მე-6 არმიის მოსამარაგებლად საჰაერო ხიდს უზრუნველყოფდნენ მის გათავისუფლებამდე. ასეთი ოპერაცია წარმატებით განხორციელდა იმავე წლის დასაწყისში დემიანსკთან გარშემორტყმული გერმანული შენაერთების საშველად, მაგრამ მისი მასშტაბი მე-6

არმიისთვის საჭირო დახმარებასთან შედარებით გაცილებით მცირე იყო. მაინც გადაწყდა, რომ სანამ ფელდმარშალი ფონ მანშტეინი სახმელეთო ძალებით სტალინგრადში მომწყვდეული არმიის გამოსახსნელად ოპერაცია „ქარიშხალს" (*Tempest)* განახორციელებდა, გერინგის საჰაერო ხიდი მისი ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. მაგრამ როგორც ოპერაცია „ქარიშხალი", ასევე საჰაერო ხიდის იდეა კატასტროფული მარცხით დასრულდა. ლუფტვაფემ ოდნავაც ვერ უზრუნველყო მე-6 არმია საჭირო მომარაგებით – 1942 წლის ქრისტეშობის დღესასწაულზე არმიის მეომრები იძულებული გახდნენ საკვებად საკუთარი ცხენები დაეკლათ, ხოლო ფონ მანშტეინის მაშველი ძალები წითელმა არმიამ უკუაგდო.

1942 წლის 1 თებერვალს მე-6 არმია საბჭოელებს დანებდა. ფელდმარშალი პაულიუსი წითელმა არმიამ ცოცხალი შეიპყრო, რამაც ჰიტლერი გააცოფა. მან სულ რაღაც ორი დღის წინ პაულიუსს ფელდმარშალის წოდება მიანიჭა, რითაც მიანიშნა, რომ ის მტერს ცოცხალი თავით არ უნდა ჩაბარებოდა, რადგან არც ერთი გერმანელი ფელდმარშალი მანამდე ტყვედ არ აუყვანიათ. პაულიუსთან ერთად კი საბჭოელებმა კიდევ ოთხმოცდაათი ათასზე მეტი გერმანელი და მათი მოკავშირე დაატყვევეს.

ეს იყო წითელი არმიისა და სტალინის მმართველობის ბრწყინვალე გამარჯვება, თუმცა იმდენად დიდი აღმოჩნდა მისთვის გაღებული მსხვერპლი, რომ სიხარულს მწუხარება ჩრდილავდა. მრავალი საბჭოელისთვის სტალინგრადი იმის თვალსაჩინო მაგალითი იყო, თუ როგორ მიატოვეს ისინი დასავლელმა მოკავშირეებმა. „ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ომის მთელი სიმძიმე საბჭოთა კავშირს აწვებოდა მხრებზე", ამბობს მაშინდელი შინსახკომის თანამშრომელი გრიგორი ობოზნი[33]. „1942 წელს მეორე ფრონტი რომ გახსნილიყო, სხვაგვარი ვითარება იქნებოდა და ეს წელი ასე მძიმე არ აღმოჩნდებოდა ჩვენთვის... დარწმუნებული ვიყავით, რომ მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო ომის მოგება და ისიც საკუთარი სიცოცხლის ფასად. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ჩვენ ვიყავით წამყვანი ძალა".

მეორე ფრონტის გახსნის დასაჩქარებლად და ამ მიზნით დასავლეთზე ზემოქმედების მოსახდენად 1942 წლის შემოდგომაზე საბჭოთა მთავრობამ საქმეში საბჭოთა შემოქმედებითი ინტელიგენცია ჩართო. კარიკატურისტი ბორის ეფიმოვი[34] გვიამბობს: „მხატვრებს, მწერლებს და მუსიკოსებს დაგვავალეს მიგვემართა ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგებისთვის ერთი და იმავე კითხვით: სადაა მეორე ფრონტი?"

ეფიმოვმა ამ შეკითხვით თავის ბრიტანელ კოლეგას დეივიდ ლოუს მიმართა. მან ერთ თვეში მიიღო საპასუხო წერილი, რომელშიც ლოუ მას განუმარტავდა, რომ „თუმცა ინგლისს დიდი სამხედრო ძალა აქვს, მაგრამ ეს ძალა მხოლოდ პოტენციურია". ეფიმოვმა, რომელიც უკვე პირადად დარწმუნდა, რომ დასავლეთი თავს არიდებდა საბჭოთა კავშირისადმი

დახმარებას, გადაწყვიტა თავადაც ჩაბმულიყო ბრძოლაში იმ იარაღით, რომელსაც კარგად ფლობდა – კარიკატურით. 1942 წელს მან ამ იარაღით რამდენიმე თავდასხმა განახორციელა ბრიტანელებზე. პირველი კარიკატურა სამხედრო თათბირზე მსხდომ ექვს ჩასუქებულ ინგლისელ გენერალს განასახიერებდა. თითოეულს თავისი წარწერა ჰქონდა: „გენერალი ზოზინა", „გენერალი „ვაითუ გვცემონ" და ა.შ. მაგიდის მეორე მხარეს ორი პოლკოვნიკი იყო გამოსახული, რომელთა ჩაფხუტებზე ეწერა „სიმამაცე" და „გამბედაობა". „ამით მინდოდა ხაზი გამესვა", ამბობს ეფიმოვი, „რომ ინგლისში არსებობდნენ მეორე ფრონტის როგორც მომხრენი, ისე მონინააღმდეგენი. ეს კარიკატურა სტალინს აჩვენეს. მან დასტური მისცა და კარიკატურა პრავდაში გამოქვეყნდა. ისეთი დელიკატური მასალის გამოქვეყნებას, რომელიც დასავლელ მოკავშირეებთან უთანხმოებას ეხებოდა, სტალინის ნებართვა სჭირდებოდა".

ეფიმოვმა მეორე კარიკატურაში უკვე კონკრეტული პიროვნების – უინსტონ ჩერჩილის გაშარჟება გადაწყვიტა. „იმ ხანებში ჩერჩილის ქცევით გამოწვეული ერთგვარი იმედგაცრუება სუფევდა", ამბობს იგი, „რასაც მეც ვიზიარებდი. ჩვენში ჩერჩილს არასანდო ადამიანის, ვერაგი და ციინიკოსი პოლიტიკოსის რეპუტაცია ჰქონდა". ამჯერად ეფიმოვმა პირველი კარიკატურის ვარიაცია შექმნა, რომელზეც ისევ გაბღენძილი გენერლები იყვნენ გამოსახული, ხოლო ორი პოლკოვნიკის ადგილზე ამჯერად ჩერჩილი გამოჭიმულიყო ვისკის ორი ბოთლის მიღმა. „ამით ჩერჩილის ხასიათი გადმოვეცი. ყველამ იცოდა, რომ იგი დილაობით ვისკის დიდ ულუფას მიირთმევდა ხოლმე... არავისთვის არ ყოფილა საიდუმლო სასმელისადმი მისი მიდრეკილება და არც თვითონ მალავდა ამას. ამიტომ ამ კარიკატურაში მის დამამცირებელს ვერაფერს ვხედავ".

ეჭვგარეშეა, რომ დასავლელ მოკავშირეებზე, კერძოდ კი ჩერჩილზე განხორციელებული ეს ვირტუალური თავდასხმაც სტალინის მიერ იყო სანქცირებული და ნიშანდობლივია, რომ მას შეეძლო ასე აგდებით მოპყრობოდა თავის მოკავშირეებს. მეორე მხრივ, ეს იყო კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოთა ხელისუფლება და პირადად სტალინი მეორე ფრონტს. „ყველა ამბობდა, ამერიკა მეორე ფრონტის გახსნას იმიტომ აყოვნებს, რომ გერმანელებმა და რუსებმა ერთმანეთი ამოხოცონო", ამბობს შინსახკომის თანამშრომელი ვასილ ბორისოვი. აშკარაა, რომ ასე ფიქრობდა სტალინიც. საბჭოთა დიპლომატი ვლადიმერ იეროფიევი[35], რომელიც ზოგჯერ სტალინის თარჯიმნობასაც ეწეოდა, იხსენებს, თუ როგორ გამოხატა საბჭოთა ლიდერმა საკუთარი აზრი ამ თემაზე ომისშემდგომ კრემლში ერთ-ერთ ფრანგ სტუმართან შეხვედრისას: „სტალინმა თქვა, რომ იგი დიდი სასოებით ელოდა მეორე ფრონტის გახსნას, მაგრამ ის მხოლოდ მაშინ გახსნეს, როცა უკვე ევროპაში ვიყავით,

რადგან ჩვენმა მოკავშირეებმა ეს საფრთხედ აღიქვეს და შეეშინდათ, რომ ძალიან ღრმად შევიჭრებოდით ევროპაში".

სტალინგრადთან საბჭოელების გამარჯვებამ არა თუ შეანელა, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა სტალინის სურვილი, გახსნილიყო მეორე ფრონტი. მართალია მე-6 არმია განადგურდა, მაგრამ საბჭოელებს წინ ჯერ ისევ ძლევამოსილი გერმანული საომარი მანქანა ეღობებოდათ. საჯარისო დაჯგუფება A ოსტატურად გაეცალა კავკასიას და ჯერ ისევ უზარმაზარ დაბრკოლებას ქმნიდა სამხრეთის ფრონტზე. საბჭოელებს თავიანთი ქვეყნის ჯერ კიდევ 1600 კილომეტრზე მეტი ჰქონდათ გადასალახი, ვიდრე გერმანელებს 1941 წლის დროინდელ საზღვრებამდე უკუაგდებდნენ. გარდა ამისა, იმ დროისთვის ჯერ ისევ არსებობდა ერთი ქრონიკული პრობლემა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა საბჭოთა ხელისუფლებას: გააღნევდა თუ არა ბოლოს და ბოლოს საბჭოთა არმია იმ მოჯადოებული წრიდან, როცა იგი ზამთარში აკავებდა და ამარცხებდა კიდეც გერმანელებს, ხოლო გაზაფხულზე და ზაფხულში ვერმახტი ისევ უკან მიერეკებოდა? 1941 წლის ზამთარში ნითელმა არმიამ მოსკოვის მისადგომებთან გაიმარჯვა და ახლაც 1942 წლის ზამთარში სტალინგრადთან გამარჯვებას მიაღწია. მაგრამ ყველას ასევე კარგად ახსოვდა საბჭოელთა დამარცხება კიევთან და მინსკთან 1941 წლის ზაფხულში და ხარკოვზე შეტევის სამარცხვინო ჩაშლა 1942 წლის ზაფხულში. ჰოდა, საკითხავი იყო, რა ბედი ელოდა წითელ არმიას ამჯერად უკვე 1943 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში, როცა სტეპები გაშრებოდა და გერმანელები შეძლებდნენ თავიანთი სამხედრო ტექნიკის უპირატესობის რეალიზაციას?

დასავლელი მოკავშირეები, მეორე ფრონტი და კატინი

იმდენად დიდი იყო სტალინის შეშფოთება 1943 წელს წითელი არმიის წინაშე წამოჭრილი სავარაუდო საშიშროებებით, რომ 1942 წლის 14 დეკემბერს იგი ლამის მუხლმოდრეკილი ევედრებოდა დასავლელ მოკავშირეებს, შეესრულებინათ, როგორც თვითონ ამბობდა, „ნაკისრი ვალდებულება" მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე. „დარწმუნებული ვარ", წერდა იგი, „რომ დასაკარგი დრო აღარაა და თქვენი დაპირება, ბ-ნო პრეზიდენტო და ბ-ნო ჩერჩილ, 1942 წელს ან 1943 წლის გაზაფხულზე მეორე ფრონტის გახსნის თაობაზე შესრულდება და დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების საერთო ძალისხმევით მართლაც გაიხსნება ევროპაში მეორე ფრონტი მომავალ გაზაფხულზე"[36].

შუა თებერვალში ბრიტანელთა და ამერიკელთა სახელით ჩერჩილმა უპასუხა, რომ მისი დაჟინებული მოთხოვნა ლა-მანშის გადაკვეთის თაო-

ბაზე, 1943 წლის აგვისტოში ან სექტემბერში შესრულდებოდა იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნებოდა „გერმანელთა თავდაცვისუნარიანობის მდგომარეობა“[37]. ეს ვადები ჯერ კიდევ ემთხვეოდა პრემიერ-მინისტრის მიერ სტალინისადმი მოსკოვში შეპირებულ ვადას, როცა მან გააჟღერა, რომ „ბრიტანეთის და ამერიკის მთავრობები 1943 წელს დიდი ოპერაციის განხორციელებისათვის ემზადებიანო“. მაგრამ იმ რეალობის გააზრებამ, რომ ნანატრ მეორე ფრონტს არც 1943 წლის გაზაფხულზე ეწერა გახსნა, სტალინს კიდევ უფრო გაუმძაფრა ეჭვები და ბოღმა. სწორედ ამ მძიმე პერიოდს დაემთხვა იმ საშინელი დანაშაულის გახსნა, რომელიც საბჭოელებმა სამი წლის წინ, 1940 წლის გაზაფხულზე ჩაიდინეს და რომელმაც ალიანსში ლამის მისი დამშლელი განხეთქილება გამოიწვია.

1943 წლის 9 აპრილს იოზეფ გებელსმა თავის დღიურში ჩაწერა: „სმოლენსკთან ახლოს აღმოჩენილი იქნა მასობრივი სამარხები. ბოლშევიკებმა გაუსამართლებლად დახვრიტეს და საერთო საფლავებში დამარხეს დაახლოებით 10 000 პოლონელი პატიმარი“. ბერლინის რადიომ ეს ამბავი ორ დღეში მთელ მსოფლიოს მოსდო. კატინის ტყეში 2-დან 3,5-მდე მეტრის სიღრმის რვა მასობრივი საფლავი იპოვეს, რომლებიც ადამიანთა გახრწნილი გვამებით იყო სავსე. მათი უნიფორმისა და სხვა ჩაცმულობის თანახმად ისინი ყველა პოლონელები – უპირატესად პოლონელი ოფიცრები იყვნენ.

გერმანელები ყველანაირად ცდილობდნენ ამ დანაშაულის გამომზეურებას. დიმიტრი ხუდიხი[38], იმხანად ჯერ კიდევ მოზარდი, ერთ-ერთი იყო რუსეთის იმ მოქალაქეთაგან, რომლებიც გერმანელებმა კატინის ტყეში წაიყვანეს ამ საზარელი დანაშაულის აღმოჩენის დასამოწმებლად. „ისინი ეგსჰუმაციას გვაყურებინებდნენ“, ამბობს იგი. „საშინელი სუნი იდგა... გვამებს პალტოები ეცვათ და გერმანელები მათ ტანსაცმელს ჩხრეკდნენ, მათარებს, საათებს და სხვა ნივთებს აგროვებდნენ საჩვენებელი გამოფენისთვის. [გვამებს] სახეები გაშავებული ჰქონდათ“. დიმიტრი ხუდიხი საკმაოდ გულგრილად აღიქვამდა ამ სულისშემძვრელ სანახაობას: „ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით და დიდად არაფერი გვანაღლებდა. გერმანელების დახოცილი რუსი ტყვეებიც გვყავდა ადრე ნანახი“.

გერმანელთა აღმოჩენა საზარელი სამხედრო დანაშაულის უცილობელ ნივთმტკიცებას წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებს აშკარად მოკავშირე ქვეყნის ოფიცრები ჰყავდათ დახოცილი. პოლონური პრესისთვის და, რასაკვირველია, გაძევებული პოლონეთის მთავრობისთვისაც ნათელი იყო, რომ პასუხი საბჭოელებს მოეთხოვებოდათ. მათ მშვენივრად იცოდნენ ამ დანაშაულის წინა ისტორია: აღმოსავლეთ პოლონეთში საბჭოელების შეჭრისთანავე დააპატიმრეს პოლონელი ოფიცრები და ელიტის სხვა წარმომადგენლები და მათი უმრავლესობა 1940 წლის გაზაფხულზე გაუჩინარდა. იმ დროიდან მათგან არავის მიუღია არც წერილი და არც

რაიმე სხვა ინფორმაცია. პოლონეთის მთავრობას ასევე კარგად ახსოვდა საბჭოთა ხელისუფლებისა და კერძოდ სტალინის მიკიბულ-მოკიბული და, როგორც ახლა აღმოჩნდა, უაღრესად ცინიკური რეაქცია მათ მოთხოვნაზე პოლონელი ოფიცრების ადგილსამყოფელის გამხელის შესახებ.

დასავლეთის პრესაში დაბეჭდილ ანტისაბჭოთა პუბლიკაციებს, რომელთა უმრავლესობა პოლონელთა საფუძვლიან ეჭვებს და ვარაუდებს იზიარებდა, საბჭოთა ხელისუფლება უაღრესად თავხედური გზით შეებრძოლა: იგი გაღმა შეედავა ემიგრაციაში მყოფ პოლონეთის მთავრობას. 1943 წლის 19 აპრილის „პრავდაში" გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ჰიტლერის პოლონელი დამქაშები". ამ სტატიაში საბჭოელები პირდაპირ ადანაშაულებდნენ პოლონელებს გერმანელებთან ალიანსში. „პრავდის" მტკიცებით, რადგან გერმანული და პოლონური მედია ორივე უარყოფდა კატინის ისტორიის საბჭოურ ვერსიას, ისინი ერთმანეთთან იყვნენ შეთქმული, ხოლო პოლონეთის თავდაცვის მინისტრი „პირდაპირ და აშკარა დახმარებას უწევს ჰიტლერელ პროვოკატორებს". ამასთან, პოლონეთის ემიგრირებული მთავრობის ნებისმიერი მონაწილეობა გერმანელების მიერ ამ მასიური მკვლელობის დეტალების გარკვევაში „საბჭოთა კავშირისათვის მუხანათურად ზურგში ლახვარის ჩაცემად" მოიაზრებოდა.

ამგვარად საბჭოელები თავიანთი დანაშაულის მიჩქმალვას მტკნარი სიცრუით ცდილობდნენ და ამ პროცესში განზრახ დამახინჯებულად წარმოაჩენდნენ ლონდონში ემიგრირებული პოლონეთის მთავრობის პოზიციას. მართალია ამ მთავრობის პრემიერ-მინისტრმა გენერალმა სიკორსკიმ არ გამორიცხა წითელი ჯვრის მიერ ამ საქმის გამოკვლევის შესაძლებლობა, მაგრამ მას არასოდეს შეუთავაზებია თანამშრომლობა გერმანელებისთვის. პრავდამ კი პოლონელთა სახელის გატეხვის მიზნით სიკორსკის გერმანულ გამოძიებაში თანამონაწილეობა დასწამა. ამ სიცრუის გზას ადგა, აშკარა სამხილების მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლება ორმოცდაათი წელი, ვიდრე მიხეილ გორბაჩოვმა არ გადაწყვიტა სიმართლე ეთქვა მსოფლიოსთვის.

მაშინ ბრიტანეთის მთავრობა სასწრაფოდ შეეცადა პოლონელების პროტესტის მიჩქმალვას. 24 აპრილს ჩერჩილმა სტალინს მისწერა[39]: „ყველა შესაძლებლობას ვიყენებ ჩვენი ქვეყნის იმ პოლონური გაზეთების გასაჩუმებლად, რომლებიც თავს ესხმიან საბჭოთა მთავრობას და სიკორსკის საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობის მცდელობისთვის". იგი ასევე ცდილობდა სტალინისთვის აეხსნა, რომ პოლონელების მოთხოვნა, რომ საქმე წითელმა ჯვარმა გამოიკვლიოს, უბრალოდ დაემთხვა და არავითარ კავშირში არ ყოფილა გერმანელთა მიერ გამოძიების ჩატარებასთან.

ჩერჩილის ეს დეპეშა მოწმობს, თუ რა ეფექტიანი აღმოჩნდა საბჭოური „გაღმა შეედავეს" სტრატეგია. პოლონეთის მთავრობის გასაოცრად, ახლა უკვე მისი ნევრები გახდნენ ლანძღვის ობიექტები იმის გამო, რომ დაი-

ჩივლეს დანაშაულზე, რომელიც, როგორც ერთი შეხედვითაც ჩანდა, მათი ერთ-ერთი მოკავშირის სინდისზე იყო. ამ დეპეშაში მხოლოდ ერთადერთი მცირე მინიშნება იყო იმისა, რომ ჩერჩილს ამ სკანდალურ საქმეში მთლად საბჭოთა კავშირის მხარე არ ეჭირა. ეს იყო სტალინისათვის იმის შეხსენება, რომ „სიკორსკიმ საბჭოთა მთავრობისა და პირადად თქვენ წინაშე რამდენჯერმე წამოჭრა დაკარგული პოლონელი ოფიცრების საკითხი“.

ჩერჩილის ამ დეპეშის შემრიგებლურმა ტონმა საშუალება მისცა სტალინს უფრო მკაცრი პოზიცია დაეკავებინა საპასუხო დეპეშაში[40]. იგი გულცივად უხდიდა მადლობას პრემიერ-მინისტრს „ამ საქმისადმი გამოვლენილი ინტერესისთვის“ და აცნობებდა, რომ „პოლონეთის მთავრობისადმი დამოკიდებულება უკვე გარკვეულია“ და „ვალდებული ვიყავი გამეთვალისწინებინა საბჭოთა საზოგადოების აზრი, რომელიც უკიდურეს აღშფოთებას გამოხატავს პოლონეთის მთავრობის უმადურობისა და ღალატის გამო“. გამაოგნებელია თავხედობის ის მასშტაბი, რითაც სტალინი აპროტესტებდა ნამდვილად ჩადენილ დანაშაულში მის მხილებას. ასევე მტკნარი სიცრუე იყო იმის მტკიცება, თითქოსდა იგი გადაწყვეტილების მიღებისას „საზოგადოებრივ აზრს“ ეყრდნობოდა (საბჭოთა საზოგადოებას აზრს პარტია და მთავრობა უნერგავდა – მთარგ. შენ.).

25 აპრილს მოსკოვში პოლონეთის ელჩისადმი მიწერილი წერილით[41] მოლოტოვმა ფორმალურად დაადასტურა პოლონეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა. ეს წერილიც მოწმობს მოლოტოვის თავხედურ დამოკიდებულებას იმ ფაქტებისადმი, რომლის თანამონაწილეც თვითონ გახლდათ (მან ხომ თავად მოაწერა ხელი პოლონელი ოფიცრების დახვრეტის ბრძანებას). იგი ბრალს სდებდა პოლონეთის მთავრობას იმაში, რომ „არ გაილაშქრა ვერაგი ფაშისტების ბილწი სიცრუის წინააღმდეგ“. უფრო მეტიც, ამ უსაფუძვლო ბრალდებებთან ერთად მოლოტოვი პოლონელებს მიაწერდა კიდევ ერთ არარსებულ ბრალდებას, რომელიც ფაქტობრივად აშიშვლებდა საბჭოელთა იმდროინდელ პრიორიტეტებს: „საბჭოთა მთავრობის ღრმა რწმენით, ეს მტრული კამპანია პოლონეთის მთავრობამ იმისთვის წამოიწყო, რომ გააძლიეროს ჩვენზე ზემოქმედება და დაგვათმობინოს საბჭოთა უკრაინის, საბჭოთა ბელორუსიისა და საბჭოთა ლიტვის ტერიტორიები“. ამგვარად მოლოტოვი, ამ ორ საკითხს შორის არარსებულ და მის მიერ გამოგონილ კავშირზე დაყრდნობით, კატინის პოლემიკას იყენებდა არა მარტო პოლონელებთან ურთიერთობის გასაყინად, არამედ მათ ტერიტორიებზე საბჭოთა კავშირის პრეტენზიების გასამართლებლადაც.

ამრიგად გერმანელების მიერ კატინში გვამების აღმოჩენიდან სულ რაღაც თორმეტიოდე დღეში საბჭოთა ხელისუფლებამ დამნაშავის სკამიდან ბრალმდებლის სკამზე გადასკუპება მოახერხა. ამასთან სტალინს საშუალება მიეცა ღიად დაეფიქსირებინა საკუთარი უნდობლობა პოლონეთის გა-

ძევებული მთავრობისადმი, რომელიც მას ისედაც არ ეხატებოდა გულზე. წინა წელს მან ეს ანტიპათია საბჭოთა კავშირში ახალჩამოყალიბებული პოლონური არმიისადმი დამოკიდებულებით გაამყლავნა. როცა ნათელი გახდა, რომ გენერალი ანდერსი და მისი თანამებრძოლები საბჭოელების მოთხოვნებს არ ასრულებდნენ და უარს ამბობდნენ წითელი არმიის შემადგენლობაში ცალკეულ ქვედანაყოფებად ემსახურათ, მათ ნება მიეცათ დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი და დასავლელ მოკავშირეებთან ერთად ებრძოლათ. მაგრამ დასავლეთში მებრძოლი „თავისუფალი" პოლონური არმია საბჭოთა კავშირისთვის ისეთივე პოტენციურ პრობლემას წარმოადგენდა, როგორც ლონდონში მყოფი ლეგიტიმური პოლონეთის მთავრობა. ახლა სტალინს ამ ორივე მწვავე პრობლემის გადაჭრის შანსი გაუჩნდა და მან ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა. გერმანელების მიერ მისი სამხედრო დანაშაულის გახსნის ამ კრიტიკულ მომენტში მას და პოლონეთის ლეგიტიმურ მთავრობასა და არმიას შორის მის მიერვე გაჩენილი უფსკრული სამომავლოდ დიდ თავსატეხს გაუჩენს დასავლელ მოკავშირეებს.

მაგრამ 1943 წლის აპრილის იმ უეცარი კრიზისის დროს ჩერჩილს ეჭვი არ ეპარებოდა საკუთარ პოლიტიკურ პრიორიტეტებში. იგი სტალინთან მიმოწერაში პოლონელებს ერთობ დამამცირებლად მოიხსენიებდა: რომ ვაიძულოთ წავიდეს [გენერალი სიკორსკი], მის ადგილზე უარესი მოვაო. კიდევ უფრო პრაგმატული იყო მისი კონფიდენციალური შიგასამთავრობო მიმოწერის შინაარსი. 1943 წლის 28 აპრილს მან ედენს მისწერა, არაფერს გვარგებს სმოლენსკის სამწლიან სასაფლაოებზე მელანქოლიური ხეტიალიო[42].

ამასობაში გერმანული პროპაგანდისტული მანქანა მთელი ძალით ავრცელებდა მისთვის ხელსაყრელი ამ აღმოჩენის ამბავს და მალევე კატინის მოვლენების გამომკვლევი საერთაშორისო კომისია შეიქმნა. მასში მრავალი ცნობილი სასამართლო ექსპერტი შევიდა, მაგრამ მათგან მხოლოდ შვეიცარიელი დოქტორი ფრანსუაზ ნავილი ცხოვრობდა ნაცისტების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. ეს თორმეტი ექპერტი კატინში 28-დან 30 აპრილამდე მუშაობდა და გერმანელებმა მათ ნივთმტკიცებულებანი და მოწმეთა ჩვენებები გააცნეს. რასაკვირველია გერმანელებს არაფერი ჰქონდათ დასამალი, რადგან ეს იყო აღმოსავლეთის ფრონტზე ჩადენილ იმ იშვიათ სამხედრო დანაშაულობათაგან ერთ-ერთი, რომელიც მათ სინდისს არ ამძიმებდა.

კომისიის უკლებლივ ყველა წევრის მიერ დამოწმებული დასკვნა[43] ცალსახად ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ პოლონელები სამი წლის წინ დახოცეს, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ დანაშაული საბჭოელებმა ჩაიდინეს. ექსპერტები მიუთითებდნენ მთელ რიგ მტკიცებულებებზე, რომლებიც საერთო ანგარიშით ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებდა. ჯერ ერთი, პოლონელთა გვამებზე ნაპოვნი არც ერთი დოკუმენტი – წერილი, ფოტო-

სურათი, პირადობის მოწმობა თუ სხვა – არ იყო 1940 წლის აპრილზე გვიან დათარიღებული. მეორე, საერთო სასაფლაოებზე გაზრდილი ნაძვის ხეები ტყის სხვა ხეებთან შედარებით გაცილებით ახალი იყო და სატყეო საქმის ექსპერტმა დაადგინა, რომ ეს ნაძვები დაახლოებით 1940 წლის ზაფხულში იყო დარგული. მესამე, თვითმხილველებმა დაადასტურეს შინსახკომელთა ხშირი შესვლა-გამოსვლა ტყეში 1940 წლის აპრილში და გაიხსენეს, თუ როგორ შეჰყავდათ ტყეში პოლონელებით დატვირთული სატვირთო მანქანები და როგორ ისმოდა ამის შემდეგ სროლის ხმა.

1943 წლის 24 მაისს სერ ოუენ ო'მალეიმ[44], რომელიც ბრიტანეთის ელჩი იყო ლონდონში ემიგრირებულ პოლონეთის მთავრობაში, საგარეო საქმეთა მინისტრს ანტონი ედენს ვრცელი ანგარიში გაუგზავნა კატინის საქმის შესახებ. უწინდელ, 29 აპრილის ანგარიშში მან პოლონელი ოფიცრების გაუჩინარების მრავალი დეტალი გამოააშკარავა. მისი ეს მეორე ანგარიში კი ინგლის-საბჭოეთის ომისდროინდელი ურთიერთობის ისტორიას ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენს.

როცა ამ ანგარიშს წერდა, ო'მალეი ორმოცდათექვსმეტი წლის ბრიტანელი დიპლომატი იყო. მას თავისი კლასისთვის ტრადიციული განათლება ჰქონდა მიღებული ჰაროუსა და ოქსფორდში და საკმაოდ დამოუკიდებელი აზროვნებით გამოირჩეოდა. მოგვიანებით იგი დაწერს, რომ გაკვირვებული დარჩა, როცა საკუთარი კარიერის დასასრულ მხოლოდ ელჩობას მიაღწია, ისიც მესამეხარისხოვან ქვეყანაში – პორტუგალიაში. როცა თავის რამოდენიმე კოლეგას ჰკითხა, რა იყო სამსახურში ჩემი შედარებითი ნარუმატებლობის მიზეზი, როცა არცერთ ჩემს ნამოქმედარს რაიმე კრიტიკა ან უკმაყოფილება არ გამოუწვევიაო, ერთ-ერთმა მათგანმა უპასუხა, ზედმეტად ხშირად ზედმეტად ნაადრევად ზედმეტად მართალი იყავიო[45]. სწორედ ასეთი იყო ო'მალეი კატინის საქმის შესწავლის დროსაც.

ამ ანგარიშში[46] ო'მალეიმ გააანალიზა არსებული სამხილები, რათა ყოველგვარი ტენდენციურობის გარეშე გაერკვია, თუ ვინ ჩაიდინა დანაშაული. მისი დასკვნა გამანადგურებელი იყო: „მაშინ, როცა კატინში საფლავების ამოთხრამდე 10 000 დაკარგული ოფიცრის არავითარი კვალი არ არსებობდა, ახლა ხელმისაწვდომი გახდა მრავალი სამხილი, რომელიც სერიოზულ ეჭვქვეშ აყენებს ამ ხოცვა-ჟლეტაში რუსების უდანაშაულობას". ო'მალეი კატეგორიულად უარყოფდა საბჭოელების ვერსიას, თითქოსდა მათ პოლონელები 1940 წლის გაზაფხულზე კატინის რეგიონში შრომით ბანაკებში გაამწესეს, სადაც ისინი შემდეგ 1941 წლის ზაფხულში გერმანელებმა დახოცეს. ეს მტკიცება არადამაჯერებელი იყო თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოელებს ამის შესახებ არაფერი უთქვამთ მაშინაც კი, როცა პოლონეთის მთავრობა პირველად დაინტერესდა ამ ოფიცრების ბედით. თუ ეს იყო პოლონელების გაუჩინარების მიზეზი, მაშინ რაღა საჭირო

იყო მათი „მანჯურიაში გაპარვის“ მოჩმახვა? თანაც იმ პირობებში, აღნიშნავდა ო'მალეი, როცა შინსახკომი უთვალთვალებს და აკონტროლებს ნებისმიერი ადამიანის ნებისმიერ მოძრაობასო.

ეს ცივი ანალიტიკური მეთოდი, რითაც ო'მალეიმ კატინის შესახებ საბჭოელების უსუსური არგუმენტები გააცამტვერა, მისი ანგარიშის დასკვნითი პარაგრაფების შერბილებულ-შემწყნარებლური ტონისგან მკვეთრად განსხვავდება. ამ პარაგრაფების ყოველი ფრაზა ციტირების ღირსია. აღნიშნავდა რა, რომ „იძულებული გახდა“ დაეჯერებინა საბჭოელების მიერ ამ დანაშაულის ჩადენა (აშკარად კომპრომისული დიპლომატიური შერბილება, რადგან მის მიერვე წინა პარაგრაფებში მოყვანილი სამხილები ეჭვის საფუძველს არ იძლეოდა), ო'მალეი აღიარებდა: „კატინის საქმის გამოაშკარავების პროცესში ხელფეხშეკრული ვიყავით საბჭოთა მთავრობასთან გულთბილი დამოკიდებულების აუცილებლობით, რაც სამხილთა შედარებით უფრო ორჭოფული და რბილი შეფასებით გამოიხატა, ვიდრე ეს ნორმალურ დროს და ნორმალურ პირობებში მოხდებოდა. იძულებული გავხდით შეგვეზღუდა ჩვენი ინტელექტუალური და მორალური მენტალიტეტის ნორმალური და ჯანსაღი ფუნქციონირება; იძულებული გავხდით განზრახ წინა პლანზე წამოგვეწია პოლონელთა თუნდაც მცირეოდენი უტაქტობა თუ იმპულსურობა, ხელი შეგვეშალა მათთვის თავიანთი ტრაგედიის გამოაშკარავებაში და საზოგადოებისა და პრესისათვის წაგვერთმია ამ საქმეში ბოლომდე ჩაძიების ხალისი. ზოგადად იძულებული გავხდით წაგვეყრუებინა მოვლენებისთვის, რომელთა გამომზეურების მოთხოვნას სხვა დროს საქვეყნოდ გავკივით ხოლმე და სრული უარი გვეთქვა იმ თანადგომაზე, რასაც პოლონელებისნაირ მეგობრებს უნდა ვუწევდეთ. ფაქტობრივად ინგლისის კარგი რეპუტაცია ისე გამოვიყენეთ, როგორც მკელელები იყენებენ წინვიანი ხის ტოტებს დახოცილების მისაჩქმალად; და გერმანიის წინააღმდეგ რუსეთის მიერ წარმოებული გმირული და მასშტაბური ომის აქტუალურობის ფონზე ცოტა ვინმეს თუ მოუვა აზრად, რომ სხვაგვარად მოქცევა უფრო ჭკვიანური ან სწორი იქნებოდა“.

მართლაცდა ყველაფერი შთამბეჭდავადაა ნათქვამი და ზუსტადაა გადმოცემული იმ დილემის არსი, რასაც დასავლელი მოკავშირეები საბჭოთა კავშირთან ურთიერთობისას აწყდებოდნენ. მართალია დასავლელმა ლიდერებმა, განსაკუთრებით ჩერჩილმა, ომამდეც კარგად იცოდნენ სტალინისა და საბჭოთა რეჟიმის სისასტიკის შესახებ, მაგრამ ერთი რამეა იცოდე, რომ შენი მოკავშირე სატანისტური ქმედებების ჩამდენია და სულ სხვაა, მას ამ ქმედებების მიჩქმალვაში დაეხმარო. ეს თვალსაზრისი საოცარი სიზუსტითაა გადმოცემული ო'მალეის ანგარიშში: „შეიძლება იმის გაცნობიერება, რომ გარკვეული შეუსაბამობა ჩვენს საჯარო ქცევასა და პირად მრწამსს შორის დასაშვები და გარდაუვალია; მაგრამ ამავდროულად

იმანაც უნდა დაგვაფიქროს, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომ სიმართლეზე უარის თქმამ და ფაქტების მიჩქმალვამ შეიძლება გონება დაგვიბნელოს და მორალური პრინციპები შეგვირყიოს“.

ო'მალეის ანგარიშში პრობლემის ასე ნათლად წარმოჩენას მისი გადაჭრის რაიმე გზის მითითება არ მოჰყოლია. მართალია იგი მხარს უჭერდა იმ დოგმას, რომ „საერთაშორისო სარბიელზე ის, რაც მორალურად მიუღებელია, პერსპექტივაში პოლიტიკურადაც უვარგისია“, მაგრამ კატინის კონკრეტულ საქმეში ვერ ხედავდა იმ აღებული კურსის ალტერნატივას, რომ მიეჩუმათებინათ იგი და ბოლომდე არ გაემხილათ სიმართლე. ანგარიშის ბოლო პარაგრაფში გაჟღერებულია მისი გულწრფელი თხოვნა: „რაკი შეუძლებელია კატინის მოვლენების მიმართ ჩვენი საზოგადოებრივი აზრის შეცვლის სასწრაფო საშუალების გამონახვა, იქნებ ვკითხოთ საკუთარ თავს, თუ როგორ შევინარჩუნოთ, გარკვეული დოზით მაინც, ჩვენი სუფთა სინდისი საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობის აუცილებლობის პირობებში. იქნებ დღესდღეობით შველა მხოლოდ ის იქნება, რომ საკუთარ გულსა და გონებაში მაინც ვიღონოთ რამე, რადგან იქ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი ვართ.. აქ შეგვიძლია დავაბანდოთ ნებისმიერი რაოდენობის მომგებიანი ანაბარი – ჭეშმარიტებისადმი, სიმართლისადმი და თანადგომისადმი ჩვენი ერთგულების მარაგი. თუ ამას ვიზამთ, მაშინ წინასწარ მომზადებული ვიქნებით, მართებულად ვიმსჯელოთ ყველა იმ ნახევრად პოლიტიკურ და ნახევრად მორალურ საკითხებზე (მაგალითად, პოლონელი გადასახლებულების ბედი რუსეთში), რომლებიც მომავალში წამოიჭრება ყველგან, განსაკუთრებით კი პოლონურ-რუსულ ურთიერთობაში“.

ეს იყო ღრმა შინაარსის ემოციური ანგარიში, სადაც, მაღალი მორალური პათოსის მიუხედავად, ო'მალეი ფაქტობრივად აღიარებდა, რომ არ არსებობდა კატინის საქმესთან მიმართებაში ბრიტანეთის მთავრობის მიერ დაკავებული პოზიციის რეალური ალტერნატივა. ამიტომ ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ ეს ანგარიში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები ჩინოვნიკებს, მათ შორის თვით ო'მალეის კოლეგებს აღექვად როგორც თავიანთი პრაგმატიზმის მიმართ შემწყნარებლური ანგარიში.

და მაინც, საგარეო საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი „მანდარინის“ კონფიდენციალურმა კომენტარმა აჩვენა, რომ არ ეთანხმებოდა ო'მალეის ანგარიშს. მაგალითად, უწოდა რა მას „მაღალფარდოვანი, გაუწონასწორებელი და შემაშფოთებელი“, სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა სერ უილიამ დენის ალენმა აღნიშნა, რომ „ფაქტობრივად ბ-ნი ო'მალეი გვირჩევს, ავყვეთ პოლონელთა დამღუპველ მოქმედებას და ჩვენს დიპლომატიაში გონება გრძნობებს დავუმორჩილოთ“[47]. თავის მხრივ, სერ ფრანკ რობერტსმა შენიშნა, რომ ო'მალეის ანგარიში ხაზს უსვამდა იმ სირთულეს, რომელიც შეიძლებოდა წამოჭრილიყო, როცა ომში გამარჯვებულები და-

მარცხებულების გასამართლებას შეუდგებოდნენ: „ნამდვილად უხერხული მდგომარეობაა, როცა მორალური მოტივით ვართ ჩაბმული ომში და ამავე მოტივით ვასამართლებთ ომის დამნაშავეებს მაშინ, როცა თავად ასეთი დანაშაულის ჩამდენი ჩვენი მოკავშირეა".

ბრიტანეთის იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის „ბრძნული" აზროვნების ყველაზე მკაფიო მაგალითი მაინც საგარეო საქმეთა სამინისტროს ძლევამოსილი მუდმივი მდივნის სერ ალექსანდერ კადოგანის გამოხმაურებაა: „ვაღიარებ, რომ ლაჩრულად ავარიდე თავი კატინის სცენას, რადგან მეშინოდა იმის, რასაც იქ დავინახავდი. ვგონებ ვერავინ შენიშნა ის ფაქტი, რომ წმინდა მორალური თვალსაზრისით კატინი სიახლეს არ წარმოადგენს... რამდენი ათასი თავისი მოქალაქე ჰყავს საბჭოთა რეჟიმს გაუღლეტილი?... სრულიად ცხადია, რომ მოცემულ მომენტში რაიმეს გაკეთება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ყოველმხრივ სამართლიანი იქნებოდა მისი [ო'მალეის ანგარიშის] გასაჯაროება. მაგრამ როცა ყველა ვაცნობიერებთ (და ვაღიარებთ), რომ ამ სამხილების უტყუარობას არ ძალუძს გავლენა მოახდინოს ჩვენი პოლიტიკის ვექტორზე, განა ღირს მორალურ კონფლიქტში იმ ზედმეტი პიროვნებების გარევა, რომლებსაც ამ დოკუმენტის წაკითხვა აღაშფოთებთ?"

ო'მალეის ანგარიშზე კადოგანის კომენტარი ნამდვილი დიპლომატიური პოლიტიკის მასტერკლასს წარმოადგენს. მაგრამ მისმა სურვილმა, მიეჩქმალა ეს დოკუმენტი, მიზანს ვერ მიაღწია და ანგარიში ჯერ პრემიერ-მინისტრს, შემდეგ კი მთელ ბრიტანეთის მთავრობას წარუდგინეს. ჩერჩილმა ამ ანგარიშს „სევდისმომგვრელი მოთხრობა" უწოდა[48] და ისიც კი მოითხოვა, რომ მისი ასლები მეფისთვის და ქალბატონი ჩერჩილისთვისაც გადაეგზავნათ. გასარკვევი მხოლოდ მისი შემდგომი გავრცელების მიზანშეწონილობა რჩებოდა, კერძოდ, ეჩვენებინათ თუ არა ანგარიში პრეზიდენტ რუზველტისთვის. საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი ედენმა 16 ივლისს ჩერჩილს მისწერა: „ეს დოკუმენტი პრეზიდენტისთვის არ გაგვიგზავნია, მაგრამ ვაშინგტონის საელჩოში გვაქვს მისი ასლი და თუ გსურთ, გავუგზავნით პრეზიდენტს. მე თუ მკითხავთ, პირადად ამის წინააღმდეგი ვარ. დოკუმენტი საკმაოდ ფეთქებადსაშიში და გარკვეულწილად ტენდენციურია... ის რომ ვინმე შემთხვევით პიროვნებას ან ისეთ კაცს ჩაუვარდეს ხელში, ვისაც საიდუმლო დოკუმენტების გაცნობის ნება არ აქვს, რუსებთან ჩვენი ურთიერთობა დიდ საფრთხეში აღმოჩნდება". წერილის ბოლოს ედენი შენიშნავს: „ჯობია, ეს დოკუმენტი პირადად აჩვენოთ პრეზიდენტს, როდესაც მას შეხვდებით". ეტყობოდა ჩერჩილმა მნიშვნელოვნად მიიჩნია რუზველტის მიერ ამ ანგარიშის გაცნობა და ის 13 აგვისტოს გაუგზავნა მას წერილის თანხლებით, რომელშიც ანგარიშს „კარგად დაწერილი, ალბათ მეტისმეტად კარგად დაწერილი შემაძრწუნებელი ამბავი" უწოდა[49].

წერილში იგი პრეზიდენტს სთხოვდა, წაკითხვის შემდეგ ანგარიში უკან დაებრუნებინა, რადგან მის ოფიციალურად გავრცელებას მაინც არ ვაპირებთო.

საინტერესოა ის ამბავი, რომ ედენიც და ჩერჩილიც ო'მალეის ამ ანგარიშის გამო ერთგვარ უხერხულობას განიცდიდნენ. როგორც ვნახეთ, ედენმა მას „ერთგვარად ტენდენციური", ხოლო ჩერჩილმა – „მეტისმეტად კარგად დაწერილი" უწოდა. მაგრამ რას გულისხმობდნენ ისინი კონკრეტულად? უფრო სავარაუდოა, რომ ეს ანგარიში პოლიტიკურად მიამიტური, მოცემული დროის შეუფერებელი და პრობლემატური მოეჩვენათ. ო'მალეიმ შესაძლებლობათა ბალანსით დაადგინა, რომ საბჭოელებმა უზარმაზარი სამხედრო დანაშაული ჩაიდინეს. ეს კი ისეთი ახალი ამბავი იყო, რომლის მოსმენაც იმ დროისთვის ცოტა ვინმეს თუ სურდა.

ეტყობა პრეზიდენტი რუზველტიც მალევე შეუერთდა იმ ხალხის მზარდ ჯგუფს, რომლებიც ისურვებდნენ, რომ ო'მალეის თავისი აზრები „ქაღალდისთვის" არასდროს გაენდო. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ის მიწერ-მოწერა, რომელიც პრეზიდენტისათვის ამ პატაკის წარდგენას მოჰყვა. წარდგენიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჩერჩილის მდივანმა წერილობითი თხოვნით მიმართა თეთრ სახლს უკან დაებრუნებინათ ანგარიში. ამას კიდევ რამდენიმე თავაზიანი თხოვნა მოჰყვა, თუმცა პატაკი უკან აღარ დაუბრუნებიათ. რუზველტი მას ისეთივე აგდებით მოეკიდა, როგორც მრავალ სხვა, მისთვის „უსარგებლო" მასალას და კომენტარის ღირსადაც კი არ ჩათვალა.

სტალინთან ურთიერთობა მწვავდება

ძნელი მისახვედრი არაა, თუ რატომ არ ისურვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა საერთოდ რამე რეაგირება მოეხდინა კატინის საქმეზე. როგორც ჩანს, დასავლელი მოკავშირეები ამ ფეთქებადსაშიში პრობლემის გარეშეც მეორე ფრონტის დაყოვნების გამო საბჭოთა კავშირთან უკვე პოლიტიკური კრიზისის წინაპერიოდში იმყოფებოდნენ. როდესაც ჩერჩილმა 1942 წლის აგვისტოში სტალინს განუცხადა, რომ დასავლელი მოკავშირეები 1943 წელს „ძალიან დიდ ოპერაციას" გეგმავდნენ, ერთგვარად იკლო მისმა გაღიზიანებამ იმის გამო, რომ 1942 წელს მეორე ფრონტი არ გაიხსნა. ახლა, 1943 წლის მეხუთე თვეს კი სტალინი უკვე კატეგორიულად მოითხოვდა მეორე ფრონტის გახსნის ზუსტი თარიღის დადგენას.

რუზველტი ძალიან განიცდიდა სტალინთან ურთიერთობის გაუარესებას და რაკი ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდა – მას მართლაც არ შეეძლო მოკლე ხანში მეორე ფრონტის გახსნის პირობის მიცემა – გა-

დანყვიტა სიტუაციის გასაკონტროლებლად თავისი ძლიერი პიროვნული თვისება – მომხიბვლელობა გამოეყენებინა. მაგრამ ათეული ათასი კილომეტრის მანძილიდან (და ახლოდანაც – მთარგ. შენ.) სტალინის მოხიბვლა უკიდურესად ძნელი იყო. ამიტომ რუზველტმა განიზრახა სტალინი პირისპირ შეხვედრაზე დაეყოლიებინა. ეს პერსონალური მონვევა უშუალოდ სტალინისთვის რომ გადაეცა, მან სპეციალური დესპანი შეარჩია.

ჯოზეფ დეივისი მდიდარი ვისკონსინელი ადვოკატი და პრეზიდენტის პირადი მეგობარი იყო. იგი 1930-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში ამერიკის ელჩად მსახურობდა და სტალინური რეპრესიების პერიოდის ავადსახსენებელი სასამართლო პროცესების თვითმხილველი იყო. ნიშანდობლივია, რომ მას ჩამოუყალიბდა მცდარი რწმენა, თითქოსდა ამ სასამართლო პროცესებზე წარდგენილთა უმრავლესობა მართლაც აწყობდა შეთქმულებას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ – აზრი, რომელსაც უცნაურად მიიჩნევდნენ საელჩოს სხვა, საბჭოთა რეჟიმის ნამდვილი ბუნების მცოდნე თანამშრომლები[50]. დეივისმა თავის სადესპანო მოღვაწეობას მიუძღვნა წიგნი „მისია მოსკოვში", რომლის საფუძველზე 1943 წელს ჰოლივუდში ფილმიც გადაიღეს. წიგნშიც და ფილმშიც სტალინი წარმოდგენილია როგორც საბჭოთა კავშირის მამამთავარი – გრანდიოზული პიროვნება, რომელმაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გიგანტური პროექტები განახორციელა. ხალხის მასობრივი წმენდა წიგნში ასახულია როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ღონისძიება. მოგვიანებით, 1950-იან წლებში ფილმი გააკრიტიკეს, როგორც პირნავარდნილი პროსაბჭოური პროპაგანდა, მაგრამ მაშინდელ ომის პერიოდში იგი მეტად პოპულარული იყო.

დეივისი რუზველტის შეთავაზების გასაჟღერებლად კრემლს 1943 წლის 20 მაისს ეწვია. იმდენად გასაიდუმლოებული იყო ეს შეთავაზება, რომ სტალინთან შესახვედრად მიმავალმა დეივისმა ამერიკის მაშინდელი ელჩი უილიამ სტანლეიც კი არ წაიყოლა. სტანლეის ეს ძალიან ეწყინა. „ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მუცელში მუშტი მითავაზეს", წერდა იგი. „ეს ნიშნავდა, რომ წერილი, რომელსაც არა მარტო ბატონები სტალინი და მოლოტოვი, არამედ თარჯიმანი პავლოვიც კი გაეცნობოდა, არ შეიძლებოდა ნაკითხული და განხილული ყოფილიყო საბჭოთა კავშირში ოფიციალურად მივლინებული ამერიკის ელჩის თანდასწრებით. მართლაც საკვირველი ამბავია![51]" მეორე დღეს სტანლეიმ საკუთარი ემოციები თავის მეუღლეს გაუზიარა: „არ ვიცი, რა ეწერა იმ წერილში და რა მოხდა კრემლში. ნახევარი ღამე არ მეძინა და ვფიქრობდი რა მექნა. ამიტომაც ვარ ასე აღელვებული[52]".

სტალინთან საუბრის დაწყებისთანავე დეივისმა საბჭოთა ლიდერს განუცხადა, რომ პირადად მას კომუნიზმის არ სჯეროდა, თუმცა გრძნობ-

და „იმის აუცილებლობას, რომ იდეოლოგიური განსხვავების მიუხედავად ჩვენმა მთავრობებმა უნდა ითანამშრომლონ როგორც ომში გამარჯვებისთვის, ისე ომისშემდგომი მშვიდობისთვის“[53]. შემდეგ გამოთქვა ვარაუდი, ბრიტანეთი ომის შემდეგ კარგა ხანს ფინანსურად გაკოტრებული დარჩება და, მსოფლიო რეალობიდან გამომდინარე, ომისშემდგომი მშვიდობა ჩვენი ორი ქვეყნის ერთიანობაზე იქნება დამოკიდებულიო. დეივისმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ მეორე ფრონტის გახსნა ყოვნდებოდა და „ბედის უკულმართობას“ მიაწერა ის ამბავი, რომ აქამდე ბატონ სტალინს არ მიეცა საშუალება პირისპირ შეხვედროდა პრეზიდენტ რუზველტს. მან თქვა, რომ თუმცა ჩერჩილისა და ედენის მიმართ „მხოლოდ პატივისცემას“ გრძნობდა, მათ მაინც თავიანთ ქვეყანაში გაფეტიშებული იმპერიული პოლიტიკის მიმდევრებად მიიჩნევდა. „ამიტომ პრეზიდენტი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მხოლოდ ორი ლიდერის პირისპირ შეხვედრას და მე დამეკისრა მისია გადმოგცეთ პრეზიდენტის პერსონალური და განსაკუთრებული მოწვევა“, დასძინა დეივისმა და სტალინს რუზველტის წერილი გადასცა. სტალინის თარჯიმანი პავლოვი წერილის რუსულად თარგმნას შეუდგა. „სანამ წერილს თარგმნიდნენ“, იხსენებს დეივისი, „სტალინი გაუნძრევლად და ჩუმად იჯდა. მოღუშული და მკაცრი, იგი ქაღალდის ფურცელს დასცქეროდა“.

წერილი ეხებოდა „მხოლოდ ერთ საკითხს“[54] – იმ ზაფხულს რუზველტისა და სტალინის მოსალოდნელ შეხვედრას. პრეზიდენტი მიმოიხილავდა ამ ინტიმური შეხვედრის რამდენიმე შესაძლო ადგილს და კერძოდ აღნიშნავდა: „ისლანდია არ მომწონს, რადგან ჩვენგან ორივესგან შორსაა და თანაც უფრო რთული იქნება, რომ პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი არ მივიწვიოთ“. ამიტომ რუზველტი შეხვედრის საუკეთესო ადგილად ბერინგის სრუტის ამერიკის ან საბჭოთა კავშირის სანაპიროს მიიჩნევდა. სტალინმა, ბუნებრივია, მაშინვე წერილის ყველაზე თვალშისაცემ ნაკლზე მიუთითა, კერძოდ იმაზე, რომ ჩერჩილის მიწვევას არ აპირებდნენ. ის დაინტერესდა, თუ რატომ არ უნდა დასწრებოდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ამ შეხვედრას. დეივისმა უპასუხა, რომ თუმცა რუზველტი და ჩერჩილი „ერთგული მოკავშირეები არიან და პატივს სცემენ ერთმანეთს“, მაგრამ ყველა შეხვედრაზე ერთად არ არიანო.

ამის შემდეგ სტალინის ინიციატივით საუბარი შეეხო ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის თემას. აქ საბჭოთა დიქტატორმა გააჟღერა ის საკუთარი თვალთხედვა, რომელსაც იგი თანმიმდევრულად იმეორებდა მთელი ომის განმავლობაში. მან თქვა, რომ საბჭოთა კავშირს სურდა, ყველა ევროპელ ხალხს თავისი ნებით, გარედან ჩაურევლად არჩეული, თავისუფალი მთავრობა ჰყოლოდა; მას [საბჭოთა კავშირს] არავის მიმართ აგრესიული განწყობა არ ჰქონდა და იგი არავითარ საშინაო თუ საგარეო აგრესიას არ

ახორციელებდა, აუცილებელი საომარი თავდაცვის გარდა. მაგრამ იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მისი მოსაზღვრე ქვეყნების მთავრობები ყოფილიყვნენ რეალურად მეგობრულად განწყობილი და არა ფორმალურად მეგობრულად და ფარულად მტრულად განწყობილი, გამზადებული საიმისოდ, რომ საბჭოეთისთვის ზურგში ლახვარი ჩაეცათ. ამ ფორმულირებას – „რეალურად მეგობრულად და არა ფორმალურად მეგობრულად განწყობილი“ – შემდგომში მრავალი გაუგებრობა და უსიამოვნება მოჰყვა.

შეხვედრის დასასრულ სტალინმა განაცხადა, რომ „დიდი სიამოვნებით“ შეხვდებოდა რუზველტს. მიუხედავად დეივისის დაჟინებული მოთხოვნისა, წინასწარ შეთანხმებულიყვნენ შეხვედრის კონკრეტულ თარიღზე – 15 ივლისზე, სტალინმა ზუსტი დეტალების განხილვა შემდგომისთვის გადადო და მიზეზად „ზაფხულის საომარი ვითარება“ დაასახელა. ეს თემა მან რუზველტისადმი მიწერილ საპასუხო წერილშიც განავრცო და მის მიერ შეხვედრის ზუსტი თარიღის დაუდგენლობა გერმანელების მოსალოდნელ მასიურ შეტევებს დაუკავშირა. მინიშნება აშკარა იყო – საბჭოთა კავშირი განაგრძობდა ძირითადი დარტყმის ობიექტად ყოფნას, ხოლო დასავლელი მოკავშირეები მეორე ფრონტის უსასრულო გადავადებით ყოველდღიურად ზრდიდნენ ამ ომისგან საბჭოთა ხალხისათვის მიყენებულ მატერიალურ ზარალს და მსხვერპლის რაოდენობას.

დეივისის მოსკოვში ყოფნის პერიოდში ჩერჩილი რუზველტთან ერთად ვაშინგტონში ტრიდენტის კონფერენციას მართავდა. ნიშანდობლივია, რომ რუზველტს დეივისის მისიის შესახებ ჩერჩილისთვის არ უცნობებია, თუმცა ყურადღება გაამახვილა მოკავშირეთა საომარ გეგმებზე. მთავარი დისკუსია, რასაკვირველია, მეორე ფრონტის გარშემო გაიმართა. აქ დასავლელ მოკავშირეებს შორის აშკარა უთანხმოება გამოიკვეთა. ამერიკელები ომის დასრულების უმოკლეს გზად ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრას მიიჩნევდნენ, მაგრამ ჩერჩილი არხის გადაკვეთის ოპერაციას სკეპტიკურად უყურებდა და დაჟინებით მოითხოვდა მოკავშირეთა ძალებს მოწინააღმდეგის ღერძის „რბილ მუცელზე“ გაეგრძელებინათ შეტევა. პრაქტიკულად ეს გულისხმობდა 1943 წელს იტალიაში შეჭრას. ჩერჩილის აზრით არხის გადაკვეთის ოპერაციის მთავარი სიძნელე უკავშირდებოდა არა საფრანგეთში შეჭრას და გამაგრებას, არამედ აღმოსავლეთის ფრონტიდან გერმანელთა ძალების შემდგომ მყისიერ გადმოსროლას „მათი შესანიშნავი საავტომობილო გზებისა და რკინიგზის დახმარებით“. მოგვიანებით, 1943 წლის ოქტომბერში ჩერჩილმა კვლავ გამოთქვა შიში იმის გამო, რომ მოკავშირეთა ძალების საფრანგეთში გადასხმის შემთხვევაში გერმანელები მათ „დიუნკერკზე უარეს სამხედრო კატასტროფას მოუწყობენ. მოკავშირეთა ასეთი კატასტროფა კი ჰიტლერისა და ნაცისტური რეჟიმის აღზევებას გამოიწვევს“[55].

ჩერჩილი უფრო ადრე იმასაც სადავოდ მიიჩნევდა, იყო თუ არა ომის მოსაგებად აუცილებელი გერმანიაში შეჭრა. იგი იხსენებდა, თუ როგორ მოიშალა ბლოკადის გამო შიგნიდან გერმანია პირველი მსოფლიო ომის ბოლოს, როდესაც გერმანელი ჯარისკაცები ჯერ ისევ საფრანგეთში იმყოფებოდნენ. იგი ამ ომშიც შესაძლებლად მიიჩნევდა მსგავსი შედეგის მიღწევას ჰაერიდან გერმანიის დაბომბვით. 1942 წლის 21 ივლისს ის წერდა: „გერმანელებს მარტო რომ ვებრძოდით, ვიპოვეთ პასუხი კითხვაზე, თუ როგორ ვაპირებთ ამ ომის მოგებას. ეს პასუხია გერმანიის ჰაერიდან განადგურება“[56]. რამდენიმე დღის შემდეგ, 29 ივლისს ჩერჩილმა თავის კოლეგას კლემენტ ათლის გაანდო: „კარგა ხნის ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ომის მოგების საუკეთესო შანსს ჩვენი დიდი ბომბდამშენები გვაძლევს, რადგან რამდენიმე წელი მაინც იქნება საჭირო, რომ ბრიტანეთისა და ამერიკის სახმელეთო ძალებმა შეძლონ თანაბარ პირობებში გერმანელების დამარცხება ბრძოლის ველზე“[57].

მართალია ეს მსჯელობა სულაც არ მოწმობს, რომ ჩერჩილი მეორე ფრონტის თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ აშკარაა, რომ მისი ღრმა რწმენით, მოკავშირეთა საფრანგეთში შეჭრა მხოლოდ გერმანიის მნიშვნელოვნად დაუძლურების ანუ „რამდენიმე წლის“ შემდეგ იყო შესაძლებელი. მაგრამ არც ის იქნება მართებული, რომ ჩერჩილს სტალინის შეგნებულად მოტყუება დავაბრალოთ 1942 წლის აგვისტოში, როცა 1943 წელს მეორე ფრონტის გახსნას შეპირდა. მაშინ იგი იმედოვნებდა, რომ დათქმულ დრომდე ვითარება შეიცვლებოდა და ხელსაყრელი პირობები შეიქმნებოდა ამ დაპირების შესასრულებლად, თუმცა მისი მოლოდინი არ გამართლდა. სწორედ ეს იმედგაცრუება სუფევდა ტრიდენტის კონფერენციაზე. აქ უკვე ჩერჩილმაც და რუზველტმაც 1943 წელს მეორე ფრონტის გახსნა შეუძლებლად მიიჩნიეს რამდენიმე „პრაქტიკული“ მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანელთა წინააღმდეგობა მოსალოდნელზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, რის გამოც მოკავშირეებმა ვერ მოასწრეს ტუნისის აღება მანამ, სანამ მკაცრი ზამთარი დადგებოდა და გზები გაუვალი გახდებოდა. ნავარაუდევზე უფრო მეტი რესურსები მოითხოვა წყნარი ოკეანის ომის ასპარეზმაც. და ბოლოს, 1943 წლის პირველ თვეებში დასავლელმა მოკავშირეებმა ატლანტიკაში უდიდესი დანაკარგი განიცადეს: მხოლოდ მარტში მათ ოცდაშვიდი სავაჭრო გემი ჩაუძირეს.

ყველაფერმა ამან კიდევ ერთხელ ჩააყენა მოკავშირეები არასახარბიელო პოზიციაში, როცა სტალინისთვის უნდა ეცნობებინათ, რომ 1943 წელს მეორე ფრონტი ვერ გაიხსნებოდა. ჯორჯ ელსეიმ ერთ-ერთმა პირველმა შეიტყო ეს საჩოთირო ამბავი, როცა ჩერჩილმა, რუზველტმა და მათმა თანმხლებმა პირებმა თეთრი სახლის რუკების ოთახს მიაშურეს 1943 წლის 25 მაისს გამთენიისას: „მათ ზედა სართულზე უკვე ივახშმეს და

ახლა უნდა მოემზადებინათ პასუხი სტალინის უკვე არა თხოვნაზე, არამედ მოთხოვნაზე, გაეხსნათ მეორე ფრონტი. დაიწყო დებატები, მაგრამ პასუხს ვერ აყალიბებდნენ. ბრიტანეთის მისიის უფროსმა ვაშინგტონში სერ ჯონ დილმა რაღაც მიკიბულ-მოკიბული პასუხი დაწერა, შემდეგ გენერალმა მარშალმა და ადმირალმა ლიჰიმ რაღაც სიტყვები შეასნორეს და დასაბეჭდად გადმომცეს. ლიჰიმ დაბეჭდილი პასუხი ხმამაღლა წაიკითხა და ყველამ ერთხმად დაასკვნა, რომ ასეთი ორჭოფული პასუხით სტალინი უკმაყოფილო დარჩებოდა".

საბოლოოდ გენერალ მარშალის ძალისხმევით პასუხი შესწორდა და 2 ივნისს საკაბელო შეტყობინებით გაეგზავნა სტალინს. ეს იყო ერთგვარი ლაჩრული შეტყობინება, რომელშიც მეორე ფრონტის თემა სადღაც მეორე პლანზე იყო გადატანილი. მხოლოდ ტექსტის ბოლო რამოდენიმე სიტყვა ეხებოდა ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის თემას: „ ბრიტანეთის კუნძულებზე საომარი ძალებისა და სადესანტო აღჭურვილობის კონცენტრაცია ისეთ დონემდე გაიზრდება, რომ საშუალება მოგვეცეს საჰაერო შეტევების გაძლიერებასთან ერთად 1944 წლის გაზაფხულზე განვახორციელოთ სრულმასშტაბიანი შეჭრა კონტინენტზე".

რუზველტისადმი სტალინის 11 ივნისის საპასუხო დეპეშა ერთობ ცივი იყო. მასში ეწერა: „ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება თქვენი და ბატონი ჩერჩილის მოცემულ პირობას[58]" და „მეორე ფრონტის გახსნა დასავლეთ ევროპაში, რომელიც 1942 წლიდან უკვე გადაიდო 1943 წლამდე, ახლა კვლავ გადაიდო, ამჯერად უკვე 1944 წლის გაზაფხულამდე". სტალინის აზრით, ეს გადაწყვეტილება „უკიდურეს სიძნელეებს" და „მტკივნეულ" შთაბეჭდილებას შეუქმნიდა საბჭოთა ხალხს. ის აღნიშნავდა, რომ გადაწყვეტილება საბჭოთა ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად იქნა მიღებული. მეორე ფრონტის ამ ხელახალი გადავადების ფონზე გამორიცხულია ჩემი და ბ-ნი რუზველტის ყოველგვარი პირადი შეხვედრაო, ასკვნიდა სტალინი. და მხოლოდ ახლა, სტალინის ამ გამანადგურებელი დეპეშის შემდეგ გადაწყვიტა რუზველტმა გაემხილა ჩერჩილისთვის დეივისის მოსკოვური ვოიაჟის დეტალები.

ჩერჩილისთვის ამ დელიკატური ამბის მთქმელად რუზველტმა მარიფათიანი და მდიდარი ამერიკელი არისტოკრატი ავერელ ჰარიმანი შეარჩია. 24 ივნისს დილით დაუნინგ სტრიტზე ჩერჩილთან პირადად შეხვედრისას ჰარიმანმა ხაზი გაუსვა რუზველტსა და სტალინს შორის „პირადი ურთიერთობის დამყარების აუცილებლობას", რისი განხორციელებაც „შეუძლებელი იქნებოდა" სამთა შეხვედრის შემთხვევაშიო. მან ყურადება ამ ორთა შეხვედრის პოლიტიკურ მხარეზე გაამახვილა – რომ ჩერჩილის გარეშე მათი საუბარი სასიკეთო გავლენას მოახდენდა ამერიკულ საზოგადოებაზე, რადგან სამთა სავარაუდო შეხვედრა „ბრიტანეთის მიწაზე" მას უქმნიდა შთაბეჭდილებას,

თითქოსდა ჩერჩილი „შუამავალი" იყო და ყველა საქმეს ის აგვარებდა. ჰარიმანი იმედოვნებდა, რომ ჩერჩილი თუმცა არ მოიწონებოდა ამ მცდელობას, მაგრამ „დადებითი კუთხით შეხედავდა მას"[59].

ჰარიმანი ცდებოდა. ჩერჩილმა ამ ამბავში „დადებითი" ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. მეორე დღეს მან გამანადგურებელი წერილი მისწერა რუზველტს. „უნდა მაპატიოთ ის გულახდილობა, რასაც ჩვენი მეგობრობა და ამ საქმის სერიოზულობა იწვევს ჩემში", წერდა იგი. „თვალს ვერ დავხუჭავ იმ დიდ სარგებელზე, რასაც მტრის პროპაგანდა ნახავს ბრიტანეთის გვერდის ავლით საბჭოთა რუსეთისა და აშშ-ს მეთაურთა შეხვედრაში. ეს იქნება სერიოზული და სავალალო მოვლენა, ამიტომ ბევრი გაკვირვებული და აღშფოთებული დარჩება[60]".

რუზველტის 28 ივნისის პასუხი იყო უბადრუკი მცდელობა გაემართლებინა ეს არშემდგარი შეხვედრა, თუმცა მეორე ფრონტის გადავადებით სტალინის განაწყენების ფონზე ეს იდეა უკვე კვდომას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, ეს პასუხი მაინც საყურადღებოა შესავლის გამო, სადაც წერია: „მე არ შემითავაზებია *UJ*-სთვის [*Uncle Joe* - ძია ჯო, სტალინისადმი რუზველტის მიერ შერქმეული სახელი] ცალკე შეხვედრა; ეს მან განუცხადა დეივისს, რომ სურდა (ა) მარტო მე შემხვედროდა და (ბ) არ მიგვეწვია თანმხლები პირები ამ წინასწარ მოლაპარაკებაზე[61]".

არც ისე ხშირად ხდება, რომ ფრანკლინ რუზველტისნაირი უზარმაზარი რეპუტაციის სახელმწიფო მოღვაწე აშკარა ტყუილში გამოიჭირონ და ეს სწორედ ასეთი იშვიათი შემთხვევაა. ერთი წინადადება ფაქტობრივად ორ ტყუილს შეიცავდა: (ა) ჩერჩილის გარეშე შეხვედრა რუზველტის ინიციატივა იყო და არა სტალინისა და (ბ) რუზველტს არასოდეს უთქვამს სტალინისთვის, რომ შეთავაზებული შეხვედრა უბრალო „წინასწარი მოლაპარაკება" იქნებოდა.

შემოდგომაზე რუზველტმა მეორე ფრონტის გადავადების დაცვა-დასაბუთების საქმე ჩერჩილს შეატოვა. ამ თემაზე სტალინთან მიმოწერა ისეთი გამაღიზიანებელი გახდა ჩერჩილისთვის, რომ ლამის პოზიციები დათმო. ამიტომ უკვე თვითონ სთხოვა რუზველტს, პირისპირ შეხვედროდა სტალინს მდგომარეობის გამოსასწორებლად, თუმცა ეს თხოვნა შეუსრულებელი დარჩა.

ეს ისტორია სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ ატარებდა პრაქტიკაში თავის პოლიტიკას რუზველტი. ისეთი ემისრების დახმარებით, როგორებიც იყვნენ დეივისი, ჰოპკინსი და ჰარიმანი, იგი ერთგვარ გამყოფ ბარიერს ქმნიდა საკუთარ თავსა და თავისივე იდეის ხორცშესხმას შორის. ამასთან ეს ემისრები, როგორც ეს ელჩ სტანლეისა და დეივისის კონფლიქტმა აჩვენა, ხშირად ოფიციალური დიპლომატიური არხების გვერდის ავლით მოქმედებდნენ, რითაც შტატიან დიპლომატებს საგონებელში აგ-

დებდნენ. ყველაზე საყურადღებო კი ამ სქემაში გახლავთ ის, თუ რა ადვილად ემიჯნებოდა რუზველტი „საჭიროების შემთხვევაში" თავისივე იდეას.

პრეზიდენტის ამგვარი საქციელი გარკვეულწილად ეფუძნებოდა მის კონსპირაციულობისადმი მიდრეკილებას – არასოდეს სცოდნოდა მარჯვენა ხელს, თუ რას იქმოდა მარცხენა. არსებობდა იმის სხვა სერიოზული მიზეზიც, თუ რატომ ატყუებდა რუზველტი ჩერჩილს, ოღონდ კი სტალინს პირისპირ შეხვედროდა. ამას საფუძვლად ედო იმის შიში, რომ საბჭოელები ომიდან თავის დაღწევის მიზნით შეიძლება ნაცისტებთან გარიგებაზე წასულიყვნენ. ერთი შეხედვით ეს თითქოს სასაცილო აზრია – მაშინ ნითელ არმიას ხომ ახალი მოგებული ჰქონდა სტალინგრადის ბრძოლა, რაც დღევანდელი გადასახედიდან თითქოს ბერლინისკენ შეუჩერებელი მარშის დასაწყისი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მაშინ ცოტა თუ მსჯელობდა ასე. სტალინს საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა გასჩენოდა ეჭვი, რომ დასავლელი მოკავშირეები საერთოდ არ აპირებდნენ მეორე ფრონტის გახსნას – მათ ხომ უკვე ორჯერ დაარღვიეს თავიანთი პირობა. მარტო საბჭოთა კავშირს კი გერმანელთა დამარცხება ცოცხალი ძალისა თუ სხვა რესურსების დანაკარგების სახით უზომოდ ძვირი დაუჯდებოდა. ჰოდა, რატომ არ შეიძლებოდა ცდილიყო მორიგებოდა გერმანიას 1943 წლის სტატუს-კვოს ფარგლებში?

ბრიტანელებიც და ამერიკელებიც რეალურად მიიჩნევდნენ ამის საშიშროებას. 1943 წლის იანვარში სერ არჩიბალდ კლარკ კერის სჯეროდა, რომ სტალინი შეიძლებოდა გერმანელებს დაზავებოდა, თუ არ დაეხმარებოდნენ[62]. მართლაც არსებობს მტკიცებულებანი როგორც რიბენტროპის ყოფილი თანამშრომლის პეტერ კლეისტის მოგონებებში, ასევე ამერიკული და ბრიტანული დაზვერვის მონაცემებში[63], რომ იმ წელს ნეიტრალურ სტოკჰოლმში გერმანელ და საბჭოთა წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა. ამ კონტაქტის შესახებ პრესაც კი წერდა, კერძოდ, შვედური გაზეთი *Nya Dagligt Allebanda* 16 ივნისს იუწყებოდა, რომ გერმანელი და საბჭოთა დიპლომატები წინა დღით ქალაქგარეთ შეხვდნენ ერთმანეთს.

მართალია გერმანელებიც და საბჭოელებიც უარყოფდნენ ასეთი მოლაპარაკების გამართვას, მაგრამ 1943 წლის ნოემბერში მოლოტოვმა ჰარიმანს გაანდო, რომ ნაცისტებს ჰქონდათ კონტაქტის მცდელობა, მაგრამ ცივი უარი მიიღეს[64]. შვედეთში გამართული ამ საეჭვო შეხვედრის ნამდვილი მიზანი დაუდგენელია – მართლა ცდილობდა სტალინი ჰიტლერთან დაზავებას თუ ეს მხოლოდ პროვოკაცია იყო? მაგრამ მთელ ამ ამბავში მნიშვნელოვანი ისაა, რომ ბრიტანელებმაც და ამერიკელებმაც იგრძნეს იმის საშიშროება, რომ სტალინი საბჭოთა კავშირს ომს გაარიდებდა. ამის ალბათობა შეიძლებოდა მცირე ყოფილიყო – განა შეიძლებოდა თავდაუსხმელობის პაქტის დამრღვევ ჰიტლერს სტალინი ოდესმე კიდევ მინდობო-

და? თავის მხრივ, ჰიტლერიც ასეთი კომპრომისების წინააღმდეგი იყო მუდამ. ამის მიუხედავად, დასავლელი მოკავშირეებისთვის ეს ძრწოლისმომგვრელი შესაძლებლობა მაინც არსებობდა და რუზველტის და ჩერჩილის გონებაში მუდმივად იყო ჩასაფრებული სტალინის მხრიდან ამგვარი ნაბიჯის გადადგმის შიში.

საბჭოთა რეალობა

დაძაბულობა სუფევდა საბჭოთა კავშირისა და დასავლელი მოკავშირეების არა მარტო უმაღლესი დონის ურთიერთობაში, არამედ ძალაუფლების იერარქიის ბევრად უფრო დაბალ საფეხურებზეც. იმ დროს, როცა სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი 1943 წელს გაცხარებით არკვევდნენ ურთიერთობებს, ოცდასამი წლის ბრიტანელი ოფიცერი ჰიუ ლუნგჰი[65] მოსკოვში ბრიტანეთის სამხედრო მისიაში იქნა გამწესებული. მოსკოვში ჩასვლამდე იგი საბჭოთა კავშირს „ვარდისფერი სათვალით" უყურებდა: „1943 წელს წითელი არმიის წარმატებით უზომოდ აღფრთოვანებული ვიყავით". იგი მაშინდელი დასავლური მედიის გავლენის განიცდიდა: „პრესა იუწყებოდა არა მარტო რუსეთის სამხედრო გამარჯვებების, არამედ წარმატებული სოციალისტური ექსპერიმენტის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის მიღწევების შესახებაც. ამიტომ მჯეროდა, რომ იქ ჩასვლისას მომღიმარ, ბედნიერ ხალხს ვიხილავდი".

ლუნგჰის ასეთი განწყობა სულაც არ არის გასაკვირი, რადგან 1943 წლის პირველი ნახევრის დასავლური მედია სავსე იყო სტალინისა და საბჭოთა კავშირის ქება-დიდებით. ბრიტანეთში ლორდ ბივენბრუკის *Daily Express*-ი საბჭოელთა საომარი მოქმედებების დიდი მეხოტბე იყო, ხოლო ამერიკული ჟურნალის *Time*-ის 1943 წლის იანვრის ნომრის გარეკანზე გამოქვეყნდა სტალინის ფოტოსურათი წარწერით „1942 წლის საუკეთესო მამაკაცი". „1942 წელი სისხლისღვრისა და სიმტკიცის წელი იყო", იუწყებოდა *Time*. „კაცი, რომლის სახელიც რუსულად ფოლადს ანუ სიმტკიცეს ნიშნავს და რომლის მწირი ინგლისური მოიცავს ამერიკულ გამოთქმას „მაგარი ბიჭი" (*tough guy*), 1942 წლის საუკეთესო მამაკაცია... მან მოახდინა კოლექტივიზაცია და რუსეთი დედამიწის მეოთხე ინდუსტრიულ ქვეყნად აქცია. მისი წარმატება მეორე მსოფლიო ომში რუსეთის საოცარმა გამძლეობამ დაადასტურა. სტალინის მეთოდები მკაცრი, მაგრამ შედეგიანი აღმოჩნდა". კიდევ უფრო შორს წავიდა ჟურნალ *Life*-ის მარტის გამოშვება, რომლის ერთ-ერთ სტატიაში საბჭოთა კავშირს კვაზი-ამერიკა ეწოდა, რომლის ბინადარნიც „მნიშვნელოვანწილად ამერიკელებს გვანან, ამერიკელებივით აცვიათ და ამერიკელებივით აზროვნებენო". ბერიას შინსახკომიც კი ისე

იყო მოხსენიებული, როგორც „*FBI*-ს (გამოძიების ფედერალური ბიურო– მთარგ. შენ.) მსგავსი სახალხო პოლიციაᲬ“.

მაგრამ სინამდვილეში ჰიუ ლუნგჰმა მოსკოვში იხილა არა „ამერიკელთა მსგავსი“ ხალხი, არამედ მუშური „სამოთხის“ ღარიბი, დამშეული და დაზაფრული მოქალაქეები. რაც შეეხებოდა მისი მისიის „ოფიციალურ“ თანამშრომლობას საბჭოთა ხელისუფლებასთან, იგი, მისი აზრით, „აბსოლუტური გამყინვარების“ სტადიაში იმყოფებოდა. მკაცრად კონტროლირებადი საბჭოთა მედია „ჩვენდამი მტრულად იყო განწყობილი და უგულებელყოფდა ნებისმიერ ჩვენს საბრძოლო წარმატებას, აფრიკის კამპანია იქნებოდა ეს, გერმანიის დაბომბვა თუ სხვა“.

ომის პერიოდში ბრიტანელებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ მოსკოვში მათი სამხედრო მისიის შენობაში საბჭოელებს მოსასმენი აპარატები ჰქონდათ დამონტაჟებული. ამიტომ რაიმე მნიშვნელოვან თემაზე სასაუბროდ ისინი იძულებული იყვნენ სააბაზანოში შესულიყვნენ და ონკანი გაეღოთ, რათა წყლის ხმაურს საუბრის ხმა ჩაეხშო. სიფრთხილის ასეთი ზომების მიღება გამართლებული გამოდგა, რადგან ომის დამთავრებიდან მალევე უკვე სამხედრო ატაშეს რანგში დაწინაურებულმა ლუნგჰიმ პარკეტის ქვეშ მოსასმენი მოწყობილობა აღმოაჩინა. იგი მაშინვე დაუკავშირდა თავის „მეგობრებს“ ამერიკის სამხედრო მისიაში, რომლებმაც სპეციალური აპარატურის დახმარებით მთელი შენობა შეამოწმეს. ლუნგჰის გასაკვირად, მათ ყველა ოთახში აღმოაჩინეს მოსასმენი მოწყობილობა: „ისმინებოდა ყველა ოთახი, მათ შორის შიფვრის ოთახიც. აპარატურა ვენტილატორების ან პლინტუსების ქვეშ იყო დამონტაჟებული“. მათზე შემოხვეული 30-იანი წლების გაზეთის ნაგლეჯები მოწმობდა, რომ საბჭოელები ბრიტანელებს წლების განმავლობაში უსმენდნენ.

დასავლური პროპაგანდით შექმნილ საბჭოთა კავშირის იმიჯსა და მწარე საბჭოთა რეალობას შორის კონტრასტით გამოწვეული იმედგაცრუება ჰიუ ლუნგჰის მსგავსად მოკავშირეთა ბევრმა სხვა წარმომადგენელმაც განიცადა. მაგალითად, მაშინდელი ამერიკული სავაჭრო-საზღვაო ფლოტის ახალგაზრდა ოფიცერი ჯიმ რისკი გაოგნებული იყო მურმანსკის აღმოსავლეთით მდებარე საპორტო ქალაქ მოლოტოვსკის (ახლანდელი სევეროდვინსკი) უბადრუკი ცხოვრებით. მან მოახერხა გასაუბრებოდა დოკში მომუშავე რამდენიმე კაცს და აღმოაჩინა, რომ ისინი პოლიტპატიმრები იყვნენ. „ჩვენ ანტისტალინისტები ვართ“, უთხრეს მათ რისკს. „საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა კი არ დაგვხვრიტოს, არამედ მუშაობით ამოგვხადოს სული“.

ყოველ დილით პოლიტპატიმრების რამდენიმეათასიანი კოლონა ცნობისმოყვარე მოკავშირე მეზღვაურთა თვალწინ საპატიმრო ბანაკიდან ქალაქის გავლით დოკებისკენ მიემართებოდა. ერთხელ დილით რისკიმ დაინა-

ხა, რომ ერთ-ერთმა ამერიკელმა მეზღვაურმა სიგარეტის ნამწვი გზისპირა თხრილში მოისროლა. უეცრად კოლონას ერთი პატიმარი გამოეყო და ჯერ კიდევ მხრჩოლავი ნამწვის ასაღებად დაიხარა, რომ მას გუშაგმა ესროლა და მოკლა. „ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ მკვდარი იქვე, გზის პირას მიგდებული დატოვეს“, იგონებს რისკი.

იგი მალე დარწმუნდა, რომ ქუჩაში მიტოვებული გვამი მოლოტოვსკში ჩვეულებრივი სანახაობა იყო: „ხანდახან დილით ადრე ვდგებოდით და ქალაქში ფეხით დავდიოდით; მაშინ ვხედავდით გზისპირა თხრილში ხანშიშესული ადამიანების გვამებს. მათ მუშაობა აღარ შეეძლოთ და ისე საჭმელს აღარავინ აჭმევდა“.

„ეს ჩემთვის დიდი შოკი იყო“, ამბობს რისკი. „ვერ წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა ასე მოპყრობოდნენ ხალხს და ამას საპასუხო ძალადობა არ მოჰყოლოდა... ჩვენ დავრწმუნდით, რომ სტალინიც ისეთივე მხეცი იყო, როგორც ჰიტლერი. ოღონდ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. [როცა] უკან დავბრუნდი, ნიუ-იორკის რადიომ ინტერვიუ ჩამომართვა სსრკ-ში მოგზაურობის შესახებ და ერთ-ერთი კითხვა ასეთი იყო: „რას ფიქრობთ რუსეთის მომავალზე?“ მე ვუპასუხე: „იცით, ამ მილიონობით ადამიანს ცხოველებივით ეპყრობიან. ისინი ყველანი პატიმრები არიან საკუთარ ქვეყანაში. ჰყავთ კომისარი, რომელიც დღე და ღამე მართავს მათ და ყველამ მხოლოდ მისი ბრძანება უნდა შეასრულოს“. ალბათ მალე სამართლიანი გულისწყრომით აღივსებიან და სტალინს დაამხობენ-მეთქი. ასე მეგონა, მაგრამ ასე არ მოხდა. არ მესმის იმ ხალხის, რომელსაც ასე ეპყრობიან და ის კი საპასუხო ძალადობას არ მიმართავს“.

მართალია რისკს საბჭოთა კავშირში არსებული „სისტემა“ ამაზრზენად მიაჩნდა, მაგრამ „რიგითი მოქალაქენი“ კეთილები და მეგობრულად განწყობილნი იყვნენ. იგი იხსენებს, რომ ხშირად „ახლო ურთიერთობა“ მყარდებოდა უცხოელებსა და საბჭოთა მოქალაქეებს (უპირატესად ქალებს) შორის. ამის ნათელი მაგალითები მან მოლოტოვსკში ომის დამლევს მეორედ ჩასვლისას იხილა – ეს იყვნენ შავკანიანი ბავშვები. „გემებზე შავკანიანი მეზღვაურებიც გვყავდა, რომლებიც ქალაქში გადიოდნენ და ქალებს ეცნობოდნენ. ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე შავკანიანი ბავშვი კი გაჩნდა ქალაქში ამ ნაცნობობის შედეგად. ალბათ სხვა მეზღვაურებისგან თეთრკანიანი ბავშვებიც ჩნდებოდნენ, მაგრამ მათ სხვებისგან ვერ გამოარჩევდი“.

საბჭოთა კავშირში პირველად ჩასვლისას რისკი და მისი ამხანაგები ცხრა თვე ელოდნენ სამშობლოში დაბრუნებას. გემებზე საკვები გამოელიათ და მხოლოდ ამერიკული კონსერვების სარეზერვო მარაგიღა დარჩა. საკვების ნაკლებობამ და დეპრესიულმა ატმოსფერომ ზოგ ამერიკელ მეზღვაურს თვითმკვლელობისკენ უბიძგა. „ჩვენს გემებზე ორი თვითმკვლელობა მოხდა“, ამბობს რისკი. „წარმოდგენა არ გვქონდა როდის

დავბრუნდებოდით შინ ან დავბრუნდებოდით კი ოდესმე. გვეგონა, რომ სამუდამოდ რუსეთში დავრჩით".

ამერიკელ მეზღვაურთა ასეთმა მწარე გამოცდილებამ მკვეთრად შეცვალა მათი ლოიალური დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ. „ჩვენს გემზე", ამბობს რისკი, „რუსეთში გამგზავრებისას ეკიპაჟის ექვსი წევრი წითელი [კომუნისტი] იყო. უკან დაბრუნებისას ისინი უკვე აღარ იყვნენ კომუნისტები და საკუთარ შეცდომას აღიარებდნენ". რაც შეეხება სტალინს, საბჭოთა რეჟიმის ასე ახლოს გაცნობის შემდეგ რისკს ჩამოუყალიბდა აზრი, რომ „ამქვეყნად უსაძაგლესი და უსაზიზღრესი ადამიანი იყო".

იგემეს რა საბჭოური ცხოვრება, მოკავშირეთა მეზღვაურები, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს მაგრამ მათთან დრონატარებ საბჭოთა ქალებს ამ დროსტარებამ შემდგომი ცხოვრება გაუმწარა. მაგალითად, ვალენტინა ივევლევას, რომელიც ინტერნაციონალური კლუბის ხშირი სტუმარი და უცხოელ მეზღვაურებთან ფლირტის მოყვარული გახლდათ, თავისი ცხოვრების წესის გამო ხშირად უწევდა ლანძღვა-გინების მოსმენა: „დიდი თუ პატარა, ყველა „ინგლისელთა ფეხის ტილოს" მეძახდა. მეგობრებმა ჩემთან ურთიერთობა შეწყვიტეს, რადგან შიშობდნენ, რომ კაცებს წავართმევდი. კლუბში აბრეშუმის გამჭვირვალე კაბაში გამოწყობილი დავდიოდი და მისვლისთანავე სამი-ოთხი კაცი ჩემკენ გამორბოდა. ასეთი დიდი წარმატება მქონდა". ვალენტინასადმი შურს მხოლოდ მისი სილამაზე როდი იწვევდა. მას სხვა, უფრო პრაქტიკული მიზეზებიც ჰქონდა: „ინტერნაციონალურ კლუბში მხოლოდ შოკოლადი, საღეჭი რეზინი და სიგარეტი იშოვებოდა. მაგრამ როცა მამაკაცები ჩემთან სახლში მოდიოდნენ, თან საპონი, ხორცის კონსერვი და ძეხვი მოჰქონდათ. არაქისის კარაქიანი ნამცხვრებიც მახსოვს, თითქოს ახლაც ვგრძნობ მათ მშვენიერ გემოს".

მან იცოდა, რომ ასეთი საქციელის გამო ზოგს შეიძლება მეძავად მიეჩნია, თუმცა თავად ასე არ თვლიდა. „მატერიალურ ფაქტორს არ გამოვრიცხავ", ამბობს იგი, „მაგრამ ვფიქრობ მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი ლტოლვა – მოწონება იყო... არა მგონია, რომ ჩვენ სხეულით ვვაჭრობდით, თუმცა რაღაც მატერიალური გასამრჯელოც თავისთავად მნიშვნელოვანია. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ – მე ეს მეხმარებოდა, რომ თავი გამეტანა". ბუნებრივია, რომ ვალენტინა ერთ-ერთ ბრუკლინელ მეზღვაურთან რამდენჯერმე სარეცლის გაზიარების შემდეგ ერთხელაც ორსულად დარჩა. მათი ურთიერთობა ოთხი თვე გაგრძელდა, ვიდრე მეზღვაური სამშობლოში არ დაბრუნდა, ბავშვი კი 1945 წლის თებერვალში გაჩნდა და მას უმამოდ გაზრდა ელოდა.

ვალენტინა ამერიკულ ცხოვრებაზე ოცნებობდა: „ყველა მეუბნებოდა, ლამაზი ხარ და თუ ჰოლივუდში ჩახვალ, ცნობილი მსახიობი გახდებიო".

მაგრამ მისი ეს ოცნება მაშინვე დაიმსხვრა, როგორც კი მისი პიროვნებით შინსახკომი დაინტერესდა. სტალინი ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა საბჭოთა მოქალაქეებისა და უცხოელების ურთიერთობას და ასეთ ურთიერთობაში შემჩნეული პირები ეჭვმიტანილად ითვლებოდნენ. ამგვარ ვითარებაში ვალენტინა, რომელსაც ამერიკელისგან ბავშვი შეეძინა, ეჭვმიტანილზე უარეს დღეში აღმოჩნდა და შინსახკომმაც არ დააყოვნა, მისი ბინა გაჩხრიკა და დღიური იპოვა. დღიურში ვალენტინას ქალური ოცნებები და ფიქრები ეწერა, მაგრამ შინსახკომელთა აზრით, მისი ზოგიერთი ამონარიდი დანაშაულის ელემენტებს შეიცავდა. ასეთი იყო, მაგალითად, შემდეგი სიტყვები: „ძალიან მინდა ამერიკაში წასვლა და დღედაღამ ამაზე ვოცნებობ. ამერიკაში მსახიობი რომ გახდე, მარტო სილამაზეც კმარა. ჩვენთან კი გარდა ამისა ათი წელი სკოლაში უნდა ისწავლო"[67]. ასეთ „გამანადგურებელ" სამხილებზე დაყრდნობით შინსახკომმა ვალენტინა ერთდროულად „ორი ქვეყნის – ამერიკისა და ინგლისის ჯაშუშობაში" დაადანაშაულა.

„გამომძიებელი მეუბნებოდა, აბა, მომიყევი შენი ჯაშუშური საქმიანობის შესახებო, მე კიდევ მეცინებოდა. აბა რა მექნა? რაში ვიყავი დამნაშავე? იმაში, რომ ვიღაც მიყვარდა? ვის რა დავუშავე ამით? ჩემი საკუთარი თავის გარდა არავისთვის არაფერი დამიშავებია". მისი გამომძიებელი კი შინსახკომის სტანდარტულ კითხვას ჯიუტად იმეორებდა: „რა ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდი?" დაკითხვები ღამით მიმდინარეობდა დაახლოებით დილის ხუთ საათამდე. შემდეგ ვალენტინა საკანში გადაჰყავდათ, სადაც დილის შვიდ საათზე სხვა პატიმრებთან ერთად აღვიძებდნენ და მთელი დღე დაძინების საშუალებას არ აძლევდნენ. ყოველივე ამის გამო მას სამუდამო ინსომნია დაემართა.

ვალენტინას ექვსნლიანი შრომა-გასწორების სამუშაოები მიუსაჯეს „უცხოელებთან კავშირისა და ჯაშუშობისთვის". მაგრამ მძიმე შრომამ ვერ გატეხა მისი ძლიერი ოპტიმიზმი და ჰუმანიზმი. პირიქით, ბანაკში მან ერთ-ერთ ფილმში ნანახი მუცლის ცეკვა გაიხსენა, რომლის ილეთებში კარგად იყო ნავარჯიშევი: „გულაგში ეს ცეკვა ძალიან გამომადგა, რადგან სხვა ქალები მას ვერ ცეკვავდნენ და პატიმრები ხშირად მთხოვდნენ მის შესრულებას. ჩემი ცეკვით ყველა გაოცებული იყო".

ახლაც კი, ამდენი განსაცდელის შემდეგ, ვალენტინა იევლევას მიაჩნია, რომ სწორად იცხოვრა: „მე ის [ინტერნაციონალურ კლუბში გატარებული] წლები ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებად მიმაჩნია. კიდევ ჩავჯდებოდი ციხეში ათი წელი, ოღონდ მქონოდა შესაძლებლობა თუნდაც სამი წელი მაშინდელივით მეცხოვრა – სიყვარული, ყურადღება და ქათინაურები რომ არ გაკლია. ეს, მართლაც, ერთგვარი ნარკოტიკია".

1943 წლის ზაფხულის დადგომასთან ერთად საბჭოელები გერმანელთა კიდევ ერთი მასიური შეტევის წინაშე აღმოჩნდნენ, ამჯერად უკვე მოსკოვიდან 400 მილით (დაახლოებით 650 კმ) დაშორებულ ქალაქ კურსკის მიდამოებში. ეტყობა, გერმანელებს ჯერ კიდევ შესწევდათ საბჭოთა არმიის დამარცხების უნარი, როცა თოვლი და ყინვა არ იყო. თებერვლისა და მარტის განმავლობაში გერმანულმა შენაერთებმა ფელდმარშალ ერიხ ფონ მანშტეინის სარდლობით ხელახლა აიღეს ხარკოვი და ახლა კურსკზე შეტევისთვის ემზადებოდნენ. მათი გეგმა მარტივი იყო. საბჭოელების მიერ დაკავებულ ამ ქალაქთან ფრონტს რკალის ფორმა ჰქონდა, რომელშიც წითელი არმიის ერთი მეხუთედი იყო დისლოცირებული. გერმანელები გეგმავდნენ ამ გიგანტური რკალის ფლანგებზე მოულოდნელი დარტყმა განეხორციელებინათ ხარკოვიდან ჩრდილოეთით და ორიოლიდან სამხრეთით, რათა 1942 წელს კიევთან და ვიაზმასთან ჩატარებული ოპერაციების მსგავსად ალყაში მოექციათ საბჭოელები. გამაოგნებელია კურსკის ბრძოლების მასშტაბი. ამ შერკინებაში გერმანელთა სამჯერ უფრო მეტი ტანკი მონაწილეობდა, ვიდრე დასავლეთში უდიდეს სატანკო შეჯახებად ცნობილ ელ ალამეინის ოპერაციაში, ხოლო ბრძოლის ველი ბელგიის ტერიტორიას უტოლდებოდა.

გერმანელთა შტურმმა ნავარაუდევი მოულოდნელობის ყველა ელემენტი დაკარგა, რადგან ოპერაცია ივლისამდე გადაიდო ახალი და უფრო მძლავრი – „პანტერის" ტიპის ტანკების მოლოდინში. ამასობაში კი საბჭოთა უმაღლესმა სარდლობამ თავისი ჯაშუშების მეშვეობით უკვე შეიტყო შეტევის გეგმის დეტალები. კერძოდ, ჯაშუშმა ჯონ კაინკროსმა, რომელიც ბრიტანეთის ერთ-ერთ გაშიფვრის განყოფილებაში მუშაობდა, საბჭოელებს მიაწოდა ეს უაღრესად საიდუმლო ინფორმაცია, რომლის გადაცემას ბრიტანეთი არ აპირებდა იმის შიშით, რომ არ გამოაშკარავებულიყო გერმანელთა კოდების გამხსნელი მისი აგენტი „ულტრა".

ასეთი ინფორმაციით შეიარაღებულმა საბჭოელებმა მთელი ფრონტის ხაზის გასწვრივ გრანდიოზული მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარეს – მიწაში ნახევარ მილიონზე მეტი ნაღმი ჩადეს და ღრმა ტანკსაწინააღმდეგო თხრილები გათხარეს. თუმცა წითელი არმიის მეომრები თავს უსაფრთხოდ მაინც ვერ გრძნობდნენ – მათი გონება მოეცვა იმაზე ფიქრს, რომ ჯერჯერობით გერმანელებთან არც ერთი საზაფხულო ბრძოლა არ ჰქონდათ მოგებული. „შიშისაგან სულ მბურძგლავდა", იხსენებს კურსკის ბრძოლების მონაწილე არტილერისტი მიხაილ ბორისოვი[68]. „არ ვიცოდი რა მოხდებოდა, თუ გერმანულ ტანკებთან პირისპირ მოგვიწევდა შებრძოლება".

გერმანელთა სატანკო ეკიპაჟებს კი პირიქით, ამაღლებული განწყობა ჰქონდათ: „ჩვენი „ვეფხვი“ (ტანკის სახელწოდება) საუკეთესო იყო“, ამბობს ტანკის მეთაური ალფრედ რუბელი[69], რომელიც კურსკის შეტევის სამხრეთ ფრთაზე იბრძოდა. „შესანიშნავი სარდლობა გვყავდა... „ვეფხვის“ შეჩერება კი თითქმის შეუძლებელი იყო. ამ ყველაფერმა ერთგვარად დაუდევარი და უდარდელი გახადა ჩვენი მებრძოლები“. მაგრამ როგორც კი ბრძოლა დაიწყო, რუბელი მიხვდა, რომ კურსკთან საქმე სულ სხვაგვარად წავიდოდა. „რუსებმა მანამდე არნახული საარტილერიო ცეცხლი გაგვიხსნეს... სროლა არ წყდებოდა... როგორც კი მდინარე გადავლახეთ, მაშინვე დანაღმულ ველზე აღმოვჩნდით. ჩვენი შენაერთის თოთხმეტივე ტანკი იქვე ჩარჩა. მეორე შენაერთმაც დაკარგა თორმეტი „ვეფხვი“.

გააფთრებულ ბრძოლაში მიხაილ ბორისოვის საარტილერიო ბატარეის მეთაური მოკლეს და ბორისოვი იძულებული გახდა მეთაურობა საკუთარ თავზე აეღო. ის და მისი თანამებრძოლები ჭურვებს ჭურვებზე უშვებდნენ: „ტანკი მიზანში ამოვიღე და ვესროლე... იგი ცეცხლში გაეხვია. მეორე ჭურვი ჩავტვირთე და მეორე ტანკს ვესროლე... ისევ გამიმართლა... ცეცხლმოკიდებული ტანკის სახურავიდან ახალგაზრდა ტანკისტი ამოძვრა, კოშკურაზე დადგა და მუშტი მოგვიღირა. ვესროლე და სული გავაფრთხობინე“.

„სროლა წუთითაც არ წყდებოდა“, იხსენებს ესესელი ტანკისტი ვილჰელმ როესი[70]. „მაშინ არ ვიცოდით, თუ რაოდენ მასშტაბურ სატანკო ბრძოლაში ვმონაწილეობდით, მაგრამ გვიკვირდა: „ღმერთო, ეს რამდენი ტანკი ისვრის!“ როცა საბჭოთა ტანკი *T34* ფეთქდება, მას კოშკურა სძვრება და კვამლი უზარმაზარი რგოლად ასდის. ვფიქრობდით: „ნეტავ კიდევ რამდენი ასეთი კვამლის რგოლი უნდა ავარდეს ცაში?“. როესი მაშინ მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ უდიდეს სატანკო ბრძოლაში მონაწილეობდა. სარკინიგზო ხაზთან გაშენებულ პატარა ქალაქ პროხოროვკასთან იმ დღეებში ერთმანეთს 600 საბჭოთა და 250 გერმანული ტანკი დაუპირისპირდა[71]. „რუსეთის ეს მშვენიერი მხარე სრულმა ქაოსმა მოიცვა“, გვიამბობს როესი. „ყველგან ცეცხლმოდებული ტანკების, კვამლის და დამწვარი გვამების სუნი იდგა. ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო“. ამ ბრძოლამ ისეთი დაღი დაასვა როესის გონებას, რომ „ომის შემდეგ ხშირად მესიზმრებოდა, თითქოს ისევ პროხოროვკის ბრძოლის ველზე ვიმყოფებოდი და სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ გამეღწია პროხოროვკის ტყეებიდან და შინ დავბრუნებულიყავი. ამასობაში კი ცოლი მაღვიძებდა სიტყვებით, ისევ რუსეთი დაგესიზმრაო“[72].

კურსკთან ბრძოლას წითელი არმიის დაახლოებით სამასი ათასი და ვერმახტის დაახლოებით ასი ათასი მეომარი შეეწირა. ეს იყო გრანდიოზული შეტაკება, რომელმაც ორივე მხარე გააოგნა. თუმცა წითელ არმიას

უფლება ჰქონდა ეზეიმა გამარჯვება. მან პირველად უკუაგდო გერმანელები საგაზაფხულო ბრძოლაში. ამ ფაქტმა ალფრედ რუბელი შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა: „მაშინლა გავიაზრეთ ბოლომდე, თუ რაოდენ ძლიერები იყვნენ რუსები. ადრე არავის სურდა ამის დაჯერება; ახლა კი გაჩნდა პესიმისტური აზრი, რომ ომი წაგებული გვქონდა“.

კურსკის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის მიხაილ ბორისოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. იგი ამბობს: „ვიბრძოდი სამშობლოს სიყვარულით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე – ასე გაგვზარდეს და ეს გრძნობა სიცოცხლის ბოლომდე გაგვყვება. სულ ვეუბნები ჩემს თავს, თუ რუსეთს ისევ გაუჭირდება, ისევ მზად ვიქნები მის დასაცავად-მეთქი... მე კაზაკი ვარ და კაზაკებს სამშობლოს სიყვარული და მეომრული ჩვევები დედის რძესავით გვაქვს შესისხლხორცებული“.

ახლა, როცა გერმანელებმა ბრძოლებში უკან დახევა დაიწყეს და ეს კიდევ ორი წელი გაგრძელდება, ვიდრე წითელი არმია ბერლინში რაიხსკანცელარიის კარიბჭეს არ მიადგება, მოკავშირეთა ლიდერებს დასადგენი ჰქონდათ არა მარტო ამ ომის მომდევნო პერიოდის საომარი სტრატეგია, არამედ ომისშემდგომი მსოფლიოს ბედი და ევროპის ახალი საზღვრები. ამიტომ ამ ერთი ტიპის ომის ბოლო ფაზაში შესვლასთან ერთად დაიწყო მეორე ტიპის ომი – მძვინვარე და მტრული პოლიტიკური ბატალიები. სამი მოკავშირე ლიდერი თავის დროზე ჰიტლერის დამარცხების სურვილმა გააერთიანა. ახლა კი, როცა ჰიტლერისგან მომდინარე საფრთხე ქრებოდა, რაღას უნდა შეენარჩუნებინა მათი ერთობა?

4

ცვლილებების სიო

თეირანის შეხვედრის პირველი მომენტები

ომისშემდგომი ევროპის საბედისწერო გახლეჩის სიმბოლოდ იალტის 1945 წლის იანვრის კონფერენცია ითვლება. „იალტის შეთანხმებამ გააგრძელა მიუნხენისა და მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დანაშაულებრივი ტრადიციები“, აღნიშნა თავის გამოსვლაში 2005 წლის მაისში ლატვიაში აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. „ამით მცირე ერების თავისუფლება კიდევ ერთხელ შეეწირა ძლიერ სახელმწიფოთა ინტერესებს“[1].

არის თუ არა იალტის კონფერენციის ბუშისეული შეფასება სამართლიანი, ამას მკითხველი ამ წიგნის მე-5 თავში მოყვანილი ფაქტების გაცნობის შემდეგ განსაზღვრავს. თუმცა ერთი რამ ცხადია: იალტაზე, როგორც ომის მიწურულის ძირეული გადაწყვეტილებების მიღების ადგილზე ფოკუსირება არ არის სწორი. ამ მხრივ ბევრად უფრო დიდი დატვირთვა აქვს რუზველტის, სტალინისა და ჩერჩილის პირველ შეხვედრას, რომელიც ირანის დედაქალაქ თეირანში 1943 წლის ნოემბერში გაიმართა. ამ პირველმა მოლაპარაკებამ გარდა იმისა, რომ დინამიკა მიანიჭა ეგრეთწოდებული „დიდი სამეულის“ პირად ურთიერთობებს, ომისშემდგომი მსოფლიოს წინაშე წამოჭრილი მრავალი სამომავლო საკითხებიც გამოკვეთა, რომლებიც ერთი წლის შემდეგ იალტაში განიხილეს და დაამტკიცეს.

რუზველტს წლების განმავლობაში სურდა სტალინთან პირისპირ შეხვედრა; დეივისის ვიზიტი მოსკოვში ასეთი შეხვედრის ორგანიზების მხოლოდ ერთ-ერთი ბოლოდროინდელი მცდელობა იყო. 1942 წლის განმავლობაში მან რამდენჯერმე გააჟღერა მსგავსი „ორთა შეხვედრის“ შეთავაზება და სტალინი 1943 წლის დასაწყისში გამართულ კასაბლანკას კონფერენციაზეც კი მიიწვია. ამ კონფერენციაზე რუზველტმა პირველად განაცხადა, რომ მოკავშირეები გერმანიის მხოლოდ უპირობო კაპიტულაციაზე უნდა დათანმებულიყვნენ.

თავის მხრივ სტალინი რუზველტთან შეხვედრა-არშეხვედრის არჩევანის უფლებას მასთან ურთიერთობაში ზემოქმედების ერთ-ერთ ბერკეტად იყენებდა. მან ეს საკითხი თავიდანვე მისთვის აქტუალურ მეორე ფრონტის თემას დაუკავშირა. მართალია 1943 წლის აგვისტოში ჩერჩილისა და რუზველტისადმი გაგზავნილ წერილებში ეთანხმებოდა მათ იმაში, რომ „პირველივე შესაძლებლობისთანავე სასურველი იყო“ მათი შეხვედრა[2], მა-

გრამ იქვე აცხადებდა, რომ თუ მომავალი სამიტი მისი პირობებით არ იქნებოდა მოწვეული, მაშინ ჯობდა იგი მეორე ფრონტის გახსნამდე გადაედოთ.

ეს გადადება არაფრით არ აძლევდა ხელს რუზველტს. მას სტალინთან პირისპირ შეხვედრა და პირადი ურთიერთობის დამყარება ეჩქარებოდა, რათა თავისი მაგიური „მოთოკვა" განეხორციელებინა. არსებობდა აგრეთვე რუზველტისთვის ფრიად მნიშვნელოვანი თემები, რომელთა შესახებ მსჯელობა და თავის სასარგებლოდ გადაჭრა მას მხოლოდ საბჭოთა დიქტატორთან პირისპირ შეხვედრით და მისი მოხიბლვით შეეძლო. აქედან პრეზიდენტისთვის მთავარი ორი თემა იყო. პირველი, რომ სურდა გაერკვია, შეეძლო თუ არა საბჭოთა კავშირს დაერღვია იაპონიასთან დადებული თავდაუსხმელობის პაქტი და აზიის ომში მოკავშირეთა მხარეზე ჩაბმულიყო, და მეორე, რუზველტს აინტერესებდა, თუ რა დონემდე იყო მზად სტალინი გაეზიარებინა ომისშემდგომი მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბების ამერიკული გეგმა (იდეა, რომელმაც შემდგომში გაეროს შექმნა განაპირობა).

რუზველტმა სტალინს კაიროში შესთავაზა შეხვედრა, მაგრამ ეს ადგილი, ისევე როგორც შემდგომში შეთავაზებული სხვა ვარიანტები ბეირუთისა და ბასრას ჩათვლით, საბჭოელებმა უარყვეს. სტალინმა, უკვე მერამდენედ, შეუძლებლად მიიჩნია ქვეყნიდან შორს გამგზავრება იმ დროს, როცა მისი ხალხი გერმანელი დამპყრობლების შემოსევას განიცდიდა. საბოლოოდ სტალინმა შეხვედრის ადგილად თეირანი დაასახელა, მაგრამ ამერიკელებმა ეს ქალაქი არაპრაქტიკულად მიიჩნიეს. მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა: როცა კონგრესში სესია მიმდინარეობდა, პრეზიდენტი ვალდებული იყო ათი დღის ვადაში დაემტკიცებინა ან ვეტო დაედო მისთვის წარდგენილი კანონპროექტისთვის – რის გაკეთებასაც ის ირანის დედაქალაქში ხანგრძლივი ყოფნის შემთხვევაში ვერ შეძლებდა. ამიტომ რუზველტმა 21 ოქტომბერს სტალინს მოკლედ მისწერა, თეირანში ჩამოსვლას ვერ შევძლებო[3].

სტალინმა დაიჟინა, თუ შეხვედრა ამ ქალაქში არ ჩატარდება, მაშინ საერთოდ არ გაიმართებაო. საბჭოთა ლიდერმა თეირანი იმიტომ შეარჩია, რომ საბჭოთა კავშირთან ახლოს მდებარეობდა და იქაური საბჭოთა საელჩოს შენობა კარგად იყო დაცული. 8 ნოემბერს რუზველტი როგორც იქნა დათანხმდა სტალინს თეირანში შეხვედრაზე; ასე რომ საბჭოთა ლიდერთან პირველ დათმობაზე წასვლა მას ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე მოუხდა. შემუშავდა გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან გამკლავების ისეთი გეგმა, რომელიც პრეზიდენტს თავისი კონსტიტუციური მოვალეობის აღსრულების საშუალებას აძლევდა: თუ მას რაიმე კანონპროექტზე ხელის მოწერის საჭიროება დაუდგებოდა, ამისათვის ის ტუნისში გაფრინდებოდა და მალევე უკან დაბრუნდებოდა.

რასაკვირველია, ეს არ იყო მარტო რუზველტისა და სტალინის შეხვედრა – ასევე მიწვეული იქნა ჩერჩილიც. მაისში სტალინთან ცალკე შეხვედრის მცდელობის ფიასკოს შემდეგ ამერიკელებმა შეუძლებლად მიიჩნიეს, რომ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის თეირანში არ მიეწვიათ. ასე და ამგვარად, რუზველტისა და სტალინის პირველ შეხვედრას უნდა დასწრებოდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრიც, რომელიც რუზველტისთვის მურმანის ეკალივით იყო. თუმცა რუზველტი თვლიდა, რომ ჩერჩილის ფიზიკური არსებობა კონფერენციაზე ვერ შეამცირებდა მის მარგინალობას. ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტის ემისარმა ჯოზეფ დეივისმა ექვსი თვის წინათ გასაგებად უთხრა სტალინს, რომ ომის შემდგომ „ბრიტანეთი კარგა ხნით ფინანსურად გაკოტრებული" იქნებოდა და მსოფლიოში მხოლოდ ორი უძლიერესი სახელმწიფო – საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები დარჩებოდა. ახლაც ამ ჭეშმარიტებაში დარწმუნებულ რუზველტს ღრმად სწამდა, რომ თეირანში იკრიბებოდა არა „დიდი სამეული", არამედ „დიდი ორეული და ნახევარი".

კონფერენციის წინა დღეებში რუზველტი დიდ სიფრთხილეს იჩენდა, რათა სტალინს არ შექმნოდა შთაბეჭდილება, თითქოს ბრიტანეთი და ამერიკა მის წინააღმდეგ იყვნენ შეთქმულნი. როცა ბრიტანელები და ამერიკელები თეირანში ჩასვლამდე კაიროში შეიკრიბნენ, ჩერჩილი განბილებული დარჩა პრეზიდენტთან საჭირო კონტაქტის ნაკლებობით. რუზველტმა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ჩინეთის ლიდერ ჩან კაი შისთან აზიის ომის თემაზე საუბარში დროის გაყვანა ამჯობინა, საუბარში, რომელიც ჩერჩილის აზრით, „ხანგრძლივი, რთული და უაზრო" იყო[4].

ეს ყველაფერი აღიზიანებდა ჩერჩილს. მას რუზველტთან სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე სურდა მოთათბირება, უმთავრესად კი იტალიაში ომის საკითხზე, რომელიც ისე არ მიმდინარეობდა, როგორც სასურველი იყო. მართალია იტალიელებმა 1943 წლის 3 სექტემბერს თავი დამარცხებულად ცნეს, მაგრამ გერმანელმა ფელდმარშალმა კესელრინგმა იტალიის არმია სასწრაფოდ განაიარაღა და დამატებითი ძალებით ქვეყნის სამხრეთი ნაწილი გაამაგრა. გერმანელები ახლა ალიანსის ძალებს სალერმოსთან აკავებდნენ და ნელი უკანდახევითი ბრძოლის წარმოებას აპირებდნენ. მათი დამარცხების ყველაზე ეფექტიანი გზა იტალიის გრძელ სანაპიროზე ზღვიდან დესანტის გადასხმა იყო. მაგრამ ასეთი ოპერაციისთვის სადესანტო გემები იყო საჭირო, არადა მათი საკმარისი რაოდენობით შეგროვება ჭირდა. ამერიკელმა ადმირალმა კინგმა ასეთი გემების დიდი ნაწილი წყნარი ოკეანიის ბრძოლებისთვის გაიწვია და კარსმომდგარი ოპერაცია „*Overlord*"-ის (ახალი სახელწოდება მეორე ფრონტის, რომლის გახსნაც ესოდენ გაჭიანურდა) დაკომპლექტების შემდეგ ევროპაში ასეთი გემები თითქმის აღარ დარჩა.

1943 წლის აგვისტოში, კვებეკის პირველ კონფერენციაზე დასავლელი მოკავშირეები შეთანხმდნენ ოპერაცია „*Overlord*"-ი 1944 წლის გაზაფხულზე დაენყოთ. მაგრამ ახლა, იტალიის კამპანიის გაჭიანურების გამო, ჩერჩილს ამ გეგმის გადახედვა სურდა. მან 20 ოქტომბერს რუზველტს გაუგზავნა თხოვნა, კაიროში შეხვედრისას განეხილათ ეს საკითხები. მაგრამ რუზველტს და ამერიკის გენერალიტეტს ამ თემის ხელახლა წამოწევა არ სურდათ. ჩერჩილს, როგორც ამას შემდგომშიც ვნახავთ, არაერთგზის განუცხადებია პრინციპული თანხმობა მეორე ფრონტის გახსნაზე, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის რომელიმე სხვა ოპერაციას ანიჭებდა უპირატესობას; ჰოდა, ბოლოს და ბოლოს ამერიკელებს მოთმინება ამოეწურათ.

ჩერჩილი ვარაუდობდა, რომ კაიროში რუზველტთან ამ საკითხების განსახილველად სამი დღე ექნებოდა ჩინელების ჩამოსვლამდე, მაგრამ ამერიკელებმა ბოლო მომენტში გრაფიკი შეცვალეს და ეს შესაძლებლობაც გაქრა. რუზველტი იმდენად გაურბოდა კაიროში რაიმე სახის ინგლის-ამერიკის პოლიტიკური ფრაქციის ჩამოყალიბებას, რომ იქ ჩინელებთან ერთად საბჭოელებიც კი მიიწვია, თუმცა სტალინმა მოლოტოვის გაგზავნაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ იაპონიასთან დადებული თავდაუსხმელობის პაქტის გამო მიზანშეუწონლად მიაჩნდა იაპონელების წინააღმდეგ მებრძოლ ჩან კაი შისთან შეხვედრებში საბჭოელთა მონაწილეობა[5].

24 ნოემბრის შეხვედრაზე კაიროში ჩერჩილს როგორც იქნა მიეცა შესაძლებლობა რუზველტისა და მისი გენერლებისთვის ეთხოვა, მეტი რესურსები გამოეყოთ ხმელთაშუა ზღვის ოპერაციისთვის. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელებმა არ მოიწონეს „*Overlord*"–ის დაყოვნების მცდელობა. რუზველტმა ამასთან ჩერჩილს ისიც შეახსენა, რომ სულ მალე ომში იმაზე მეტი ამერიკელი იქნებოდა ჩაბმული, ვიდრე ბრიტანეთის დროშით მებრძოლი ყველა მეომარი ერთად აღებული.

26 ნოემბერს რუზველტი და ჩერჩილი თეირანში გაფრინდნენ. თვითმფრინავში ჩერჩილმა თავის ექიმს ჩარლზ უილსონს (შემდგომში ლორდი მორანი) სევდიანად გაანდო, რომ იტალიის კამპანიას „საფრთხე ექმნებოდა"[6] ამერიკელთა იმ დაჟინების გამო, რომ არ დარღვეულიყო საფრანგეთში შეჭრის ვადები. რუზველტის ახლო მრჩევლის ჰარი ჰოპკინსის სიტყვებზე დაყრდნობით მორანი თავის მოგონებებში ამერიკელთა მაშინდელ ვარაუდებსაც ააშკარავებს: „ჰარის თქმით პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ სტალინის კარგ დემოკრატად გადაქცევას თუ ვერ მოახერხებს, მასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას მაინც შეძლებს. ბოლოს და ბოლოს მას ხომ მთელი ცხოვრება ადამიანების მართვაში აქვს გატარებული! შეუძლებელია სტალინი ასე ძალიან განსხვავდებოდეს სხვა ადამიანებისგან. ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტი თეირანში სტალინთან საერთო ენის

გამონახვის მოტივაციითაა ჩასული და არავის მისცემს უფლებას, ხელი შეუშალოს ამ განზრახვის აღსრულებაში"[7].

რუზველტს სტალინთან მეტი დროის გატარების შესაძლებლობა თეირანში ჩასვლისთანავე მიეცა. 24 ნოემბერს ამერიკელებმა საბჭოელებს წინდანინ სთხოვეს დახმარება თეირანში პრეზიდენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, რადგან „ღერძის (რომი-ბერლინი-ტოკიო) აგენტთა" გააქტიურების საშიშროება არსებობდა. ვინაიდან ირანში ამერიკისა და საბჭოეთის წარმომადგენლობები თეირანის მოპირდაპირე უბნებში იყო განთავსებული და კონფერენცია უკეთ დაცულ საბჭოთა ზონაში ტარდებოდა, მათ ამერიკელებს პრეზიდენტის ამ ზონის ერთ-ერთ შენობაში განთავსება შესთავაზეს.

საბჭოელების სიფრთხილეს გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ირანი ომის საწყის ეტაპზე ფარულად გერმანიას უჭერდა მხარს, თუმცა ოფიციალურად ნეიტრალიტეტი ჰქონდა გამოცხადებული. ამ მხარდაჭერის პასუხად ბრიტანელები და საბჭოელები 1941 წლის აგვისტოში თავიანთი საკუთრების დაცვის საბაბით ირანში შეიჭრნენ. შედეგად ეს ქვეყანა ალიანსის მხარდამჭერი გახდა, რითაც უზრუნველყოფილი იქნა საბჭოთა კავშირის მომარაგების ე. წ. სპარსული დერეფნის უსაფრთხოება. მაგრამ სპარსეთში აქა-იქ ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი სიმპათია გერმანიისადმი და არაკეთილგანწყობა ალიანსისადმი.

რუზველტმა უყოყმანოდ მიიღო საბჭოელთა შეთავაზება, რითაც სტალინთან ახლო ურთიერთობის გაბმის სურვილი გაამჟღავნა. ამასობაში ჩერჩილი იქვე ახლოს განთავსებულ ბრიტანეთის საელჩოში დაბინავდა. საბჭოელების მიერ კონტროლირებად ზონაში რუზველტის ყოფნა ნიშნავდა, რომ მის აპარტამენტებში მოსასმენი აპარატურა იქნებოდა დამონტაჟებული – მათი იქ არსებობა მოგვიანებით შინსახკომის შეფის ლავრენტი ბერიას ვაჟმა სერგომ დაადასტურა.

„დარწმუნებული ვარ, მოკავშირეთა ორივე ლიდერი აცნობიერებდა მათი მოსმენის შესაძლებლობას", ამბობს მაშინდელი საბჭოთა დაზვერვის ოფიცერი ზოია საბურინა[8]. „მაგრამ რას იზამ, ამას ვერ გაექცევი... თქვენც ხომ გვისმენთ თქვენს სასტუმროებში, როცა ბრიტანეთში ჩამოვდივართ – არ მითხრათ, რომ ეს ასე არ არის".

1943 წლის 28 ნოემბრის ნაშუადღევის ოთხის თხუთმეტ წუთზე რუზველტი და სტალინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, როცა საბჭოთა ლიდერმა ამერიკის პრეზიდენტი საბჭოთა აპარტამენტებში მისი შესახლებისთანავე მოინახულა. ძნელია გარეგნულად ორი უფრო განსხვავებული სახელმწიფო მოღვაწის წარმოდგენა. ორივე ახლოდან ნახა ზოია საბურინამ, რომელიც ამბობს, რომ სტალინს ჰქონდა „დაღლილი სახე... ახლოდან სახეზე ნაყვავილარს შეამჩნევდით. გაგაოცებდათ მისი თვალები. მათი

ფერი, როგორ გითხრათ... მოყვითალო ოქროსფერი იყო. თუკი შემთხვევით თვალს თვალში გაუყრიდით, შიში აგიტანდათ, რადგან საოცრად გამჭოლი მზერა ჰქონდა. რუზველტს კი პირიქით, სახე უღიმოდა. არ ვიცი, რას ფიქრობდა, მაგრამ მისი თვალები თითქოს სასაუბროდ გეპატიჟებოდა".

რუზველტი სტალინს შემდეგი სიტყვებით მიესალმა: „მოხარული ვარ, რომ შეგხვდით. ამის მიღწევას დიდი ხანი ვცდილობდი"[9]. პასუხად სტალინმა მიანიშნა, დაყოვნება ჩემი ბრალი იყო, რადგან ძალიან დაკავებული ვიყავი სამხედრო საქმეებითო. ამ პირველმა გასაუბრებამ თითქმის ერთ საათს გასტანა და იმითაა საყურადღებო, თუ როგორ აკრიტიკებდა ზურგს უკან რუზველტი ჩერჩილს. კერძოდ, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჩერჩილის დამოკიდებულება ინდოეთისადმი (პრემიერ-მინისტრი ინდოეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი იყო) ისეთია, რომ უმჯობესი იქნება თუკი ინდოეთის თემას არ შევეხებით, რადგან ამ საკითხზე პასუხი მას არ გააჩნია და არც რჩევას შეისმენსო. სტალინმაც აღნიშნა, ინდოეთი ჩერჩილის მტკივნეული ადგილიაო. შემდეგ რუზველტმა აშკარად პირფერულად განუცხადა, რომ ინდოეთში საჭირო იყო „საბჭოური კურსის" გატარება. სტალინმა კი შენიშნა, ეს „რევოლუციას" ნიშნავსო.

გასაკვირი არაა, რომ რუზველტმა სტალინთან დასაახლოებლად ინდოეთის და ბრიტანეთის იმპერიის თემა გამოიყენა. ამერიკის პრეზიდენტს სულ მუდამ აღიზიანებდა ბრიტანეთის იმპერია და თვლიდა, რომ რაც მალე დაიშლებოდა იგი, მით უკეთესი იქნებოდა. ჯორჯ ელსეის თქმით, იმავდროულად, როცა ამერიკაში სტალინის რეჟიმი „მეტად საძულველად" მიაჩნდათ, „არსებობდა ხალხის ანგარიშგასაწევი რაოდენობა, რომელიც ბრიტანეთის იმპერიის მიმართაც არალოიალური იყო. ამომრჩეველთა გარკვეული ნაწილი სვამდა კითხვას თუ რატომ უნდა გაეღოთ მათ ამდენი ხარჯი ბრიტანეთის იმპერიის დასაცავად". ამიტომ იყო, რომ შემდგომში იალტაში გამართულ კონფერენციაზე რუზველტი იძულებული გახდა დაეფიქსირებინა თავისი ანტიკოლონიური პოზიცია იმის გაჟღერებით, რომ უმჯობესი იყო ბრიტანელებს ჰონკონგი ჩინელებისთვის დაეთმოთ.

ბრიტანეთის იმპერიის თავგამოდებულ გულშემატკივარ ჩერჩილს არასოდეს უცდია დაემალა თავისი იმპერიული მსოფლმხედველობა, რითაც ამერიკის ადმინისტრაციას უხერხულობას უქმნიდა. ერთხელ მან რუზველტის პოლიტიკურ მრჩეველს ჩარლზ ტაუსიგს გასაგებად უთხრა: ვილაც ჰოტენტოტებს არ მივცემთ უფლებას რეფერენდუმის მეშვეობით თეთრკანიანები ზღვაში გადაყარონო[10]. ასეთმა მიდგომამ რუზველტს გაუღვივა ეჭვი, რომ ბრიტანელები ამ ომში მეტწილად თავიანთი იმპერიის შესანარჩუნებლად ჩაებნენ. 1944 წლის შემოდგომაზე მან თავის ეკონომიკის მინისტრს ჰენრი მორგენტაუს უთხრა: „ვიცი, რატომ ცდი-

ლობენ ბრიტანელები წყნარი ოკეანის ომში ჩაბმას. მათ სინგაპურის უკან დაბრუნება სურთ"[11].

თეირანში გაცნობითი საუბრის დამთავრებისთანავე რუზველტმა და სტალინმა პირველ პლენარულ სესიაზე გადაინაცვლეს, რომელიც ხუთის ნახევარზე დაიწყო. აქ დასაწყისშივე მკვეთრი განსხვავება გამოიკვეთა დასავლელი ლიდერებისა და სტალინის პოლიტიკურ კულტურათა შორის. რუზველტმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, საბჭოელები, ბრიტანელები და ამერიკელები პირველად უსხედან ერთ მაგიდას როგორც ერთი ოჯახის წევრებიო. ჩერჩილმა თავის მხრივ პომპეზურად აღნიშნა, ეს შეხვედრა კაცობრიობის ისტორიაში უდიდეს ძალთა კონცენტრაციას წარმოადგენს და ნამდვილად მის ხელშია ადამიანთა მოდგმის ბედიღბალიო. აქვე მან დასძინა, ვლოცულობ, რომ კაცობრიობისთვის ამ ღვთით ბოძებული სამსახურის ღირსნი ვყოფილიყავითო'[12]. სტალინი, რომელსაც ასეთი მაღალფარდოვანი საუბარი არსდროს მოესმინა, პრეზიდენტისა და პრემიერ – მინისტრისადმი მადლობის თქმით შემოიფარგლა და აღნიშნა, იმედი მაქვს ჩვენი სამეული ამ შესაძლებლობას გამოიყენებსო.

ამ პირველი პლენარული სხდომის დაწყებისთანავე სტალინი მოულოდნელად თითქოს დათმობაზე წავიდა. იმის ნაცვლად, რომ დასავლელი მოკავშირენი მეორე ფრონტის დაგვიანებაში დაედანაშაულებინა ან პოლონეთთან 1941 წლისდროინდელი საზღვრების დაკანონება მოეთხოვა, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა, განაცხადა, ვისურვებდი პირველ რიგში წყნარი ოკეანის საკითხი განგვეხილაო. მან თქვა, რომ სამწუხაროდ იმჟამად შეუძლებელი იყო იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოელთა ჩართვა, რადგან ფაქტობრივად მთელი ძალები გერმანიის წინააღმდეგ არის მობილიზებულიო. „მაგრამ", განაგრძო სტალინმა, „გერმანიის განადგურებისთანავე ჩვენს მეგობრებს შევუერთდებით ამ ომის ასპარეზზე და ერთად წავიწევთ წინ". ეს ჭკვიანური ტაქტიკა იყო, რადგან ამით სტალინმა თავიდანვე გადაიბირა ამერიკელები, თანაც თითქმის უსასყიდლოდ. იგი მხოლოდ იმას კისრულობდა, რომ ევროპაში გამარჯვების მოპოვების შემდეგ შეუტევდა იაპონიას. ევროპაში კი რა იყო საჭირო გამარჯვების დასაჩქარებლად? რა თქმა უნდა, მეორე ფრონტი.

სტალინის შემდგომმა სიტყვებმა ნათელი გახადა, რომ მისი მიზანმიმართული ფოკუსირება მეორე ფრონტზე სულაც არ შესუსტებულა. ოქტომბერში მოსკოვში მოკავშირეთა საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტის შემდეგ ამერიკელებს და ბრიტანელებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ თეირანში საბჭოელები მოითხოვდნენ როგორც „*Overlord*"-ის დაწყებას, ასევე ხმელთაშუა ზღვაში ბრძოლის მასშტაბის გაზრდას. მაგრამ თეირანში სტალინის ერთადერთი მოთხოვნა ჰქონდა – დაეწყოთ ოპერაცია „*Overlord*"- ი. ეს კი ზუსტად ემთხვეოდა ამერიკელთა სურვილსაც.

ჩერჩილი დანებებას არ აპირებდა და ენერგიულ შეტევაზე გადავიდა, იცავდა რა ხმელთაშუა ზღვის ოპერაციის მართებულობას, თუმცა ამაოდ. სტალინი ვერანაირ სარგებელს ვერ ხედავდა მოკავშირეთა ძალების დაქუცმაცებაში და მოითხოვდა როგორც ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროზე შეტევას ოპერაცია „*Overlord*"-ის ფარგლებში, ასევე სამხრეთ საფრანგეთში ძალების გადასხმას იმავე ოპერაციის მხარდასაჭერად. სესია დროებით შეწყდა და ჩერჩილმა ლორდ მორანს გაანდო: „საქმე ძალიან ცუდადაა"[13]. მაგრამ პრემიერ-მინისტრი კერკეტი კაკალი გამოდგა და იმავე დღეს საღამოს სტალინთან ფრიად საჭირო შეხვედრა გაინაღდა – ამჯერად უკვე პოლონეთის საკითხზე სასაუბროდ.

აღმოსავლეთ პოლონეთში საბჭოელების შეჭრის პირველივე დღეებში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიხვდნენ, რომ ძნელი იქნებოდა პოლონეთის ამ ნაწილის ოდესმე უკან დაბრუნება. მიუხედავად ამისა, ჩერჩილი მაინც გაცეცხლდა, როცა სტალინმა 1941 წლის დეკემბერში ედენს განუცხადა, რომ ამ ტერიტორიაზე პრეტენზიას აცხადებდა. ახლა კი პრემიერ-მინისტრი იმ დასკვნამდე იყო მისული, რომ არ არსებობდა საბჭოელების სურვილის დაკმაყოფილების პოლიტიკური ალტერნატივა. ჰოდა, სწორედ თეირანში იმ საღამოს გამართულ, ომისდროინდელი პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე საბედისწერო მოლაპარაკებაზე გადაწყვიტეს ჩერჩილმა და სტალინმა პოლონეთის ბედი. საუბარი ჩერჩილმა დაიწყო, სტალინს კი ხმა არ ამოუღია, ვიდრე პრემიერ-მინისტრმა ბოლომდე არ თქვა თავისი სათქმელი. ჩერჩილი თავიდანვე შეეცადა გაეგო, „თუ რას ფიქრობდა საბჭოთა ლიდერი ამ საკითხზე", მაგრამ სტალინმა უპასუხა, რომ „არ თვლიდა საჭიროდ, საკუთარ სავარაუდო სამოქმედო არეალზე ემსჯელა" და მოთმინებით ელოდა, რომ ჩერჩილი ბოლომდე „გახსნილიყო"[14]. ჩერჩილმაც განაცხადა, რომ ომისშემდგომ „საბჭოთა კავშირი უძლიერესი ქვეყანა იქნება და რუსეთს პოლონეთის ბედის წარმართვაში ასწლეულების განმავლობაში ლომის წილი დაეკისრება. ვფიქრობ, რომ შესაძლებელია პოლონეთმა დასავლეთით გადაინიოს ისე, როგორც ჯარისკაცები დგამენ გვერდზე ნაბიჯს შესამჭიდროვებლად. პოლონეთი რომ გერმანიის ფეხის ხმას აჰყოლოდა, დაიღუპებოდა. ახლა კი ძლიერი პოლონეთი გვეყოლება. ეს ინსტრუმენტი სჭირდება ევროპის ორკესტრს".

შეუძლებელია ჩერჩილის ამ სიტყვების უგულვებელყოფა, რადგან მან ჯარისკაცების შემამჭიდროვებელ ნაბიჯებთან კომიკური შედარებით მეოცე საუკუნეში მოსახლეობის ერთ-ერთი უდიდესი და ძირფესვიანი აყრა-გადაადგილების იდეა გააჟღერა. შემდგომში ამ იდეის განხორციელებამ მილიონობით ადამიანის ან მოსპობა (მათი, ვინც საკუთარი იდენტურობის შენარჩუნებას შეეცადა) ან სხვა ქვეყნების ხალხში ათქვეფა გამოიწვია. ამ ერთი ხელის მოსმით გერმანიამ იმაზე მეტი ტერიტორია დაკარგა,

ვიდრე ადრე ვერსალის ზავით. ამასთან თვით ბრიტანეთის მოკავშირე პოლონეთმა დაკარგა თავისი ტერიტორიის 40 პროცენტი – აღმოსავლეთის ის მიწები, საიდანაც იმხანად ბრიტანეთის არმიაში მებრძოლი პოლონელი ჯარისკაცების უმრავლესობა იყო.

ამ შეხვედრის მონაწილემ, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანტონი ედენმა „აღფრთოვანება" გამოხატა იდეით, რომ „პოლონელებს შეუძლიათ დასავლეთით [მდინარე] ოდერამდეც კი გადაიწიონ". სტალინი კი ფრთხილობდა და აქტიურობისგან თავს იკავებდა. მან ედენს ჰკითხა კიდეც: „თქვენ [ბრიტანელებს] ხომ არ გგონიათ, რომ მე პოლონეთის შთანთქმას ვაპირებ?"

ედენმა თქვა, რომ მან არ იცოდა „რის შთანთქმას და რის დატოვებას აპირებდნენ რუსები".

„რუსებს არ უნდათ ის, რაც სხვა ხალხს ეკუთვნის", განაცხადა სტალინმა, „თუმცა გერმანიის ნაჭერზე უარს არ იტყვიან". შეხვედრის სტენოგრამაში ვკითხულობთ: „პრემიერ-მინისტრმა ასანთის სამი ღერის დახმარებით რუკაზე მონიშნა პოლონეთის დასავლეთით გადაადგილების საკუთარი იდეა [ახალი საზღვრები], რითაც მარშალი სტალინი კმაყოფილი დარჩა".

უდავოდ უპრიანია უფრო მეტი ყურადღება 1943 წლის 28 ნოემბერს თეირანში გვიან ღამით გამართულ ამ შეხვედრაზე გავამახვილოთ, ვიდრე მოგვიანებით გამართულ იალტის კონფერენციას მივანეროთ ის მომენტები, როცა ძლევამოსილმა მოკავშირეებმა ომისშემდგომი ევროპის ბედი განსაზღვრეს. შედარებების, მეტაფორებისა და, რაც ყველაზე ტრაგიკომიკურია, ასანთის ღერების გამოყენებით ჩერჩილმა და ედენმა ისე შეუცვალეს საზღვრები პოლონეთს და გერმანიას, რომ ამ დემოგრაფიულ და გეოგრაფიულ ჩარევას ამ ორი ქვეყნის არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია. ჩერჩილმა სტალინს ისიც კი უთხრა, ალბათ საჭიროა ამ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნების მეთაურებმა შევიმუშავოთ პოლონელებისთვის მისი თავსმოხვევის გარკვეული პოლიტიკაო.

ჩერჩილმა მშვენივრად იცოდა, რომ სტალინისათვის მირთმეული მისი ეს „საჩუქარი" დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა მის მიერვე ორი წლის წინათ გამოთქმულ მოსაზრებებს. ამ კონფერენციის შემდგომ, 1944 წლის იანვარში ედენისადმი მიწერილ წერილში იგი ცდილობდა აეხსნა საკუთარი მეტამორფოზი. ჩერჩილის თქმით, მან იგრძნო, რომ საბჭოელების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფაქტობრივად გარდუვალი იყო. „ჩვენ ახლა პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრების დადგენას ვცდილობთ"[15], წერდა იგი, „და ვერ უგულვებელვყოფთ იმ ფაქტს, რომ ბალტიის ქვეყნების, ბუკოვინისა და ბესარაბიის ბედი მნიშვნელოვანწილად რუსული არმიის წარმატებებმა განაპირობა". მაგრამ პოლონეთთან მიმართებაში პრემიერ-მინისტრის პოზიციის ასეთი მკვეთრი ცვლილება არ იყო მხოლოდ

გარდაუვალობის გაცნობიერების შედეგი. იგივე წერილში ის აღნიშნავს, რომ გასულმა ორმა წელმა „უდავოდ შეცვალა ჩემი პირადი გრძნობებიც. რუსული არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებს, რუსული სახელმწიფოსა და მმართველობის სისტემაში მომხდარ ღრმა ცვლილებებს, ჩვენს გულებში სტალინისადმი ჩასახულ დიდ ნდობას – ყოველივე ამას მოჰყვა ეს შედეგი".

1943 წელს ჩერჩილი საბჭოთა კავშირის სიკეთისკენ შემობრუნების ვერსიის ზეგავლენის ქვეშ მოექცა. წლის დასაწყისში წითელი არმია გერმანელებს სტალინგრადში ებრძოდა; ახლა კი გერმანელები კუდამოძუებულნი გარბოდნენ უკან. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი წამყვანი ჩინოვნიკის აზრით ბრძოლის ველზე ასეთ წარმატებებს თან სდევდა საბჭოთა რეჟიმის უკეთესობისაკენ ცვლილების ნიშნები. მაგალითად, 1943 წლის მაისში გაუქმდა კომუნიზმის სხვა ქვეყნებში გამავრცელებელი ორგანო – კომინტერნი (რომლის მიზნებიც აშკარად არ შეესაბამებიდა დასავლეთთან ალიანსის სტრატეგიულ მიზნებს). საბჭოთა კავშირში მანამდე არნახული რელიგიური ტოლერანტობის მაჩვენებლად დაფიქსირდა ის ფაქტი, რომ 1943 წლის სექტემბერში სტალინმა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ახალი პატრიარქის დანიშვნის ნება დართო.

რუზველტიც უკეთეს მომავალს უწინასწარმეტყველებდა საბჭოთა კავშირს. 1943 წლის აპრილში მან ეს აზრი შემდეგი განცხადებით გამოხატა: „1917 წლის რევოლუციის მუხტი მიმდინარე ომში დაიხარჯება და საბჭოთა კავშირში პროგრესი ევოლუციურად, კონსტიტუციური გზით გაიზრდება"[16].

დაბოლოს, წმინდა პრაქტიკული მოსაზრებით, ჩერჩილს ისიც უნდა ეფიქრა, რომ პოლონელები ვერასდროს შეძლებდნენ მშვიდობიან თანაცხოვრებას თავიანთ ძლევამოსილ მეზობელთან, თუ არ დათმობდნენ სტალინის მიერ ასე დაჟინებით მოთხოვნილ მათი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს. ჩერჩილი თვლიდა, რომ ამ ტერიტორიების მიერთებით საბჭოელები უფრო დაცულად მიიჩნევდნენ თავიანთ საზღვრებს და ახალ დამოუკიდებელ პოლონეთთან თანამეგობრობისათვის უფრო განეწყობოდნენ. რაც შეეხებოდა პოლონელებს, ჩერჩილის შემდგომი კომენტარების თანახმად, ისინი დასავლეთის ინდუსტრიული ტერიტორიების მიერთებით უფრო მოგებული დარჩებოდნენ, ვიდრე აღმოსავლეთის აგრარული ტერიტორიის შენარჩუნებით.

ამ ყველაფერთან ერთად მაშინდელ დასავლეთში საოცარი პროსაბჭოური განწყობა სუფევდა, რომელსაც საბჭოთა არმიის გამარჯვებებისა და თავგანწირვის ამსახველი უამრავი რეპორტაჟი აღვივებდა. გაჩნდა იმის ილუზია, რომ საბჭოთა კავშირს მსოფლიოსთვის მისაბაძი ნიშნებიც კი ჰქონდა; რომ ომის შემდგომ შეიძლებოდა ისეთი „სოციალიზმი" აშენებულიყო, რომელიც საბჭოთა ექსპერიმენტის „დადებით მხარეებს" გამოიყე-

ნებდა („კოლექტიურობის“ განცდა, უფასო განათლება და ჯანდაცვა, საყოველთაო დასაქმება), ხოლო „უარყოფითი მხარეები“ (თავისუფლების შეზღუდვა და კანონის უზენაესობის ხელყოფა) თანდათან გაქრებოდა. ნიშანდობლივია, რომ თვით ჩერჩილმა თეირანში სტალინს საამებლად ყურში ჩაანვეთა, ბრიტანელები „ოდნავ უფრო წითლები“ გახდნენო, რაზეც სტალინმა მოსწრებულად მიუგო, ეს კარგი ჯანმრთელობის ნიშანიაო[17].

საკითხავია, მოხდა თუ არა მართლაცდა „ღრმა ცვლილებები რუსული სახელმწიფოსა და მთავრობის ხასიათში?“ ამის მტკიცება მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც საწინააღმდეგო ფაქტებზე თვალს დახუჭავდა. კერძოდ, ჩერჩილმა მშვენივრად იცოდა სერ ოუენ ო'მალეის მიერ იმავე 1943 წელს წარდგენილი ანგარიშის შესახებ, სადაც შესაძლებლობათა ბალანსის დახმარებით ხაზგასმული იყო საბჭოელთა პასუხისმგებლობა კატინის ხოცვა-ულეტაზე – დანაშაულზე, რომლის მიჩქმალვასაც იმხანად ასე აქტიურად ცდილობდნენ საბჭოელები.

უფრო მეტიც: სად იყო იმის მტკიცებულება, რომ სტალინი დასავლეთისთვის მისაღებ დემოკრატიას ავითარებდა მის მიერ დაპყრობილ თუნდაც ერთ რომელიმე ქვეყანაში? უახლესი ისტორია მოწმობდა, რომ საბჭოელები ოკუპირებულ აღმოსავლეთ პოლონეთში ოთხი წლის წინათ გაყალბებული „არჩევნების“ მსგავსი პრაქტიკით იყვნენ ძირითადად დაკავებული. ასე, რომ მწარე სინამდვილე სხვა მხრივაც ვლინდებოდა: ჩერჩილს თითქმის არ გააჩნდა საბჭოელებისადმი აღმოსავლეთ პოლონეთის ჩაბარების რეალური ალტერნატივა. არც მას და არც რუზველტს არ შესწევდათ ძალა სამხედრო ძალის დახმარებით „განედევნათ რუსები“ იქიდან. ეს შეუძლებელი იყო როგორც მაშინ, როცა ომი მძვინვარებდა, ასევე ომის შემდგომაც, რადგან ბრიტანეთშიც და აშშ-შიც საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგი იქნებოდა, რომ პოლონეთის ნაწილისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების დეოკუპაციის მიზნით მესამე მსოფლიო ომი გაჩაღებულიყო.

ამიტომ ჩერჩილს რომ პირდაპირ და პატიოსნად განეცხადებინა: ვაღიარებთ, რომ საბჭოელების პრეტენზია პოლონეთის, ბალტიისპირეთისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე უსამართლოა, მაგრამ ამის წინაღდგომის პრაქტიკული შესაძლებლობა არ გაგვაჩნიაო, ეს რეალობის ადეკვატური აღქმა იქნებოდა. მაგრამ იგი გრძნობდა, რომ ამის თქმა არ შეეძლო – ეს ხომ „მორალური“ ომი იყო და მოკავშირეებს მსოფლიოსთვის ერთიანობის სურათი უნდა ეჩვენებინათ, რათა მათ შორის არსებული უთანხმოებით მტერს გული არ მისცემოდა. ამიტომაც არწმუნებდა ჩერჩილი საკუთარ თავს, რომ სტალინი და მისი რეჟიმი გაუმჯობესდნენ. ის და რუზველტი სტალინში იმის ნებისმიერ ნიშანწყალს ეპოტინებოდნენ, რომ ის სიტყვის კაცი იყო და მსოფლიოს საკეთილდღეოდ დასავლეთთან ნაყოფიერი თანამშრომლობა სურდა.

ო'მალეი კატინის შესახებ ანგარიშში წერდა: „საბჭოთა მთავრობასთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად იძულებული გავხდით მოვლენები და ფაქტები იმაზე უფრო ლამაზად და შერბილებულად წარმოგვეჩინა, ვიდრე ამას ჩვეულებრივ პირობებში გავაკეთებდით; იძულებული გავხდით მოგვეშალა ჩვენი ინტელექტუალური და მორალური საწყისების ნორმალური და ჯანსაღი ფუნქციონირება". შემდგომში ჩატარებული მეცნიერული ანალიზის[18] მიუხედავად, რომელიც დაწვრილებით მიმოიხილავს სტალინის კაიკაცობასა და საბჭოთა რეჟიმის გარკვეულწილად „მორბილებაში" ბრიტანელთა დარწმუნების სხვადასხვა მიზეზებს, ო'მალეის ეს სიტყვები მაინც ყველაზე ზუსტად ასახავს ჩერჩილისა და მის მრჩეველთა მაშინდელ აზრთა განვითარებას.

ღირსშესანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩერჩილმა პოლონეთის საკითხზე სტალინთან რუზველტის დაუსწრებლად იმსჯელა. ეს ის მომენტი იყო, როცა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ჯერ კიდევ შეეძლო ეჩვენებინა, რომ მსოფლიო მასშტაბის საკითხთა მოგვარება ხელეწიფებოდა. ეს იყო იშვიათი მომენტი, რადგან, როგორც მეორე დღის მოვლენები ცხადყოფს, თანდათან ჩერჩილი გარიყული აღმოჩნდება ამ კონფერენციაზე.

რუზველტი სტალინს უახლოვდება

კონფერენციის მეორე დღე სამხედრო ექსპერტების მოლაპარაკებით დაიწყო. შეხვედრა კურიოზული აღმოჩნდა. როგორც ბრიტანელებმა გენერალ ბრუკისა და საჰაერო ძალების მარშალ პორტალის, ასევე ამერიკელებმა გენერალ მარშალისა და მისი კოლეგების სახით თეირანში თავიანთი საუკეთესო სამხედრო მოაზროვნეები წარადგინეს. სტალინს კი მხოლოდ მოხუცებული და ერთობ უსუსური მარშალი ვოროშილოვი ჰყავდა წაყვანილი. რუსული რევოლუციისდროინდელმა კავალერიის ოფიცერმა ვოროშილოვმა ბოლო წლებში ორჯერ დაამტკიცა საკუთარი არაკომპეტენტურობა: პირველად ფინეთის წინააღმდეგ სამარცხვინოდ ჩაფლავებულ ომში როგორც წითელი არმიის მეთაურმა და მეორედ ლენინგრადის ფრონტზე როგორც გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლის მცდარი ტაქტიკის შემმუშავებელმა. „აი ეს ვოროშილოვი ეჯდა პირისპირ დასავლელი მოკავშირეების ამ დიდ კოჰორტას", იგონებს ამ შეხვედრის თარჯიმანი ჰიუ ლუნგჰი. „ვატყობდი, რომ ძალიან კი ცდილობდა, მაგრამ მისი მცდელობა სიყეყეჩის, შეზღუდულობის და სამხედრო სტრატეგიაში უმეცრების გამო ნაკლებშედეგიანი იყო".

ამ შეხვედრის ოქმი[19] მთელ რიგ სიურეალისტურ მომენტებს ააშკარავებს. ვოროშილოვს ან არ სურდა, ან არ შეეძლო ჩასწვდომოდა ლა-მანშის

არხის გადაკვეთის სირთულეებს. „მარშალი ვოროშილოვი ამ ოპერაციას დიდი მდინარის გადაკვეთასთან აიგივებდა“, გვაუწყებს ოქმი. „მისი თქმით, რუსებმა ბოლო ბრძოლებში რამდენიმე ასეთი მდინარე გადალახეს, რომლის მოპირდაპირე ნაპირი მტერს ჰქონდა გამაგრებული. არტილერიის, ტყვიამფრქვევებისა და ნაღმმტყორცნების დახმარებით ჩვენ ისინი უკუვაგდეთო, ამბობდა იგი და ფიქრობდა, რომ იგივე ტაქტიკით ლა-მანშის გადალახვაც შეიძლებოდა“.

ვოროშილოვის მიერ ლა-მანშის სრუტის ასეთი პრიმიტიული გაიგივება დიდ მდინარესთან ბრიტანელებმა და ამერიკელებმა თავიდან იუმორით აღიქვეს. გენერალმა ბრუკმა იხუმრა კიდეც, რომ დესანტის გადასხმას ბრიტანეთის ნაპირიდან ნაღმსატყორცნები დაიცავდა, როგორც ამას მარშალი ვოროშილოვი ბრძანებდაო. თუმცა ბოლოს გენერალი მარშალი გაცხარდა. „მდინარის გადაკვეთასა და ოკეანიდან ნაპირზე დესანტის გადასხმას შორის ის ძირითადი განსხვავებაა“, თქვა მან, „რომ მდინარის გადაკვეთისას წარუმატებლობის შემთხვევაში უკან დაბრუნება შესაძლებელია, დესანტის გადასხმისას წარუმატებლობას კი სადესანტო გემებისა და ცოცხალი ძალის სრული განადგურება მოსდევს თან“. მარშალის ამ კომენტარზე ვოროშილოვმა „გულწრფელად“ განაცხადა, რომ „არ ეთანხმებოდა მას“.

ლუნგჰის დაკვირვებით, სტალინის დამოკიდებულება ვოროშილოვისადმი აშკარა სიძულვილის ზღვარზე გადიოდა: „სტალინი მას ისე ეპყრობოდა, როგორც ბებერ ძაღლს“. გარკვეულწილად გაუგებარია სტალინის გადაწყვეტილება, ვოროშილოვი თეირანში ერთადერთი სამხედრო წარმომადგენლის რანგში წაეყვანა. საბჭოთა ლიდერმა კონფერენციაზე აღნიშნა, რომ იგი არ ელოდა სამხედრო წარმომადგენლების ცალკე შეხვედრებს, რაც სინამდვილესთან ახლოა – სტალინს ხომ არაერთგზის უჩვენებია, რომ გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკური ლიდერების პრიორიტეტი იყო, ხოლო აღსრულება – სამხედრო მეთაურების. ახლაც ჩანდა, რომ მას სურდა თავისი საუკეთესო სამხედრო მოაზროვნეები გადაწყვეტილების მიმღები ფორუმის მიღმა ჰყოლოდა.

თუ 29 ნოემბრის დილის სამხედრო თათბირი ერთგვარ ყრუთა დიალოგს წააგავდა, იმავე დღის ნაშუადღევს რუზველტისა და სტალინის შეხვედრა ბევრად უფრო ნაყოფიერი იყო[20]. ჩერჩილი, წინა დღის მსგავსად, არც ახლა მიიპატიჟეს (რუზველტი ისევ თავს არიდებდა პრემიერ-მინისტრთან ცალკე შეხვედრას). სტალინთან ამ ერთი ერთზე საუბრისას პრეზიდენტმა თავისი სანუკვარი ახალი ორგანიზაციის – გაეროს შექმნის იდეა გააჟღერა. მან დაწვრილებით აღწერა მისი სავარაუდო ორგანოების – გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს ფუნქციები. საინტერესოა, რომ, თუ არ ჩავთვლით ამ ორი ორგანოს შემდგომ ზოგიერთ დეტალურ და სტრუქტურულ ცვლილებებს, დღევანდელი გაეროს მონახაზი

1943 წლის ნოემბრის იმ საღამოს რუზველტის გონებაში თითქმის სრულად იყო წარმოდგენილი.

სტალინს შედარებით დამთმობი პოზიცია ეკავა. სავარაუდოდ მას ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ფიქრები უტრიალებდა – ჯერ ერთი, როგორ მოეგო ომი, და მეორე, როგორ უზრუნველეყო თავისი ქვეყნის უსაფრთხოება ომისშემდგომ მსოფლიოში. ასე რომ, ამ ხანმოკლე შეხვედრამ ცხადად წარმოაჩინა მეოცე საუკუნის ამ ორი წამყვანი პოლიტიკური ფიგურის ხასიათთა თავისებურებანი. სტალინი პრაქტიკული, ეჭვიანი კაცი იყო და მომენტალური უპირატესობის მიღწევას ცდილობდა; რუზველტი კი წარმოადგენდა პიროვნებას, რომელშიც შერწყმული იყო გაქნილი პოლიტიკოსი და იდეალისტი მეოცნებე. იმ დროს, როცა მეოცნებე რუზველტი სტალინს ჩვენი პლანეტის სამომავლო კეთილმოწყობის საკუთარ გეგმებს უზიარებდა, პოლიტიკოსი რუზველტი ჩერჩილის იქ არყოფნით მიღებულ სარგებელს აფასებდა. ეს არა მარტო საბჭოელთა წინააღმდეგ დასავლელი მოკავშირეების თითქოსდა „ამხედრების“ შთაბეჭდილებას აქარწყლებდა, არამედ რუზველტს სტალინის „მოთოკვის“ მცდელობის საშუალებასაც აძლევდა – თუმცაღა ამ მცდელობას ჯერჯერობით შედეგიანი არ ეთქმოდა.

ამ შეხვედრის შემდეგ სტალინი და რუზველტი საელჩოს ჰოლისკენ გაემართნენ ჩერჩილისგან საბჭოთა ლიდერისადმი საპატიო ჯილდოს – სტალინგრადის მახვილის გადაცემის საზეიმო ცერემონიაზე დასასწრებად. ეს ჯილდო ბრიტანეთის მეფემ გეორგ VI-მ სტალინგრადელებს ქალაქის დაცვისას გამოჩენილი შეუპოვრობისა და მამაცობისთვის მიანიჭა. მახვილის 36-დუიმიან (დაახლოებით 90 სმ) პირზე ამოტვიფრული იყო სიტყვები: „მეფე გეორგ VI-ის საჩუქარი ფოლადისგულიან სტალინგრადელებს ბრიტანელი ხალხის ღრმა პატივისცემის ნიშნად“.

„ჩამწკრივებული იყო ბრიტანელთა და შინსახკომელთა შეიარაღებული საპატიო ყარაული“, გვიამბობს ჰიუ ლუნგჰი, რომელიც ცერემონიას ესწრებოდა. როდესაც ჩერჩილმა საზეიმო ვითარებაში სტალინს ხმალი გადასცა, „სტალინი მეტად აღელვებული ჩანდა. იგი ხმლის ვადას ეამბორა და საჩვენებლად მოშორებით ეტლში მჯდომ რუზველტს წაუღო. ამის შემდეგ მან ხმალი თავის ერთადერთ სამხედრო წარმომადგენელს – ვოროშილოვს გაუნოდა. ვოროშილოვმა ხმალი როგორღაც მოუხერხებლად გამოართვა, რის გამოც ქარქაშიდან ამოვარდა და მის ფეხებთან დაეცა. ყურებამდე გაწითლებულმა ვოროშილოვმა როგორღაც მოახერხა ხმლის ისევ ქარქაშში ჩაგება და დარცხვენილმა სტალინს გახედა, დარწმუნებულმა, რომ საყვედური არ აცდებოდა“.

როდესაც ცერემონიის დასრულების შემდეგ ლუნგჰი სხვებთან ერთად ჰოლიდან გადიოდა, „უკანიდან ვიღაცამ სახელოზე მომქაჩა. მოვბრუნდი და ვოროშილოვი შემრჩა ხელში. შეგიძლია დამეხმაროო, მკითხა მან. მე

ვუთხარი, რა თქმა უნდა, რა გნებავთ-მეთქი. მან მთხოვა, თქვენს პრემიერ-მინისტრს რაღაც მინდა ვუთხრაო. ჩერჩილს დავეწიეთ და მივმართე: „მაპატიეთ, სერ!" ჩერჩილი შემობრუნდა და ოდნავ შეცბა, მერე ვოროშილოვი დაინახა და გაიღიმა. ვოროშილოვმა ბოდიში წაილუღლუღა. ჩერჩილმა პატიების ნიშნად ხელი ჩაიქნია... ამის შემდეგ ვოროშილოვმა მას დაბადების დღე მიულოცა".

ვოროშილოვს თარიღი შეეშალა. პრემიერ-მინისტრის დაბადების დღე მეორე დღეს იყო. „ჩერჩილი საკუთარი აპარტამენტისკენ გაემართა და, როგორც კი ვოროშილოვი ჩამოგვშორდა, მობრუნდა და მითხრა: „ეს კაცი ეტყობა დაბადების დღეზე დაპატიჟებას მთხოვს. თარიღი ხომ შეეშალა და მანამდე კიდევ ხმლის წესიერად დაჭერაც ვერ შეძლო". ასეთი იყო ჩერჩილის შეხედულება ვოროშილოვზე".

ხმლის გადაცემას ზოია საბურინაც ესწრებოდა, რომელიც სტალინის მიერ მეფის საჩუქრის მიღების ემოციურ სურათს ასე აღგვიწერს: „უნდა ითქვას, რომ სტალინი არასოდეს ამჟღავნებდა თავის გრძნობებს, მაგრამ ჩერჩილის მიერ ხმლის გადაცემისას იგი შესამჩნევად აღელდა... ხმა გაებზარა... მხოლოდ მადლობის თქმა მოახერხა". ზოიასათვის, რომელიც პრესსამსახურთან მიმაგრებული დაზვერვის ოფიცერი იყო, ამ ცერემონიალს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მან იცოდა, რომ მოკავშირეთა დელეგაციის დიდი ნაწილი, როგორც სამხედროები, ისე დიპლომატები, კონფერენციაზე მოსკოვიდან ჩაფრინდა სტალინგრადის სატრანზიტო გავლით. იგი იხსენებს, რომ დელეგატები სტალინგრადის ნანგრევების ხილვისას „თავს დამნაშავედ გრძნობდნენ". მას სჯეროდა, რომ ისინი მართლაც დამნაშავენი იყვნენ მეორე ფრონტის დაგვიანების გამო, რამაც საბჭოელთა ამხელა ზარალი გამოიწვია. მისთვის „სტალინგრადის ხმლის" გადაცემის ცერემონია დასავლელი მოკავშირეების მიერ საკუთარი დანაშაულის თითქმის ღიად აღიარებას ნიშნავდა. ზოია ამბობს, რომ იგი მაინც არ განაწყენებულა: „უნდა გითხრათ, რომ რუსი ხალხი განსაკუთრებული ხალხია – ისინი არასდროს არავისგან ზედმეტს არაფერს ითხოვენ".

იმავე დღის ოთხ საათზე სამივე ლიდერი მეორე პლენარულ სხდომაზე შეიკრიბა თავიანთი პოლიტიკური და სამხედრო მრჩევლებითურთ. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა – სტალინმა უბრალოდ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ მეორე ფრონტის გახსნას მოითხოვდა და გახსნის ვადად მაისს ასახელებდა, – თუმცა სიურპრიზები საუბრის ტონალობაში შეიმჩნეოდა. როდესაც სტალინმა შეიტყო, რომ ოპერაცია „*Overlord*"-ის მეთაური ჯერ შერჩეული არ იყო, თქვა, ამ ოპერაციიდან არაფერი გამოვაო[21]. არადა, შეთანხმებული იყო, რომ ოპერაციას ამერიკელები უხელმძღვანელებდნენ, მაგრამ რუზველტი ჯერ კიდევ ყოყმანობდა მეთაურობის აშკარა

კანდიდატის – გენერალ მარშალის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ამან კონფერენციაზე სტალინის გაღიზიანება გამოიწვია.

საბჭოთა ლიდერი კიდევ უფრო გაცხარდა, როდესაც ჩერჩილმა რომზე და საბერძნეთის კუნძულ როდოსზე შეტევების მართებულობაზე დაიწყო ლაპარაკი. სტალინმა კატეგორიული კითხვა დასვა: „ბოლოს და ბოლოს სჯერათ თუ არა ბრიტანელებს „*Overlord*"-ის, თუ ამაზე მხოლოდ რუსების დასაშოშმინებლად ლაპარაკობენ?" ჩერჩილმა უპასუხა, ბრიტანელებს „*Overlord*"-ის სჯერათ, მაგრამ ხელსაყრელი პირობები უნდა არსებობდეს. ამ პასუხმაც გაანაწყენა სტალინი.

ასეთი გაცხარებული კამათი უძღოდა წინ ექსტრაორდინარულ ეპიზოდს, რომელიც იმდღევანდელ საერთო ვახშამზე განვითარდა. ამ ვახშამის ოქმში დაფიქსირებულია „მარშალ სტალინის უარყოფითი განწყობა პრემიერ-მინისტრის მიმართ"[22]. სტალინმა დაასკვნა, რომ ბრიტანელები საბჭოელთა მოტყუებას ცდილობდნენ. „რაკი რუსები უბრალო ხალხია", თქვა მან, „ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ბრმები არიან და ცხვირწინ არაფრის დანახვა არ შეუძლიათ". შემდეგ იგი უფრო შორს წავიდა და განაცხადა, ჩერჩილს გერმანელების მიმართ „ფარული სიყვარული" ამოძრავებსო. მაშინ სტალინის ეს მწარე შენიშვნები „*Overlord*"-ისადმი ბრიტანელთა უარყოფითი დამოკიდებულების გამო უკმაყოფილების გამოხატულებად იქნა აღქმული. თუმცა ასევე სავარაუდოა, რომ საბჭოთა ლიდერი თავის ჩვეულ მონინააღმდეგის „გაღიზიანების ტაქტიკას" იყენებდა. ის აკვირდებოდა არა მარტო ჩერჩილის რეაქციას ამ შენიშვნებზე, არამედ იმასაც, თუ რამდენად დაიცავდა რუზველტი ჩერჩილს.

სტალინი იმ საღამოს ორი დასავლელი ლიდერის ხასიათში ჩაწვდომას შეეცადა, როცა შესთავაზა მათ, რომ ომის შემდეგ გერმანიის დასჯის მიზნით ფიზიკურად გაენადგურებინათ „სულ მცირე 50 000 ან უმჯობესია 100 000 გერმანელი სამხედრო მეთაური". ჩერჩილი თავის მემუარებში აღნიშნავს, რომ სტალინის არც ერთ შენიშვნას იგი ისე არ აღუშფოთებია, როგორც ამ იდეამ აღაშფოთა. ბრიტანეთის პარლამენტი და საზოგადოება არასოდეს შეეგუება მასობრივ ხოცვა-ჟლეტასო[23], განაცხადა მან; ხოლო როცა სტალინმა კვლავ გაიმეორა, 50 000 მაინც უნდა დაიხვრიტოსო, ჩერჩილმა ნონასწორობა დაკარგა. მირჩევნია, რომ ახლავე მე გამიყვანონ ბაღში და დამხვრიტონ, ვიდრე ჩემი და ჩემი ქვეყნის პატიოსნება ასეთი სისაძაგლით შევბღალოო, განაცხადა მან.

ამ დროს საუბარში რუზველტი ჩაერია, მაგრამ არც მწვადი დაწვა და არც შამფური. იმის ნაცვლად, რომ ჩერჩილი დაეცვა ან საუბრის თემა მაინც შეეცვალა, განაცხადა, მხოლოდ 49 000-ის დახვრეტაზე ვარ თანახმაო. ცხადია, ამერიკის პრეზიდენტი ხუმრობდა, მაგრამ, იცოდა რა სტალინის როგორც მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ოსტატის რეპუტაცია, უნდა

გაეთვალისწინებინა, რომ ეს ხუმრობა უცნაური და სახიფათოც კი იყო. დანარჩენმა იქ მყოფებმა სტალინის ამ შეთავაზებაზე სერიოზულად იმსჯელეს. კერძოდ, პრეზიდენტის ოცდაცამეტი წლის ვაჟიშვილმა ელიოტ რუზველტმა თქვა: „მომისმინეთ: როცა ჩვენი არმია დასავლეთიდან შეუტევს და თქვენი – აღმოსავლეთიდან, რაღა პრობლემაზეა საუბარი? რუსი, ამერიკელი და ბრიტანელი მეომრები არა მხოლოდ ორმოცდაათი ათასს, არამედ ასეულ ათასობით ნაცისტს გამოასალმებენ სიცოხლეს“[24].

ჩერჩილისთვის ეს უკვე მეტისმეტი იყო. სტალინის დაცინვებით და აგდებული დამოკიდებულებით ისედაც გაღიზიანებულს, უკვე აღარ შეეძლო ვიღაც ახალბედა ამერიკელი სამხედრო-საჰაერო ოფიცრის სისულელის მოსმენა. პრემიერ-მინისტრმა მოლაპარაკების მაგიდა მიატოვა და გვერდით ოთახში განმარტოვდა. ცოტა ხანში მასთან მომღიმარე სტალინი და მოლოტოვი შეევიდნენ და საბჭოთა ლიდერმა უთხრა, ეს ყველაფერი „მასხრობა“ იყოო.

ეს წყალგამყოფი მომენტი გახლავთ; არა იმდენად სტალინისა და ჩერჩილის ურთიერთობის კონტექსტით – საბჭოთა ლიდერს ადრეც განუხორციელებია სიტყვიერი თავდასხმა პრემიერ-მინისტრზე – არამედ ჩერჩილისა და რუზველტის ურთიერთობის კონტექსტით. სტალინი ამდენი ხალხის თვალნინ ჩერჩილს განზრახ აუხირდა, რუზველტი კი მას არ გამოესარჩლა.

ჩერჩილი დამწუხრებული დაბრუნდა ბრიტანეთის წარმომადგენლობაში და თავის ექიმს ლორდ მორანს შესჩივლა: „შეიძლება უფრო სისხლიანი ომებიც გაჩაღდეს. არ მინდა ამის მომსწრე გავხდე. მინდა დავიძინო და მილიარდი წლები ვიძინო. ვშიშობ, რომ ადამიანმა შეიძლება მოსპოს კაცობრიობა და ცივილიზაცია აღგავოს მიწისაგან პირისა. ევროპა გაუდაბურდება და შეიძლება ამაში მე დამადანაშაულონ... ჩვენს თვალწინ გამაოგნებელი მოვლენები ვითარდება, ჩვენ კი მხოლოდ მტვრის იმ ნანილაკებს წარმოვადგენთ, ღამღამობით მსოფლიო რუკაზე რომ ილექება“[25].

მორანი წერს, რომ მას დიდხანს არ დაეძინა ჩერჩილის წინათგრძნობით დაზაფრულს. მისთვის ცხადი იყო პრემიერ-მინისტრის ამ საშინელი პროგნოზის ობიექტი. ეს იყო მსოფლიო, სადაც დემოკრატები არასაკმარისად მედგრად უპირისპირდებიან დიქტატორთა პარპაშს. „იგი გრძნობს, რომ პრეზიდენტის მხარდაჭერა არა აქვს“, წერდა მორანი, „და რაც მთავარია, აცნობიერებს, რომ რუსებიც ხედავენ ამას“. თავისი დღიურის ამ 29 ნოემბრის ჩანაწერში მორანი მეტად გამჭრიახად ასკვნის, პრემიერ-მინისტრს საკუთარი უძლურობა აფრთხობსო.

იმავე დღეს ბრიტანეთის სამეფო გენშტაბის უფროსმა, გენერალმა სერ ალან ბრუკმაც გაანდო დღიურს კონფერენციის შესახებ საკუთარი აზრები: „ამ ორი დღის განმავლობაში წამოყენებული არგუმენტების მოსმენის შემდეგ“ წერდა იგი, „თავი მთვარეულთა თავშესაფარსა თუ საავად-

მყოფოში უფრო მგონია, ვიდრე სამსახურში. ტვინი ნაიღო ამ პოლიტიკოსების ლაყბობამ ომის შესახებ! რატომ წარმოუდგენიათ თავი იმ საქმის ექსპერტებად, რომელშიც არაფერი გაეგებათ? მართლაც დამთრგუნველია მათი მოსმენა![26]"

მეორე დღე, 30 ნოემბერი, ბრიტანეთისა და ამერიკის შტაბების უფროსთა შეხვედრით დაიწყო. გენერალმა ბრუკმა ბრიტანეთის სამხედრო დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად შეძლო დაერწმუნებინა ამერიკელები იმაში, რომ „*Overlord*"-ის თარიღის ოდნავ უკან გადაწევა ორივე მხარისთვის ხელსაყრელი იქნებოდა და საბოლოოდ ისინი ახალ თარიღზე – 1 ივნისზე შეთანხმდნენ.

ამის შემდეგ სამხედროები პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისკენ გაეშურნენ ამ ახალი თარიღის შესათანხმებლად. რუზველტმა მათ დასკვნაში ერთი მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი შესწორება შეიტანა. მან თქვა: „სტალინს ნუ ვეტყვით, რომ „*Overlord*"-ი 1 ივნისს დაიწყება; ვუთხრათ, რომ მაისში დავიწყებთ, განა 1 ივნისი თითქმის იგივე მაისის თვე არაა?" ეს მომენტი თითქოსდა უმნიშვნელოა თეირანში მიღებულ ეპოქალურ გადაწყვეტილებათა ფონზე, მაგრამ იგი რუზველტის მახვილგონიერების თვალსაჩინო დასტურია. სიტყვების ასეთი ფორმულირებით მან ოსტატურად მიაბა ერთმანეთს სტალინის მოთხოვნილი 1 მაისისა და გენერლების გათვლილი 1 ივნისის თარიღები.

ჰიუ ლუნგჰმა, რომელიც ამ კონფერენციაზე რუზველტის ქცევას აკვირდებოდა, დაასკვნა, რომ მისი უბრალოებისა და უშუალობის მიღმა გულცივი და ვერაგი ადამიანის ნიშნები იკვეთებოდა: „ერთი შეხედვით კეთილგანწყობილი და გულღია გეგონებოდათ; ყველას უღიმოდა, მხიარული და სალმიანი ჩანდა, მაგრამ თანდათან დავრწმუნდი მის არაგულწრფელობაში. მისი სიცილი და ხუმრობები საკმაოდ ნაძალადევი, რაღაც ზედაპირული იყო".

იმავე დღეს, ნაშუადღევს კონფერენციის ბოლო პლენარული სესია გაიმართა, რომელმაც არსებითად ცოტა რამ თუ შემატა უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს. დადგინდა, რომ „*Overlord*"-ი მაისის თვეში დაიწყებოდა და მისი მეთაურის ვინაობა რამდენიმე დღეში გაირკვეოდა.

იმავე საღამოს ბრიტანეთის წარმომადგენლობაში ჩერჩილის დაბადების სამოცდამეცხრე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ვახშამი გაიმართა. სუფრაზე კერძების სიუხვე და შესაბამისად დანა-ჩანგლის მრავალფეროვნება იგრძნობოდა, რამაც ერთგვარ საგონებელში ჩააგდო საბჭოთა ლიდერი. ჰიუ ლუნგჰი გვიამბობს: „დავინახე, რომ ჩერჩილის თარჯიმანი არტურ ბირნსი დანა-ჩანგლის დახმარებით სტალინს რაღაცას უხსნიდა. მოგვიანებით ბირნსისაგან შევიტყვე, რომ თეფშის ორივე მხარეს დანა-ჩანგლის სიმრავლით დაბნეულ სტალინს მისთვის უკითხავს, ამათ რა

ვუყოო; მასაც დაუმშვიდებია, როგორც გენებოთ ისე გამოიყენეთ, თქვენი ნებაა რომელს როდის იხმართო".

ასეთი მომენტები სტალინს ერთგვარ კომფორტულ ფიგურად ხდიდა გაწაფული დასავლელების თვალში. ნაცისტების წინააღმდეგ მებრძოლი ერის პატივცემული ლიდერი არ თაკილობდა მის მიმართ სათუთ მეურვეობას. ერთ-ერთი ბრიტანელი კორესპონდენტის აზრით, სტალინი „იმ ზრდილობიან იტალიელ მებაღეს ჰგავს, კვირაში ერთხელ რომ შემოგივლის ხოლმე[27]". ხოლო რაც შეეხებოდა მის ეპიზოდურ უტაქტობას – როგორც 29 ნოემბრის აგრესიული გამოხტომები ჩერჩილის მიმართ, – ამას მის ცუდ მანერებს და მდაბიურ წარმოშობას მიანერდნენ.

საღამომ მშვიდად და მხიარულად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით ერთ მწარე შენიშვნას, რომელიც სტალინმა სერ ალან ბრუკის სადღეგრძელოში გააჟღერა. სტალინის არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ მეორე ფრონტის გახსნის დაყოვნება ბრიტანეთის ბრალი იყო, კიდევ უფრო გაამძაფრა თეირანის კონფერენციამ. ამიტომ მან სადღეგრძელოში ეშმაკურად გადაუკრა სიტყვა ბრუკს, რომ რუსების მიმართ ასეთი უნდობლობა აღარ უნდა ჰქონოდა[28] და დასძინა, თუ უფრო ახლოს გაიცნობთ მათ, მათთან თანამშრომლობის სიკეთეში დარწმუნდებითო. ბრუკი პირდაპირი კაცი იყო და შენიშვნა უპასუხოდ არ დაუტოვებია. ის ფეხზე ნამოდგა და სტალინს უთხრა, რომ იგი ნამდვილად მოჩვენებებმა შეაცდინეს. საბჭოთა ლიდერმა იმდენი ილაპარაკა იმაზე თუ როგორ შეყავდათ შეცდომაში გერმანელები ტანკების, თვითმფრინავებისა და აეროდრომის ფიტულებით, რომ თვითონაც შეცდა და საბჭოელებთან თანამშრომლობის ჩემი წადილი დაეჭვებად ჩამითვალაო, დასძინა მან. ამ პასუხმა სტალინი თითქოსდა მოალბო, მაგრამ ვერ შეანელა ბრიტანელებისადმი მისი უნდობლობა და სავსებით სამართლიანადაც: ბრიტანელებს, ჩერჩილის მეთაურობით, მეორე ფრონტი გულზე არ ეხატებოდათ.

წვეულების დასასრულ პატარა, უნებლიე კომედია გათამაშდა, როცა თეთრ უნიფორმაში გამოწყობილმა ირანელმა ოფიციანტმა დესერტი შემოიტანა. ჰიუ ლუნგჰის გადმოცემით, ოფიციანტი საგრძნობლად ნერვიულობდა. მას მაღლაანეულ ხელში გაყინული ტორტი ეჭირა, რომელზეც სანთლები ენთო. იგი სტალინისკენ გაემართა, რათა პირველს მას მომსახურებოდა. იმ მომენტში საბჭოთა ლიდერი ლაპარაკობდა, ამიტომ ოფიციანტი მის უკან შეყოვნდა მაღლა აწეული ლანგარით ხელში. ამასობაში ტორტმა დნობა დაიწყო და ლანგარზე თხევადი მასა დაგროვდა. „ვხედავდი, თუ როგორ დნებოდა ეს მშვენიერი ტორტი", იგონებს ლუნგჰი. „ის იყო სითხე სტალინს უნდა დაწვეთებოდა, რომ უეცრად ოფიციანტი გვერდით მჯდომი სტალინის თარჯიმნის პავლოვისკენ შებრუნდა და მთელი დამდნარი ნაყინი ახალ სამოსზე გადაასხა. პავლოვს წარბიც არ შეუხრია, ისე

გააგრძელა თარგმნა. გავიგონეთ, თუ როგორ ჩაიჩურჩულა ბრიტანეთის საავიაციო ძალების სარდალმა სერ ჩარლზ პორტალმა, მიზანს ააცილაო. ამის შემდეგ საღამო მხიარული განწყობით დასრულდა“.

მეორე დღეს, 1 დეკემბერს, სამხედრო დელეგაციებმა კონფერენცია დატოვეს, ხოლო პოლიტიკოსებმა სხვა თემებთან ერთად პოლონეთის მომავალი საზღვრების საჭირბოროტო საკითხზე განაგრძეს დისკუსია. თავიდან ნავარაუდევი იყო, რომ ამ პრობლემებისთვის რამდენიმე დღე დაეთმოთ, მაგრამ საფრენი ამინდის მოსალოდნელი გაუარესების გამო ლიდერებმა გადაწყვიტეს ყველა საკვანძო საკითხი ერთ დღეში გადაეჭრათ, რომ მეორე დღეს გამგზავრებულიყვნენ.

შემდგომში რუზველტი იხსენებდა, რომ კონფერენციის ამ მეოთხე დღეს „საკმაოდ უგუნებოდ“ იყო. გრძნობდა, რომ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა სტალინთან სასურველი „პირადი კონტაქტის“ დამყარება. მისი აზრით, სტალინი „კორექტული, ურყევი, პირქუში კაცი იყო და არ გააჩნდა ხელჩასაჭიდი ადამიანური სისუსტეები“. ამიტომ 1 დეკემბრის დილისთვის ამერიკის პრეზიდენტმა ახალი ტაქტიკა შეიმუშავა: სტალინთან დაახლოება ჩერჩილის გამასხარავებით გადაწყვიტა. „კონფერენციის დარბაზისკენ მიმავალმა გზად ჩერჩილი მოვიხელთე და ვუთხარი, უინსტონ, იმედია არ გამიბრაზდები იმაზე, რის გაკეთებასაც ახლა ვაპირებ-მეთქი. ჩერჩილმა პირში სიგარა შეათამაშა და რაღაც ჩაიბურტყუნა. უნდა ვაღიარო, რომ მას შემდგომში თავი ღირსეულად ეჭირა. დარბაზში შესვლისთანავე სტალინთან ერთი ერთზე საუბარი გავაბი. ახალი არაფერი მითქვამს, მაგრამ ისე გულღიად და უშუალოდ ველაპარაკებოდი, რომ სხვა რუსებიც ყურადღებით მისმენდნენ; და მაინც არავითარი ღიმილი. მაშინ ხელი ავწიე, რომ ყველა გამეჩუმებინა, რათა თარჯიმანისთვის ხელი არ შეეშალათ, და ვთქვი, უინსტონი დღეს რაღაც ვერაა თავის ქეიფზე, ეტყობა, მარცხენა ფეხზე ადგა-მეთქი. სტალინის თვალებში ღიმილის ნაპერწკალი შევნიშნე და მიხვდი, რომ სწორი გზა ავირჩიე[29]“. რუზველტმა განაგრძო ჩერჩილზე ხუმრობა „მისი ბრიტანელობის, მისი სიგარის, მისი „ჯონ ბულის“ (*Bull* – ხარი – მთარგ. შენ.), მისი ქცევის თაობაზე“, რამაც პრემიერ-მინისტრი აშკარად უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. ბოლოს სტალინს სიცილი აუტყდა. ეს კი რუზველტმა იმის ნიშნად აღიქვა, რომ მას და საბჭოთა ლიდერს პირველად შეეძლოთ ესაუბრათ „ადამიანურად და მეგობრულად“. სტალინის მხიარულებამ ისე აღაფრთოვანა რუზველტი, რომ მოგვიანებით თავის ვაჟიშვილს ელიოტს გაანდო, ეს კაცი მომეწონა, საკმაოდ შთამბეჭდავი პიროვნებაა[30].

იგრძნო რა, რომ სტალინთან ფრიად საჭირო პერსონალური ძაფები გააბა, რუზველტს დიდად აღარ ანაღვლებდა ოფიციალური მოლაპარაკების შემდგომი მსვლელობა. სტალინი ხომ უკვე თანახმა იყო გერმანიის

დამარცხების შემდეგ იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაბმაზე და გაეროს შექმნელად თანამშრომლობაზე. ამიტომ ასეთი დიდი წარმატებების ფონზე ამერიკის პრეზიდენტმა უკვე დამღლელ და მოსაწყენ საქმედ მიიჩნია რუკებში ქექვა და ევროპის შიგა საზღვრების დადგენა.

1 დეკემბრის ოფიციალური მოლაპარაკების პირველი ნაწილი იმის განხილვას დაეთმო, თუ როგორ ჩაეთრიათ თურქეთი ომში და რამდენად დაეკმაყოფილებინათ ფინეთის მოთხოვნა ომისშემდგომი რეპარაციის (საზღვრების აღდგენის) თაობაზე. პირველი საკითხი უშედეგოდ დასრულდა, ხოლო ფინეთის შესახებ სტალინმა განაცხადა, რომ „მოკავშირეთა პატივისცემის" ნიშნად მცირე შესწორებებით დათანხმდებოდა „1940 წლის საზღვრებზე". ეს კი ის საზღვრები იყო, რომლებზეც საბჭოელებმა 1940 წელს ძალდატანებით დაითანხმეს ფინელები.

ამის შემდეგ სხდომაზე მცირე შესვენება გამოცხადდა, რომლის განმავლობაშიც რუზველტმა კერძო საუბარი გააბა სტალინთან და მოლოტოვთან[31]. იცოდა რა, რომ სხდომაზე უკვე პოლონეთის საკითხი უნდა წამოჭრილიყო, ამერიკის პრეზიდენტმა სტალინს გაანდო, რომ რაკი ის საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი კანდიდატურის ხელახლა წამოყენებას აპირებდა, ამიტომ არ უნდოდა პოლონური წარმოშობის რამდენიმე მილიონ ამერიკელ ამომრჩეველთან პრობლემა შექმნოდა; როგორც „პრაქტიკული ადამიანი", იგი ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა მათი განწყობა – მათ შეიძლებოდა ხმა არ მიეცათ ადამიანისთვის, რომელიც გაასხვისებდა მათ ისტორიულ სამშობლოს. ამიტომ იძულებული ვარ საიდუმლოდ და არაოფიციალურად განგიცხადოთ, რომ თანახმა ვარ პოლონეთის დასავლეთისკენ გადაწევაზე და საბჭოელებისთვის 1939 წელს მათ მიერ დაკავებული ტერიტორიების დაკანონებაზეო, დასძინა რუზველტმა. ეს მნიშვნელოვანი დათმობა იყო. სტალინი მიხვდა, რომ ბოლოს და ბოლოს დაითრია ტერიტორიები, რომლებსაც ის დასავლეთთან ალიანსის შექმნის პირველი დღიდანვე ითხოვდა. 1942 წელს ამერიკელები წყევლა-კრულვით რეაგირებდნენ საბჭოელებისადმი ამ ტერიტორიების გადაცემის ნებისმიერ წინადადებაზე; და აი, ახლახან პრეზიდენტმა რუზველტმა ყოველგვარი ბუზღუნის გარეშე თვითონ დათმო ისინი. ეტყობა, იფიქრა, რომ ამით ის თანხმობა დააბალანსა, რომელიც სტალინისგან მიიღო იაპონიასთან ომზე და გაეროს შექმნაზე. თუნდაც ეს ასე არ ყოფილიყო, ჩერჩილის თქმისა არ იყოს, განა დასავლელ მოკავშირეებს შეეძლოთ პრაქტიკულად რაიმე მოემოქმედათ ამ ტერიტორიების პოლონელებისთვის უკან დასაბრუნებლად?

სტალინთან ეს სადუმლო გასაუბრება რუზველტის მერკანტილური აზროვნების კიდევ ერთი მაგალითი იყო. მართალია, სტალინის ფსევდონიმი იყო "ფოლადი"(*STALIN*), თუმცა ეს ეპითეტი ზოგჯერ რუზველტსაც მოუხდებოდა. გარეგნული მომხიბვლელობისა და მხიარულების მიუხედა-

ვად, შინაგანად იგი ცივსისხლიანი და პოლიტიკური რეალობის უტყუარი ალღოს მქონე ლიდერი იყო.

ამ პირისპირ საუბარს რუზველტის ორი უახლოესი მრჩეველი – ავერელ ჰარიმანი და ჩარლზ ბოლენი – ესწრებოდა. შემდგომში ორივე წერდა, რომ პრეზიდენტი შეცდა. ჰარიმანი მიხვდა, რომ იმ მომენტიდან რუზველტმა საბჭოელებს პოლონეთში ფაქტობრივად თავიანთი რეპრესიული რეჟიმის დამკვიდრების უფლება მისცა, ხოლო ბოლენი „შემცბარი" იყო პრეზიდენტის ამ ნაბიჯით.

ჰარიმანს ამ საკითხზე ომის დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ახსნა-განმარტების მიცემა მოუწია აშშ-ს კონგრესში შექმნილი კატინის დანაშაულის გამომკვლევი კომიტეტისთვის. როდესაც ჰკითხეს, თუ რამდენად შეესაბამებოდა სტალინისთვის ამ ტერიტორიების მიკუთვნება ატლანტიკის ქარტიის პრინციპებს, მან უპასუხა: „რუსები დიდხანს ამტკიცებდნენ, ამ მტკიცებას არ ვეთანხმები, მხოლოდ ფაქტს მოგახსენებთ, რომ პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრები არასწორად იყო გავლებული და ეს რეგიონები უმეტესწილად ეთნიკური ბელორუსებითა და უკრაინელებით იყო დასახლებული და რომ პირველი მსოფლიო ომის ბოლოს დადებული ხელშეკრულება საბჭოელების მიმართ უსამართლო იყო. არ გამოვრიცხავ, რომ ეს საიდუმლო გარიგება ამ მიზეზით დადებულიყო და მიეჩნიათ, რომ ამით არ დარღვეულა ატლანტიკის ქარტია"[32]. ჰარიმანის ეს არგუმენტები უმწეოა თუ გავითვალისწინებით, რომ თვით ამერიკის ადმინისტრაცია 1942 წელს აღმოსავლეთ პოლონეთზე საბჭოელთა პრეტენზიას ატლანტიკის ქარტიის აშკარა დარღვევად თვლიდა.

სამნერ უელსი, რომელიც კონფერენციის დაწყებამდე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილედ მუშაობდა, ასევე მიიჩნევდა, რომ პრეზიდენტმა პოლონეთთან მიმართებაში თეირანში შეცდომა დაუშვა. როდესაც კონგრესში იგივე კომიტეტის წინაშე გამოსვლისას მას ჰკითხეს, ფიქრობთ თუ არა, რომ პოლონეთისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე საბჭოთა რუსეთის პრეტენზიების მიმართ უფრო მკაცრი პოლიტიკა რომ განხორციელებულიყო, დღევანდელ მსოფლიოს მრავალ პრობლემას ავაცილებდითო, უელსმა ცალსახად უპასუხა: „მოვლენების შემდგომმა განვითარებამ თქვენს კითხვას ნათლად გასცა პასუხი – „დიახ"[33].

საკითხავი ისაა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო 1943 წელს საბჭოთა კავშირის მიმართ ეს „უფრო მკაცრი პოლიტიკა". პოლონეთის გამო სტალინთან კონფრონტაციას ადვილად შეეძლო დიდი გავლენა მოეხდინა ომის მსვლელობაზე. მართალია უაღრესად არარეალური იყო სტალინის ჰიტლერთან დაზავების შესაძლებლობა, მაგრამ რეალური იყო საბჭოელთა მიერ რიგი სხვა სერიოზული პრობლემების შექმნის შესაძლებლობა, თუნდაც იაპონიასთან ომზე უარის თქმით. და მაინც, პოლონეთის საკითხისად-

მი მიდგომის უფრო სწორი გზა არსებობდა – ეს იყო შუალედური ვარიანტი, რომელიც რუზველტმა არ გამოიყენა. მას შეეძლო, არ დაეშვა ომის დამთავრებამდე საზღვრების საკითხის განხილვა, ომისშემდგომ კი შესაძლებელი იქნებოდა სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის თვით პოლონელების მონაწილეობით. სწორედ ასეთი პოზიცია ეკავათ ამერიკელებსაც და ბრიტანელებსაც ომის საწყის ეტაპზე, მაგრამ შემდგომში შეცვალეს პოლიტიკა, რადგან, მათი აზრით, ვითარება შეიცვალა. ასეთ ომისშემდგომ კონფერენციაზე შეიძლება პოლონელების პოზიცია ნაკლებად ყოფილიყო გაზიარებული, მაგრამ საკითხის განხილვა მაინც მოხდებოდა ღიად და პატიოსნად.

რას იზამდა სტალინი, თუ დასავლელი მოკავშირეები თავიანთ საწყის პოზიციაზე დარჩებოდნენ და ომის დამთავრებამდე საზღვრების საკითხის განხილვას არ დაუშვებდნენ? საზღვრებზე თანხმობის გარდა სტალინს ომის განმავლობაში შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთისგან სხვა რამეებიც სჭირდებოდა – პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მეორე ფრონტი. გაწყვეტდა თუ არა იგი ყოველგვარ სამოკავშირეო ურთიერთობას ჩერჩილთან და რუზველტთან იმ შემთხვევაში, თუ ისინი პოლონელების თანხმობის გარეშე მხარს არ დაუჭერდნენ პოლონეთის საზღვრების შეცვლას? რა თქმა უნდა, არა.

აქ საკამათო მხოლოდ ისაა, ჰქონდა თუ არა სტალინის გაღიზიანებას აზრი, თუკი მას უკვე მიტაცებული ჰქონდა ეს ტერიტორიები და მაინც თავისას შვრებოდა; დასავლეთს კი არ გააჩნდა სერიოზული შანსი, განედევნა წითელი არმია ამ ტერიტორიიდან.

და მაინც დიდი განსხვავებაა ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის ოკუპაციის დე ფაქტოდ აღიარებასა და ამ ოკუპაციის ლეგიტიმაციას შორის. ალბათ მიამიტობა იქნება პოლიტიკოსებისგან ველოდოთ, რომ უპირობოდ დაიცავენ თავიანთვე ხელმოწერილ, ატლანტიკის ქარტიის მსგავს პრინციპებს, მაგრამ ხშირად ამ პრინციპებიდან გადახვევა განსაკუთრებული ცინიზმით ხდება ხოლმე.

თეირანში სტალინთან მეგობრული გასაუბრების შემდეგ, სადაც მან ფაქტობრივად გადაულოცა საბჭოელებს აღმოსავლეთ პოლონეთი, რუზველტმა იმავე დღეს გამართულ სამი ლიდერის შეხვედრაზე „ოფიციალურად“ გამოთქვა იმედი, რომ სტალინი საერთო ენას გამონახავდა ლონდონში ემიგრირებულ პოლონეთის მთავრობასთან. სტალინმა იქვე უარყო ეს იდეა, უსირცხვილოდ იცრუა, რომ ლონდონელ პოლონელებს „კონტაქტი ჰქონდათ გერმანელებთან“ და „პარტიზანებს ხოცავდნენ“[34]. მან ისიც დასძინა, გუშინწინ (როცა მან და ჩერჩილმა მეგობრულად ისაუბრეს პოლონეთის საზღვრების შესახებ) პოლონეთის მთავრობასთან კავშირების აღდგენის ხსენებაც კი არ ყოფილა, მხოლოდ პოლონელებისთვის რაღაცის

გადაცემაზე შევთანხმდითო. საგულისხმოა, რომ არც ჩერჩილს და არც რუზველტს კრინტიც არ დაუძრავთ პოლონეთის გაძევებული მთავრობის დასაცავად. არაფრით დასტურდებოდა სტალინის უსუსური ბრალდება, თითქოსდა „პოლონეთის მთავრობას და მის მეგობრებს პოლონეთში კონტაქტი აქვთ გერმანელებთან". მიუხედავად ამისა, ბრიტანეთის პრემიერს და ამერიკის პრეზიდენტს არავითარი პროტესტი არ გამოუთქვამთ.

ჩერჩილი მოთმინებით ცდილობდა აეხსნა სტალინისთვის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ბრიტანელებისთვის პოლონეთის ბედი. „ჩვენთვის ეს თემა ძალზედ მტკივნეულია", უთხრა მან, „რადგან ამ ომში გერმანიის პოლონეთზე თავდასხმის გამო ჩავებით". შემდეგ სამმა ლიდერმა პოლონეთის რუკა მოითხოვა ახალი საზღვრების მოსანიშნად. საბჭოელთა მოთხოვნილ საზღვარს იქ მყოფმა ედენმა „რიბენტროპ-მოლოტოვის" ხაზი უწოდა, რაც მოლოტოვმა გააპროტესტა, სხვათა შორის ამას კერზონის ხაზი ჰქვიაო. რაც გნებავთ, ის უწოდეთო, უთქვამს სტალინს.

რუკაზე „ხანგრძლივი" მუშაობის შემდეგ ჩერჩილმა განაცხადა: „ეს მონახაზი მომწონს და პოლონელებს ვეტყვი, რომ სულელები იქნებიან, თუ ამ საზღვრებს არ დათანხმდებიან, და შევახსენებ, წითელი არმია რომ არა, ისინი მთლიანად განადგურდებოდნენ". მან ისე ღრმად შეტოპა, რომ გამოთქვა ღრმა რწმენა, პოლონეთის სახელმწიფოს რუსეთის მიმართ „მეგობრული დამოკიდებულება" ექნებაო. სტალინი მაშინვე დაეთანხმა, რომ საბჭოთა კავშირს პოლონეთთან „მეგობრობა" სურდა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრისგან ასე ზურგის შექცევა ისეთივე დიდად საზიანო იყო პოლონეთის მთავრობისთვის, როგორც საზღვრების გადაადგილების შესახებ „დიდი სამეულის" გადაწყვეტილება მათი ქვეყნისთვის. საკითხავი ისაა, ვინ რას გულისხმობდა სიტყვაში „მეგობრული". გამოდიოდა, რომ თუ ოდესმე პოლონელები საბჭოელებისთვის არასასურველ რამეს მოიმოქმედებდნენ, ავტომატურად „არამეგობრულნი" გახდებოდნენ. „მეგობრობის" ერთადერთი გზა პოლონეთისთვის რჩებოდა ის, რომ საბჭოთა კავშირის მარიონეტი ყოფილიყო, რაც დადასტურდა კიდეც შემდგომი მოვლენებით.

ამის შემდეგ შეხვედრის მონაწილენი კონფერენციაზე განსახილველ ბოლო საკითხზე გადავიდნენ. ეს იყო გერმანიის ომისშემდგომი მოწყობა. ყველა მომხრე იყო გერმანიის დანაწევრებისა – კამათი მხოლოდ ამ დანაწევრების მასშტაბებს ეხებოდა. ჩერჩილმა გამოთქვა აზრი, რომ პრუსია, როგორც ყველაზე საშიში რეგიონი, ცალკე ყოფილიყო გამოყოფილი. რუზველტმა, თავის მხრივ, გერმანიის შვიდ ნაწილად დაყოფის გეგმა წარმოადგინა, რომლის თანახმადაც ორი ნაწილი – კილის არხი და რურის ოლქები – საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებარებოდა. ეს გამაოგნებელი იდეა იყო, რომელმაც ჩერჩილი შოკში ჩააგდო. მას ქვეყნის ასეთი დაქუცმაცება წარმოუდგენლად მიაჩნდა.

რა თქმა უნდა, სტალინს, ჩერჩილისგან განსხვავებით, რუზველტის გეგმა მოეწონა. მას გერმანიის ისე დანაწევრება სურდა, რომ მისგან სამომავლოდ ნებისმიერი სამხედრო მუქარა გამორიცხული ყოფილიყო. ჩერჩილს, თავის მხრივ, ძლიერი სახელმწიფოების ნაკლებობის გამო ცენტრალური ევროპის დასუსტება ადარდებდა. სავარაუდოდ მას თავზარს სცემდა იმის პერსპექტივა, რომ ინგლისის არხისკენ მიმავალ გზაზე ვერავინ შეძლებდა გადაღობებოდა წათელ არმიას ომის დამთავრებისა და ამერიკელების წასვლის შემდეგ.

საბოლოო აზრი გერმანიის მომავალზე – პოლონეთისგან განსხვავებით – თეირანში ვერ ჩამოყალიბდა, თუმცა სამივე მხარემ საკუთარი პოზიცია დააფიქსირა. ამ ბოლო შეხვედრის შემდეგ რუზველტმა, ჩერჩილმა და სტალინმა ერთად ივახშმეს, ერთმანეთს დაემშვიდობნენ და მეორე დილით ადრე თავიანთ ქვეყნებში გაემგზავრნენ.

თეირანის შეხვედრები 28 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე გაგრძელდა და ამ ოთხ დღეში ისტორიული გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. ამ კუთხით შემდგომში გამართული იალტისა და პოტსდამის კონფერენციები თეირანის მხოლოდ აჩრდილებს წარმოადგენდა. ამ კონფერენციებზე, რუზველტს და ჩერჩილს კიდეც რომ მოენდომებინათ, ირანში მიღებული პრინციპული გადაწყვეტილებების დარღვევა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ეს პირველ რიგში პოლონეთის დასავლეთით „გადაადგილების“ შეთანხმებას ეხება.

მაგრამ თეირანის შეხვედრები ნიშანდობლივია არა მხოლოდ იქ მიღებული ეპოქალური პოლიტიკური და სამხედრო გადაწყვეტილებებით, არამედ ჩერჩილისა და განსაკუთრებით რუზველტის მცდელობებით, ესიამოვნებინათ სტალინისთვის. წითელი არმიის ჯარისკაცები გერმანული ძალების ჯერ კიდევ უდიდეს ნაწილს ერკინებოდნენ და სავარაუდოდ ევროპაში ომის დამთავრებამდე ასე გაგრძელდებოდა. მარტო 1943 წელს საბჭოელებმა კურსკთან თუ სხვაგან ბრძოლებში იმაზე მეტი მებრძოლი დაკარგეს, ვიდრე ბრიტანელებმა მთელი ომის განმავლობაში. დასავლელ მოკავშირეებს ხელს აძლევდათ, რომ საბჭოთა კავშირს ასე გაეგრძელებინა ბრძოლა და მსხვერპლი გაეღო.

სტალინისადმი მაამებლობაში ამ მიზეზებთან ერთად დიდ როლს ასრულებდა დასავლელი ლიდერების პირადი სიმპათიებიც საბჭოთა ბელადის მიმართ, გაღვივებული მათივე მთავრობების წახალისებული პროსაბჭოური პროპაგანდით. 1943 წელს დასავლეთის მასმედია და ხელოვნება განაგრძობდა საბჭოთა კავშირისა და სტალინის მადიდებელი მასალით საკუთარი მოსახლეობის გამოთაყვანებას. ამის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია ფილმი „მისია მოსკოვში“, რომლის პროდიუსერმა რობერტ ბუკნერმა იგი შემდგომში დაახასიათა როგორც „პოლიტიკური მოტივით გავრცელებული

მიზანმიმართული სიცრუე[35]". ამ ყველაფრის შედეგად დასავლეთის საზოგადოებას ასეთ „მიზანმიმართულ სიცრუეზე" დაფუძნებული უაღრესად დადებითი შეხედულება ჩამოუყალიბდა სტალინსა და საბჭოთა კავშირზე. ამიტომ რუზველტი უძლური იყო პრეზიდენტის შემდგომ არჩევნებამდე დარჩენილ ერთ წელზე ნაკლებ დროში არჩევნებში გამარჯვების შანსი შეენარჩუნებინა, თუკი საზოგადოების ამ განწყობას არ გაითვალისწინებდა.

თეირანიდან უკან დაბრუნებული რუზველტი საკმაოდ ბედნიერი ჩანდა იმით, რომ მოახერხა ამ პროპაგანდისტული კურსის შენარჩუნება. ჟურნალისტის შეკითხვას, თუ „რა ტიპის კაცი იყო მარშალი სტალინი", მან უპასუხა, მე მას დაახლოებით ჩემნაირ რეალისტს ვუწოდებდიო[36]. თავის 1943 წლის საშობაო რადიომიმართვაში ამერიკელი ხალხისადმი რუზველტმა აღნიშნა: „მინდა გითხრათ, რომ მშვენივრად შევეთვისე მარშალ სტალინს. ამ კაცში შერწყმულია უზარმაზარი და უშრეტი შეუპოვრობა და ჯანსაღი იუმორი. მჯერა, რომ ის რუსეთის სულისა და გულის ჭეშმარიტი განსახიერებაა. მჯერა, რომ ჩვენ კარგად შევეთვისებით მას და რუს ხალხს – ძალიან კარგად[37]".

თუმცა რუზველტმა მშვენივრად იცოდაა, რომ სტალინი ის „რეალისტი" იყო, რომელიც უარყოფდა ამერიკის პრეზიდენტისთვის ესოდენ ძვირფასს სამ ძირითად ღირებულებას – სიტყვის თავისუფლებას, რელიგიის თავისუფლებას და შიშისგან თავისუფლებას. სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ რუზველტი ღიად გმობდა სტალინის რეჟიმს და, თუმცა იმის რაღაც ნიშნები არსებობდა, რომ მომავალში საბჭოთა სისტემა გარკვეულწილად „ნაკლებად დრაკონული" იქნებოდა, ამერიკის პრეზიდენტს მშვენივრად უნდა სცოდნოდა, რომ სტალინი სულაც არ იყო „მისნაირი".

არსებობს იმის ნიშნებიც, რომ რუზველტის აღფრთოვანებული გამონათქვამები სტალინის შესახებ სულაც არ წარმოადგენდა პოლიტიკურ ხრიკს. როგორც თეირანში თავის ვაჟიშვილ ელიოტს საიდუმლოდ გაანდო, მან მართლაც დაინახა სტალინში „რაღაც მოსაწონი" და „შთამბეჭდავ პიროვნებად" მიიჩნევდა მას. ალბათ იმიტომ, რომ საბჭოთა ლიდერი გახლდათ საუცხოო მსმენელი – თვისება, რომელიც მეტად ხელს აძლევდა მჭერმეტყველ პრეზიდენტს – და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მანერებითა და იმიჯით სტალინი არ ჰგავდა სისხლისმსმელ ტირანს. მისი ბნელი მხარის დანახვა მაშინ იყო შესაძლებელი, თუ ყურადღებას არ მიაქცევდით ზედაპირულ ანუ გარეგნულ მონაცემებს და ჩაუღრმავდებოდით მის ნათქვამს. თეირანში ორმა დასავლელმა ლიდერმა ან არ მოისურვა, ან უბრალოდ ვერ შეძლო ამ ბნელი მხარის დანახვა.

ვიდრე სტალინი თეირანში რუზველტთან და ჩერჩილთან ერთად სადილობდა, მისი უშიშროების სამსახური გამალებული ცდილობდა სამი წლით ადრე მის მიერ კატინში მოწყობილი მასობრივი ხოცვა-ულეტის კვალის მიჩქმალვას. კურსკთან მოპოვებული გამარჯვებიდან მალევე, 1943 წლის აგვისტოს ბოლოს წითელმა არმიამ სმოლენსკი და მისი შემოგარენი გაათავისუფლა გერმანელებისგან. იმავე დღეებში საბჭოელებმა ისევ შემოარღვიეს ღობე კატინის სასაფლაოს და გერმანელების მიერ ამოთხრილი, გამოკვლეული და ისევ დამარხული გვამები ხელახლა ამოთხარეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ იცოდა, რომ ამ ხოცვა-ულეტის გერმანელებზე გადაბრალებისას ორ პრაქტიკულ პრობლემას აწყდებოდა. პირველი, გერმანელებს ხელთ ჰქონდათ თვითმხილველთა ჩვენებები, რომ დახვრეტა საბჭოელებმა განახორციელეს, და მეორე, პოლონელთა გვამებზე აღმოჩენილი დოკუმენტებიდან არც ერთი არ იყო 1940 წლის აპრილზე გვიან დათარიღებული, რაც აბსურდულს ხდიდა საბჭოელების მტკიცებას, თითქოსდა პოლონელები გერმანელებმა 1941 წლის ზაფხულში დახოცეს.

მაგრამ საბჭოთა უშიშროების სამსახურისთვის გადაულახავი დაბრკოლებები არ არსებობდა. პირველ რიგში მათ გერმანელების მიერ ნაპოვნ დოკუმენტებს შეთითხნილი საბუთები დაამატეს. მათ შორის იყო სტარობელსკის ბანაკში ვითომდა ვინმე ვლადიმერ არაშკევიჩის სახელზე გაცემული 25 მანეთის ქვითარი, დათარიღებული 1941 წლის 25 მარტით; აგრეთვე ხატი, რომლის უკანა მხარეზე გაურკვეველი წარწერა და თარიღი *„4/9/41“* იყო დატანილი. შინსახკომს არც მონმეთა ჩვენებების გაყალბება გაუჭირდებოდა. გერმანელთა მთავარი მოწმე იყო პ. გ. კისელიოვი[38], რომელსაც ნაამბობი ჰქონდა, თუ როგორ ესმოდა ყვირილისა და სროლის ხმა ტყიდან 1940 წლის გაზაფხულზე. ახლა კისელიოვი და მისი ვაჟიშვილი შინსახკომს ჰყავდა დაპატიმრებული ნაცისტებთან თანამშრომლობის ბრალდებით. ეს უმძიმესი ბრალდება იყო და დახვრეტას ან ხანგრძლივ პატიმრობას ითვალისწინებდა.

სხვა მოწმეებმა შინსახკომს დაუდასტურეს, რომ კისელიოვებმა გერმანელებს ჩვენება ნებაყოფლობით მისცეს და მათთვის ძალა არავის დაუტანებია, მაგრამ შინსახკომის მუქარის შემდეგ მამა-შვილმა ჩვენება შეცვალეს და საჯაროდ განაცხადეს, რომ გერმანელებმა მათ ადრინდელი „მცდარი ჩვენება“ ძალდატანებით მიაცემინეს. ახლა ისინი იფიცებოდნენ, რომ პოლონელები გერმანელებმა 1941 წლის ზაფხულში დახოცეს. შედეგად კისელიოვს და მის ვაჟიშვილს წაყენებული ბრალდებები მოეხსნათ. ასევე „დაამუშავა“ შინსახკომმა სხვა ადგილობრივი თვითმხილველებიც.

ვინმე ეფიმოვმა, ზუბკოვმა და ვასილევსკიმ ასევე შეცვალეს ჩვენებები და ახლა გერმანელებს ადანაშაულებდნენ კატინის მკვლელობებში.

შინსახკომს კატინის ისტორიის ახალი ვერსიის გამოსაცხობად ხუთი თვე დასჭირდა. მხოლოდ 1944 წლის იანვარში გამოქვეყნდა „გამოძიების" შედეგები, რომელიც საბჭოთა კომისიამ „ჩაატარა" სამედიცინო აკადემიის პრეზიდენტის ნიკოლაი ბურდენკოს ხელმძღვანელობით. საყურადღებოა ამ კომისიის სახელწოდება, რომელიც უკვე ჯერ არარსებული გამოძიების დასკვნას შეიცავდა: „კატინის ტყეში გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა მიერ პოლონელი სამხედრო ტყვეების დახვრეტის დამდგენი და გამომკვლევი საგანგებო კომისია". დოკუმენტები[39] მიანიშნებს, რომ ბურდენკო კატინის ტყეში არ შეუშვიათ მანამ, სანამ შინსახკომმა ნივთმტკიცებულებათა გაყალბება არ დაასრულა, ე. ი. 1944 წლის იანვრამდე. ამიტომ მისი ანგარიში, რომელიც ძირითადად შინსახკომის „წინასწარ ჩატარებულ მოკვლევებს" ემყარება, სულ რამდენიმე დღეშია დაწერილი.

საბჭოური გაყალბების შემდგომი ეტაპი იყო მსოფლიოსთვის ამ სიცრუის თავს მოხვევა. საამისოდ საბჭოთა ხელისუფლებას ამ პროცესში უცხოელი ჟურნალისტების ჩათრევა დასჭირდა. თორმეტზე მეტმა უცხოელმა, ძირითადად ამერიკელმა და ბრიტანელმა, ჟურნალისტმა 1944 წლის 21-დან 23 იანვრამდე კატინში იმოგზაურა. მათ მეგზურობას უწევდნენ მოსკოვში აკრედიტებული ამერიკის ელჩის მოადგილე ჯონ მელბი და ელჩის – ავერელ ჰარიმანის ქალიშვილი ქეთლინ ჰარიმანი. „რუსეთში არასდროს არც ერთი ჟურნალისტური ექსკურსია არ ყოფილა ისეთი კომფორტული, როგორიც კატინის ექსკურსია იყო[40]", აღნიშნული იყო ბრიტანეთის საელჩოდან ლონდონში გაგზავნილ ანგარიშში. „კორესპონდენტებმა კომფორტული, საძინებელ კუპეებიანი ელექტრომატარებლით და ფართო ავტობუსებით იმგზავრეს. მათ შესანიშნავი კვება და ბლომად არაყი, ღვინო და სიგარეტები ჰქონდათ". შემდეგ ანგარიშში ირონიულად იყო აღნიშნული: „რა თქმა უნდა, ასეთი ფუფუნება უწინარესად მისს ჰარიმანის (რომელსაც აქ ხუმრობით მისსის რუზველტი შეარქვეს) პატივსაცემადაა გამიზნული". საელჩო წინა, 23 იანვრის შეტყობინებაში უკვე ირწმუნებოდა: „ძნელია დაიჯერო, რომ რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა არ შეეცდება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ამ ორი ამერიკელი ოფიციოზის გამოძიებაში ჩართვა[41]". („სასარგებლოდ გამოყენება" გულისხმობდა იმ გავრცელებულ აზრს, თითქოსდა ამერიკის მთავრობა კატინის საბჭოურ ვერსიას იზიარებდა). ამ დეპეშას ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა წააწერა: „რა ჩემი საქმეა, მაგრამ ეს არცთუ ჭკვიანური საქციელია".

კორესპონდენტები ჯონ მელბისა და ქეთლინ ჰარიმანთან ერთად კატინში 22 იანვარს დილით ჩავიდნენ და უკან მეორე დილით ადრე გამოემგზავრენ; ასე, რომ მათ საბჭოური „ნივთმტკიცებულებების" შესაფა-

სებლად ოცდაოთხ საათზე ნაკლები დრო ჰქონდათ. კატინიდან დაბრუნებისთანავე მელბიმ ვრცელი ანგარიში მოამზადა, სადაც აღწერდა, თუ როგორ ცდილობდნენ საბჭოელები დამნაშავეებად გერმანელების გამოყვანას და მიუთითებდა მათი არგუმენტების უსუსურობაზე: „ყველა მონმე გაზუთხულივით იმეორებდა მხოლოდ იმ ერთსა და იმავე ჩვენებას, რომელიც ბურდენკოს კომისიისთვის ჰქონდა მიცემული... აღკვეთეს კორესპონდენტების მცდელობა შეკითხვები დაესვათ მონმეებისთვის... ყველა ჩვენება გაზუთხულივით იქნა ჩარაკრაკებული". მელბი ასევე აღნიშნავდა: „რუსების გამოძიების ანგარიშში წარმოდგენილი მტკიცებები არასრულია და ერთმანეთს არ შეესაბამება. მათ კორესპონდენტებს შოუ მოუწყვეს და არ მისცეს დამოუკიდებელი გამოკვლევის ან რაიმეს გადამოწმების საშუალება"[42]. საოცარია, რომ ამდენი აშკარა სიყალბის ჩამოთვლის შემდეგ მელბიმ მაინც დაასკვნა: „საბოლოო ანგარიშით, ასეთი ხრიკების მიუხედავადა, რუსული გამოძიების შედეგები დამაჯერებელია".

ომის შემდეგ მელბი კონგრესში გამოიძახეს კატინის საქმის მოსმენაზე და ჰკითხეს: „რატომ გამოიტანეთ ასეთი დასკვნა, როცა თავად აღიარებდით მტკიცებულებების უკმარისობას?"

„იმიტომ", უპასუხა მან, „რომ მე, გარდა რუსულისა, სხვა ვერსია და მტკიცებულებები არ გამაჩნდა". კონგრესის მრავალი წევრი აკრიტიკებდა მელბის პოზიციას და ადანაშაულებდა მას საკუთარი ხელმძღვანელებისადმი მაამებლობაში, რასაც მელბი უარყოფდა.

ქეთლინ ჰარიმანმაც დაწერა ანგარიში კატინის მონახულების შემდეგ და მანაც მხარი საბჭოთა ვერსიას დაუჭირა. მელბის მსგავსად, კონგრესის მოსმენაზე მასაც ჰკითხეს, თუ რატომ მივიდა ასეთ დასკვნამდე, როცა მისსავე ანგარიშში „არგუმენტების უმეტესობა არა გერმანელების, არამედ საბჭოელების დანაშაულზე მიუთითებს"[43]. როგორც მან უპასუხა, „მკვლელობის განხორციელების მეთოდებიდან გამომდინარე" დაიჯერა, რომ დანაშაული გერმანელებმა ჩაიდინეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჯონ მელბიმ და ქეთლინ ჰარიმანმა არაფერი აღიარეს, მაინც არსებობდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ სახელმწიფო დეპარტამენტს თავიანთი მთავრობისთვის სასურველი ანგარიში წარუდგინეს. რაც შეეხება კატინში მათთან ერთად მყოფ კორესპონდენტთა აზრს, ამის შესახებ ბრიტანეთის საელჩოს ანგარიშში ვკითხულობთ: „მე [ბრიტანეთის საელჩოს ჩინოვნიკმა ბ-ნმა ბალფურმა] განვიხილე ექსკურსიის შედეგები მისი მონაწილე რამდენიმე კორესპონდენტთან ერთად. მართალია მათ გულწრფელად სურთ, გაიზიარონ ამ საქმის საბჭოთა ვერსია, მაგრამ ნანახით და მოსმენილით არ არიან კმაყოფილნი. ზოგიერთმა ამერიკელმა კორესპონდენტმა პირდაპირ განუცხადა საბჭოთა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ ამ საქმის წარმოებით უკმაყოფილო იყო"[44].

როდესაც ჩერჩილი საბჭოელების ანგარიშს გაეცნო, მან თავის საგარეო საქმეთა მინისტრს მისწერა: „ვფიქრობ, სერ ოუენ ო'მალეის უნდა ვთხოვოთ სრულიად საიდუმლოდ გამოთქვას საკუთარი აზრი კატინის ტყეში ამ მოკვლევის შესახებ"[45]. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია წერილის ბოლოში გაკეთებული შენიშვნა: „ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებში გარკვევაა, რადგან არცერთმა ჩვენგანმა ამაზე კრინტიც კი არასდროს უნდა დაძრას".

ო'მალეის მოხსენება ამ საკითხზე, რომელიც 1944 წლის 11 თებერვლით იყო დათარიღებული, ვრცელ გზავნილს წარმოადგენდა. მასში ავტორმა ახალი და ძველი არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მისეული ბრწყინვალე ანალიზის საფუძველზე გამორიცხა საქმიდან ის ნივთმტკიცებულებანი და მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც საბჭოელების ან გერმანელების ჩარევის შედეგად შეიძლებოდა გაყალბებული ყოფილიყო და ყურადღება უდავო ფაქტებზე გაამახვილა. პირველი, მან ხაზი გაუსვა, რომ მოვლენების წარმოჩენის საბჭოური ვერსია ეყრდნობოდა „ისეთ ვარაუდს, რომლის დაჯერება შეუძლებელი იყო"[46]. ეს იყო ვარაუდი, თითქოს 1941 წლის ზაფხულის ქაოსში შესაძლებელი იყო ათასობით პოლონელი პატიმარი ისე გამხდარიყო გერმანელთა ტყვე, რომ „არც ერთი მათგანი არ გაპარულიყო ან ისევ რუსების ხელში არ მოხვედრილიყო, ანდა არ მიემართა რუსეთში პოლონეთის კონსულისთვის ან თუნდაც პოლონელთა იატაკქვეშა მოძრაობისათვის". მეორე, ო'მალეიმ ყურადღება მიაპყრო „აუხსნელ ფაქტებს", რომელთაგან უმთავრესი ის ფაქტი გახლავთ, რომ „1940 წლის აპრილის შემდეგ ამ პოლონელებისგან არავის არავითარი წერილი ან სხვა შეტყობინება არ მიუღია". ამ ორ ძირითად და სხვა ფაქტორთა ერთობლიობამ ო'მალეი დაარწმუნა საკუთარი „ადრინდელი დასკვნის" სისწორეში, ანუ იმაში, რომ პოლონელები საბჭოელებმა დახოცეს.

ვინც კი ო'მალეის ანგარიში წაიკითხა, ვერავინ შეიტანა ეჭვი ან ავტორის გულწრფელობაში ან ანგარიშიდან გამომდინარე მამხილებელ ვერდიქტში – ეს საშინელი დანაშაული ჩაიდინეს საბჭოელებმა, რომლებიც ახლა ფიქციური „საგანგებო კომისიის" დახმარებით ცდილობდნენ კვალის დაფარვას. ო'მალეი თავის ამ გზავნილს ანტონი ედენისადმი შემდეგი მნარე სიტყვებით ამთავრებდა: „დაე ამ ამბავზე ვიფიქროთ მუდამ და არ ვისაუბროთ არასოდეს. ეს პოლონეთის მთავრობასაც ვურჩიე, თუმცა ამის საჭიროება არც იყო. მან დუმილით უპასუხა რუსული გამოძიების გამოქვეყნებას. ცხოვრების ბედუკულმართობამ ამ ქვეყნის შვილებს ასწავლა, თუ რამდენად უპრიანია პოლიტიკურ ცხოვრებაში ზოგჯერ უთქმელი დარჩეს თუნდაც ყველაზე მტკივნეული სათქმელი".

ამ თემაზე დუმილს ინარჩუნებდა როგორც ბრიტანეთის, ასევე ამერიკის მთავრობაც. იმის გაცნობიერების მიუხედავად, რომ საბჭოელების

ვერსია „დაუჯერებელ ვარაუდებს“ ეფუძნებოდა, დასავლელი ლიდერები ჯერ ისევ იზიარებდნენ ჩერჩილის რჩევას, არც ერთმა ჩვენგანმა კრინტიც კი არ უნდა დაძრას ამაზეო. როდესაც კონგრესში კატინის ზემოთ აღნიშნულ მოსმენებზე ავერელ ჰარიმანს ჰკითხეს, თუ გამართულა თეირანში, იალტაში ან პოტსდამში თქვენი ან რომელიმე თქვენი კოლეგის მონაწილეობით რაიმე დისკუსია დახოცილი პოლონელი ოფიცრების შესახებო, მან უპასუხა, არა, არ მახსოვს ასეთი საკითხი წამოჭრილიყოსო[47].

რუზველტის დამოკიდებულება კატინის მოვლენებისადმი იმ ერთადერთ პუბლიკაციაში მჟღავნდება, სადაც აღწერილია 1944 წლის მაისში მისი შეხვედრა პენსილვანიის ყოფილ გუბერნატორთან, თავის ძველ მეგობარ ჯორჯ ჰოვარდ ერლისთან. ერლი თავგადასავლების მოყვარული კოლორიტული პიროვნება იყო. „იგი ბევრს მოგზაურობდა“, გვიამბობს მისი ვაჟიშვილი ლოურენს ერლი[48]. „უყვარდა ნადირობა, თევზაობა, თვითმფრინავის მართვა და სხვადასხვა სპორტული თამაშები“. ერლი ამერიკის დიპლომატიურ წარმომადგენლად მსახურობდა ბულგარეთში და პრეზიდენტის სპეციალურ ემისრად თურქეთში. 1944 წელს იგი ვაშინგტონში ჩავიდა რუზველტისთვის კატინის შესახებ საკუთარი აზრების გასაზიარებლად. ევროპაში ჩანერგილ სხვადასხვა სადაზვერვო წყაროზე დაყრდნობით მას ჩამოუყალიბდა მტკიცე აზრი, რომ ეს დანაშაული საბჭოელებმა ჩაიდინეს. პრეზიდენტთან შეხვედრის წინ კი ერლი მისმა ძველმა მეგობარმა, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ თანამშრომელმა ჯო ლევიმ მაინც გააფრთხილა: „ჯორჯ, შენ არ იცი იქ რა გელის. პრეზიდენტი ჰარი ჰოპკინსის სრული ზეგავლენის ქვეშაა და იქ [თეთრ სახლში] „წითელი“ ატმოსფერო სუფევს“[49].

რუზველტთან შეხვედრისას ერლიმ მას ჩამოუთვალა ყველა სამხილი, რომლებმაც იგი საბჭოელთა დამნაშავეობაში დაარწმუნა. სამხილები მათ შორის შეიცავდნენ ბულგარული და ბელორუსული სადაზვერვო წყაროების ცნობებს და სასაფლაოზე გადაღებულ ფოტოსურათებს. „ბატონო პრეზიდენტო“, თქვა ერლიმ, „მიჭირს დავიჯერო, რომ ამერიკის პრეზიდენტს და ბევრ სხვას კიდევ სჯერა, თითქოს კატინის მკვლელობა საიდუმლოებითაა მოცული. აგერ, ბატონო, ფოტოსურათები, აგერ წერილობითი მტკიცებულებანი და აგერ გერმანიის მთავრობის მოწვევა ნეიტრალური წითელი ჯვრისადმი, რათა ჩასულიყო იქ და მოკვლევა ჩაეტარებინა. სხვა რაღა მტკიცებულებებია საჭირო?“

„ჯორჯ“, უპასუხა პრეზიდენტმა, „გერმანელებს შეეძლოთ ეს ყველაფერი შეეთითხნათ. ეს ყველაფერი გერმანული პროპაგანდა და ინტრიგაა“[50].

„ბატონო პრეზიდენტო, ვფიქრობ ეს სამხილები ყოვლისმომცველია“, დაჟინებით ამტკიცებდა ერლი. იგი შეშფოთებას გამოხატავდა რუსეთთან დაკავშირებით გამეფებული ატმოსფეროს გამო. „ისინი განაფული მატყუარები არიან და ყველაფერი გააკეთეს, რათა ამერიკელი ხალხი გაეცურები-

ნათ კატინის საქმეში. უპირველესი და უსაშინელესი სიცრუე კი გახლავთ ჯო დეივისის წიგნი „მისია მოსკოვში“, სადაც სტალინი კეთილ თოვლის პაპად არის წარმოდგენილი. ჩვენ ამისგან ვერასდროს განვიკურნებით. ამით მთელი ამერიკელი ხალხია დაავადებული“, ამტკიცებდა იგი.

„ჯორჯ“, თქვა პრეზიდენტმა, „შენ ჯერ კიდევ 1942 წლიდან ხარ რუსეთზე გამწყრალი. ახლა მე მომისმინე. შენზე უფროსი ვარ და ბევრად უფრო გამოცდილი. ეს რუსები 180 მილიონი ადამიანია და 120 სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობენ. როგორც კი ომი დამთავრდება, ისე დაიშლებიან, როგორც მაღალი სიჩქარით მბრუნავი გაბზარული ცენტრიფუგა“. ერლის გადმოცემით, ეს რუზველტის „შაბლონური“ გამოთქმა იყო: „რუსეთი საშიში არ არის, რადგან მალე დაიშლება“. გაწბილებულმა ერლიმ თავი „უმნეოდ“ იგრძნო და განშორებისას პრეზიდენტს უკანასკნელად სთხოვა, ბატონო პრეზიდენტო, იქნებ ამ ყველაფერს კიდევ ერთხელ გადახედოთო.

ერლის ისტორიას საყურადღებო განვითარება აქვს. 1945 წლის მარტში მან გადაწყვიტა საბჭოელებზე საკუთარი შეხედულებების გამოქვეყნება, მაგრამ, როგორც ერთგულმა მეგობარმა, ჯერ პრეზიდენტს სთხოვა ამის ნებართვა. სულ მალე მან პრეზიდენტისგან აკრძალვის წერილი მიიღო. „შემაშფოთა თქვენმა განზრახვამ, გამოაქვეყნოთ თქვენი აზრები ჩვენი ერთ-ერთი მოკავშირის შესახებ“, წერდა პრეზიდენტი მას 1945 წლის 24 მარტს, „თანაც ზუსტად იმ დროს, როცა ჩემი ყოფილი ემისრის ასეთმა ქმედებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ჩვენს საომარ მცდელობებს... ასეთი გზით მოპოვებული ინფორმაციის გამოქვეყნება დაუშვებელია... კატეგორიულად გიკრძალავთ საჯარო გახადოთ ჩვენი ნებისმიერი მოკავშირის შესახებ რაიმე ინფორმაცია ან მოსაზრება, რომელიც მოპოვებული გაქვთ აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამსახურის ან თეთრ სახლში მუშაობის დროს“[51].

„ალბათ რუზველტს ეგონა, რომ მამაჩემმა უღალატა“, ამბობს ლოურენს ერლი. „მამაჩემი მისი გუნდის ნევრი იყო, რუზველტს კი გუნდური თამაში იმ გაგებით უყვარდა, რომ ყველგან თავისი კაცი ჰყოლოდა... როცა ეტყოდა გადახტიო, გადამხტარიყო“.

სულ რამდენიმე დღეში ერლიმ შეიტყო, თუ რას ფიქრობდა მასზე პრეზიდენტი. იგი მერილენდის მიყრუებულ ტბაზე ნავით თევზაობდა, როდესაც მას სხვა ნავი მიუახლოვდა. მასში ფედერალური დაზვერვის ორი აგენტი იჯდა. მათ ერლის ოფიციალური წერილი გადასცეს, რომლის თანახმადაც იგი სამოას თავდაცვითი ნაწილის მეთაურის მოადგილედ დაინიშნა და სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო წყნარი ოკეანის ამ კუნძულზე. ეს იყო შედეგი სამხედრო-საზღვაო დეპარტამენტისადმი პრეზიდენტის პირადი მითითებისა, ჯორჯ ერლი „სადმე შორს“ გაეგზავნათ სამუშაოდ.

„პრეზიდენტის ქმედება უჩვეულო და ავტოკრატორული იყო“, დაასკვნა ლოურენს ერლიმ, „რასაც დემოკრატიასთან არაფერი ჰქონდა საერთო“.

დამსჯელი დეპორტაცია

1944 წლის მაისში, თითქმის იმავე დროს, როცა ჯორჯ ერლის თეთრ სახლში პრეზიდენტთან უნაყოფო შეხვედრა ჰქონდა, სტალინი თავის ქვეყანაში კიდევ ერთი ეთნიკური ჯგუფის დეპორტაციის გეგმას განიხილავდა. 10 მაისით დათარიღებული ეს დოკუმენტი[52] შინსახკომის შეფის ბერიას შედგენილი იყო და ყირიმელი თათრების ბედს ეხებოდა. დაახლოებით ორასი ათასი თათარი ყირიმში, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსთან ახლოს რუსების გვერდიგვერდ ცხოვრობდა. თათრებს თავიანთი ენა, ტრადიციები და ჩაცმულობა ჰქონდათ; ისინი ისლამის მიმდევარნი იყვნენ. 1930-იან წლებში მათ საბჭოთა რეპრესია განიცადეს[53], ხოლო გერმანული ოკუპაციის პერიოდში მათი სოფლები რუსი პარტიზანების ხშირ თავდასხმას განიცდიდა.

ფაქტია, რომ თათრების ნაწილი 1941 წლის ნოემბრიდან 1944 წლის გაზაფხულამდე გერმანელებთან თანამშრომლობდა. ომის ტყვეებიდან შერჩეული და დაკომპლექტებული თათართა დაახლოებით ოციათასიანი შენაერთი გერმანელების მხარეზე იბრძოდა. ბუნებრივია ამის გამო გერმანელები ყირიმში თათრებს უფრო სასურველ პარტნიორებად მოიაზრებდნენ, ვიდრე რუსებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ათეულ ათასობით ყირიმელი თათარი პატიოსნად იბრძოდა წითელი არმიის რიგებში გერმანელების წინააღმდეგ.

ახლა კი, ყირიმის უკან დაბრუნების შემდეგ, სტალინს გადასაწყვეტი ჰქონდა, რა ექნა თათრებისთვის. განა შესაძლებელი იყო სტალინის ამ გადაწყვეტილებაში „რუსეთის სახელმწიფოსა და მთავრობის ხასიათის“ ის „ღრმა ცვლილებები“ ასახულიყო, რასაც ასე დაბეჯითებით ირწმუნებოდა ჩერჩილი?

რა თქმა უნდა, არა. სტალინმა ტრადიციას არ უღალატა და ბერიას დაავალა ყველა ყირიმელი თათარი უზბეკეთის უდაბნოში გადაესახლებინა, ე. ი. მცირე ნაწილის დანაშაულისთვის მთელი ეთნოსი დაესაჯა. რაკი განაჩენი მეტად უსამართლო იყო, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა იგი სწრაფად და გაუხმაურებლად აღესრულებინა.

გეგმის თანახმად მთელი ეთნოსი ერთ დღეში უნდა გაესახლებინათ. „ეს გრანდიოზული ოპერაცია იყო“, იხსენებს შინსახკომის მაშინდელი ლეიტენანტი ნიკანორ პერევალოვი[54], რომელიც ამ აქციაში მონაწილეობდა. „ყირიმი დიდი ტერიტორიაა და ამდენი ხალხის ერთდროული გასახლებისთვის უამრავი თანამშრომელი იყო საჭირო“. დაახლოებით ოცდაათი ათასი შინსახკომელი მონაწილეობდა ამ ოპერაციაში და, ისევე როგორც ოთხი წლით ადრე პოლონეთში, მისი დაწყების წინ რამდენიმე კვირის განმავლობაში ტერიტორიის დაზვერვა და მონაცემების გადამოწმება ხდებოდა. როცა თათრები ინტერესდებოდნენ, თუ რატომ შეგროვდა ყი-

რიმში, ფრონტის ხაზიდან ასე შორს ამდენი ჯარისკაცი, შინსახკომელები პასუხობდნენ, ფრონტიდან ახლახან გამოთავისუფლდნენო.

1944 წლის 18 მაისის გამთენიისას შინსახკომი ერთდროულად ყველა თათრის სახლს მიადგა. „დავაკაკუნე პირველი თათრის კარზე", გვიამბობს ნიკონორ პერევალოვი. „შუქი აინთო და იკითხეს ვინ არისო". პერევალოვმა უპასუხა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს სახელით ბრძანებდა კარი გაეღოთ. ბინაში შესვლისთანავე მან ოჯახს გასახლების დეკრეტი წაუკითხა. „რა თქმა უნდა, ყველამ ტირილი და მოთქმა დაიწყო. ყველა შეშინებული იყო; წინააღმდეგობის გაწევა ან გაქცევა არავის უცდია. ისინი მორჩილად ასრულებდნენ ჩვენს მითითებებს". პერევალოვი ირწმუნება, რომ მას სინდისი ქენჯნიდა, როდესაც თათრული ოჯახების განადგურებას უყურებდა: „პირადად მე ძალიან მეცოდებოდნენ; განსაკუთრებით ერთი მოხუცი ქალი შემეცოდა, რომელიც საკაცით ავიყვანეთ საბარგო მანქანაზე... ისე ავად იყო, რომ მოძრაობა და ლაპარაკიც კი არ შეეძლო". ცხადი იყო, რომ ეს ავადმყოფი მოხუცი გერმანელების აგენტი ვერ იქნებოდა. „ამ ხალხის უმრავლესობა არაფერი დაუშავებია", აღიარებს პერევალოვი. „რაც მართალია, მართალია".

კებირე მამეტოვა[55] მოზარდი გოგონა იყო, როცა მის ოჯახს შინსახკომი მიადგა. მამამისი იმ მომენტში წითელი არმიის რიგებში გერმანელებს ებრძოდა, მაგრამ სტალინისა და მისი შინსახკომისთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. არც იმას არავინ დაგიდევდათ, რომ კებირეს დედა ადგილობრივ პარტიზანებს ეხმარებოდა გერმანული ოკუპაციის პერიოდში: „მათ სხვადასხვა სანოვაგეს ვახვედრებდით, როცა მოვიდოდნენ ხოლმე. ხშირად ღვეზელით ვუმასპინძლდებოდი. თუ გერმანელების გამოჩენის არ გვეშინოდა, მაშინ დედაჩემი მათ სახლში უშლიდა სუფრას". გერმანელებს ეს პარტიზანები იქ რომ ენახათ, კებირეს დედას დახვრეტა არ ასცდებოდა.

მაგრამ იმ 18 მაისს შინსახკომისთვის მხოლოდ იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ეს ოჯახი – კებირე, დედამისი, კებირეს სამი და და ერთი ძმა – ყირიმელი თათრების დიდ სიაში ირიცხებოდა. „ორი ჯარისკაცი შემოვიდა", იხსენებს კებირე, „გამოგვიცხადეს, რომ გასახლებას ვექვემდებარებოდით და თხუთმეტი წუთი გვქონდა მოსამზადებლად". კებირეს ატირებულმა დედამ მაშინვე მომზადება დაიწყო. იგი შეეცადა მოეგროვებინა საჭირო ნივთები: „რა თქმა უნდა, ატყდა ტირილი და ხმაური... იატაკზე სამფეხა ქვესადგამზე ადულებული რძე გვედგა. დედაჩემმა სთხოვა, მაცადეთ, ბავშვებს რძეს დავალევინებო, მაგრამ ერთმა ჯარისკაცმა ქვესადგამს წიხლი ჰკრა და რძე დაღვარა".

შინსახკომის ჯარისკაცებმა შემდეგ ოქროულობის ძებნა დაიწყეს – ტრადიციულად თათრები სიმდიდრეს ოქროს სამკაულის სახით აგროვებდნენ და სადმე სახლში ან ბაღში მალავდნენ. ამეტოვების ოჯახს

სამკაულები ღუმელის ქვეშ ჰქონდა გადამალული. შინსახკომის ჯარისკაცებმა რომ ვერ იპოვეს, გაბრაზებულებმა ამეტოვების საკერავი მანქანა გააყოლეს ხელს.

ოჯახი უახლოეს მუსლიმანურ სასაფლაოზე ნაიყვანეს, რომელიც ახლომდებარე სოფლების თავშეყრის ადგილი იყო. სასაფლაოზე საცოდაობა ტრიალებდა. „ირგვლივ ტირილისა და გოდების ხმა ისმოდა“, ამბობს კებირე. „მთელი სოფელი ტიროდა. ზოგი შვილს ვეღარ პოულობდა, ზოგი – ქმარს. საშინელი ქაოსი იყო“. სასაფლაოზე ოჯახები თითქმის მთელი დღე ჰყავდათ. ამასობაში ხალხს, უმთავრესად ბავშვებს, საჭირო მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოუნდა, რჯული კი მათ წმინდა ადგილის შერყვნას უკრძალავდა. ამის მიუხედავად შინსახკომელებმა არ მისცეს ნება, ახლომდებარე მინდორში გასულიყვნენ. „ბავშვებს მეტის მოთმენა აღარ შეგვეძლო და იძულებული ვიყავით საცვლებში ჩაგვესვარა“, ამბობს კებირე.

ნაშუადღევს სასაფლაოდან ხალხის გამოყრა და სატვირთო მანქანაში ჩაყრა დაიწყეს. მანქანებით უახლოეს რკინიგზის სადგურში მიყავდათ და სატვირთო მატარებლის ვაგონებში ტენიდნენ. ეს ყველაფერი სწრაფად და უხეშად კეთდებოდა. შინსახკომს სულაც არ ანაღვლებდა, ერთი ოჯახის წევრები ერთად მოხვდებოდნენ თუ არა: „ისინი ხალხს ერთ სატვირთო მანქანაზე სვამდნენ, მათ ნივთებს კი სხვა მანქანაზე ყრიდნენ; ასევე დიდებსა და ბავშვებს სხვადასხვა მანქანებზე ათავსებდნენ... რკინიგზის სადგურში უამრავი ხალხი დარბოდა და საკუთარ ბავშვებსა და ნივთებს ეძებდა... დედაჩემმა გვერდიდან არ მოგვიშორა და დაკარგვას გადაგვარჩინა. ჯარისკაცებმა კისერში ჩაგვავლეს ხელი და კატის კნუტებივით შეგვყარეს ვაგონში. ძალიან უხეშად გვეპყრობოდნენ“. ეტყობოდა რკინიგზის ვაგონებს მანამდე ცხოველების გადასაზიდად იყენებდნენ, რადგან ისინი რწყილებიანი თივით იყო სავსე. „გაუსაძლისი სიმყრალე იდგა“, იგონებს კებირე. „ეს ნამდვილი კოშმარი იყო“.

როცა მატარებელი დაიძრა, მათ დაცარიელებული სოფლებიდან მიტოვებული ძაღლების ყეფა და ძროხების ბღავილი შემოესმათ. სულ რაღაც ერთი დღის წინ თათრები ყირიმში ომის დამთავრებას ზეიმობდნენ და მშვიდობიან ცხოვრებაზე ოცნებობდნენ, ახლა კი მათ საბჭოთა ხელისუფლება უცნობი მიმართულებით მიერეკებოდა. და როცა ფარღალალა ვაგონის ჭუჭრუტანიდან ღამის სიბნელეს აშტერდებოდა, კებირე მამეტოვას თავში მწვავე კითხვები უტრიალებდა. „ვერ გამეგო, რა დავაშავეთ ასეთი“, ამბობს იგი. „დღესაც კი არ ვიცი, რისთვის დაგვსაჯეს. რა უნდა დაეშავებინათ მოხუცებსა და ბავშვებს ამისთანა? რა სასჯელს ვიმსახურებდით ასეთს, რომ მხოლოდ თხუთმეტი წუთი მოგვცეს ნივთების ჩასალაგებლად, სანამ სამუდამოდ დაგვატოვებინებდნენ სახლებს?“

რაც უფრო გაურკვეველია კებირასთვის მისდამი და მისი ოჯახისადმი ასეთი არაადამიანური მოპყრობის მიზეზები, მით უფრო ძლიერია მასში მობობოქრე ერთადერთი ემოცია – შურისძიების წყურვილი: „ის გუშაგი რომ შემახვედრა, ავკუნავდი და ჩამოვახრჩოდი... იმ მედლებს ავაგლეჯდი და სახეში მივაყრიდი. რასაც ის სჩადიოდა, იმას ადამიანები არ სჩადიან. ნაცვლად იმისა, რომ ომში ებრძოლა, უდანაშაულო ბავშვებს დაერია... მართალია უკვე მოვხუცდი და უკვე 220 მაქვს წნევა, მაინც ჩემი ხელით ავკუნავდი იმ ჯარისკაცს“.

მუსფერა მუსლიმოვა[56] თხუთმეტი წლის იყო, როდესაც იმ 18 მაისს ისიც თავის ოჯახთან ერთად სადეპორტაციო მატარებელში შეაგდეს: „მაშინ ბევრს უჩნდებოდა კითხვა, ნეტავ თუ იცის ეს ამბავი სტალინმაო; ეს რომ სტალინს გაეგო, ამას არ დაუშვებდაო. მგზავრობისას ხმა დაირხა, სტალინს შეუტყვია რაც ხდება და მალე სახლებში დაგვაბრუნებენო... სტალინმა გაგვათავისუფლა გერმანელებისგან და ამიტომ მისი იმედი გვქონდა“.

თუ ჩავთვლით, რომ ეს მასობრივი დეპორტაცია იმ თათრების დასასჯელად იყო გამიზნული, ვინც გერმანელებთან თანამშრომლობდა, მაშინ უნდა ითქვას, რომ მან მიზანს ვერ მიაღწია. მტრის მხარეზე მებრძოლ თათართა უმრავლესობამ თავის ნაწილებთან ერთად დასავლეთით უკან დაიხია და საბჭოელებს უდანაშაულო ნათესავები შეატოვა ხელში. მეორე მხრივ, გადასახლებულთა შორის მოხვდა დაახლოებით ცხრა ათასი წითელ არმიაში ნამსახურევი და შვიდასზე მეტი კომუნისტი თათარი[57].

გასაკვირი არაა, რომ ამ დეპორტაციის აშკარა ალოგიკურობამ ზოგ ანალიტიკოსს აფიქრებინა, რომ ამას რაღაც ფარული მოტივი ჰქონდა[58]. მათი თეორიის თანახმად, ამ აქციის მიზეზი თურქეთისადმი საბჭოელების დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ. სტალინი არასოდეს მალავდა სურვილს, საბჭოელების კონტროლქვეშ მოექცია დარდანელის სრუტე, რომელიც შავ ზღვას ხმელთაშუა ზღვასთან აკავშირებდა. ამ სრუტეს მეთხუთმეტე საუკუნიდან თურქეთი – ის ქვეყანა აკონტროლებდა, რომელსაც, სტალინისდა სამწუხაროდ, ამ ომში ნეიტრალიტეტი ეკავა. საბჭოელებს სრუტეზე სამხედრო ბაზების განლაგება და ახლომდებარე თურქული ტერიტორიების ოკუპაცია სურდათ. ამიტომ ზოგი ანალიტიკოსის აზრით, თურქებთან ისტორიული კავშირის მქონე ყირიმელი თათრების დასჯა საბჭოთა კავშირის მზარდი ანტითურქული განწყობილების გამოხატულება იყო. ამავე მიზეზს უკავშირებენ ისინი სხვა ერების, კერძოდ ჩეჩნებისა და ინგუშების მოგვიანებით განხორციელებულ დეპორტაციასაც.

ეს საინტერესო, მაგრამ თითქმის თავიდან ბოლომდე მცდარი თეორიაა. თათრების დეპორტაცია საბჭოთა კავშირში ეროვნული უმცირესობის აბუჩად აგდების სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი იყო და არა თურქეთზე ზემოქმედების ზომა. ასეთივე პოლიტიკის ნაწილი იყო თათრების გადა-

სახლებამდე ოთხი თვით ადრე, 1943 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული დაახლოებით ასი ათასი ყალმუხის დეპორტაცია. ყალმუხები მომთაბარე მონგოლთა შთამომავლები იყვნენ, რომლებიც ასეულობით წლის წინათ სტალინგრადიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმულ უდაბურ სტეპებში სახლობდნენ. თათრების მსგავსად ისინიც გერმანელ ნაცისტებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულეს და მასიურად გადაასახლეს, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც არანაირი ლოგიკით არ განეკუთვნებოდნენ „კოლაბორაციონალისტებს". მაგალითად, ალექსეი ბადმაევი[59] წითელ არმიაში იბრძოდა სტალინგრადთან და ჯილდოებიც მიიღო საბრძოლო მამაცობისთვის. 1944 წლის იანვარში იგი ბრძოლაში მიღებული ჭრილობების მოსაშუშებლად სამხედრო ჰოსპიტალში მკურნალობდა, როცა უბრძანეს სასწრაფოდ ახლომდებარე რკინიგზის სადგურში გამოცხადებულიყო. იქიდან ურალის მთების ჩრდილოეთით განთავსებულ შრომა-გასწორებით ბანაკში უკრეს თავი. იმ ბანაკში მის თვალწინ მრავალი ყალმუხი მეომარი შიმშილითა და ავადმყოფობით დაიღუპა. ეს ყველაფერი ნამდვილი სიგიჟე იყო. „ვინ ვინ და მე ყველაზე კარგად ვიცი", ამბობს ბადმაევი, „რომ იმ დროს ფრონტზე ჯარისკაცები აკლდათ და ამ ხალხის იქიდან მოშორებაზე მეტი ტუტუცობა რა უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, თავისთავად მთელი ერის დეპორტაცია უკვე დიდი დანაშაულია. ერთი უდანაშაულო ადამიანის დასჯაც კი დანაშაულია, ხოლო მთელი ხალხი გადაასახლო და დასახოცად გაწირო, უნდა გითხრათ, არც კი ვიცი, რას შევადარო".

ამგვარად, ყირიმელი თათრების დეპორტაცია იყო ნაწილი საყოველთაო სადამსჯელო პოლიტიკისა, აეყარათ მთელი ეთნიკური ჯგუფები საკუთარი მიწა-წყლიდან და საბჭოთა კავშირის შორეულ მხარეებში შრომით ბანაკებში და კოლმეურნეობებში სამუშაოდ გადაესახლებინათ. ამ დეპორტირებულთა საერთო რაოდენობა ძნელი დასაზუსტებელია, მაგრამ მილიონს ნამდვილად უახლოვდება.

დეპორტაცია დისიდენტობის ჩახშობის და შურისძიების ველური და დაუოკებელი წყურვილით იყო მოტივირებული. ამ პროცესში სტალინისა და ბერიასთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა დამნაშავეს უდანაშაულოც თუ მიჰყვებოდა. ომისშემდგომი სუკის მეთაური ვლადიმირ სემიჩასტნი[60] ამბობს: „სტალინს რომ საქმეებში ქექვა დაეწყო და ერკვია, ვინ იყო დამნაშავე და ვინ არა, ვინ ფრონტზე იბრძოდა, ვინ პარტუჯრედში მუშაობდა და ვინ არა, ამას ოცი წელი მაინც დასჭირდებოდა. თანაც მაშინ ომი იყო და საამისოდ სად ეცალა?.. ასეთი იყო პრობლემების გადაჭრის სტალინური მეთოდი... მილიონი ადამიანის გადასახლება მისთვის ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა".

რა თქმა უნდა, მოსახლეობის ასე მასიური აყრა-გადაადგილება დასავლეთისთვის შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. მაგრამ, ისევე როგორც კატინის მკვლელობათა შემთხვევაში, ბრიტანელებმა და ამერიკელებმა აქაც

უსარგებლოდ მიიჩნიეს ხმაურის ატეხვა. თუმცაღა არსებობდა სტალინის სადეპორტაციო პოლიტიკის მსხვერპლთა შორის ადამიანთა ერთი დიდი ჯგუფი, რომლის იგნორირება დასავლეთს არ შეეძლო, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ჯგუფი დასავლელ მოკავშირეებს ამ ომის ერთ-ერთი ყველაზე მძვინვარე და სასტიკი ბრძოლის მოგებაში ეხმარებოდა.

პოლონელები და მონტე კასინო

უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩერჩილი თეირანში ბევრს ცდილობდა, რათა იტალიაში მოკავშირეთა ძალები გაეძლიერებინა. ჯერჯერობით იქაური „რბილ მუცელზე" შეტევა საკმაოდ ჩამორჩებოდა დაგეგმილ მასშტაბებს. მოკავშირეთათვის უდიდეს პრობლემას ადგილობრივი რელიეფი წარმოადგენდა. მათმა მებრძოლებმა 1943 წლის სექტემბერში სალერნოში გადასხმისთანავე შეიცნეს ის მკაცრი რეალობა, რომ იქაური ადგილები შეტევითი ბრძოლებისთვის არახელსაყრელი იყო. ციცაბო მთები და ჩქარი მდინარეები მნიშვნელოვნად აფერხებდა წინსვლას. ამერიკელთა 36-ე დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი ფრედერიკ უოლკერი 22 დეკემბერს თავის დღიურში წერდა: „აქ რომელიმე მთის აღება არავითარ ტაქტიკურ უპირატესობას არ იძლევა, რადგან იმის იქით ყოველთვის რჩება გერმანელებით სავსე კიდევ სხვა მთა"[61]. მოკავშირეები თანდათან რწმუნდებოდნენ ნაპოლეონის მიერ ოდესღაც ნათქვამის სისწორეში: „იტალია არის ჩექმა, რომელშიც მხოლოდ ყელიდანაა შესასვლელი"[62].

იმდროინდელი გერმანული პროპაგანდისტული პროკლამაციაც ამ სიძნელეებს ასახავდა. მასზე მთების მთელი რიგი პირზე დუჟმომდგარ და ბასრკბილებიან მტაცებელ ცხოველთა სახით იყო წარმოდგენილი. ნახატს ეწერა: „მზიური იტალიის მთები და ველები თქვენ გელიან". პროკლამაცია ალიანსის მეომრების დასაფრთხობად იყო გამიზნული და მასზე გამოსახულ ყველაზე საშიშ მთას „*CASSINO*" (კასინო) ერქვა[63].

მეექვსე საუკუნეში წმინდა ბენედიქტის მიერ დაარსებული მონტე კასინოს მონასტერი პატარა ქალაქ კასინოსთან, მაღალი მთის მწვერვალზეა აშენებული. ეს მთა რომის სამხრეთით გამავალი გერმანელთა თავდაცვითი, ე. წ. გუსტავის ხაზის გადამწყვეტ სტრატეგიულ რგოლს შეადგენდა. იტალიის დედაქალაქისკენ წინ რომ წაეწიათ, მოკავშირეებს აუცილებლად უნდა აეღოთ ეს მონასტერი. როგორც აღმოჩნდა, ამ მიზნის მისაღწევად მოკავშირეებს ამ ომში ერთ-ერთი უსასტიკესი და სისხლისმღვრელი ბრძოლა ელოდათ.

რელიეფის პრობლემებით გამოწვეულ მოკავშირეთა აგონიას ჩერჩილის მოუთმენლობაც ამძაფრებდა. პრემიერ-მინისტრს იტალიის ბრძოლებში

დიდი პოლიტიკური კაპიტალი ჰქონდა ჩადებული და ახლა ის ამ კაპიტალს გაფლანგულს ხედავდა. იგი უზომოდ იმედგაცრუებული იყო 1944 წლის 22 იანვარს გუსტავის ხაზის ჩრდილოეთით ანძიოში მოკავშირეთა გადასხმის წარუმატებლობით. ამ ოპერაციისთვის ჩერჩილმა თეირანის შეხვედრებზე დიდი ხვენნის შედეგად დამატებითი სადესანტო გემები გამოითხოვა, მაგრამ გერმანელებმა თავდაცვითი რესურსების სწრაფი გადაადგილების შედეგად მოკავშირეთა უკუგდება მოახერხეს. ანძიოს ოპერაციის წარუმატებლობით განაწყენებულმა ჩერჩილმა მოსწრებულად შენიშნა, ზღვის პირას ავაზა მი-ვიმწყვდიეთ და ხელში დამხჩვალი ვეშაპი შეგვრჩაო[64].

ამან ყველაფერმა გააძლიერა ზემოქმედება გუსტავის ხაზზე განლაგებულ მოკავშირეთა მოიერიშე შენაერთებზე, რათა წინ წაეწიათ რომის მიმართულებით. აქ კი მთავარი პრობლემა მონტე კასინოს აღება იყო, რომელსაც ფსიქოლოგიური მხარეც გააჩნდა. მართალია ეს მონასტერი გერმანელებმა წმინდა ადგილად შერაცხეს და ირწმუნებოდნენ, რომ იქ ჯარი არ ჰყავდათ, მაგრამ თვით მონასტრის მაღალი კედლები გადაულახავ ბარიერს უქმნიდა მოკავშირეებს. არსებობდა იმის შიშიც, რომ გერმანელებს მონასტერში არტილერისტები მაინც ეყოლებოდათ (შემდგომმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ გერმანელები მართალს ამბობდნენ და მონასტერში მებრძოლები არ შეუყვანიათ).

ასე იყო თუ ისე, 1944 წლის 15 თებერვალს მოკავშირეებმა ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური სამხედრო ოპერაცია განახორციელეს – მონტე კასინოს მონასტერი დაბომბეს. „ჩვენ გვეგონა, რომ მას არ დაბომბავდნენ“, გვიამბობს გერმანელთა მაშინდელი მედესანტე იოზეფ კლეინი[65]. „ეს ხომ უძველესი მონასტერი იყო ევროპაში... ძალიან გავოცდით, როცა მოკავშირეთა თვითმფრინავებმა გეზი მონასტრისკენ აიღეს... ბომბები რომ დაუშვეს, მაშინღა მივხვდით, რომ მონასტერს ბომბავდნენ. განცვიფრებული დავრჩით. ასეთი რამ ვერ წარმოგვედგინა. ჩვენზე – გერმანელებზე ამბობენ, უღმერთოები არიანო, ამ ვითომ ქრისტიანმა ხალხმა კი ეს რა ჩაიდინა! მართლაც რომ დაუჯერებელი ამბავია!“

საავიაციო და საარტილერიო დაბომბვებმა მონასტერი ნანგრევებად აქცია. „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ამ ოპერაციას „ერთ შენობაზე ოდესმე განხორციელებული ყველაზე მასშტაბური საჰაერო და საარტილერიო შეტევა“[66] უწოდა. მართალია ამ დაბომბვამ მოკაშირეთა მებრძოლებს სიმხნევე შემატა, მაგრამ გერმანელებს მოულოდნელი შესაძლებლობები მისცა. „ძნელია სადმე მდგარ შენობას ისე შეეფარო, რომ შეუმჩნეველი დარჩე“, ამბობს კლეინი. „დანგრეულ შენობაში კი დამალვა ადვილია, რადგან ადამიანი ნანგრევებს კარგად ერწყმის და ლანდშაფტის ნაწილი ხდება... როგორც კი მონასტერი დაანგრიეს, მაშინვე დავიკავეთ იგი. ეს შესანიშნავი თავდაცვითი პოზიცია იყო“.

მონტე კასინოს ასაღებად მოკავშირეებს სულ ოთხი სხვადასხვა ოპერაციის განხორციელება დასჭირდათ. პირველი ჩატარდა დაბომბვამდე ერთი თვით ადრე, როცა 17 იანვარს ბრიტანელთა X კორპუსის შენაერთებმა ფრონტის მარცხენა ფლანგზე მდინარე გარილიანო გადალახეს, ხოლო ამერიკელთა 36-ე დივიზიამ მათ მხარდასაჭერად ფრონტის ცენტრში მდინარე რაპიდო გადაკვეთა. ცუდი ამინდის, ჯავშანსატანკო ტექნიკის ნაკლებობის, რთული რელიეფისა და გერმანელთა ძლიერი კონტრშეტევის გამო ეს ოპერაცია ჩაიშალა. შემტევმა ძალებმა ბევრად უფრო მეტი ზარალი განიცადეს, ვიდრე გერმანელებმა. მარტო ერთმა ამერიკულმა დივიზიამ ცოცხალი ძალის 80% დაკარგა ორი ათასზე მეტი მოკლულისა და დაჭრილის სახით[67].

ასევე უშედეგოდ დასრულდა მონტე კასინოს აღების მეორე მცდელობაც, რომელიც დაბომბვის მომდევნო დღეებში განხორციელდა სასსექსის სამეფო შენაერთისა და ინდოელი მეომრების მონაწილეობით. იგივე ბედი გაიზიარა ახალზელანდიელი მეომრების მონაწილეობით 15 მარტს ნამონყებულმა იერიშმაც. გერმანელთა დაცვა მყარად იდგა, განსაკუთრებით კი 1-ლი პარაშუტისტთა დივიზია გამოირჩეოდა, რომელსაც ბრიტანელმა გენერალმა ალექსანდერმა „გერმანული არმიის საუკეთესო დივიზია“ უწოდა[68]. იგი კუნძულ კრეტაზე და რუსეთში ნაომარი მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული. იოზეფ კლეინიც ამ „ელიტური“ შენაერთის წევრი იყო. მისი აზრით გერმანელთა უპირატესობის მთავარი კომპონენტი თავდაცვითი პოზიციების სწორად შერჩევა იყო. იგი ამბობს: „სულ ვფიქრობდი, თუ რამხელა სისულელეს სჩადიოდა ჩვენი მოწინააღმდეგე, როცა თავის მეომრებს 45°-იან აღმართზე და თანაც ყველაზე რთულ მარშრუტზე გზავნიდა იერიშზე“.

მონტე კასინოს აღების მეოთხე მცდელობა 1944 წლის მაისში განხორციელდა. მესამე მცდელობის შემდეგ გავლილ ორ თვეში მოკავშირეებმა კარგი ამინდით ისარგებლეს და უფრო ფართომასშტაბიანი იერიშისთვის მოემზადნენ. ამჯერად მონტე კასინოს აღება პოლონელთა მე-2 კორპუსს დაევალა გენერალ-ლეიტენანტ ვლადისლავ ანდერსის მეთაურობით. მათ ნაბრძანები ჰქონდათ, მონასტრის „იზოლაცია“ მოეხდინათ, რისთვისაც მისი გარემომცველი მთები უნდა დაეკავებინათ. ანდერსი იმთავითვე მიხვდა, რომ პოლონელთათვის მონტე კასინოს მიმდებარე მწვერვალების დაპყრობა მხოლოდ სამხედრო ოპერაცია არ იყო: „მივხვდი, რომ მძიმე დანაკარგები გველოდა, მაგრამ ვაცნობიერებდი იმასაც, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონტე კასინოს აღებას ალიანსისთვის და მეტადრე პოლონეთისთვის, რადგან ამით ერთხელ და სამუდამოდ მოეღებოდა ბოლო საბჭოთა ცილისწამებას, თითქოსდა პოლონელებს არ სურდათ გერმანელების წინააღმდეგ ეომათ. ეს გამარჯვება სიმხნევეს შემატებდა პო-

ლონეთში წინააღმდეგობის მოძრაობას და დიდებას მოუტანდა პოლონურ არმიას. მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ ამ შეტევის განხორციელებაზე თანხმობა განვაცხადე"[69].

11 მაისს პოლონურმა შენაერთებმა მონტე კასინოზე პირველი იერიში მიიტანეს. ვიესლავ ვოლვოვიჩის[70] გადმოცემით, ანდერსის არმიის მეომრებისთვის ეს „საბრძოლო ნათლობა" იყო. ლვოვის მე-16 მსროლელთა ბატალიონის ახალგაზრდა ოფიცერი ვოლვოვიჩი იტალიაში გრძელი და შემოვლითი გზებით მოხვდა. 1939 წლის შემოდგომაზე იგი საბჭოელებმა ლვოვის გარეუბანში შეიპყრეს, როდესაც პოლონეთის არმიაში განაწერიანების მიზნით დასავლეთში გაქცევას ცდილობდა. ლვოვის ცნობილ ბრიგიდკის ციხეში შინსახკომელთა მიერ დაკითხვის შემდეგ იგი 1940 წლის გაზაფხულზე ურალის მთებში გაუშვეს შრომით ბანაკში ხუთწლიანი სასჯელის მოსახდელად. საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ გაათავისუფლეს და ანდერსის არმიაში გააწერიანეს. მოგვიანებით მან II პოლონურ კორპუსთან ერთად საბჭოთა კავშირი დატოვა და წვრთნას ერაყსა და პალესტინაში გადიოდა. ახლა კი იგი თავის შენაერთთან ერთად კასინოზე საარტილერიო შეტევას ახორციელებდა და თანაც მთას შეფენილი პოლონელი ჯარისკაცების პირველ ტალღას აკვირდებოდა. „მონტე კასინოს ბრძოლა ერთ-ერთ ურთულეს ბრძოლადაა ცნობილი", ამბობს იგი, „და ეს მართლაც ასეა. კლდეები ხომ წარმოგიდგენიათ? როცა გერმანელები გვესროდნენ, დასამალად რაიმე ბუჩქს ან მწვანე ბალახს ვერ ვპოულობდით. ირგვლივ მხოლოდ შიშველი კლდეები და ნანგრევები იყო... როცა ჭურვი კლდეს ხვდებოდა, ნამსხვრევები აქეთ-იქით ცვიოდა". პოლონელებმა ციცაბო კლდოვან მთას ღამით შეუტიეს, მაგრამ ადგილის დაუცველობამ და გერმანელთა ინტენსიურმა ცეცხლმა მათ დიდი ზარალი მიაყენა. ანდერსის მებრძოლებმა მაინც განაგრძეს შეტევა, მონტე კასინოს მეზობელი კლდის თხემს მიაღწიეს და გერმანელებს ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს.

ტომაშ პიესაკოვსკი[71] ნაღმმტყორცნელთა შენაერთს მეთაურობდა და ამ სისხლისმღვრელ ბრძოლას ფრონტის უკანა ხაზიდან უყურებდა. მონტე კასინოს ბრძოლას მან „ამქვეყნიური ჯოჯოხეთი" უწოდა: „როდესაც [ბრძოლის შემდეგ] სახელდახელო სასაფლაო მოვინახულე, რათა ჩემი მეგობრების საფლავები მცოდნოდა, თვალებს არ ვუჯერებდი. ღმერთო ჩემო, რამდენი საფლავი იყო იქ!"

პოლონელებს გაუჭირდათ დაკავებული თხემის შენარჩუნება და ანდერსი იძულებული გახდა უკან დახევის ბრძანება გაეცა. ისევე, როგორც წინა შეტევებისას, ახლაც მონტე კასინოს დამცველებმა, რომელთა რაოდენობაც უკვე ათასზე ნაკლები იყო, საოცარი სიმტკიცე გამოიჩინეს. ანდერსი ასე ხსნიდა პოლონელთა წარუმატებლობის მიზეზებს: „მტრის რეზერ-

ვი უეცრად გამოჩნდებოდა ხოლმე გამოქვაბულის სამალავიდან მძლავრი კონტრიერიშის განსახორციელებლად. ზურგს ზუსტი დამიზნების ცეცხლი უმაგრებდა... მალე ნათელი გახდა, რომ პოზიციის დაკავებაზე უფრო ძნელი მისი შენარჩუნება იყო"[72].

პირველი შეტევის ჩაშლის მიუხედავად პოლონელებმა მოწინააღმდეგის პატივისცემა დაიმსახურეს. „ისინი მამაცი მებრძოლები იყვნენ", ამბობს გერმანელი მედესანტე იოზეფ კლეინი. „მათ ფანატიზმამდე მისული შინაგანი ძალა ჰქონდათ... სიკვდილს თვალებში უყურებდნენ და მაინც წინ მიიწევდნენ. ამას სხვები ვერ აკეთებდნენ... გამაოგნებელი იყო მათი დისციპლინა და მოვალეობის შეგრძნება. მათ მოკავშირეებს თავიანთი ღირსება და ერთგულება აჩვენეს".

16 მაისს პოლონელებმა ახალი შეტევა წამოიწყეს. ამჯერად იერიშში ვიესლავ ვოლვოვიჩის შენაერთიც ჩაერთო: „ძალიან ბევრი მეომარი დაიღუპა და დაიჭრა. როგორც ქვედანაყოფის მეთაური, რაც შემეძლო ვცდილობდი მათ დახმარებას... როცა მეთაური ხარ, საშიშროებაზე არ ფიქრობ; უფრო სწორად, ქვეცნობიერად კი ფიქრობ, მაგრამ არ გჯერა, რომ პირადად შენ დაიჭრები ან მოგკლავენ. არადა, სინამდვილეში ყველაფერი ბედისწერაზეა დამოკიდებული".

ამჯერად პოლონელებმა მოახერხეს დაკავებული პოზიციების შენარჩუნება და არ დაუთმეს გერმანელებს, რომლებიც მართალია კვლავ მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ უკვე საკმაოდ იყვნენ დასუსტებული. ალიანსის სხვა ძალებმაც მოახერხეს გუსტავის ხაზზე წინ წაწევა, რამაც მონტე კასინო ალყაში მოაქცია. ამის გამო გერმანელთა სარდალი ფელდმარშალი კესსელრინგი იძულებული გახდა თავისი 1-ლი სადესანტო დივიზიისთვის უკან დახევა ებრძანებინა.

ის გერმანელი მეომრები, რომლებმაც ჭრილობების ან ავადმყოფობის გამო ვერ შეძლეს უკან დახევა, 18 მაისს დილით პოლონელებს ჩაბარდნენ. იმავე დღეს დილის 10 საათზე ანდერსის მეომრებმა მონასტრის ნანგრევებზე პოლონეთის თეთრ-წითელი დროშა აღმართეს. ეს სახელოვანი გამარჯვება იყო, თუმცა იგი საკმაოდ ძვრად დაუჯდათ პოლონელებს. რამდენიმე ათასი პოლონელი მეომარი დაიხოცა და დაიჭრა მონტე კასინოს ბრძოლებში. მათი აბსოლუტური უმრავლესობა აღმოსავლეთ პოლონეთიდან იყო – იმ პოლონეთიდან, რომელსაც სტალინი ახლა თავის სამფლობელოდ მიიჩნევდა.

იბრძოდნენ და იხოცებოდნენ რა მონტე კასინოს ხეობებში და კლდოვან ფერდობებზე, ეს პოლონელები იმედოვნებდნენ, რომ მათი თავგანწირვა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიღწევაში დაეხმარებოდა მათ სამშობლოს. სამწუხაროდ, შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ცდებოდნენ.

როგორც იქნა გაიხსნა მეორე ფრონტი

1944 წლის 6 ივნისს დილის რვის ნახევარზე ბრიტანეთის მე-13 და მე-18 ჰუსართა პოლკის ტანკები ოისტრეჰამის ქვიშიან სანაპიროს შეესიენ. ეს იყო ერთი ნაწილი მოკავშირეთა იმ 160 000-იანი შეიარაღებული ძალებისა, რომლებმაც საფრანგეთის ჩრდილოეთ სანაპიროს ხუთ პლიაჟს შეუტიეს. ამ პლიაჟების კოდური სახელები იყო *Utah* (იუტა), *Omaha* (ომაჰა), *Juno* (ჯუნო), *Gold* (ოქრო) და *Sword* (მახვილი). ეს იყო D-დღე – მეორე ფრონტის სტარტი, რომელსაც სტალინი 1941 წლის ზაფხულიდან მოითხოვდა და რომლის გახსნასაც მას რუზველტი ორი წლის წინ შეპირდა.

„თანდათან ვუახლოვდებოდით პლიაჟს და სულ უფრო ხშირად გვესმოდა გემის ფოლადის გარსზე ტყვიებისა და ჭურვების ჟღარუნი“, გვიამბობს ამერიკელი მედესანტე სიდ სალომონი[73], რომელიც ომაჰას პლიაჟის შეტევაში მონაწილეობდა. „ერთმა მებრძოლმა თქვა, გერმანელები გვესვრიანო. მათ მოშორებით კლდის თავზე ვხედავდით. უეცრად წყალში რაღაც ჩავარდა და აფეთქების საშინელმა ბიძგმა გემიდან მომისროლა. ვიღაც ყვიროდა: „წინ! წინ!“ ერთ მეომარს ქურთუკში ხელი ჩავავლე და ქვიშიდან ამოვათრიე. ამ დროს მეორე ჭურვი გასკდა, ჰაერის ტალღამ სახეში დამარტყა და გავიფიქრე, ეშმაკმა დალახვროს, მგონი მომკლესმეთქი... პლიაჟზე დახოცილი მეომრები ეყარნენ, ჭურვები ცვიოდა და ტყვიამფრქვევის ტყვიები წიოდა. სადესანტო გემი აღარსად ჩანდა, ეტყობოდა ჩაძირეს. ირგვლივ ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა“.

სხვა პლიაჟებზე დესანტის გადასხმა შედარებით მშვიდად განხორციელდა. „მახსოვს, როგორ ვაანალიზებდი ჩემს თანამებრძოლებთან ერთად ცოცხლად გადარჩენის შანსს და რამდენად მცირედ მეჩვენებოდა იგი“, ამბობს ბრიტანელთა ერთ-ერთი ბატალიონის მაიორი პეტერ მარტინი[74]. „სინამდვილეში კი ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა და არავითარ ცეცხლში არ მოვხვედრილვართ... ეს ის უიშვიათესი შემთხვევა იყო, როდესაც ყველაფერი წინასწარი გეგმის მიხედვით წარიმართა“.

სანამ ალიანსის მეომრები ნორმანდიის სანაპიროზე ფეხის მოსაკიდებლად იბრძოდნენ, წითელი არმია გერმანელთა ცენტრალურ დაჯგუფებაზე მასიური იერიშისთვის ემზადებოდა, რათა მინსკი გაეთავისუფლებინა და ვერმახტი საბჭოთა ტერიტორიიდან განედევნა. ახალგახსნილ მეორე ფრონტზე დასავლელ მოკავშირეებს გერმანელთა 30 დივიზია ებრძოდა, ხოლო 165 დივიზია აღმოსავლეთის ფრონტზე წითელი არმიის წინააღმდეგ იყო განლაგებული. 2 მილიონზე მეტი წითელარმიელი მონაწილეობდა ამ ოპერაციაში, რომელსაც სტალინმა „ბაგრატიონი“ დაარქვა რუსეთში ნაპოლეონის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი სამხედრო გმირის პატივსაცემად.

„ამ ოპერაციისთვის დიდი სიფრთხილით ვემზადებოდით“, გვიამბობს მაშინდელი ქვეითთა 77-ე პოლკის მებრძოლი ვენიამინ ფიოდოროვი[75]. „საბჭოთა კავშირის მთელი რესურსი ამ ოპერაციაზე იყო კონცენტრირებული, იქნებოდა ეს არტილერია, ტანკები, აღჭურვილობა თუ ცოცხალი ძალა“. 1944 წლის 22 ივნისს (საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმიდან მესამე წლისთავზე) ფიოდოროვი აღტაცებული ადევნებდა თვალს დაბომბვას ოპერაციის დაწყებისას: „საითაც გაიხედავდი, ყველგან ბომბები ფეთქდებოდა და ჰაერში ატყორცნილი მინა მოჩანდა. დაბომბვის შემდეგ თვითმფრინავები უკან დაბალი სიჩქარით მოფრინავდნენ. სიმხნევე გვემატებოდა, როცა ამხელა შეიარაღებას ვხედავდით“.

გერმანელებისთვის ოპერაცია „ბაგრატიონი“ მთელი ომის განმავლობაში ყველაზე გამანადგურებელი აღმოჩნდა– აქ მათი დანაკარგები სტალინგრადის დანაკარგებსაც კი აღემატებოდა. ჩვიდმეტი დივიზია მთლიანად, თხუთმეტი კი – ნახევრად განადგურდა. ამ კატასტროფაზე ძირითადი პასუხისმგებლობა პირადად ჰიტლერს ეკისრებოდა. ის აღარ ენდობოდა თავის გენერლებს ისე, როგორც 1941 წელს და პირადად აძლევდა ტაქტიკური ხასიათის ბრძანებებს „ბაგრატიონის“ წინააღმდეგ მებრძოლი მე-9 არმიის მეთაურებს. ეს ბრძანებები მეტ წილ შემთხვევაში ფრონტზე განვითარებულ რეალურ ვითარებას არ შეესაბამებოდა. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე არაკომპეტენტური ინსტრუქცია იყო *Feste Platze*-ს (გამაგრებული ადგილის) შექმნა, რომელსაც ფრონტის უკანა ხაზზე ფორტიფიკაციების როლი უნდა შეესრულებინა წითელი არმიის შემოტევისას.

მე-9 არმიის მეთაური გენერალი ჯორდანი „ბაგრატიონის“ დაწყების წინადღით წერდა: „არმიას სჯერა, რომ მოცემულ პირობებშიც კი შესაძლებელია მტრის შეტევის მოგერიება, მაგრამ არა ასეთი დირექტივით, რომელიც აბსოლუტურად ხისტ თავდაცვაზეა გათვლილი... არმიას მიაჩნია, რომ *Feste Platze*-ს ბრძანება უაღრესად სახიფათოა. იგი ხვალინდელ ბრძოლას შეშფოთებით ელოდება, რადგან იცის, რომ ხელფეხშეკრული იქნება ამ ბრძანებით გათვალისწინებული იმ წამგებიანი ტაქტიკური მანევრებით, რომლებიც ომის პირველ ეტაპზე ჩვენმა მტერმაც გამოიყენა და ამიტომ არა ერთი მარცხიც იწვნია“[76].

ასეთი ხისტი თავდაცვითი ტაქტიკით გამოწვეული უმწეობის შეგრძნება დაეუფლათ გერმანული არმიის რიგით მებრძოლებსაც. მე-9 არმიის მაშინდელი რიგითი ჰეინც ფილდერი[77] იხსენებს: „ზოგჯერ დივიზიისა თუ არმიის მეთაურებისგან სრულიად უაზრო ბრძანებებს ვიღებდით. მახსოვს ერთხელ გვიბრძანეს, რომ რაღაც პოზიცია ნებისმიერ ფასად უკან დაგვებრუნებინა. უმცროსმა ლეიტენანტმა პროტესტი განაცხადა, რადგან მის მეომართა ნახევარი უკვე დაიხოცა ამ უაზრო ბრძოლაში. იგი მაინც აიძულეს ისევ და ისევ მიეტანა იერიში, ვიდრე მისი შენაერთი მთლიანად

არ ამოწყდა. აი ასეთი მეთაურები ისხდნენ გენშტაბში. აიღებდნენ თავის პატარა დროშას, დაარჭობდნენ რუკაზე და იტყოდნენ, ეს უნდა დავიბრუნოთ, რადაც უნდა დაგვიჯდესო".

ფილდერი ერთ-ერთი მათგანი იყო, ვისაც *Feste Platze*-ს დაცვა დაევალა წითელი არმიის იერიშისას ბობრუისკთან: „ყველგან დახოცილთა გვამები ეყარა, სანიტრები ფუსფუსებდნენ, დაჭრილები გმინავდნენ და ბევრი მებრძოლი ბუნკერში ან სანგრის ნანგრევებში იყო ჩამარხული. ამის აღწერა შეუძლებელია; უარესი საშინელება წარმოუდგენელია!"

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც *Feste Platze* მთლიანად გარშემორტყმულ და მუდმივი დაბომბვის ობიექტად იქცა, ფილდერის შენაერთს უკან დახევის ნება მისცეს: „გვიბრძანეს, გაგვენადგურებინა სატრანსპორტო საშუალებები, დაგვეხოცა ცხენები, აგვეღო იარაღი და კვების რაციონი რამდენსაც შევძლებდით და საკუთარი თავისთვის გვეშველა".

ფილდერმა სხვა მეომრებთან ერთად ბრძოლით გაიკაფა უკან დასახევი გზა და უკანდახეულ ფრონტის ხაზს მიაღწია. გზად იგი სულისშემძვრელ სურათს წააწყდა: „ერთ არყის ხესთან სრულიად ახალგაზრდა გერმანელი ჯარისკაცი იჯდა – იცით, რუსეთში უამრავი არყის ხეებია. ჰოდა, იჯდა ამ ხესთან ეს ბიჭი ნაწლავებგადმოყრილი, ტიროდა და იხვეწებოდა, მესროლეთ და მომკალითო. ყველა გვერდს უვლიდა. გავჩერდი, მაგრამ ნებისყოფა არ მეყო, რომ მომეკლა. ამ დროს ერთ-ერთმა უმცროსმა ლეიტენანტმა ქუდი მოიხადა, დაჭრილთან მივიდა და საფეთქელში ტყვია დაახალა. ისე შემებრალა, ავტირდი. რა იცოდა საბრალო დედამისმა, თუ როგორ დაამთავრა სიცოცხლე მისმა შვილმა. სამხედრო ნაწილიდან მიიღებდა წერილს, სადაც სულ სხვა რამ ეწერებოდა: „თქვენი შვილი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე დიადი გერმანიისთვის".

1944 წლის ივლისში აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანიამ დაახლოებით ორასი ათასი მებრძოლი დაკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით, აგვისტოში კი – დაახლოებით სამასი ათასი. სულ ოპერაცია „ბაგრატიონით" გამოწვეული გერმანელთა დანაკარგები 1,5 მილიონ მებრძოლს აღწევს. ჰიტლერს და მის გენერლებს ასეთი მარცხი მანამდე არ უწვნევიათ.

წითელმა არმიამ ვერმახტს კუდით ქვა ასროლინა და 3 ივლისს ბელორუსიის დედაქალაქი მინსკი აიღო. „გერმანელები თანდათან კარგავდნენ სიმხნევეს და გამარჯვების რწმენას", გვიამბობს მაშინდელი წითელი არმიის ოფიცერი ფიოდორ ბუბენჩიკოვი[78]. „ისინი აღარ გაჰყვიროდნენ: „ჰაილ ჰიტლერ!" ადვილად გვნებდებოდნენ და იძახდნენ: „ჰიტლერ კაპუტ!" ბუბენჩიკოვი კი იმ ზაფხულს გამარჯვებებით იყო ფრთაშესხმული და იგივე შეგრძნება სუფევდა წითელი არმიის ყველა შენაერთში.

ოპერაცია „ბაგრატიონმა", რომელიც დასავლეთში არასათანადოდაა გაშუქებული, საფუძველი დაუდო წითელი არმიის ნარმატებების შეუქცე-

ვადობას. ეს ეხებოდა როგორც ბრძოლების სტრატეგიას და ტაქტიკას, ასევე საბრძოლო აღჭურვილობასაც. საბჭოელებმა ომის უმძიმეს პირობებში სამხედრო მრეწველობა იმდენად გაზარდეს, რომ მისი მოცულობით უკვე აჭარბებდნენ გერმანელებს. მაგალითად, ჯერ კიდევ 1942 წელს საბჭოელებმა ოცდახუთი ათასი თვითმფრინავი გამოუშვეს, რაც გერმანელების გამოშვებულს ათი ათასით აღემატებოდა. მომდევნო 1943-44 წლებში საბჭოელები უკვე თავიანთ მოწინააღმდეგესთან შედარებით უფრო მეტ ტანკს და თვითმავალ ქვემეხს აწარმოებდნენ.

პროდუქციის წარმოების ასეთი მკვეთრი ზრდა 30-იანი წლების ინდუსტრიალიზაციის სტალინური ხუთწლიანი გეგმით შექმნილმა ბაზამ განაპირობა. საბჭოელების წარმატებას ხელს უწყობდა ასევე დასავლელი მოკავშირეების, უმეტესად კი ამერიკის მხრიდან გაწეული მატერიალური დახმარება. მართალია დასავლური აღჭურვილობა საბჭოეთში მთლიანის მხოლოდ რამდენიმე პროცენტს შეადგენდა, მაგრამ მაღალგანვითარებული ტექნოლოგიის გამო დასავლური პროდუქცია უნიკალური იყო, როგორც მაგალითად *U56* მარკის სტუდებეკერები, რომლებსაც წითელი არმია „კატიუშას" ტიპის რაკეტების განთავსება-გაშვებისთვის იყენებდა.

იმ დროს, როცა წითელი არმია ოპერაცია „ბაგრატიონის" წარმატებით დასრულებას ზეიმობდა, საბჭოთა კავშირის მიყრუებულ მხარეში ახალ და მწარე ცხოვრებას იწყებდა ის ხალხი, ვინც ასე გააუბედურა ამ არმიის მიერ მათი მიწა-წყლის დეოკუპაციამ.

თათრები გადასახლებაში

ყირიმიდან დეპორტირებული თათრების უდიდესი ნაწილი უზბეკეთში გადაასახლეს. მათი იქაური თავგადასავალის გამომზეურება უპრიანია არა მარტო იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ეთნიკური წმენდის ერთ-ერთ უსასტიკეს გამოვლინებას, არამედ იმიტომაც, რომ ააშკარავებს საბჭოთა რეჟიმის ნამდვილ ბუნებას ზუსტად იმ პერიოდში, როცა დასავლეთი სტალინთან საბჭოთა ოკუპაციისთვიის განწირული აღმოსავლეთ ევროპის ხალხის ბედზე აპირებდა მსჯელობას.

შინსახკომის კონტროლირებადი საბარგო მატარებლებით უზბეკეთში ჩასვლას რამოდენიმე კვირა დასჭირდა. პირობები ისეთი გაუსაძლისი იყო, რომ ბევრი ადამიანი – ძირითადად მოხუცები და ბავშვები – გზაში დაიხოცა. ერთ-ერთი ვერსიით დაახლოებით შვიდი ათასი თათარი გარდაიცვალა ამ მოგზაურობისას.[79] „ჩვენს ვაგონში... ერთი პატარა ბავშვი მოკვდა", იხსენებს მუსფერა მუსლიმოვა, „და რომ არ დავზაფრულიყავით, უფროსე-

ბმა გაგვაფრთხილეს, ბავშვებო, იქით არ გაიხედოთო. ბავშვის გვამი მატარებლის მომდევნო გაჩერებაზე რკინიგზის ხაზთან დატოვეს“.

როცა თათრებმა უზბეკეთში „სპეციალურ დასახლებებს“ მიაღწიეს, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა მათ მტრულად დახვდა. „უზბეკებს უთხრეს, რომ კაციჭამიები ვიყავით“, ამბობს მუსფერა, „და უმეტესად ბავშვებს ვჭამდით. ეუბნებოდნენ, ბავშვები გადამალეთ, თორემ თათრები სისხლს გამოსწოვენო. ხალხი ამას იჯერებდა. დიდი განათლებით არც უზბეკები გამოირჩეოდნენ და არც ჩვენ, თათრები“.

„უზბეკებს ვძულდით“, ადასტურებს ნაზლახან ასანოვა[80], რომელიც მაშინ თოთხმეტი წლის იყო. „მოღალატეებს გვეძახდნენ. სინამდვილეში კი ვინ ვიყავით? ერთი უბრალო პატიოსანი ხალხი... ეს საშინელება იყო. შეუძლებელია ჩვენი ტანჯვა-წამების აღწერა. ამის სამყოფი ქაღალდი არ არსებობს“.

ამ ანტიპათიის გარეშეც თათრებს უზბეკეთში მძიმე ცხოვრება ელოდათ. ევროპის ერთ-ერთი ნოყიერმიწიანი მხარიდან, რომელიც ზომიერი კლიმატითა და სურნელოვანი ღვინითაა ცნობილი, ისინი უდაბურ და უწყლო ტრამალებში გააძევეს, სადაც თითქმის არაფერი ხარობდა. ზაფხულობით უზბეკეთში ტემპერატურა 40 გრადუსს აჭარბებს, ხოლო ზამთარში ხშირად მინუს 20°-მდე ეცემა.

თათრებისთვის შინსახკომმა „სპეციალური დასახლებები“ შექმნა. შრომა-გასწორების ბანაკებისგან ისინი იმით განსხვავდებოდა, რომ მავთულხლართები არ ჰქონდა. ველური ბუნება და შინსახკომის ბლოკ-პოსტები ისედაც ეფექტიანად უზრუნველყოფდა თათრების იზოლაციას. ისინი იძულებული იყვნენ მთელი დღე ბამბის პლანტაციებში და საწარმოებში მუხლჩაუხრელად ემუშავათ. აუტანელ კლიმატურ და შრომით პირობებს უამრავი თათრის სიცოცხლე ემსხვერპლა. მათ განადგურებას ასევე ხელს უწყობდა სამედიცინო დახმარებისა და საკვების ნაკლებობა. „გვაიძულებდნენ დღეში ათი საათი კოლმეურნეობაში გვემუშავა“, გვიამბობს რიფატ მუსლიმოვი, რომელიც მაშინ თორმეტი წლის იყო. „შემდეგ კი ეს დაავადებები გავრცელდა. ბევრი ადამიანი მალარიამ დახოცა. წამლები არ იშოვებოდა. ექიმები არ გვყავდა. არ იყო საავადმყოფო. თითქმის ყველა ავადმყოფი კვდებოდა. პაპაჩემი ერთ კვირაში გარდაიცვალა. დეიდაჩემიც ოც დღეში მოკვდა სიცხისგან... როცა ჩემმა თხუთმეტი წლის ძმამ მუშაობა ვეღარ შეძლო, ცემა დაუწყეს. ჩვენ კომენდანტს შევჩივლეთ, შეხედეთ, როგორაა ნაცემი-თქო, მან კი გვიპასუხა, არა მარტო უნდა ეცემათ, სულ უნდა მოეკლათ; ყველანი დასახოცი ხართო“.

დამშეული თათრები ყოველგვარ დამცირებას იტანდნენ. „ჩემი ბიძაშვილი გოგონა ერთ უზბეკთან მივიდა და პური სთხოვა“, გვიამბობს რეფატი. „უზბეკი ცოლშვილიანი კაცი იყო. მან ჩემი ბიძაშვილი სახლში

შეიტყუა, გააუპატიურა და შემდეგ მისცა პურის ნაჭერი. გოგონას ხმა არ ამოუღია, რადგან ძალიან შიოდა. ლუკმაპურისათვის ის ყველაფერზე თანახმა იყო“.

უზბეკეთში გადასახლებული თათრების უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყვნენ. ისინი განსაკუთრებით იჩაგრებოდნენ, რადგან, ბუნებრივია, ბავშვებს დიდებივით მუშაობა უჭირდათ, ხოლო მცირეწლოვანი შვილების დედებს მუშაობისთვის ნაკლები დრო რჩებოდათ. ამიტომ იყო, რომ კებირე ამეტოვა, დედამისი, მისი სამი და და ერთი ძმა შიმშილისგან დაუძლურდნენ. „როცა მთელი კვირები არაფერი გიჭამია, გონზე კი ხარ, ტვინიც მუშაობს, მაგრამ ენას ვეღარ ატრიალებ“, ამბობს კებირე.

დედამისმა ყველაფერი გაყიდა, რაც კი ებადა, საყურეები თუ სხვა სამკაულები, რათა შვილები გამოეკვება, მაგრამ ორიოდ თვეში ყველაფერი გამოელიათ. კებირეს ორნახევარი წლის და, ზეფირა შიმშილისგან დასივდა: „ჩემი და ისე გასივდა, რომ მხოლოდ თმების დახმარებით თუ მიხვდებოდით, სახე სად ჰქონდა. ყველაფერი დაუსივდა“. ზეფირა სამი წლისა გარდაიცვალა. მთელი ოჯახი თხრიდა გაყინულ მიწაში მის საფლავს. დედამ უკანასკნელად დაბანა თავისი პატარა, ნაჭერში გაახვია და ისე მიაბარა უცხო მიწას.

კებირეს დედა მშიერი შვილების გამოსაკვებად ყინვიან ზამთარში კოლმეურნეობაში მუშაობდა; გაყინული მიწიდან თალგამს იღებდა, რის გამოც ფეხი მოეყინა, გაუსივდა და დაუჩირქდა. სასოწარკვეთილმა ქალმა კებირეს და მის ძმას ურჩია ბედის საძიებლად უახლოეს სოფელში წასულიყვნენ, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ამგვარად ათი წლის კებირეს და მის უმცროს ძმას ოჯახის მიტოვება მოუხდათ. მათ შინსახკომის საკონტროლო პუნქტის გავლა მოახერხეს და ახლომდებარე ტყეში მიიმალნენ. აქ ისინი ერთ უზბეკს გადააწყდნენ, რომელმაც ბავშვები შეიცოდა და შინ წაიყვანა; დააპურა და შემდეგ აუხსნა, რომ მათი გადარჩენის ერთადერთი გზა მათხოვრობა იყო. „მან აგვიხსნა, რა უნდა გვეთქვა“, ამბობს კებირე, „გვასწავლა, სად უნდა წავსულიყავით და გვითხრა, რომ თავი უხერხულად არ გვეგრძნო, რადგან მათხოვრობა ქურდობა არ იყო. ასე დავიწყეთ კარდაკარ სიარული და მოწყალების თხოვნა ქრისტეს სახელით. ხანდახან ვცრუობდით და ვამბობდით, რომ დედა არ გვყავდა... ასე მიგვქონდა დედასთან ნამათხოვარი საჭმელი“.

კებირეს და მის ძმას ხშირად ღამის გათევა გარეთ უწევდათ და მეტწილად ცარიელ კასრებში ეძინათ. ზოგჯერ უზბეკები იბრალებდნენ ხოლმე და ღამით სახლში იფარებდნენ: „ერთხელ, როცა სველი ტანსაცმელი გაგვხადეს და ღუმელზე გასაშრობად დააფინეს, იმდენი ტილი აღმოჩნდა, რომ ალბათ ჩვენზე მეტს იწონიდა“.

მართალია კებირემ მათხოვრობით თავის გატანა მოახერხა, მაგრამ განათლება ვერ მიიღო და სამუდამოდ უწიგნური დარჩა, რის გამოც დღეს აც რცხვენია. იგი ამბობს, რომ მას ბავშვობა წაართვეს: „ჩვენ არ გვინახავს ნამდვილი ცხოვრება... უსახლკაროები დავეხეტებოდით... ეს ძალიან მტკივნეულია".

შინსახკომის მონაცემებით, უზბეკეთში ჩასვლიდან წელიწადნახევრის განმავლობაში თათრების 17 პროცენტი დაიხოცა[81]. დაუდგენელია დაღუპულთა საერთო რაოდენობა გადასახლების მთელ პერიოდში, რომელიც ოფიციალურად 1989-მდე გრძელდებოდა. მიახლოებითი მონაცემებით ამ დეპორტაციას თათრების ნახევარი შეეწირა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: ეს არის დანაშაული, რომელიც სხვა ეთნიკური ჯგუფების, კერძოდ ჩეჩნების, ყალმუხების და ა. შ. დეპორტაციასთან ერთად მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჩადენილ უსაზარლეს მხეცობას მიეკუთვნება.

გადასახლებაში უკვე წლობით მყოფი თათრების საკმაო ნაწილს ისევ სჯეროდა, რომ სტალინს „უბრალოდ რაღაც შეეშალა", ისინი რომ ყირიმიდან აყარა. „ჩვენ გვეგონა, რომ იგივე მატარებლებით მალევე დაგვაბრუნებდნენ შინ... რომ იგი [სტალინი] ან ვიღაცამ შეიყვანა შეცდომაში, ან საერთოდ არ იცოდა, რა მოხდა", ამბობს რეფატ მუსლიმოვი. „მერწმუნეთ, ხალხი ბარგსაც კი ალაგებდა უკან დასაბრუნებლად და ამბობდა, სტალინს უკვე გაუცია ჩვენი უკან დაბრუნების ბრძანება და მატარებელსღა ელოდებიან ჩვენს წასაყვანადო".

დღეს კი, როცა უკვე დანამდვილებით იციან, თუ ვისი ბრძანებით გაასახლეს, თათრების მთელი რისხვა ამ ადამიანისკენ – იოსებ სტალინისკენაა მიმართული. „ის იყო ჯალათი", ამბობს მუსლიმოვი. „მან მილიონობით ადამიანი დახოცა. ეს ჯალათი უნდა გასამართლდეს. ხალხმა იგი დაივიწყა, მაგრამ ის, რაც მან ჩაიდინა, საპატიებელი არაა. მე მის გასამართლებას მოვითხოვ! მართალია მკვდარია, მაგრამ პასუხი უნდა აგოს. ის უნდა დაისაჯოს!"

წითელი არმია ისევ ბრუნდება

ოპერატია „ბაგრატიონის" ფარგლებში გერმანული არმიის ცენტრალური დაჯგუფების განადგურების შემდეგ წითელი არმია აღმოსავლეთ პოლონეთში შეიჭრა და ლვოვ-სანდომიერჟის შტურმი განახორციელა. ამ ფართომასშტაბიან იერიშში 1-ლი უკრაინული ფრონტის მილიონზე მეტი მეომარი მონაწილეობდა მარშალ კონევის სარდლობით.

1944 წლის ივლისს საბჭოელები ლვოვს მიადგნენ, რომელიც 1939 წელს ერთხელ უკვე აღებული ჰქონდათ, ოღონდ ნაცისტებთან შეთანხმე-

ბით. „1944 წელს წითელი არმიის უკან დაბრუნებას შიშით ვხვდებოდით“, გვიამბობს მაშინდელი ლვოვის თინეიჯერი მცხოვრები ანა ლევიცკა, „რადგან 1939-40 წლების რეპრესიების მწარე გამოცდილებით ვიცოდით რაც გველოდა“.

ანა იხსენებს, თუ როგორ მივიდა მათთან იმ დღეებში მოხუცი მეზობელი და უთხრა: „საბჭოელები უკვე მეორედ შემოდიან. ის პირველი შემოსვლა ჯობდა“.

„რატომ?“ ჰკითხეს მას.

„იმიტომ, რომ მაშინ მოვიდნენ და ისევ წავიდნენ. ახლა კი მოვიდნენ და მათი გამგდები აღარავინაა“.

ვიაჩესლავ იაბლონსკი[82] ლვოვის მაშინდელი შტურმის მონაწილეა. ის უბრალო ჯარისკაცი კი არა, შინსახკომის ელიტური ჯგუფის წევრი იყო და სპეციალურ დავალებას ასრულებდა. თავისი ჯგუფის თორმეტ სხვა წევრთან და რჩეულ წითელარმიელთა ჯგუფთან ერთად ლვოვში გერმანელების მიერ ქალაქის დატოვებამდე შევიდა. ამერიკული სატვირთო სტუდებეკერებით ისინი შემოვლითი გზებით ქალაქის გესტაპოს სამმართველოს მიადგნენ. შენობა საკმაოდ ცნობილი იყო – აქ სხვადასხვა დროს ავსტრია-უნგრეთის სადაზვერვო სააგენტო, პოლონეთის საიდუმლო პოლიცია და შინსახკომის სამმართველო იყო განთავსებული (ამჟამად ამ შენობაში ლვოვის პოლიციაა).

იაბლონსკის და მის ამხანაგებს მარტივი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულება ევალებოდათ. მათ გერმანელების წასვლამდე გესტაპოს შენობა უნდა აეღოთ, რათა ხელში ჩაეგდოთ მათი სადაზვერვო დოკუმენტაცია. ამ დოკუმენტების დახმარებით საბჭოელებს სურდათ გაერკვიათ, თუ ვინ თანამშრომლობდა ნაცისტებთან.

ჯგუფი შენობას მაშინ დაესხა თავს, როცა გერმანელებს საქაღალდეები სატვირთო მანქანებში გადაჰქონდათ. საბჭოთა მედესანტეები კედელზე აცოცდნენ, სამმართველოში შეიჭრნენ, დაცვა დახოცეს და სატვირთო მანქანები დააკავეს. შემდეგ პანიკაში ჩავარდნილი გესტაპოელებისგან გაწმინდეს შენობა, საქაღალდეები შეაგროვეს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მათ შესწავლას. ამგვარად მათ შეიტყვეს ყველა იმ პირთა ვინაობა, ვისაც გერმანელები ინფორმატორებად მოიხსენიებდნენ. გარდა ამისა, იაბლონსკი და მისი კოლეგები აგროვებდნენ პროსაბჭოური აგენტების ჩვენებებს, რომლებიც ასევე ავლენდნენ გერმანელთა ინფორმატორებს ან უბრალოდ „ანტისაბჭოთა ელემენტებს“: „ისინი მოგვითხრობდნენ იმ საშიში პიროვნებების შესახებ, ვისაც სძულდა საბჭოთა ხელისუფლება ან ცუდს ფიქრობდა მასზე. ამის შემდეგ ჩვენ ამ საშიშ ხალხს ვაპატიმრებდით“. იაბლონსკი ადასტურებს, რომ ასეთი „ცუდის მთქმელის ან გამფიქრებლისთვის“ სასჯელის „ნორმალური ზომა“ „თხუთმეტწლიანი შრომა-გასწორების

სამუშაოები" იყო. „ახლა ასეთი სასჯელი სასტიკად მეჩვენება", ამბობს იგი, „მაგრამ მაშინ, როდესაც ოცდაორი-ოცდასამი წლის ახალგაზრდა ვიყავი, სხვაგვარად ვფიქრობდი... მაშინ დემოკრატია არ არსებობდა. ახლა რაც გინდა, ილაპარაკე, მაშინ კი ასე არ იყო. მაშინ ყველაფერი ცენზურას ექვემდებარებოდა და საბჭოთა კავშირზე რაიმე ცუდის თქმა იკრძალებოდა. მაშინ ეს ყველას ნორმალურად მიგვაჩნდა".

იმის აღიარების მიუხედავად, რომ საბჭოთა რეჟიმი „უაღრესად სასტიკი" იყო, იაბლონსკი მაინც სიამაყით იგონებს ლვოვის შინსახკომის სამსახურში გატარებულ წლებს: „მე ამით ვამაყობ. ვფიქრობ, რომ მართალ საქმეს ვემსახურებოდი. მაშინ ცხოვრებას ვიწყებდი და რაღაცას ვსწავლობდი. მიყვარდა ჩემი ქვეყანა და მჯეროდა მისი სიმართლისა. ასეთი საშინელი ომი მოვიგეთ. ვამაყობ, რომ საბჭოთა კავშირის შვილი ვიყავი, მისთვის ვიომე და დავიცავი".

ვიაჩესლავ იაბლონსკის მსგავს საბჭოთა მეომრებს სჯეროდათ, რომ ისინი ლვოვს უკან იბრუნებდნენ, როგორც საბჭოთა ტერიტორიის ნაწილს, რომელსაც აღარასოდეს დათმობდნენ. ეს მწარე რეალობა პირველებმა პოლონეთის იატაკქვეშა სახალხო არმიის წევრებმა აღმოაჩინეს. ეს მოხალისე მებრძოლები ნაცისტური ოკუპაციის პერიოდში მიმალულები იყვნენ და შეტევაზე გადასვლისთვის შესაფერის მომენტს ელოდნენ. მათ დიდი წვლილი მიუძღვით ნაცისტებისგან ლვოვის განთავისუფლებაში. დაახლოებით სამი ათასი მეომარი პოლკოვნიკ ვლადისლავ ფილიპკოვსკის მეთაურობით ეხმარებოდა წითელ არმიას 23-დან 27 ივლისამდე წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლებში[83]. მაგრამ როგორც კი ბრძოლა მოიგეს, საბჭოელებმა ყველა მოხალისე ოფიცერი დააპატიმრეს, ხოლო რიგითი მეომრები აიძულეს საბჭოთა არმიის ნაწილებში გადანაწილებულიყვნენ.

პოლონეთის იატაკქვეშა არმიის დაშლის პარალელურად საბჭოთა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ აღადგინა მათი პირველი ოკუპაციის პერიოდში შექმნილი საკონტროლო დაწესებულებები. „1944-ში მათ კვლავ თავიანთი კანონები შემოიღეს", ამბობს ანა ლევიცკა. „სკოლები ისევ საბჭოთა სისტემას დაექვემდებარა. ყველა უფროსკლასელისთვის სავალდებულო გახდა კომკავშირის წევრობა. რა თქმა უნდა, ღვთისმეტყველება გაუქმდა. მხოლოდ ათეიზმის გაკვეთილები ტარდებოდა. კომუნისტური პარტიის ისტორია სავალდებულო საგანი იყო, ხოლო მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები მთავარ საგნად ითვლებოდა". საბჭოურ ჭაობში აღმოსავლეთ პოლონეთის სულ უფრო და უფრო ჩაძირვის მხილველი ანა ამაში არა მარტო სტალინს და საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ დასავლეთსაც ადანაშაულებს. „ჩვენ გაგვყიდეს", ამბობს იგი. „იმედი გვქონდა, რომ დასავლეთი სხვაგვარად მოიქცეოდა, მაგრამ იგი არ დაგვეხმარა".

1944 წლის 26 ივლისს, როცა ლვოვში ჯერ ისევ ბრძოლები მძვინვარებდა, იტალიის ქალაქ პერუჯაში გენერალი ანდერსი ბრიტანეთის მეფე გეორგ VI-ს წარუდგინეს. ბრიტანეთის მონარქი იტალიაში მოკავშირეთა ძალებისადმი წარმატების მისალოცად ჩაფრინდა. წვეულების დროს იგი პოლონელთა II სამხედრო კორპუსის ორკესტრს უსმენდა და ერთი სიმღერა განსაკუთრებით მოეწონა. იკითხა, ეს სიმღერა რას ეხებაო, და პოლონელებმა მას თავიანთი საყვარელი სიმღერის ტექსტი ინგლისურად გადაუთარგმნეს: „თუ ოდესმე ხელახლა დაბადება მიწერია, დაე მხოლოდ ლვოვში დავიბადო"[84].

5

ევროპის გაყოფა

ვარშავის აჯანყება

1944 წლის ზაფხულის ბრძოლების შედეგად სტალინის ხელში აღმოჩნდა არა მარტო აღმოსავლეთ პოლონეთი, არამედ ქვეყნის დანარჩენი ნაწილიც – ტერიტორია, რომლის გასაბჭოების პრეტენზია მას არ ჰქონია, თუმცა სურდა, რომ ეს ტერიტორია მისი „გავლენის სფეროში" მოქცეულიყო, რაც თავისთავად უზარმაზარი პოტენციური კონფლიქტის საბაბი შეიძლებოდა გამხდარიყო.

საბჭოელები დაჟინებით იმეორებდნენ, რომ სურდათ „მეგობრული" პოლონეთი და კატინის მოვლენებით გამოწვეული დაპირისპირების ფონზე უარს აცხადებდნენ ეღიარებინათ ლონდონში ემიგრირებული პოლონეთის მთავრობა. ეხლა ისინი დასავლეთ პოლონეთში საკუთარი მარიონეტული მთავრობის ფორმირებას შეუდგნენ. 1944 წლის 28 ივლისს მათ საბჭოთა კავშირიდან პოლონეთის ქალაქ ჩემში (*Chem*) ნაკლებად ცნობილი პოლონელი პოლიტიკოსების მთელი ჯგუფი ჩაიყვანეს, რომელიც მზად იყო საბჭოელების დაკრულზე ეცეკვა. ოფიციალურად პოლონეთის ეროვნულ განმათავისუფლებელ კომიტეტად, ხოლო მოგვიანებით ლუბლინელ პოლონელებად ცნობილი ეს ჯგუფი (1945 წლის აგვისტოში ეს კომიტეტი პოლონეთის ქალაქ ლუბლინში გადავიდა) 2 ივლისს მოსკოვში გამოცემულ „მანიფესტში" აცხადებდა, რომ მიზნად ისახავდა კერძო საკუთრების ნაციონალიზაციას და საბჭოთა კავშირთან „სამართლიანი" (კერზონის ხაზზე გამავალი) საზღვრების აღდგენას. მათი და მათი საბჭოელი პატრონების ღრმა რწმენით, ისინი „გათავისუფლებული" პოლონეთის დე-ფაქტო მთავრობას წარმოადგენდნენ. მოსკოვიდან სტალინის რწმუნებულად ამ „მთავრობაში" ნიკოლაი ბულგანინი მიავლინეს და მთელი ეს მარიონეტული წარმონაქმნი რეალურად მას ემორჩილებდა. ბულგანინს შინსახკომის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ივან სეროვი ახლდა, რომელიც 1939-40 წლებში აღმოსავლეთ პოლონეთში ჩატარებული დეპორტაციის ორგანიზატორი იყო, ახლა კი მარიონეტებს „ახალგანთავისუფლებული" ტერიტორიების მართვაში უნდა „დახმარებოდა".

რასაკვირველია, პოლონეთში სტალინის კონტროლს დაქვემდებარებული რეჟიმის დამკვიდრება მიუღებელი იყო როგორც დასავლეთისთვის, ისე ემიგრირებული ოფიციალური მთავრობისთვის. სიტუაციას ამწვავებ-

და აგრეთვე პოლონურ მინაზე ოთხასი ათასი იატაკქვეშელის – კრაიოვას ანუ სახალხო არმიის არსებობა, რომელიც ლონდონში ემიგრირებული მთავრობის ერთგული რჩებოდა. სტალინმა ამ არმიისადმი თავისი მტრული დამოკიდებულება ჯერ კიდევ თეირანში გაამჟღავნა, როცა მათ ბანდიტები უწოდა. ლვოვის მოვლენებმა კი ცხადყო წითელი არმიის პოზიცია, როცა მან ამ ქალაქის აღებაში მისი დამხმარე სახალხო არმიის მებრძოლები ქალაქის აღებისთანავე განაიარაღა. აშკარა იყო, რომ ასეთი დევნა გასაბჭოების ერთიანი პოლიტიკის ნაწილს შეადგენდა. ასევე დაშალეს საბჭოელებმა ვილნიუსის აღებაში მათი დამხმარე იქაური სახალხო არმიის შენაერთები, დააპატიმრეს მისი ოფიცრები, ხოლო მეომრები წითელ არმიაში მებრძოლ პოლონურ შენაერთებში გადაანაწილეს[1].

ამ მოვლენების შემდეგ ომში ჩართული მხარეების ძირითადი ყურადღება პოლონეთის დედაქალაქმა ვარშავამ მიიპყრო, რომლის მოსახლეობა 1944 წლის ზაფხულსა და სექტემბერში მასიურად აღსდგა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ვარშავის მოვლენებმა მთელი მსოფლიოსთვის ნათელი გახადა ის დაძაბულობა და წინააღმდეგობა, რომელიც დასავლეთის სტალინთან და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში არსებობდა და რომლის მიჩქმალვასაც ასე ცდილობდნენ ჩერჩილი, რუზველტი და მათი პროპაგანდისტული მანქანები.

ვარშავის აჯანყების შესახებ დროთა განმავლობაში მრავალი მითი წარმოიშვა. მის გამომწვევ მიზეზებს შორის კი ყველაზე პოპულარულია ვერსია, თითქოსდა პოლონელები აჯანყებაზე რუსებმა წააქეზეს ფუჭი დაპირებებით, რომ დახმარებას გაუწევდნენ მათ.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მართალია საბჭოელების მიერ კონტროლირებადი რადიოსადგურები ვარშავის მოსახლოებას კარსმომდგარი თავისუფლებით ამხნევებდნენ, ეს არ შეიძლება სახალხო არმიისადმი თანადგომის დაპირებად ჩაითვალოს. ეს მოწოდებები არ შეიცავდა რაიმე კონკრეტულ ვალდებულებებს. მაგალითად, 29 ივლისს მოსკოვის რადიო იუწყებოდა, რომ ვარშავაში „აქტიურობის საათმა ჩამოჰკრა" და რომ „ისინი, ვისაც არასდროს მოუხრია ქედი ჰიტლერის ძალადობის წინაშე, ახლაც ისევე, როგორც 1939 წელს, უნდა აღდგნენ მის წინააღმდეგ". მეორე დღეს საბჭოელების მიერ მართულმა ვარშავის იატაკქვეშა რადიოსადგურმა გადასცა, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები უკვე ახლოს იყვნენ და „თავისუფლება მოჰქონდათ"[2]. მაგრამ ეს გადაცემები არ შეიცავდა სახალხო არმიისადმი პირდაპირ ინსტრუქციას, დაეწყო აჯანყება ან მოახლოებულ წითელ არმიასთან შეეთანხმებინა თავისი საბრძოლო მოქმედებები. ეს მხოლოდ გამამხნევებელი რიტორიკა იყო.

ვარშავის სახალხო არმია, ლონდონში ემიგრირებულ პოლონეთის მთავრობასთან ერთად, რთული პოლიტიკური დილემის წინაშე იდგა. ისინი

აცნობიერებდნენ, რომ თუ გულხელდაკრეფილნი ისხდებოდნენ და წითელი არმია ვარშავას მათი ამბოხების დაწყებამდე გაათავისუფლებდა, მაშინ ნებისმიერ ომისშემდგომ მოლაპარაკებაზე საბჭოელები კიდევ უფრო დომინანტურ პოზიციაში აღმოჩნდებოდნენ, თანაც ისინი სტალინის მიერ მათთვის უსამართლოდ მინიჭებულ „უსაქმურების" სტატუსს ლეგიტიმაციას მისცემდნენ. მეორე მხრივ კი, თუ სახალხო არმია წითელი არმიის მოსვლამდე ბევრად ადრე აჯანყდებოდა, მაშინ გერმანელები მას ერთიანად ამოჟლეტდნენ. ამგვარად აჯანყების სწორი დროის შერჩევას მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

რა თქმა უნდა, ამ მხრივ მთავარი იყო აჯანყების და ვარშავაზე წითელი არმიის შეტევის კოორდინირება, მაგრამ საბჭოელებსა და პოლონეთის ემიგრირებულ მთავრობას შორის უნდობლობა იმდენად დიდი იყო, რომ ამ უკანასკნელს არ შეეძლო ამ საკითხის მოგვარება საკუთარ თავზე აეღო. ამიტომ იყო, რომ 26 ივლისს ამ მთავრობის პრემიერ-მინისტრმა სტანისლავ მიკოლაიჩიკმა ვარშავის სახალხო არმიას დაავალა, აჯანყება თქვენ მიერ შერჩეულ დროს დაიწყეთო. ეს ინსტრუქცია ეწინააღმდეგებოდა ასევე ლონდონში მყოფი პოლონელი მთავარსარდლის რჩევას: „სსრკ-სთან კარგად შეთანხმებისა და წითელ არმიასთან სრული კოოპერაციის გარეშე დაწყებული აჯანყება პოლიტიკურად მცდარია, სამხედრო თვალსაზრისით კი ნამდვილი თვითმკვლელობა"[3].

ამის მიუხედავად, ვარშავის სახალხო არმიის მეთაურმა საბჭოელებს წინასწარ არ შეატყობინა და ისე გასცა აჯანყების 1 აგვისტოს დილის 5 საათზე დაწყების ბრძანება. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ დროისთვის წითელი არმია ვარშავას იქნებოდა მომდგარი, რადგან 27 ივლისს გერმანელებმა პოლონელებს ქალაქის თავდაცვითი ხაზის მშენებლობაში მონაწილეობის მიღება მოსთხოვეს. სახალხო არმიის მეთაურობამ, რა თქმა უნდა, ხალხს გერმანელებისადმი დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა და თავის მხრივ იფიქრა, რომ აჯანყების დაწყების დრო დადგა. ეს რისკზე წასვლას ნიშნავდა და ამ რისკმა არ გაამართლა.

ზბიგნევ პოლაკი[4] ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ეს ბრძოლა დაიწყო. იგი სახალხო არმიის ერთ-ერთი შენაერთის ახალგაზრდა, ცხრამეტი წლის მეთაური იყო. მამამისი – რეგულარული პოლონური არმიის მაიორი 1939 წელს დაიღუპა, ხოლო დედამისი გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში მოკლეს. აჯანყებამდე ორი წელი ზბიგნევი ვარშავის რკინიგზის სადგურზე მუშაობდა და თან მალულად სახალხო არმიაში წვრთნას გადიოდა. ის და მისი თანამებრძოლნი 1 აგვისტოს საღამოს შვიდ საათზე ვარშავის გარეუბნის ქუჩებში პოლონურ დროშისფერიანი თეთრ-წითელი თავსაფრებით გამოვიდნენ. „უბრალოდ წარმოიდგინეთ", ამბობს იგი, „რომ ოთხწლიანი ოკუპაციის შემდეგ აგვისტოს თბილ საღამოს ქალებით, ბავშვებითა და

სამუშაოდან შინ მიმავალი ხალხით სავსე ქუჩაში უეცრად გამოდის თავგანნირული ბრძოლისთვის გამზადებული სამოცდაოთხი შეიარაღებული მეამბოხე". ზბიგნევის რაზმი იყო ნაწილი მეამბოხეთა დიდი სამხედრო შენაერთისა, რომელსაც გერმანელთა სამხედრო ყაზარმებზე თავდასხმა ჰქონდა ნაბრძანები. მეამბოხეებს მძიმე შეიარაღება არ გააჩნდათ, მხოლოდ პისტოლეტები, თოფები და ხელყუმბარები ჰქონდათ. ზბიგნევთან ერთად სამხედრო წვრთნას მისი უახლოესი მეგობარი, სტუდენტი ზაზეკიც გადიოდა. ზბიგნევი იხსენებს, თუ როგორ წააქეზა თავისი მეგობარი ამ წვრთნაში მონაწილეობისთვის: „სახალხო არმიაში განევრიანება დიდი პატივი იყო – რეკომენდაციას მხოლოდ იმას უწევდნენ, ვისაც კარგად იცნობდნენ და ენდობოდნენ. ზაზეკი ჩემი ახლო მეგობარი იყო, მაგრამ მას ბრძოლა არ აინტერესებდა. ის უნივერსიტეტში სწავლობდა, საცოლე ჰყავდა და სურდა მეცნიერი გამხდარიყო. 1943 წელს, სეირნობისას ისეთი რამ ვუთხარი, რომ დღესაც ვნანობ. ინგლისურ წიგნში ნანახი ერთი ნახატის შესახებ ვუამბე. ნახატზე ბუხართან მჯდომი პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი იყო გამოსახული, რომელსაც მუხლებზე აცოცებული ვაჟიშვილი ეკითხებოდა: „მამიკო, შენ რას აკეთებდი ომის დროს?" ჰოდა, ზაზეკს ვუთხარი, წარმოიდგინე ეს ომი რომ დამთავრდება და შვილი რომ გკითხავს, შენ რას აკეთებდიო, რას ეტყვი, ვსწავლობდიო. ეს მთელი ცხოვრება სანანებლად გაგიხდება-მეთქი. ეს იყო მორალური შანტაჟი, რომელმაც გაჭრა. ზაზეკი სახალხო არმიაში განევრიანდა".

1 აგვისტოს პირველ შეტევაში ზაზეკი არ მონაწილეობდა, რადგან იარაღი ყველას არ ყოფნიდა. ზბიგნევს ამის გამო უსაყვედურია, ისევ გვიგანეო. შეცბუნებული ზაზეკი მაშინვე სახალხო არმიის ადგილობრივ მეთაურს მიადგა, ორი ხელყუმბარა სთხოვა და მეამბოხეებს შეუერთდა. იერიშის დაწყებისას იგი ზბიგნევის გვერდით მიაბიჯებდა. „ ჩემზე ერთი ნაბიჯით წინ იყო", იხსენებს ზბიგნევი, „როდესაც მკერდში ტყვიამფრქვევის ჯერი მოხვდა და გულაღმა დაეცა თავისი ხელყუმბარებით ხელში... საშინელებაა, როცა ასეთ მშვენიერ ვაჟკაცს სულ რაღაც ერთი წამის წინ ცოცხალს ხედავდი და ახლა იგი ასე უსულოდ ეგდო. ჩემთვის ეს ორმაგად მძიმე იყო, რადგან ეს ჩემი მიზეზით მოხდა".

ზაზეკის დაკარგვით გამონვეული ტკივილი მისი ოჯახისთვის განუკურნებელი აღმოჩნდა. ომისშემდგომ ზბიგნევმა მისი მშობლები მოინახულა და მათ ბინაში თავისი მეგობრის გადიდებული სურათი იხილა შავი არშიით და ყვავილებით მორთული. ზაზეკის დედამ ზბიგნევს შეხედა და ჰკითხა, რაღა მაინცდამაინც ის მოკვდა, შენ როგორ გადარჩიო. ზბიგნევი აღიარებს, რომ ეს მის ცხოვრებაში უმძიმესი წუთები იყო.

იარაღის ნაკლებობის მიუხედავად სახალხო არმიამ აჯანყების პირველ დღეებში ვარშავის მთელ რიგ უბნებზე, განსაკუთრებით კი ძველი ქალაქის

ცენტრალურ ვინრო ქუჩებზე კონტროლი დაამყარა. მდინარე ვისლის აღ-მოსავლეთ მხარეს კი აჯანყება ნაკლებწარმატებული გამოდგა, რადგან ამ რაიონებში გერმანელთა დიდი ძალები იყო თავმოყრილი. სახალხო არმიამ იცოდა, რომ სულ რამდენიმე დღეში გერმანელები მძლავრ კონტრიერიშზე გადმოვიდოდნენ, მათ კი მხოლოდ ქალაქის ცალკეული უბნები ეკავათ და ერთმანეთთან კომუნიკაცია არ ჰქონდათ. სწორედ ახლა სჭირდებოდათ ის, რასაც სულ ნატრობდნენ – გარედან დახმარება.

პოლონეთის ემიგრირებული მთავრობის მეთაურს სხვებზე კარგად ეს-მოდა, რომ ვარშავის აჯანყება წარმატებული ვერ იქნებოდა მოკავშირეთა სამხედრო თანადგომის გარეშე. მაგრამ მიკოლაიჩიკმა გადაწყვიტა ჯერ განკარგულება გაეცა და შემდეგ, დააყენებდა რა ფაქტის წინაშე, საბჭოე-ლებისგან დახმარება მოეთხოვა. საკვირველია, რატომ ვერ მიხვდა ბატო-ნი მიკოლაიჩიკი, რომ სტალინისნაირ გულღრძო ხასიათის კაცთან ასეთი სტრატეგია არ გაჭრიდა?

მიკოლაიჩიკი 20-იან – 30-იან წლებში პოლონეთის გლეხთა პარტიის აქტიური წევრი იყო და ახლა, ორმოცდასამი წლის ასაკში, პოლონეთის ემიგრირებულ მთავრობას ხელმძღვანელობდა. აჯანყების ბრძანების გა-ცემიდან მალევე იგი სტალინთან შესახვედრად გაემგზავრა და 30 ივლისს უკვე მოსკოვში იყო. მას სასწრაფოდ სჭირდებოდა სტალინი აჯანყებულე-ბისადმი წითელი არმიის დახმარებაზე დაეთანხმებინა. მისდა სამწუხაროდ, სტალინი სხვა თვალით უყურებდა მოვლენებს. ჯერ ერთი, როგორც უკვე ვნახეთ, სტალინი არ აღიარებდა პოლონეთის ემიგრირებულ მთავრობას და ნანილ-ნაწილ აქუცმაცებდა პოლონურ არმიას ყველა იმ რეგიონში, სა-დაც კი წითელი არმია შედიოდა. მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტა-ნელებისა და ამერიკელების ხათრით იგი დათანხმდა ლონდონელ პოლო-ნელებთან შეხვედრაზე, სულაც არ თვლიდა თავს ვალდებულად მათდამი დამყოლი ყოფილიყო.

პოლონელებს მოსკოვში ჩასვლისთანავე აგდებულად მოეპყრნენ – ჯერ აეროპორტში აბუჩად აიგდეს და შემდეგ განუცხადეს, რომ სტალინს მათთან შესახვედრად „არ ეცალა“. 31 ივლისს მათ მოლოტოვი შეხვდა და უცერე-მონიოდ ჰკითხა, რა გინდათ, რისთვის ჩამოხვედითო. მერე კი ურჩია სტა-ლინთან შეხვედრის ნაცვლად ლუბლინელ პოლონელებს, სტალინის მიერ ხელდასმულ მარიონეტულ მთავრობას, შეხვედროდნენ. საბოლოოდ მიკო-ლაიჩიკმა სტალინთან შეხვედრა მხოლოდ 3 აგვისტოს საღამოს მოახერხა, როცა აჯანყება უკვე მძვივარებდა და მსუბუქად შეიარაღებული პოლონე-ლები ვარშავის ქუჩებში იხოცებოდნენ დახმარების ამაო მოლოდინში.

ამ შეხვედრამდე ერთი დღით ადრე ჩერჩილმა თემთა პალატაში გა-მოსვლისას სიტუაცია ფრიად ოპტიმისტურად შეაფასა. მან თქვა, ყვე-ლაფერი გავაკეთე, რომ სტალინს პოლონეთის პრემიერ-მინისტრი მიეღოო,

და ზარზეიმით აღნიშნა, რუსეთის არმიას პოლონეთისთვის თავისუფლება მოაქვს, ამავდროულად ჩვენს არმიაში გერმანელების წინააღმდეგ მებრძოლ მამაც პოლონელთა რამდენიმე დივიზია გვყავს და ახლა მათი გაერთიანების დრო დადგაო[5]. მაგრამ ამ გაერთიანების წინაპირობად მან გააჟღერა ყბადაღებული საბჭოური მოთხოვნა, რომ „პოლონეთი მეგობრულად უნდა იყოს განწყობილი რუსეთისადმი". თუ გავითვალისწინებთ ემიგრაციაში მყოფ პოლონეთის მთავრობასა და სტალინს შორის არსებულ უფსკრულს, ჩერჩილის ეს ოპტიმისტური პასაჟი ოცნებად უფრო უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე რეალობის ასახვად.

მიკოლაიჩიკისა და მისი დელეგაციის სტალინთან და მოლოტოვთან შეხვედრის დეტალური სტენოგრამა[6] უსიამოვნო შეგრძნებებს აღძრავს მკითხველში. მონაწილე მხარეთა შეხედულებებსა და რეალურ ძალაუფლებას შორის მკვეთრი განსხვავება ამ მოლაპარაკებას წარუმატებლობისთვის სწირავდა. მაგრამ ჩანდა მიკოლაიჩიკმა სათანადოდ ვერ შეაფასა არსებული სიტუაცია. იცოდა რა, რომ მილიონობით ვარშაველის ბედი ამ შეხვედრის შედეგებზე იყო დამოკიდებული, მან თავის გაჭიანურებულ და მოსაწყენ გამოსვლაში საუბარი დაიწყო რაღაც ოთხპუნქტიან „პროგრამაზე", რომლის განხილვაც ამ შეხვედრაზე სურდა. ამ პროგრამაში ვარშავის აჯანყება ბოლო პუნქტად იყო შეტანილი და მას წინ უსწრებდა „პოლონეთ-საბჭოთა კავშირის 1941 წლის შეთანხმების გაფართოების" და „პოლონეთის გათავისუფლებული ტერიტორიების ადმინისტრირების" საკითხები. მასში აჯანყებულები მხოლოდ პოლონეთში მომავალი არჩევნების სამართლიანად ჩატარებაზე მსჯელობის კონტექსტით იყვნენ მოხსენიებული. მართალია მიკოლაიჩიკმა შეხვედრის ბოლოს სტალინს პირდაპირ კი უთხრა, ახლა კი გთხოვთ, ვარშავაში მებრძოლი ჩვენი ძალებისადმი დახმარების ბრძანება გასცეთო, მაგრამ სხვა თემებზე ამდენი ბჭობის შემდეგ ამ თხოვნამ ერთგვარად დაკარგა აქტუალობა. სტალინმა უპასუხა, სათანადო ბრძანებას გავცემო, (ვინც სტალინს კარგად იცნობდა, მიხვდებოდა, რომ სიტყვა „სათანადო" ნიშნავდა არა ვითარებაზე, არამედ ამ ვითარების მისეულ ინტერპრეტაციაზე დამყარებულ ბრძანებას). ამასთან მან შენიშნა, რომ მიკოლაიჩიკს საუბარში არ უხსენებია ნაციონალურ-განმათავისუფლებელი კომიტეტი ანუ ლუბლინელი პოლონელები, ვისთანაც საბჭოელებს უკვე დადებული ჰქონდათ ხელშეკრულება. „ნუთუ თქვენ ამ ფაქტის უგულვებელყოფა შეგიძლიათ?" – იკითხა სტალინმა.

მიკოლაიჩიკის პასუხი იყო გრძელი, ემოციური და შეიცავდა ამგვარ ტირადას: „ჩვენს მთავრობაში წარმოდგენილი ოთხი მთავარი პოლიტიკური პარტიის მხრებზე გადაიარა გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულმა ხუთწლიანმა ბრძოლამ და სიტყვაც მათ ეკუთვნით". ამას გავლენა არ მოუხდენია სტალინზე, რომელმაც ამ ტირადის შემდეგ მშრალად იკითხა,

უკვე დაასრულეთო, შემდეგ კი თქვა, რომ იგი ჩერჩილის წაქეზებით დათანხმდა ამ შეხვედრას იმ პირობით, რომ საუბარი ლუბლინელ პოლონელებთან „ერთობის" შესახებ იქნებოდა. მიკოლაიჩიკმა პასუხად მოულოდნელი მოთხოვნა გააჟღერა, რომ მისი მთავრობისთვის მიეცათ უფლება ვარშავაში დაბრუნებულიყო. ამაზე სტალინმა ირონიულად შენიშნა, ახლა იქ გერმანელები არიანო.

საუბრისას თანდათან გმოიკვეთა მხარეთა პოზიციების შეუთავსებლობა. სტალინი უკვე აღარ მალავდა საკუთარ ზიზღს სახალხო არმიის მიმართ: „რაა არმია არტილერიის, ტანკებისა და ავიაციის გარეშე? მათ საკმარისი თოფებიც კი არ აქვთ. ეს არმია კი არა, პატარ-პატარა პარტიზანული შენაერთებია. როგორც შევიტყვე, თქვენმა მთავრობამ მათ გერმანელების ვარშავიდან გაძევება უბრძანა. ვერ გამიგია, როგორ უნდა შეძლონ ამის გაკეთება, თუკი ძალები არ ჰყოფნით? სინამდვილეში ეს ხალხი გერმანელებს კი არ ებრძვის, არამედ ტყეში იმალება". შემდეგ მან პოლონელი ერისადმი აშკარა უპატივცემლობა გამოხატა, როცა აღნიშნა, რომ საბჭოელებისთვის საშიშროების შემცველია „პოლონელების გაუთავებელი ურთიერთკინკლაობა" და დასძინა, ჩვენ ამას არასდროს შევურიგდებითო.

სტალინი, რა თქმა უნდა, შეგნებულად ამახინჯებდა ფაქტებს და ამას მშვენივრად ხვდებოდნენ მისი პოლონელი თანამოსაუბრენი. პოლიტიკური გამოცდილებისა თუ პოპულარობის თვალსაზრისით არავითარი შედარება არ არსებობდა პოლონეთის ემიგრირებულ მთავრობასა და ლუბლინელი პოლონელების კომიტეტს შორის. სტალინი ურთიერთშეუდარებელ რამეებს ადარებდა ერთმანეთს. თუმცა საბჭოთა ბელადს არასოდეს ჰქონია პრობლემა ცრუ არგუმენტებს დაყრდნობოდა და შემდგომ ამ არგუმენტების ლეგიტიმაცია მოეხდინა. ეს იყო ბინძური პოლიტიკა, რომელიც უზარმაზარ სამხედრო ძალას ემყარებოდა და ამიტომ უაღრესად ეფექტიანი იყო.

კამათმა იმდენად ცხარე ხასიათი მიიღო, რომ ამ შეხვედრის აღმწერი იძულებული გახდა ჩაენერა, ისეთი შეგრძნება სუფევს, რომ ამ მოლაპარაკებამ აზრი დაკარგაო.

ამის შემდეგ მიკოლაიჩიკი შეეცადა სტალინთან ერთად ომისშემდგომი პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრები გაერკვია. მაგრამ სტალინი, რომელიც თვით რუზველტთან და ჩერჩილთან არ წასულა დათმობაზე, არც ახლა აპირებდა საკუთარი პოზიციის შეცვლას, მიიჩნევდა რა ასეთ საზღვრად მოდიფიცირებულ კერზონის ხაზს. საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულმა, მან მედიდურად განაცხადა, საკმაოდ მოხუცი ვარ საიმისოდ, რომ ჩემი სინდისის წინააღმდეგ წავიდეო.

მოლაპარაკება რამდენჯერმე შეწყდა სტალინის სატელეფონო საუბრების გამო, რომლებსაც გვერდითი კაბინეტიდან აწარმოებდა. ბოლოს

ეტყობოდა, რომ მოლაპარაკების გაგრძელება აღარ სურდა და კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ იკითხა: „კიდევ გაქვთ რაიმე საკითხი ჩემთან გასარკვევი?" მიკოლაიჩიკმა უპასუხა, არაფერიო, და ასე დასრულდა ეს შეხვედრა.

ეს უშედეგო მოლაპარაკება მოწმობდა მიკოლაიჩიკის გამოუცდელობას, რომელმაც სტალინისგან დამცირების მეტი ვერაფერი მიიღო. იმის მაგივრად, რომ სტალინის ყურადღება იმ მომენტში ყველაზე საჭირბოროტო საკითხზე – ვარშაველი აჯანყებულებისადმი დახმარებაზე – მიეპყრო, იგი შეეცადა ეს შეხვედრა ორი პოლიტიკური ლიდერის მოლაპარაკების რანგში აეყვანა და ისეთი საკითხების მოგვარება მოინდომა, რომლებიც, ბრიტანელი ელჩის ანგარიშის ენით რომ ვთქვათ, საბჭოელებისთვის ანათემას ექვემდებარებოდა.

სტალინისგან განსხვავებით, ჩერჩილი მაშინვე გამოეხმაურა ვარშაველთა „განწირულ სულისკვეთებას". ქალაქის ქუჩებსა და პარკებში მათი ბრძოლა მისთვის იმ რომანტიკული სულის გამოვლენა იყო, რომელიც ყოველთვის ხიბლავდა. სტალინის პოლონელებთან შეხვედრის მეორე დღეს, 4 აგვისტოს ჩერჩილმა საბჭოთა ლიდერს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიც ეწერა: „პოლონეთის სახალხო არმიის დაჟინებული მოთხოვნით, ჰაერიდან ვანვდით 60 ტონამდე საომარ მასალას და სურსათს ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ისინი გმირულად ებრძვიან გერმანელებს. ისინი ასევე დიდ იმედს ამყარებენ თქვენს დახმარებაზე, რომელიც იმედია არ დააყოვნებს. მათ გერმანიის ერთნახევარი დივიზია ებრძვის. ამან შეიძლება გააადვილოს თქვენი სამხედრო ოპერაციები"[7].

თადეუშ რუმანი[8] ბრიტანეთის საჰაერო ძალების ერთ-ერთი ის პოლონელი მფრინავი იყო, რომელიც აჯანყებულ ვარშაველებს ეხმარებოდა. მისთვის ეს დახმარება ღირსებისა და პატრიოტიზმის გამოხატულებას წარმოადგენდა. სამხრეთ იტალიაში დისლოცირებული ბრინდიზის საჰაერო ბაზიდან ვარშავამდე ფრენა ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და სახიფათო იყო მაშინდელ მარშრუტთა შორის. იგი ათი-თერთმეტი საათი გრძელდებოდა. 4 აგვისტოდან სექტემბრის ბოლომდე რომანმა და მისმა კოლეგებმა ორასზე მეტი რეისი განახორციელეს და 100 ტონაზე მეტი ტვირთი მიაწოდეს აჯანყებულებს[9]. ამ ოპერაციებში დაახლოებით 80 პოლონელი და მოკავშირეთა ძალების100-ზე მეტი საჰაერო მებრძოლი დაიღუპა.

ამ თვითმფრინავებს ხიფათი ელოდათ არა მხოლოდ ვარშავასთან განლაგებული გერმანული ჰაერსაწინააღმდეგო დაცვისგან, არამედ გერმანელების კონტროლირებადი ტერიტორიის თავზე დიდხანს ფრენის დროსაც. „ეს ხანგრძლივი ფრენები იყო", ამბობს თადეუშ რუმანი, „თანაც გერმანელებმა იცოდნენ, რომ ჩვენ მოვფრინავდით". თადეუშს ბედმა გამოცდა 28 აგვისტოს დილით მოუწყო, როდესაც ვარშავაში ტვირთის მორიგი

მიწოდების შემდეგ ის და მისი ეკიპაჟი უკან მიფრინავდნენ. დაახლოებით 600 მეტრის სიმაღლეზე მათ თვითმფრინავს ჰაერსაწინააღმდეგო ჭურვმა ერთ-ერთი ძრავა დაუზიანა. მათ მაინც განაგრძეს ფრენა და კრაკოვის თავზე მეორე ჭურვი მოხვდათ. თადეუშმა და მისმა ეკიპაჟმა მაინც მოახერხეს იტალიის ბაზამდე მიღწევა და ავარიული დაშვება. „დავიჩოქე და მინას ვაკოცე", ამბობს თადეუში. „როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი პაპი [იოანე პავლე II] როცა სადმე ჩადიოდა, ყველგან მიწას კოცნიდა. ეტყობა, მან ეს ჩემგან გადაიღო". დაზიანებული თვითმფრინავის ასე ოსტატურად მართვისთვის და გამოჩენილი მამაცობისთვის თადეუშ რუმანმა წარჩინებული მფრინავის მედალი მიიღო. მისი თანმხლები სამი თვითმფრინავიდან კი უკან არც ერთი არ დაბრუნებულა.

ამასობაში პრემიერ-მინისტრმა მიკოლაიჩიკმა მოსკოვი დატოვა და ლონდონში დაბრუნდა. მისი ბოლო შეხვედრა სტალინთან 9 აგვისტოს საღამოს საკმაოდ უცნაური გამოდგა[10]. მიკოლაიჩიკმა საბჭოთა ლიდერს მოახსენა, რომ ბოლო ორდღიანმა მოლაპარაკებამ ლუბლინელ პოლონელებთან „შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობაში" დაარწმუნა და კიდევ ერთხელ სთხოვა მას ვარშაველებისთვის „სასწრაფო დახმარება" გაეწია. „რაღაც არარეალურად მესახება ეგ ვარშავის ბრძოლები", თქვა სტალინმა. „აი, ჩვენი არმია რომ ვარშავასთან ახლოს ყოფილიყო, საქმე სხვაგვარად იქნებოდა". წითელი არმიის შეფერხება მან „გერმანელთა გააფთრებული კონტრშეტევებით" ახსნა: „მეცოდება თქვენი ხალხი, რომელმაც ვარშავაში ბრძოლა ნაჩქარევად დაიწყო და თოფებით ებრძვის ტანკებს, ქვემეხებს და თვითმფრინავებს... რას მოგვცემს საჰაერო ხიდი? ჩვენ შეგვიძლია მოვამარაგოთ ისინი თოფებით და ტყვიამფრქვევებით, მაგრამ ქვემეხების პარაშუტირება შეუძლებელია... ნამდვილად დარწმუნებული ხართ, რომ ჰაერიდან პარაშუტით მიწოდებული იარაღი პოლონელებს ჩაუვარდებათ ხელში?" შემდეგ დასძინა: „კეთილი, ჩვენ მაინც ვცდით. მითხარით, რამდენი იარაღი გჭირდებათ და სად მივაწოდოთ?" შემდგომი დისკუსია ამ საჰაერო გადასროლის დეტალებს მიეძღვნა. სტალინმა მიკოლაიჩიკს საბჭოთა მოკავშირე ოფიცრის პარაშუტირებაც შესთავაზა სახალხო არმიასა და საბჭოთა შენაერთებს შორის უსაფრთხო კავშირის დასამყარებლად.

ამ შეხვედრის უცნაურობა ის გახლავთ, რომ სტალინის მიერ იქ გაცემული საკმაოდ გულთბილი დაპირებები მკვეთრად განსხვავდება მოვლენათა შემდგომი განვითარებისგან. ჯერ ერთი, სულ რაღაც ოთხი დღის შემდეგ საკავშირო დეპეშათა სააგენტომ გაავრცელა განცხადება, რომ რაკი ლონდონელმა პოლონელებმა წინასწარ არ შეატყობინეს საბჭოელებს აჯანყების დაწყების შესახებ, მთელი პასუხისმგებლობა მათ ეკისრებოდათ იმისათვის, რაც ვარშავაში ხდებოდა. მეორე, 15 აგვისტოს კრემლში საბჭოთა საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებთან გამართული

შეხვედრის შემდეგ ამერიკის ელჩმა ჰარიმანმა აშშ-ში შემდეგი შინაარსის დეპეშა გაგზავნა: „საბჭოთა მთავრობის უარი [დაეხმაროს აჯანყებულებს] ტექნიკურ სიძნელეებს ან ბრძოლისთვის თავის არიდებას კი არა, მკაცრ პოლიტიკურ გათვლებს ეფუძნება"[11]. დაბოლოს, 22 აგვისტოს სტალინმა საკუთარი პოზიცია ვარშაველების მიმართ უაღრესად მწვავე და შეურაცხმყოფელი სიტყვებით გამოხატა. მან სახალხო არმიას „კრიმინალების ბანდა" უწოდა და განაცხადა, რომ საბჭოელები უარს ამბობდნენ დახმარებოდნენ დასავლელ მოკავშირეებს საჰაერო გადაზიდვებში.

საკითხავია, იყო თუ არა პოზიციის ასეთი მკვეთრი ცვლილება სტალინის სიცრუის კიდევ ერთი ნათელი მაგალითი. საგულისხმოა, რომ მიკოლაიჩიკთან ბოლო შეხვედრის დასასრულ, როდესაც პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა სთხოვა, ამ ძნელ ჟამს პოლონელთა გასამხნევებლად იქნებ რაიმე სანუგეშო გვითხრათო (თხოვნა, რომლის მსგავსი რამ ჩერჩილს ყოველთვის გულს უჩუყებდა), სტალინმა უპასუხა: „სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს? სიტყვები არ არის სანდო. საქმეა მთავარი".

ჰოდა, რაკი სტალინისთვის მთავარი „საქმე" იყო, ამიტომ მან სიტყვა უპრობლემოდ გატეხა და ვარშაველები გააცურა. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ იგი 9 აგვისტოს მიკოლაიჩიკთან საუბრისას ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ამ საკითხში. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ შეხვედრისა და საკდესში გაკეთებულ განცხადებას შორის დროის პერიოდში სტალინში დახმარების სურვილი არდახმარების სურვილმა ჩაანაცვლა.

თავის მხრივ ის ფაქტი, რომ საბჭოთა ლიდერი არ მალავდა პოლონელებისადმი უნდობლობას და სახალხო არმიის „ნეიტრალიზების" სურვილს, აღძრავს ეჭვს, რომ მას შეპირებისთანავე უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა პირობის დარღვევა.

ასეა თუ ისე, 13 აგვისტოსთვის სტალინის პოზიცია საბოლოოდ ნათელი გახდა და აჯანყებულთათვის საბედისწერო ჟამს საბჭოელებმა მათ საჰაერო მომარაგებაზე უარი განაცხადეს. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის 18 აგვისტოს განცხადებაში ნათქვამი იყო: „საბჭოთა მთავრობას, რასაკვირველია, არ შეუძლია ბრიტანულ და ამერიკულ თვითმფრინავებს ვარშავის რეგიონში იარაღის გადატანა აუკრძალოს, რადგან ეს მათი საქმეა. მაგრამ ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგნი ვართ, რომ ეს თვითმფრინავები დაეშვან საბჭოთა ტერიტორიაზე, რადგან საბჭოთა ხელისუფლებას არ სურს ვარშავის ავანტიურაში პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა"[12]. სტალინის ასეთი პოზიციით გაღიზიანებულმა ჩერჩილმა რუზველტს თანადგომა სთხოვა, რათა მისთვის საკადრისი პასუხი გაეცათ. ამერიკის პრეზიდენტმა 26 აგვისტოს ასე უპასუხა ჩერჩილს: „მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, რომ ასეთი ფართომასშტაბიანი და ხანგრძლივი ომის პირობებში შემოგიერთდე *UJ*-თვის ასეთი წერილის გაგზავნაში"[13].

მოსკოვში ბრიტანეთის სამხედრო მისიის წევრი ჰიუ ლუნგჰი მისიის მეთაურთან ერთად საბჭოთა თავდაცვის სამინისტროს მიადგა და შეეცადა საბჭოელები საჰაერო დახმარებაზე დაეთანხმებინა: „იქ ორი კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე დავდიოდი, მაგრამ ამაოდ. ისინი უარს ამბობდნენ, ჩვენთვის ან ამერიკელებისთვის თავიანთ ტერიტორიაზე თვითმფრინავის დასმის ნება დაერთოთ. ეს არა მარტო პოლონელების, არამედ მოკავშირეთა მიმართაც აშკარა ღალატი იყო. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა სტალინის სიჯიუტე და სიბრიყვე, რადგან გერმანელები ასე უფრო ადვილად ჩაახშობდნენ აჯანყებას და წითელ არმიასთან ბრძოლისთვის უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცემოდათ. ეს ყველაფერი წმინდა წყლის სიგიჟე იყო. ჩვენი სამხედრო მისია აღშფოთებას ვერ მალავდა“.

მაგრამ ეს არ იყო სტალინის „სიბრიყვე“, როგორც ეს ლუნგჰის მიაჩნდა. სტალინმა მშვენივრად იცოდა, რომ თუ მისთვის არასასურველ სახალხო არმიას არ დაეხმარებოდა, მაშინ ეს არმია განადგურდებოდა და მასაც ნაკლები თავსატეხი ექნებოდა. სწორედ ეს ხდებოდა იმხანად ვარშავაში. აგვისტოს განმავლობაში გერმანელმა ესესელებმა თავიანთი მოკავშირეების, მათ შორის მე-15 კაზაკური კავალერიის დახმარებით ვარშაველ აჯანყებულებს გამანადგურებელი ქუჩის ბრძოლები გაუმართეს.

ესესელთა ყველაზე ავადსახსენებელ შენაერთს ოსკარ დირლევანგერი მეთაურობდა. ეს დაუნდობელი არამზადა საკმაოდ განათლებული პიროვნება გახლდათ – პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი. იგი აღვირახსნილი და სისხლისმსმელი მკვლელების ბანდას მეთაურობდა. მათი უმრავლესობა ციხიდან გამოშვებული დამნაშავენი იყვნენ და ოკუპირებული საბჭოთა მოსახლეობისადმი არაადამიანური მოპყრობით გაითქვეს სახელი.

გერმანული არმიის მებრძოლი, თვრამეტი წლის მათიას შენკი[14] იმ პერიოდში მენაღმედ მსახურობდა ვარშავაში დირლევანგერის შტურმბრიგადის მოქმედების არეალში. იგი შეძრწუნებული იყო ამ ბრიგადის ნამოქმედარით: „ერთხელ სკოლაში შევედით, სადაც 350 მოსწავლე სწავლობდა. კიბეზე ცხრიდან ცამეტ წლამდე ასაკის ბავშვები ჩამოდიოდნენ. მათ ხელები მაღლა აწიეს [და თქვეს]: „*Nicht Partisan*“ (არა ვართ პარტიზანები). ესესელებმა ტყვიები დაუშინეს. შემდეგ მათმა მეთაურმა დირლევანგერმა თქვა, ტყვიებს ნუ ხარჯავთ, კონდახები გამოიყენეთო. კიბეებზე სისხლის ნიაღვარი მოდიოდა“.

ეს იყო ნაცისტების მიერ ამ ქალაქში ჩადენილი მხეცობის მხოლოდ ერთი ეპიზოდი. სადიზმის გამოვლენაა შენკის მიერ მონათხრობი შემდეგი ამბავიც: „ჩემი პოზიციის მოპირდაპირე მხარეს ათი-თორმეტი წლის შეშინებული გოგონა იდგა, რომელსაც ეტყობოდა გზა აებნა. შემომხედა, ხელები ასწია და დაიძახა: „*Nicht Partisan*!“ ვანიშნე ჩემთან მოსულიყო. ამ

დროს თავში ტყვია მოხვდა და ტვინი გაასხმევინა. ჩემს გვერდით მყოფმა ესესელმა სიამაყით ჩაილაპარაკა, დახე, რა კარგი სროლა მცოდნიაო“.

შენკის მონათხრობი სხვა ამბებიც ააშკარავებს, თუ როგორი სატანისტური ქმედებით „ერთობოდნენ“ ესესელები. აჯანყების დასაწყისში მათ შენაერთს ერთი ცალფეხა პოლონელი ბიჭუნა შეეკედლა, რომელიც ყავარჯნებით დადიოდა. იგი ერთგვარი ხელზე მოსამსახურის ფუნქციას ასრულებდა. „ერთხელ ესესელებმა დაუძახეს და ახლოს რომ მივიდა, შარვლის ჯიბეში რაღაც ჩაუდეს. შემდეგ უბრძანეს გაქცეულიყო. ბიჭმა ასკინკილით სირბილი დაიწყო და უეცრად აფეთქების ტალღამ იგი ჰაერში აისროლა. თურმე ხელყუმბარა ჩაუდიათ ჯიბეში“.

დირლევანგერის ბრიგადამ სახალხო არმიის ჰოსპიტალი შტურმით რომ აიღო, შენკი პოლონელი მედდების მასიური გაუპატიურების სცენებს შეესწრო: „მათ მედდებს ტანსაცმელი შემოახიეს, შებოჭეს და რიგრიგობით გააუპატიურეს“. შემდეგ ექვსი მედდა ვარშავის ცენტრში „ადოლფ ჰიტლერის“ მოედანზე ხელებანეული ჩაატარეს. ბოლოს კი „დირლევანგერმა ისინი თავის ხროვას მიუგდო, რომელმაც სიცილ-ხორხოცით აიყვანა უმწეო გოგონები სახრჩობელაზე“.

მათიას შენკის მიერ მონათხრობი ეს საშინელი ამბები ვარშაველთა ამოჟლეტის საერთო გერმანული გეგმის რეალიზების ცალკეული მაგალითებია. ესესელ გენერალ ერიხ ფონ დემ ბახ-ზალევსკის მკაცრი ზედამხედველობით გერმანელები მუსრს ავლებდნენ არა მარტო სახალხო არმიის წევრებს, არამედ უბრალო მოქალაქეებსაც. 8 აგვისტომდე გერმანელებმა ვარშავის მხოლოდ ერთ გარეუბანში ორმოცი ათასზე მეტი მცხოვრები გაჟლიტეს.

პოლონელების მიმართ გერმანელთა ასეთი ზიზღის მთავარი გამღვივებელი ესესის შეფი ჰაინრიხ ჰიმლერი იყო, რომელსაც, მისივე აღიარებით, ვარშავის აჯანყების დღეებში ჰიტლერისთვის უთქვამს: „ისტორიული თვალსაზრისით ეს აჯანყება ჩვენთვის ღვთის წყალობაა... გავანადგურებთ ვარშავას; ეს ჩვიდმეტმილიონიანი ჯიუტი ერის ინტელექტუალური დედაქალაქი, რომელიც უკვე შვიდასი წელია გზას გვიღობავს აღმოსავლეთისკენ... შეწყვეტს არსებობას. ამასთან თვით პოლონელებიც აღარ იქნებიან პრობლემა ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობებისთვის“[15].

ჰიმლერის ეს ბოლო ფრაზა რემინესცენცია იყო მის მიერვე ებრაელი ერის მიმართ ადრე გამოხატული ნაცისტური დამოკიდებულებისა, როცა იგი ამტკიცებდა, რომ მშობლებთან ერთად უნდა განადგურებულიყვნენ ებრაელი ბავშვებიც, რათა გერმანელთა მომავალ თაობებს პრობლემები აღარ შექმნოდათ. 1943 წლის ოქტომბერში მან პოზნანში ესესელ ოფიცერთა წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენ წინაშე წამოიჭრა კითხვა: რა ვუყოთ [ებრაელ] ქალებსა და ბავშვებს? ამაზეც სრულიად ნა-

თელი პასუხი მაქვს. საქმე ისაა, რომ ალოგიკურია დავხოცოთ მხოლოდ მამაკაცები და მათი შვილების სახით შურისმაძიებლები დავუტოვოთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს“[16].

ოცი წლის დანუტა გალკოვა[17] აჯანყების პერიოდში ვარშავის ცენტრში ებრძოდა გერმანელებს. 2 სექტემბერს მან საკუთარი თვალით იხილა გერმანელ და მათ მოკავშირე ჯარისკაცთა სიმხეცე, როცა დაჭრილი ამხანაგი სახელდახელოდ მოწყობილ ჰოსპიტალში მიიყვანა და ამ დროს ჰოსპიტალს გერმანელთა მოკავშირე ჯარისკაცები მიადგნენ. დაჭრილმა ამხანაგმა დანუტას უთხრა, საკაცეზე დაწექი და საბანს გადაგაფარებო. დანუტამ საბნის ქვეშ დამალვა მოასწრო. ჯარისკაცთა ერთმა ჯგუფმა დაჭრილების ძარცვა დაიწყო: იტაცებდნენ საათებს, ოქროულობას და ა. შ., მომდევნო ჯგუფი კი, რომლის უმრავლესობა მთვრალი იყო, ქალების გაუპატიურებას შეუდგა: „ეს მათთვის კარგი გასართობი სანახაობა იყო. მოსწონდათ, როცა გამწარებული ხალხი ყვიროდა... გაოგნებული ვიყავი; ვიცოდი, რომ ასეთი ძალადობის შემდეგ თავს აღარ ვიცოცხლებდი“.

დანუტა გადაურჩა გაუპატიურებას, მაგრამ მას ახლაც ჩაესმის ყურში გამწარებული ქალების ვედრება: „მედდა, გვიშველე, გვიშველეთ, კოლეგებო!“ სახალხო არმიის დაჭრილი ჯარისკაცები უძლურნი იყვნენ რაიმე ეღონათ მათ დასახმარებლად: „ნორმალურ ვითარებაში ნებისმიერი მამაკაცი ქალის დამცველი უნდა იყოს, მაგრამ როცა იგი მუცელშია დაჭრილი ან ფეხი აქვს მოტეხილი, რა შეუძლია მას? არც არაფერი!“

ნასვლისას გერმანელებმა და მათმა დამქაშებმა ჰოსპიტალს ცეცხლი წაუკიდეს. დანუტა თავის მშველელ სახალხო არმიის დაჭრილ ოფიცერთან ერთად გასასვლელი კიბეებისკენ გაიქცა: „კიბეებზე ჩვენ წინ თორმეტიოდე წლის ბიჭი არბოდა. გერმანელმა ჯარისკაცმა მას თავში ესროლა. „ვაიმე, დედა“, ამოიგმინა ბიჭუნამ და ჩვენს ფეხებთან დაეცა“. ჯარისკაცმა შემდეგ დანუტას დაუმიზნა და ჩახმახს გამოკრა, მაგრამ იარაღი არ გავარდა და დანუტამ დაჭრილ ოფიცერთან ერთად თავს უშველა. ჰოსპიტალის ეზოში მათ თვალწინ საშინელი სანახაობა გადაიშალა: „ეზოში შიშველი, გაუპატიურებული და დახოცილი მედდების ცხედრები ეყარა“. დანუტამ და მისმა მშველელმა ღამის სიბნელით ისარგებლეს და სამშვიდობოს გასვლა მოახერხეს. მოგვიანებით ეს ოფიცერი დანუტას მეუღლე გახდა.

ჩერჩილი ანდერსს ხვდება

იმ დროს, როცა ვარშავაში ბრძოლები ბობოქრობდა, უინსტონ ჩერჩილი ჩრდილოეთ იტალიაში დისლოცირებული პოლონური შენაერთების შტაბ-ბინაში გენერალ ანდერსს შეხვდა. პოლონეთის მომავლის შესახებ გამართული დისკუსიის კონტექსტით ეს 26 აგვისტოს შეხვედრა ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივია. ჩერჩილმა იცოდა, რომ მოლაპარაკება მძიმე იქნებოდა, ამიტომ საუბარი მილოცვებით დაიწყო. მან შეაქო პოლონელთა II კორპუსი იტალიის ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის და ჯარისკაცთა „განწყობით" დაინტერესდა[18].

ანდერსმა უპასუხა, რომ მისი ჯარისკაცების სულიერი განწყობა „ჩინებულია, მაგრამ მათი მთავარი წუხილი პოლონეთის მომავალი, ხოლო ამ მომენტისთვის – ვარშავაში შექმნილი სიტუაციაა".

„ეგ მეც მაწუხებს", თქვა ჩერჩილმა. „მე პრეზიდენტ რუზველტთან ერთად ვთხოვე სტალინს დახმარებოდა ვარშაველ მებრძოლებს; პირველ თხოვნაზე საერთოდ არ მიგვიღია პასუხი, მეორეზე კი უარით გვიპასუხა... ჩვენ მზად არ ვართ ვარშავაში საბრძოლველად, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას ვიყენებთ, რომ აჯანყებულებს საჰაერო დახმარება გავუწიოთ".

შემდეგ ჩერჩილი შეეხო თემთა პალატაში საკუთარ გამოსვლას, სადაც განაცხადა, რომ „პოლონელები მზად უნდა იყვნენ, დათმონ თავიანთი აღმოსავლეთ ტერიტორიის გარკვეული ნაწილი საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი თანაცხოვრების სანაცვლოდ".

„ამის გამო თქვენზე ნაწყენი ვიყავით და ახლაც ვართ, პრემიერ-მინისტრო", უთხრა ანდერსმა.

„პოლონეთთან პაქტის დადების დღიდან", თქვა ჩერჩილმა, „დიდი ბრიტანეთი არასდროს ყოფილა პოლონეთის საზღვრების გარანტი; ჩვენ პოლონეთს იმის პირობა და გარანტია მივეცით, რომ თავისუფალი, დამოუკიდებელი, სრულიად სუვერენული, ძლიერი სახელმწიფო იქნებოდა, და რომ მისი მოქალაქენი ბედნიერად იცხოვრებდნენ და თავისუფალ გარემოში განვითარების შესაძლებლობა ექნებოდათ გარედან ყოველგვარი ჩარევის გარეშე". (რა თქმა უნდა, ჩერჩილი არ იყო გულწრფელი, რადგან 1942 წელს ედენისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში თავადვე აღიარა, რომ საბჭოელთა მიერ აღმოსავლეთ პოლონეთის ოკუპაცია ეწინააღმდეგებოდა „ატლანტიკის ქარტიაში აღნიშნული თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპებს")[19]. შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ანდერსს თეირანში უკვე გაჟღერებული საკუთარი აზრი გაუზიარა, რომ პოლონელები „დასავლეთში უკეთეს მიწებს" მიიერთებდნენ აღმოსავლეთ რეგიონების „გაუვალი ჭაობების" სანაცვლოდ.

ანდერსმა უპასუხა, რომ „საზღვრების საკითხი მხოლოდ იმ სამშვიდობო კონფერენციაზე შეიძლება გადაიჭრას, რომელიც ომის დამთავრების შემდეგ უნდა გაიმართოს“. ჩერჩილი დაეთანხმა და პირობა მისცა, რომ მას აუცილებლად მიიწვევდნენ ასეთი კონფერენციაზე: „უნდა გვენდოთ, რადგან დიდი ბრიტანეთი ამ ომში თქვენი დამოუკიდებლობის დასაცავად ჩაება, უნდა გჯეროდეთ, რომ არასოდეს მიგატოვებთ“.

ანდერსს ჩერჩილისგან იგივე დაპირებები ჰქონდა მოსმენილი თეირანის კონფერენციის დამთავრებისთანავე კაიროში გამართულ მათ შეხვედრაზეც. ანდერსმა კიდევ ერთხელ გამოხატა შეშფოთება საბჭოთა კავშირის ქმედებების გამო – შეშფოთება კაცისა, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია საბჭოთა უკანონობა ლუბიანკას ციხეში ჯდომისას. „ჩვენ ვერ ვენდობით რუსეთს“, თქვა მან, „რადგან კარგად ვიცნობთ მას. ვიცით, რომ სტალინის ყველა ის განცხადება, თითქოს სურს, თავისუფალი და ძლიერი პოლონეთი იხილოს, არის სიცრუე და ფალსიფიკაცია... როცა საბჭოელები შედიან პოლონეთში, ისინი ჩვენს ქალებსა და ბავშვებს აპატიმრებენ და რუსეთის შორეულ მხარეებში ასახლებენ; ისინი განაიარაღებენ ჩვენი სახალხო არმიის მებრძოლებს, ხვრეტენ ჩვენს ოფიცრებს და აპატიმრებენ ჩვენს სამოქალაქო ადმინისტრაციას, ანადგურებენ იმ ხალხს, რომელიც 1939 წლიდან ებრძოდა და ახლაც ებრძვის გერმანელებს. ჩვენ ვარშავაში ცოლ-შვილი გველოდება, მაგრამ გვირჩევნია ისინი დაიხოცონ, ვიდრე ბოლშევიკების ხელში ჩავარდნენ. გვირჩევნია ბრძოლაში მოვკვდეთ, ვიდრე დაჩოქილებმა ვიცოცხლოთ“.

შეხვედრის სტენოგრამაში წერია, რომ ამ სიტყვებმა „ძალიან ააღელვა“ ჩერჩილი, რომელმაც ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ ბრიტანეთი არასოდეს მიატოვებდა პოლონეთს: „ვიცი, რომ გერმანელები და რუსები თქვენი ერის საუკეთესო ნარმომადგენლებს ანადგურებენ, განსაკუთრებით ინტელექტუალურ სფეროში. გამოვხატავ ჩემს ღრმა წუხილს, მაგრამ უნდა გვენდოთ – არ მიგატოვებთ და პოლონეთი ბედნიერი იქნება“.

არაა გასაკვირი, რომ ანდერსი ერთგვარი ეჭვით ეპყრობოდა ჩერჩილის დაპირებებს. მან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს შეახსენა, რომ საბჭოთა კავშირი ომის შემდეგ უზომოდ გაძლიერდებოდა; მაგრამ ჩერჩილმა საკმაოდ კურიოზული პასუხი გასცა, რომ „ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების შესაძლებლობები შეუზღუდავია“ და ომის შემდეგ „მათ აურაცხელი რაოდენობის თვითმფრინავი, იარაღი და ტანკი ექნებათ“. მართალია მას პირდაპირ არ უთქვამს, რომ გერმანიის განადგურების შემდეგ დასავლეთის ალიანსი საბჭოთა კავშირს ომს გამოუცხადებდა, თუკი სტალინი პოლონეთის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ხელყოფდა, თუმცა მისი ეს პასუხი არ გამორიცხავდა საომარი მოქმედების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგებოდა ჩერჩილისვე აზრს, რომელიც იმავე წლის დასაწყისში გამოთქვა.

როგორც აღვნიშნეთ, სტალინს შუა აგვისტოში გადაწყვეტილი ჰქონდა არ დახმარებოდა ვარშავის სახალხო არმიას, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მისი პოლიტიკა ვარშავის აჯანყების მიმართ თანმიმდევრული არ იყო. 18 სექტემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ ვარშავისკენ მფრინავ ამერიკულ ბომბდამშენთა ესკადრას მოულოდნელად დართო ნება, საწვავის შესავსებად საბჭოთა ტერიტორიაზე დაშვებულიყო. უფრო მეტიც, 14-დან 28 სექტემბრამდე საბჭოელები თვითონ უწევდნენ საჰაერო მატერიალურ დახმარებას ვარშაველებს. მაგრამ რაკი პარაშუტებს არ იყენებდნენ, დაახლოებით 50 ტონა ტვირთი მიწაზე დაცემისას განადგურდა.

როგორც ჩანს, სტალინს გარკვეულწილად აწუხებდა მსოფლიო საზოგადოებრიობის რეაქცია ვარშავის განადგურების შემყურე საბჭოელთა უმოქმედობაზე. ამ პროპაგანდისტული პრობლემისადმი მისეული მიდგომა იყო, ეჩვენებინა მსოფლიოსთვის, ვითომდა ეხმარებოდა სახალხო არმიას, ხოლო სინამდვილეში დახმარება არაეფექტიანი ყოფილიყო.

შემდგომში კიდევ უფრო უჩვეულო ამბები მოხდა. 14 სექტემბერს ღამით, კოლაბორაციონისტი გენერლის ზიგმუნდ ბერლინგის მეთაურობით წითელ არმიაში გაწევრიანებული 1-ლი პოლონური არმიის მზვერავთა რაზმი ვარშავის გარეუბანში მდინარე ვისლას დასავლეთ სანაპიროზე დაეშვა და სახალხო არმიის მებრძოლებს დაუკავშირდა. ასეთივე გადასხმა მომდევნო დღეებშიც ხდებოდა, სანამ 1-ლი პოლონური არმიის სამი ათასამდე მებრძოლი ვარშავის აჯანყებულებს არ შეუერთდა. შემდგომში მათი ერთი მესამედი ამ ბრძოლებში დაიღუპა.

სახალხო არმიის ჩვენთვის უკვე ცნობილი მეომარი ზბიგნევ ვოლაკი შეესწრო ბერლინგის მეომრების მცდელობას, ვისლაზე ხიდი გაედოთ. იგი შოკირებული იყო, როცა დარწმუნდა, რომ ამ „პოლონური" არმიის ყველა ოფიცერი რუსი იყო. მან თავი დამცირებულად იგრძნო: „ეს ხომ პაროდია იყო! ამ გადაცმულ რუსის ოფიცრებს ორი სიტყვის თქმაც კი არ შეეძლოთ პოლონურად... ისინი უხეშები, მდაბიოები და უდისციპლინოები იყვნენ. ეტყობა რამდენიმე თვის წინ ტყის მჭრელად მომუშავე ვიღაც მუჟიკი ახლა კაპიტნის, მაიორის ან პოლკოვნიკის სამხრეებს ატარებდა! ისინი ერთმანეთს „ამხანაგო"-თი მიმართავდნენ, რითაც ხაზს უსვამდნენ არმიის პოლიტიკურობას. როგორი სანახავია ვინმეს იმ ქვეყნის უნიფორმა ეცვას, რომლის მოსისხლე მტერიც არის, თანაც ამ ვინმეს პოლონელებზე უფრო მაღალი წოდება ჰქონდეს და მათ მეთაურობდეს!"

ბერლინგის მეომრებმა ხიდის დაცვა ვერ შეძლეს და სექტემბრის ბოლოს საკმაოდ შეთხელებული შემადგენლობით უკან დაიხიეს. ეს იყო ვარშაველი აჯანყებულებისადმი სახმელეთო დახმარების ერთადერთი

და წარუმატებელი მცდელობა. აშკარა იყო, რომ გერმანელებს მხოლოდ წითელი არმიის მასიური შეტევა თუ შეარყევდა. ასეთი შეტევის ნიშნები კი ჯერჯერობით არ ჩანდა. ვარშავის სიახლოვეს განლაგებული წითელი არმიის შენაერთების სარდალს, მარშალ როკოსოვსკის თავიც კი არ შეუნუხებია, რომ რაიმე პასუხი გაეცა ამბოხებულთა არა ერთ სასოწარკვეთილ თხოვნაზე.

მის დაქვემდებარებაში მყოფი პოლონური 1-ლი არმიის მებრძოლები კი გულისტკივილით აღიქვამდნენ ვარშაველთა უიმედო მდგომარეობას. ერთ-ერთი მათგანი იყო იან კარნიეცკი[20]. 1940 წელს ის ოჯახთან ერთად გაასახლეს აღმოსავლეთ პოლონეთიდან; 1941 წელს სურდა ანდერსის არმიაში ემსახურა, მაგრამ ასაკის გამო დაიწუნეს, ამიტომ ერთი წლის შემდეგ უკვე ბერლინგის მეომრებს შეუერთდა; ახლა კი შეშფოთებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ „ახვევდნენ გერმანელები ვარშავას ცეცხლის ალში. მთელი შემოდგომის განმავლობაში ვარშავის თავზე ღამღამობით ცა წითლად იყო შეფერილი... დედაქალაქი იწვოდა, ვარშავა კვდებოდა, ეროვნული კულტურა – პოლონური კულტურა – იღუპებოდა და ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ვეღარასოდეს აღდგებოდა“.

2 ოქტომბერს სახალხო არმიის მეთაურმა გენერალმა თადეუშ ბორმა გერმანელ გენერალ ფონ დემ ბახ-ზალევსკის ხელი მოუწერა კაპიტულაციაზე და ვარშავის აჯანყება დასრულდა. სისხლისმღვრელი ქუჩის ბრძოლების შეჩერების მიზნით პოლონელებმა გერმანელები შეითანხმეს, რომ დანებებული სახალხო არმიის მებრძოლები ჩაითვლებოდნენ არა „ბანდიტებად“, არამედ სამხედრო ტყვეებად, ხოლო მოსახლეობას გერმანელები ჰუმანურად მოეპყრობოდნენ – შეთანხმება, რომელიც ძირითადად ქაღალდზე დარჩა. გერმანელებმა განაგრძეს ქალაქის განადგურება, ქვა ქვაზე არ დატოვეს და, როცა 1945 წლის დასაწყისში იან კარნიეცკი ბოლოს და ბოლოს შევიდა ვარშავაში, იქ „მხოლოდ ნანგრევები“ დახვდა: „სულ რამდენიმე კედელი და შენობის ჩონჩხილა იყო დარჩენილი. ეტყობა გერმანელებს დრო აღარ დარჩათ, რომ ისინიც აეფეთქებინათ. ეს საშინელება იყო... რასაკვირველია, ომი უმსხვერპლოდ არ არსებობს, მაგრამ ვარშავამ შეუწონელი მსხვერპლი გაიღო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ღია ზღვაში ჩასაძირად განწირულ გემს ვუყურებდი და ვერაფრით ვშველოდი. ასე ანგრევდნენ ვარშავას და ვერ ვშველოდით, რადგან ასეთი ბრძანება არ არსებობდა“.

ასე განირა გასანადგურებლად სტალინმა სახალხო არმია და ქალაქი ვარშავა. ჩერჩილმა საბჭოელთა მაშინდელი ქცევა „უცნაურად და ავადმყოფურად“[21] შერაცხა, მაგრამ ეს შეფასება რეალობას არ შეესაბამება. სინამდვილეში ეს იყო უაღრესად სასტიკი და პრაგმატული ჩანაფიქრი. ადრე საბჭოელებმა სახალხო არმიის ოფიცრები რომ დააპატიმრეს, ცხა-

დი შეიქნა ამ ძლიერი და დამოუკიდებელი პარტიზანული შენაერთისადმი მათი მტრული დამოკიდებულება; ახლა კი სტალინმა უბრალოდ ხელიდან არ გაუშვა ერთი მტრის – გერმანელების ხელით მეორე მტრის – პოლონეთის სახალხო არმიის განადგურების შანსი. ასეთი ცინიკური ჩანაფიქრი ჰქონდათ საბჭოელებს, როცა გადაწყვიტეს აგვისტოს ბოლოს ბრძოლები ვარშავის მაგივრად რუმინეთში გაეჩაღებინათ. აშკარა იყო, რომ საბჭოელებმა ვარშავაზე შეტევა იმ დროისთვის გადადეს, როცა იქ დაპირისპირებულ ორივე მხარეს, პოლონელებსაც და გერმანელებსაც, არაქათი გამოეცლებოდა.

რაც შეეხება საბჭოელებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე აჯანყების დაწყებას, ეს საშინელი შეცდომა აღმოჩნდა, თუმცა თვით აჯანყების სასწრაფოდ დაწყების აუცილებლობა კი არსებობდა. ამბოხება რომ არ მოეწყოთ, სახალხო არმიას უეჭველად საბჭოთა შინსახკომი გაანადგურებდა. და მაინც ძალიან ძვირი დაუჯათ პოლონელებს თავიანთი დედაქალაქის გათავისუფლების მცდელობა: დაახლოებით 220 000 პოლონელი დაიღუპა (მათ შორის 200 000 მშვიდობიანი მოქალაქე), შედეგად კი დანგრეული ვარშავა და განადგურებული სახალხო არმია მიიღეს.

ძნელია არ დაეთანხმო გენერალ ანდერსის მიერ 1944 წლის შემოდგომაზე გამოტანილ დასკვნას: „ვარშავის აჯანყებას წარმატების ოდნავი შანსიც კი არ ჰქონდა; პირიქით, მან ქვეყანაში ახალი საშინელი რეპრესიები გამოიწვია. მხოლოდ ავადმყოფურ ფანტაზიას თუ შეეძლო ოდესმე წარმოედგინა ის, რაც მოხდა, ანუ საბჭოელები რომ არა მარტო უარს იტყოდნენ ჩვენი გმირულად მებრძოლი ვარშაველების დახმარებაზე, არამედ დიდი სიამოვნებით გაადევნებდნენ თვალს, თუ როგორ იცლებოდა სისხლისგან ჩვენი ერი“[22].

ამ ისტორიის ნაწილია ოცდაოთხი წლის მეამბოხის ჰალინა შოპინსკას[23] თავგადასავალი, რომელიც საბჭოელებისგან ასევე გაყიდულად გრძნობდა თავს და მათ მიერ გაწეულ ვითომდა საჰაერო დახმარებას თვალთმაქცობად მიიჩნევდა: „ისინი თვითმფრინავიდან უპარაშუტოდ ყრიდნენ გამხმარ პურს, რომელიც მიწაზე დაცემისას მტვრად იქცეოდა ხოლმე. ასევე უპარაშუტოდ ყრიდნენ და ამტვრევდნენ თოფებს და სხვა აღჭურვილობას. ისინი ქმნიდნენ ილუზიას, ვითომ გვეხმარებოდნენ, იმავდროულად კი ცდილობდნენ, რომ დახმარებას ჩვენამდე ვერ მოეღწია“.

ჰალინა სახალხო არმიაში ერთდროულად მებრძოლიც იყო და მედდაც. აჯანყების ჩახშობისა და წითელი არმიის ვარშავაში შესვლის შემდეგ საბჭოელებმა იგი დააპატიმრეს და შინსახკომის ოფიცერს გადასცეს დასაკითხად.

„აჯანყების დროს რას აკეთებდი?“ ჰკითხა მას შინსახკომის ოციოდე წლის ოფიცერმა. „იცოდე, არ იცრუო, რადგან მე ყველაფერი ვიცი და ტყუილი არ გაგივა“.

ჰალინამ მას „კონკრეტული“ ვერაფერი უთხრა. „შედეგად მან ცემა დამიწყო, რუსულად კახპას მეძახდა, სკამიდან იატაკზე დამაგდო და ფეხებით მცემდა... მას სძულდა პოლონელები და ამ სიძულვილს ჩემზე ანთხევდა“.

მეორე დღეს ჰალინას უკვე სამმა საბჭოთა ოფიცერმა – მათ შორის ერთმა ქალმა – მოუწყო დაკითხვა. აქ მას თავის ცხოვრებაში ყველაზე დამამცირებელი პროცედურის გადატანა მოუხდა. უბრძანეს გაშიშვლებულიყო და შემდეგ, მამაკაცი ოფიცების თანდასწრებით, ქალმა მას „გინეკოლოგიური შემოწმება“ ჩაუტარა. ამის შემდეგ ქალმა გაზეთის ნახევით ხელები გაიწმინდა, სიგარეტი გააბოლა და ჰალინას იქვე გვერდით ტუალეტში შესვლა და თან კარის ღიად დატოვება უბრძანა, რათა დარწმუნებულიყო, რომ „თავს არ მოიკლავდა“. „ქალისთვის ამაზე დამამცირებელი მოპყრობა ალბათ წარმოუდგენელია“, ამბობს ჰალინა.

ამ დაკითხვებმა ჰალინა დაარწმუნა, თუ როგორ უარყოფითად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლება როგორც სახალხო არმიის, ისე დასავლელ მოკავშირეებისადმი: „მათ თვალში ჩვენ ყველანი ჯაშუშები ვიყავით. გვეუბნებოდნენ, როგორც ინგლისელებთან, ასევე გერმანელებთან ხართ შეკრული და ორივესთან ერთად გვებრძვით რუსებსო“. ჰალინას ათწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს: „მათ ინგლისისა და გერმანიის ჯაშუშობა დამაბრალეს... საამისოდ სახალხო არმიის წევრობა აღმოჩნდა საკმარისი“. ლუბლინის ციხეში ჯდომის დროს იგი მუდმივად იგებდა სახალხო არმიის ყოფილი მებრძოლების დახვრეტის ამბებს. კედელს მიღმა ესმოდა სადამსჯელო რაზმის ოფიცრის ყვირილი: „დახვრიტეთ სამშობლოს მოღალატე!“ ამის შემდეგ, ციხის ეზოში სეირნობისას ხედავდა, რომ კედლებზე ადამიანის ტვინი იყო მინთხეული.

პატიმრობის პერიოდში ჰალინა საბჭოთა ციხის გუშაგთა სისასტიკის მომსწრე გახდა. განსაკუთრებით დაახსომდა ერთი შემთხვევა, როდესაც ზამთარში ციხეს საბჭოური კომისია ეწვია პატიმართა ყოფითი პირობების გასაცნობად. ჰალინამ კომისიას შესჩივლა, რომ მათ ბლოკს მხოლოდ სამი ტუალეტი და პირსაბანი ჰქონდა, სადაც ოცდაათამდე ადამიანს ათ წუთში უნდა მოესაქმებინა და დაებანა. ეს კი შეუძლებელი იყო. როდესაც კომისია წავიდა, ჰალინასთან ციხის გუშაგი მივიდა და უთხრა, წამოდი და რამდენიც გინდა, იბანავეო. მან ჰალინა და სხვა მომჩივანი ქალები გაყინულ სარდაფში ჩაიყვანა, სადაც ტუალეტი და საშხაპე იყო, გახდა უბრძანა და მთელი ღამე შიშვლები იქ აყურყუტა. მეორე დილით მათთან მთავარი ზედამხედველი ჩავიდა და ჰკითხა, ამჯერად ხომ კარგად იბანავეთო. გაყინულმა ქალებმა კრინტიც ვერ დაძრეს. შემდეგ ისინი საკნების წინ

ჩაატარეს, რათა პატიმრებს ენახათ, თუ როგორ უსწორდებოდა საბჭოთა სამართალი მომჩივანთ.

საპატიმროს ნესტიანმა და ჭუჭყიანმა პირობებმა ჰალინას ტუბერკულოზი დამართა, მაგრამ გულისხმიერი დედამთილის ხშირი მონახულებისა და ბედის წყალობით ის სიკვდილს გადაურჩა. ქმარს იგი არასოდეს მოუნახულებია. მხოლოდ პატიმრობის ათი წლის გასვლის შემდეგ გაუმხილა მას დედამთილმა ამის ნამდვილი მიზეზი: „შვილო, ჩვენს ოჯახში ველარ დაბრუნდები. იქ ახლა სხვა ქალია ერთი ბავშვით ხელში და მეორეზე ორსული".

ჰალინას ახალი ცხოვრების დაწყება მოუხდა – უქმროდ და ჯანმრთელობაშერყეულს. არადა, ის ხომ მხოლოდ ერთ-ერთი იყო პოლონეთის საბჭოური ოკუპაციის უამრავ მსხვერპლთა შორის.

სამუშაო შეხვედრა კვებეკში

1944 წლის სექტემბერში ჩერჩილი და რუზველტი ერთმანეთს კანადაში, კვებეკში შეხვდნენ. ეს სამუშაო შეხვედრა ისე ფართოდ არ გაშუქებულა, როგორც თეირანის, იალტის ან თუნდაც ატლანტიკის ქარტიის დამფუძნებელი ნიუფაუნდლენდის კონფერენციები. და მაინც, კვებეკი მნიშვნელოვანი საკვანძო მომენტია ამ ორი ლიდერის ურთიერთობაში, რომელიც ომისდროინდელი ვარდისფერი პროპაგანდის წყალობით ხალხის ცნობიერებაში დღემდე მეგობრულ ურთიერთობად რჩება.

საყურადღებოა, რომ კვებეკში განუხილველი დარჩა იმ დროისთვის ყველაზე აქტუალური საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ვარშავის აჯანყება აქტიურ სტადიაში იყო და აჯანყებულები სასწრაფო დახმარებას ითხოვდნენ, პოლონეთის ბედი და სტალინის პრეტენზიები ამ ქვეყნის მიმართ საერთოდ არ შესულა დღის წესრიგში. რუზველტი საკუთარ თავის ერთგული რჩებოდა – უხერხულ პოლიტიკურ მოვლენაზე რეაქციას მისი იგნორირებით ახდენდა. ვარშავის სახალხო არმიის აჯანყება, კატინში პოლონელების ჩახოცვის მსგავსად, მისთვის დიდ მთლიან სურათზე ერთ პატარა საჩოთირო ლაქას წარმოადგენდა. რუზველტისთვის კი მთავარი დიდი სურათი იყო და არა რაღაც ლაქები .

კვებეკშიც სწორედ ამ „დიდ სურათზე" იმსჯელეს. მთავარი თემა გერმანიის ომისშემდგომი მოწყობა იყო. თეირანში ამ საკვანძო საკითხმა დიდი განხეთქილება გამოიწვია, განსაკუთრებით იმ ავადსახსენებელ სადილზე, რომელზეც სტალინმა სულ მცირე ორმოცდაათი ათასი გერმანელის დახვრეტა მოითხოვა. გერმანიის მომავლის განხილვას კვებეკშიც ცხარე კამათი მოჰყა. 13 სექტემბრის სადილზე, რომელიც ემოციებით არ

ჩამოუვარდებოდა თეირანის იმ ცნობილ სადილს, რუზველტმა საკუთარ ეკონომიკის მინისტრს ჰენრი მორგენტაუს შესთავაზა, ჩერჩილისთვის მოეხსენებინა ამერიკელთა აზრი ამ თემაზე. ვინაიდან საკითხი ოფიციალურად საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა, ერთობ უცნაური იყო ეკონომიკის მინისტრისადმი მისი განხილვის შეთავაზება.

მორგენტაუც შეუდგა იმ ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური და გამანადგურებელი გეგმის ჩამოყალიბებას, რომელიც კი რომელიმე დემოკრატიულ სახელმწიფოს შეუმუშავებია მეოცე საუკუნეში. ამ გეგმის მიხედვით გერმანია არა მარტო ორ ქვეყნად უნდა გაეხლიჩათ, არამედ მისი ინდუსტრიაც უნდა გაენადგურებინათ. მოგვიანებით ერთი ამერიკელი გენერალი ემუქრებოდა იაპონელებს, რომ მათ ქვეყანას დაბომბვებით „ქვის ხანაში დააბრუნებდა“[24]. მორგენტაუს გეგმაც ეკონომიკურად ასეთ ქვის ხანაში დაბრუნებას უქადდა გერმანელ ხალხს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ჩერჩილი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ემოციურობით, გაცეცხლდა. „ის-ის იყო გეგმის ჩამოყალიბებას შევუდექი“, იხსენებს მორგენტაუ, „რომ პრემიერ-მინისტრმა ხმადაბალი ბურტყუნით და უკმაყოფილო გამოხედვით თავისი ემოციების გამომჟღავნება დაიწყო... ასეთი გაღიზიანებული არასოდეს მინახავს... როგორც კი მოყოლა დავამთავრე, რიტორიკის, სარკაზმისა და მძვინვარების მთელი თავისი მარაგი გადმომანთხია. „ეს გეგმა“, განაცხადა მან, „მკვდარ გერმანელზე მხდის მიჯაჭვულს“[25].

ამის შემდეგ ჩერჩილმა მორგენტაუს განუცხადა, რომ მისი აზრით გეგმა „არაბუნებრივი, არაქრისტიანული და არააქტუალური“ იყო[26]. ჩერჩილის ექიმის ლორდ მორანის გადმოცემით, რომელიც ასევე ესწრებოდა ამ შეხვედრას, პრემიერ-მინისტრმა გადაჭრით განაცხადა: „მე გერმანიის სრულ განიარაღებას ვემხრობი, მაგრამ არ უნდა ავუკრძალოთ, რომ ადამიანურად იცხოვროს. ყველა ქვეყნის მშრომელები ერთმანეთს მხარს უჭერენ და ინგლისელი ხალხი თქვენ მიერ შემოთავაზებულ გეგმას არასოდეს მოინონებს“[27].

ძნელია მოინახოს ბრიტანეთსა და ამერიკას შორის პოლიტიკის სფეროში განხეთქილების უფრო დიდი ნაპრალი, ვიდრე იმ ღამით რომ გაჩნდა. ამიტომ საკვირველია, რომ სულ რაღაც ორ დღეში ჩერჩილმა შეწყვიტა ასეთი მედგარი წინააღმდეგობა და მორგენტაუს რადიკალურ გეგმას ხელი მოაწერა.

15 სექტემბერს ჩერჩილმა ამერიკასთან დადებული ლენდ-ლიზის შეთანხმების გაგრძელებას მიაღწია, რაც ბრიტანეთს დამატებით 6,5 მილიარდი აშშ დოლარით უზრუნველყოფდა. ეს ამ კონფერენციის მეორე მთავარი საკითხი იყო. მორგენტაუს დღიურის თანახმად, „ჩერჩილი ამ განხილვაზე ძალიან ემოციური იყო და ერთხანს ცრემლიც კი მოადგა თვალზე“[28]. ამ

შეთანხმების გაფორმების შემდეგ ჩერჩილმა რუზველტს „გულმხურვალე მადლობა“ გადაუხადა, შემდეგ კი მორგენტაუს და თავის სამეცნიერო მრჩეველს, პროფესორ ლინდემანს მიმართა, აბა მოდით, ახლა რურის [ე.ი. გერმანიის] საქმეებს მივხედოთო.

განხილვის ბოლოს ჩერჩილმა მორგენტაუს უკარნახა გეგმის საკუთარი ვერსია, რომელიც ძირითად გამანადგურებელ ხასიათს ინარჩუნებდა. მორგენტაუს გეგმაში მოყვანილ წინადადებას „რურისა და საარის ინდუსტრიის ლიკვიდაციის ეს პროგრამა მიზნად ისახავს გერმანიის მიწათმოქმედების ქვეყნად გადაქცევას“, ჩერჩილმა ერთი სიტყვა – „მეცხოველეობა“ დაამატა და ფრაზა უკვე ასე იკითხებოდა: „გერმანიის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქვეყნად გადაქცევას“. ამით ჩერჩილი შეეცადა „სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების გაიდეალებას“ და „მორგენტაუს გეგმის მკაცრი ტონის შერბილებას“[29].

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტონი ედენი გაოგნებული იყო ჩერჩილის პოზიციის ასეთი რადიკალური შეცვლით და მორგენტაუს გეგმის ურყევ მოწინააღმდეგედ რჩებოდა. „მე გეგმა არ მომწონდა“, წერდა იგი, „და მჯეროდა, რომ იგი არც ჩვენს ეროვნულ ინტერესებს შეესაბამებოდა. ასეც განვაცხადე“[30]. ამერიკელები – პრეზიდენტის ჩათვლით – გაოცებულნი შეჰყურებდნენ, თუ როგორ კამათობდნენ მათი თანდასწრებით მორგენტაუს გეგმაზე პრემიერ-მინისტრი და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი. ჩერჩილი თავიდან შეეცადა ედენი დაერწმუნებინა, რომ გერმანიის ინდუსტრიის გაქრობა ბრიტანეთის ექსპორტს სარგებელს მოუტანდა. როცა არაფერმა გაჭრა, ჩერჩილმა კატეგორიულად განაცხადა: „ბოლოს და ბოლოს, სასწორზე ჩემი ხალხის მომავალი დევს და როცა არჩევანი გერმანელ და ჩემს ხალხს შორისაა, მე ჩემს ხალხს ვარჩევ“[31].

ნაკლებსავარაუდოა ჩერჩილის პოზიციის ასეთი მკვეთრი ცვლილება მორგენტაუს გეგმით მისი ქვეყნისთვის მოტანილ სავარაუდო სარგებელს გამოეწვია, რადგან ამ „სარგებელის“ შესახებ მას გეგმის პირველი მოსმენისთანავე უნდა სცოდნოდა. სიმართლესთან უფრო ახლოა ვარაუდი, რომ ლენდ-ლიზის ახალი შეთანხმების გაფორმების შემდეგ ჩერჩილი ამერიკელების მიმართ უფრო მაამებლური გახდა.

ამ ვერსიას აძლიერებენ ამ გეგმის ერთ-ერთი თანაავტორის, მორგენტაუს ასისტენტ ჰარი დექსტერ უაიტის მოგონებებიც. იგი მხატვრულად აღწერს, თუ როგორ ეუდრებოდა ჩერჩილი პრეზიდენტს ლენდ-ლიზის გამოყოფას, მითხარით, რა მოვიმოქმედო საამისოდ, გნებავთ თქვენი ძაღლივით – ფელასავით მოგელაქუცებითო[32]. უაიტის ღრმა რწმენით, ჩერჩილმა ლენდ-ლიზის გაფორმებით გამოწვეული მადლიერება ამერიკელების გეგმაზე დათანხმებით გამოხატა.

რაც შეეხება რუზველტს, გერმანიის მიმართ მისი სისასტიკე აშკარად მის პირად მრწამსს ემყარებოდა. წლების განმავლობაში იგი აღშფოთებით ადევნებდა თვალს გერმანელთა მილიტარისტულ ტენდენციებს. გერმანელთა აგრესიას მეცხრამეტე საუკუნეში და პირველი მსოფლიო ომის დროს და ნაცისტების ბოლოდროინდელ ქმედებებს იგი ერთი ჯაჭვის რგოლებად მოიაზრებდა. ნაცისტები და რუზველტი ერთმანეთისადმი მუდამ მტრულად იყვნენ განწყობილი. ზუსტად ომის დაწყების წინ, 1939 წელს ჰიტლერმა ერთ-ერთ გამოსვლაში აბუჩად აიგდო რუზველტის მოწოდება ნაცისტებისადმი, არ შეჭრილიყვნენ სხვა ქვეყნებში. შეუძლებელია რუზველტს დავიწყებოდა ასევე ჰიტლერის აზრი ამერიკაზე როგორც „რასობრივად აღრეულ" ქვეყანაზე და მისი პირადი ზიზღი პრეზიდენტის პიროვნებისადმი – რუზველტის ფიზიკური ნაკლი ნაცისტური იდეოლოგიის თანახმად არასრულფასოვნების ტოლფასად აღიქმებოდა.

1943 წელს კასაბლანკას კონფერენციაზე რუზველტი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მოკავშირენი მხოლოდ გერმანიის „უპირობო" კაპიტულაციაზე დათანხმებულიყვნენ; და ახლაც, ზუსტად კვებეკის შეხვედრის წინ, 19 აგვისტოს მან მორგენტაუს უთხრა: „გერმანიის მიმართ სიმკაცრე უნდა გამოვიჩინოთ და მე ვგულისხმობ მთელ გერმანელ ხალხს და არა მხოლოდ ნაცისტებს. ან იძულებითი კასტრაცია უნდა ჩავუტაროთ გერმანელებს ან ისე უნდა მოვეპყროთ, რომ მათ მიერ განვლილი გზის გაგრძელების მსურველები ვეღარ წარმოშონ"[33].

არსებობდა პრეზიდენტის მიერ მორგენტაუს გეგმის მხარდაჭერის სხვა მიზეზიც. რუზველტმა მშვენივრად იცოდა, რომ ომისშემდგომი გერმანიის დაჩიავება სხვა ძლევამოსილ მსოფლიო ლიდერს – სტალინსაც სურდა. საბჭოთა ლიდერმა ეს სურვილი არა მარტო თეირანში, არამედ მოსკოვში 9 აგვისტოს პოლონეთის პრემიერ – მინისტრთან შეხვედრაზეც გაამჟღავნა, როცა პირდაპირ განაცხადა, გერმანიის წინააღმდეგ ყოველგვარი დასაშვები თუ დაუშვებელი ზომების გატარების მომხრე ვარო[34]. ნებსით თუ უნებლიედ, კვებეკში მორგენტაუს გეგმის განხილვისას რუზველტს უთუოდ სტალინის ეს ფრაზაც უტრიალებდა გონებაში. ამერიკის პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ აუცილებელი იყო გერმანიის დეინდუსტრიალიზაცია, რადგან „ფოლადის ნაწარმის დამამზადებელი ნებისმიერი ქარხანა ერთ ღამეში შეიძლება სამხედრო პროდუქციის საწარმოდ გადაიქცეს"[35]. ეს იყო თეირანში სტალინის გამოთქმული იმ აზრის გამეორება, როცა საბჭოთა ლიდერი გაცხარებით აღნიშნავდა: „თქვენ რა, აპირებთ გერმანიას თანამედროვე ლითონპროდუქციის წარმოების საშუალება მისცეთ? საყოფაცხოვრებო ლითონპროდუქციის ქარხანა ერთ ღამეში შეიძლება იარაღის საწარმოდ გადაიქცეს"[36].

ამგვარად, მორგენტაუს გეგმა ზუსტად ისეთი რეპრესიული იყო გერმანიის მიმართ, როგორც სტალინს სურდა. ეს ადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ ამ გეგმის ერთ-ერთი თანაავტორი – ჰარი დექსტერ უაიტი – საბჭოელების ჯაშუში იყო, რამაც სტალინს საშუალება მისცა იქ მიღებული გადაწყვეტილებების ერთგვარი აქტიური მონაწილე ყოფილიყო, თუმცა კვებეკში არ იმყოფებოდა. უაიტი ჯაშუშობაში მოგვიანებით, 1945 წლის ნოემბერში გამოაშკარავებულმა საბჭოთა აგენტმა ელიზაბეტ ბენტლიმ ამხილა, ხოლო ამის დოკუმენტურად დამტკიცება მხოლოდ „ვენონას" სახელით ცნობილი საბჭოთა სადაზვერვო მასალების გაცნობის შემდეგ მოხერხდა 1997 წელს.

უაიტი არ ყოფილა ერთადერთი საბჭოთა ჯაშუში, რომელსაც შეხება ჰქონდა მორგენტაუს გეგმასთან. 1944 წლის 18 ოქტომბერს „ვენონას" კოდის ამომცნობებმა სხვა საბჭოთა ჯაშუშის, ამერიკის სამხედრო მრეწველობის დეპარტამენტის ეკონომისტის ნათან გრეგორი სილვერმასტერის შეტყობინება გაშიფრეს: „რური გერმანიას ჩამოერთმევა და საერთაშორისო მმართველობაში გადავა. მოხდება ქიმიური, მეტალურგიული და ელექტრონული მრეწველობის გერმანიის გარეთ გატანა"[37]. სილვერმასტერი ამერიკაში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი საბჭოთა ჯაშუში იყო და ხელს უწყობდა ამერიკის მთავრობაში ჩანერგილი აგენტების დიდი ჯგუფის კოორდინაციას. მისი აგენტობა ამერიკაში ჯერ კიდევ 1942 წელს იეჭვეს, მაგრამ მაშინ მის უდანაშაულობის თავდებად ჰარი დექსტერ უაიტი დაუდგა, რის შედეგადაც, მისი გავლენის სფეროს შეზღუდვის ნაცვლად იგი დააწინაურეს.

მორგენტაუს გეგმის წინააღმდეგ ჯერ კიდევ კვებეკის კონფერენციის დასრულებამდე ატყდა პროტესტის ქარიშხალი. ამერიკის სახელმწიფო მდივანი კორდელ ჰალი აღშფოთებული იყო იმით, რომ მორგენტაუს უფლება მიეცა შეჭრილიყო პოლიტიკის იმ სფეროში, რომელშიც კომპეტენტური არ იყო, და გამოეცხო გეგმა, რომელიც, მისი ღრმა რწმენით, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ამ ომში გერმანელების გააფთრებულ სამხედრო წინააღმდეგობას გამოიწვევდა. 1944 წლის ნოემბერში, ჯანმრთელობის გაუარესების მოტივით ჰალი თანამდებობიდან გადადგა.

ასევე ანტაგონისტური იყო მაშინდელი პრესაც. „ნიუ იორკ ტაიმსი" და „ვაშინგტონ პოსტი" წერდნენ, რომ ეს გეგმა ფაშისტების წისქვილზე ასხამდა წყალს. მართლაც, ნაცისტების რუპორ იოზეფ გებელსისთვის მორგენტაუს გეგმა ნამდვილი საჩუქარი გამოდგა. მან იმავე შემოდგომით რადიოგადაცემაში განაცხადა: „ბოლო დღეებში ბევრი რამ შევიტყვეთ ჩვენი მტრების ზრახვების შესახებ. ებრაელი მორგენტაუს გეგმა მიზნად ისახავს 80-მილიონიანი გერმანიის მრეწველობის მოშლას და გერმანიის კარტოფილის ყანად გადაქცევას"[38].

რუზველტი შეაცბუნა მორგენტაუს გეგმაზე შეტევის მასშტაბებმა. ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა მან ვერ ამოიცნო საკუთარი ხალხის განწყობა და ნაცისტურ პროპაგანდას ტრიუმფის საშუალება მისცა. სექტემბრის ბოლოს მან უკან დახევა დაიწყო და 29 სექტემბერს კორდელ ჰალს უთხრა: „არავის სურს აიძულოს გერმანია, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა გახდეს... არავის სურს რურსა და საარში გერმანიის სამრეწველო პოტენციალი ამოიძირკვოს“[39]. იმავე დღეს პრეზიდენტმა პრესაში წერილი გამოაქვეყნა, სადაც წერდა, რომ არავითარი შეთანხმება არ არსებობდა გერმანიის ომისშემდგომი მომავლის შესახებ; დაბოლოს, ოქტომბრის დასაწყისში რუზველტმა სამხედრო მინისტრ ჰენრი სტიმსონს უთხრა:, წარმოდგენაც კი არა მაქვს, როგორ მოუვიდა მას [მორგენტაუს] თავში ასეთი აზრები“[40].

მორგენტაუს გეგმა თანდათან კარგავდა პირვანდელ რადიკალურ ხასიათს, მაგრამ მისეული დამსჯელი ფილოსოფია მაინც იგრძნობოდა მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბის უფროსების მიერ მოგვიანებით შემუშავებულ 1067-ე დირექტივაში, რომელიც აცხადებდა: „საოკუპაციო ძალებმა არავითარი ზომები არ უნდა მიიღონ გერმანიის ეკონომიკის რეაბილიტაციისთვის ან მისი შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვის“[41].

ჩერჩილისა და სტალინის ოქტომბრის შეხვედრა მოსკოვში

როგორც უკვე ვნახეთ, 1944 წლის ზაფხულში და შემოდგომის დასაწყისში მოკავშირეთა შორის უთანხმოება სუფევდა არა მარტო პოლონეთის, არამედ მთლიანად ევროპის ომისშემდგომი მოწყობის საკითხებში. ჩერჩილმა ამ უთანხმოების მოსაგვარებლად იგივე ხერხი გამოიყენა, როგორიც 1942 წელს მეორე ფრონტის გარშემო ატეხილი ხმაურის ჩასახშობად – თვითმფრინავში ჩაჯდა და მოსკოვში გაფრინდა.

ჩერჩილი იმ ხანად სტალინის მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილი იყო, რაც ალბათ გასაოცარია, რადგან საკმაო მიზეზები ჰქონდა, რომ სტალინზე ნაწყენი ყოფილიყო – საბჭოელები განაგრძობდნენ პოლონეთის ლეგიტიმური მთავრობის უგულვებელყოფას და, თვით ჩერჩილისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსები ანადგურებენ პოლონეთის საუკეთესო წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი ინტელექტუალურ სფეროში“. ამის მიუხედავად, სტალინთან შეხვედრისას მას თავი ისე ეჭირა, თითქოს ვარშავის აჯანყება და მის გარშემო ატეხილი ხმაური არც კი ყოფილა.

ჩერჩილის პირველი შეხვედრა სტალინთან 9 ოქტომბერს მისთვის უკვე ნაცნობ სტალინის ღარიბულ კაბინეტში გაიმართა ღამის ათ საათზე. პრემიერ-მინისტრმა საბჭოთა ბელადს შესთავაზა საუბარი „პოლონეთის

საჩოთირო საკითხით"[42] დაეწყოთ, ამასთან ხატოვნად შენიშნა, ამჟამად თითოეულ ჩვენგანს ხელში თითო მოჩხუბარი მამალი უჭირავსო (იგულისხმებოდა ემიგრირებული პოლონეთის მთავრობა ბრიტანეთის მხრიდან და ლუბლინელი პოლონელები საბჭოელების მხრიდან). სტალინმა გაიცინა და უპასუხა, მამლების გარეშე ცხოვრება გაძნელდებოდა, ისინი ხომ დილით გვაღვიძებენო.

ჩერჩილმა იგივე კეთილგანწყობით დაამატა, რომ თუ მომავალში რომელიმე სამშვიდობო კონფერენციაზე „ვინმე გენერალი სოსნოვსკი" წინააღმდეგი იქნება, ეს არაფერია, რადგან ბრიტანელები და ამერიკელები ახალ საზღვრებს „სწორად და სამართლიანად" მიიჩნევენო (სოსნოვსკი პოლონური სამხედრო შენაერთების შტაბის უფროსი იყო და სასტიკად ეწინააღმდეგებოდა პოლონეთის მიმართ საბჭოელთა დამპყრობლურ პოლიტიკას. ამ მიზეზით 1944 წლის მაისში დაუნინგ სტრიტზე გამართულ თათბირზე ჩერჩილმა პოლონეთის პრემიერ-მინისტრს ურჩია სოსნოვსკი მთავრობიდან დაეთხოვა და „რაიმე თავშესაქცევ თანამდებობაზე" გაეშვა[43]).

შემდეგ ჩერჩილმა სტალინს ჰკითხა, ღირს კი ლონდონელი პოლონელების მოსკოვში ჩამოყვანაო, და დასძინა, ისინი „თვითმფრინავზე მიბმული" დავტოვე ლონდონშიო; თუკი ისინი მოსკოვში ჩამოვლენ, მათ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის მიღწეული შეთანხმების მხარდაჭერას ვაიძულებთო.

სტალინმა უპასუხა, რომ ლონდონელი პოლონელების მოსკოვში ჩასვლის წინააღმდეგი არ იყო, თუმცა კვლავ გაიმეორა მათდამი რამდენიმე კვირით ადრე წაყენებული მოთხოვნა, კავშირი დაემყარებინათ ლუბლინელ პოლონელებთან, მით უმეტეს, რომ „ლუბლინელებს ახლა უკვე საკუთარი არმია ჰყავთ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ".

სტალინს არ დაუკონკრეტებია, თუ რა სახის „საკუთარი არმია" ჰყავდათ ლუბლინელ პოლონელებს. საქმე კი ის იყო, რომ ზუსტად ჩერჩილისა და საბჭოთა ლიდერის ამ მოლაპარაკების პერიოდში წითელი არმიის მთელ რიგ მებრძოლებს და მათ შორის გიორგი დრაგუნოვს, პირადად სტალინის საკმაოდ უცნაური დირექტივა გააცნეს[44]. დრაგუნოვი აღმოსავლეთ პოლონეთში დისლოცირებული საბჭოთა საჰაერო ძალების მე-6 შენაერთის მფრინავი იყო. მისი შენაერთის ყველა მებრძოლიც ასევე რუსი იყო. დირექტივის მიხედვით კი „მეორე დღიდან პოლონეთის დროშის ქვეშ უნდა გვეომა. ბევრმა კატეგორიული უარი თქვა, მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე პოლონეთის არმიის მებრძოლი ვიყოო, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ". ერთ ღამეში დრაგუნოვის შენაერთი „პოლონური" უნდა გამხდარიყო. ამიტომ თვითმფრინავები სასწრაფოდ პოლონური დროშის ფერებად გადაღებეს და ესკადრონს პოლონური შენაერთის სახელი მიანიჭეს. მაგრამ არსებობდა უფრო დიდი პრობლემა: ამ ახალგამომცხვარი „პოლონური" შენაერთის არც ერთმა მებრძოლმა პოლონურად ერთი სიტყვაც კი არ იცოდა. ამი-

ტომ მათთვის ენის შესასწავლი სასწრაფო კურსები დააარსეს. საბჭოელები აცნობიერებდნენ თავიანთი მებრძოლების პოლონელებად გასაღების თანამდევ საშიშროებას – თუ მათ თვითმფრინავს გერმანელები ჩამოაგდებდნენ და ვინმეს ხელში ცოცხლად ჩაიგდებდნენ, მაშინვე ყველაფერს მიხვდებოდნენ. ამიტომ გაიცა ბრძანება, რომ მფრინავები მხოლოდ მაშინ ჩაიცვამდნენ პოლონურ ფორმას, როცა ენას სათანადოდ აითვისებდნენ. დრაგუნოვის თქმით, „რამდენიმე თვეში ჩვენი პილოტების უმრავლესობას პოლონური ფორმა ეცვა და პოლონური საბუთები ჰქონდა". პირადად დრაგუნოვი ასეთ „გაპოლონელებას" სამარცხვინოდ არ მიიჩნევდა და სწამდა, რომ ამით ახალი პოლონური საჰაერო ძალების შექმნას უწყობდა ხელს. სწორედ ეს ახალგამომცხვარი არმია, უკვე მოქმედ ბერლინგის შენაერთებთან ერთად (რომლებსაც უკვე ჰყავდათ პოლონელებად გადაცმული რუსი ოფიცრები) „თავისუფალი" პოლონეთის პროსაბჭოური მთავრობის „ანგარიშგასაწევ" ძალას წარმოადგენდა.

მოსკოვში კი, როცა სტალინმა ეს პროსაბჭოური არმია ლუბლინელი პოლონელების ძლიერებისა და ლეგიტიმურობის გარანტად დაასახელა, ჩერჩილმა იქვე უპასუხა, რომ „მეორე მხარესაც" ჰყავდა არმია, რომლის ნაწილი ვარშავაში იბრძოდა, და ასევე კარგი შენაერთები ჰყავდათ იტალიაში, სადაც შვიდი-რვა ათასი მებრძოლი დაეღუპათ. ისინი საფრანგეთშიც იბრძოდნენ... მამაცი მებრძოლები არიან. პოლონელების პრობლემა მხოლოდ ის არის, რომ უჭკუო პოლიტიკური ლიდერები ჰყავთ. ორი პოლონელი ერთად უკვე ჩხუბს ნიშნავსო, თქვა ჩერჩილმა. ამაზე სტალინმა სარკასტულად მიუგო, ხოლო თუ პოლონელი მარტოა, მაშინ ის მოწყენილობისგან საკუთარ თავს ეჩხუბებაო.

ამის შემდეგ ორმა ლიდერმა დისკუსია ევროპის დანარჩენი ქვეყნების მომავლის შესახებ გამართა. ამ დისკუსიის დროს წარმოადგინა ჩერჩილმა ის, რასაც მოგვიანებით „უვარგისი გეგმა" უწოდა. ეს მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ერთ-ერთი სამარცხვინო მომენტი იყო. როცა ჩერჩილმა ეს დოკუმენტი წარმოადგინა, თქვა, ამერიკელებმა ეს გეგმა რომ ნახონ, შოკში ჩავარდებიან და სისასტიკეს დამწამებენ; მარშალი სტალინი კი რეალისტი პიროვნებაა[45]. შემდეგ მან ხუმრობით დასძინა, სენტიმენტალური სულაც არ ვარ, მისტერ ედენისგან განსხვავებითო (რომელიც ასევე ესწრებოდა ამ შეხვედრას).

ეს ხელნაწერი დოკუმენტი შეიცავდა პროცენტულ მაჩვენებლებს, რომლებიც ასახავდა რუსეთისა და სხვა ევროპული „ზესახელმწიფოების" სავარაუდო სამომავლო „გავლენას" ევროპის ცალკეულ ქვეყნებზე. გადანაწილება იყო ასეთი:

„რუმინეთი: რუსეთი 90 %, სხვები 10 %.

საბერძნეთი: ბრიტანეთი (აშშ-სთან ერთად) 90 %, რუსეთი 10 %.

იუგოსლავია: 50/50 %.

უნგრეთი: 50/50 %.

ბულგარეთი: რუსეთი 75 %, სხვები 25 %".

სტალინმა ამ დოკუმენტში მხოლოდ ერთი ცვლილება შეიტანა. მან ბულგარეთის პროცენტები გადახაზა და რუსეთს 90 პროცენტი, ხოლო „სხვებს" 10 პროცენტი მიაწერა.

ეს აშკარად სკანდალური სიტუაცია იყო: დემოკრატიული სამყაროს ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ქურდულად ევაჭრებოდა საყოველთაოდ აღიარებულ ტირანს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გავლენის გადანაწილების პროცენტებზე. ეს თითქმის რემინესცენცია იყო რიბენტროპისა და საბჭოელების 1939 წლის აგვისტოს შეხვედრისა, როცა ასეთივე ვაჭრობა მიმდინარეობდა სუსტი ქვეყნების გადანაწილებაზე.

სხვა ხალხთა ბედის ასეთი უსულგულო აღებ-მიცემობის გაგრძელება იყო მეორე დღეს მოლოტოვსა და ედენს შორის გამართული მოლაპარაკება[46]. ამ სამუშაო შეხვედრის დროსაც ორი საგარეო საქმეთა მინისტრი ისე კამათობდა პროცენტებზე, თითქოს საქმე ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვას ეხებოდა. მოლოტოვმა იკითხა, თანახმა იყო თუ არა ედენი ციფრებზე „ბულგარეთი, უნგრეთი და იუგოსლავია, 75/25 პროცენტი თითოეულ მათგანზე". ედენმა უპასუხა, რომ ეს პროცენტები „გუშინდელზე უარესი" იყო. მაშინ მოლოტოვმა შესთავაზა „90/10 ბულგარეთი, 50/50 იუგოსლავია", ხოლო უნგრეთი სამომავლოდ გადავდოთო. მოგვიანებით მანვე დააზუსტა: „თუ უნგრეთზე 75/25 პროცენტზე შევთანხმდებით, მაშინ ბულგარეთიც 75/25%, ხოლო იუგოსლავია 60/40 პროცენტი იყოს"; ამ „ზღვარს" იქით კი წამსვლელი არ ვარო.

ვიცით რა უკვე, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ მეოცე საუკუნის თითქმის მთელი მეორე ნახევარი საბჭოური ტირანიის ქვეშ გაატარა, ჩვენთვის დღეს ადვილია ბრიტანეთის გაკიცხვა მაშინდელი ასეთი უსულგულო გარიგებისათვის. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაშინ ჩერჩილმა და ედენმა არ იცოდნენ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები. გარდა ამისა, იმდროინდელი სიტუაცია მათ აიძულებდა სასწრაფოდ გამოენახათ საერთო ენა სტალინთან.

იმ დროს, როცა ჩერჩილი კრემლში სტალინს ეთათბირებოდა, საბჭოთა არმია ნაცისტური ოკუპაციისგან ათავისუფლებდა და საკუთარი ოკუპაციის ქვეშ აქცევდა რუმინეთს, უნგრეთს, ბულგარეთს. ამ მკაცრი რეალობის ფონზე ჩერჩილი ალბათ ფიქრობდა, რომ ყველაფერი უნდა ეღონა, რათა რაიმე მაინც გადაერჩინა ევროპაში საბჭოთა არმიის ჩექმისგან. იმ კონკრეტულ სიტუაციაში მან საუკეთესო გამოსავლად იქ დასავლეთის გავლენის პროცენტების გაზრდა მიიჩნია.

უნდა ითქვას, რომ იმხანად ამერიკა-ევროპის სამომავლო ურთიერთობებშიც გაურკვევლობა სუფევდა. ეს ომის შემდეგ დადგინდა ევროპაში ამერიკული სამხედრო ძალების მუდმივად ყოფნა ნატოს ეგიდით. მაშინ კი არც რუზველტი და არც ჩერჩილი არ გეგმავდნენ მოვლენების ამგვარ განვითარებას. პირიქით, თეირანში რუზველტმა გარკვევით განაცხადა, მომავალში ამერიკელები ევროპაში მხოლოდ თვითმფრინავებს და გემებს გავაგზავნით, თუკი იქ მშვიდობას რაიმე საფრთხე დაემუქრებაო[47]. ევროპისადმი ამერიკელების ასეთი დუნე დამოკიდებულების პირობებში ომისშემდგომი ევროპის ბედზე პასუხისმგებლობა ძირითადად ბრიტანეთზე გადადიოდა. ბრიტანეთს კი საბჭოთა კავშირის თანხმობის გარეშე ევროპაში არც ერთი გლობალური საკითხის გადაჭრა არ ძალუძდა.

ამ აშკარა პოლიტიკურ აუცილებლობას ემატებოდა სტალინის მიმართ ჩერჩილის ინდივიდუალური სიმპათია კარგა ხნის განმავლობაში. სტალინი მოლაპარაკებებზე უმეტესწილად მშვიდი და ფიქრიანი ჩანდა. მის დროდადრო მოძალებულ გესლიანობას კი ჩერჩილი მის ზურგს უკან მდგომ ბოროტ ადამიანთა ზემოქმედებას მიაწერდა, რაშიც, რა თქმა უნდა, ძალიან ცდებოდა. ამიტომ იყო, რომ მოსკოვის მოლაპარაკების შემდეგ სამხედრო კაბინეტისათვის გაგზავნილ ანგარიშში პრემიერ-მინისტრი წერდა: „აშკარაა, რომ ჩვენს პირად საუბრებს ისეთი გულითადობა და ურთიერთგაგება ახასიათებდა, როგორიც ადრე არასდროს ყოფილა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში. სტალინის მიერ გამოთქმული რამდენიმე მოსაზრება, ჩემი ღრმა რწმენით, გულწრფელია. თუმცა ვეჭვობ, რომ იგი მთლად თავისუფალი იყოს. როგორც იტყვიან, „ამ მხედრის უკან უნაგირზე ყეყეჩი სიფრთხილეა ამხედრებული“[48]. გავიხსენოთ, რომ კრემლში დაგეგმილი ბოროტი ქმედებების ასეთი ზერელე აღქმა ჩერჩილმა ჯერ კიდევ 1942 წლის ზაფხულში სტალინთან პირველი შეხვედრის დროს გამოამჟღავნა. ამგვარი მიდგომა კი ახშობდა ამ ქმედებებზე პრინციპული რეაგირების მუხტს და ბრიტანელებს სტალინის მიმართ ლოიალობისკენ უბიძგებდა. მათი აზრით, შედარებით ლოიალური სტალინი იყო „ნამდვილი“ სტალინი, ხოლო ხისტი და უხეში იგი ხდებოდა მხოლოდ მის ზურგს უკან მყოფი ბნელი ძალების აქტიურობის დროს. რა თქმა უნდა, სინამდვილეში ამ „მხედრის“ უკან არავითარი „ყეყეჩი სიფრთხილე“ არ არსებობდა. ჩერჩილის მიერ ასეთი მცდარი თეორიის გათავისება მიანიშნებს არა მარტო საბჭოთა სახელმწიფოს არსში არასაკმარის წვდომას, არამედ მის მავნე ჩვევაზეც, არარეალური მიზეზებით აეხსნა წამოჭრილი პრობლემები.

ასეთი მავნე ჩვევით აღჭურვილი მიუჯდა ჩერჩილი სტალინთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას „პროცენტებზე“ გასარიგებლად. ჩერჩილის „უვარგისი გეგმის“ ირგვლივ გამართულმა მოლოტოვისა და ედენის ცხარე კამათმა ცხადყო, რომ ეს იყო აღმოსავლეთ ევროპაში გასატარებელი პო-

ლიტიკის შეჯერების პირველი სერიოზული, თუმცა უმნიფარი მცდელობა. თუმცა იმის გამო, რომ საბჭოელებმა დიდი სიხარბე გამოავლინეს და ჯერ კიდევ დაუზუსტებელი იყო თვით ტერმინის „გავლენის სფეროების“ მნიშვნელობა, ამ შეხვედრაზე შეუძლებელი გახდა რაიმე ფორმალური შეთანხმების მიღწევა. მიუხედავად ამისა, ჩერჩილს სწამდა, რომ ამ „უვარგისმა“ დოკუმენტმა სტალინის შემდგომი ქმედებები ევროპაში უფრო ფრთხილი გახადა. კერძოდ, საბჭოელებს არ გაუპროტესტებიათ ბრიტანელების საომარი ოპერაციები საბერძნეთში (ქვეყანაში, რომელიც ჩერჩილის დოკუმენტში ბრიტანელების 90%-იანი გავლენის სფეროს წარმოადგენდა). თუმცა არსებობს მტკიცებულებები, რომ სანამ ჩერჩილი ამ დოკუმენტს აჩვენებდა, სტალინს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საბერძნეთის საქმეებში არ ჩარეულიყო“[9].

ჩერჩილისა და სტალინის 9 ოქტომბრის იმ პირველ შეხვედრაზე გერმანიის მომავლის საკითხიც განიხილეს. ჩერჩილმა განაცხადა, რომ „მკაცრი ზომების“ მომხრე იყო, ხოლო სტალინმა გერმანიის „მძიმე ინდუსტრიის“ განადგურების სურვილი გამოთქვა. შემდეგ მოლოტოვმა, ალბათ ინტრიგისთვის, ჰკითხა ჩერჩილს, თუ რა აზრის იყო იგი მორგენტაუს გეგმაზე. ჩერჩილმა უპასუხა, რომ რუზველტი და მორგენტაუ „უკმაყოფილონი იყვნენ ამ გეგმის ასეთი უარყოფითი შეფასებით“. შემდეგ სტალინმა ყურადღება გაამახვილა „გერმანიის ხანგრძლივი ოკუპაციის“ აუცილებლობაზე, რაზეც ჩერჩილმა შენიშნა, რომ მისი ვარაუდით „ამერიკელები იქ დიდხანს არ დარჩებოდნენ“.

იმის გაცნობიერება, რომ ამერიკელები არ იყვნენ ვალდებულნი აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ევროპის საქმეების მოგვარებაში, ამძაფრებდა ჩერჩილის სურვილს, ამ ვიზიტის განმავლობაში შეძლებისდაგვარად ბოლომდე გადაეჭრა პოლონეთის საკითხი. საჭირო იყო გარიგება და თანაც სასწრაფოდ. ამიტომ მან დაჟინებით მოსთხოვა სტალინს, ემიგრირებული პრემიერ-მინისტრის მიკოლაიჩიკისთვის მოსკოვში ჩასვლის ნება დაერთო. თხოვნამ გაჭრა და 13 ოქტომბერს საღამოს ხუთ საათზე მიკოლაიჩიკი კრემლში სტალინს და ჩერჩილს ეახლა მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად.

ადვილი წარმოსადგენია ამ კაცის ემოციები სტალინთან ხელახლა შეხვედრისას. სულ რაღაც ორი თვის წინ ხომ საბჭოთა ლიდერი დაპირდა აჯანყებულებისადმი დახმარებას და დაპირება არ შეასრულა. მაგრამ როგორი ცუდიც უნდა ყოფილიყო მიკოლაიჩიკის განწყობა ამ შეხვედრის დასაწყისში, უარესი თურმე წინ ელოდა. სტალინმა საუბარი აგვისტოში წამოყენებული საკუთარი მოთხოვნებით დაიწყო[10]. „ფაქტებზე თვალის დახუჭვა შეუძლებელია“, განაცხადა მან, „პოლონური კომიტეტი [ლუბლინელი პოლონელები] დიდი საქმეების გაკეთებას გეგმავს პოლონეთში

და დიდი არმიაც ჰყავს, ამიტომ პოლონეთის მომავლის შესახებ გამართულ ნებისმიერ დისკუსიაში აუცილებელია მათი ჩართვა; ასევე ლონდონის პოლონელებმა უნდა აღიარონ „კერზონის ხაზი“ და დათმონ აღმოსავლეთ პოლონეთი. საბჭოელების ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე „კარგ ურთიერთობაზე“ ლაპარაკი შეუძლებელია“.

მიკოლაიჩიკმა აღნიშნა, რომ „პოლონელი ჯარისკაცები თავიანთი სამშობლოს გარეთ გერმანელებს იმ იმედით ებრძოდნენ, რომ საკუთარ ტერიტორიებს დაიბრუნებდნენ“ (იგულისხმებოდნენ ჯარისკაცები აღმოსავლეთ პოლონეთიდან). სტალინი შეეპასუხა, უკრაინელები და ბელორუსებიც ამ მიწისთვის იბრძვიან, რაც ბატონმა მიკოლაიჩიკმა ალბათ არ იცის, და მათ იმაზე ბევრად მეტი ტანჯვა გადაიტანეს, ვიდრე ყველა პოლონელმა ერთად აღებულმაო.

ჩერჩილი შეეცადა მედიატორის როლი ეტვირთა, და განაცხადა, ისინი ყველა პოლონეთისთვის ეწამენო. შემდეგ მან გრძელი და ემოციური განცხადება გააკეთა, სადაც ირწმუნებოდა, რომ ყველას, მათ შორის მარშალ სტალინსაც, სურდა პოლონეთი ყოფილიყო „თავისუფალი, სუვერენული და დამოუკიდებელი თვითმართვადი სახელმწიფო, მეგობრულად განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ“ (ისევ ყბადაღებული ფორმულირება!). პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრების სათუო საკითხში კი ბრიტანეთის მთავრობა საბჭოელების აზრს იზიარებდა, რადგან „ამას თავის მოვალეობად მიიჩნევს არა რუსეთის სიძლიერის, არამედ ამ საკითხში მისი სიმართლის გამო“. ამ დროს მას მიკოლაიჩიკი შეეკამათა, ვერ გამიგია, რატომ უნდა დავანაწილოთ პოლონეთი ახლა, როცა ჯერ სხვა საკითხები არ გადაგვიჭრიაო.

მალე პოლონეთის პრემიერ-მინისტრისთვის გამანადგურებელმა ჟამმა ჩამოჰკრა. მას შემდეგ, რაც ჩერჩილმა კიდევ ერთხელ მოუწოდა „მოხდენილი ჟესტი“ გაეკეთებინა და აღმოსავლეთ პოლონეთი დაეთმო, საუბარში მოლოტოვი ჩაერია. მას აშკარად მობეზრდა ჩერჩილის ემოციური ტირადები და მკაცრ რეალობაში დაბრუნება მოისურვა. მან ყველას შეახსენა ის, „რაც თეირანში პოლონეთის შესახებ ითქვა“, ანუ რომ პრეზიდენტმა რუზველტმა „ კერზონის ხაზზე თანხმობა განაცხადა“, თუმცა „მაშინ ამის გახმაურება არ ისურვა“. ამგვარად „შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა კავშირის, ბრიტანეთისა და ამერიკის აზრი ამ საკითხში ერთიანია“.

ეს მიკოლაიჩიკისთვის დიპლომატიური სილის გაწვნა იყო. მან იცოდა, რომ ჩერჩილს სურდა პოლონელები კერზონის ხაზზე დაეთანხმებინა, მაგრამ არ იცოდა თუ ეს საკითხი უკვე განხილული და, როგორც ჩანს, შეთანხმებულიც იყო თეირანის კონფერენციაზე პოლონელებისგან მალულად. მას ვერ წარმოედგინა, რომ პოლონეთის დანაწევრებას რუზველტიც დათანხმებოდა.

ჩერჩილმა თქვა: „იმედია არ გამინაწყენდებით კეთილი განზრახვით წარმოთქმული ამ უსიამოვნო, მაგრამ გულწრფელი სიტყვებისათვის“. მიკოლაიჩიკმა უპასუხა: „ამ ომის განმავლობაში უკვე იმდენი უსიამოვნო ამბავი მაქვს მოსმენილი, რომ კიდევ ერთის შეტყობა წონასწორობიდან ვერ გამომიყვანს“.

მეორე დღეს კრემლის აგარაკზე, სადაც ბრიტანელები იყვნენ განთავსებულნი, ჩერჩილმა კიდევ ერთხელ სცადა პოლონელებზე ზემოქმედება, რათა აზრი შეეცვალევინებინა და დაეთანხმებინა საზღვრების გადაწევაზე. ახლა უკვე ჩერჩილი გაღიზიანდა. მას ვერ წარმოედგინა, რომ პოლონელები არ დაემორჩილებოდნენ. „თქვენ ეს უნდა გააკეთოთ“, განაცხადა მან. „თუ ამ მომენტს ხელიდან გაუშვებთ, ყველაფერი წყალში ჩაიყრება“[51].

„საკუთარ სასიკვდილო განაჩენს მოვაწერო ხელი?“ იკითხა მიკოლაიჩიკმა.

„კმარა, მე ხელები დამიბანია“, თქვა ჩერჩილმა. „ვატყობ, რომ დროა ამ საქმეს მოვეშვათ. პოლონელთა შიგა უთანხმოებას ვერ შევწირავთ მშვიდობას ევროპაში. თქვენ სიჯიუტე გიშლით ხელს დაინახოთ, თუ რა ხდება. ჩვენი მეგობრობა შეუძლებელია. მთელმა მსოფლიომ უნდა შეიტყოს თქვენი უპასუხისმგებლობის შესახებ. თქვენ გამოიწვევთ ახალ ომს, სადაც 25 მილიონი ადამიანი დაიღუპება. მაგრამ თქვენ ეს ფეხებზე გკიდიათ“.

„ვიცი, რომ ჩვენი ბედი თეირანში გადაწყდა“, უთხრა მიკოლაიჩიკმა.

„თეირანში თქვენი გადარჩენა მოხდა“, უპასუხა ჩერჩილმა.

„ჯერ ისე არ გამქრალა ჩემში პატრიოტული გრძნობა, რომ ნახევარი პოლონეთი გავცე“.

„პატრიოტული გრძნობის გაქრობაში რას გულისხმობთ?“ ჰკითხა ჩერჩილმა. „ოცდახუთი წლის წინათ ჩვენ კონსტიტუციურად აღვადგინეთ პოლონეთი იმის მიუხედავად, რომ პოლონელთა უმეტესობა პირველ მსოფლიო ომში ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა. ახლა კვლავ ვცდილობთ გაქრობისგან დაგიცვათ, თქვენ კი ხელს გვიშლით. ნამდვილად გიჟი ხართ“.

„ამგვარი გადაწყვეტილება [კერზონის ხაზი] ჩვენთვის მიუღებელია“.

„ამ პირობას თუ არ მიიღებთ, სამუდამოდ ჩამოშორდებით საქმეს. რუსები თქვენს ქვეყანას აღგვიან მიწისაგან პირისა და გაჟლეტენ თქვენს ხალხს. თქვენ გაქრობის პირას იმყოფებით“.

მიკოლაიჩიკი მაინც ვერ ურიგდებოდა აღმოსავლეთ პოლონეთის გასხვისებას. ჩერჩილმა უთხრა, თქვენი სიჯიუტე უკვე მომაბეზრებელი და დამღლელიაო. ამის შემდეგ პოლონელებს რამდენიმე საათი მისცეს მოსაფიქრებლად და შეხვედრაც შეწყდა, თუმცა ყველა გრძნობდა, რომ ისინი გადაწყვეტილებას არ შეცვლიდნენ. ან კი შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო? განა შეეძლოთ ისე „ეთამაშათ ბურთი“, როგორც ეს ჩერჩილს სურდა? მიკოლაიჩიკს სთხოვდნენ ხელი მოეწერა აღმოსავლეთ პოლონე-

თის დათმობაზე მაშინ, როცა ამ მინა-წყლის შეილები ჯერ ისევ იბრძოდნენ და მოკავშირეთა არმიებში მოკავშირეთა ინტერესებისთვის იხოცებოდნენ.

ყურადსაღებია განრისხების მომენტში ჩერჩილის ნასროლი ფრაზა, რომ თუ პოლონელები შეთანხმებას ხელს არ მოაწერდნენ, მაშინ „რუსები თქვენს ქვეყანას აღგვიან მიწისაგან პირისა და გაულეტენ თქვენს ხალხსო". ეს ფრაზა ეწინააღმდეგება თეირანში გაჟღერებულ მისსავე მოსაზრებას, თითქოსდა საბჭოთა ხელისუფლებამ „ზნე იცვალა".

პოლონელები ბრიტანელთა აგარაკზე ნაშუადღევის სამ საათზე დაბრუნდნენ და თავიანთი გადაწყვეტილება გააჟღერეს. მიკოლაიჩიკმა, რა თქმა უნდა, უარი განაცხადა კერზონის ხაზზე. ჩერჩილი წონასწორობიდან გამოვიდა და ლანძღვაზე გადავიდა. მან პოლონეთის მთავრობას „უსულგულოთა ბრბო" უწოდა, რომელსაც ევროპის დაღუპვა სურსო[52]. მან თქვა: „თუ თქვენ რუსეთის დაპყრობა გაქვთ განზრახული, მაშინ ხელს აღარ შეგიშლით. ისეთი შეგრძნება მრჩება, თითქოს მთვარეულთა თავშესაფარში ვიმყოფები. უკვე აღარ მესმის, რატომ უნდა გააგრძელოს ბრიტანეთის მთავრობამ თქვენი აღიარება". შეხვედრის დასასრულ ჩერჩილმა ასეთივე მწარე და უაღრესად უსამართლო საყვედურებით აავსო პოლონელები: „რა ღვაწლი მიგიძღვით მოკავშირეთა წინაშე ამ ომში? რა წილი გიდევთ საერთო საქმეში? წაიყვანეთ სადაც გინდათ თქვენი დივიზიები. თქვენ არ გაგაჩნიათ მოვლენებში გარკვევის უნარი. ჩემს ცხოვრებაში თქვენნაირ ხალხს არ შევხვედრივარ".

მიკოლაიჩიკი შოკირებული იყო მოსკოვში ნანახ-მოსმენილით – არა მარტო ჩერჩილის უხეშობით, არამედ იმის შეტყობითაც, რომ დასავლელმა მოკავშირეებმა თეირანში მის ზურგს უკან მისი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილის გასხვისება გადაწყვიტეს. მიკოლაიჩიკი განსაკუთრებით რუზველტის ღალატმა დააღონა. 1944 წლის ივნისში ვაშინგტონში მისი ვიზიტის დროს ამერიკელებმა უთხრეს, მხოლოდ მარშალი სტალინი და პრემიერ-მინისტრი არიან თანახმა კერზონის ხაზზეო. იმ შეხვედრაზე რუზველტი განსაკუთრებით გულღიად ესაუბრა მიკოლაიჩიკს. „ამ დილით პოლონეთის თექვსმეტი რუკა შევისწავლე"[53], უთხრა მან. „მხოლოდ ბოლო სამასი წლის განმავლობაში პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა ბელორუსიის, გერმანიის და ჩეხოსლოვაკიის ნაწილები... მეორე მხრივ, ამ ქვეყნებსაც სხვასხვა დროს მიტაცებული ჰქონდათ პოლონეთის მიწები. ამის გამო ძნელია პოლონეთის ზუსტი საზღვრების დადგენა". ამ „სირთულეებზე" საუბრის მიუხედავად, რუზველტს მაშინ კრინტიც კი არ დაუძრავს იმის შესახებ, რომ მან რაიმე სახის – ოფიციალურ თუ არაოფიციალურ – შეთანხმებას მიაღწია თეირანში სტალინთან პოლონეთის საზღვრების საკითხში.

მოსკოვის შეხვედრების შემდეგ ამერიკის ელჩს ლონდონში მიკოლაიჩიკის წერილი გადასცეს, სადაც ეწერა: „გამაოგნა 13 ოქტომბრის

შეხვედრაზე ბ-ნი მოლოტოვის განცხადებამ იმის შესახებ, რომ თეირანის კონფერენციაზე სამივე დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელი ღიად შეთანხმდა, რომ ე. წ. კერზონის ხაზი გახდება პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის საზღვარი"[54].

რუზველტი კიდევ ერთხელ გამოიჭირეს ტყუილში. ადვილი მისახვედრია იმის მოტივი, თუ რატომ დაუმალა მან ივნისში მიკოლაიჩიკს სიმართლე. თეირანში ამერიკის პრეზიდენტს ჯერ ისევ აფიქრებდა რამდენიმე მილიონი პოლონური წარმოშობის ამერიკელი ამომრჩევლის უარყოფითი რეაქცია აღმოსავლეთ პოლონეთის გასხვისებაზე, რაც 1944 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მის გამარჯვებას საფრთხეს შეუქმნიდა. ახლა კი, 7 ნოემბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, პრეზიდენტისთვის მიკოლაიჩიკი საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. 22 ნოემბერს იგი თავაზიანად გამოეხმაურა მიკოლაიჩიკის საყვედურს, განაცხადა რა, რომ თუკი პოლონეთის საზღვრების შესახებ ორმხრივი შეთანხმება იქნება მიღწეული, ჩვენი მთავრობა ამის წინააღმდეგ არ წავაო. იმავე თვეში რუზველტმა ევროპის საზღვრების შესახებ საკუთარი აზრი ავერელ ჰარიმანს გაანდო. ჰარიმანი წერს: „იგი ევროპის პრობლემებს იმდენად ჩახლართულად მიიჩნევდა, რომ, გერმანიის საკითხის გარდა, სურდა ამ პრობლემებისგან რაც შეიძლება შორს დაეჭირა თავი"[55]. რაც შეეხება მიკოლაიჩიკს, მას უკვე საკმაოზე მეტი ჰქონდა ნანახი და მოსმენილი. 24 ნოემბერს იგი თანამდებობიდან გადადგა.

პოლონელებთან მოლაპარაკების წარუმატებლობის მიუხედავად, ჩერჩილმა თავისი ვიზიტი მოსკოვში ოპტიმისტური განწყობით დაასრულა. 18 ოქტომბერს კრემლში გამართულ გამოსათხოვარ სადილზე ის და სტალინი ძველი მეგობრებივით მასლაათობდნენ. მაგრამ როგორც კი საუბარი ნაცისტ რუდოლფ ჰესის თემას შეეხო, რომელიც გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე ბრიტანეთში ჩაფრინდა, სტალინმა კვლავ გამოამჟღავნა თავისი ფარული ეჭვიანობა ბრიტანელების მიმართ. მან ირონიულად მიულოცა ბრიტანეთის დაზვერვას, ჰესი ბრიტანეთში ჩასვლაზე რომ დაითანხმა. ჩერჩილი შეეპასუხა, რომ ჰესი უბრალოდ გიჟი იყო და ბრიტანელები აქ არაფერ შუაში იყვნენ. მაგრამ სტალინი ჯიუტად იმეორებდა, რომ არც საბჭოთა მზვერავები ამხელენ თავიანთ ნამოქმედარს მოსახდენის მოხდენამდეო[56].

მიუხედავად იმისა, რომ ჩერჩილისავე აღიარებით სტალინი იმ ქვეყნის ლიდერი იყო, რომელსაც უახლოეს მომავალში პოლონეთის „ლიკვიდაცია" შეეძლო, მას მაინც ღრმად სჯეროდა, რომ საბჭოთა ლიდერთან „საქმის დაჭერა" შეიძლებოდა. მიკოლაიჩიკის გადადგომიდან ორიოდ დღეში მან თავისი მთავრობის სხდომაზე განაცხადა: „ომის დამთავრების შემდგომ მომავალში ახალი ომის არავითარი საშიშროება აღარ იარსებებს და ამი-

ტომ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ნებისმიერი ბლოკის შექმნას, რომელიც შესაძლოა მძიმე სამხედრო ტვირთად დაგვანვეს"[57].

მართალია ჩერჩილის თვალთხედვა ომისშემდგომი მსოფლიოს სტაბილურობის შესახებ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იყო, მას სწამდა, რომ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული წევრი გახდებოდა. ამიტომ მოსკოვიდან იგი ამაღლებული განწყობით დაბრუნდა და თავის მეუღლე კლემენტინას მისწერა: „გულწრფელი საუბრები მქონდა ბებერ დათვთან [სტალინი]. ის თანდათან მომწონს. ისინი ახლა პატივს გვცემენ და დარწმუნებული ვარ ჩვენთან თანამშრომლობა სურთ"[58].

სულ რამდენიმე თვეში ჩერჩილის ამ იმედებს გაქარწყლება ეწერა.

ბუდაპეშტის ბრძოლები

იმ დროს, როცა დიდი სამეული 1945 წლის თებერვალში იალტაში გასამართი, ომისშემდგომ ყველაზე ცნობილი კონფერენციისთვის ემზადებოდა, უგრეთში ამ ომის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ბრძოლები გაჩაღდა. ბუდაპეშტის ბრძოლა გაცილებით ნაკლებადაა გაშუქებული ისტორიაში, ვიდრე სტალინგრადის ან ბერლინის ბრძოლები; არადა, ამ ბრძოლის მასშტაბურობა და სინქრონულობა იმის მაჩვენებელია, თუ რა პოტენციალს ფლობდნენ საბჭოთა შეიარაღებული ძალები ცენტრალურ ევროპაში შეჭრისას.

უნგრეთი არ იყო ნაცისტების მთლად საიმედო მოკავშირე. უნგრეთის ადმირალ ხორტის მთავრობა იმთავითვე ჭოჭმანობდა შეერთებოდა გერმანიის მოკავშირეთა რიგებს. ამის მიზეზი იყო არა მარტო უნგრელების ტრადიციული შიში გერმანელთა სიძლიერის მიმართ, არამედ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობაც, რომელიც აღმოსავლეთიდან მის დაპყრობას ადვილებდა. მაგრამ როდესაც გერმანელებმა 1940 წლის ზაფხულის დასაწყისში საფრანგეთი დაიპყრეს, უნგრელებმა თავიანთ სამხედრო და პოლიტიკურ პრიორიტეტებს გადახედეს. მათი აზრით, ახლა გაუჩნდათ შანსი გამარჯვებული მხარის მოკავშირე გამხდარიყვნენ და შედეგად მეზობელი რუმინეთის საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია მიეტაცებინათ. ეს ასეც მოხდა, როცა 1940 წლის ოქტომბერში უნგრეთი გერმანია-იაპონია-იტალიის ღერძს შეუერთდა და ჯილდოდ რუმინეთის ჩრდილოეთ ტრანსილვანია მიიღო.

მაგრამ ახლა, 1944 წელს უკვე ნათელი გახდა, რომ უნგრელები მოკავშირის არჩევაში შეცდნენ. ამიტომ მას შემდეგ, რაც გერმანელების მხარდამხარ მებრძოლმა უნგრულმა შენაერთებმა აღმოსავლეთის ფრონტზე მწარე მარცხი იწვნიეს, ხორტი შეეცადა, თავისი ქვეყანა ომის-

გან გაერიდებინა. როგორც კი 1944 წლის მარტში ხორტის ამ განზრახვის შესახებ შეიტყო, ჰიტლერმა მაშინვე უბრძანა თავის შეიარაღებულ ძალებს უნგრეთის ოკუპაცია მოეხდინათ. ამ ოკუპაციის შედეგად გერმანელებმა ასეულობით ათასი უნგრელი ებრაელი აუშვიცის ბანაკში გამოამწყვდიეს. უნდა ითქვას, რომ გერმანელებს ამ საქმეში თვით უნგრული ჟანდარმერიის ძაღლივით ერთგული ჯარისკაცებიც ეხმარებოდნენ. ნაცისტებმა ხორტი მთავრობის მეთაურად დატოვეს, მაგრამ 1944 წლის ოქტომბერში იგი ისევ შეეცადა მათთან კავშირის განყვეტას. ბოლოს ხორტი თანამდებობიდან გადააყენეს და მის ადგილზე უნგრეთის ფაშისტური პარტიის ლიდერი ფერენც ჟალასი დაინიშნა.

ოქტომბერშივე სტალინმა ბუდაპეშტზე დაუყოვნებლივი შეტევის დაწყება ბრძანა. უკრაინის მე-2 ფრონტის სარდალ როდიონ მალინოვსკისთან გამართული ცხარე სატელეფონო საუბრისას სტალინმა მოითხოვა, რომ უნგრეთის დედაქალაქი „მომდევნო რამდენიმე დღეში" აეღოთ. როდესაც მალინოვსკი შეეპასუხა, რომ ხუთი დღე მხოლოდ დავალებების განაწილებას დასჭირდებოდა, სტალინმა თქვა: „სიჯიუტეს მოეშვით. თქვენ ნამდვილად არ გესმით ბუდაპეშტზე დაუყოვნებლივი შეტევის პოლიტიკური აუცილებლობა"[59]. სავარაუდოდ „პოლიტიკურ აუცილებლობას" „დიდი სამეულის" კარსმომდგარი შეხვედრა განაპირობებდა, რომელზეც ევროპის უდიდესი ნაწილის ომისშემდგომ ბედზე უნდა ემსჯელათ. მაგრამ გერმანელთა მოულოდნელი გააფთრებული წინააღმდეგობის გამო საბჭოელებმა ბუდაპეშტი „მომდევნო რამდენიმე დღეში" ვერ აიღეს. საბოლოოდ მხოლოდ ქრისტეშობის დღეებში მოახერხეს ქალაქზე გადამწყვეტი შეტევის განხორციელება.

„ბუდაპეშტის გარეუბნებში სასტიკ წინააღმდეგობას ვაწყდებოდით", გვიამბობს ამ ბრძოლების მონაწილე, საბჭოთა ტანკის მეთაური ბორის ლიხაჩოვი[60]. „ძლიერ კონტრშემოტევებსაც აწყობდნენ". მას ახლაც ცხადად ახსოვს ბუდაპეშტის ბრძოლების სიმძაფრე: „როცა არტილერიის ჭურვი ფეთქდება, საშინელი დამწვრობის სუნი დგება, თვალები გეწვის და სუნთქვა გეკვრის, გრძნობ, რომ იხრჩობი... ამ დროს დახურულ ტანკში ყოფნაც კი ვერ გშველის".

მდინარე დუნაი ბუდაპეშტს ორ ნაწილად ყოფს. ერთ მხარეზეა პეშტი, რომლის ბრტყელი ტერასებისა და ფართო ქუჩების გავლით წითელმა არმიამ სწრაფად წაიწია წინ. მდინარის მეორე მხარეს კი არის ბუდა, რომლის მთიანმა რელიეფმა შეაფერხა შეტევითი ოპერაციები, თუმცა ქრისტეშობის ღამისთვის საბჭოელებმა მაინც მოახერხეს უმაღლესი წერტილის დაკავება და ქალაქი ალყაში მოაქციეს. სტალინგრადის მსგავსად ჰიტლერმა აქაც ბოლომდე ბრძოლა ბრძანა. ბუდაპეშტი გადაულახავ გამაგრებულ

ზღუდედ („*Festung*") გამოცხადდა. უნგრეთის დედაქალაქს საერთო ანგარიშით სამოცდაათი ათასი გერმანელი და უნგრელი მეომარი იცავდა.

წითელი არმიის მოახლოებამ ბუდაპეშტის მცხოვრებლებს შიშის ზარი დასცა. ბარნა ანდრანოვსკი[6] იმხანად სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო და ქალაქის დამცველთა რიგებში ჩირიცხა. იგი იხსენებს, რომ ხალხმა უკვე იცოდა, თუ რა ხდებოდა მათ ქვეყანაში რუსების მიერ უკვე დაკავებულ ტერიტორიებზე. უნგრეთის ჩრდილოეთიდან გამოქცეული ლტოლვილები საშინელ ამბებს ყვებოდნენ: „საბჭოელები ყველას ძარცვავდნენ და ყველა ქალს – ახალგაზრდას თუ მოხუცს – აუპატიურებდნენ".

1945 წლის 17 იანვარს გერმანულ-უნგრულმა შენაერთებმა პეშტიდან უკან – ბუდაში დაიხიეს და მათი დამაკავშირებელი ხუთივე ხიდი ააფეთქეს. ბუდას ცენტრალურ ნაწილში, სადაც ესესელები იყვნენ გამაგრებული, გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. საბოლოოდ წითელი არმიის უპირატესობამ თავისი გაიტანა და გერმანელები გატყდნენ. რამდენიმე ათასი გერმანელი და უნგრელი მეომარი დაიხოცა და ამდენივე ტყვედ ჩავარდა. 13 თებერვალს ქალაქი საბჭოელებს ჩაბარდა.

საბჭოთა არმიის მეომრებს, რომლებსაც სტალინისგან ნაბრძანები ჰქონდათ, უნგრეთის დედაქალაქი „რამდენიმე დღეში" აეღოთ, ასზე მეტი დღე დასჭირდათ ამ ბრძანების შესასრულებლად. ამ დაგვიანებისთვის საბჭოელებმა შური ბუდაპეშტის მოსახლეობაზე იძიეს.

ივან პოლზის ოჯახი ამ შურისძიების ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა. ივანი მაშინ ცამეტი წლის იყო და მშობლებთან ერთად ქალაქის გარეუბანში ნათესავის სახლის სარდაფში იმალებოდა. მათ ყურამდეც აღწევდა მითქმა-მოთქმა საბჭოთა ჯარისკაცების მიერ „ქალების შეურაცხყოფის" თაობაზე, მაგრამ ბევრს ეს ამბები არ სჯეროდა.

ორი დღე და ღამე გამუდმებით იბომბებოდა მათი უბანი. „შემდეგ უეცრად თეთრებში ჩაცმული რუსი ჯარისკაცები შემოგვივარდნენ სარდაფში", გვიამბობს ივანი. „ხელში ტყვიამფრქვევები ეჭირათ და გერმანელებს ეძებდნენ". რაკი გერმანელები ვერ ნახეს, რუსები ისევ ქუჩაში გაცვივდნენ. ნახევარი საათში კი უკვე გერმანელი ჯარისკაცები გამოჩნდნენ, რომლებიც რუსებს ეძებდნენ. რაკი მტერი ვერ აღმოაჩინეს, ისინიც ქუჩაში გაცვივდნენ.

შემდეგ კი, 10 თებერვლის ღამეს „სარდაფში უამრავი შეიარაღებული რუსი ჯარისკაცი შემოიჭრა. ასე შეშინებულები რომ არ ვყოფილიყავით, ალბათ სიცილით დავიხოცებოდით, რადგან ყველას ნაძარცვი სხვისი ტანსაცმელი ეცვა. ზოგი მათგანი ქალის ფეხსაცმელებშიც კი იყო გამოწყობილი... მოგვთხოვეს ძვირფასეულობა, რომელიც არ გვქონდა. ბოლოს საათები და ტანსაცმელი წაგვართვეს. სხვა არაფერი ჩაუდენიათ". საბჭოთა მეომრების მომდევნო ჯგუფმა სარდაფში სატელეფონო ხაზი შეიყ-

ვანა და ტელეფონი დადგა. შემდეგ მათ სარდაფის ბინადართ საკვებიც კი მიანოდეს. „ამგვარად შევეწყვეთ მათ და ჩვენთვის ვფიქრობდით,რომ მთელი ეს მითქმა-მოთქმა მათი აგრესიულობის შესახებ ალბათ ნაცისტებმა გამოიგონეს ჩვენს დასაშინებლად“, ამბობს ივანი.

მაგრამ სულ რამდენიმე დღეში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. დაახლოებით ღამის ათ საათზე სარდაფს, რომელსაც უკვე ოცდახუთამდე ადამიანი აფარებდა თავს, ორმა წითელარმიელმა მიაკითხა. როგორც ივანი იხსენებს, ისინი „საკმაოდ უსიამოვნოდ გამოიყურებოდნენ“.

სარდაფში ერთი ახალგაზრდა წყვილი იყო, ქმარმა რუსული იცოდა და ჯარისკაცებს ვიზიტის მიზეზი ჰკითხა. პასუხი რომ გაიგონა, კანკალმა აიტანა. თურმე უპასუხეს, ქალები გვინდაო. „რა თქმა უნდა, შეეშინდა, რადგან მისი ცოლიც იქვე იწვა ლოგინში... მან ჯარისკაცებს უთხრა, აქ მხოლოდ დედები და მოხუცი ქალები არიან და თავი დაგვანებეთო. მაგრამ ჯარისკაცები არ გვშორდებოდნენ. ყველა ქალი საბანში დაიმალა, ჯარისკაცებმა საბნების გადაძრობა დაიწყეს. მე ძალიან შემეშინდა, რადგან დედაჩემიც იქ იყო და ორმოცდარვა წლის ასაკის მიუხედავად მშვენივრად გამოიყურებოდა“.

ჯარისკაცებმა სარდაფის ბოლოში შენობის პატრონის ჩვიდმეტი წლის ქერათმიანი მოსამსახურე გოგონა აღმოაჩინეს და არჩევანი მასზე შეაჩერეს. მათ ხელი ჩაავლეს ამ გოგონას, რომელმაც ტირილი დაიწყო და შველას ითხოვდა.

„ყველას ძარღვებში სისხლი გაგვეყინა“, ამბობს ივანი. „ვგრძნობდით, რომ იმ ქალს საშინელება ემუქრებოდა... შემდეგ კი უცნაური რამ მოხდა. სახლის პატრონმა, რომელიც გადამდგარი ოფიცერი იყო, გოგონას საუბარი გაუბა და სთხოვა, რომ „ეს მსხვერპლი უნგრელი ერისთვის“ გაეღო და იქ მყოფი ქალები ძალადობისაგან გადაერჩინა“.

„იმ მომენტში ეს ბინძურ მოწოდებად აღვიქვი“, ამბობს ივანი, „მაგრამ იმ გოგონამ დედაჩემი და იქ მყოფი სხვა ქალები მართლაც იხსნა საშინელი დამცირებისგან. რუსებმა ატირებული მსხვერპლი კიბეებზე ზემო სართულზე აათრის... დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ ნაცემ-ნაგვემი და გაუპატიურებული გოგონა კიბეებზე ჩამობობღდა და თქვა, რომ გაუპატიურების გარდა გვარიანადაც სცემეს იმის გამო, რომ ტიროდა. გოგონას დანახვაზე სარდაფში მყოფებმაც ტირილი დაიწყეს... უხერხულობისგან თვალს ვეღარ უსწორებდნენ. ახლაც მბურძგლავს ეს რომ მახსენდება, თუმცა უკვე სამოცდათხუთმეტი წლის ვარ“.

ბუდაპეშტში წითელი არმიის შესვლისთანავე ქალებზე ძალადობა და მათი გაუპატიურება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. „უნგრეთის მოსახლეობისთვის უდიდეს განსაცდელს მათი ქალების გაუპატიურება წარმოადგენს“, იუწყებოდა ბუდაპეშტიდან შვედეთის საელჩოს წარმომად-

გენელი. „აუპატიურებენ ათიდან სამოცდაათ წლამდე ასაკის თითქმის ყველა ქალს... ამ უბედურებას ისიც ემატება, რომ ბევრ რუს ჯარისკაცს ვენერიული დაავადება სჭირს და უნგრეთში არავითარი მედიკამენტი არ იშოვება“[62].

თხუთმეტი წლის აგნეს კარლიკმა[63] საკუთარ თავზე გამოსცადა საბჭოთა ჯარისკაცების ძალადობა. ივანის ოჯახის მსგავსად აგნესის ოჯახიც ალყის პერიოდში სარდაფში იმალებოდა. ივანის მსგავსად, აგნესსაც იმ სარდაფში ჩასული პირველი წითელარმიელები „არც ისე უსიამოვნონი“ მოეჩვენენ: „ისინი უბრალოდ ამოწმებდნენ იყო თუ არა მტერი შენობაში, დიდხანს არ გაჩერებულან და ცდილობდნენ კეთილგანწყობილი ყოფილიყვნენ“.

მაგრამ აქაც მალე შეიცვალა ვითარება: „უეცრად შენობაში უხეში ჯარისკაცები შემოცვივდნენ, საათებს და სხვა ნივთებს ართმევდნენ ხალხს და უხეშად ეპყრობოდნენ... მათთან მორიგებას ვცდილობდით, თუმცა ძალიან გვეშინოდა. ბავშვები ტიროდნენ. შემდეგ მათ ქალების გარეთ გათრევა დაიწყეს, ვითომდა კარტოფილის გასათლელად მიჰყავდათ. მე და ჩემი დაც გარეთ გაგვათრის“. აგნესის ბებია მათ გამოესარჩლა და „ჯარისკაცებმა იგი სცემეს“.

ჯარისკაცებმა აგნესი და მისი და კარავში შეათრის. „ისინი ხორხოცებდნენ და მე შიშისგან გავქვავდი. იმ კარავში მე და ჩემი და გაგვაუპატიურეს. არადა, ბავშვები ვიყავით! მე თექვსმეტის გავხდებოდი ნოემბერში და ჩემი და კი თოთხმეტის იყო. მაშინ სხვაგვარად ზრდიდნენ ბავშვებს, ამიტომ ჩვენ ვერც კი ვხვდებოდით რას გვიშვრებოდნენ. ბებიამ არ მიგვატოვა და ისევ სარდაფში ჩაგვიყვანა. იმის შემდეგ დღემდე კოშმარები მაწუხებს. მოგვიანებით, როცა დედას ვუამბე ეს ამბავი, ისტერიკა დამემართა“.

ამ ძალადობამ, რასაკვირველია, სამუდამო დაღი დაასვა აგნესის დამოკიდებულებას მამაკაცებისადმი: „დიდი ხნის განმავლობაში მამაკაცების მიმართ ზიზღს ვგრძნობდი და შემეძლო ყოველგვარი მიზეზის გარეშე ავხირებოდი მათ... ახლაც ერთგვარად აგრესიული ვარ მათ მიმართ“. ამ ძალადობის შედეგების სამკურნალოდ აგნესს ჰოსპიტალური გამოკვლევები და მკურნალობა დასჭირდა. იმდროინდელ ბუდაპეშტში უამრავი ქალი საჭიროებდა ანალოგიურ მკურნალობას.

სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ბარნა ანდრანოვსკიმ[64] საკუთარი თვალით იხილა მსგავსი ძალადობის შედეგები ბუდაპეშტის ერთ-ერთ გარეუბანში. ერთ დღეს მას მოხუცმა ქალმა მიაკითხა და სთხოვა ავადმყოფ ახალგაზრდა ქალს დახმარებოდა. გამოძახების ადგილზე რომ მივიდა, ოთახი გადაქოთებული დახვდა, ხოლო ლოგინში ოცდახუთიოდე წლის ქალი იწვა: „ საბანი რომ გადავხადე, დავინახე, რომ სისხლში ცურავდა“. ბარნას უთხრეს, რომ ის ქალი „ათმა თუ თხუთმეტმა“ ჯარისკაცმა გააუპა-

ტიურა. ბარნამ ვერ მოახერხა სისხლდენის შეჩერება და ქალი ჰოსპიტალში გადაიყვანეს. „ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს ყველაფერი მეოცე საუკუნეში ხდებოდა", ამბობს ბარნა.

რასაკვირველია, მეტ-ნაკლებად ყველა არმიას ახასიათებს მტრის ტერიტორიაზე მოსახლეობისადმი დამამცირებელი მოპყრობა. წითელი არმიის ვეტერანთა დიდი ნაწილი უნგრეთში ჩადენილ სიმხეცეს ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს. მაგალითად, მაშინდელი ტანკისტი ბორის ლიხაჩოვი ამბობს: „შესაძლოა ყოფილიყო ასეთი ცუდი მოპყრობის შემთხვევები, თუმცა პირადად მე არ მინახავს. ეს ლოგიკურია, რადგან გამარჯვებულ მებრძოლებს ყოველთვის სურთ რაღაც გასამრჯელო მიიღონ თავიანთი შეჭირვების სანაცვლოდ. ამასწინათ ალექსანდრე დიდის შესახებ წავიკითხე. როცა იგი სამხრეთის ქვეყნებს იპყრობდა, მის არმიას ქალებით ასაჩუქრებდნენ. ისინი მეომრებს საჭმელს უმზადებდნენ და ყველა მათ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ. ასევე იყო ნაპოლეონის დროსაც".

მაგრამ ევროპაში მიმდინარე მეორე მსოფლიო ომის კონტექსტით ასეთი მაგალითების მოყვანა უმართებულოა, რადგან ამ ბარბაროსობის ჩამდენ საბჭოელებს ამ ომში სამოკავშირეო ვალდებულებით ეკრძალებოდათ ამგვარი ქმედება. დასავლელი მოკავშირეები მსგავს დანაშაულს გამონაკლისის სახითაც კი არ სჩადიოდნენ – მასობრივი გაუპატიურება ხომ საერთოდ გამორიცხული იყო. მართალია უნგრეთში საბჭოთა ჯარისკაცების მიერ გაუპატიურებული ქალების ზუსტი რაოდენობა დაუდგენელია, მაგრამ აშკარაა ამ დანაშაულის მასობრივი ხასიათი – სავარაუდოდ მარტო ბუდაპეშტში დაახლოებით ორმოცდაათი ათასი ქალი გახდა ამ ძალადობის მსხვერპლი. დანაშაულის დიდ მასშტაბს მოწმობს უნგრელი კომუნისტების მიერ 1945 წელს საბჭოელებისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „იანვარში წითელი არმიის შემოსვლის შემდეგ ველურობისა და სიძულვილის ნიშნების შემცველი სექსუალური დანაშაულის ჩადენის უამრავი ფაქტი მოხდა. 12 წლის გოგონებს მამებს ხელიდან სტაცებდნენ და რიგრიგობით 10-15 ჯარისკაცი აუპატიურებდა. მთვრალი ჯარისკაცები ქალებს შვილებისა და ქმრების თვალწინ აუპატიურებდნენ. ამასთან ერთად ისინი ხშირად ვენერიულ დაავადებას ავრცელებდნენ... ვიცით, რომ წითელი არმიის შეგნებული ნაწილი კომუნისტები არიან, მაგრამ როგორც კი მათ დახმარებისთვის მივმართავდით, განრისხებულნი დახვრეტით გვემუქრებოდნენ და გვეუბნებოდნენ: „განა თქვენ იგივეს არ აკეთებდით საბჭოთა კავშირში? თქვენ არა მარტო აუპატიურებდით ჩვენს ცოლებს ჩვენს თვალწინ, არამედ ხოცავდით კიდეც მათ შვილებიანად, წვავდით ჩვენს სოფლებს და მინასთან ასწორებდით ჩვენს ქალაქებს"[65].

ოფიციალურად ამგვარ დანაშაულს თითქმის არავინ ახსენებდა. მაგალითად, გაზეთი „პრავდა" მას არასდროს გამოხმაურებია. მართალია საბ-

ჭოთა ხელისუფლება ოფიციალურად გმობდა საბჭოთა მეომრების მიერ ნებისმიერი ძალადობის გამოვლენას, მაგრამ იმდენად მცირე იყო დასჯის შემთხვევები, რომ ძნელია არ დაიჯერო საბჭოური მმართველობის ფაქტობრივი ტოლერანტობა ამ დანაშაულობათა მიმართ.

„ასეთ რამეს ყურადღებას არავინ აქცევდა“, ამბობს ყოფილი საბჭოთა მეომარი ფიოდორ ხროპატი[66], რომელიც აღიარებს აღმოსავლეთ ევროპაში ქალების გაუპატიურების ფაქტებს. „პირიქით, ჯარისკაცები ამით ამაყობდნენ კიდეც, ასეთი და ასეთი და ამდენი და ამდენი ქალი გავაუპატიურეო... ეს ნორმალურ მოქმედებად ითვლებოდა. მკვლელობას არავინ იძიებდა და ქალის გაუპატიურებას ვინ დაგიდევდა?.. მწყინს, რომ ასეთმა ქცევამ ჩვენს არმიას რეპუტაცია შეულახა. ამგვარი მოქმედების სასტიკი წინააღმდეგი ვარ... გარკვეულწილად კი მე ამ ჯარისკაცების მოტივაციისა მესმის. როცა ოთხი წელი აუტანელ პირობებში იბრძვი, ასეთი ძალადობრივი ქმედება გამორიცხული არაა. ასეთ პირობებში ბუნებრივია ჯარისკაცების სურვილი ქალის დამორჩილების, რადგან ამ ოფიცრებს და ჯარისკაცებს ოთხი წელი ქალთან სექსი არ ჰქონიათ“. რაც შეეხება ასეთი დანაშაულის ჩამდენი მეომრების პროცენტულ რაოდენობას, ფიოდორი ამბობს, ძნელია ზუსტი პროცენტის დადგენა, ასეთი დანაშაული ალბათ მეომართა 30 პროცენტს ექნება ჩადენილიო.

ამ თემაზე სტალინის აზრი ცხადი გახდა 1944 წლის ზამთარში კრემლში იუგოსლავიის კომუნისტების ლიდერ მილოვან ჯილასთან მისი საუბრისას. ჯილასს გაკრიტიკებული ჰქონდა იუგოსლავიაში წითელი არმიის მეომართა დანაშაულებრივი მოქმედება. უნგრელი კომუნისტების მსგავსად, ჯილასმაც საჩივრით მიმართა წითელი არმიის სარდლობას მათი ჯარისკაცების მიერ ჩადენილი გაუპატიურების ფაქტების გამო. იუგოსლავიის დელეგაციის პატივსაცემად კრემლში გამართულ სადილზე სტალინმა ეს საჩივარი გაიხსენა. მან ილაპარაკა იმ საშინელ პირობებზე, რომლებშიც წითელი არმია გერმანელებს ებრძოდა ჯერ საბჭოთა კავშირში და შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში. შემდეგ მან თქვა: „და ასეთ არმიას შეურაცხყოფას აყენებს არა ვიღაც სხვა, არამედ ჯილასი! ჯილასი, რომლისგანაც ამას ყველაზე ნაკლებად ველოდი; კაცი, რომელსაც ასე კარგად შევეთვისე! და ეს ის არმიაა, რომელმაც თქვენთვის საკუთარი სისხლის გაღება არ დაიშურა!“ ბოლოს მან დასძინა: „ნუთუ ჯილასს არ ესმის, რომ ჯარისკაცი, რომელმაც ათასობით კილომეტრი სისხლში, ცეცხლში და სიკვდილთან ჭიდილში გაიარა, ქალის სითბოს და მოფერებას საჭიროებს?“[67] ჯილასის თქმით, იმ საღამოს კულმინაციური მომენტი იყო, როდესაც სტალინმა მის მეუღლეს აკოცა და წამოიძახა, ვიცი ახლა გაუპატიურების მცდელობაში დამადანაშაულებენო.

იყო სხვა შემთხვევაც, როცა სტალინს მოახენეს, რომ წითელი არმიის მეომრები სექსუალურ ძალადობას ახდენდნენ გერმანელ ქალებზე. აქაც მისი პასუხი ნათელი იყო: „ზედმეტად ვმოძღვრავთ ჩვენს ჯარისკაცებს; დაე მათაც ჰქონდეთ რაიმე ინიციატივის საშუალება“[68].

თუ სტალინი მხოლოდ ამართლებდა და ბუნებრივად მიიჩნევდა ძალადობრივ გაუპატიურებას, შინსახკომის შეფი ბერია თავად იყო ქალებზე მოძალადე. 1953 წელს, სტალინის სიკვდილის შემდეგ იგი „ღალატისთვის“ გაასამართლეს და ამ პროცესზე ერთ-ერთმა მისმა მცველმა ჩვენებაში აღიარა, რომ მას და მის კოლეგებს მოსკოვის ქუჩებში ბერიასთვის გასაუპატიურებელი ქალების შერჩევა და შინ მიყვანა ევალებოდათ. მავანთა მტკიცების მიუხედავად, თითქოსდა ასეთი ჩვენებები ბერიას დისკრედიტაციისთვის იყო შეთითხნილი, არსებობს სხვა მტკიცებულებებიც, მათ შორის ერთ-ერთი ამერიკელი დიპლომატის, რომელიც „გვიან ღამით ბერიას სახლში ლიმუზინებით გოგონების მიყვანის“[69] ფაქტს ახსენებდა. ბოლოს და ბოლოს, არსებობს ბერიას სახლში ამგვარად მიყვანილი, ძალადობის ერთ-ერთი მსხვერპლის, რუსი მსახიობის ტატიანა ოკუნევსკაიას[70] პირდაპირი ჩვენება, რომელიც ნათელს ჰფენს შინსახკომის შეფის აპრობირებულ, ქალების გაუპატიურების „მეთოდს“: „მან გაიხადა და თავის მდიდრულ ლოგინზე წამოგორდა, თან თვალებით მჭამდა. საზიზღარ უფორმო გომბეშოს ჰგავდა. მითხრა, მოდი ერთად ვივახშმოთ; აქ ახლომახლო არავინაა, ამიტომ ყვირილს აზრი არა აქვს, ახლა ჩემს ხელში ხარ, დაფიქრდი ამაზე და შესაბამისად მოიქეციო. გინდა რამე შეჭამო ან რამე მითხრაო. ხმას ვერ ვიღებდი და არ ვიცოდი რა მექნა. ახლაც კი, უკვე ოთხმოცი წლის ასაკში, არ ვიცი რა უნდა მექნა მაშინ. ჩემთვის მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი: ყველაფერს შემიძლია გავუძლო – გადამინვან სახლი, გამძარცვონ, დამაპატიმრონ, მაგრამ ჯერ კიდევ შრომა-გასწორების ბანაკში ყოფნისას ვიგრძენი, რომ კვლავ გაუპატიურების შემთხვევაში თავს მოვიკლავდი“.

ხრუშჩოვი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ ბერიას დაპატიმრებიდან მალევე მისმა ყოფილმა მოადგილემ მალენკოვმა თავისი პირადი მცველი ნარუდგინა და სთხოვა მოესმინა მისთვის. მცველმა თქვა: „გავიგე, რომ ბერია დაპატიმრებულია. მინდა გაცნობოთ, რომ მან ჩემი მეშვიდეკლასელი გერი გოგონა გააუპატიურა. ეს მოხდა შარშან, როდესაც ჩემი სიდედრი საავადმყოფოში გარდაიცვალა და ჩემი ცოლი იქ იმყოფებოდა. გოგონა სახლში მარტო დარჩა და საღამოს პურის საყიდლად გავიდა. იქვე ახლოს ბერია ცხოვრობდა, რომელიც შემთხვევით გადაეყარა მას. გოგონამ შეამჩნია, თუ როგორი დაჟინებით უყურებდა მას ხნიერი მამაკაცი და შეეშინდა. შემდეგ ვიღაც კაცებმა იგი ბერიას ბინაში აიყვანეს. ბერიამ გოგონა ვახშამზე მიიპატიჟა, რაღაც დაალევინა, დააძინა და გააუპატიურა“.

ხრუშჩოვმა იმ კაცს ურჩია ეს ამბავი პროკურორისთვის მოეყოლა. იგი ამბობს, რომ ბერიას გასამართლების პერიოდში ასზე მეტი მსგავსი ისტორია შეგროვდა: „ყველა ამ შემთხვევაში ერთი და იმავე მეთოდს იყენებდა – მსხვერპლს ვახშმით უმასპინძლდებოდა და მალულად სასმელში დასაძინებელ ფხვნილს უყრიდა“[71].

ამ ყველაფრიდან ერთი უეჭველი დასკვნა იკვეთება: თუ აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა ჯარისკაცების ჩადენილი ძალადობრივი გაუპატიურების შესახებ შინსახკომში შესული რაიმე საჩივარი მოსკოვში ჩააღწევდა, ეს საჩივარი უთუოდ ყველაზე დახელოვნებული გამუპატიურებლის სამუშაო მაგიდაზე მოხვდებოდა.

იალტის კონფერენცია

იალტის დიდი სამეულის კონფერენციის მოსამზადებელ პერიოდში სტალინი ცდილობდა რაც შეიძლებოდა მეტი მხარდამჭერი მოეპოვებინა თავისი მარიონეტი პოლონეთის მთავრობისთვის. ეს მცდელობა 1944 წლის დეკემბერში მოსკოვში გენერალ დე გოლის ვიზიტის დროსაც განხორციელდა.

ახლად გათავისუფლებული საფრანგეთის დროებითი მთავრობის პრეზიდენტ დე გოლს მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედულება ჰქონდა სტალინზე. მისი აზრით, საბჭოთა ლიდერი იყო „საკუთარ სიყალბეში შეფუთული დიქტატორი, რომელიც შენიღბულ ეჭვიანობაზე გადაკრული კეთილი კაცის ნიღბით მოიპოვებს კეთილგანწყობას. მაგრამ მისი აკვიატების ძალა იმდენად უხეშია, რომ იგი ზოგჯერ მის ავთვისებიან მომხიბვლელობაშიც კი იჩენს თავს“[72]. დე გოლთან საუბრებისას სტალინის „აკვიატება“ იყო პოლონეთის მოსკოვის ყურმოჭრილ მონად გადაქცევა. მან გვარიანი ზემოქმედება მოახდინა დე გოლზე, რათა მას ლუბლინელი პოლონელები პოლონეთის ლეგიტიმური მთავრობად ეღიარებინა. მართალია დე გოლი ევროპაში მოვლენებზე ზემოქმედების რეალურ ძალას არ ფლობდა, მაგრამ სტალინისთვის მაინც დიდი უპირატესობა იქნებოდა იალტის კონფერენციის წინ საფრანგეთის მიერ მისი მარიონეტების აღიარება. მაგრამ დე გოლი, თავისი პოზიციის სისუსტის მიუხედავად, არ დაემორჩილა სტალინის ნება-სურვილს. „გადავწყვიტე საფრანგეთი არ გამერია პოლონელი ერის დამონების მცდელობაში“, წერდა დე გოლი თავისებური პომპეზური სტილით, „არა იმიტომ, რომ რაიმე ილუზია მაქვს, თითქოს ეს უარყოფა რაიმე პრაქტიკულ შედეგს გამოიღებს. ჩვენ მართლაც არ გაგვაჩნდა არავითარი ბერკეტები, რომ საბჭოელებისთვის ხელი აგვეღებინებინა მათი გეგმების ხორცშესხმაზე. წინასწარ იმასაც ვგრძნობდი, რომ

დიდი ბრიტანეთი და ამერიკა მათ თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემდნენ. და მაინც, ამ საკითხში დათმობა საფრანგეთს მომავალში შეიძლებოდა ცუდად შემობრუნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას იმხანად დიდი წონა არ ჰქონდა. მომავალში ყველაფერი მოსალოდნელია, მათ შორის ისიც, რომ პატიოსნებასა და ღირსებასთან შეხამებული ქმედება საბოლოოდ ღირებულ პოლიტიკურ კაპიტალდაბანდებად იქცევა"[73].

იმ ფონზე, რომ სულ რაღაც რამდენიმე კვირის შემდეგ იალტაში ჩერჩილს და რუზველტს უაღრესად დადებითი შეხედულება ჩამოუყალიბდათ სტალინზე, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დე გოლთან შეხვედრების დროს საბჭოთა ლიდერს არც კი უცდია დაემალა თავისი აგრესიული ბუნება. კრემლში გამართულ ბანკეტზე დე გოლისა და ამერიკის ელჩის ჰარიმანის თანდასწრებით სტალინმა საჰაერო ძალების მარშალ ნოვიკოვის სადღეგრძელო განსაკუთრებული ღვარძლით შეაზავა[74]: „ამ კაცმა შესანიშნავი საჰაერო ძალები ჩამოაყალიბა, მაგრამ თუ იგი თავის მოვალეობას კარგად ვერ გაუძღვება, ჩვენ მას დავხვრეტთ". შემდეგ მან ყურადღება გენერალ ხრულიოვზე შეაჩერა: „აი ჩვენი მომარაგების უფროსიც! მას ხალხით და მასალებით ფრონტის მომარაგება ევალება. აბა ერთი, თუ ბიჭია თავის საქმეს რამე დააკლოს! მაშინვე ჩამოვახრჩობთ. ასეთი წესია ჩვენს ქვეყანაში!"

სტალინის ხასიათში ჩაწვდომის კიდევ ერთი შანსი დე გოლს მაშინ მიეცა, როდესაც მან ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან სამეგობრო ხელშეკრულებას ისე, რომ ლუბლინელი პოლონელების მარიონეტული მთავრობა არ უღიარებია. „ყოჩაღ, თქვენ მაგარი მოთამაშე ხართ!" უთხრა მას სტალინმა. „მომწონს საქმის დაჭერა ისეთ კაცთან, რომელმაც იცის რა სურს, თუნდაც ის ჩემს აზრს არ იზიარებდეს!"[75]. შემდეგ დასძინა: „საბოლო გამარჯვება ყოველთვის სიკვდილს რჩება". მერე კი ყურადღება თავის თარჯიმანზე შეაჩერა: „შენ საკმარისზე მეტი იცი, ალბათ, დროა გაგაციმბირო".

დე გოლთან ასეთი შავი იუმორით გაჯერებული შეხვედრების შემდეგ, ომში მოახლოებული გამარჯვების გამო ამაღლებული განწყობით ჩაჯდა სტალინი 1945 წლის თებერვალში მოსკოვი-იალტის მატარებელში. მას ის-ის იყო შეატყობინეს, რომ ბელორუსიის ფრონტმა მარშალ ჟუკოვის სარდლობით გერმანიაში შეაღწია და ბერლინიდან 90 კილომეტრის დაშორებით მდინარე ოდერის აღმოსავლეთ სანაპიროზე გამაგრდა. მან ასევე იცოდა, რომ დასავლელმა მოკავშირეებმა არდენში ბულგეს ბრძოლებში გერმანელები უკუაგდეს, შორეულ აღმოსავლეთში გენერალი მაკარტური ფილიპინებზე მანილას ათავისუფლებდა, ბრიტანელებმა ბირმაში იაპონელები მდინარე ირივადის გაღმა უკუაგდეს, ხოლო ამერიკელები უკვე იაპონიის კუნძულებს ბომბავდნენ. გამარჯვება უდავო იყო, თუმცა იაპონიასთან მიმართებაში ჯერჯერობით გაურკვეველი რჩებოდა რამდენად მალე და რა მსხვერპლის ფასად იქნებოდა მიღწეული.

მრავალი ადამიანის ცნობიერებაში იალტის კონფერენცია იმის გააზრებასთან ასოცირდება, თუ რა ბინძური გარიგებები შედგა ომის მიწურულს – გარიგებები, რომლებმაც ჩირქი მოსცხო ფაშიზმთან ბრძოლის კეთილშობილურ საქმეს. სინამდვილეში მთლად ასეც არ ყოფილა. თეირანის და არა იალტის კონფერენცია იყო ის თავყრილობა, სადაც პირველად განიხილეს და ფაქტობრივად გადაწყვიტეს ომის დასრულებისა და ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის საკითხები. ამ თვალსაზრისით იალტაში ცოტა რამ თუ ითქვა ახალი, და მაინც, იალტა მნიშვნელოვანია თუნდაც იმით, რომ იქ თვალსაჩინოდ გამოიკვეთა, თუ რა მნიშვნელოვან დათმობებზე მიდიოდნენ ჩერჩილი და რუზველტი სტალინის მიმართ.

3 თებერვალს ჩერჩილი და რუზველტი მალტიდან ჩაფრინდნენ საკიში, რომელიც იალტის სანაპიროს ჩრდილოეთით ქედსმიღმა დაბლობზე მდებარეობს. შემდეგ თავიანთ შვიდასკაციან დელეგაციასთან ერთად იალტისკენ ავტომობილებით გაემგზავრნენ. ჩერჩილს, რომელიც თავიდან იმედოვნებდა, რომ ეს კონფერენცია ბრიტანეთის სამეფოში – შოტლანდიაში გაიმართებოდა, ყირიმი და მისი მოუწესრიგებელი გზები არ მოეწონა. მან მოგვიანებით ამ ადგილს „ჰადესის რივიერა“ უწოდა და აღნიშნა, ათი წელი რომ გვეძებნა, მსოფლიოში უარეს ადგილს ვერ ვიპოვიდითო[76]. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ისე ამჯერადაც, კონფერენციის ადგილის შერჩევაში სტალინმა თავისი გაიტანა.

ალბათ ბედის ირონია იყო, რომ დასავლელ მოკავშირეებს მილიონობით ადამიანის ბედზე მაინცდამაინც ყირიმში მოუწიათ მსჯელობა, იმ ყირიმში, საიდანაც სტალინმა თათარი ერი გაასახლა და ამით მთელ მსოფლიოს აჩვენა, თუ როგორ უსწორდებოდა განსხვავებულ აზრს.

ამ კონფერენციაზე თვალში საცემი იყო პრეზიდენტ რუზველტის მკვეთრად გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა. ჩერჩილის ექიმი ლორდი მორანი თავის დღიურში წერდა: „ყველა ამჩნევს პრეზიდენტის ფიზიკურ დაჩიავებას... მისი შემხედვარე ვეჭვობ, რომ ამ კონფერენციაზე თავისი მოვალეობის აღსრულების ძალა შესწევდეს“[77].

მოსკოვში ბრიტანეთის სამხედრო მისიის თანამშრომელი ჰიუ ლუნგპი საკიში თვითმფრინავიდან ჩამომავალი პრეზიდენტის დანახვისას გაოცებული დარჩა მისი ავადმყოფური იერით: „ჩერჩილი თავისი თვითმფრინავიდან ჩამოსვლისთანავე პრეზიდენტის თვითმფრინავისკენ გაეშურა. რუზველტი ისე იყო დასუსტებული, რომ თვითმფრინავიდან ხელში აყვანილი ჩამოიყვანეს. ჩერჩილი მას დიდი მზრუნველობით ეპყრობოდა. რაკი პრეზიდენტი მალტაში უკვე ჰყავდა ნანახი, ჩვენსავით გაკვირვებული არ იყო. გაოცებული შევყურებდი რუზველტის გაძვალტყავებულ ფიგურას მხრებზე გადაწეული და კისერზე ძაფით მიბმული კაპიუშონით და შუბლზე ჩამოფხატული ფეტრის შლიაპით. გამხდარ სახეზე ყვითელი ფერი ედო,

პირდაღებული გაუნძრევლად იჯდა და წინ იყურებოდა. შოკისმომგვრელი სანახავი იყო“.

რუზველტი რომ ილტაში მომაკვდავი ჩავიდა, ეს ფაქტია. მაგრამ მოახდინა თუ არა პრეზიდენტის ავადმყოფობამ გავლენა მის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ეს ძნელი დასადგენია, თუმცა ზოგიერთის აზრით არსებობს ამის დამამტკიცებელი არგუმენტები. უეჭველია ერთი რამ: რუზველტის ძირითადი ღირებულებები და პრინციპები იალტაშიც ურყევი იყო და იგი განუხრელად იცავდა თავის პოლიტიკურ კურსს, რომელიც თეირანში თუ სხვა შეხვედრებზე წარმოაჩინა. მის მთავარ მიზნებად რჩებოდა საბჭოთა კავშირის იაპონიასთან ომში ჩართვა და საბჭოელების დათანხმება გაეროს ჩამოყალიბებაზე. ამასთან მას, ჯანმრთელსაც და ავადმყოფსაც, ნაკლებად აინტერესებდა აღმოსავლეთ ევროპის საზღვრების ჩახლართული საქმეები.

იალტაში თვალში საცემი იყო არა მარტო რუზველტის დაუძლურება, არამედ სტალინის ენერგიულობა და ამაღლებული გუნება-განწყობაც. ლუნგჰის გადმოცემით, „სტალინი ენერგიით იყო აღსავსე... იგი ყველას უღიმოდა და ყველას მიმართ კეთილგანწყობას ავლენდა“. ჯერ კიდევ 1943 წელს წითელი არმიის პირველი გამარჯვების შემდეგ დაიწყო სტალინმა სამხედრო უნიფორმის ტარება და იალტაშიც იგი ამ ფორმით გამოცხადდა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდერ კადოგანი თავის დღიურში წერდა: „ვფიქრობ, ძია ჯო ყველაზე შთამბეჭდავია ამ სამეულში. იგი ძალიან მშვიდია და დინჯი... მას იუმორის კარგი გრძნობა და საკმაოდ ფიცხელი ხასიათი აქვს“[78]. დასავლელი ლიდერები კი სტალინს სამეგობროდ და საურთიერთოდ სასურველ პიროვნებად მიიჩნევდნენ. ჩერჩილი იალტამდე ერთი წლით ადრეც აღნიშნავდა, რომ „სტალინთან სიამოვნებით ვისადილებდი კვირაში ერთხელ მაინც. ჩვენ ერთი ოჯახის წევრებივით შევეთვისეთ ერთმანეთს“[79].

ჩერჩილს და რუზველტს ძალიან სურდათ დაერწმუნებინათ საკუთარი თავი, რომ სტალინი კაცური კაცი იყო. ისინი ებღაუჭებოდნენ იმედს, რომ სტალინის მიერ 1944 წლის 6 ნოემბერს გაკეთებული განცხადება, „დასავლეთთან მეგობრობა ჩვენს ხანგრძლივ სასიცოცხლო ინტერესებშიაო“[80], ასახავდა მის სურვილს, სამომავლოდ დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონოდა. ჩერჩილს ამის საფუძველს ის ფაქტიც აძლევდა, რომ საბჭოელები არ ჩაერევნენ საბერძნეთში ბრიტანელების მოქმედებაში, რითაც თითქოსდა პატივი სცეს 1944 წლის ოქტომბერში მიღწეულ ე. წ. „პროცენტულობის“ შეთანხმებას. ასე იყო თუ ისე, მსოფლიოში სამომავლო მშვიდობა ჯერ ისევ სტალინთან ნაყოფიერი ურთიერთობის შენარჩუნებაზე იყო დამოკიდებული. ეს კი ორივე დასავლელ ლიდერს სტალინთან „საქმის მოგვარების“ სურვილს უძლიერებდა.

იალტაში რუსეთის სამეფო ოჯახის ყოფილ აგარაკზე – ლივადიის მდიდრულ სასახლეში გამართულ სამი ლიდერის პირველ შეხვედრაზე რუზველტმა განაცხადა: „ჩვენ ახლა ადრინდელთან შედარებით ბევრად უფრო კარგად ვუგებთ ერთმანეთს და თვიდან თვემდე იზრდება ეს ურთიერთგაგება“[8]. მან იმედი გამოთქვა, რომ კონფერენციაზე „გულწრფელი და ღია“ საუბრები გაიმართებოდა.

სტალინთან თანამშრომლობის საჯილდაო ქვას რასაკვირველია პოლონეთი წარმოადგენდა და ყველაზე მეტი დროც ამ ქვეყანას დაეთმო. პოლონეთის კანონიერი მთავრობის პროტესტის მიუხედავად, ორივემ – რუზველტმაც და ჩერჩილმაც აღმოსავლეთ პოლონეთი საბოლოოდ გადაულოცეს სტალინს. ამ ორი ლიდერისთვის მთავარი ის იყო, რომ დანარჩენი პოლონეთი – თუნდაც ახალ საზღვრებში – „დამოუკიდებელი და თავისუფალი“ ყოფილიყო. „დიდ ბრიტანეთს“, განაცხადა ჩერჩილმა, „არავითარი მატერიალური ინტერესი არ გააჩნია პოლონეთთან მიმართებაში. ეს ჩვენთვის მხოლოდ ღირსების საკითხია, რადგან პოლონეთზე ჰიტლერის ვერაგული თავდასხმის გამო ჩავებით ამ ომში. მე ვერასდროს დავეთანხმები რაიმე გადაწყვეტილებას, რომელიც პოლონეთის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას შელახავს“. აქ კიდევ ერთხელ გაოცდება კაცი დასავლელი ლადერების უნარით, უახლესი ისტორიიდან მხოლოდ მათთვის ხელსაყრელი ფაქტები ამოეკრიფათ. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ პოლონეთზე „ჰიტლერის ვერაგული თავდასხმიდან“ სულ რამდენიმე დღეში მას საბჭოთა კავშირიც ასევე „ვერაგულად დაესხა თავს“. სწორედ ამ თავდასხმით მიღებულ უკანონო სარგებელს უკანონებდნენ ახლა საბჭოთა კავშირს ჩერჩილი და რუზველტი.

სტალინმა შენიშნა: „პრემიერ-მინისტრმა ბრძანა, რომ დიდი ბრიტანეთისთვის პოლონეთის საკითხი ღირსების საკითხია, რუსეთისთვის კი იგი არა მარტო ღირსების, არამედ უსაფრთხოების საკითხიცაა“, ვინაიდან ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში სწორედ პოლონეთის გავლით დაესხნენ ორჯერ თავს გერმანელები საბჭოთა კავშირსო. იგი დაეთანხმა აზრს, რომ პოლონეთი „თავისუფალი, დამოუკიდებელი და ძლიერი“ ყოფილიყო. შემდეგ მან თქვა, რომ იმჟამად პოლონეთის დედაქალაქში მყოფ „პოლონეთის მთავრობას“ ანუ ლუბლინელ პოლონელებს „ისეთივე დიდი დემოკრატიული ბაზა ჰქონდათ პოლონეთში, როგორიც დე გოლს საფრანგეთში“. მან კვლავ გაიმეორა ჩერჩილისთვის გასულ ოქტომბერს ნათქვამი სიტყვები, რომ „ამ ქვეყანაში წესრიგის დამყარება“ იყო საჭირო და პოლონეთის დევნილი მთავრობის აგენტები ეგრეთ წოდებულ იატაკქვეშა მოძრაობაში არიან ჩაბმული, რაც კარგს არაფერს მოიტანსო.

ამრიგად, სტალინი კვლავ იმ აზრზე იყო, რომ სახალხო არმიის ელემენტები (თუ ყველა მათგანი არა) „ბანდიტები“ იყვნენ, ხოლო ლუბლინელი

პოლონელები პოლონეთის ერთადერ ლეგიტიმურ (თუნდაც დროებით) მთავრობას წარმოადგენდნენ. თეირანისგან განსხვავებით, სადაც მშვიდად ისმენდა სტალინის ბრალდებებს პოლონური სახალხო მოძრაობისადმი, ჩერჩილმა ამჯერად მოკრძალებული პროტესტი გამოხატა: „უნდა აღვნიშნო, რომ ბრიტანეთის და საბჭოეთის მთავრობებს პოლონეთში განსხვავებული წყაროები აქვთ და განსხვავებულ ფაქტებს აგროვებენ. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ არა მგონია ლუბლინის მთავრობა პოლონელი ხალხის თუნდაც ერთი მესამედის მხარდაჭერას ეყრდნობოდეს. ასევე ვგრძნობ, რომ იატაკქვეშა მოძრაობას დიდი უთანხმოება მოუვა ლუბლინის მთავრობასთან. აშკარაა სისხლისღვრის, დაპატიმრების, დეპორტაციისა და ქვეყნის უსაფრთხოების მოშლის საფრთხე. ვინც წითელ არმიას ებრძვის, ყველა დასასჯელია, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით, რომ ლუბლინის მთავრობას რაიმე უფლება ჰქონდეს, პოლონელ ერს წარმოადგენდეს“.

ჩერჩილს და რუზველტს მთავარ გამოწვევად იმის მიღწევა მიაჩნდათ, რომ განახლებული პოლონეთის მთავრობა მაქსიმალურად წარმომადგენლობითი ყოფილიყო. ამიტომ იმდღევანდელი სხდომის დამთავრების შემდეგ რუზველტმა სტალინს წერილი მისწერა, სადაც შეშფოთებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ „ხალხი ამჩევს ჩვენს შორის უთანხმოების არსებობას ომის ამ გადამწყვეტ ეტაპზე[82]“. იგი ცალსახად აღნიშნავდა: „ჩვენ არ შეგვიძლია ლუბლინის მთავრობის აღიარება“. ამიტომ იგი სტალინს სთავაზობდა სასწრაფოდ მოეწვიათ იალტაში როგორც ლუბლინელ, ისე ლონდონის პოლონელთა წარმომადგენლები, რათა დიდი სამეული მათ გაერთიანებული დროებითი მთავრობის ჩამოყალიბებაში დახმარებოდა. „უთქმელადაც ცხადია“, წერდა რუზველტი წერილის ბოლოს, „რომ ჩვენ მიერ ამ კონფერენციაზე პოლონელებთან ერთად ფორმირებული ნებისმიერი მთავრობა უფლებამოსილი იქნება კენჭი იყაროს ახლო მომავალში პოლონეთში ჩატარებულ თავისუფალ არჩევნებში. მჯერა, რომ ეს სავსებით ემთხვევა თქვენს სურვილს, იხილოთ ომის ნანგრევებიდან აღმდგარი, თავისუფალი და დემოკრატიული პოლონეთი“.

ამ წერილმა სტალინი ერთგვარად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. მის ინტერესებში სულაც არ შედიოდა სხვა ქვეყნების ლიდერთა მონაწილეობით დაკომპლექტებული მთავრობა პოლონეთში. ასეთი მთავრობის დაკომპლექტებისას მას სამიდან მხოლოდ ერთი ხმა ექნებოდა, ხოლო თუ ეს საკითხი კონფერენციის ფარგლებიდან გავიდოდა, იგი მოვლენების განვითარების სრულ ბატონ-პატრონად დარჩებოდა. ის, თუ როგორ იპოვა სტალინმა გამოსავალი ამ პოტენციურად არაკომფორტული სიტუაციიდან, მიუთითებს ამ ადამიანის ბუნებაზე და მის მიერ რეალური ძალაუფლების ეფექტიანად გამოყენების უნარზე.

მან თავიდან პოლიტიკოსებისთვის დამახასიათებელ კლასიკურ ხრიკს – დაყოვნებას მიმართა. რუზველტის წერილის მიღების მეორე დღეს, 7 თებერვალს იგი ირწმუნებოდა, რომ შეტობინება „სულ რაღაც საათნახევრის" წინ მიიღო. შემდეგ განაცხადა, რომ გაუჭირდებოდა ლუბლინელ პოლონელებთან დაკავშირება, რადგან ისინი კრაკოვში თუ სადღაც სხვაგან იმყოფებოდნენ. თუმცა, თქვა სტალინმა, მოლოტოვი ამუშავებს რაღაც იდეებს რუზველტის შემოთავაზებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს იდეები ჯერ არ არის დაბეჭდილიო.

შემდეგ სტალინმა უაღრესად ჭკვიანური სვლა გააკეთა. მან წამოაყენა წინადადება, რომ, რაკი პოლონეთის შესახებ რუზველტის შეთავაზება „ჯერჯერობით დამუშავების პროცესში" იყო, ყურადღება მომავალი გაეროს საარჩევნო პროცედურების ჩამოყალიბებაზე გადაეტანათ. რუზველტისთვის ამ უპირატესი საკითხის განხილვამ წინა შეხვედრებზე ცხარე კამათი გამოიწვია. საბჭოელები მოითხოვდნენ, რომ მათ ყველა რესპუბლიკას გენერალურ ასამბლეაში ხმის უფლება ჰქონოდა. ეს მათ თექვსმეტი ხმის უფლებას აძლევდა მაშინ, როცა ამერიკას მხოლოდ ერთი ხმა უნდა ჰქონოდა. ისინი ირწმუნებოდნენ, რაკი ბრიტანეთი თავისი სამეფოთი და იმპერიით რეალურად აკონტროლებდა ქვეყნებისა და მათი ხმების დიდ რაოდენობას, საბჭოელებიც იგივე მიდგომას იმსახურებდნენ. ახლა კი მოლოტოვი აშკარა დათმობაზე წავიდა და განაცხადა, რომ „გაეროში სამი ან სულ მცირე ორი საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებელ წევრად შესვლას დასჯერდებოდნენ". ამან შეხვედრის ატმოსფერო ძირფესვიანად შეცვალა. რუზველტმა აღნიშნა, ამ შემოთავაზებით „ძალიან ბედნიერი" ვარო, და ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯი მთელი მსოფლიოს მოსახლეობას გაახარებსო. ჩერჩილიც გულწრფელად დაეთანხმა პრეზიდენტს და გულითადი მადლობა მოახსენა „მარშალ სტალინს და ბატონ მოლოტოვს ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯისთვის".

სწორედ ასეთი „ბედნიერი" დისკუსიების ფონზე წარუდგინა მოკავშირეებს მოლოტოვმა საბჭოელების პასუხი რუზველტის წერილზე. პასუხში ეწერა: „კარგი აზრია პოლონეთის დროებით მთავრობაში რამდენიმე დემოკრატი ლიდერის შეყვანა ემიგრირებულ პოლონელთაგან", მაგრამ იქვე აღნიშნავდა, ლუბლინელ პოლონელებთან ტელეფონით დაკავშირება ჯერჯერობით შეუძლებელიაო; ამიტომ ვერ ვასწრებთ პოლონელების ყირიმში ჩამოყვანის შესახებ პრეზიდენტის შემოთავაზების განხორციელებასო.

ეს იალტის კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო მომენტი იყო. რა თქმა უნდა, ჩერჩილი და რუზველტი ბრძენი და გამოცდილი პოლიტიკოსები იყვნენ – სავარაუდოდ მეოცე საუკუნის ყველაზე ბრძენი და გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწენი; და მათ ნება მისცეს სტალინს და მოლოტოვს მათთვის უხერხული სიტუაციიდან ასეთი იაფი ხრიკის დახ-

მარებით გამომძვრალიყვნენ. ნუთუ იქ მყოფაგან ვინმეს სჯეროდა, რომ საბჭოელებმა მთელი დღე-ღამის განმავლობაში ვერ შეძლეს თავისივე მარიონეტულ პოლონურ მთავრობასთან დაკავშირება? მით უმეტეს იმის ფონზე, რომ აშკარად არ სურდათ ლონდონელ პოლონელებთან რაიმე გარიგებაზე წასვლა? და მაინც, არც ჩერჩილს და არც რუზველტს კრინტიც კი არ დაუძრავთ საბჭოელების ამ მტკნარი სიცრუის გამოსააშკარავებლად. ჩერჩილმა მოლოტოვის ამ განცხადებას მხოლოდ ახალი პოლონეთის საზღვრების დაზუსტების მოთხოვნით უპასუხა. აქ მოლოტოვმა საბოლოოდ გაამხილა საბჭოელებისთვის მისაღები საზღვარი, რომელიც დასავლეთით მდინარეების ოდერისა და ნეისეს გასწვრივ და ქალაქ შტეტინის სამხრეთით გადიოდა. ამით ახალი პოლონეთი გერმანიის ვეებერთელა ტერიტორიას ეპატრონებოდა, რაზეც ჩერჩილმა ირონიულად შენიშნა, სამწუხარო იქნება, თუ ამოდენა გერმანული საკვებით გაძეძგილ პოლონურ ბატს კუჭის გაუვალობა დაემართებაო.

ბრიტანელებს აფიქრებდათ პოლონეთის სასარგებლოდ გერმანიისთვის ამხელა ტერიტორიის ჩამოჭრა, რაც მათ პოლონელების მიმართ მტრობას გაუღვივებდა; ეს კი თავის მხრივ გასაბჭოებისკენ უბიძგებდა პოლონელებს. ჩერჩილმა განაცხადა, რომ მას აწუხებდა „ბრიტანეთის საზოგადოების დიდი ნაწილის" მოსალოდნელი უარყოფითი რეაქცია „გერმანელების დიდი ნაწილის იძულებით გადაცემაზე". სტალინმა უპასუხა, რომ ამ რეგიონების გერმანელთა უმრავლესობა „უკვე გაექცა იქიდან წითელ არმიასო". ჩერჩილმაც აღიარა, რომ მართლაც დიდი ტერიტორია თავისუფლდებოდა, რადგან გერმანელებმა უკვე ექვსი თუ შვიდი მილიონი ადამიანი დაკარგეს ამ ომში და ალბათ ერთ მილიონს კიდევ დაკარგავენ. ეს კი პრობლემას ამარტივებსო.

ასე და ამგვარად, რუზველტის მოთხოვნა, ლონდონელი და ლუბლინელი პოლონელები იალტაში მოეწვიათ, რათა დიდი სამეულის პატრონაჟით მომხდარიყო პოლონეთის დროებითი მთავრობის დაკომპლექტება, სტალინმა ნარმატებით აიცილა თავიდან ისე, რომ დასავლელ ლიდერებს არც კი დაუწუწუნიათ.

მომდევნო დღის შეხვედრის დაწყებისთანავე დასავლეთის ლიდერები დათანხმდნენ სტალინის მოთხოვნას, იაპონიასთან ომში წითელი არმიის სამომავლო მონაწილეობის სანაცვლოდ საბჭოთა კავშირს იაპონიის გარკვეული ტერიტორიები მიკუთვნებოდა. სტალინი ირწმუნებოდა, რომ ეს ტერიტორიები ისტორიულად რუსეთის საკუთრებას შეადგენდა – ვერსია, რომელსაც დღესაც სამართლიანად აპროტესტებენ იაპონელები.

ლიდერები ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ პოლონეთის საკითხს. ჩერჩილმა ამ მომენტს „მიმდინარე დიადი კონფერენციის გადამწყვეტი მომენტი" უწოდა. თავის გრძელ გამოსვლაში მან დასავლელი

მოკავშირეების წინაშე მდგარ რთულ ამოცანაზე გაამახვილა ყურადღება: „ჩვენ პოლონელთა 150 000-იანი არმია გვყავს, რომელიც მამაცურად იბრძვის. ეს არმია ლუბლინთან ვერ მორიგდება და ჩვენც ღალატად ჩაგვითვლის ლუბლინელების აღიარებას“. შემდეგ ჩერჩილმა განაცხადა, რომ თუ „ფარული კენჭისყრით და თავისუფალი კანდიდატების მონაწილეობით“ ჩატარდებოდა არჩევნები პოლონეთში, მაშინ ბრიტანელებს ეჭვი გაეფანტებოდათ. მაგრამ დასძინა, სანამ ეს არ მომხდარა, ბრიტანეთი ლონდონში ემიგრირებული მთავრობის ნაცვლად არსებული შემადგენლობით ლუბლინის მთავრობას ვერ აღიარებსო.

სტალინმა მისთვის ჩვეული ირონიით გაჯერებული საპასუხო სიტყვა წარმოთქვა: „პოლონელებს დიდხანს ეზიზღებოდათ რუსები, რადგან რუსები სამჯერ მონაწილეობდნენ პოლონეთის დანაწევრებაში. საბჭოთა არმიის წარმატებებმა და ჰიტლერისგან პოლონეთის განთავისუფლებამ ვითარება შეცვალა. ძველი წყენა სრულიად გამქრალია... ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პოლონელი ხალხი ამას დიდ ისტორიულ დღესასწაულად აღიქვამს“. იმის გათვალისწინებით, თუ რა შავ დღეში ჩააგდო წითელი არმიის შესვლამ სახალხო არმია მთელ პოლონეთში, ასეთ „ისტორიულ დღესასწაულზე“ ლაპარაკი მხოლოდ შავ იუმორად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩერჩილს კი, რომელსაც ანდერსთან საუბარშიც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა შორს იყო „ისტორიული დღესასწაულისგან“ საბჭოელების ქმედებანი პოლონეთში, კრინტიც არ დაუძრავს სტალინის სიცრუის გასაქარწყლებლად.

შემდეგ სტალინი დათანხმდა, რომ პოლონეთის მთავრობა დემოკრატიულად ყოფილიყო არჩეული. ბევრად უკეთესია თავისუფალი არჩევნებით მოსული მთავრობის ყოლაო, განაცხადა მან. მაგრამ დიდი სამეულის მიერ პოლონეთის საკითხზე მიღწეული საბოლოო „კომპრომისი“ იმდენად პროსაბჭოური იყო, რომ ასეთი არჩევნების ჩატარება ფრიად საეჭვო ხდებოდა. დასავლეთის მხრიდან მხოლოდ „ვარშავაში აკრედიტებულ დიდი სამეულის ელჩებს“ ევალებოდათ „დაკვირვება ეწარმოებინათ და თავიანთი მთავრობებისთვის ეცნობებინათ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შესახებ მიღწეული შეთანხმების შესრულება“.

რაც შეეხებოდა დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ დაკომპლექტებას, აქაც გამარჯვება საბჭოელებს დარჩათ. დასავლელი მოკავშირენი ახლა მხოლოდ იმასღა მოითხოვდნენ, რომ ლუბლინის მთავრობის „რეორგანიზაცია“მომხდარიყო, რათა მასში შესულიყვნენ პოლონეთში და მის გარეთ მყოფი „დემოკრატიული ლიდერები“. მაგრამ ამ პროცესის მაკოორდინირებელი მინისტერიალის გამართვა მოსკოვში ისევ საბჭოელების ხელში რჩებოდა.

მხოლოდ გამოუსწორებელ და გამოუცდელ ოპტიმისტს თუ შეეძლო დაეჯერებინა, რომ ასეთი უსუსური დადგენილებებით შეიძლებოდა სასურველი შედეგის მიღწევა – თავისუფალი და დემოკრატიული პოლონეთის აშენება. „ჩვენ, ვინც მოსკოვში ვმუშაობდით და ვცხოვრობდით", იგონებს ჰიუ ლუნგჰი, „გაკვირვებული ვიყავით ასეთი უსუსური დეკლარაციის მიღებით, რადგან კარგად ვიცოდათ, რომ არ არსებობდა შანსი სტალინს თავისუფალი არჩევნები ჩაეტარებინა სხვა ქვეყანაში მაშინ, როცა იგი ამას საბჭოთა კავშირში არ აკეთებდა". ლუნგჰის პესიმიზმს იზიარებდა ლორდი მორანიც, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ იალტაში ამერიკელები „პოლონეთის პრობლემის აშკარა იგნორირებას ახდენდნენ"[83]. მას ვერ გაეგო, თუ რატომ ეგონა რუზველტს, რომ „მათთან [საბჭოელებთან] მშვიდობიანი თანაცხოვრება" შეიძლებოდა. მორანი ირწმუნება, რომ „ჯერ კიდევ წინა ოქტომბერში მოსკოვში ნათელი იყო, რომ სტალინს სურდა პოლონეთი რუსეთის კაზაკურ ავანპოსტად ექცია და მას ეს სურვილი არც იალტაში გაქრობია"[84].

ბატონი მორანი ერთ რამეში ცდებოდა. ამერიკელები იალტაში სხვა „გლობალურ" საკითხებზე ზრუნავდნენ და პოლონეთის ბედი საერთოდ არ ადარდებდათ; ამიტომაც ახდენდნენ მის „აშკარა იგნორირებას". რუზველტი მხოლოდ რიტორიკულად უჭერდა მხარს პოლონეთში თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების იდეას. „მე მინდა, რომ ეს იყოს უზადო არჩევნები", უთხრა მან იალტაში სტალინს. „ის კეისრის ცოლივით უნდა იყოს. მას არ ვიცნობდი, მაგრამ ამბობენ, რომ იგი უმწიკვლო იყო[85]". სტალინმა ჩვეული გესლიანი ხუმრობით უპასუხა, ასე კი ამბობენ, მაგრამ სინამდვილეში ისიც გაბახებული იყოო.

რუზველტი პირად საუბრებში აღიარებდა, რომ პოლონეთის შესახებ მიღწეული შეთანხმება სრულყოფისგან შორს იყო. როდესაც ადმირალმა ლიიჰიმ მას უთხრა, რომ „ის ისეთი ელასტიკურია, რომ რუსებს შეუძლიათ იალტიდან ვაშინგტონამდე გაწელონ და არ გაწყდება". რუზველტმა უპასუხა: „ვიცი, ბილ, მაგრამ დღესდღეობით პოლონეთისთვის მხოლოდ ამის გაკეთება შემიძლია"[86].

რუზველტისთვის მთავარი იყო სტალინთან „საქმიანი ურთიერთობის" დამყარება, რაც მისი აზრით ომისშემდგომ მსოფლიოს კეთილ მომავალს უქადდა. იმ დროს, როცა მისი თანამემამულე ჯონ რისკი, რომელმაც ცხრა თვე საბჭოეთის ჩრდილოეთში გაატარა, თვლიდა, რომ „სტალინიც ჰიტლერივით ცუდი" იყო, რუზველტი ამ აზრს სრულებით არ იზიარებდა. იალტის კონფერენციის წინა დღეებში პრეზიდენტმა ბრიტანელ დიპლომატს რიჩარდ ლოუს უთხრა: „კომუნიზმის სხვადასხვა ვარიანტები არსებობს და ყველა მათგანი მავნე როდია"[87]. ლორდი მორანის აზრით, „რუზველტმა ისიც კი ვერ გააცნობიერა, რომ რუსეთი პოლიციური სახელმწიფოა"[88].

საღად მოაზროვნე ადმირალი ლიიჰისთვის იალტის შეთანხმების მავნე შედეგები წინასწარვე ცნობილი იყო. ჯერ კიდევ კონფერენციის მიმდინარეობისას იგი წერდა, რომ კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები „რუსეთს ევროპის დომინანტ ძალად აქცევს, რაც მომავალ საერთაშორისო უთანხმოებებს და ახალი ომის პერსპექტივას შეიცავს"[89]. დასავლელი ლიდერები და მათი მრჩევლები კი პირიქით, გულუბრყვილოდ ამყარებდნენ იმედებს სტალინის კეთილშობილურ ბუნებაზე. „არ ვიცოდი თუ რუსები ასეთი დამთმობნი და შემგუებელნი იყვნენ", წერდა კადოგანი 11 თებერვალს. „განსაკუთრებით ჯო აღმოჩნდა მეტად კარგი. იგი დიდებული ადამიანია და ორი დანარჩენი ლიდერის ფონზე ფრიად შთამბეჭდავად გამოიყურება"[90].

ამგვარად, დასავლელ მოკავშირეთა დელეგაციის უმრავლესობა იალტის კონფერენციის შედეგებით კმაყოფილი დარჩა. გარდა პოლონეთის ახალი საზღვრებისა და სტალინისგან მიღებული დაპირებებისა, რომ პოლონეთში მალე „დემოკრატიული არჩევნები" ჩატარდებოდა, კონფერენციაზე დადგინდა ასევე გერმანიის ოთხ-ნაწილად დამყოფი საზღვრები, სადაც საოკუპაციო ზონა ბრიტანეთთან, აშშ-სთან და საბჭოთა კავშირთან ერთად საფრანგეთსაც მიეკუთვნა. ამასთანავე სტალინმა კიდევ ერთხელ გააჟღერა თავისი თანხმობა გაეროს დაფუძნებაზე და გერმანიის განადგურების შემდეგ იაპონიასთან ომში საბჭოელების ჩართვაზე. დასავლელ მოკავშირეთა ბევრ წამყვან ფიგურას გაუჩნდა მტკიცე რწმენა, რომ იგი შეასრულებდა ყველა ამ დაპირებას. უმეტესწილად ეს რწმენა ემყარებოდა სტალინის ქცევას კონფერენციის მიმდინარეობისას. ჩერჩილი აღნიშნავდა, რომ იგი მოიხიბლა სტალინის ყურადღებით საწინააღმდეგო აზრისადმი და კომპრომისზე წასვლის მზადყოფნით.

დასავლეთის საზოგადოებაში გაჩნდა შეგრძნება, თითქოს დასავლეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული იდეოლოგიური ნაპრალი თანდათან ივსებოდა. კონფერენციის პირველ დღეს ჩერჩილმა განაცხადა, რომ იგი გრძნობდა „თუ როგორ მიისწრაფის აქ წარმოდგენილი სამი ქვეყანა სხვადასხვა გზით ერთი და იმავე მიზნისკენ [დემოკრატიისკენ]". ასეთი გრძნობის მოჭარბების გამო ჩერჩილმა კონფერენციის პირველ ბანკეტზე თავისი სადღეგრძელო „მსოფლიო პროლეტარიატს" მიუძღვნა. თავის მხრივ კი სტალინმა კონფერენციის ბოლო ბანკეტზე ჩერჩილი დაახასიათა როგორც „მსოფლიოს უმამაცესი სახელმწიფო მოღვაწე. ამ სიმამაცისა და სიმტკიცის წყალობით შეარყია მარტოდმარტო დარჩენილმა ინგლისმა ჰიტლერული გერმანიის სიძლიერე მაშინ, როცა დანარჩენი ევროპა ზედიზედ მიწას ერთხმოდა ჰიტლერის ფეხებთან". შემდეგ მან დასძინა, რომ „მსოფლიო ისტორიიდან იმის ცოტა მაგალითი ახსენდება, რომ ერთი ადამიანის სიმამაცეს ასეთი დიდი გავლენა მოეხდინოს გლობალურ პროცესე-

ბზე. ამიტომ სვამს თავისი თანამებრძოლი მეგობრისა და საუცხოო ადამიანის, ბ-ნი ჩერჩილის სადღეგრძელოს“.

შეეძლოთ თუ არა დასავლელ მოკავშირეებს იალტაში უფრო შედეგიანი გარიგებებისთვის მიეღწიათ? დღევანდელი გადასახედიდან პასუხი თითქმის ცალსახაა: დიახ, შეეძლოთ[9]. კერძოდ, თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ამერიკელებმა საბჭოელებზე ზემოქმედებისთვის არ გამოიყენეს მათ ხელთ არსებული ეკონომიკური ბერკეტები. საბჭოელებს ამერიკელებისგან 6 მილიარდი დოლარის სესხი ესაჭიროებოდათ მანქანა-დანადგარების შესაძენად. მათ ასევე ესაჭიროებოდათ დასავლეთთან შეთანხმება გერმანიისგან მისაღები კომპენსაციის რაოდენობის დასადგენად. იალტაში არც ერთი ეს საკითხი არ განხილულა, რადგან ვარაუდობდნენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ გაიმართებოდა სპეციალური სამშვიდობო კონფერენცია, სადაც ყველა ომისშემდგომი საკვანძო საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრებოდა. მაგრამ ასეთ კონფერენციას გამართვა არ ეწერა: იალტის კონფერენციის დამთავრებიდან სულ რაღაც ორ თვეში რუზველტი გარდაიცვალა.

6

რკინის ფარდა

იალტის კრახი

იალტის უნაყოფო შეთანხმებებს დიდი ენთუზიაზმით მიმოიხილავდნენ. კონფერენციის დამთავრებისთანავე ბრიტანელები და ამერიკელები ყირიმში მიღწეულ დიდ წარმატებებზე ალაპარაკდნენ.

ჩერჩილმა სამხედრო კაბინეტის სხდომაზე გამოთქვა რწმენა, რომ სტალინი „კარგს ნიშნავდა მთელი მსოფლიოსა და პოლონეთისთვის" და რომ „პრემიერი სტალინი გულწრფელი ადამიანია"[1]. 23 თებერვალს კი მან მინისტრებს განუცხადა: „ცხონებულ ნევილ ჩემბერლენს ეგონა, რომ ჰიტლერის ნდობა შეიძლებოდა, მაგრამ ცდებოდა. მე კი არა მგონია სტალინში ვცდებოდე"[2]. ამ შეხვედრის დამსწრე ჰიუ დალტონი თავის დღიურში აღნიშნავდა: „პრემიერ-მინისტრმა მეტად გულთბილად ისაუბრა სტალინზე. იგი დარწმუნებული იყო, რომ სანამ სტალინი იცოცხლებდა, ინგლისურ-რუსული მეგობრობა იარსებებდა. ვინ იქნებოდა მისი მემკვიდრე, არავინ იცოდა. სერ ჩარლზ პოტალმა თქვა: „იქნებ მოლოტოვი? თუმცა ის საკმაოდ ხისთავიანი და ენაბლუა, რუსეთში კი ენის ბორძიკით ლაპარაკი ცუდ ნიშნად ითვლება". 27 თებერვალს თემთა პალატაში გამოსვლისას ჩერჩილმა განაგრძო იალტის შეთანხმებების ქება-დიდება და გამოხატა რწმენა, რომ მარშალ სტალინს და საბჭოთა მთავრობას დასავლეთის ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი და მეგობრული თანაარსებობა სურთ. მე მჯერა, რომ ისინი სიტყვის კაცები არიანო[3].

რუზველტის ადმინისტრაცია კი ბევრად უფრო შორს წავიდა. სამხედრო მობილიზაციის დეპარტამენტის უფროსმა ჯეიმს ბირნსმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას პრეზიდენტსაც კი გადააჭარბა ამბების შელამაზებაში, როდესაც განაცხადა, რომ იალტაში არა მხოლოდ გაეროს შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს, არამედ ევროპაში „გავლენის სფეროები" გააუქმეს და „[პოლონეთში] დროებითი მთავრობის ფორმირებამდე და სამართლიანი არჩევნების ჩატარებამდე წესრიგს სამი უძლიერესი სახელმწიფო დაიცავს"[4].

ამერიკის პრეზიდენტს სურდა, რომ საზოგადოებრივი აზრი იალტაში მიღწეული მისთვის საამაყო შეთანხმებისკენ – გაეროს დაფუძნებისა და სტრუქტურიზაციისკენ ყოფილიყო მიმართული. პრეზიდენტი მშვენივრად აცნობიერებდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა და სურდა,

მთავარ მემკვიდრეობად გაერო დაეტოვებინა. ამით ის მთელ მსოფლიოს აჩვენებდა, რომ წარმატებით გაატარა ცხოვრებაში ვუდრო უილსონის ის ინტერნაციონალისტური იდეალები, რომელთა რეალიზებაც პირველი მსოფლიო ომის მიწურულს შექმნილმა ერთა ლიგამ ვერ მოახერხა.

იალტაში ვითომდა ახალი მსოფლიო წესრიგის შემოღების ბერნსისეული ოპტიმისტური მესიჯი კიდევ უფრო გაამყარა პრეზიდენტმა 1 მარტს კონგრესის ერთობლივ სესიაზე გამოსვლაში. მან განაცხადა, რომ გაეროს შესახებ იალტაში მიღწეული შეთანხმება „გამიზნულია ბოლო მოუღოს ცალმხრივ ქმედებებს, ექსკლუზიურ ალიანსებს, გავლენის სფეროებს, სამხედრო ძალების ბალანსსა და სხვა დრომოჭმულ სისტემებს, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში წარუმატებლად ინერგებოდა“[5].

ამერიკის პრესამ დიდი ენთუზიაზმით აიტაცა იალტისადმი ასეთი შერჩევითი მიდგომა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან პრეზიდენტმა თავად მიაჩუმათა იალტის ის შეთანხმებები, რომლებიც არ შეესაბამებოდა მის რომანტიკულ იდეალებს (მაგალითად, საბჭოელებისადმი გაეროში ერთზე მეტი ხმის უფლების დაკანონება და პოლონეთში უცხოელი დამკვირვებელების გარეშე არჩევნების ჩატარებაზე დათანხმება). ეს იყო რუზველტის ბოლო მცდელობა ჩაეფარცხა ატლანტიკის ქარტიასთან მიმართებაში სტალინის გამო არსებული პრობლემები. კი ბატონო, წავედით ამერიკელები დათმობაზე პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრების საკითხში, მაგრამ დანარჩენ ევროპაში ხომ ვამკვიდრებთ მშვიდობასო, ირწმუნებოდა იგი ამ მცდელობით.

რასაკვირველია, რუზველტს სრული უფლება ჰქონდა გამოეყენებინა იალტის შეთანხმებები საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. განა სტალინის ხელმოწერილი არ იყო შეთანხმება პოლონეთში „თავისუფალი არჩევნების“ ჩატარების შესახებ? მაგრამ საქმე ისაა, რომ სტალინისა და მოლოტოვის ისეთი მაქინაციების შემხედვარე რუზველტს, ვითომდა ტელეფონითაც რომ ვერ მოახერხეს ლუბლინელ პოლონელებთან დაკავშირება, იალტაშივე უნდა სცოდნოდა, რომ პოლონეთის „თავისუფლება“ ნაკლებსავარაუდო იყო. ბოლოს და ბოლოს, თვით რუზველტის სკანდალური თანხმობა იმაზე, რომ ომისშემდგომი პოლონეთი „მეგობრული“ ყოფილიყო საბჭოთა კავშირისადმი, უკვე ნიშნავდა პოლონეთის ხელისუფლების თავისუფლების შეზღუდვას. ამის მიუხედავად რუზველტი საქვეყნოდ ასხამდა ხოტბას იმ შეთანხმებას, რომელის შესახებაც პირად საუბარში თვითონვე თქვა, მხოლოდ ამის გაკეთება შემიძლიაო.

იალტის შეთანხმებებს სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია ჰქონდა სტალინისეულ კომენტარებში. საბჭოთა ლიდერი სულაც არ იყო „უილსონისნაირი“ ფიგურა. მას არ სჯეროდა ლამაზი სიტყვების; მას სჯეროდა მკაცრი რეალობის. მისთვის მთავარი იყო ის, თუ სადამდე ვრცელდე-

ბოდა მისი ქვეყნის საზღვრები და რამდენად მორჩილი მეზობლები ჰყავდა ქვეყანას. კონფერენციის დამთავრებისთანავე გაზეთის *„Война и рабочий класс“* (ომი და მუშათა კლასი) პირველ გვერდზე დაიბეჭდა სტატია, რომელიც ირწმუნებოდა, რომ „ყირიმის შეთანხმებების მკაცრი და მკაფიო ენა ისე შორსაა უილსონის თოთხმეტპუნქტიანი მოძღვრების საზეიმო და ბუნდოვანი ენისგან, როგორც ცა დედამიწისგან“[6]. ბირნსის პრესკონფერენციის საპასუხო, „პრავდის“ 17 თებერვლის სტატიაში კი ხაზგასმით აღინიშნა, რომ სიტყვა „დემოკრატია“ სხვადასხვა ხალხს სხვადასხვაგვარად ესმოდა და თითოეულ ქვეყანას შეეძლო აერჩია ის ვერსია, რომელიც სურდა[7].

ეს ყველაფერი რუზველტისეული ხედვისგან ძალიან შორს იყო. ფაქტობრივად საბჭოელები „გავლენის სფეროების“ ენაზე ლაპარაკობდნენ, იმ ენაზე, რომელსაც ბირნსი და რუზველტი უკვე მკვდრად მიიჩნევდნენ. სტალინი დიდ სახელმწიფოებს შორის გავლენის სფეროების დანაწილების იდეის ერთგული რჩებოდა. ეს იდეა ამოძრავებდა მას, როცა ჯერ კიდევ 1941 წლის დეკემბერში ედენთან პირველსავე შეხვედრაზე ომისშემდგომი საზღვრების საკითხი წამოჭრა. ამ იდეითვე იყო გამოწვეული საბჭოელების ცხოველი ინტერესი ჩერჩილის „პროცენტებისადმი“ 1944 წლის ოქტომბერში. სტალინი ნებისმიერ მოლაპარაკებაზე ამ თემას გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე უილსონისეული ერთა ლიგის ან რუზველტისეული გაეროს „საზეიმო და ბუნდოვან“ განხილვას.

ახლა კი დასავლეთის ამბები სტალინის გაღიზიანებას და გაკვირვებას იწვევდა იმით, რომ დასავლეთი მის ამ მიდგომას არ იზიარებდა. მას სჯეროდა, რომ თავის მხრივ გარიგების პირობები არ დაურღვევია და აჩვენა, რომ „გავლენის სფეროების“ კონცეფცია ორმხრივი მოძრაობის ქუჩას წააგავდა – განა მან არ მისცა ჩერჩილს ამ გავლენის გამოყენების უფლება საბერძნეთში, როცა ბრიტანეთის სამხედრო ძალებმა 1944 წლის დეკემბერში ხელისუფლებაში პარტიზან კომუნისტთა მოსვლა აღკვეთეს? მაშ სადღა იყო პრინციპი, რომ „ხელი ხელს ბანს“? რა საჭირო იყო უეცრად ამ ლაპარაკის წამოწყება „გავლენის სფეროებისა“ და „ძალთა ბალანსის“ გაუქმების შესახებ მაშინ, როცა თვით ჩერჩილის ქმედებები საბერძნეთში მის მიერ ამ პრაქტიკული რეალობის აღიარებას მოწმობს?

კი მოაწერა ხელი სტალინმა შეთანხმებას პოლონეთში „თავისუფალი“ არჩევნების ჩატარების თაობაზე, მაგრამ „დემოკრატიის“ კონცეფციის მსგავსად, „თავისუფლების“ მისეული ინტერპრეტაციაც მკვეთრად განსხვავდებოდა დასავლურისგან. საბჭოური გაგებით 1939 წლის შემოდგომაზე მათ მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ პოლონეთში ჩატარებული „არჩევნები“ „თავისუფალი არჩევნები“ იყო. ისიც ხომ ფაქტია, რომ თეირანში რუზველტმა პირადად გაუმხილა სტალინს კერძო საუბარში, საჯარო საუბრებს რომ თავი დავანებოთ, თავისი დაინტერესება მხოლოდ

ამერიკაში მცხოვრები პოლონელების წინასაარჩევნო განწყობით და არა პოლონეთის ბედით. ამ ყველაფრის ფონზე სტალინი ნამდვილად არ ელოდა, რომ რუზველტი ან ჩერჩილი თავიანთ ქვეყნებში დაბრუნების შემდეგ ასეთი ფართო განხილვის საგნად აქცევდნენ საბჭოელების ვალდებულებას უზრუნველეყოთ პოლონეთის „თავისუფლება“.

მეორე მხრივ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმხანად სტალინის ზრახვებში შედიოდა წითელი არმიის მიერ ოკუპირებული აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის სასწრაფოდ გასაბჭოება. მაშინ მას მხოლოდ ის უნდოდა, რაც ყოველთვის: ჰყოლოდა საერთაშორისოდ აღიარებულ საბჭოთა „გავლენის სფეროში“ მოქცეული „მეგობრულად განწყობილი“ მეზობლები. როგორც ჩანდა, ეს „მეგობრულად განწყობილი“ არ შეესაბამებოდა დასავლეთისთვის მისაღებ „დემოკრატიულს“. ეს ქვეყნები ვერასდროს იქნებოდნენ ისეთი „თავისუფალი“, როგორც ეს ჩერჩილს და რუზველტს სურდათ. თუმცა სტალინის აზრით უახლოეს წლებში მათი კომუნისტურ ქვეყნებად გადაქცევა საჭირო არ იყო. ეს თვალსაზრისი მან 1946 წლის მაისში პოლონელი კომუნისტებისადმი მიმართვაში გააჟღერა. „თქვენი დემოკრატია განსაკუთრებულია“, თქვა მან. „თქვენ არ გყავთ მსხვილი კაპიტალისტური კლასი. თქვენ ას დღეში მოახდინეთ ინდუსტრიის ნაციონალიზაცია მაშინ, როცა ინგლისი ბოლო ასი წელია იბრძვის ამის გასაკეთებლად. დაე, მათ თქვენგან ისწავლონ. თქვენ მიერ პოლონეთში, ასევე იუგოსლავიაში და ნაწილობრივ ჩეხოსლოვაკიაში დამყარებული დემოკრატია ისე მიგიყვანთ სოციალიზმთან, რომ არ დაგჭირდებათ დაამყაროთ პროლეტარიატის დიქტატურა ან საბჭოური სისტემა. ლენინს არასდროს უთქვამს, რომ სოციალიზმისკენ მიმავალი ერთადერთი გზა პროლეტარიატის დიქტატურაა; ის ასევე შესაძლებლად თვლიდა სოციალიზმის გზაზე დადგომას ბურჟუაზიული დემოკრატიული ინსტიტუტების, კერძოდ, პარლამენტის გამოყენებით“[8].

დიდი სამეულიდან ჩერჩილს ყველაზე მეტად გაუჭირდა პოლონეთის საკითხზე იალტაში მიღწეული შეთანხმების გასაღება-გაყიდვა. პრობლემამ მწვავე ფორმა მიიღო, როდესაც პრემიერ-მინისტრი 20 თებერვალს გენერალ ანდერსს შეხვდა. პოლონელი სარდალი შეურაცხყოფილი იყო იალტის შეთანხმებით, რომელსაც „ატლანტიკის ქარტიის შებღალვად“ აღიქვამდა და სურდა, თვალებში ჩაეხედა იმ ადამიანისთვის, რომელიც მას სულ რაღაც ექვსი თვის წინ ემოციური დაპირებებით კვებავდა.

„როგორც ჩანს, თქვენ უკმაყოფილო ხართ იალტის შეთანხებით“, რბილად უთხრა ჩერჩილმა ანდერსს საერთო ენის გამონახვის მიზნით.

„უკმაყოფილო ვარ-მეთქი, რომ გითხრათ, ეს მსუბუქი ნათქვამი იქნება“, უპასუხა ანდერსმა. „მე ვთვლი, რომ დიდი უბედურება მოხდა“.

შემდეგ ანდერსმა ჩერჩილს მკაფიოდ აუხსნა, რომ იალტის შეთანხმება მისთვის მტკივნეული იყო არა მარტო იდეურ-პატრიოტული, არამედ სუფ-

თა პრაქტიკული თვალსაზრისითაც. „ჩვენი ჯარისკაცები პოლონეთისთვის იბრძოდნენ“, თქვა მან. „ისინი თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისთვის იბრძოდნენ. რა ვუთხრათ ახლა მათ ჩვენ, მათმა მეთაურებმა? საბჭოთა რუსეთი, რომელიც 1941 წლამდე გერმანიის მოკავშირე იყო, ახლა ჩვენი ტერიტორიის ნახევარს ითვისებს, ხოლო დანარჩენ ნახევარზე თავისი გავლენის დამყარება სურს“.

გაღიზიანებულმა ჩერჩილმა უპასუხა: „ეგ თქვენივე ბრალია. აღმოსავლეთ საზღვრების საქმე ადრევე რომ მოგეგვარებინათ, ახლა ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა“. შემდეგ მან ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში მებრძოლი პოლონელებისა და მათგან გაღებული მსხვერპლის მიმართ ერთობ შეურაცხმყოფელი განცხადება გააკეთა: „ჩვენ ახლა საკმარისი სამხედრო ძალები გვყავს და თქვენი დახმარება აღარ გვჭირდება. შეგიძლიათ გაიყვანოთ თქვენი დივიზიები. მათ გარეშეც იოლად გავალთ“[9].

ეს მოკლე საუბარი ცხადყოფს არა მარტო პოლონელებთან ჩერჩილის უთანხმოების მასშტაბებს, არამედ იმისაც, თუ რამდენად ლახავდა მის რეპუტაციას იალტის შედეგები. მისი როგორც პოლიტიკოსის რეიტინგი ახლა ძირითადად პოლონეთში და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში სტალინის მოქმედებაზე იყო დამოკიდებული. მას მხოლოდ იმის იმედიღა რჩებოდა, რომ სტალინი შეასრულებდა თავის „დაპირებებს“. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სავალალოდ ამ იმედს მალე გაქარწყლება ეწერა.

სამეფო გენშტაბის უფროსი, მარშალი სერ ალან ბრუკიც შეხვდა ანდერსს და დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა. „ის დიდებული ვაუკაცია და საშინლად განიცდის მთელ ამ ამბავს“[10], წერდა ბრუკი. „რუსეთში პატიმრობისა და პოლონელებისადმი რუსების ცუდი მოპყრობის საკუთარი თვალით ხილვის შემდეგ ის თვლიდა, რომ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრზე უკეთ იცოდა, თუ ვინ იყვნენ რუსები... იმედი, რომელიც მას რუსეთის ციხის ჯურღმულებშიც კი არ დაუკარგავს, ახლა მთლად გადაეწურა. მისი ცოლ-შვილი იმხანად პოლონეთში იმყოფებოდა და შეიძლებოდა ველარც კი ეხილა ისინი. მაგრამ გაცილებით მძიმე მისთვის ის იყო, რომ ყველა მისი მეომარი მასზე ამყარებდა ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის იმედს... ის კი, ანდერსი, გამოსავალს ვერ ხედავდა და სინდისის ქენჯნა ღამეებს თეთრად ათენებინებდა“.

მალე ყველასთვის ნათელი გახდა როგორც საბჭოელების შესახებ ანდერსის მსჯელობის სისწორე, ასევე „თავისებული არჩევნების“ სტალინისეული გაგება. საბჭოელებმა ოკუპირებულ რუმინეთში 1946 წლის მარტში არჩევნები ჩაატარეს, მაგრამ რაკი ხალხის უმრავლესობამ ხმა არაკომუნისტებს მისცა, მათ არჩევნების შედეგები გააუქმეს და რუმინეთის მეფე მიქაელი აიძულეს ქვეყნის მმართველად კომუნისტური მთავრობა დაემტკიცებინა. რუმინეთში საბჭოელებს უკვე ორასი ათასამდე ადამიანი

ჰყავდათ დატუსაღებული და დეპორტირებული „ფაშისტური რეჟიმისადმი ლოიალობის“ ბრალდებით. საბჭოელების უმთავრესი საქმე ყველგან და ყოველთვის ოპოზიციის სრული განადგურება იყო.

ჩერჩილს არ ძალუძდა რუმინეთში საბჭოელების მოქმედებაში ჩარევა – იგი ხელფეხშეკრული იყო თავისივე „უვარგისი გეგმის“ საფუძველზე მიღწეული შეთანხმებით, რომელმაც რუმინეთი საბჭოთა გავლენის სფეროში მოაქცია. როცა 1945 წლის იანვარში მას მოახსენეს, რომ საბჭოელები რუმინეთიდან იქაურ ეთნიკურ გერმანელებს აძევებდნენ, მან საგარეო საქმეთა სამინისტროს მისწერა: „რატომ ვტეხთ ხმაურს რუსების მიერ რუმინეთიდან საქსონელების და სხვების გასახლებაზე? თავის სფეროში რუსებს როგორც უნდათ, ისე მოიქცევიან. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია მათი შეჩერება“[11]. ასევე მეორე დღეს, როცა საგარეო საქმეთა სამინისტროდან მას აცნობეს, რომ საბჭოელებმა უამრავი რუმინელი იძულებით სამუშაოებზე გარეკეს, მან უპასუხა: „რუსებს ვერ გავამტყუნებ იმაში, რომ 100 ან 150 ათას რუმინელს თავიანთ სასარგებლოდ ამუშავებენ. ბოლოს და ბოლოს შევიგნოთ, რომ ჩვენ რუმინეთის ბედი უმეტესწილად რუსებს მივანდეთ“[12]. ორივე შემთხვევაში ჩერჩილი აშკარად „გავლენის სფეროების“ ენით საუბრობდა.

და მაინც დასავლელი ლიდერებისთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო პოლონეთში თებერვალ-მარტში განხორციელებული ანალოგიური სადამსჯელო ოპერაციები. 1945 წლის თებერვალში პოლონეთში მასიური დაპატიმრება და დეპორტაცია მოეწყო. მათ შორის მარტო ბიალისტოკიდან ხალხით სავსე 240 მატარებელი გაიგზავნა საბჭოეთის შორეულ აღმოსავლეთში[13]. მარტში კი საბჭოელებმა პოლონეთის იატაკქვეშა მოძრაობის კომიტეტის ყოფილი წევრები მოტყუებით მიიყვანეს შეკრებაზე და დააპატიმრეს.

ამერიკისა და ბრიტანეთის მთავრობებისთვის ძნელი აღმოჩნდა საბჭოელების ასეთი დესპოტური ქმედებები იალტაში ნანახი საქმიანი და მშვიდი ლიდერის ნატურასთან შეეხამებინათ. ამიტომ ისინი კვლავ არარსებულ, უკვე ყბადაღებულ მიზეზებზე ალაპარაკდნენ: სტალინი აქ არაფერ შუაშია და იალტის გარიგებას სხვა გავლენიანი და ბნელი ძალები შლიანო. ამერიკელი დიპლომატი ჩარლზ ბოჰლენი წერდა, რომ 1945 წლის მაისში სახელმწიფო დეპარტამენტის იალტაში ნამყოფ ყველა ჩინოვნიკს ეგონა, რომ ამ ქმედებებზე პასუხისმგებელი იყო „სტალინის შიგა ოპოზიცია“, რომელიც მას კონფერენციის შემდეგ „შეეჯახა“[14]. როგორც ჰარი ჰოპკინსმა აღნიშნა, „ჩვენ გვჯეროდა, რომ სტალინი კეთილგონიერი, გულისხმიერი და გამგები ადამიანი იყო, მაგრამ არ ვიცოდით, თუ რა ძალები მოქმედებდნენ კრემლში მის ზურგს უკან“[15]. თავის მხრივ, ამერიკის ელჩმა მოსკოვ-

ში ავერელ ჰარიმანმა დაასკვნა, რომ წყალს „წითელი არმიის მარშლები“ ამღვრევდნენ[16].

ასეთი „ბნელი ძალების“ ვერსია ლონდონშიც ფართოდ იყო გავრცელებული, თუმცა თომას ბრიმელოუს[17] მსგავსი დიპლომატებიც არსებობდნენ, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ ასეთი ძალების არსებობას და სავსებით სამართლიანადაც. ბრიმელოუმ ერთ-ერთმა პირველმა მოუძებნა საბჭოელების ქმედებას სწორი ახსნა. სტალინის მიერ დროდადრო გამოვლენილი არათანამიმდევრულობა – მაგალითად, ერთი და იმავე ადრესატისთვის დამთმობი და საბრალდებო დეპეშების თითქმის ერთდროული გაგზავნა – წარმოადგენდა მისეულ ტაქტიკას, რომ დასავლელი მოკავშირეები საგონებელში ჩაეგდო. კრიზისის ამ ახალ ეტაპზე მით უფრო ადვილი იყო საბჭოელების მოქმედების ახსნა: ამით სტალინი მთელ მსოფლიოს აჩვენებდა, რომ პარადი მას მიყავდა და არა ამერიკას და რომ მისი მეზობელი ქვეყნები ისეთი „მეგობრული“ უნდა ყოფილიყვნენ, როგორიც მის გაგებას შეესაბამებოდა. ეს ნიშნავდა ამ ქვეყნებში ყველას განადგურებას, ვისაც საბჭოელები საფრთხედ აღიქვამდნენ.

მაგრამ ჩერჩილს და რუზველტს უჭირდათ ეღიარებინათ, რომ საქმე ჰქონდათ სტალინის გამიზნულ ქმედებებთან, რადგან ორივეს დიდი პოლიტიკური კაპიტალი ჰქონდა ჩადებული საბჭოთა ლიდერთან საერთო ენის გამონახვის იდეაში. როგორც უკვე ვიცით, რუზველტი სტალინის გაცნობამდე დიდი ხნით ადრე გამოთქვამდა რწმენას, რომ შეძლებდა მის „მოთოკვას“ (*to handle*), ხოლო ჩერჩილი ჯერ კიდევ 1942 წლის ზაფხულში სტალინის ბინაში ღამით ქეიფის შემდეგ მასთან სულიერ სიახლოვეს გრძნობდა.

ორმა დასავლელმა ლიდერმა ირწმუნა, რომ შეძლო სტალინთან „გამორჩეული“ ურთიერთობა დაემყარებინა. ორივე მათგანი ცდებოდა. სტალინს არავისთან ჰქონია „გამორჩეული“ ურთიერთობა. მისი მოხიბვლის მცდელობაში მათ ვერც კი შენიშნეს, რომ პირიქით მოხდა და ეს მან მოხიბლა ისინი თავისი „ორიგინალობით“.

განსაკუთრებით ჩერჩილი იყო ნაწყენი საბჭოელებზე იალტის შეთანხმების დარღვევის გამო, რაც ალბათ დიდად აოცებდა სტალინს. ეს იმიტომ, რომ რუმინეთში სულ ახლახან ჩატარებულ ანალოგიურ რეპრესიებზე ჩერჩილს ხმა არ ამოუღია, ხოლო საბჭოელები, თავის მხრივ, საბერძნეთში ბრიტანელების მოქმედებაში არ ჩარეულან. განა ამით არ აჩვენა ჩერჩილმა, რომ მხარს უჭერდა „გავლენის სფეროების“ კონცეფციას? განა ორმაგი სტანდარტი არ იყო მისი ახლანდელი პროტესტი პოლონეთში საბჭოელების მოქმედებაზე?

ჩერჩილი ამ არგუმენტებს არ იზიარებდა. მისთვის პოლონეთი განსაკუთრებული თემა იყო. მარტში რუზველტისადმი გაგზავნილ ვრცელ და

ემოციურ დეპეშაში იგი აღნიშნავდა, რომ პოლონეთს მიიჩნევდა „ისეთი ღირებულებების საცდელ ობიექტად ჩვენსა და რუსებს შორის, როგორიცაა დემოკრატია, სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, წარმომადგენლობითი მთავრობა და თავისუფალი არჩევნები“[18]. იგი ხედავდა, რომ „მოლოტოვს არალუბლინელ პოლონელებთან ვითომდა კონსულტაციის ფარსის გათამაშება სურს, რათა საქმეში ჩაუხედავ ხალხს უფრო ლეგიტიმურად მოაჩვენოს პოლონეთის ახალი მთავრობა. მას აგრეთვე სურს მიჩქმალოს ის მასობრივი მკვლელობა, დეპორტაცია და ტოტალური რეჟიმის დამკვიდრების სხვა მცდელობანი, რომლებიც არჩევნებისა და ახალი მთავრობის დაკომპლექტების წინა პერიოდში ხდება. თუ ახლავე არ ჩავერიეთ, მალე მთელი მსოფლიო იფიქრებს, რომ მე და თქვენ ყირიმის შეთანხმებაზე ხელმონერით ამ თაღლითობის გეგმა დავამტკიცეთ“.

რუზველტმა (რომლის დეპეშებს მისი ავადმყოფობის გამო ძირითადად მისი მრჩევლები ბირნსი და ლიიჰი წერდნენ) ჩერჩილის დეპეშას 11 მარტს უპასუხა, სადაც თავაზიანად აღნიშნავდა, რომ „ერთადერთი განსხვავება“ ბრიტანელებსა და ამერიკელებს შორის ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი „ტაქტიკურ მიდგომაშია“; და რომ მისი „ტაქტიკა“ გულისხმობდა, არ გაემწვავებინა ურთიერთობა სტალინთან მანამ, სანამ მისი ელჩი მოსკოვში ყველა შესაძლებლობას არ ამოწურავდა.

ჩერჩილის დაშოშმინების ამ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია. პრემიერ-მინისტრი მომდევნო 13 მარტის დეპეშაში კიდევ უფრო შეშფოთებული წერდა: „პოლონეთმა დაკარგა თავისი საზღვრები. ნუთუ ახლა თავისუფლებაც უნდა დაკარგოს? ჩვენი პარლამენტი და საზოგადოება გვერდს ვერ აუვლიან ამ კითხვას. არ მსურს გავაშიშვლო ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მთავრობათა შორის უთანხმოება, მაგრამ იძულებული ვარ გამოვააშკარავო ის ფაქტი, რომ იალტის გადაწყვეტილებები სრულ კატასტროფას განიცდის, ჩვენ, ბრიტანელებს კი არ გაგვაჩნია საკმარისი ძალები ამის თავიდან ასაცილებლად და ჩვენი აქტიურობის ლიმიტი უკვე ამოწურულია“[19].

რუზველტი არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევდა, რომ ჩერჩილი აჭარბებდა. როგორც პრეზიდენტმა კონფერენციის შემდგომ აღნიშნა, იალტის შეთანხმების ბუნდოვანი ტექსტი სტალინს მოქმედების დიდ თავისუფლებას ანიჭებდა. ჰოდა რა აღელვებდა ასე ძალიან ჩერჩილს? მართალია იგი ირწმუნებოდა, რომ ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ სტალინის მიერ იალტის შეთანხმების დარღვევა იყო, მაგრამ არსებობდა სხვა უფრო მთავარი რამ. ჩერჩილმა იცოდა, რომ ბრიტანეთში არჩევნები ახლოვდებოდა და ელექტორატი მას არ აპატიებდა იმ ქვეყნის ღალატს, რომლის გულისთვისაც მათი ქვეყანა ომში ჩაება. უფრო მეტიც, ჩერჩილისთვის პოლონეთის საკითხი მისი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი და რამდენიმეწლიანი

მოღვაწეობის შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი იყო. რუზველტს კი, რომელსაც ახალი დაწყებული ჰქონდა თავისი პრეზიდენტობა მეორე ვადით, ასეთი საფიქრალი არ ჰქონდა.

და მაინც, ამ გადამწყვეტ მომენტშიც კი ჩერჩილის რიტორიკა საკმარისად გულწრფელი როდი იყო. იმ დროს, როცა იგი საქვეყნოდ ყურადღებას ომის მორალურ მხარეებზე ამახვილებდა, კერძო საუბრებში მათ მიმართ ნაკლებ ერთგულებას იჩენდა. იალტის შემდგომ, 13 თებერვალს მას კამათი მოუვიდა თავის საველე მარშალ ალექსანდერთან, რომელმაც თხოვა მეტი ყურადღება დაეთმო იტალიის ომისშემდგომი რეკონსტრუქციისთვის. ალექსანდერმა მაშინ აღნიშნა: „ამ ომში ხომ ამისათვის ვიბრძვით – უზრუნველგვეყო ევროპის ხალხთა თავისუფლება და ღირსეული ცხოვრება“.

„ნურას უკაცრავად“, უპასუხა ჩერჩილმა. „ჩვენ ვიბრძვით, რათა უზრუნველგვეყო ბრიტანელი ხალხისადმი სათანადო პატივისცემა“[20].

რუზველტმა ჩერჩილს 13 მარტის წერილზე საკმაოდ მშრალი პასუხი გაუგზავნა: „დამამწუხრა თქვენ მიერ გამოთქმულმა აზრებმა... ვერ დაგეთანხმებით, თითქოს იალტის შეთანხმების დარღვევის საფრთხის წინაშე ვიმყოფებით მანამ, სანამ მოსკოვთან მოლაპარაკების გზით დაბრკოლებების გადალახვის ყველა მცდელობას არ ამოვნურავთ[21]“.

ჩერჩილი მიხვდა, რომ ძალზე ღრმად შეტოპა. ამიტომ დაძაბულობის შესანელებლად რუზველტს მაამებლური შეტყობინება გაუგზავნა, სადაც წერდა: „ვიმედოვნებ თავი არ მოგაბეზრეთ ჩემი მრავალრიცხოვანი დეპეშებით, რომელთა გამოგზავნა ჩვენმა მძიმე და ჩახლართულმა საქმეებმა მაიძულა. ჩვენი მეგობრობაა ის კლდე, რომელზეც ვცდილობ მსოფლიოს მომავლის აშენებას, ვიდრე მეც ერთ-ერთი მშენებელი ვარ“[22]. რუზველტმა მას არ უპასუხა, რის გამოც შეწუხებულმა ჩერჩილმა 30 მარტს ჰკითხა: „სხვათა შორის, მიიღეთ თუ არა ჩემი პირადი მესიჯი?“[23] რუზველტმა მხოლოდ მაშინ გაამხილა, რომ მიიღო ეს „ფრიად სასიამოვნო“[24] შეტყობინება.

მიუხედავად იმისა, რომ რუზველტი ჩერჩილთან შედარებით ნაკლებად ემოციური იყო პოლონეთთან მიმართებაში, იგი გვარიანად გაბრაზდა, როდესაც სტალინმა ამერიკელებს ღალატი დასწამა იმ მოტივით, თითქოსდა ისინი შვეიცარიის ბერნში გერმანელ ოფიცრებს შეხვდნენ იტალიის სავარაუდო კაპიტულაციის განსახილველად. სტალინი ამ გარიგებას აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელთა გააფთრებული წინააღმდეგობისა და დასავლეთის ალიანსის მიერ დასავლეთ გერმანიის სწრაფი ოკუპაციის მიზეზად აღიქვამდა. სტალინის მხრიდან ღალატში ცილისწამებით გაცოფებულმა რუზველტმა 4 აპრილს მას მისწერა: „არ შემიძლია დავმალო ჩემი ღრმა აღშფოთება თქვენი აგენტების მიმართ ასეთი მტკნარი სიცრუის გამო“[25].

საპასუხო წერილში სტალინმა საგრძნობლად შეარბილა თავდასხმითი ტონი. მაგრამ თუ ამ თემაზე მზად იყო უკან დაეხია, პოლონეთის საკითხში ერთი გოჯითაც არ აპირებდა საკუთარი პოზიციის დათმობას. 7 აპრილის საპასუხო შეტყობინებაში რუზველტისადმი, რომელმაც საბჭოთა ლიდერს 31 მარტს როგორც იქნა გაუგზავნა საპროტესტო დეპეშა პოლონეთის თემაზე, სტალინი ეთანხმებოდა ამერიკის პრეზიდენტს, რომ „პოლონეთთან დაკავშირებით მოვლენები მართლაც ჩიხში მოექცა"[26], მაგრამ ამტკიცებდა, რომ ამის მიზეზი დასავლელი მოკავშირეების მიერ „ყირიმის კონფერენციის პრინციპებიდან გადახვევა" იყო .

აშკარა იყო პოლონეთის საკითხზე როგორც იალტის შეთანხმების, ასევე ბოლო სამი წლის დებატების ორაზროვანი და ბუნდოვანი ენის სავალალო შედეგი. სტალინი უკვე მარტო იმას კი არ მოითხოვდა, რომ პოლონეთის მთავრობის ხერხემალი ლუბლინელი პოლონელები ყოფილიყვნენ, არამედ იმასაც, რომ მის ყველა ახალ წევრს „აქტიურად ეღვაწა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის უზრუნველსაყოფად". ხოლო იმის განსაზღვრა, თუ ვის უნდა „ეღვაწა აქტიურად" საბჭოელების პრეროგატივა უნდა ყოფილიყო. ეს იყო სტალინური რეჟიმისთვის დამახასიათებელი ბუნდოვანი ცნებების ერთგვარი ნაირსახეობა – „ხალხის მტერის" იმ საბრალდებო იარლიყის დადებითი ვერსია, რომლის მოცილებაც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

სტალინი წერდა: „საბჭოთა მთავრობა ამას პოლონეთის განთავისუფლებისთვის დაღვრილი საბჭოთა მეომრების ზღვა სისხლისა და იმ ფაქტის გამო ითხოვს, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში პოლონეთის ტერიტორია ორჯერ გამოიყენა მტერმა რუსეთზე თავდასხმისთვის. ყოველივე ეს საბჭოთა მთავრობას აიძულებს, ყველაფერი იღონოს, რათა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს".

რუზველტი ჩერჩილზე უკეთ აცნობიერებდა, რომ იალტის შეთანხმების ხარვეზების გამო დასავლელ მოკავშირეებს მხოლოდ შეზღუდული პროტესტის საშუალებაღა რჩებოდათ. პრეზიდენტის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ჩერჩილისათვის გაგზავნილ მის ერთ-ერთ ბოლო დეპეშაში ვკითხულობთ: „საერთოდ საბჭოთა პრობლემების მაქსიმალური მინიმიზაციის მომხრე ვარ, რადგან, როგორც ჩანს, ეს პრობლემები ამა თუ იმ ფორმით ყოველდღე წამოიჭრება"[27].

1945 წლის 30 მარტს რუზველტმა თეთრი სახლი დატოვა და ჯორჯიას შტატის თბილი წყაროების კურორტზე გაემგზავრა. ეს მისი ერთ-ერთი ბოლო მოგზაურობა გამოდგა. კურორტზე მისი კაბინეტი სავსე იყო დოკუმენტებით სან ფრანცისკოს მომავალი კონფერენციის შესახებ, სადაც გაეროს შექმნა იყო დაგეგმილი. სიცოცხლის ბოლო წუთამდე რუზველტი გაეროს შესახებ საკუთარ გეგმაზე იყო ფოკუსირებული. ამ გრანდიო-

ზულ იდეასთან შედარებით მას პოლონეთში საბჭოელების თვითნებობის „წვრილმანები" უმნიშვნელოდ მიაჩნდა.

ალბათ სიმბოლურიცაა, რომ ბევრი ჭორი გავრცელდა იმ კაცის სიკვდილის შესახებ, რომლის „ერთმა ხელმა არ იცოდა რას იქმოდა მეორე". მან ამერიკელ ხალხს დაუმალა არა მარტო თავისი ინვალიდობისა და ავადმყოფობის სიმძიმე, არამედ პირადი ინტიმური ცხოვრებაც. მრავალი წლის წინ ელეონორაზე დაქორწინებისთანავე, მას საკუთარი მეუღლის პირადი მდივანი ლუსი მერსერი შეუყვარდა. ამის გამო იგი ერთ ხანს ელეონორასთან განშორებასაც კი ფიქრობდა, მაგრამ ბოლოს მაინც ცოლიანობა და პოლიტიკური კარიერის შენარჩუნება არჩია. ახლა კი მას კვლავ ლუსისთან ყოფნა სურდა. 9 აპრილს რუზველტი ისევ გაემგზავრა თბილი წყლების კურორტზე, ამჯერად ლუსისა და მხატვარ ელიზაბეტ შემატოვის თანხლებით, რომელსაც მისი პორტრეტი უნდა დაეხატა. 12 აპრილს იგი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო წუთებში მის გვერდით მეუღლე ელეონორას მაგივრად ლუსი იმყოფებოდა.

ჩერჩილმა თემთა პალატაში წესისამებრ პატივი მიაგო პრეზიდენტის ხსოვნას, მაგრამ მის დაკრძალვას რატომღაც არ დასწრებია, რასაც მოგვიანებით ნანობდა კიდეც. მაშინ იმის მომიზეზება, თითქოსდა საქმეებით იყო დაკავებული, არადამაჯერებელია. ომისდროინდელ სახელმწიფო მოღვაწეთაგან ის ყველაზე მეტს მოგზაურობდა და რომ მოესურვებინა, ამ შემთხვევაშიც გამონახავდა დროს. როგორც ჩანს, დაკრძალვაზე დაუსწრებლობა იყო უბადრუკი და უგუნური მცდელობა, სამაგიერო გადაეხადა რუზველტისათვის, რომელმაც ბოლო ხანს მხარი არ აუბა სტალინის საწინააღმდეგო პროტესტში.

ბერლინის აღება

ამასობაში გააფთრებული ბრძოლები უკვე ბერლინში მიმდინარეობდა; და ევროპის ომის ამ ფინალური ბატალიების დაგეგმვამ და მსვლელობამ ალიანსსა და სტალინს შორის დეზინტეგრაციის ახალი ნიშნები წარმოაჩინა.

ამ ოპერაციის დაგეგმვა ხდებოდა მარტ-აპრილში და მას თან სდევდა სტალინის მუდმივი ეჭვი, თითქოს დასავლეთის ალიანსი გერმანიასთან ერთგვარ სეპარატულ ზავს ეძებდა ბერნის მოლაპარაკების მეშვეობით – ცილისწამება, რამაც ასე ძალიან გააღიზიანა პრეზიდენტი რუზველტი სიცოცხლის ბოლო დღეებში.

სტალინმა 29 მარტს ღამით კრემლში ყველაზე წარჩინებული საბჭოთა სარდალი ჟუკოვი დაიბარა და დაზვერვის მონაცემები გააცნო, რომელთა თანახმადაც დასავლელი მოკავშირენი ნაცისტების აგენტებთან

აწარმოებდნენ მოლაპარაკებას. საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ რუზველტი არ დაარღვევს იალტის შეთანხმებას [რომლის თანახმადაც ბერლინი საბჭოელების საოკუპაციო ზონას მიეკუთვნებოდა], მაგრამ ჩერჩილი ყველაფერზე წამსვლელიაო[28].

სტალინს ახალი მიღებული ჰქონდა გენერალ ეიზენჰაუერის დეპეშა, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ დასავლელი მოკავშირეები უახლოეს ხანში ბერლინზე შეტევას არ აპირებდნენ. ეჭვიანმა სტალინმა იფიქრა, რომ მოკავშირეები ატყუებდნენ: რაკი თქვეს არ შევუტევთო, ესე იგი ნაღდად შეუტევენო. იგი აშკარად ისეთსავე პარანოიდულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიც 1941 წლის გაზაფხულზე ნაცისტების საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინა პერიოდში. ამიტომ 1 აპრილს გენერალ ეიზენჰაუერს გაუგზავნა თავისი ზრახვების საპირისპირო შინაარსის დეპეშა, რომელშიც ირწმუნებოდა, რომ არც ის თვლიდა პრიორიტეტად ბერლინის აღებას, რადგან „ქალაქს დაკარგული აქვს პირვანდელი სტრატეგიული მნიშვნელობა“[29].

იმავდროულად სტალინმა გააკეთა სვლა, რომელიც გათვლილი იყო როგორც იმაზე, რომ უპირატესობა მოეპოვებინა მოკავშირეებზე, ასევე იმაზე, რომ შეებღალა ჟუკოვის მხედარმთავრული ღირსება. მან თავის გენერლებს განუცხადა, რომ ბერლინზე შეტევას ერთდროულად ორი საარმიო შენაერთით აპირებდა. ეს იქნებოდა შეჯიბრი ჟუკოვის 1-ლ ბელორუსიის ფრონტსა და კონევის 1-ლ უკრაინის ფრონტს შორის. „სტალინი სამარცხვინო ინტრიგას აღვივებდა“, ამბობს მაშინდელი 45-ე ქვეითთა კორპუსის შტაბის მაიორი მაჰმუდ გარეევი[30]. „როდესაც ბერლინის რუკაზე ამ ორ ფრონტს შორის სადემარკაციო ხაზი გაავლეს, სტალინმა ხაზი წაშალა და თქვა, ვინც პირველი შევა ბერლინში, გამარჯვებაც მას ჩაეთვალოსო. ეს შუღლს თესავდა... ამას იგი იმისთვის აკეთებდა, რომ თავში არავის ავარდნოდა და არ დავიწყებოდა, რომ ერთი უბრალო გენერალი იყო, თუნდაც ბერლინის ამღები... ამასთან მას უკვე აღიზიანებდა ჟუკოვის ავტორიტეტის უზომოდ გაზრდის პერსპექტივა“.

16 აპრილს ჟუკოვის შენაერთებმა მასიური იერიში მიიტანეს ბერლინის გარეუბანში სილოუს სიმაღლეებზე გამაგრებულ გერმანელთა ბოლო პოზიციებზე, ოთხ დღეში მიანგრ-მოანგრიეს ისინი და 20-ში, ჰიტლერის დაბადების დღეს უკვე ნაცისტების ბოლო თავშესაფარს – ფიურერის ბუნკერს ბომბავდნენ.

ბელორუსიის ფრონტის ერთ-ერთი საარტილერიო შენაერთის კაპიტნის ვლადენ არჩიშკინისთვის[31] ეს წლების განმავლობაში ბრძოლის კულმინაცია იყო: „როგორც იქნა ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ეს იყო ტრიუმფი, დიდი მარათონის დასასრული. ძალიან დატვირთული ვიყავი ემოციურად და ფსიქოლოგიურად. ცხადია, არ მინდოდა მოვმკვდარიყავი

ან თუნდაც დავჭრილიყავი. მინდოდა მეცოცხლა გამარჯვებამდე, რომელიც ასე ახლოს იყო".

არჩიშკინი აცნობიერებს, რომ ომის სასტიკმა წლებმა მისი და მისი თანამებრძოლების ხასიათი შეცვალეს: „ომი ადამიანს მხეცად აქცევს. მეომარ ჯარისკაცს ინტელექტუალს ვერ უწოდებ. თვით ინტელექტუალშიც კი, ამდენი სისხლის, გადმოყრილი ნაწლავებისა და გასხმული ტვინის ხილვის შემდეგ, თვითგადარჩენის ინსტიქტი მძაფრდება... მასში ყოველივე ჰუმანური ქრება. ჯარისკაცი მხეცად იქცევა".

ბერლინის ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი და გააფთრებული შეტაკება გამოდგა მთელი ომის პერიოდში. მართალია დასავლეთში ეიზენჰაუერს დღემდე აკრიტიკებენ საბჭოელებისთვის ბერლინის დათმობის გამო, მაგრამ მან იმთავითვე იცოდა, რომ ამ ბრძოლებს დიდი დანაკარგები მოჰყვებოდა. ბერლინის აღებას 80 000 საბჭოთა ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა, აქედან 25 000 უშუალოდ ბერლინში დაიღუპა.

„უამრავი ჩვენი მეომარი დაიხოცა", ამბობს ვლადენ არჩიშკინი. „ეს იყო განუწყვეტელი შტურმი – დღისით და ღამით. გერმანელებმა გადაწყვიტეს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლათ. მათი შენობები მაღალი, მყარსაძირკვლიანი და კარგად გამაგრებული იყო... ჩვენი ბატალიონი საშინელ დაბნეულობასა და ქაოსში იბრძოდა და ძნელი იყო მტერ-მოყვარის გარჩევა. ასეთ დროს შეიძლება შენიანი შემოგაკვდეს. ამდენი ჭურვისა და ბომბის აფეთქება თითქოს დედამინას აყირავებდა".

ასეთ ქაოსში მიმდინარეობდა დაძაბული მეტოქეობა ჟუკოვსა და კონევს შორის. ჟუკოვის 1-ლი ბელორუსიის ფრონტის ოფიცერს ანატოლი მერეშკოს[32] დაევალა გაერკვია, თუ რომელი ფრონტის შენაერთმა შეაღწია პირველმა ბერლინში: „მე ტყვიამფრქვევიან მანქანაში ჩავჯექი, ჩვენი ტანკებისკენ გავემართე და მეომრებს გავესაუბრე. ერთმა მითხრა ბელორუსიის ფრონტიდან ვარო, მეორემ – უკრაინის ფრონტიდანო. როცა ვიკითხე, თუ პირველი ვინ შევიდა ქალაქში, მიპასუხეს არ ვიციოთო. ამის შემდეგ გერმანელ მოქალაქეებს ვკითხე: „პირველად ვისი ტანკები შემოვიდა?" მპასუხობდნენ, რუსებისო. ამ ფრონტების ტანკებს შორის განსხვავების დანახვა სამხედროებს უჭირდათ და ისინი როგორ შეძლებდნენ? ამიტომ უკან დაბრუნებისას უფროსობას ვუპატაკე, რომ ბერლინში პირველები ჟუკოვის ტანკები შევიდნენ. ასე გაიმართა მოსკოვში საზეიმო ფეიერვერკი მის პატივსაცემად".

ამ მეტოქეობამ ბრძოლებისას მტერ-მოყვარის ადგილსამყოფელის გარჩევა გააძნელა. „მეტოქეობა დანაშაული არაა", ამბობს არჩიშკინი, „მაგრამ ბერლინში ამას კარგი არაფერი მოჰყოლია, რადგან ზოგჯერ მეომრები ვერ არჩევდნენ, ვინ სად იყო. ამის გამო ამ ორი ფრონტის გამყოფ ხაზზე ბევრი მეომარი დაიღუპა თანამებრძოლთა ხელით".

სიძნელეების მიუხედავად, წითელი არმია ბერლინში დიდი ენთუზიაზმით იბრძოდა. „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ მხეცი საკუთარ ბუნაგში მივიმწყვდიეთ“, წერდა ერთ-ერთი წითელარმიელი თავისიანებს. „შურს ვიძიებთ მთელი ჩვენი ტანჯვა-ნამებისთვის“[33]. სწორედ ასეთი „შურისძიების“ ვარიანტი შესთავაზა მაშინ თავისი ქვეყნის მეომრებს საბჭოთა პროპაგანდისტმა ილია ერენბურგმა, რომელმაც გააჟღერა მოწოდება: „წითელი არმიის მეომრებო, გერმანელი ქალები თქვენია!“[34].

გაუპატიურებამ გერმანიაში მასობრივი ხასიათი მიიღო და მასშტაბით უნგრეთის მონაცემებსაც კი გადააჭარბა. დაახლოებით 2 მილიონ ქალზე განხორციელდა ძალადობა. ამ პირუტყვობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ერთი ბერლინელი ადვოკატის თავს გადამხდარი ამბავი, რომელმაც თავისი ებრაელი ცოლი ნაცისტების დევნას გადაარჩინა, წითელი არმიის მეომრების ძალადობას კი ვერა. მას ესროლეს და მომაკვდავს აყურებინეს, თუ როგორ აუპატიურებდა მის მეუღლეს მათი მთელი ხროვა[35].

ბერლინის გარეუბანი პოტსდამი, სადაც მოგვიანებით მოკავშირეთა ბოლო საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, თითქმის მთლიანად ნანგრევებად იქცა. ინგრიდ შულერი[36] ჩვიდმეტი წლის იყო, როცა წითელი არმია პოტსდამში შევიდა. „მე ჩემმა მშობლებმა დამმალეს“, იგონებს იგი. „ძალიან გაგვიმართლა, რომ მე და დედაჩემი ძალადობას გადავურჩით... საბჭოელები პირდაპირ ნადირობდნენ ქალებზე... ჩვენს ქუჩაზე რუსები ერთი მეფუნთუშის სახლში შეცვივდნენ მისი ცოლის გასაუპატიურებლად. ქმარი სახლში აღმოჩნდა და ცოლის დაცვას შეეცადა. მას ესროლეს და მოკლეს, ქალი კი გააუპატიურეს“.

უზარმაზარია წითელი არმიის მიერ 1945 წლის პირველ ნახევარში გერმანიაში ჩადენილი მხეცობის მასშტაბი. ამის მოტივაციისთვის ძლიერი ფაქტორები არსებობდა. ვლადიმერ ანჩიშკინი ასე ამართლებს ამ ძალადობას: „რომ დამჯდარა ეს გერმანელი ლამაზმანი და ველური რუსებისგან მიყენებულ ტკივილებზე მოთქვამს, მაშინ რატომ არ ტიროდა, როცა აღმოსავლეთის ფრონტიდან ნაირნაირ ამანათებს იღებდა?“ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აღწერდნენ საბჭოთა ჯარისკაცები სახლში გაგზავნილ წერილში ამ ძალადობის ამბებს. 1945 წლის თებერვლით დათარიღებულ ერთ-ერთ ასეთ იშვიათ წერილში ვკითხულობთ: „გერმანელმა ქალებმა ერთი რუსული სიტყვაც კი არ იციან. ეს საქმეს აადვილებს. მათი დაყოლიება არაა საჭირო, მხოლოდ ნაგანს მიუშვერ და ანიშნებ დაწექიო. იზამ შენს საქმეს და ჰაიდა!“[37]

რა თქმა უნდა, ეს ძალადობა, ისევე როგორც უნგრეთში ჩადენილი ანალოგიური უმსგავსობა, მასიური შურისძიების კონტექსტით უნდა განვიხილოთ. წლების განმავლობაში წითელი არმია ებრძოდა მტერს, რომელიც აცხადებდა, რომ „შემმუსვრელ ომს“ აწარმოებდა. ჰოდა, ანალოგიურად

„შემმუსვრელი“ იყო შურისძიებაც. ამას ადასტურებს იგივე ანჩიშკინის მოგონებებიც, რომელიც თვითონ მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიაში ერთ-ერთი ასეთი შურისძიების პროცესში. როცა გერმანელ ესესელთა უკუქცეულმა ქვედანაყოფმა მას და მის თანამებრძოლებს სროლა აუტეხა, ანჩიშკინში წლობით ნაგროვებმა ბოღმამ ამოხეთქა და მალევე დატყვევებულ ამ ქვედანაყოფს სასტიკად გაუსწორდა.

„საშინლად ვიყავი გაცოფებული. მათ სათითაოდ ვიძახებდი ვითომდა დაკითხვაზე და დანით ყელს ვჭრიდი“, იხსენებს იგი. „ვერ წარმოიდგენთ რა რბილია ადამიანი – კარაქივით იჭრება დანით. თვალის დახამხამება და ყელი გამოჭრილია... რას ვგრძნობდი? მხოლოდ ერთს – შურისძიებას! გამოუსვამ დანას და გამოჭრი ყელს, თან ფიქრობ: „ჩემი მოკვლა გინდოდა, ხომ? ჰოდა მიიღე. ამდენი მეგობარი დამიხოცე, სანამ ძალა შეგწევდა. ახლა ჩემი ჯერია. ჰოდა მიიღე, ძაღლიშვილო, რაც დაიმსახურე!“

ბერლინში გერმანელებს აღარ შესწევდათ ძალა წითელი არმიის რისხვას გამკლავებოდნენ და 30 აპრილის საღამოს ჰიტლერმა თავი მოიკლა. ღრმადცოდვილ ფიურერს არასდროს უღიარებია, რომ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფის შემოქმედი იყო. ამიტომ სიმბოლურია მისი ბოლო ოფიციალური განცხადებაც: „თუ გერმანელი ხალხი ამ ომს წააგებს, ამით იგი დაამტკიცებს, რომ ჩემი ღირსი არ ყოფილა“[38].

ერთი კვირის შემდეგ, 7 მაისის დილით გერმანელთა უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსმა, გენერალმა ალფრედ იოდლმა უპირობო კაპიტულაციას მოაწერა ხელი. ევროპაში ომი დამთავრდა.

ახალი პრეზიდენტი

იმ დროს, როცა წითელი არმია აღმოსავლეთ ევროპაში მიღწეული გამარჯვების ზეიმისთვის ემზადებოდა, გარდაცვლილი რუზველტი პრეზიდენტის პოსტზე მისურის შტატის ყოფილმა სენატორმა და იმჟამინდელმა ვიცე-პრეზიდენტმა, სამოცი წლის ჰარი ტრუმენმა ჩაანაცვლა. როგორც თეთრი სახლის რუკების კაბინეტში მომუშავე ჯორჯ ელსეიმ შენიშნა: „პრეზიდენტი ტრუმენი პირად ურთიერთობაში ძირეულად განსხვავდებოდა პრეზიდენტ რუზველტისგან. პირველივე შტაბეჭდილება ასეთი გახლდათ – აი, პრეზიდენტი, რომელიც ფეხით დადის! ამასთან ერთად იგი ფიზიკურად ძლიერი და ენერგიული იყო. ფრანკლინ რუზველტზე მხოლოდ რამდენიმე წლით იყო უმცროსი, მაგრამ ქცევის, გარეგნობის თუ საუბრის მიხედვით გეგონებოდათ, რომ ასაკში განსხვავება ოცი-ოცდახუთი წელია. როცა პირველად შემოვიდა რუკების ოთახში, იგი თავად წარუდგა ყველა თანამშრომელს სიტყვებით: „მე ჰარი ტრუმენი გახლავართ“... ყველაფრის მიმართ

ცხოველ ინტერესს იჩენდა და ცდილობდა ყველა საქაღალდეს გასცნობოდა... ტრუმენი ყოველთვის მზად იყო რჩევის მისაღებად და არასოდეს მალავდა, თუ რამე არ იცოდა. რუზველტი კი ამას არასდროს აღიარებდა".

რაც შეეხებოდა საბჭოელებს, მათ ცოტა რამ იცოდნენ და ისიც მათთვის არასასიამოვნო ამ პროვინციელი პოლიტიკოსის შესახებ. ეს ხომ ის ტრუმენი იყო, რომელმაც 1941 წელს გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის პირველივე დღეებში ამერიკულ პრესას განუცხადა: „ამერიკამ ამ ომში ყოველთვის სუსტის მხარე უნდა დაიჭიროს, რათა რაც შეიძლება მეტი ხალხი დაიხოცოს ორივე მხარეს"[39]. ტრუმენი ნაკლებად ერკვეოდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ნიუანსებში, ამიტომ თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხებში ორ გამოცდილ პოლიტიკოსს – ჰარიმანს და ჰოპკინსს დაეყრდნო. 25 მაისს, რუზველტის გარდაცვალებიდან ექვსი კვირის შემდეგ, ჰარი ჰოპკინსი ტრუმენის დავალებით მოსკოვში ჩავიდა. ჰოპკინსმა იალტის კონფერენციის პერიოდი ლოგინში გაატარა. მას კიბო სჭირდა, რამაც ერთ წელიწადში შეინირა კიდეც. მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ჰოპკინსი მთელი სულითა და გულით ცდილობდა დახმარებოდა ახალ პრეზიდენტს.

ჰოპკინსი სტალინს 26 მაისის საღამოს შეხვდა. ეს შეხვედრა საგულისხმოა არა იმდენად მიღებული გადაწყვეტილებებით, რამდენადაც იმის დემონსტრირებით, რომ პირადად სტალინი – და არა „ვიღაც მის ზურგს უკან" – აკონტროლებდა საბჭოთა პოლიტიკას. ჰოპკინსმა შეხვედრის დასაწყისშივე ხაზი გაუსვა, რომ ამერიკულ „საზოგადოებრივ აზრზე" უარყოფითად მოქმედებდა „პოლონეთის შესახებ იალტაში მიღებული შეთანხმების შეუსრულებლობა"[40]. სტალინმა ამაში ბრიტანთი დაადანაშაულა, რომელსაც, მისი აზრით, სურდა „სანიტარიული კორდონი" მოეწყო საბჭოთა კავშირის საზღვრებთან, რათა საბჭოელები ეკონტროლებინა. ჰოპკინსმა განაცხადა, რომ ამერიკელ ხალხს ასეთი რამ არ სურდა და დაამატა, რომ ისინი ბედნიერნი იქნებოდნენ საბჭოთა საზღვრებთან „მეგობრული ქვეყნები" ეხილათ. ამ სიტყვებმა შესამჩნევად მოალბო სტალინი, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ პოლონეთის საკითხში „საერთო ენას ადვილად გამონახავდნენ".

ჰოპკინსის ორივე მინიშნება, რომ ამერიკაში საზოგადოებრივ აზრს დიდი წონა აქვს და რომ მხარს უჭერენ საბჭოელებისადმი „მეგობრული" პოლონეთის მთავრობას, სტალინმა წარმატებით გამოიყენა მეორე დღის შეხვედრაზე. საბჭოთა ლიდერმა განაცხადა, რომ არ აპირებდა „დამცავ ჟილეტად საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის გამოყენებას" და საბჭოთა მთავრობის აზრს გამოხატავდა. შემდეგ მან დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომელიც ასე ზუსტად იწინასწარმეტყველა რუზველტმა: მისი აზრით, იალტის შეთანხმება უკვე არსებული ლუბლინური მთავრობის სავარაუ-

დოდ „მცირე რეკონსტრუქციას“ ითვალისწინებდა. „მიუხედავად იმისა, რომ რუსები უბრალო ხალხია“, განაგრძო სტალინმა, „ისინი ბრიყვებად არ უნდა ჩაითვალონ, როგორც ამას ხშირად აკეთებს დასავლეთი. ისინი ბრმები არ არიან და საკმაოდ კარგად ხედავენ, თუ რა ხდება მათ თვალწინ. მართალია საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, რუსები მოთმინებას იჩენენ, მაგრამ მათ მოთმინებასაც აქვს საზღვარი“[41]. მან იქვე აღნიშნა, რომ თუ ამერიკელები შეეცდებიან თავიანთი დახმარება ანუ ლენდ ლიზი რუსეთზე ზემოქმედების ბერკეტად გამოიყენონ, ეს „ფუნდამენტური შეცდომა“ იქნებაო. ეს იყო გამომწვევი საუბარი, რომელმაც მიზანს მიაღწია. ჰოპკინსმა კატეგორიულად უარყო ბრალდება, რომ იგი ამერიკის საზოგადოებრივი აზრის უკან იმალებოდა ან ცდილობდა ლენდ ლიზის „ზემოქმედების იარაღად“ გამოყენებას. სტალინმა ირონიულად შენიშნა, ეტყობა საზოგადოებრივი აზრის შესახებ ჩემს მსჯელობას მაგრად გაულიზიანებია ბატონი ჰოპკინსიო.

ასეთი იყო ნამდვილი სტალინი – ცივი, უემოციო, შეურაცხმყოფელი განცხადებებით ოპონენტის წონასწორობიდან გამომყვანი. მას საკმარისი ნებისყოფა ჰქონდა საიმისოდ, რომ საკუთარი ემოციები ეკონტროლებინა და თავის გესლიან შენიშვნებს იყენებდა არა ამ ემოციების შესაკავებლად ან წარმოსაჩენად, არამედ ოპონენტის სიძლიერის მოსასინჯად. ასევე დაგესლა მან რამოდენიმე კვირით ადრე რუზველტი ვითომდა ნაცისტებთან მოლაპარაკების ბრალდებით და როცა ამერიკის პრეზიდენტი გაცხარდა, სტალინმა უკანვე წაიღო თავისი ბრალდება. საგულისხმოა, რომ ასეთი ქცევის გამო გაგზავნილ ჩერჩილის პროტესტს საბჭოთა ლიდერმა ამგვარად უპასუხა: „ჩემი შენიშვნები პირადული და უაღრესად კონფიდენციალურია. ეს მე საშუალებას მაძლევს, ღიად და გულწრფელად გამოვთქვა ჩემი აზრი. ესაა კონფიდენციალური კომუნიკაციის უპირატესობა, ხოლო თუ თქვენ ჩემს ნებისმიერ გულწრფელ ნათქვამს შეურაცხყოფად ჩათვლით, მაშინ ასეთი კომუნიკაცია გაძნელდება. გარწმუნებთ, რომ არ მქონია და არ მაქვს არავითარი განზრახვა ვინმე გავანაწყენო“[42].

ჩერჩილსაც, რუზველტსაც და ჰოპკინსსაც იმიტომ აღიზიანებდათ სტალინის ასეთი „წკიპურტები“, რომ მათ ეგონათ თითქოს სტალინთან ახლო პირადი ურთიერთობა აკავშირებდათ. სტალინმა კი მათგან განსხვავებით მშვენივრად იცოდა, რომ ამ შეხვედრებს საერთო არაფერი ჰქონდათ მეგობრობასთან ან „პირად ურთიერთობასთან“. სტალინს არ ეცალა იმაზე საზრუნავად, რომ ვინმეს მოწონებოდა. მისთვის მთავარი იყო ძალაუფლება და ლეგიტიმაცია; ძალაუფლება იმისთვის, რომ გავლენის ქვეშ ჰყოლოდა საბჭოთა კავშირის მეზობელი ქვეყნები და მათი „მეგობრულად განწყობილი“ მთავრობები; ლეგიტიმაცია იმისთვის, რომ საერთაშორისო აღიარება ჰქონოდა იალტის შეთანხმების საბჭოურ ინტერპრეტაციას. ამ

ორ მთავარ ასპექტში ყოველთვის სტალინს რჩებოდა გამარჯვება. გასაკვირი არაა, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებებში განაფულმა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედენმა ასეთი სიტყვები ჩაწერა თავის დღიურში: „მე რომ მოლაპარაკებისთვის გუნდის შედგენა შემეძლოს, ჩემი პირველი არჩევანი სტალინი იქნებოდა“[43].

1945 წლის მაისის შეხვედრებზე სტალინი ლამის ამასხარავებდა ამერიკის ახალი პეზიდენტის ემისარს. ის ჰოპკინსს უმტკიცებდა, რომ თანახმა იყო პოლონეთის დროებითი მთავრობის „ოთხი ან ხუთი“ მინისტრის პორტფელი დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის მიერ შერჩეული კანდიდატებისთვის გადაეცა, ვიდრე მოლოტოვმა არ „შეუსნორა“, რომ „ვარშაველი პოლონელები [ლუბლინელი პოლონელები უკვე „ვარშაველები“ გახდნენ!]“ ოთხზე მეტ მინისტრს არ დაუშვებენ სხვა დემოკრატიული წრეებიდანო. ეს ტრიუკი, რომ თითქოს იძულებული იყო თავისივე მარიონეტული მთავრობის ნება-სურვილზე ეელო, სტალინს ადრეც ჰქონდა გამოყენებული, მაგრამ არავის ყოფნიდა გამბედაობა იგი ამ სიცრუეში ემხილებინა.

შეხვედრის დასასრულ ჰოპკინსმა მხურვალე მოწოდებით მიმართა საბჭოელებს მათ მიერ ახლად ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაემკვიდრებინათ ატლანტიკის ქარტიისთვის ესოდენ ძვირფასი „სიტყვის, შეკრებებისა და რელიგიის“ თავისუფლებები. საპასუხო სიტყვაში სტალინმა კიდევ ერთხელ გააპამპულა ჰოპკინსი, როცა აღნიშნა: „რაც შეეხება ბატონი ჰოპკინსის მიერ ჩამოთვლილ სპეციფიკურ თავისუფლებებს, მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ... გარკვეული დოზით“. საბოლოოდ მიღწეული ვითომდა „კომპრომისი“ – დასავლეთის მიერ შერჩეული ხუთი მინისტრის შეყვანა პოლონეთის ახალ დროებით მთავრობაში – შორს იყო იმ იდეალისგან, რაზეც ჩერჩილი და რუზველტი ამყარებდნენ იმედებს იალტის კონფერენციის დასრულებისას.

მკაცრი რეალობა იმაში მდგომარეობდა, რომ პოლონეთი და საბჭოეთის სხვა მოსაზღვრე ქვეყნები დე-ფაქტოც და თითქმის დე-იურეც უკვე სტალინისა და საბჭოეთის მფლობელობაში იყვნენ. დასავლელ მოკავშირეებს იქ თითქმის არაფრის გაკეთება აღარ შეეძლოთ. ეს რეალობა მთელი სიცხადით გამოიკვეთა დიდი სამეულის ბოლო კონფერენციაზე, რომელიც საბჭოელების მიერ ოკუპირებულ გერმანიის ნაწილში ჩატარდა.

ნაცისტური გერმანიის განადგურებისთანავე სამმა მოკავშირე ლიდერმა გადაწყვიტა ერთმანეთს შეხვედროდნენ ბერლინთან ახლოს, მწვანეში ჩაფლულ პოტსდამში, ფრედერიკ დიდის გრანდიოზულ სასახლეში. ამ ადგილის შერჩევა სიმბოლურად აღნიშნავდა არა მარტო გერმანიის დაცემას, არამედ საბჭოელების ჰეგემონურ როლს აღმოსავლეთ ევროპაში. იალტის მსგავსად ეს კონფერენციაც საბჭოელების მიერ იყო ორგანიზებული. ნიშანდობლივია, რომ არც ომის განმავლობაში და არც ომის შემდეგ სტალინს არასოდეს უმოგზაურია ტერიტორიაზე, რომელსაც მისი უშიშროების სამსახური არ აკონტროლებდა. მას მიაჩნდა, რომ რაც უფრო ძლევამოსილი იყო პიროვნება, მით უფრო მეტი მანძილი უნდა გაევლოთ სხვებს მასთან შესახვედრად.

იალტაში მიღწეული შეთანხმებით ბერლინი ოთხ სექტორად დაიყო – ამერიკული, საბჭოთა, ბრიტანული და ფრანგული (მაკონტროლებელი ქვეყნების მიხედვით). როგორც მაშინდელი გერმანელი თინეიჯერი, საბჭოთა ჯარისკაცების ძალადობას შემთხვევით გადარჩენილი ინგრიდ შულერი იხსენებს, „ეს იყო ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ორი სამყარო – რუსების და დასავლელი მოკავშირეების... ჩემი გარეუბანი ამერიკელთა საკონტროლო ზონაში მოხვდა. იქ შესანიშნავი სიტუაცია იყო. ისინი ადგილობრივ ხალხთან გულღიად საუბრობდნენ. ქუჩები უსაფრთხო იყო და ხალხი თავს მშვიდად გრძნობდა". ინგრიდისთვის გაუგებარი იყო „ეს ალიანსი ამ ორ სამყაროს" შორის. „აღმოსავლეთში ხომ არავითარი დემოკრატია არ არსებობდა; მათ ხომ რაიმეს თქმის უფლებაც კი არ ჰქონდათ; მათ ხომ ყველაფერს კარნახობდნენ; მათ ხომ გაუთავებლად სულ სადღაც ასახლებდნენ... მეორე მხარეს კი თავისუფლება სუფევდა".

პოტსდამის კონფერენციის წინა პერიოდში როგორც იქნა „გადაიჭრა" დასავლეთის მიერ პოლონეთის დროებითი მთავრობის აღიარების საკამათო საკითხი. ივნისში „ახალი" დროებითი მთავრობა ჩამოყალიბდა, თუმცა ბევრს იგი ისევ ძველად ეჩვენებოდა, რადგან შემადგენლობის სამი მეოთხედი საბჭოელების შერჩეული იყო. მიუხედავად ამისა, საბჭოელების მიერ დასავლეთთან ურთიერთობის დესტაბილიზაციის შიშით ბრიტანელებმაც და ამერიკელებმაც ხარბად აიტაცეს პოლონეთის შუალედური მთავრობის ლეგიტიმაციის ეს საბჭოური ვარიანტი. გარდა ამისა მათ საბოლოოდ აღიარეს პოლონეთის ახალი საზღვრები, რითაც საბჭოელებს ნაცისტებთან 1939 წლის გარიგებით მიტაცებული მთელი აღმოსავლეთ პოლონეთის ტერიტორია დაუკანონეს.

პოლონეთის დროებითი მთავრობის ლეგიტიმურობა ამერიკელებმა 5 ივლისს, ხოლო ბრიტანელებმა 6 ივლისს ცნეს. ემიგრაციაში მყოფი პო-

ლონეთის მთავრობისა და დასავლელ მოკავშირეთა მხარეზე მებრძოლი პოლონელების იმედგაცრუებასა და გულისტკივილს საზღვარი არ ჰქონდა. გენერალი ანდერსი წერდა: „ასე მოისროლეს სანაგვეზე პოლონეთის პრეზიდენტი ბ-ნი რადზიევიჩი, რომელსაც თვით მეფე გეორგ VI დახვდა პადინგტონის სადგურში 1940 წელს, ასევე პოლონეთის მთავრობა ლონდონში და პოლონეთის შეიარაღებული ძალები, რომლებიც ამდენ ხანს იბრძოდნენ დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მხარდამხარ... 1940 წელს ჩერჩილი გენერალ სიკორსკის არწმუნებდა, ამ ომმა სამუდამოდ გადაგვაჯაჭვა ერთმანეთსო. როგორც ჩანს, საბჭოთა რუსეთი ამ ჯაჭვზე ბევრად უფრო ძლიერია"[44].

მაგრამ ანდერსმა არ იცოდა ერთი ამბავი: პოტსდამის კონფერენციის წინა დღეებში ბრიტანელებმა განიხილეს „რუსეთისთვის შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის იმპერიის ნება-სურვილის თავს მოხვევის შესაძლებლობის" საკითხი. საქმე ისაა, რომ საბჭოელების მიერ იალტის შეთანხმების სისტემატიური დარღვევებით გაღიზიანებულმა ჩერჩილმა სამხედრო ექსპერტებს დაავალა, გაეანალიზებინათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სავარაუდო საომარი მოქმედების მოსალოდნელი შედეგები. ამ საიდუმლო პირობით გეგმას „წარმოუდგენელი ოპერაცია" (*Operation Unthinkable*) ერქვა და მისი ანალიზის შედეგები 1945 წლის 22 მაისს დაიდო. ეს უცნაური დოკუმენტი ბრიტანეთის პოლიტიკური კურსის მყისიერი და მკვეთრი ცვლილების მცდელობას წარმოადგენს. მისი დასკვნითი ნაწილი მკაცრ რეალობას ასახავს: „იმისთვის, რომ გადაჭრით და საბოლოოდ მივაღწიოთ ჩვენს პოლიტიკურ მიზნებს, აუცილებელია რუსეთის დამარცხება ტოტალურ ომში. რუსეთთან ტოტალური ომის შედეგების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი ომის მოგება ძალიან დიდ დროს წაიღებს"[45]. სამეფო გენშტაბის უფროსი სერ ალან ბრუკი კი 24 მაისს თავის დღიურში უფრო გულახდილად წერს: „ამ საღამოს ყურადღებით განვიხილეთ ექსპერტთა დასკვნა რუსეთთან უთანხმოების გაზრდის შემთხვევაში მისი დაპყრობის შესაძლებლობის თაობაზე. რასაკვირველია, იდეა ფანტასტიურია, ხოლო წარმატების შანსი თითქმის არ არსებობს"[46]. უზომოდ დიდი იყო საბჭოთა კავშირის სამხედრო პოტენციალი 1941 წლის ზაფხულის მონაცემებთან შედარებით, როცა წითელ არმიას უწინასწარმეტყველებდნენ, რომ გერმანელებთან ომში მხოლოდ რამდენიმე კვირას გაძლებდა. ახლა კი საბჭოთა კავშირის დაპყრობის იდეა მხოლოდ არასერიოზულ ადამიანს თუ მოუვიდოდა თავში.

ექსპერტების ამ დასკვნის გააზრებასთან ერთად ჩერჩილს ტრუმენთან ურთიერთობის დაწყების უსიამოვნო მომენტების გადალახვაც მოუხდა. ტრუმენმა ალიანსის სამეულიდან ბრიტანეთი თავიდანვე მეორეხარისხოვან მოკავშირედ მიიჩნია. ამერიკის პრეზიდენტმა საჭიროდ

არ ჩათვალა ჩერჩილთან წინასწარ განეხილა ჰოპკინსის მისია მოსკოვში. მან ასევე უგულებელყო ჩერჩილის შეთავაზება, წინასწარ შეხვედრილიყვნენ ერთმანეთს და მოსალოდნელი სამმხრივი მოლაპარაკებების ტაქტიკა შეემუშავებინათ. ისედაც დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო გაამწვავა ტრუმენის მიერ ბრიტანეთში ჯოზეფ დეივისის მივლინებამ ამერიკელთა პოლიტიკის ასახსნელად. ჯოზეფ დეივისი სწორედ ის კაცი იყო, ვინც 1943 წელს სტალინს გაანდო მოსაზრება, რომ ბრიტანეთი ომის შემდეგ „ეკონომიკურად მოიშლებოდა". ჩერჩილთან მისი საუბარი, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ გულთბილი გამოდგა.

ჩერჩილმა ტრუმენს შესთავაზა გაემკაცრებინათ ურთიერთობა სტალინთან საბჭოელების მიერ იალტის შეთანხმების დარღვევის გამო. კერძოდ, ჩერჩილი მოითხოვდა, რომ დასავლეთის შეიარაღებულ ძალებს არ დაეტოვებინათ მათ მიერ დაკავებული და იალტის შეთანხმებით საბჭოელების კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორია. მან ტრუმენს გამაფრთხილებელი დეპეშა გაუგზავნა, სადაც ეწერა, საბჭოელების ფრონტზე რკინის ფარდა ეშვებაო[47]. მაგრამ ტრუმენს არ სურდა სტალინთან კონფრონტაცია, მით უმეტეს ჩერჩილის ინიცირებული. იგი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ერთგვარ გარიყვას შეეცადა, როცა სთხოვა, რომ პოტსდამში მას შემდეგ ჩასულიყო, რაც ამერიკელები სტალინს წინასწარ ცალკე გაესაუბრებოდნენ. ჩერჩილმა უპასუხა, რომ ასეთ განრიგს „ვერ დაეთანხმებოდა[48]" და ამერიკელები იძულებული გახდნენ საერთო განრიგით ემოქმედათ.

პოტსდამის კონფერენცია 1945 წლის 17 ივლისს დაიწყო პრინც ვილჰელმის ყოფილ სასახლე ციცილიენჰოფში. ამერიკის პრეზიდენტი იქვე მდებარე დიდ სახლში დაბინავდა, რომელიც ახლო წარსულში მდიდარ გერმანელ გამომცემელს ჰანს-დიტრიხ მიულერ გროტეს ეკუთვნოდა. ტრუმენმა არაფერი იცოდა ამ სახლში დატრიალებული საშინელების შესახებ, ვიდრე 1950-იან წლებში სახლის მფლობელის ვაჟისგან შემდეგი შინაარსის წერილი არ მიიღო: „მაისის დამდეგს, თქვენამდე ათი კვირით ადრე რუსები შემოვიდნენ, ეს სახლი დაიკავეს და შიშისა და ძრწოლის ქვეშ ჰყავდათ მისი ბინადარნი. დღისით და ღამით მოდიოდნენ რუსი მძარცველები, აუპატიურებდნენ ჩემს დებს მათი მშობლებისა და შვილების თვალწინ, სცემდნენ ჩემს მშობლებს. მთელი ავეჯი, სათავსოები და ჩემოდნები ხიშტებით იყო დახვრეტილი და თოფის კონდახებით დამტვრეული, ხოლო რაც იქ ეწყო – გადმოყრილი და მიმოფანტული[49]"...

მართალია მაშინ ტრუმენმა არაფერი იცოდა ამ დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ, მაგრამ ბერლინში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა წითელარმიელთა მაროდიორობისა და ძალადობის მასშტაბები. „საბჭოელები ყველაფერს იტაცებდნენ", ამბობს ამერიკული დელეგაციის წევრი ჯორჯ

ელსეი. „საბჭოთა სატვირთო მანქანებს გერმანიიდან ყველაფერი გაჰქონდათ, რისი გატანაც შეეძლოთ. თვით იმ სასახლეშიც კი, სადაც კონფერენცია მიმდინარეობდა, საბჭოელებმა დაშალეს და გაიტანეს სანტექნიკა და სხვა მოწყობილობანი; არ შეხებიან მხოლოდ შენობის იმ მცირე ნაწილს, სადაც უშუალოდ შეხვედრები მიმდინარეობდა“.

ელსეის ყურამდე აღწევდა გერმანიის მოსახლეობისადმი საბჭოელების არაადამიანური მოპყრობის ამბები: „ვიგებდით გაუპატიურების ფაქტებს – ამას ჩვენი ჯარისკაცები გვიამბობდნენ. თავიდან ეს თითქმის დაუჯერებლად გვეჩვენებიდა, მაგრამ როცა მსგავსი რამ ისევ და ისევ გვჭსმოდა, იძულებული გავხდით დაგვეჯერებინა... ვერ ვიტყვი, რომ ამ ამბებმა შეცვალა ჩემი დამოკიდებულება მთლიანად საბჭოთა კავშირის მიმართ – ამას ხომ მხოლოდ ის ხალხი სჩადიოდა, რომელიც წლების განმავლობაში უკიდურესი დაძაბულობის პირობებში იმყოფებოდა და ამის გამო სასტიკი და ველური გახდა“. ელსეის აზრით, ამერიკელი და ბრიტანელი ჯარისკაცები ასე იმიტომ არ იქცეოდნენ, რომ „მათ ქვეყნებში არ არსებობდა ის პრობლემები, რომლებთანაც საბჭოთა ხალხს წლების განმავლობაში უწევდა გამკლავება. გარდა ამისა, ჩვენ გვქონდა უკეთესი დისციპლინა, უკეთესი წვრთნა, უკეთესი განათლება და უკეთესი ყოფაქცევა. ბოლოს და ბოლოს ჩვენი მეომრები ხომ გლეხები არ იყვნენ, რომლებიც ღმერთმა უწყის საიდან გაიწვიეს ჯარში – ისინი რჩეული ბრიტანელი და ამერიკელი ახალგაზრდები იყვნენ. ვამაყობდით, რომ ჩვენი მებრძოლები საბჭოელებივით ულირსად არ იქცეოდნენ“.

17 ივლისს შუადღისას ჰარი ტრუმენი პირველად შეხვდა სტალინს. რუზველტისა და ჩერჩილის მსგავსად, ტრუმენზეც ერთი ნახვითვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ლიდერმა. „ვგონებ, სტალინთან შევძლებ მორიგებას“, წერდა იგი თავის ჟურნალში[50]. „ის გულწრფელი და ეშმაკივით ჭკვიანია“. ამერიკის პრეზიდენტმა საბჭოთა ლიდერს თავიდანვე გაანდო, საქმის კაცი ვარო: „სტალინს ვუთხარი, რომ არ ვარ დიპლომატი და ყველა არგუმენტის მოსმენის შემდეგ თითქმის ყველა საკითხზე პირდაპირ ჰო-ს ან არა-ს ვამბობ-მეთქი“. მათ მიმოიხილეს ფრანკოს როლი ესპანეთში („მას ფრანკოს გადაყენება სურს“, წერდა ტრუმენი, „რის წინააღმდეგი არც მე ვარ“), სიტუაცია იტალიაში („სტალინს იტალიის მანდატების გადანაწილება უნდა“) და ჩინეთში. სტალინმა აქვე აღუთქვა ტრუმენს, რომ საბჭოთა კავშირი იაპონიასთან ომში 15 აგვისტოს ჩაებმებოდა.

ამ საუბრისას პრეზიდენტმა ტრუმენმა უკვე იცოდა, რომ არსებობდა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ჯერ განუხილავი თემა, რომელსაც იგი უწოდებდა „ნაღმს, რომლის აფეთქებასაც ახლა არ ვაპირებო“. ტრუმენმა ამ „ნაღმის“ არსებობის შესახებ მხოლოდ სამი თვის წინ შეიტყო. 25 აპრილს მას პირველად მოახსენეს ე. წ. „მანჰეტენის პროექტის“

შესახებ, რომელიც ატომური ბომბის შექმნას ისახავდა მიზნად. ამ სამუშაოს უზარმაზარი მასშტაბისა და ღირებულების მიუხედავად, ტრუმენმა რუზველტის სიცოცხლეში მის შესახებ არაფერი იცოდა. მაგრამ როგორც კი ამ საიდუმლო მასალას გაეცნო, მაშინვე გააცნობიერა ამ ახალი იარაღის პოტენციალი და მისი მოსალოდნელი ზეგავლენა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაზე. ზუსტად პოტსდამის კონფერენციის დაწყების წინ ნიუ-მეხიკოს უდაბნოში ამ იარაღის წარმატებული გამოცდა მოეწყო – ალმოგონდის საცდელ პოლიგონზე პირველი ბომბის აფეთქება 16 ივლისს, ტრუმენის სტალინთან შეხვედრამდე ერთი დღით ადრე მოხდა.

პოტსდამში თავიდან ჩერჩილმა და ტრუმენმა გადაწყვიტეს სტალინისთვის ამ იარაღის არსებობა არ გაემხილათ, რაც ნიშნავდა, რომ ისინი ჯერ კიდევ ბოლომდე არ ენდობოდნენ მას. თუმცა ჯორჯ ელსეი ამის სხვა მიზეზსაც ასახელებს: რაკი საბჭოთა კავშირი ჯერ არ იყო ჩაბმული იაპონიასთან ომში, სადაც ამ ბომბის გამოყენება იყო ჩაფიქრებული, მას არაფერი ესაქმებოდა ამ იარაღის არსებობა-არარსებობასთან. ტრუმენის მრჩევლები თავიდან ამ აზრს იზიარებდნენ და ამჯობინებდნენ, რომ იარაღის იაპონიაში გამოყენების შემდეგ შეეტყოთ საბჭოელებს მისი არსებობის შესახებ, მაგრამ პოტსდამის წინ მათ აზრი შეიცვალეს და ტრუმენს ურჩიეს სტალინისთვის ბომბის არსებობა გაემხილა. ტრუმენმა 18 ივლისს საუზმობისას ჩერჩილთანაც მოითათბირა და გადაწყვიტა სტალინისთვის ეთქვა ამის შესახებ. „მაშინ მჯეროდა, რომ მაშინვე გავსრესდით იაპონელებს, როგოც კი მათ მიწაზე „მანჰეტენის“ ბომბები აფეთქდებოდა“.

თავის ჩანაწერებში ტრუმენი ლირიკულ ფერებში აღწერს სტალინთან საუბარს; იგი წერს, რომ საბჭოთა ლიდერი ამერიკაში დაპატიჟა და მის ჩასაყვანად სამხედრო გემის „*Missouri*“ გაგზავნასაც კი შეპირდა. სტალინმა უპასუხა, რომ ამერიკასთან თანამშრომლობა მომავალშიც სურდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ ეს ძნელი იქნებოდა, ისიც დასძინა, ჩემი ამერიკაში არ ესმით, თქვენი კი რუსეთშიო. შემდეგ ტრუმენი აღნიშნავს: „ჩვენ შეგვიძლია ამ სიტუაციის გამოსწორება და მე ამას ყოველმხრივ შევეცდები ჩემს ქვეყანაში. მან გულიანად გამიღიმა და მითხრა, რომ იგივეს გააკეთებდა რუსეთშიც“.

სტალინის მიერ იალტის შეთანხმების დარღვევის გამო ბობოქრობის მიუხედავად, ჩერჩილიც კიდევ ერთხელ საკმაოდ მოალბო მასთან პირისპირ შეხვედრამ. კადოგანი თავის დღიურში წერდა: „იგი კვლავ მოხიბლულია სტალინით და წამდაუწუმ იმეორებს, მომწონს ეს კაციო“[51]. კადოგანი, რომელიც ყოველთვის უფრო ინტელიგენტი იყო, ვიდრე ციხიკოსი, ასკვნის: „დიდად აღფრთოვანებული ვარ სტალინის უნარით ასე „მოათვინიეროს“ ჩერჩილი“.

24 ივლისის პლენარული სხდომის დასასრულ ტრუმენმა ბოლოს და ბოლოს გაუმხილა სტალინს, რომ შეერთებულმა შტატებმა „ახლახან გამოსცადა უჩვეულო დამანგრეველი ძალის ახალი იარაღი"[52]. სტალინს არაფერი უკითხავს ამ „ახალი იარაღის" შესახებ; მხოლოდ იმედი გამოთქვა, რომ ამერიკელებს იგი იაპონიის წინააღმდეგ ომში გამოადგებოდათ.

ამ ახალი ბომბით სტალინის ასეთი უინტერესობა ადვილი ასახსნელია: მან უკვე ყველაფერი იცოდა „მანჰეტენის პროექტის" შესახებ. საბჭოელებმა ეს ინფორმაცია თავიანთი ჯაშუშების – ლოს-ალამოსში მომუშავე მეცნიერების კლაუს ფუქსისა და დეივიდ გრინგლასის მეშვეობით მოიპოვეს. 1951 წელს სასამართლო პროცესზე გრინგლასმა აღიარა, რომ ატომური გამოკვლევების საიდუმლო მასალას იგი საბჭოთა კავშირს 1944 წლიდან აწვდიდა. ამ მეცნიერების ჯაშუშობის მოტივაცია იყო არა მარტო მათი სიმპათია კომუნისტების მიმართ, არამედ იმის სურვილიც, რომ ამერიკელებს (ასევე ამ გამოკვლევების მონაწილე ბრიტანელებს) არ ჰქონოდათ მონოპოლია ატომურ იარაღზე მომუშავე ფიზიკოსებზე.

ზოია საბურინა ერთ-ერთი იმ საბჭოთა მუშაკთაგანი იყო, ვინც ამ ჯაშუშებისგან მიწოდებული საიდუმლო მასალების თარგმნაზე მუშაობდა. „ჩვენ ეს ქაღალდები სასწრაფოდ უნდა გვეთარგმნა რუსულად", იხსენებს საბურინა. ვინაიდან მასალა უაღრესად ტექნიკური ხასიათის იყო, მთარგმნელებთან ერთად პროცესში ინჟინრებიც მონაწილეობდნენ. „ვთარგმნიდით ორ-ორ გვერდს, რომელსაც ინჟინერი კითხულობდა და ხშირად უკან გვიბრუნებდა, ეს რა სისულელე გიწერიათო. ეს ყველაფერი ერთგვარ მოზაიკას, რაღაც თავსატეხს წააგავდა... სტალინი უცბად ითვისებდა ყველაფერს – „ანი"-დან „ჰაე"-მდე".

სტალინი იმდენად იყო მოწადინებული ნაცისტების სავარაუდო ატომური კვლევებიდანაც შესაძლო სარგებელი მიეღო, რომ ბერიას დაავალა საბჭოელების მიერ ოკუპირებულ გერმანიის ნაწილში სპეციალური ჯგუფის გაგზავნა გერმანელ მეცნიერთა ნაშრომების მოსაძიებლად. ეს ჯგუფი გენერალ-პოლკოვნიკ ზავენიაგინის მეთაურობით ბერლინში ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე ჩავიდა. მათ მიაგნეს რამდენიმე წამყვან გერმანელ მეცნიერს, დაიჭირეს ისინი და საბჭოთა კავშირში ჩაიყვანეს[53].

ტრუმენმა სტალინს ამ „ახალი იარაღის" შესახებ იმ მწვავე დისკუსიის ბოლოს აცნობა, რომელიც საბჭოელების მიერ იალტის შეთანხმების შესრულება-არშესრულების თემაზე გაიმართა სამ ლიდერს შორის. დასავლელი მოკავშირენი ჩიოდნენ, რომ საბჭოელთა ოკუპირებულ ქვეყნებში მათი წარმომადგენლობები შეიზღუდა. სტალინი ამ ფაქტს უარყოფდა. ტრუმენმა გაიმეორა მოთხოვნა, რომ „იალტის კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმების თანახმად ყველა სატელიტური მთავრობა დემოკრატიული უნდა გახდეს". ჩერჩილმა თავის მხრივ დაიჩივლა, რუმინეთისა და ბულგა-

რეთის შესახებ არაფერი ვიცით, ჩვენი მისია ბუქარესტში ისე შეზღუდეს, რომ ბანაკში ჩაკეტილს ჰგავსო.

„თქვენ მოგყავთ ფაქტები, რომელთა მტკიცებულებები არ არსებობს“, უთხრა სტალინმა.

„მაგრამ ამ ქვეყნებში ჩვენი მისიებისგან ვიცით, რომ ეს სიმართლეა“, თქვა ჩერჩილმა. „მარშალი სტალინი დიდად გაოცდება, ამ მისიების წინაშე წამოჭრილი სიძნელეების გრძელ ჩამონათვალს რომ გაეცნოს. მათ გარშემო რკინის ფარდაა დაშვებული“.

„ეს ყველაფერი ზღაპრებია“, თქვა სტალინმა.

„რასაკვირველია“, თქვა ჩერჩილმა, „ერთმანეთის განცხადებებს შეგვიძლია ზღაპრები ვუწოდოთ, მაგრამ მე სრულად ვენდობი ჩვენს წარმომადგენლობებს“[54].

ამ კამათმა აშკარა გახადა დასავლელ მოკავშირეთა უსუსურობა, შეეცვალათ ევროპაში დამკვიდრებული ორი მკაცრი რეალობა. პირველი იყო სამხედრო სიტუაცია – მთელი აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა ჯარების მიერ იყო ოკუპირებული და ახალი ომის გარეშე შეუძლებელა იყო მათი იქიდან განდევნა. მეორე რეალობას შესაძლოა ნაკლებ პრაქტიკული, მაგრამ უფრო გლობალური ხასიათი ჰქონდა. საქმე ეხებოდა ერთი და იმავე ტერმინოლოგიის ურთიერთგანსხვავებულ გაგებას დასავლეთსა და საბჭოთა კავშირში. უკვე გამოკვეთილი იყო პრობლემა, რომელიც ამერიკელებმა და ბრიტანელებმა საკუთარ თავს შეუქმნეს, როცა დათანხმდნენ, რომ ნებისმიერი მომავალი პოლონეთის მთავრობა „მეგობრული“ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის მიმართ. ახლა ისინი იგივე პრობლემას სიტყვა „დემოკრატიულის“ სხვადასხვა ინტერპრეტაციის გამო აწყდებოდნენ. დაახლოებით ექვსი წლის წინათაც გადაწყვიტეს საბჭოელებმა მათ მიერ ოკუპირებული აღმოსავლეთ პოლონეთი „დემოკრატიულად“ ექციათ და არჩევნებიც ჩაატარეს, მაგრამ ასარჩევი კანდიდატები მხოლოდ მათ მიერვე შერჩეული „მეგობრული“ პერსონები იყვნენ. ეს იყო ყალბი დემოკრატია, რომელსაც საბჭოური პროპაგანდა ჭეშმარიტი „თავისუფლების“ მომტანი ნყობილებად ასაღებდა. ასევე ფართოდ იყო აფიშირებული 1936 წლის საბჭოთა კონსტიტუცია, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა „თავისუფალ“ არჩევნებს და შრომისა და დასვენების უფლებებს. კონსტიტუციის ავტორად არასწორად იქნა მიჩნეული სტალინი (კონსტიტუცია ძირითადად ნიკოლაი ბუხარინმა შეიმუშავა), რომელიც გაზეთმა „პრავდამ“ ამის გამო „ეპოქის უჭკვიანეს კაცად“[55] აღიარა. ეს ყველაფერი სტალინს ძლიერ პროპაგანდისტულ პოზიციას უნარჩუნებდა და სწორედ ამ პოზიციიდან განუცხადა მან 24 ივლისის შეხვედრაზე ტრუმენს და ჩერჩილს, რომ ისიც მათსავით „დემოკრატი“ იყო, უბრალოდ „დემოკრატიის“ განსხვავებულ მოდელს ნერგავდა.

25 ივლისს ჩერჩილმა პოტსდამი დატოვა და ბრიტანეთში დაბრუნდა, რათა რამდენიმე დღით ადრე ჩატარებული საყოველთაო არჩევნების შედეგებს გასცნობოდა. შედეგები მისი კონსერვატიული პარტიისთვის გამანადგურებელი აღმოჩნდა. მისმა ოპოზიციონერმა ლეიბორისტებმა თემთა პალატაში 145 ადგილი გაინაღდეს და უმრავლესობა მოიპოვეს, რითაც ხაზი გაესვა ბრიტანელების ცვლილებათა განხორციელების სურვილს.

ამგვარად, პოტსდამში ბრიტანეთის დელეგაციის ხელმძღვანელობა უკვე ახალმა პრემიერ-მინისტრმა კლემენტ ატლიმ და ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ერნესტ ბევინმა გადაიბარეს. ბევინი თავისი წინამორბედის ანტონი ედენისგან მკვეთრად განსხვავებული პიროვნება იყო. იმ დროს, როცა ედენს განათლება იტონსა და ოქსფორდში ჰქონდა მიღებული, ბევინი თერთმეტი წლის ასაკიდან მუშად იყო ნამუშევარი. ედენთან ხუთი წელი მდივნად ნამსახურევმა პატ ევერეტმა[56] ახალი უფროსის მოსვლა სასიამოვნო მოვლენად აღიქვა. ედენისგან განსხვავებით, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში ხეირიანად მისი გვარიც კი ვერ დაიმახსოვრა, ბევინი პატმა საკმაოდ გულისხმიერ და საინტერესო ადამიანად მიიჩნია.

სწორედ ბევინმა და ამერიკის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეიმს ბირნესმა განიხილეს სტალინთან ერთად გერმანიისგან ზარალის ანაზღაურებისა და ამ ქვეყნის დანაწილების საკითხები. სტალინმა მათი მოსაზრებების მოსმენის შემდეგ განაცხადა: „რაც შეეხება მოკავშირეთა წილს და საგარეო კაპიტალდაბანდებებს, უპრიანია საბჭოთა და დასავლურ ზონებს შორის არსებული სადემარკაციო ხაზი გამყოფ ხაზად ჩაითვალოს და ამ ხაზის დასავლეთით ყველაფერი დასავლელ მოკავშირეებს მიეკუთვნოთ, ხოლო ხაზის აღმოსავლეთით ყველაფერი – რუსებს[57]“.

ეს შეთანხმება, რომლის თანახმადაც საბჭოელებს შეეძლოთ გერმანიისთვის დაკისრებული ფინანსური კომპენსაცია მათ მიერ ოკუპირებული ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილიდან ამოეღოთ, გერმანიის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად გაყოფის პირველ რეალურ ნიშანს წარმოადგენდა. იგი სიმბოლურად გამოხატავდა ორ მხარეს შორის ნდობისა და ურთიერთობის მოშლას – ადასტურებდა, რომ იალტის ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები ვერასდროს შეძლებდნენ გერმანიის ერთობლივ მართვას.

პოტსდამის კონფერენცია 2 აგვისტოს დასრულდა. ტრუმენი, რომელზეც სტალინმა პირად საუბარში აღნიშნა, გაუნათლებელი და უჭკუოაო[58], შინ იმ რწმენით გაემგზავრა, რომ ევროპაში აღარასდროს დაბრუნდებოდა – და არც დაბრუნებულა. მართალია იგი სტალინთან ურთიერთობას შესაძლებლად მიიჩნევდა, მაგრამ არ ჰქონდა ილუზიები საბჭოთა რეჟიმთან დაკავშირებით, რომელიც მისი ღრმა რწმენით იყო „ტიპური პოლიციური მმართველობითი სისტემა“, სადაც „რამდენიმე უმაღლესი

თანამდებობის პირის ხელშია თავმოყრილი იარაღი, ხელკეტები და საკონცენტრაციო ბანაკები, რისი საშუალებითაც ხდება უფრო დაბალი რანგის ხალხის მართვა"[59].

ერთი დღით ადრე, ვიდრე პრეზიდენტის გემი ვირჯინიაში ნორფოლკის პორტში შევიდოდა, თავდაცვის მინისტრისგან მნიშვნელოვანი შეტყობინება მოვიდა. „მე ის გავშიფრე", გვიამბობს ჯორჯ ელსეი, „და ტრუმენს მივუტანე. შეტყობინების შინაარსი მარტივი იყო: „ხიროსიმა დაბომბილია – შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა". ტრუმენი აღტაცებული იყო. მან გემის ეკიპაჟს და მგზავრებს განუცხადა, რომ ახალ მძლავრ იარაღს ვფლობდით და ომი სულ მალე, იაპონიაში შეჭრის გარეშე დამთავრდებოდა. გახარებულმა ეკიპაჟმა მოწონების ყიჟინა და ხმაური ატეხა. ასე ამაღლებული განწყობით დავბრუნდით ვაშინგტონში".

ზოგიერთი გამოკვლევა[60] ცდილობს ტრუმენის გადაწყვეტილება იაპონიაში ატომური ბომბის გამოყენების შესახებ ახსნას მისი სურვილით, ეჩვენებინა სტალინისთვის, თუ რა „ძლიერი ახალი იარაღი" ჰქონდათ ამერიკელებს. თუმცა სიმართლეს უფრო სხვა ვერსია[61] შეესაბამება: ამ ბომბის იაპონიაში გამოყენების მთავარი მიზეზი იყო ამერიკელების სურვილი, ომი სწრაფად დაესრულებინათ ისე, რომ საჭირო არ გამხდარიყო იაპონიის კუნძულებზე სახმელეთო ოპერაციის ჩატარება.

რასაკვირველია, თვით ატომური ბომბის არსებობა უკვე სტალინთან სხვაგვარად ლაპარაკის საშუალებას იძლეოდა – ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა პოტსდამში ჩერჩილი. სერ ალან ბრუკის გადმოცემით, „იგი მთლიანად გატაცებული იყო ამით" და ამტკიცებდა: „ჩვენ ახლა ისეთი რამ გვაქვს, რაც რუსებთან ბალანსს აღგვიდგენს... ახლა შეგვიძლია ვუთხრათ მათ, რომ თუ თვითნებობას გააგრძელებენ, შეგვიძლია ავაფეთქოთ მოსკოვი, შემდეგ – ლენინგრადი, შემდეგ – კიევი, შემდეგ – კუიბიშევი, ხარკოვი, სტალინგრადი, სევასტოპოლი და ა.შ.[62]". როგორც ჩანს, წინა თვეებში განცდილი უმწეობის შემდეგ ჩერჩილისთვის ატომური ბომბით სტალინის დაშანტაჟება ერთობ მიმზიდველი იყო. მაგრამ ეს არ იყო სწორი გზა. ერთია, როცა პოტენციურ მოწინააღმდეგეს აფრთხილებ, რომ თუ იგი ომს აგიტეხს, მაშინ ატომური ბომბით დაბომბვა ემუქრება, და სულ სხვაა, როცა მოკავშირეს უცხადებ, რომ თუ მისი შეიარაღებული ძალების მიერ დროებით დაკავებულ ქვეყნებში წესიერად არ მოიქცევა, მაშინ მას სამშობლოს გაუნადგურებ. ამასთან არსებობდა იმის ნიშნები, რომ აღარც საბჭოთა კავშირს ჭირდებოდა ბევრი დრო ატომური ბომბის შექმნამდე, რაც მალევე დამტკიცდა კიდეც. 1949 წელს საბჭოელებმა თავიანთი პირველი ატომური ბომბი გამოსცადეს.

ფაქტია, რომ არც ამ გამოცდამდე გავლილი რამდენიმე წლის განმავლობაში ყოფილა სტალინი შეშფოთებული ამერიკელთა ამ აშკარა უპი-

რატესობით. მან მშვენივრად იცოდა, რომ ამერიკელებს ჯერჯერობით არ გააჩნდათ საბჭოთა კავშირის გასანადგურებლად საკმარისი რაოდენობის ატომური იარაღი[63]. მას სჯეროდა, რომ ისინი ამ იარაღს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ გამოიყენებდნენ. საგულისხმოა, რომ ამერიკელთა არსენალში ამ ბომბის არსებობას ხელი არ შეუშლია სტალინისთვის 1948 წელს საკმაოდ გამომწვევი მოქმედების – ბერლინის ბლოკადის განხორციელებაში, როცა საბჭოთა ლიდერი შეეცადა, თუნდაც წარუმატებლად, დასავლელი მოკავშირეების გაძევებას ამ ქალაქიდან. მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ანდრეი გრომიკო იხსენებს: „დარწმუნებული ვარ, რომ სტალინმა ბერლინის ბლოკადა იმის ღრმა რწმენით წამოიწყო, რომ ეს კონფლიქტი ატომურ ომს არ გამოიწვევდა. მან გათვალა, რომ ამერიკის ადმინისტრაციას ის ქარაფშუტა ადამიანები არ ხელმძღვანელობდნენ, რომლებიც მსგავს სიტუაციაში ატომურ ომს იწყებენ“[64].

საბჭოელების შეჭრა მანჯურიაში

ხიროსიმაში ატომური ბომბის ჩამოგდებით იაპონიაში ომი არ დამთავრებულა. სამი დღის შემდეგ, ნაგასაკში მეორე ბომბის ჩამოგდების დღეს და ევროპაში ომის დასრულების სამი თვის თავზე საბჭოელებმა რუზველტისადმი მიცემული პირობა შეასრულეს და იაპონელებს ომი გამოუცხადეს. 9 აგვისტოს წითელი არმია მანჩუკუოში (მანჯურიის იაპონური სახელწოდება) შეიჭრა. ამ ოპერაციის დაწყება არავითარ კავშირში არ ყოფილა ნაგასაკში ატომური ბომბის ჩამოგდებასთან – საბჭოელებს არავინ უთანხმებდა ასეთი ბომბის გამოყენების დროს და ადგილს.

ოპერაცია „აგვისტოს შტორმი“, რომელსაც მარშალი ვასილევსკი სარდლობდა და რომელშიც ერთნახევარ მილიონზე მეტი მეომარი მონაწილეობდა, გრანდიოზული სამხედრო ღონისძიება იყო. შეტევა ორი ფრონტით მიმდინარეობდა და იაპონელთა არასათანადოდ შეიარაღებულ და სუსტად მომზადებულ თავდაცვითი ძალებზე სწრაფ წარმატებას აღწევდა. მაშინდელი ბატალიონის მეთაური ივან კაზანცევი[65] იხსენებს: „მე მჯეროდა, რომ კეთილი საქმისთვის ვიბრძოდი. იაპონელებმა დიდი ზარალი მოგვაყენეს ჩვენ და ჩინელებს... რა თქმა უნდა, ატომურმა ბომბმა სამურაების ქედმაღლობა ჩააცხრო, მაგრამ ეს ომი მას არ მოუგია“.

მანჯურიაში მებრძოლ კაზანცევის ბატალიონში ერთი ოცეული დასავლეთ უკრაინიდან გაწვეული ჯარისკაცებისგან შედგებოდა. ეს „დასავლელი უკრაინელები“ თავის თავს „ყოფილ პოლონელებს“ უწოდებდნენ. ისინი აღმოსავლეთ პოლონეთის იმ ნაწილიდან იყვნენ, რომელიც ახლა დასავლეთის მიერ უკვე აღიარებული იყო როგორც უკრაინის საბჭოთა რესპუ-

ბლიკის ნაწილი. ეს პოლონელები (კაზანცევისთვის „უკრაინელები“) არ თვლიდნენ თავს ბედნიერად იმით, რომ სადღაც მანჯურიაში, სახლიდან ათასობით კიილომეტრის დაშორებით წითელი არმიის რიგებში იბრძოდნენ. „კარვიდან გამოვედი და დავინახე, რომ მთელი ეს ოცეული ცრემლად იღვრებოდა... ასეთი იყო მათი კულაკური, არაპატრიოტული ფსიქოლოგია. ოცდასამი წლის ვიყავი, ისინი კი – ორმოცს გადაცილებული შუახნის კაცები იყვნენ... თავიანთ ოჯახებსა და თავიანთ კარ-მიდამოზე წუხდნენ მხოლოდ... ვატყობდით, რომ იდეოლოგიურად ჩვენგან განსხვავდებოდნენ... ამ ხალხს მორალური სულისკვეთების ამაღლება და პოლიტიკური განათლება აშკარად სჭირდებოდა, ამიტომ პოლიტმეცადინეობებს ვუტარებდი“.

ეს ამ ხალხის მაშინდელი უბედურების ერთ-ერთი ეპიზოდია. ნაცვლად იმისა, რომ „თავისუფალ და დემოკრატიულ“ პოლონეთში ცხოვრებით დამტკბარიყვნენ, როგორც მათ ამას ომის დაწყებიდან ჰპირდებოდნენ, პოლონეთის უკვე ყოფილი და ახლა საბჭოთა უკრაინის მოქალაქის სტატუსით წითელ არმიაში განწვეული ეს ემიგრანტები სადღაც მანჯურიაში ვიღაც იაპონელებს ეომებოდნენ. რასაკვირველია, მათ დასჭირდებოდათ „მორალური სულისკვეთების ამაღლება“...

1945 წლის 15 აგვისტოს იმპერატორმა ჰიროჰიტომ გააკეთა განცხადება, რომ იგი ემორჩილებოდა პოტსდამის დეკლარაციას, რომელიც იაპონელებს დანებებისკენ მოუწოდებდა „მყისიერი და სრული განადგურების“ თავიდან ასაცილებლად. იაპონელმა მონარქმა თავის ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ბრძოლის გაგრძელება არა მარტო იაპონელი ერის გადაშენება-გაქრობას, არამედ ცივილიზაციის სრულ ჩაკვდომასაც გამოიწვევს. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ აუტანელის ატანითა და განუცდელის განცდით გავუკვალოთ ჩვენს მომავალ თაობებს გზა დიადი მშვიდობისაკენ“.

მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. ჰიროჰიტოს ლოზუნგი „აუტანელის ატანისა და განუცდელის განცდის“ შესახებ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა საბჭოელების მიერ ოკუპირებული აღმოსავლეთ ევროპის მილიონობით მოქალაქისთვის ომისშემდგომ პერიოდში.

ადოლფ ჰიტლერის დიქტატურის დამხობისთანავე მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ მათ გერმანიაში „დემოკრატიის“ დამკვიდრება სურდათ. მაგრამ მალევე ცხადი გახდა, რომ გერმანიის დედაქალაქის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვაგვარი „დემოკრატია“ დამყარდებოდა. მთლიანად საბჭოურ ზონაში მოქცეული ბერლინი დიდი სამეულის შეთანხმების თანახმად ოთხ სექტორად დაიყო – ბრიტანულ, ამერიკულ, ფრანგულ და საბჭოურ სექტორებად. პირველ ომისშემდგომ წლებში ამ სხვადასხვა ზონებს შორის გადაადგილება შედარებით ადვილი იყო – ბერლინის კედელი მოგვიანებით, 1961 წელს აიგო. აღმოსავლეთ ბერლინის საბჭოურ ზონაში ცხოვრების მაშინდელ პირობებს შუქს ჰფენს იმდროინდელი თინეიჯერის ჰეინც იორგენ შმიდტჰენის[66] მოგონებები.

შმიდტჰენს მცირე ასაკის გამო გერმანიის არმიაში არ უბრძოლია, მაგრამ ჰიტლერულ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში ირიცხებოდა. ომის შემდეგ ის სხვადასხვა საოკუპაციო ძალების ჯარისკაცებს შორის დიდ განსხვავებას ამჩნევდა: „ფრანგები არც ისე კარგად გვექცეოდნენ. ინგლისელები უფრო მეგობრული, თუმცა თავშეკავებული და ფრთხილები იყვნენ. გულითადობით ამერიკელები გამოირჩეოდნენ. ისინი ძალიან მოგვწონდა“. საბჭოელების მიმართ კი, ჰეინცის აზრით, სიფრთხილე იყო საჭირო: „მათ [ოკუპაციის] პირველ დღეებში დეიდაჩემი გააუპატიურეს, ხოლო მეორე ჩემს ნათესავს პირდაპირ ჩამოგლიჯეს სამკაულები. ისინი მარტო არასდროს დადიოდნენ – მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად და უმეტესად არყით მთვრალები. სატვირთო მანქანები მათი ნაძარცვით იყო სავსე – იტაცებდნენ ავეჯს და ყოველგვარ ნივთებს, ხის ნაჭრებსაც კი. ჩვენ ეს არანორმალურად მიგვაჩნდა. დასავლეთ სექტორებში ასეთ რამეს ვერ ნახავდით“.

ბერლინის აღმოსავლეთ სექტორში მოხვედრილი შმიდტჰენი და მისი მეგობრები ამაოდ ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ საბჭოური „დემოკრატიის“ არსს. როცა იგი კომუნისტური პარტიის კრებას დაესწრო, აღმოაჩინა, რომ „ის ნაცისტების შეკრების მსგავსი იყო. კითხულობდნენ ბრძანებებს, რომელსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა“. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ დასავლეთ ბერლინის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე გააცნობიერა მან, რომ დემოკრატია საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას ნიშნავდა.

შმიდტჰენმა და მისმა მეგობრებმა აღმოსავლეთ ბერლინში სოციალისტური პარტიის პლაკატების გავრცელება დაიწყეს და მალე საბჭოთა ხელისუფლების ყურადღება მიიპყრეს. „1946 წლის 9 მაისის შაბათს სახლიდან გავდიოდი, როდესაც ერთი გერმანელი პოლიციელი მომიახლოვდა და სახელი მკითხა, შემდეგ კი მითხრა, რომ ორშაბათს რუსების შტაბში უნდა

გამოვცხადებულიყავი. მიზეზი ვკითხე და მიპასუხა, რომ დამკითხავდნენ და მალევე გამომიშვებდნენ“.

ასე დამშვიდებული გაემართა იგი ორშაბათს საბჭოელების შტაბში, მაგრამ როცა გუშაგის თანხლებით დასაკითხად წაიყვანეს, მისი განწყობა მკვეთრად შეიცვალა. დაკითხვა თარჯიმნის დახმარებით საბჭოთა მაიორმა ჩაუტარა. „მან ჯერ პირადობის მოწმობა შემიმოწმა და შემდეგ ჩემი საყოფაცხოვრებო პირობებით დაინტერესდა – მყოფნიდა თუ არა საკვები და სხვა. შემდეგ უეცრად მკითხა, თუ რატომ გვძულდა კომუნისტები და რუსები. მეც ვკითხე, ვის გვძულს-მეთქი. მან არ მიპასუხა და შეკითხვა გამიმეორა. ასე გაგრძელდა თითქმის ორი საათი“.

ამ პირველი დაკითხვის შემდეგ შმიდტჰენი შენობის პირველ სართულზე ჩაიყვანეს და საკანში გამოკეტეს. „იქ ნახევრად ბნელოდა და საშინელი სუნი იდგა; ბლომად ხალხი იყო და მეც მათ შევერიე“. საკანში სამი-ოთხი თვის დაუბანელი ჩვიდმეტი კაცის ხილვამ ჩვიდმეტი წლის ყმაწვილს საპატიმროდან გამოსვლის იმედი გადაუწურა.

ორი კვირის შემდეგ შმიდტჰენი მეორე დაკითხვაზე გაიყვანეს. ამჯერად მას დაკითხვა ახალმა გამომძიებელმა და თარჯიმანმა მოუწყვეს, თუმცა ისევ ის შეკითხვები დაუსვეს – რატომ ხართ წითელი არმიისა და კომუნისტების წინააღმდეგიო. იგი ცდილობდა აეხსნა მათთვის საკუთარი პოლიტიკური მრწამსი, მაგრამ თარჯიმანი ქალბატონი გაბრაზდა და ჯერ მუშტები ურტყა, მერე კი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი გაიძრო და ქუსლით კისერში ჩასცხო. „ახლაც მემჩნევა იმ ფეხსაცმლის ნაიარევი... შემდეგ ისევ საკანში შემაგდეს... მეორე დილით თავი გადამპარსეს და მივხვდი, რომ ჩემს გაშვებას არ აპირებდნენ. ჩვენს გატეხვას ცდილობდნენ, რათა გვეღიარებინა დანაშაული, რომელიც სინამდვილეში არ ჩაგვიდენია. ბევრი სასოწარკვეთილი ასეც იქცეოდა. ისინი ცემას და წყლიან საკანში ჯდომას ველარ უძლებდნენ და ტრიბუნალს და სიკვდილს ამჯობინებდნენ“.

შმიდტჰენს პატიმრობა მიუსაჯეს და მან აღმოსავლეთ გერმანიის სხვადასხვა საბჭოთა ციხე მოიარა, სადაც აუტანელი პირობები იყო. „1946 წლის ბოლოს ისედაც მწირი ულუფა გაგვინახევრეს და დღეში მხოლოდ ნახევარ ლიტრ წყალწყალა სუპს და პურის პატარა ნაჭერს გვაძლევდნენ. ეს სასიკვდილო განაჩენს ნიშნავდა. შედეგად ნოემბრიდან მარტამდე სიკვდილიანობის მაჩვენებელი ისე გაიზარდა, რომ თვით რუსებიც კი გაოგნდნენ. ყოველდღე ვიღაც კვდებოდა... დილით მარტო იმაზე ვფიქრობდით, გვექნებოდა თუ არა საჭმელი იმ დღეს. გათავისუფლების იმედი გადაწურული გექონდა. ხშირად აღარც კი მანაღვლებდა თუ მოვკვდებოდი“.

დემოკრატიის სურვილისთვის ასე სასტიკად დასჯილი შმიდტჰენი რვა წლის პატიმრობის შემდეგ როგორც იქნა გაათავისუფლეს. ახლა იგი ნაკლებადაა განრისხებული მათზე, ვინც დაიჭირა და დასაჯა. „ჩემი რისხვა

უმეტესად მიმართულია იმ ადამიანებისადმი ახლანდელ გერმანიაში, ვისაც ჩვენი არ ესმის; იმდროინდელ პროსაბჭოურ ჩინოვნიკებს მაღალ პენსიებს უნიშნავენ და მათ მსხვერპლს დასცინიან. რამდენიმე პოლიტიკოსს მივწერე კიდეც, რომ რაც დღეს ხდება, ეს რომ მაშინ მცოდნოდა, დემოკრატიისთვის არ ვიბრძოლებდი და პროკლამაციებს არ გავავრცელებდი-მეთქი".

საკუთარ საოკუპაციო ზონაზე კონტროლის დაწესების და ნებისმიერი წინააღმდეგობის ჩახშობის მიზნით საბჭოელები ნაცისტურ ინფრასტრუქტურას, მათ შორის საკონცენტრაციო ბანაკებს იყენებდნენ. ეს მწარე რეალობა საკუთარ თავზე ერთ-ერთმა პირველმა გამოსცადა ოცდაორი წლის ჯონ ნობლემ[7], რომელიც ბუხენვალდის ბანაკში გამოკეტეს საბჭოელებმა. ომის პერიოდში იგი ოჯახთან ერთად დრეზდენში ცხოვრობდა, სადაც მამამისი კამერების ქარხნის მფლობელი იყო. ისინი ამერიკის მოქალაქენი იყვნენ და ნაცისტებისგან შევიწროვებას განიცდიდნენ: 1939 წლიდან მათ დრეზდენიდან გასვლა აეკრძალათ, ხოლო 1941 წლიდან პოლიციის რეგულარული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ.

1945 წლის გაზაფხულზე, როცა დრეზდენში წითელი არმია შევიდა, ნობლეს ოჯახი საბჭოელების არა ერთი მხეცობის მოწმე გახდა: „ჩვენს მეზობელ სახლში საბჭოთა მეომრები შეცვივდნენ და ქუჩაში ქალი გამოათრის, ლეიბზე დააგდეს და რიგრიგობით გააუპატიურეს, თანაც ეს ყველაფერი იძულებით აყურებინეს გერმანელ მამაკაცებს, რომლებიც შემდეგ დახვრიტეს. ჩვენი ქუჩის ბოლოში ერთი ქალი ვაგონის ბორბალზე გააკრეს და ისე გააუპატიურეს... რა თქმა უნდა, ყველას გვსურდა ამის შეჩერება, მაგრამ ძალა არ შეგვწევდა". ნობლეს ოჯახს ხშირად ესმოდა ასევე მათ საწარმოში მომუშავე ქალების საჩივრები ქუჩაში თავდასხმის შესახებ.

თავიდან ნობლეს ოჯახი იმედოვნებდა, რომ მათ საწარმოს საფრთხე არ ემუქრებოდა. საწარმოს თავზე ამერიკული დროშა აღმართეს და სჯეროდათ, რომ ეს დაიცავდათ, მაგრამ ამაოდ. 1945 წლის შემოდგომაზე ჯონ ნობლე და მამამისი დასავლეთ გერმანიაში სამსახურებრივი მივლინების შემდეგ საბჭოელებმა დააპატიმრეს. მართალია დაპატიმრების ნამდვილი მიზეზი დღემდე უცნობია, მაგრამ ჯონ ნობლეს სჯერა, რომ საბჭოელებს მათი [*camera factory*] საწარმოს მითვისება სურდათ.

ჯონი და მამამისი თავიდან დრეზდენის საპყრობილეში მოათავსეს. ციხეში ჯონი კლერკად მუშაობდა და პატიმრებისადმი უდიერი მოპყრობის უნებლიე მოწმე ხდებოდა. იგი გაოგნებული იყო იმით, რომ ციხეში ზრდასრულ ადამიანებთან ერთად ბავშვებიც იმყოფებოდნენ. „ათი წლის ბიჭს ხიდის აფეთქებას აბრალებდნენ", გვიამბობს ჯონი. „მან თქვა, რომ არ აუფეთქებია და იგი აწამეს. მე და ექიმმა დაკითხვის ოთახიდან საკანში გავიყვანეთ და ვუმკურნალეთ. მერე ხელახლა გაიყვანეს დასაკითხად. ისევ უარყო ბრალდება და კვლავ აწამეს. მესამედ კი ვეღარ გაუძლო წამებას

და უთქვამს, ჰო, კარგი, ხიდი მე ავაფეთქეო. ამის შემდეგ მას ცოტა ხნით თავი დაანებეს, ერთ დღეს კი გამოიძახეს და განუცხადეს, გავარკვიეთ, რომ ხიდი მთელია და არავის აუფეთქებია; შენ კი საბჭოთა ოფიცრის მოტყუებისთვის ათ წელს გაძლევთო. ის ბიჭი ციხეში გარდაიცვალა".

სამაგიეროდ ბედმა ჯონ ნობლე არ გაწირა და სულიერი სიმხნევე შეუნარჩუნა. მან ციხეში შიმშილს და აუტანელ პირობებს გაუძლო. 1948 წელს ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს, სადაც ასევე გაუსაძლისი პირობები იყო. ამის გამო უამრავი პატიმარი იხოცებოდა, ხოლო გადარჩენილები ნებისმიერი ხერხით ცდილობდნენ ლუკმაპურის შოვნას. „ბარაკებში, სადაც წამდაუწუმ ვიღაცა კვდებოდა, გუშაგი მწოლიარე პატიმრებს ფეხის ტერფებს ხელით უსინჯავდა. თუ ფეხი თბილი იყო, მისი პატრონი ცოცხლად ითვლებოდა და კვების რაციონს იმსახურებდა... ამიტომ პატიმრები მიცვალებულებს ფეხებს უთბობდნენ, რომ დამატებითი ულუფა მიეღოთ".

ჯონ ნობლე კი გადაურჩა შიმშილობას, მაგრამ ბუხენვალდის ბანაკში საბჭოური მმართველობის პერიოდში შვიდი ათასზე მეტი პატიმარი გარდაიცვალა. მართალია ბუხენვალდის მაშინდელ პატიმართა შორის ბევრი ყოფილი ნაცისტი ფუნქციონერი იყო, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ადრე ნაციზმის მსხვერპლს წარმოადგენდნენ. „იმ ბანაკში, სადაც მე და მამაჩემი ვიმყოფებოდით, იყო ორი პატიმარი, რომლებიც ნაცისტების დროსაც იქ იყვნენ დატუსაღებული. ისინი ნაცისტურ და საბჭოთა რეჟიმებს შორის განსხვავებას ვერ ხედავდნენ და ორივე სძულდათ".

საბჭოელებმა 1950 წელს ბუხენვალდი დახურეს და პატიმრები სხვადასხვა საბჭოთა ციხეებში გადაანაწილეს. ჯონ ნობლე ჩრდილოეთ ურალში ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა, საიდანაც ცხრაწლიანი პატიმრობის შემდეგ 1955 წელს გაათავისუფლეს.

ჯონ ნობლეს ჯერ კიდევ ბუხენვალდში ყოფნისას, 40-იანი წლების დამლევისთვის ევროპის გადანაწილება უკვე დასრულდა. პროსაბჭოური რეჟიმი დამყარდა აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში, ხოლო შედარებით „დამოუკიდებელი" (თუმცა ასევე სტალინის გავლენის ქვეშ მყოფი) კომუნისტური რეჟიმი დამკვიდრდა იუგოსლავიასა და ალბანეთში.

1947 წელს შეერთებულმა შტატებმა მარშალის გეგმა – ევროპისადმი ეკონომიკური დახმარების გიგანტური პაკეტი გამოაქვეყნა. ეს ნიშნავდა ევროპის მთლიანობის ყოველგვარი ილუზიის დასასრულს. რაკი აშკარა იყო, რომ ამ დახმარებით მოსარგებლე ქვეყანას სტალინისთვის მიუღებელი ისეთი ღირებულებები უნდა ეღიარებინა, როგორიცაა, ვთქვათ, თავისუფალი ვაჭრობა და ადამიანის უფლებათა დაცვა, საბჭოთა ლიდერმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უარს ამბობდნენ ამ

ამერიკულ დახმარებაზე[58]. ამის ალტერნატივად სტალინმა შექმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, რომელიც აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებს ეკონომიკურად აერთიანებდა, თუმცა მათდამი მარშალის გეგმის მსგავს საბჭოთა დახმარებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. რამდენიმე თვეში დასრულდა აღმოსავლეთ ევროპის უდიდესი ნაწილის „კომუნიზმისაკენ მიმავალ“ გზაზე დაყენებაც. დასავლეთში ნატოს (1949) და აღმოსავლეთში ვარშავის პაქტის (1955) სამხედრო ალიანსების შექმნით კი საბოლოოდ გამოიკვეთა მოახლოებული ცივი ომის საბრძოლო ასპარეზი.

ევროპის ასეთი გახლეჩის პარალელურად მიმდინარეობდა მისი მოსახლების უპრეცედენტო აყრა-გადაადგილებაც – მოვლენა, რომელიც უმეტესწილად მოკავშირეთა ლიდერების მიერ ჯერ კიდევ ომის პერიოდში მიღწეული საბედისწერო შეთანხმებების შედეგი იყო. ომის დამთავრებისთანავე ორმა მილიონმა პოლონელმა დატოვა თავისი მშობლიური ტერიტორია, რომელიც უკვე საბჭოთა კავშირის ნაწილად იქცა. მათგან უმეტესი ნაწილი იძულებით გაასახლეს. იმავდროულად დაახლოებით 11 მილიონი გერმანელი გააძევეს აღმოსავლეთ პრუსიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდან. მათგან ნახევარი მილიონი გადასახლების პროცესს შეეწირა. გარდა ამისა, დასავლელმა მოკავშირეებმა მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან საბჭოთა კავშირში დააბრუნეს – ნებით თუ იძულებით – ყველა საბჭოთა მოქალაქე – დაახლოებით ორი მილიონი კაცი. მათი ნაწილი ან ემსახურა გერმანელებს, ან მათ მხარდამხარ იბრძოდა, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ ისინი რეპატრიაციისთანავე ზოგი ციხეში გამოკეტა და ზოგი დახვრიტა.

კატინის ფარსი და ტრაგედია ნიურნბერგში

თუკი სტალინი რაიმე გაუგონარ ტყუილს იტყოდა, შემდეგ ყოველთვის ამ ტყუილის ბოლომდე გატანას ცდილობდა. ამჯერადაც, გერმანიის დამარცხებისთანავე გადაწყვიტა განეახლებინა გერმანელების საჯაროდ დადანაშაულება კატინის ხოცვა-ჟლეტაში. ნიურნბერგის სამხედრო დანაშაულობათა სასამართლო პროცესზე საბჭოელებმა ეს ბრალი გერმანელ ოფიცრებს წაუყენეს, რომელთაც, როგორც უკვე ვნახეთ, ამ მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ.

დასავლელი ექსპერტები ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოელების მოთხოვნას შეეტანათ კატინის საკითხი ომის დანაშაულობათა სიაში. ამერიკის მთავარმა პროკურორმა ურჩია თავის საბჭოთა კოლეგას ხელი აეღოთ ამ საქმეზე, მაგრამ საბჭოელებმა რჩევა ყურად არ იღეს.

ბრალდების საფუძვლად მათ ბურდენკოს კომისიის დასკვნა გამოიყენეს და შეუდგნენ სხვადასხვა ცრუ მოწმეების გაწვრთნას სასამართლო პროცესზე ცრუ ჩვენებათა მისაცემად. მათგან ყველა არ დაადგა სიცრუის გზას. საბჭოთა გენერალური პროკურორის თანაშემწემ ნ. დ. ზორიამ[69] საფუძვლიანად შეიტანა ეჭვი სასამართლოზე წარსადგენი მასალის უტყუარობაში. მას ადრეც დაუდასტურებია, რომ არ შესწევდა ფალსიფიკაციის უნარი, რის გამოც1939 წელს ჩამოაშორეს კიდეც ერთ საქმეს. ახლა კი ნ. დ. ზორია იმდენად დაეჭვდა კატინის „ნივთმტკიცებულებათა" უტყუარობაში, რომ მოსკოვში ჩასვლა და გენერალურ პროკურორ გორჩენსკისთან გასაუბრება მოითხოვა. მან უარი მიიღო და მეორე დღესვე, 1946 წლის 23 მაისს თავის ოთახში მკვდარი იპოვეს.

ზორიას სიკვდილის ნამდვილი მიზეზი და გარემოებები დღემდე უცნობია, თუმცა მაშინ ნიურნბერგში მყოფი ერთ-ერთი საბჭოთა თარჯიმნის ტ. ს. სტუპნიკოვას[70] აზრით, მისი სიკვდილი ნიშნავდა „ჩვენი იურისტების გაფრთხილებას, რომ მერყეობა დაუშვებელია". სტუპნიკოვას ვარაუდით, ზორიას სიცოცხლის მოსწრაფების მრავალი ვარიანტი არსებობდა: „იქნებ მან თავი მოიკლა, რაკი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა? იქნებ ურჩიეს ასე მოქცეულიყო, რადგან მაინც ველარ იხილავდა საკუთარ ცოლშვილს? ანდა იქნებ სულაც რომელიმე საბჭოთა პროფესიონალმა მოკლა – განა არ იყვნენ ნიურნბერგში ბერიას ბიჭები?"

1946 წლის ივლისში ნიურნბერგის ტრიბუნალმა ფორმალურად განიხილა სარჩელი კატინის მკვლელობების შესახებ. თითოეულ მხარეს – როგორც საბჭოთას, ისე გერმანულს – სამ-სამი მოწმის გამოყვანის უფლება მისცეს. საბჭოელები თავიანთ მოწმეებს კვირების განმავლობაში ავარჯიშებდნენ. ერთმა მათგანმა – საბჭოთა სამართლის ნამყვანმა ექსპერტმა პროფესორმა ვიქტორ პროზოროვსკიმ სასამართლოს განუცხადა, რომ მცირედი ეჭვების არსებობის მიუხედავად, პოლონელები 1941 წლის შემოდგომაზე არიან დახოცილებიო. ბულგარელმა სამედიცინო ექსპერტმა, დოქტორმა მარკოვმა კი, რომელიც 1943 წელს გერმანული კომისიის წევრი იყო და საბჭოელებს ადანაშაულებდა კატინის მკვლელობაში, ამ სასამართლოზე უკვე გერმანელების საწინააღმდეგო ჩვენება მისცა.

საბჭოთა მოწმეთაგან ერთადერთი, ვინც გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში კატინთან ახლოს ცხოვრობდა და მუშაობდა, იყო სმოლენსკის მაშინდელი მერის მოადგილე, აკადემიკოსი ბორის ბაზილევსკი. ერთი წლით ადრე ბურდენკოს კომისიაში გამოძახებული მრავალი სხვა „მოწმის" მსგავსად, ისიც გერმანელებთან თანამშრომლობაში იყო „შემჩნეული" და ამიტომ ახლა ყველანაირად ცდილობდა უკვე საბჭოთა პატრონებისთვის ესიამოვნებინა. მან ფანტაზიის მთელი კასკადი შეთხზა საბჭოელების სასარგებლოდ, ირწმუნებოდა რა, რომ „პოლონელები 1941 წლის გაზაფხულ-

ზე და ზაფხულში გზების შეკეთებაზე მუშაობდნენ“[71]. იგი ასევე აცხადებდა, რომ 1941 წლის შემოდგომაზე სმოლენსკის მერმა მენშაგინმა თითქოსდა მას ერთი გერმანელი ოფიცრის ნათქვამი გაუმხილა, რუსები ბანაკებში ჩაკვდებიან, ხოლო პოლონელებს ჩვენ ამოვხოცავთო. ბაზილევსკის თქმით, მენშაგინმა თავის მხრივ დაამატა, ცხადია, მათ ამ განზრახვას წყალი არ გაუვაო. ორი კვირის შემდეგ ბაზილევსკიმ თითქოსდა მენშაგინს პოლონელების ამბავი ჰკითხა, რაზეც მან უპასუხა, უკვე დახოცილები არიანო. ბაზილევსკი ასევე ირწმუნებოდა, რომ მან შემთხვევით მოისმინა, თუ როგორ ეუბნებოდა ერთი გერმანელი ოფიცერი მენშაგინს, პოლონელები უვარგისი ხალხია და ისინი მხოლოდ მკვდრები თუ გამოდგებიან სასუქად გერმანელი ერის საარსებო მიწების გასანოყიერებლადო.

ამ ყველაფრის საფუძველზე ნიურნბერგის სასამართლოსთვის მთავარი მოწმე თვით მენშაგინი გამოდიოდა. მაგრამ სასამართლოს მოთხოვნას, მენშაგინი დაეკითხათ, საბჭოთა პროკურორმა უპასუხა, რომ მისი დაკითხვა შეუძლებელია, რადგან იგი გერმანელებთან ერთად გაიქცა და გაუჩინარდაო. ესეც, ყველა სხვა ჩვენების მსგავსად, მტკნარი სიცრუე იყო. საბჭოელებმა მშვენივრად იცოდნენ მენშაგინის ადგილსამყოფელი – მაშინ იგი ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული.

ყოფილი რუსი სამხედრო პროკურორი ანატოლი იაბლოკოვი[72], რომელმაც 1990-იანი წლების დასაწყისში გამოიკვლია კატინის საქმე, ამბობს: „მენშაგინი 1946-დან 1951 წლამდე შინსახკომის ციხეში იჯდა, შემდეგ კი ცხრამეტი წელი ვლადიმირის ციხის ერთკაციან საკანში გაატარა... მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სახელი სამხილად იქნა გამოყენებული საბჭოელების ცრუ ჩვენებებში“. ოცდახუთი წელი არ თანხმდებოდა მენშაგინი დაედასტურებინა ეს ცრუ ჩვენებები და შესაბამისად დაისაჯა კიდეც. „ის ფაქტი, რომ მან პატიმრობაში ოცდახუთი წელი გაატარა, აქედან ცხრამეტი – ერთკაციან საკანში, ყოველგვარი მიმონერის, ინფორმაციის და მნახველის გარეშე, უკვე დიდი წამებაა... მენშაგინის უდრეკი სული თვით ციხის ზედამხედველობაშიც კი დიდ პატივისცემას იწვევდა. მე პირადად დიდ პატივს ვცემ ყველა იმ ადამიანს, ვინც უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ამ ფალსიფიკაციებში“.

ყველანაირი მცდელობის მიუხედავად, საბჭოელებმა მაინც ვერ მოახერხეს კატინის დანაშაულის გერმანელებისთვის გადაბრალება. მათი მტკიცებულებანი მეტად არაადეკვატური და არადამაჯერებელი იყო. მაგალითად, სასამართლომ მკაცრად გააფრთხილა საბჭოთა პროკურორი, რომელიც ყალბი ჩვენების მიცემაში ისედაც უკვე გაწვრთნილ ბაზილევსკის პირდაპირ სასამართლო პროცესზე უკარნახებდა პასუხებს. სასამართლოზე ხაზი გაუსვეს იმ უცნაურ ფაქტსაც, რომ გერმანელებთან თანამშრომლობაში შემჩნეული ბაზილევსკი საბჭოელებმა დაუსჯელი დატოვეს.

საბჭოელთა სარჩელის სიყალბე საბოლოოდ მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც მათ ვერ შეძლეს კონკრეტულად დაესახელებინათ თუ რომელი გერმანელი ოფიცრები ან რომელი გერმანული შენაერთი იყო პასუხისმგებელი კატინის დანაშაულზე. იმ დროს, როცა ბურდენკოს კომისიის დასკვნაში მკვლელობის ორგანიზატორად ვინმე „პოდპოლკოვნიკი არნესი" იყო დასახელებული, სასამართლოზე საბჭოელებმა სულ სხვა გერმანელი ოფიცრის, ვინმე ახრენსის დასჯა მოითხოვეს. მალევე ეს ბრალდებაც უარყოფილი იქნა დაცვის მხარის მიერ დასაბუთებული ალიბის წარდგენის შედეგად. დაცვის მხარის წარმომადგენელმა დოქტორმა შტამერმა[73] ერთ-ერთ მოსმენაზე განაცხადა: „მოსარჩელე მხარე თავიდან ამტკიცებდა, რომ დახვრეტა გერმანელთა 537-ე შენაერთმა განახორციელა და მას პოლკოვნიკი ახრენსი მეთაურობდა. დღეს იგი დამნაშავედ ჯერ კვლავ პოლკოვნიკ ახრენსს ასახელებდა, ახლა კი ჩვენება შეცვალა და პასუხისმგებლობას ახრენსის წინამორბედ ბედენსკის აკისრებს; თუ არც პოლკოვნიკ ბედენსკის დაადანაშაულებენ, მაშინ მათ მზად აქვთ მესამე ვერსია, თითქოსდა ეს ესესის სპეციალურმა დანაყოფმა მოიმოქმედა".

ამ შეუსაბამობების გამო კატინის საქმე უბრალოდ გაქრა ნიურნბერგის პროცესზე განსახილველ საკითხთა სიიდან. არავითარი განაჩენი არ გამოტანილა და არავითარი განცხადება არ გაკეთებულა. ამის შემდეგ ამ საქმის გარშემო ხანგრძლივმა სიჩუმემ დაისადგურა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიხეილ გორბაჩოვმა საიდუმლო საარქივო მასალების, მათ შორის სტალინის მიერ ხელმოწერილი პოლონელთა დახვრეტის ბრძანების, გასაჯაროების ნებართვა გასცა, მთელ მსოფლიომ შეიტყო სიმართლე კატინის შესახებ. რუსეთის ხელისუფლებამ 1990-იან წლებში გახსნა აღნიშნული დანაშაული, მაგრამ პასუხისგებაში არავინ მიუციათ.

პოლონელთა მძიმე ხვედრი

ომის დამთავრებისთანავე დასავლეთის ალიანსის მხარეზე ნაომარი ორასი ათასი პოლონელი უაღრესად რთული და ტრაგიკული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: დაბრუნებულიყო საზღვრებშეცვლილ და საბჭოელების მართულ სამშობლოში თუ სადმე სხვაგან ეზრუნა საკუთარ მომავალზე.

ამ არჩევანს ისიც ამძაფრებდა, რომ პოლონელთა უმრავლესობა ბრიტანელებისგან მიტოვებულად გრძნობდა თავს და სავსებით სამართლიანადაც. ეს გრძნობა კიდევ უფრო გააძლიერა იმან, რომ 1946 წლის ზაფხულში ლონდონში გამართულ გამარჯვების პარადზე არ მიიწვიეს პოლონური სამხედრო შენაერთები. რაკი ბრიტანეთის მთავრობამ უკვე ოფიციალურად აღიარა ვარშავის ახალი პროსაბჭოური მთავრობა, მას

გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა ამ პოლონელი მეომრების ბრიტანეთში თავმოყრა. მხოლოდ ბრიტანეთის საჰაერო ძალებში ნამსახურევი პოლონელები მიიწვიეს პარადზე, მაგრამ თავიანთი თანამემამულეებისადმი სოლიდარობის ნიშნად მათ ეს მიწვევა არ მიიღეს. პოლონური მე-2 კორპუსის შემადგენლობაში მონტე კასინოში ნაბრძოლი ვიესლავ ვოლვოვიჩი იხსენებს: „ჩვენ მძიმე პერიოდში გამოგვიყენეს და ახლა უკვე აღარავის ვჭირდებოდით. მათ პარადზეც კი არ მიგვწვიეს, რათა მადლიერება მაინც გამოეხატათ. ამიტომ არ მიყვარს ბრიტანელები. შეუძლებელია ამის პატიება. ეს მათი მხრიდან არაჰუმანური საქციელი იყო“.

უინსტონ ჩერჩილმა, რომელიც ახლა უკვე ოპოზიციის ლიდერი იყო, გამარჯვების პარადამდე სამი დღით ადრე თემთა პალატაში გამოსვლისას ღრმა წუხილი გამოხატა იმის გამო, რომ „არც ერთ იმ პოლონურ შენაერთს, ვინც ჩვენ მხარდამხარ იბრძოდა და ვინც საერთო საქმისთვის სისხლი დაღვარა, საზეიმო პარადზე მარშით გავლის უფლება არ მიეცა“. მან აქვე აღიარა დასავლეთის ალიანსის წარუმატებლობა, უზრუნველეყო პოლონეთის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ამის მრავალგზისი დაპირების მიუხედავად. მან განაცხადა, რომ „ამჟამად პოლონეთი მკაცრ კონტროლქვეშ მოაქცია პროსაბჭოურმა მთავრობამ, რომელიც ვერ ბედავს ჩაატაროს თავისუფალი არჩევნები სამი-ოთხი დიდი სახელმწიფოს დამკვირვებელთა თანდასწრებით. პოლონეთის თავგადასავალი ერთი დიდი ტრაგედიაა და ჩვენ, ვინც ომში მის გამო ჩავებით, ახლა მწუხარებით ვადევნებთ თვალს ჩვენი ამ ამაო მცდელობის გაუთვალისწინებელ შედეგებს“.

გენერალ ანდერსის სარდლობით ნაომარი პოლონური II კორპუსის მებრძოლთა მცირე ნაწილმა ომის დასასრულ პოლონეთში დაბრუნება გადაწყვიტა, ხოლო დიდ უმრავლესობას, ანდერსის თქმით, „მთელი ცხოვრება უცხოობაში ხეტიალი ელოდა“[74].

ანდერსის არმიის მეომარი ზბიგნევ ვოლაკიც[75] რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა – დაბრუნებულიყო სამშობლოში თუ არა. ომის დასრულების შემდეგ ისიც სხვებთან ერთად ინგლისში აღმოჩნდა. აქ მას ერთი ინციდენტი შეემთხვა, რომელმაც მისი ცხოვრება შეცვალა: „ერთხელ მე, უნიფორმაში გამოწყობილი, ჩემს ინგლისელ მეგობარ გოგონასთან ერთად ჩესტერის ქუჩაში მივსეირნობდი. უცებ ჩვენს ახლოს მორის მინორის მარკის ავტომობილი გაჩერდა და იქიდან ტვიდის პიჯაკში გამოწყობილი ინგლისელი ჯენტლმენი გადმოვიდა. იგი მომიახლოვდა და მითხრა: „ლეიტენანტო, შეიძლება რაღაც გკითხოთ?“ ვუპასუხე, დიახ-მეთქი. მან ჩემს პოლონურ სამხედრო ნიშანს ხელი შეახო და მითხრა: „კიდევ დიდხანს აპირებთ ეს პოლონელები ინგლისელების კმაყოფაზე ყოფნას? ვეღარ გაიგეთ, რომ ომი დამთავრდა?“ პასუხად ვკითხე, თქვენ ამ შეკითხვას იმ პოლონელებს უსვამთ, რომლებიც 1940 წლიდან ბრიტანელების დასახმარე-

ბლად იბრძვიან-მეთქი. ეს საუბარი მწარე გაკვეთილი აღმოჩნდა ჩემთვის. მან მიჩვენა, რომ როცა გიჭირს, მაშინ აღარც მეგობრებს უნდიხარ და არც ერებს შორის მეგობრობა არსებობს... ამ ჩეშირელ (მხარეა ინგლისში – მთარგ. შენ.) ჯენტლმენს ჩემი არ ესმოდა... მას შეეძლო თუნდაც ჯოჯოხეთში გავეგზავნე... მაშინ ნაწყენი დავრჩი, რადგან ახალგაზრდა, რომანტიკული და მგრძნობიარე ვიყავი. მხოლოდ ახლა ვხედები, რომ არ ღირს ვინმეზე განაწყენება... ადამიანები ყოველთვის მარტო რჩებიან საკუთარ პრობლემებთან“.

ამ „ჯენტლმენთან“ საუბარმა ზბიგნევ ვოლაკს საბოლოოდ გადააწყვეტინა ბრიტანეთის დატოვება. მეგობრების გაფრთხილების მიუხედავად, ის პოლონეთში დაბრუნდა: „ვიფიქრე, მარტოხელა ვარ, ოჯახი არ მყავს, მშობლები არ მყავს, არავინ არ მყავს. არ ვემორჩილები ისტორიის იმ ვერდიქტს, თითქოს ყველაფერი დამთავრდა, საბჭოთა კოლონია გავხდით და ეს ასე უნდა დარჩეს. მინდა პოლონეთში ვიყო, რათა ჩემი თაობის ხვედრი გავიზიარო“.

ამრიგად, ბრიტანულ უნიფორმაში გამოწყობილი ზბიგნევი პოლონეთში დაბრუნდა, სადაც საიდუმლო პოლიციამ მაშინვე დააპატიმრა. ის რამდენჯერმე აიძულეს დაეწერა თავისი თავგადასავალი, აღეწერა მნიშვნელოვანი მოვლენები და მიეთითებინა თარიღები, რათა მათი შედარებისას გამომძიებელი ნებისმიერ შეუსაბამობას ჩასჭიდებოდა. „პირდაპირ განმიცხადეს, რომ პოლონეთში ჩემნაირი ხალხი არ სჭირდებოდათ“. გათავისუფლების შემდეგ მან მრავალი ფიზიკური სამუშაო გამოიცვალა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოიპოვა უნივერსიტეტში სწავლის უფლება. მას არასდროს უგრძვნია კომუნისტურ პოლონეთში თავი თავისუფლად და უსაფრთხოდ: „მთელი ჩემი ცხოვრება თან მდევდა გარიყულისა და დევნილის შეგრძნება“.

მართალია ბრიტანელთა მხარეზე ნაომარ და უკან დაბრუნებულ პოლონელთა ნაწილს აპატიმრებდნენ და დევნიდნენ, მაგრამ მათ უმეტესობას საშუალება მიეცა ფიზიკურად ეშრომა და ცხოვრება აეწყო. და მაინც, დანარჩენი პოლონელების მსგავსად, ისინი არ იყვნენ იმ თავისუფალი პოლონეთის ის თავისუფალი მოქალაქენი, რომელსაც მათ ჩერჩილი შეპირდა.

ომში გამარჯვების შემდეგ სტალინი სხვადასხვა მიმართულებით მრავალი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. რა ტიპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა საბჭოთა კავშირი და რას მოიმოქმედებდა იგი როგორც მისი ლიდერი? რით ნაახალისებდა იგი მათ, ვინც ომის მოგებაში დაეხმარა? როგორ მოექცეოდა ევროპიდან დაბრუნებულ თავის მეომრებს, რომლებმაც საკუთარი თვალით იხილეს კაპიტალისტური სამყარო? როგორ გაამართლებდა დასავლეთის იმედებს და როგორ „შეარბილებდა" თავის რეჟიმს?

სამწუხაროდ, დასავლეთის მოლოდინი არ გამართლდა. ომისშემდგომ პირველივე თვეებში სტალინში კვლავ იმძლავრა ეჭვიანობამ, რომელიც პარანოიის ზღვარზე იყო მისული. ყველა, ვისაც დასავლეთთან ჰქონდა შეხება, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ერთ-ერთი პირველები გერმანელთა ტყვეობაგამოვლილი საბჭოთა მეომრები დაისაჯნენ. სტალინს ჯერ კიდევ ომის დროს ჰქონდა ნათქვამი, არ არსებობენ საბჭოთა ტყვეები, არსებობენ მხოლოდ მოღალატეებიო. ამ იარლიყმიკერებული, გერმანელთა ტყვეობაში ნამყოფი საბჭოთა მეომრები გათავისუფლებისთანავე შინსახკომის საფილტრაციო ბანაკებში მოათავსეს, დაკითხეს და დაახლოებით მათი ნახევარი გულაგის ბანაკებში გამოამწყვდიეს.

ომის დამთავრებისთანავე იმ საბჭოთა ქალებს, ვინც მოკავშირეთა სამხედრო ან სამოქალაქო პირზე იყვნენ დაქორწინებული, უარი უთხრეს საზღვარგარეთის ვიზაზე. ამას უამრავი პირადი ტრაგედია მოჰყვა. მოსკოვში ბრიტანეთის სამხედრო მისიის ოფიცერს ჰიუ ლუნგჰის რუსი გოგონა დინა შეუყვარდა და მასზე დაქორწინება გადაწყვიტა. როდესაც შესაბამის საბჭოთა დაწესებულებას თხოვნით მიმართა, პასუხის ღირსიც კი არ გახადეს.: „ასეთი იყო მათი მუშაობის სტილი. მიაკითხავდი და გეუბნებოდნენ, საქმე განიხილებაო, შემდეგ კი საერთოდ არ გცემდნენ პასუხს".

დინას ძვირად დაუჯდა ლუნგჰისთან ურთიერთობა. თავიდან შინსახკომმა ლუნგჰის თვალთვალი დაავალა, მაგრამ დინამ ამ დავალების შესახებ ლუნგჰის უამბო. რაკი სასურველი მასალა ვერ მოიპოვა, დაბოღმილმა შინსახკომმა დინა ომის განმავლობაში ორჯერ დააპატიმრა. ომის შემდეგ 1947 წელს კი იგი შრომა-გასწორების კოლონიაში გაუშვეს. ლუნგჰიმ ის მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იხილა იქიდან გამოსული და შეძრწუნდა: „საშინლად მოტეხილი, დეპრესიული და დათრგუნული იყო".

პირადმა ამბებმა და საკუთარი თვალით ნანახმა ლუნგჰი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „მართალია რუსეთში ჩვეულებრივი ხალხი თავაზიანი, ზრდილობიანი და მეგობრულია, მაგრამ საბჭოთა რეჟიმი ისეთივე ცუდია, როგორც ნაციზმი". ამასთან ლუნგჰი აცნობიერებდა, რომ „საბჭოთა კავშირის გარეშე ომს ვერ მოვიგებდით, იგი დიდხანს გაგრძელდებოდა და

ჰიტლერი გაერთანებულ სამეფოს დაიპყრობდა“. და მაინც, „ისეთი ვინმეს მხარდამხარ ვიბრძოდით, ვინც აშკარად საშინელი იყო – სტალინი ჰიტ-ლერზე იმდენად უარესი იყო, რამდენადაც ეს შესაძლებელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ორი სატანიდან ერთი მეორეზე უფრო შავი იყო“.

სტალინი არა მარტო უცხოელების, არამედ საკუთარი კოლეგების მი-მართაც ეჭვიანი იყო. კერძოდ, მას არ სურდა, რომ ომში წითელი არმიის გამარჯვებისთვის დაფნის გვირგვინები მის გენერლებს რგებოდათ. ჯერ კიდევ თეირანის კონფერენციიდან მოყოლებული, სადაც ის პირველად წარსდგა სამხედრო ფორმაში გამოჯგიმული, საკუთარ თავს იმ სამხედრო გენიასთან აიგივებდა, ვინც საბჭოთა კავშირს ომში გამარჯვება მოუტანა. ამ სპექტაკლმა თავის აპოგეას წლინახევრის შემდეგ პოტსდამში მიაღწია, სადაც სტალინი უკვე საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის მუნდირით იწონებდა თავს. თუმცა სტალინმაც და მისმა გარემოცვამაც სიმართლე კარგად იცოდნენ: წითელი არმიის წარმატებები მაშინ დაიწყო, როცა მან უკლო საკუთარი გენერლების ტაქტიკურ მოქმედებებში ჩარევას.

არსებობს მითქმა-მოთქმა, რომ საკუთარი სამხედრო ბრწყინვალების გასაძლიერებლად სტალინს სურდა 1945 წლის 24 ივნისს წითელ მოედანზე გამარჯვების პარადი თავად, ცხენზე ამხედრებულს ჩაებარებინა, მაგრამ პარადისთვის სამზადისის დროს ცხენიდან ჩამოვარდნის შემდეგ იძულე-ბული გახდა ამ განზრახვაზე ხელი აეღო. ამის შემდეგ გამოვიდა ავანს-ცენაზე მარშალი ჟუკოვი, რომელმაც პარადზე ჩამწკრივებულ სამხედრო შენაერთებს ცხენზე ამხედრებულმა თავდაჯერებით ჩაუარა. ჟუკოვის შტაბის კავშირგაბმულობის ოფიცერი და მისი პირადი ნაცნობი სვეტლა-ნა კაზაკოვა[76] იხსენებს: „გამარჯვების პარადი საბჭოთა კავშირის ისტო-რიაში უბრწყინვალესი მოვლენა იყო. ახლაც თვალწინ მიდგას. ზაფხულის დღე იყო. წვიმდა, მაგრამ წითელი მოედანი წითელ დროშებით კაშკაშებდა. ხალხს ორდენები და მედლები ეკეთა და მათი ელვარება მთელ მოედანს ანათებდა. როცა საათის ისარი ათს მიუახლოვდა, ყველა სმენაზე დადგა. მალე კრემლის კურანტებმა ჩამოჰკრა და იმავდროულად გიორგი ჟუკოვი, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირი, თეთრ ცხენზე ამხედრებული შემოვი-და მოედანზე. იგი ისე ელეგანტურად იჯდა ცხენზე, თითქოს ახალგაზრ-და ლეიტენანტი ყოფილიყო“. თეთრ ცხენზე მოჯირითე ჟუკოვის შემყურე სტალინი რასაკვირველია შურმა შეიპყრო. უფრო მეტიც, იგი ჟუკოვს შეშ-ფოთებით აკვირდებოდა. ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე სტალინმა მშვე-ნივრად იცოდა, თუ რა უსაზღვროდ პოპულარული შეიძლებოდა გამხდა-რიყო ხალხში ბრძოლაში წარმატებული გენერალი – განა ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვებები არ გამოადგა ნაპოლეონს საფრანგეთის რე-ვოლუციის უზურპაციასა და პოლიტიკოსებისთვის ძალაუფლების წართ-მევაში?

ჟუკოვს საკუთარი პოპულარობისთვის პასუხი უნდა ეგო და ეს პასუხისგება 1946 წლის დასაწყისში საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურის ალექსანდრე ნოვიკოვის დაპატიმრებით დაიწყო. შინსახკომმა იგი აიძულა „ელიარებინა“, რომ „გაბმული იყო დანაშაულებრივ ქსელში“ და რომ „ფრონტისთვის განკუთვნილ სხვადასხვა საქონელს პირადი გამორჩენისთვის იყენებდა“[77]. ეს „დანაშაული“ საყოველთაოდ იყო გავრცელებული და უმეტესწილად არ ისჯებოდა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სტალინს სურდა გასულიყო იმ ადამიანზე, რომელიც, მისი აზრით, „მასზე მეტად“ აღზევებას ცდილობდა.. ნოვიკოვს ასევე „აღიარებინეს“, რომ ჟუკოვთან „პოლიტიკურად სახიფათო“ საუბრებს ეწეოდა. „უნდა მოგახსენოთ“, განაცხადა მან ამ „აღიარებისას“, „რომ ჟუკოვი ძალაუფლების დიდად მოყვარული და საკუთარ თავზე შეყვარებული ადამიანია; მას სურს, რომ პატივით, მოწიწებითა და მორჩილებით ეპყრობოდნენ და ვერავითარ შეპასუხებას ვერ იტანს“. გარდა ამისა, ნოვიკოვი ირწმუნებოდა, რომ „ჟუკოვი არ თაკილობდა განვლილ ომში საკუთარი წვლილი უმაღლესი მთავარსარდლის დონემდე გაებერა და ისე გათავხედდა, რომ ყველა ძირითადი სამხედრო ოპერაციის გეგმის შემუშავებას იჩემებს“.

შინსახკომის მხრიდან წაქეზების მიუხედავად, ნოვიკოვმა ვერ დაასახელა ჟუკოვის მიერ სტალინის წინააღმდეგ შეთქმულების მცდელობის თუნდაც ერთი მაგალითი. თუმცა მისგან გამოძალული ჩვენებების მიხედვით ჟუკოვი სამხედრო წარმატებებს დახარბებული და პატივმოყვარე, ეგოისტი და სხვათა მარცხისადმი შეუწყნარებელი პიროვნება იყო (სხვათა შორის, ასეთი დახასიათება მიესადაგებოდა ბევრ გამოჩენილ დასავლელ სამხედრო მეთაურს). ამ ჩვენებების საფუძველზე, თითქოსდა გარდაუვალი იყო ჟუკოვის გულაგში გაგზავნა, მაგრამ შემდგომში მოვლენები საკმაოდ კურიოზულად განვითარდა. თავიდან ჟუკოვის „მხილება“ სტალინისეული სცენარის მიხედვით წარიმართა. 1946 წლის 1 ივნისს კრემლში გამართულ თათბირზე ნოვიკოვის მამხილებელი ჩვენებების გაცნობის შემდეგ მოლოტოვმა და მალენკოვმა ჟუკოვი „დამნაშავედ ცნეს“, ხოლო ბერიამ დაამატა, ჟუკოვის პრობლემა ისაა, რომ საკმაოდ მადლიერი არ არის ამხანაგ სტალინისა, რისთვისაც სათანადო ადგილი უნდა მივუჩინოთო[78]. ასეთი დაგეგმილი სცენარით ვითარდებოდა მოვლენები მანამ, სანამ სიტყვა არ აიღო ჟუკოვის სამხედრო მეტოქემ მარშალმა კონევმა. თითქოსდა პირადი გამორჩენის თვალსაზრისით ის ყველაზე მეტად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული ჟუკოვის ჩამოშორებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნა რა „ჟუკოვის მძიმე ხასიათი“, მან კატეგორიულად უარი თქვა, რომ დაედანაშაულებინა იგი „პოლიტიკურ არაგულწრფელობაში და ცენტრალური კომიტეტის უპატივცემლობაში“. „მე ვთვლი, რომ ამხანაგი ჟუკოვი პარტიის, მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის ერთგულია“, დასძინა მან. ამ აზრს მხა-

რი დაუჭირა სატანკო არმიის წარჩინებულმა მარშალმა პაველ რიბალკომ: „არასწორია იმის მტკიცება, თითქოს ჟუკოვი კონსპირატორი იყოს. მასაც აქვს შეცდომები, ისევე როგორც ყველა ჩვენგანს, მაგრამ ის პატრიოტია და ეს დიდ სამამულო ომში დაამტკიცა". სხვათა შორის, რიბალკომ თავის გამოსვლაში ისიც თქვა, რომ დადგა დრო, შეწყდეს საპატიმროებში გამოძალული ჩვენებების მტკიცებულებებად გამოყენებაო.

ამ ორი მარშალისგან ასეთი მამაცური მხარდაჭერა – თუ გავითვალისწინებთ რაოდენ დიდი გამბედაობა სჭირდებოდა შინსახკომთან შეჭიდებას – მიუთითებს, რომ ჟუკოვს თავის კოლეგებთან ერთად მართლაც ძალუძდა წინაღდგომოდა სტალინს. მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მტკიცებულებანი უსაფუძვლო იყო. „პარტიაში შესვლის მომენტიდან პატიოსნად ვემსახურები პარტიას და სამშობლოს. არასდროს არავითარ შეთქმულებასთან კავშირი არ მქონია". უფრო მეტიც, ჟუკოვმა განაცხადა, რომ მისი საწინააღმდეგო ჩვენებები წამების შედეგად გამოძალული სიცრუეაო.

თათბირის დასასრულ სტალინის გადაწყვეტილებით ჟუკოვს დაპატიმრების ნაცვლად „გარკვეული ვადით მოსკოვიდან მოშორება" მიუსაჯეს. იგი გერმანიაში დისლოცირებული შეიარაღებული ძალების სარდლის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლად დანიშნეს. „სტალინმა ის თავიდან მოიშორა და ჟუკოვს უინტერესო და უხალისო დღეები დაუდგა", იხსენებს სვეტლანა კაზაკოვა, რომელიც მეუღლესთან ერთად მასთან მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებდა. „ზოგიერთმა ფარისეველმა მაშინვე განყვიტა მასთან ურთიერთობა, ხოლო წესიერ ხალხს ეშინოდა მასთან დარეკვის იმის შიშით, რომ სატელეფონო საუბრები ისმინებოდა. მასთან საუბარი მხოლოდ შენობის გარეთ იყო შესაძლებელი... ჩვენ ყველანი განვიცდიდით ჟუკოვის ამბავს, მაგრამ ვდუმდით... არაფრის შეცვლა არ შეგვეძლო... მძულს ასეთი სასტიკი და უსამართლო სისტემა, რომელიც ქვეყანას ზიანს აყენებს. სამშობლომ დაკარგა ადამიანი, რომელსაც შეეძლო ჩვენი არმია ბევრად უკეთესი გაეხადა".

მაგრამ ჟუკოვს შეიძლებოდა უარესიც მოსვლოდა. სტალინმა 30-იანი წლების რეპრესიებით აჩვენა, რომ შეეძლო სამხედრო მხედარმთავრები საწამებლად და დასახვრეტად გაეწირა. აქ საინტერესო კითხვა იბადება: რატომ არ ეწია ჟუკოვს იგივე ბედი? ამის ერთ-ერთ სავარაუდო მიზეზად შეიძლება ჩაითვლოს ის, რომ სტალინს შემორჩენილი ჰქონდა ერთგვარი მიჯაჭვულობის და რაღაც მადლიერების გრძნობა ჟუკოვის მიმართ გამარჯვებაში შეტანილი მისი დიდი წვლილის გამო და ამიტომ ბოლომდე ვერ განირა. თუმცა ასეთი მიზეზი იმდროინდელი საბჭოთა სინამდვილის ფონზე ერთობ რომანტიკულად ჟღერს.

სტალინის ნარმატებული მოქმედების ერთ-ერთი საწინდარი ის იყო, რომ არავისთან და არასდროს აკავშირებდა გულწრფელი გრძნობა. ჰიტლერისაგან განსხვავებით, რომელიც ყოველთვის ლოიალობით გამოირჩეოდა ჰერმან გერინგის მსგავსი ძველი პარტიული თანამებრძოლებისადმი, სტალინი ყველა თავის „ამხანაგში" პოტენციურ მეტოქეს ხედავდა. უმეტეს შემთხვევაში ისინი სჭირდებოდა დიდ ბელადს და ამის გამო მათი სარგებლიანობა აწონასწორებდა და გარკვეული დროით აკავებდა ღვარძლს მათ მიმართ, მაგრამ ასეთი თავშეკავება მუდამ არასტაბილური იყო და ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა დარღვეულიყო.

ჟუკოვის მიმართ ასეთი თითქოსდა შემწყნარებლური მიდგომაც ასეთი თავშეკავებით უნდა აიხსნას. სავარაუდოდ სტალინმა მიიჩნია, რომ მისი დაპატიმრება ან დახვრეტა იმ ეტაპზე არ იყო მიზანშეწონილი, მით უმეტეს, რომ ჟუკოვს წითელ არმიაში მრავალი მხარდამჭერი ჰყავდა იმ თათბირზე მისი დამცველი მარშლების ჩათვლით. ამიტომ სტალინმა გადაწყვიტა ჟუკოვს ეტაპობრივად გასწორებოდა. პირველი ეტაპი იყო გერმანიის სამხედრო მმართველის მაღალი პოსტიდან მისი გადაყენება და უკიდეგანო საბჭოთა სივრცეში მოსროლა. შემდეგი ეტაპის არსი კი მოვლენების განვითარებაზე იყო დამოკიდებული. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც გასამართლება და დახვრეტა, ასევე რეაბილიტაცია. ბოლოს და ბოლოს, ჟუკოვი მას შეიძლებოდა კიდევ დასჭირვებოდა – დავუშვათ და უეცრად ომი ამტყდარიყო და მისი სამხედრო ნიჭის საჭიროება დამდგარიყო? ასეთი ობიექტური ვითარებების გათვალისწინებით და სრულიად ცივი გულით და გონებით გადაწყვიტა სტალინმა ჟუკოვის გაგზავნა არა ლუბიანკის ციხეში, არამედ ოდესაში.

გაუსწორდა რა კაცს, რომელმაც ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა წითელი არმიის ომისდროინდელ წარმატებებში, სტალინმა მიზანში თავისი უახლოესი ამხანაგი მოლოტოვი ამოიღო და შემდეგი იერიში მის მეუღლეზე, პოლინა ჟემჩუჟინაზე მიიტანა. სტალინი დიდი ხანი ეჭვის თვალით უყურებდა ამ ქალს – ის ებრაელი იყო და უახლოესი ნათესავები საზღვარგარეთ ჰყავდა: და – პალესტინაში, ხოლო ძმა – ამერიკაში. იმ მიზნით, რომ მისი მეუღლის პოზიციები შეერყია, 1948 წელს სტალინმა ჟემჩუჟინას წინააღმდეგ სასამართლო საქმე აღძრა. მიუხედავად იმისა, რომ მოლოტოვს როგორც უგრძნობ და უემოციო კაცს ბრიტანელმა ოფიციოზმა „დაჯღანული ბებერი" შეარქვა, საბჭოთა მინისტრს ძალიან უყვარდა თავისი მეუღლე და მასზე შეტევას საკუთარ თავზე შეტევის ტოლფასად აღიქვამდა.

შინსახკომის ჩატარებული „გამოძიების" საფუძველზე 1948 წლის დეკემბერში პოლიტბიუროს წინაშე დაისვა საკითხი პარტიიდან პოლინას გარიცხვის შესახებ. ეს იყო ტრადიციული პირველი ნაბიჯი გულაგისკენ მიმავალ გზაზე. პოლიტბიურომ დაასკვნა: „პარტიული კონტროლის კო-

მისიის შემოწმებით დადგენილია, რომ პ. ს. ჟემჩუჟინას ახლო ურთიერთობა აქვს ჯაშუშობაში შემჩნეულ და პოლიტიკურად არასაიმედო ებრაელ ნაციონალისტებთან"[79]. მტკიცებულებებად მოყვანილი იყო მისი ყოფნა ერთ-ერთი ებრაელი ლიდერის დაკრძალვაზე და გასაუბრება სხვა ცნობილ საბჭოთა ებრაელთან. გარდა ამისა, იგი „1945 წლის 14 მარტს სინაგოგაში ჩატარებულ რელიგიურ ცერემონიალში" მონაწილეობდა. ამის საფუძველზე პოლიტბიურომ დაადგინა, რომ „სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ არაერთგზისი გაფრთხილების მიუხედავად, პ. ს. ჟემჩუჟინა სისტემატურად არღვევდა პარტიის შინაგანაწესს და განაგრძობდა პოლიტიკურად გაუმართლებელ ქმედებებს. ზემოღნიშნულიდან გამომდინარე ვადგენთ, რომ პ. ს. ჟემჩუჟინა გაირიცხოს სრულიად რუსეთის კომუნისტური პარტიის რიგებიდან"[80].

ამ რეზოლუციას ხელი მოანერა პოლიტბიუროს ყველა იქ მყოფმა წევრმა, ერთის გარდა. მოლოტოვმა ვერ შეძლო საკუთარი მეუღლის დამსჯელის ფუნქცია ეკისრა და თავი შეიკავა, მაგრამ მომდევნო რამდენიმე კვირა მას მოსალოდნელ შედეგებზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. სტალინისადმი ამდენწლიანი მონური მორჩილების შემდეგ განა შეეძლო თუნდაც საყვარელი მეუღლის გულისთვის მის წინააღმდეგ წასულიყო? საბოლოოდ მან დაასკვნა, რომ არ შეეძლო და 1949 წლის იანვარში სტალინს მისწერა: „ვაცნობიერებ, რომ პოლიტიკური შეცდომა დავუშვი, როცა თავი შევიკავე პ. ს. ჟემჩუჟინას პარტიის რიგებიდან გარიცხვის სასარგებლოდ ხმის მიცემისგან. მსურს გაცნობოთ, რომ ამ საკითხზე ბევრი ფიქრის შემდეგ ახლა მხარს ვუჭერ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. ეს გადაწყვეტილება პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება და ხელს უწყობს კომუნისტური იდეოლოგიის სწორად გააზრებას. მძიმე სინდისის ქენჯნას განვიცდი იმის გამო, რომ არ დავიცავი ჩემთვის ძვირფასი ადამიანი პ. ს. ჟემჩუჟინა ებრაელ ნაციონალისტებთან ურთიერთობის გამო მის მიერ დაშვებული შეცდომებისგან"[81].

ადვილი წარმოსადგენია სტალინის კმაყოფილება, იმ ადამიანის ასეთ თვითდამამცირებელ აღიარებას რომ წაიკითხავდა, რომელიც ბოლოს და ბოლოს მიხვდა, თუ რა საფრთხეში ჩაიგდო თავი საკუთარი მეუღლის თანადგომის გამო. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოლოტოვის აღიარებამ სტალინი კიდევ ერთხელ დაარწმუნა ადამიანის ბუნებაზე საკუთარი შეხედულების სისწორეში: „როცა პირადი საშიშროება ემუქრება, მაშინ პირადი პრინციპებისთვის აღარავის ცხელა; რაც იმას მოწმობს, რომ ადამიანი ერთი ურცხვი და უხერხემლო არსებაა". პოლინა 1949 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. იგი მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გაათავისუფლეს.

სტალინის სურვილი, გაესრისა ნებისმიერი პოტენციალური მეტოქე – განსაკუთრებით კი ისინი, ვინც ომის პერიოდში ინიციატივის უნარი და

ლიდერის მონაცემები გამოავლინა – ასევე საფუძვლად ედო მის მოპყრობას ომისდროინდელი ლენინგრადის მმართველებისადმი. გერმანელების მიერ ამ ქალაქის ბლოკადა, რომელიც 1941 წლის სექტემბრიდან 1944 წლის იანვრამდე გრძელდებოდა, მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ ყველაზე შემაძრწუნებელ მოვლენად ითვლება, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ამ ბლოკადის დროს მილიონზე მეტი საბჭოთა მოქალაქე დაიღუპა შიმშილის შედეგად, იყო კანიბალიზმის შემთხვევებიც. ლენინგრადის დაცვას პარტიის იქაური მდივანი ანდრეი ჟდანოვი ხელმძღვანელობდა. სტალინი ძალიან ეჭვის თვალით უყურებდა ყველა იმ ინიციატივას, რასაც ჟდანოვი და მისი კოლეგები იჩენდნენ ბლოკადის პერიოდში. ლენინგრადის პარტიული ხელმძღვანელობისადმი მაშინ მიწერილ წერილში იგი აღნიშნავდა: „საკმაოდ უცნაურია, რომ ამ მძიმე ჟამს ამხანაგი ჟდანოვი არ გრძნობს მოსკოვთან კონტაქტის დამყარების აუცილებლობას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლენინგრადი ამხანაგ ჟდანოვთან ერთად სსრკ-ში კი არა, სადღაც წყნარი ოკეანის კუნძულზე იმყოფება"[82].

ქალაქის მმართველთა მიმართ სტალინის ასეთი უკმაყოფილებისა და საშინელი პირობების მიუხედავად, ლენინგრადმა გერმანელთა ბლოკადას გაუძლო და მისი ეს გამძლეობა შემდგომში საბჭოელთა სიმამაცისა და სიმტკიცის სიმბოლოდ იქცა. მაგრამ ბლოკადამ ლენინგრადელთა ხასიათიც შეცვალა. „ბლოკადის დროს ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ თავისუფალი პიროვნება ვიყავი", იხსენებს იმხანად ახალგაზრდა გოგონა იულია კაგანოვიჩი[83]. „არავინ მკარნახობდა როგორ მეცხოვრა. ჩვენ თვითონ ვიღებდით გადაწყვეტილებებს, თუ რა უნდა მოგვემოქმედა. არ იყო ძალდატანება; იყო თავისუფალი გარემო, რომლის ფასიც მოგვიანებით შევიცანი".

ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნის ალექსეი კუზნეცოვის ვაჟი ვალერი კუზნეცოვი[84] იხსენებს: „საერთოდ ამ ომმა მრავალი ადამიანი განკურნა ზოგიერთი ილუზიისგან. უფრო ზუსტად, ხალხს აღარ სჯეროდა ცენტრალური ხელისუფლების უცოდველობის და უცდომელობის. ლენინგრადი უნიკალურ კუნძულს ჰგავდა, სადაც ხალხი თვითონ იღებდა გადაწყვეტილებებს".

ეს, რა თქმა უნდა, სტალინისთვის ანათემა იყო. ამ „პრობლემის" მოსაგვარებლად გადადგმული მისი პირველი ნაბიჯი იყო ლენინგრადის ომისდროინდელი ორივე ლიდერის კრემლში „გადაყვანა", სადაც მათ დამოუკიდებელი მოქმედების შანსი გაუქრეს. მიუხედავად იმისა, რომ ჟდანოვი ომის შემდეგ თავგამოდებით სდევნიდა იმ მწერლებსა და მსახიობებს, რომლებიც „კომუნისტურ იდეალებს" არ ემსახურებოდნენ, სტალინი მას მაინც ეჭვის თვალით უყურებდა. ჟდანოვი სასმელს მიეძალა, რამაც ჯანმრთელობა შეურყია და შრომის უნარი წაართვა. 1948 წლის გაზაფხულზე ის სანატორიუმში მოათავსეს, სადაც ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

თუ ჟდანოვის სიკვდილის გარემოებები გარკვეულწილად იდუმალებითაა მოცული, ბლოკადისდროინდელი ლენინგრადის ასეულობით სხვა ხელმძღვანელი პირის, მათ შორის ალექსეი კუზნეცოვის მიმართ განხორციელებული რეპრესიები ეჭვს არ იწვევს. მათ წინააღმდეგ შეთითხნილი ბრალდების თანახმად, ლენინგრადელმა კომპარტიის მესვეურებმა საკავშირო ფინანსები მოსკოვისგან ავტონომიის მოსაპოვებლად გამოიყენეს. მაშინდელი ლენინგრადის ადმინისტრაციის წევრი მიხაილ ტაიროვი იხსენებს: „მაშინ ჩემს მეუღლეს ვუთხარი, ეს სისულელეა, წარმოუდგენელია, რომ ხალხი, რომელიც ასეთი საშინელი ბლოკადის გადატანაში დაგვეხმარა, რაიმეში დამნაშავე იყოს-მეთქი. მეორე დღეს მეც დამაპატიმრეს"[85].

ვალერი კუზნეცოვი იმ დღეს იხსენებს, როცა მათ ოჯახს მამამისის წასაყვანად მიადგნენ: „მამამ ტანსაცმელი გამოიცვალა და გვითხრა, მალე მოვალ, უჩემოდ არ ივახშმოთო. იგი კრემლის ჭიშკარში ფეხით გავიდა, შემობრუნდა და ხელი დაგვიქნია. ფანჯრიდან ვუყურებდით. იმის მერე მამაჩემი აღარ მინახავს".

კუზნეცოვი და ლენინგრადის პარტკომის სხვა წევრები აწამეს, ცრუ აღიარებები ჩამოართვეს და შემდეგ დახვრიტეს. იმავდროულად ლენინგრადის ორი ათასზე მეტი თანამდებობის პირი სამსახურიდან დაითხოვეს. სტალინს არასოდეს დავიწყებია ომისდროინდელი საბჭოთა კავშირის ეს „ინიციატივების კუნძული". მისთვის ინიციატივა დამოუკიდებლობას ნიშნავდა, დამოუკიდებლობა კი – ღალატს.

სტალინის გარდაცვალება

1953 წლის 1 მარტს, თავის ახლო გარემოცვასთან ერთად აგარაკზე ღამის ქეიფის შემდეგ, სტალინი ლოგინად ჩავარდა და ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალა. მრავალი მისი უახლოესი კოლეგისთვის მისი სიკვდილი ნამდვილი მისწრება იყო. სტალინი ახალ რეპრესიებს გეგმავდა, სადაც პირველ სამიზნედ მის მხარდამხარ ომგამოვლილი უმაღლესი თანამდებობის პირები, მათ შორის ხრუშჩოვი, ბერია და მოლოტოვი მოიაზრებოდნენ.

სტალინმა მთელი აღმოსავლეთ ევროპა საბჭოთა მარწუხებში მოქცეული დატოვა. რაც შეეხება პოლონეთს, იგი ისეთი „მეგობრული" იყო საბჭოთა კავშირის მიმართ, როგორიც ეს სტალინს სურდა. ამ „მეგობრობის" ჭეშმარიტი ბუნება 1950 წელს პოლონეთის ლიდერის ბოლესლავ ბიერუტის მოსკოვში ვიზიტის დროს წარმოჩინდა. ბიერუტმა სტალინს იმ პოლონელ კომუნისტთა ასავალ-დასავალი ჰკითხა, რომლებიც 1930-იან წლებში საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას გაუჩინარდნენ (უნდა ვივარაუდოთ, რომ დახოცეს). სტალინი ბერიას მიუბრუნდა და ჰკითხა: „სად

არიან ისინი? მათი მოძებნა ხომ დაგავალე. რატომ ვერ იპოვე ისინი?" სტალინის კაბინეტიდან გასვლისთანავე ბერიამ პოლონეთის პრეზიდენტს შეუტია: „იოსებ ბესარიონის ძეს რა გაუჭირე საქმე? გირჩევ, შენს ტყავში დაეტიო და ამ კაცს შეეშვა, თუ არა განანებ"[86]. ბერიას ეს უხეში სიტყვები სტალინიზმის მოჩვენებითი „კეთილისმყოფელობით" შენიღბულ სისასტიკეზე მიუთითებს.

სტალინის სიკვდილის შემდეგ რეპრესიები შესუსტდა, მაგრამ არ შემწყდარა. მართალია გულაგიდან ბევრი ხალხი გათავისუფლდა, მაგრამ საბჭოთა კავშირში ორი ფუნდამენტური თავისუფლება – სიტყვის და რელიგიის თავისუფლება არასდროს მიღწეულა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე გრძელდებოდა სტალინის მიერ რეპრესირებულთა დიდი ნაწილის პატიმრობა და დეპორტაცია მაშინ, როცა მათი დამსჯელები პატივში ყოფნას განაგრძობდნენ. „ის ადამიანები, ვინც გუშაგები და ჯალათები იყვნენ, ვინც გადასახლებას და დაპატიმრებას ახორციელებდნენ, შემდგომშიც მშვიდად ცხოვრობდნენ", ამბობს 1940 წელს აღმოსავლეთ პოლონეთიდან ყაზახეთში გადასახლებული ნინა ანდრეევა. „ისინი სულ უფრო მაღალ წოდებებს და თანამდებობებს იღებდნენ და ყოველგვარი პრივილეგიით სარგებლობდნენ. ის კაცი [ყაზახეთში გადასახლებისას მათზე მიმაგრებული გუშაგი] შემდეგ ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა [უკვე უკრაინაში]. მაღაზიაში ხშირად ვხვდებოდი. იგი მესალმებოდა და მეკითხებოდა: „გეთაყვა, სადაა ახლა შენი ძმა? [რომელიც, როგორც ნინამ მხოლოდ 1990 წელს შეიტყო, შინსახკომმა ომის პერიოდში დახვრიტა] ალბათ სადმე საზღვარგარეთაა და საბჭოთა კავშირის მტრებს ემსახურება" და ასე შემდეგ... და [მხოლოდ] როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, მან ზრდილობიანად და მონიწებით დამიწყო მოპყრობა და ერთხელაც პატიება მთხოვა: „ნინა, გთხოვ დაივიწყო ის, რაც მოხდა. ჩემი რა ბრალია? მე მხოლოდ ბრძანებებს ვასრულებდი".

იმ გუშაგისთვის ნინას რომც არ ეპატიებინა დანაშაული, მან და მისნაირმა დამნაშავე უამრავმა საბჭოთა ფუნქციონერმა თუ ჩინოვნიკმა აიცილა ოფიციციალური პასუხისგება.

წითელი მოედნის დამთვალიერებელი დღესაც ადვილად შენიშნავს კრემლის კედელთან აღმართულ იმ კაცის მონუმენტს, ვისაც ყველაზე მეტად ეკუთვნოდა პასუხისგება საკუთარი ქმედებებისთვის. ეს იოსებ სტალინია. მრავალი ადრინდელი და სავარაუდოდ მომავალშიც მოსალოდნელი ტირანის მსგავსად, ისიც ისე წავიდა ამ წუთისოფლიდან, რომ მართლმსაჯულება არ შეხებია.

შეეძლოთ თუ არა ალიანსის დასავლელ ლიდერებს სტალინთან ურთიერთობა სხვგვარად წარემართათ და არ დაეშვათ აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოელების პარპაში? ვართ თუ არა ჩვენ – დასავლეთი ნაწილობრივ პასუხისმგებელი ამ ოკუპაციით გამოწვეული უბედურებისათვის?

პრაქტიკული თვალსაზრისით, წითელი არმიის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ოკუპაციის თავიდან აცილება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ იქ მასზე ადრე სხვა ძალები შევიდოდნენ. ეს კი ნიშნავდა ან მეორე ფრონტის გახსნას ერთი წლით ადრე – 1943 წელს, ან ომის ბოლო ეტაპზე დასავლეთის მიერ გერმანიასთან რაიმე სახის პარტნიორობის დამყარებას, რასაკვირველია იმ პირობით, რომ ჰიტლერი და მისი დამქაშები ჩამოშორდებოდნენ ხელისუფლებას.

ამ ორი ვარიანტიდან მეორეს უარყოფა შედარებით ადვილია – თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთის ალიანსში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც დიდ საშიშროებას საბჭოთა კავშირში ხედავდნენ და მზად იყვნენ ომის ბოლო ეტაპზე გერმანიის მხარეზე ებრძოლათ. ამ წიგნში ადრე ნახსენები კატინის საქმის გამო რუზველტთან დაპირისპირებული მისი ყოფილი მეგობარი ჯორჯ ერლი ასეთი შესაძლებლობის განსახილველად შეხვდა კიდეც გერმანიის ყოფილი კანცლერის პაპენის ახლო მეგობარს ბარონ ლესნერს. 1943 წელს ფონ ლესნერი თავად ეწვია ერლის სტამბოლში და სთხოვა, რომ დასავლელი მოკავშირეები გერმანელთა „პირობით" დათანხმებულიყვნენ კაპიტულაციაზე. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ წამყვანი გერმანელი ოფიცრები – ვინც დასავლეთის ალიანსის მხარდაჭერას მოიპოვებდა – ჩამოაგდებდნენ ჰიტლერს და სხვა ნაცისტ ლიდერებს და ვერმახტი დასავლელ მოკავშირეებს შეეკვრებოდა, რათა საბჭოელები არ შეეშვათ გერმანიაში და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებში. ერლიმ ეს შეთავაზება, რასაკვირველია, რუზველტს გადაუგზავნა.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ასეთი გზით წასვლა დიდ კატასტროფას გამოიწვევდა. შეიძლებოდა უკუეგდოთ ნითელი არმია, მაგრამ მხოლოდ ალიანსის მებრძოლთა დიდი მსხვერპლის ფასად. უფრო მთავარი კი ისაა, რომ ასეთი ომის შემდეგ ევროპა გაცილებით უფრო არასტაბილური იქნებოდა იმასთან შედარებით, ვიდრე სინამდვილეში მივიღეთ. ეს იმიტომ, რომ სტალინგრადის შემდეგაც კი გერმანული არმია მრისხანე საბრძოლო ძალას წარმოადგენდა. თუ დასავლეთის ალიანსი გერმანელთა მხარეზე იბრძოლებდა და შემდეგ როგორღაც დაზავდებოდა საბჭოთა კავშირთან, რომელიც, რა თქმა უნდა, თავს გაყიდულად ჩათვლიდა და თავის მხრივ ახალი კონფლიქტის გაღვივებას შეეცდებოდა, ვინ განაიარაღებდა გერმანულ არმიას? გერმანია კვლავ დასავლეთისგან არაკონტროლირებადი და მეტად

ძლიერი იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ რუზველტმა გონებაში ერლის მადლობა გადაუხადა განეული შრომისთვის და მისი გზავნილი თაროზე შემოდო.

მეორე ფრონტის უფრო ადრე, 1943 წელს გახსნის იდეის გაბათილება კი არაა ადვილი. ეს თემა იმდენად ჩახლართულია, რომ ერთმა ისტორიკოსმა წიგნიც კი მიუძღვნა[2]. ცხადია, ჩერჩილის მოწინააღმდეგის „რბილ მუცელზე" ანუ იტალიასა და აფრიკაზე იერიშის მიტანის იდეის აკვიატება რომ არა, შესაძლებელია ლა-მანშის გადალახვის ოპერაცია 1943 წელს განხორციელებულიყო. ამით დასავლეთის ძალები ბევრად უფრო ღრმად შეიჭრებოდნენ ევროპაში, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. შესაბამისად შემცირდებოდა საბჭოური ექსპანსია აღმოსავლეთ ევროპაში. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ეს ყველაფერი დასავლეთის ალიანსს კვლავ ძვირი დაუჯდებოდა, განსაკუთრებით ცოცხალი ძალის დანაკარგების სახით.

დასავლეთში ხშირად ავიწყდებათ, თუ რამხელა დისპროპორციაა დასავლელ მოკავშირეებსა და საბჭოელებს შორის მეორე მსოფლიო ომში განცდილი დანაკარგების თვალსაზრისით. აშშ-მ და ბრიტანეთმა ამ ომში თითოეულმა 400 000 ადამიანი დაკარგა, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირში დაღუპულთა რაოდენობა 27 მილიონია. სტალინი დარწმუნებული იყო, რომ მეორე ფრონტის გახსნის დაყოვნებით ამერიკელები და ბრიტანელები მტრის უმთავრეს დარტყმას საბჭოთა კავშირზე მიმართავდნენ და ბრიტანელთა, ამერიკელთა და სხვა მოკავშირეთა ნაცვლად საბჭოელების სიცოცხლეს სწირავდნენ. არც დოკუმენტურად და არც ზეპირსიტყვიერად ჩერჩილს ან რუზველტს არასოდეს საკითხი ასე არ დაუსვამთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ ამაზე არ უფიქრიათ – წარმოუდგენელია, რომ ამ ორ გამჭრიახ პოლიტიკოსს შინაგანად მაინც არ გაეცნობიერებინა ის „ღვთის წყალობა", რომ ომის ყველაზე ცხელ წერტილებში საერთო მტერთან ბრძოლაში წითელარმიელები იღუპებოდნენ და არა მათი მეომრები. აქვე უპრიანია იმის გახსენებაც, რომ ჩერჩილისა და რუზველტის ყოფნა ძალაუფლებაში ამომრჩეველზე იყო დამოკიდებული. საკუთარი ხალხის მსხვერპლად გაწირვით კი არჩევნების მოგება შეუძლებელი იქნებოდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით საკითხავია, თუ რამდენად მზად იყვნენ ჩერჩილი და რუზველტი იმისთვის, რომ თუნდაც თითო მილიონი მეომარი გაეწირათ აღმოსავლეთ ევროპის ომისშემდგომი დამოუკიდებლობისთვის.

ამერიკელები, ერთი მხრივ, მეორე ფრონტის 1943 წელს გახსნას მხარს უჭერდნენ, მაგრამ მეორე მხრივ, რუზველტს საბჭოელების იაპონიასთან ომში ჩართვა იმისთვის უნდოდა, რომ ეს ომი სწრაფად დამთავრებულიყო და ამერიკელთა მხრიდან მსხვერპლი რაც შეიძლება ნაკლები ყოფილიყო. რუზველტი ამერიკული საზოგადოებრივი აზრის ამოცნობის დიდოსტატი იყო და 1944 წლის არჩევნებში გამარჯვებისთვის იღვწოდა. ამიტომ მისი პრიორიტეტი იყო რაც შეიძლება მინიმუმზე შეენარჩუნები-

ნა ამერიკელთა ცოცხალი ძალის დანაკარგები როგორც ევროპის, ასევე წყნარი ოკეანის ბრძოლებში.

რაც შეეხება ჩერჩილს, იგი ლამის ბოლო წუთებამდე მეორე ფრონტის გახსნის წინააღმდეგი იყო. იგი გაურბოდა მეორე დიუნკერკს და ბრიტანელთა ცოცხალი ძალის ანალოგიურ დანაკარგებს. თუმცა მისი ოპოზიციური განწყობა ამ საკითხში ძირითადად წაგება-მოგების პოლიტიკურ ანალიზზე იყო დაფუძნებული. ბრიტანეთის ბედი რომ მეორე ფრონტის 1943 წელს გახსნასთან რაიმე კავშირში ყოფილიყო, ჩერჩილი იქეთ შეეხვეწებოდა მოკავშირეებს. რაკი ასე არ იყო და გერმანელებს საბჭოელები აკვდებოდნენ, საჩქაროც არაფერი იყო.

მაგრამ 1944 წლამდე მეორე ფრონტის გახსნის დაგვიანების გამო შექმნილ „წამგებიან" პირობებშიც შეეძლოთ რუზველტს და ჩერჩილს მოვლენების სხვაგვარად წარმართვა. იალტისშემდგომ არსებული უსიამოვნებანი და განხეთქილებები გარკვეულწილად დასავლელი მოკავშირეების კისერზეცაა. დიახ, სტალინმა არ შეასრულა დაპირებები, მაგრამ იგი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მისგან ამას არც არავინ ელოდა. როგორც რუზველტმა თეირანში პირისპირ „საუბრით", ასევე ჩერჩილმა მოგვიანებით თავისი „უვარგისი გეგმის" წარდგენით სტალინს „დაუმტკიცეს", რომ არ აპირებდნენ „გავლენის სფეროების" იდეის მკაცრად განსჯას. ადვილი სავარაუდოა, რომ სტალინი ასეთ პირად საუბრებში ნათქვამს უფრო სერიოზულად აღიქვამდა, ვიდრე ამომრჩევლების „სატყუარად" მიჩნეულ, ჩერჩილის და რუზველტის საჯარო გამოსვლებს.

დიდ პრობლემას ქმნიდა აგრეთვე როგორც ბრიტანეთში, ისე ამერიკაში გაჩაღებული მძლავრი პროსაბჭოური პროპაგანდა, რომელიც თითქმის შეუძლებელს ხდიდა საბჭოთა კავშირის მიმართ სამართლიანი ანუ მკაცრი პოლიტიკური კურსის გატარებას. მაგალითად, გამოძიების ფედერალური ბიუროს მსგავს პოლიტიკურ სტრუქტურად შინსახკომის წარმოჩენა ხალხს ხელს შეუშლიდა გაეგო, თუ ასეთი რა დააშავა უცებ საბჭოთა კავშირმა, რომ მასთან ურთიერთობის გაწყვეტა გახდა საჭირო. ამ მცდარი პროპაგანდით შექმნილმა მახინჯმა სიტუაციამ არ მისცა საშუალება ჯორჯ ორველს გამოექვეყნებინა საბჭოთა სახელმწიფო წყობილებისადმი მიძღვნილი თავისი ბრწყინვალე სატირული ნაწარმოები „ცხოველების ფერმა". ერთმა გამომცემელმა ჯერ გადაწყვიტა ამ წიგნის გამოცემა, მერე კი ბრიტანეთის მთავრობიდან მიღებული გაფრთხილების გამო გადაწყვეტილება შეცვალა და ორველს მისწერა: „თქვენი სიუჟეტი რომ ზოგადად დიქტატორებისა და დიქტატურისადმი ყოფილიყო მიძღვნილი, მაშინ გამოქვეყნებას ხელს არაფერი შეუშლიდა, მაგრამ როგორც ახლა ვხედავ, სიუჟეტი მხოლოდ რუსული საბჭოეთის ცხოვრებას და მის ორ დიქტატორს [ლენინი და სტალინი] ეხება, სხვა დიქტატორებს კი არა. კიდევ ერთი რამ: ნაკლებ შეუ-

რაცხმყოფელი იქნებოდა სიუჟეტში ღორები გაბატონებულ კასტად რომ არ გამოგეყვანათ. ვფიქრობ, ეს ბევრ ხალხს გაანაწყენებს, განსაკუთრებით კი ისეთ ფხუკიანებს, როგორიც რუსები არიან[3]".

ომის პერიოდში სტალინის კეთილ „მოხუც ძია ჯოდ" წარმოჩენა არა მარტო ზიანს აყენებდა საზოგადოების ფსიქოლოგიას, არამედ სიძნელეებს უქმნიდა დასავლური მართვის სტრუქტურებსაც. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი ფრანკ რობერტსი აღნიშნავდა, თუ „რაოდენ უხერხული იყო" საბჭოთა კავშირის დადანაშაულება კატინში ჩადენილ ხოცვა-ულეტაში მაშინ, როცა დასავლეთის პროპაგანდა სტალინს ხოტბას ასხამდა როგორც სამაგალითო პიროვნებას. კატინის შესახებ ერცელი ნარკვევის ავტორი სერ ოუენ ო'მალეი ომის შემდეგ წერდა: „1943 წლიდან 1945 წლის შემოდგომამდე პერიოდში სტალინის კეთილგანწყობის შენარჩუნებისთვის პოლონეთის გარდა ბევრი სხვა რამის გაწირვაც გახდა საჭირო; მისთვის რომ ეამებინა, დასავლეთი ინდიფერენტულად მოეკიდა მის მიერ პატარა მეზობელი ერების დევნასა და განადგურებას... ერთიმეორის მიყოლებით მიიტაცა მან ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ფინეთის ნაწილი, ჯერ პოლონეთის მეოთხედი და შემდეგ მთლიანად პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, ავსტრიის მეოთხედი და გერმანიის მესამედი. რაოდენ სამწუხაროა ამდენი ღირსეული და თვითმყოფადი ერი სულიერად და კულტურულად გაზის კამერაში გამოკეტილი იხილო! რა სამარცხვინო დაცემაა მას შემდეგ, რაც აშშ-ს გემ „*Augusta*"-ს გემბანზე მზიან დილას ხელი მოაწერეს ატლანტიკის ქარტიას! ეს ყველაფერი დიდი ტრაგედიაა როგორც პოლონელებისთვის, ასევე ჩემთვის როგორც მათი მეგობრისთვის. მათგან ყველაზე „ოლბლიანებს" – ქალებს – მხოლოდ აუპატიურებდნენ, სხვებს კი ზოგს ფილტვებში რეზინის მილებით წყალს უსხამდნენ, ზოგს კი თითებს ახერხავდნენ"[4].

რასაკვირველია ადვილი არ იყო ფილმში „მისია მოსკოვში" წარმოჩენილი კეთილი სტალინის გაიგივება კატინის ხოცვა-ულეტის ან ო'მალეის მიერ აღწერილ ამ წამებათა სულისჩამდგმელთან. და მაინც, არსებობდა შუალედური გზა, რომლითაც უნდა ევლოთ დასავლელ მოკავშირეებს ომის განმავლობაში – თუნდაც პროსაბჭოური პროპაგანდის პირობებში. ესაა, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის, როგორც სამხედრო მოკავშირის მნიშვნელობის გაცნობიერება, მეორე მხრივ კი, ჩერჩილის სიტყვებით რომ ვთქვთ, „ატლანტიკის ქარტიაში წინ წამოწეული თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების მუდმივი ერთგულება, რომლებიც განსაკუთრებულ აქტუალურობას მაშინ იძენენ, როცა ტერიტორიის ნებისმიერი გადანაწილების საკითხი წამოიჭრება ხოლმე"[5].

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი მოქმედება პრაქტიკული თვალსაზრისით რაიმეს შეცვლიდა. სტალინი ალბათ მაინც დაამყარებდა კონტროლს

აღმოსავლეთ ევრობის უმეტეს ნაწილზე. მაგრამ დასავლელი ლიდერები ხომ მაინც დარჩებოდნენ იმ პრინციპების ერთგულნი, რისთვისაც, მათი მტკიცებით, ისინი ამ ომში ჩაებნენ? მით უმეტეს, რომ მათ ამ სწორი გზით სასიარულოდ სულაც არ სჭირდებოდათ რაიმე რადიკალური ქმედება – მათ მხოლოდ ის პოლიტიკური კურსი უნდა შეენარჩუნებინათ, რომელსაც 1942 წელს ადგნენ და არ დაეწყოთ შემდგომში სტალინთან საეჭვო გარიგებებზე წასვლა.

რასაკვირველია, ასეთი პრინციპული პოლიტიკის გატარება გარკვეულ რისკებს შეიცავდა, მაგრამ ის ვერსია, რომ სტალინი ასეთ შემთხვევაში შეეცდებოდა ომიდან გასვლას და – მით უმეტეს 1943 წელს მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ – ჰიტლერთან რაიმე გარიგებაზე წასვლას, არარეალურია. გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ სტალინსა და ნაცისტებს შორის ნდობის არავითარი საფუძველი აღარ არსებობდა, ხოლო რაც შეეხება ჰიტლერს, როგორც მან იმხანად რიბენტროპს განუცხადა, გამორიცხული იყო, რომ მას თავში სტალინთან დაზავების იდეა მოსვლოდა.

ამგვარად ეს ყველაფერი ერთ საკრალურ კითხვას ბადებს ჩვენში: რამდენად „მორალური" იყო ეს ომი? რასაკვირველია, ფაშიზმი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ამორალური იდეოლოგია იყო, ამიტომ დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების მიერ წარმოებული ომი მის წინააღმდეგ ძირფესვიანად მორალურად უნდა ჩაითვალოს. მორალურ იდეალებს ემსახურება მაშინდელი ატლანტიკის ქარტიაც, რომელიც თავისუფალი არჩევნებისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს ღაღადებს. პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ამასთან საბჭოთა კავშირს ვაკავშირებთ. ამ რეჟიმმა უამრავი ამაზრზენი დანაშაული ჩაიდინა, მათ შორის ბევრი – დასავლეთთან მოკავშირეობის პერიოდში. საბჭოთა კავშირის ამ ამორალურობამ დასავლელი ლიდერების ქმედებანიც შებღალა, განსაკუთრებით კი პოლონეთთან მიმართებაში. დასავლელი მოკავშირენი პოლონეთს უღირსად მოექცნენ – კატინის დანაშაულის მიჩქმალვით დაწყებული და თეირანის საიდუმლო გარიგებით დამთავრებული, როცა პოლონეთის საზღვრები პოლონელთა დაუკითხავად შეცვალეს; მოსკოვის იმ შეხვედრით დაწყებული, სადაც ჩერჩილმა პოლონეთის ლტოლვილი მთავრობის წევრებს „ევროპის დანგრევის მოსურნე უსულგულო ადამიანები" უწოდა, და იმით დამთავრებული, რომ 1946 წელს ლონდონის გამარჯვების პარადზე არ მიიწვიეს პოლონური შენაერთები. ეს სამარცხვინო ჩამონათვალია. არადა, ჩვენ, დასავლელებს სკოლაში გვმოძღვრავდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომში დასავლეთის ალიანსის მოქმედებით უნდა „ვამაყობდეთ".

ამიტომ უფრო სამართლიანი იქნება ეს ომი არა იმდენად „მორალურად", რამდენადაც ჩვეულებრივ, ტრადიციულ ომად, ანუ უხეში ძალების შერკინებად ჩაითვალოს. ამ სამართლიანი მიდგომის შემთხვევაშიც კი

შთამბეჭდავია მისი ორი დადებითი შედეგი – ნაცისტების კონტროლისგან ევროპისა და იაპონელთა კონტროლისგან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის გათავისუფლება. დასავლეთს ამ ომის მოგება რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით სურდა და ამ მიზნის მისაღწევად, ჩერჩილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეშმაკთან გარიგებაში შევიდა.

ამ ომის შესახებ შექმნილი ყველაზე პოპულარული მითი, ჰოლივუდური ფილმების მსგავსად, ისაა, რომ მასში კარგი ხალხის ალიანსი ებრძოდა ცუდი ხალხის ალიანსს. ეს წარსულის ხედვის უაღრესად შელამაზებულ-მანუგეშებელი ხერხია და დასანანია ასე ცხოვრება. მაგრამ რა გაეწყობა, უნდა ვიცხოვროთ.

ნყაროები

შესავალი

1. ტერმინი „საბჭოთა კავშირი" იყო ამ ქვეყნის ზუსტი სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის დროს. მიუხედავად ამისა, ბევრი ადამიანი იყენებდა (და დღესაც იყენებს) ტერმინს „რუსებს" და გულისხმობდა „საბჭოეთს". სტალინი თავის ქვეყანას ხშირად „რუსეთად" მოიხსენიებდა და იგივეს აკეთებდნენ ჩერჩილი, რუზველტი და ნაცისტები, თუმცა რუსეთი მხოლოდ ერთ-ერთი იყო იმ თექვსმეტი რესპუბლიკიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირს შეადგენდნენ. თვით სტალინი რუსი კი არა, ქართველი იყო. ტერმინების „საბჭოთა კავშირი" ან „საბჭოელები" არგამოყენება ნიშნავს იმ დიდი ნვლილის უგულებელყოფას, რომელიც დანარჩენმა თხუთმეტმა რესპუბლიკამ შეიტანა ფაშიზმის დამარცხებაში.
2. *David Dilks (ed.), The Diariz of Sir Alexander Cadogan OM 1938-1945, Cassell, 1971, pp. 708-9, entry for 11 February 1945.*
3 *Alex Danchev and Daniel Todman (ed.), Field Marshal Lord Alanbrooke, War Diariz 1939-1945, Phoenix, 2002, p. 483, entry for 28 November 1943.*
4. *Alanbrooke, War Diariz, p. 608, entry for 15 Oktober, 1944.*
5. *Alanbrooke, War Diariz, pp. 299-300, entry for 15 August 1942.*
6. *John Levis Gaddis, 'Presidential Adress: The Tragedy of the Cold War', p. 4, quoted in Amos Perlmuter, FDR and Stalin 'A Not So Great Alliance', University of Missouri Press1993, p.17.*
7. *Quoted in Ben Pimlott (ed.), The Second World War Diariz of Hugh Dalton 1940-1945, Jonathan Cape, 1986, entry for 13 January, 1942, p. 348.*
8. *PRO FO 371/34577, O'malley's report on Katyn, 24 may 1943.*

თავი პირველი: უსახელო ალიანსი

1. *See General Ernst Kostring, Erinnerungen aus meinem Leben (Memoirs of My Life) 1876-1939, Verlag E.S. Mittlerund Sohn, Frankfurt am Main, Vol. 1, p. 142.*
2. *Lord Alanbrooke, BBC TV interview.*
3. მართალია სტალინი ამტკიცებდა, რომ იგი 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა, მაგრამ უახლესი გამოკვლევები აჩვენებენ, რომ სინამდვილეში ის 1878 წლის 6 დეკემბერსაა დაბადებული. იხ. *robert Service, Stalin, Pan Macmillan, 2004, p. 14.*
4. *Gustav Hilger, the Incompatible Allies, New York, 1953, p. 301.*
5. *Laurence Rees, Nazis: A Warning from History, BBC Books, 1997, p. 93.*
6. *From BBC interview with Reinhard Spitzy.*
7. *Rees, Nazis: A Warning from History, p. 93.*
8. *Talbott, Strobe (ed.) Krushchev Remembers, Deutsch, 1971, p. 307.*
9. *BBC interview.*
10. *V.N.Pavlov (the Soviet interpreter), „Avtobiographicheskie Zametki" (Avtobiographical Notes), in the journal Novaia I Noveyshaya Istoria, 2000, pp. 98-99.*
11. *From BBC interview with Herbert Doring, SS manager of the Berghof.*

12. *Max Domarus, Hitler: Speeches and Proclamations, Vol. 2, 1935-8, I. B. Tauris, 1992. Nurenberg Party rally, 13 September 1937.*
13. *J. Noakes and G. Pridham, Nazism: A Documentary Reader 1919-1945, University of Exeter Pres, 2001, vol. 2, p. 278.*
14. *Geoffrey Roberts, The Unholy Alliance – Stalin's Pact with Hitler, I. B. Taurus, 1989, p.149.*
15. *G. Roberts, the Unholy Alliance, p. 152.*
16. *From notes written by Gustav Hilger of the 27-29 September talks between the Soviets and the Germans in Moscow. Quoted in Ingeborg Fleischauer's article 'Molotov und Ribbentrop in Moskau' in Vierteljahrshefte fur Zeitgeschichte, 3/1991.*
17. *Izvestiya, Quoted in Roberts, The Unholy Alliance, p. 109.*
18. *Stalin's speech to the 18th Party Congress, 10 March 1939. Full speech in English in J.V.Stalin, Problems of Leninism, Foreign Languages Press, Peking, 1976, pp.874-942.*
19. *Quoted in Roberts, the Unholy Alliance, pp.140-1.*
20. *Andrew Roberts, the Holy Fox: The Life of Lord Halifax, Phoenix Press, 1997, p. 166.*
21. *Andor Hencke, Under-secretary in the German Foreign Office, testimony under Americans interrogation 12-15 October in Wiesbaden: Institut Fur Zeitgeschichte Munchen, PL (GPA) [1-12-50].*
22. *BBC interview for Rees, Naziz: A Warning from History.*
23. *Hencke interrogation and his memorandum of the conversation of 23 August in Politi sches Archiv, Berlin, ADAP DVII DOK 213.*
24. *Hilger, the Inccompatible Allies, p. 304.*
25. *Hencke interrogation DOK 213.*
26. *Hencke DOK 213.*
27. *Jonnie von Herwarth, Memoirs, Collins, 1981, p. 167.*
28. *Heinrich Hoffmann, Hitler Was My Friend, Burke, 1955, p. 110.*
29. *Hoffmann, Hitler Was My Friend, p. 112.*
30. *Feliks Chuev, Molotov Remembers [7-9-71], Ivan Dee Inc., 1993.*
31. *Hencke, ADAP DVIII DOK 213.*
32. *Laurence Rees, The Nazis: A Warning from Hisstory, BBC DVD, episode 3.*
33. *BBC interview.*
34. *BBC interview.*
35. *Roberts, the Holy Fox, p. 157.*
36. *Roberts, the Unholy Alliance, p. 159.*
37. *Speech by Molotov before the Supreme Soviet of the USSR, 31 October 1939.*
38. *Dmitry Volkogonov, Stalin: Triumph and Tragedy, Weidenfeld and Nicolson, 1991, p. 361.*
39. *Jan Gross, Revolution from Abroad, Princeton University Press, 1988, p. 11.*
40. *BBC interview.*
41. *BBC interview.*
42. ამ ქალაქის სახელწოდების ცვლილების სიხშირე და სიმრავლე განპირობებულია ცენტრალურ ევროპაში საზღვრების ცვლილების სიხშირით და სიმრავლით.

43. *BBC interview.*
44. *BBC interview.*
45. *Testimory from Gross, Revolution from Abroad, p. 44.*
46. *Kostring, Erinnerungen aus meinen Leben, pp. 144-6.*
47. *Erich Kordt, Wahn und Wirklichkeit (Delusion and Reality), Stuggart, 1948, pp. 220-8.*
48. *i Hilger's notes in Vierteljahreshefte fur Zeitgeschichte, 3/1991. See Fleischauer, Doku-mentation. Der deutsch-Sovjetische Grenz und Freundschaftsvertrag von 28 September, 1939. Die deutschen Autzeichnungen uber die Verbandlungen zwischen Stalin, Molotov und Ribbentrop in Moskau, pp. 457-64.*
49. *Ibid.*
50. *Hencke interrogation, p. 25, and Karl Schnure, Aus einem bewegten Leben, Heiteres und Ernstes, Bad Godesberg, 1986, pp. 90-5.*
51. *Hencke interrogation, p. 25.*
52. *Ibid.*
53. *Hilger, the Incompatible Allies, New York, 1951, p. 314.*
54. *Hilger in Vierteljahreshete, p. 466.*
55. *Simon Sebag Montefiore, Stalin and the Court of the Red Tsar, Wiedenfeld and Nicolson, p. 321.*
56. *Andor Hencke, in letter of 28 January 1941 to photographer Helmut Laux, Politisches Archiv, Berlin, ADAP DVIII-161, Appendix 1.*
57. *Hilger, the Incompatible Allies, p. 314.*
58. *Constantine Pleshakov, Stalin, s Folly, Weidenfeld and Nicolson, 2005, pp. 43-4.*
59. *Wladislaw Anders, an Army in Exile, Macmillan, 1981, pp. 14-15.*
60. *William L. Langer and S. Everett Gleason, the Challenge to Isolation, 1937-1940, New York, 1952, pp. 160-1.*
61. *Hansard, 20 September 1939, Prime Minister's statement.*
62. *Seeds despatch, 18 September 1939, FO 371/23101.*
63. *Ibid.*
64. *Seeds dispatch, 30 September 1939, FO 371/23103.*
65. *Kirkpatrick report, 1 Oktober 1939, FO 371/23097 F 207-8.*
66. *Perth to Cadogan, 5 October 1939, FO 371/23104 F38, 65, 68-9.*
67. *Cadogan to Perth, 3 November 1939, FO 371/23104 F38, 65, 68-9.*
68. *Written answer by R. A. Butler MP, 19 October 1939.*
69. *BBC interview.*
70. *Gross, Revolution from Abroad, p. 89.*
71. *Anders, an Army in Exile, p. 16.*
72. *Hencke, notes written immediately after the Ameican interrogation 12/5/1945 in Wiesbaden.*
73. *Wolfgang Praeg and Werner Jacobmeier, Das Diensttagebuch des Deutschen General-gouverneurs in Polen 1939-1945, Stuttgart, 1975.*
74. *Diary of Soviet delegation of the German-Soviet border commission, in Archive of the Russian Federation, Moscow, p. 27 d66 (entry of 27/10/1939 F 011 Op 4.*
75. *Stanislaw Ciesielski, Wojciech Materski and Andrzej Packowski, Represje Sowietckie wo-bek Polacow I Obiwateli Polskich, Warsaw: KARTA 2000, p. 12.*

76. 6 October 1939, CAB 39-7.
77. Snow to FO, 21 October 1939, CAB 84-8.
78. Chiefs of Staff report, 27 October 1939, CAB104.
79. BBC Interview.
80. Alan Bullock, Hitler and Stalin: Parallel Lives, HarperCollins, 1991, p. 731.
81. 18 December 1939, CAB 65-2, 118-3.
82. Archive of the Russian President, RF. F3 Op 30 D 199 P3-5.
83. Archive of the Russian President, RGAASPI F 17 Op 162 D 26 L 119.
84. BBCinterview.
85. 1990-ianebis dasawyisSi ruseTis prokuraturam polonelebis daxvretas 'kriminalis'statusi mianiWa, ramac stalini kriminalur damnaSaved aqcia rusuli kanonmdeblobiTac ki. am faqts farTo gamoxmaureba ar mohyolia.
86. George Sanford, Katin and the Soviet Massacre of 1940, BASEES/Routledge seriz on Russian and East European Studies, 2005, p. 297.
87. Seethe work of Wojciech Materski on Katin published in Zbrodnia Katinska po Latach, Warsaw: NKHBZK, 2000, p.27.
88. See the work of Natalia Lebedeva and Wojciech Materski (p. 30 im Sanford, Katyn).
89. The BBC has obtained a video copy of this interrogation from which these quotes are taken.
90. BBC interview.
91. BBC interview with Anatoly Yablokov.
92. See German investigation into Katin: 'Amtliches Material zum Massenmond von Katin; Berlin: F. Eher Nachf, pp. 114-35.
93.Quoted in Gross, Revolution from Abroad, p. 211.
94. BBC interview.
95.Reprodused in Katin 1940-2000: Dokuments, Vyes Myr, Moscow, 2001, Dokument no. 93, p. 674.
96.Sanford, Katin, p. 27.
97.New York Times, 15 April 1940, L4, p. 5.
98.Kennard to Halifax, 18 May 1940, C5744/116/55.
99.Kennard to Strang, 30 April 1940, FO 371/24472.
100.Strang to Kennard, 14 May 1940, FO 371/24472.
101.BBC interview.
102.Gustav Hilger's Notes (published by Ingeborg Fleishhauer), p. 464.
103. Bundesarchiv Freiburg, RM 11-35, Kriegsmarine M. Att. Russland von 05 Oktober 1939 bis 20 April 1940, Band 1, p. 7, Scan 09.
104. Bundesarchiv Freiburg, RM 11-35, Kriegsmarine M. Att. Russland von 05 Oktober 1939 bis 20 April 1940, Band 1, p. 103, Scan 118.
105. Bundesarchiv Freiburg, RM 11-39, Obercomando der Kriegsmarine, M. Att. Russland-BN (Bassis Nord) von 29 August 1940 bis 11 Marz 1941, p. 37, Scan 42, out of the Action report of VM Murmansk, Moscow, 10 October 1940.
106. Letter from the Naval Attache von Baumbach to thee Naval High Command, in copy to the High Command of the Wehrmacht, Moscow, 08 November 1939,

Bundesarchiv Freiburg, RM 11-35, Kriegsmarine M. Att. Russland von 05 Oktober 1939 bis 20 april 1940, Band 1, p. 43, Scan 53.

107. Doctor's report about the health situation on board the Phoenicia from February until September 1940, p. 1, Scan 03. This is the report which was attached to his private diary. Bundesarchiv Freiburg, RM 1211-161.

108. Ibid, Scan 04.

109. Bundesarchiv Freiburg, RM 1211-161, 4 May, p. 7, Scan 13.

110. Bundesarchiv Freiburg, RM 1211-161, 4 May, p. 9, Scan 15.

111. Clive Ponting, Winston Churchill, Sinclair Stevenson, 1994, p. 442.

112. For a full discussion of these Cabinet meetings see PRO Cab 65/13 and PRO Cab 66/7, plus John Lukacs, Five Days in London, Yale University Press, 2001, and Ian Kershaw, Fateful Choices, Penguin, 2007, pp. 11-54.

113. Dalton Diariz, pp. 26-8, and the Churchill War Papers, Vol. 2, pp. 182-84, Sinclair Stevenson, 1997.

114. Winston S. Churchill, the Second World War, Penguin Classics, 2005, Vol.2, p. 88.

115. Churchill, the Second World War, Vol. 2, pp. 23 and 51.

116. Edward Crankshaw, Khrusshchev Remembers, Deutsh, 1974, pp. 156-7.

117. BBC interview.

118. Kershaw, Fateful Choices, p. 69.

119. Tobias R. Philbin III, the Lure of Neptune, University of South Carolina Press, 1994, pp. 137-42.

120. BBC interview.

121. War diary of the Komet, Bundesarchiv, RM100-49, pp. 55-6.

122. Robert Eissen, HSK Komet, Kapernfahrt auf Allen Meeren, 2nd edition, Koehlers Verlagsges, 2002, pp. 42-3.

123. Letter of the German Naval Attache in Berlin, Baumbach, to the Naval High Command in Berlin, 30 September 1940, in Bundesarchiv Freiburg, RM 11-39, p. 33.

124. Albert Speer, Inside the Third Reich, Phoenix, 1996, p. 172.

125. Pavlov, „Autobiographical Notes", pp. 104-5.

126. Hilger's notes, Nazi-Soviet relations 1939-1941, University Press of the Pacific, 2003, p. 253.

127. Ibid, p. 254.

128. Pavlov, „Autobiographical Notes".

129. Testimory before the Select Committee of the Senate into the Katin Massacre, 2nd Session, US government publications, 1952, part 4, p. 555.

130. Churchill to Roosevelt 31 July 1940, C20x, in Warren F. Kimball (ed.), Churchill and Roosevelt, the Complete Correspondence. Vol. 1, Alliance Emerging, Collins, 1984, pp. 56-7.

131. Robert Dallek, Franklin D. Roosevelt and American Foreign Policy 1932-1945, Oxford University Press, 1981, p. 51.

132. Ibid, p. 59.

133. From 17 December 1940 press conference, documents held in franklin D. Roose velt Library, Hyde Park, New York.

134. Dallek, Franklin D. Roosevelt, p. 218.

135. FDR speech, 10 February 1940, to American Youth Congress in Washington DC.
136. Gabriel Gorodetsky, Grand Delution, Stalin and the German Invasion of Russia, Yale University Press, 1999, p. 56, Intelligence report of 29 September 1940.
137. BBC interview.
138. Krebs letter to Oberquartiermeister IV in the General Staff in Berlin, 15 April 1941, Bundesarchiv/Militararchiv, Vol. 1 (July 1937 to June 1941).
139. Evan Mawdsley, „Crossing the Rubicon – Soviet plans for Offensive War in 1940-1941", International History Review, 25 (2003), p. 853. Also Kershaw, Fatefull Choices, p. 280.
140. Chris Bellamy, Absolute War: Soviet Russia in the Second World War, Macmillan, 2007, p. 97.
141. Gorodetsky, Grand Delusion, p. 174.
142. Presidential Archive, Moscow, F3, Op 50 D 415LI, 50-52.
143. Winston Churchill, the Second World War: The Grand Alliance, Houghton Miftlin Books, 1986, p. 316.
144. Quoted in Gorodetsky, Grand Delusion, p. 244.
145. Mawdsley, „Crossing the Rubicon – Soviet Plans for Offensive War", p. 864.
146. Hilger, Incompatible Allies, pp. 312-13.

თავი მეორე: გადამწყვეტი მომენტები

1. BBC interview.
2. BBC interview.
3. ასეთია *Lwow*–ის რუსული ვერსია.
4. Bellamy, Absolute War, p. 187.
5. O. Romaniv and I. Fedushchak, Western Ukranian Tragedy 1941, Shevchenko Society, Ukranian Free University Foundation in USA, Library of Ukranian Studies, N18, Lviv – New York, p. 155.
6. BBC interview.
7. Sergei Krushchev (ed.), Memory of Nikita Krushchev: Comissar, Vol. 1, Penn State University Press, 2005.
8. Anastas Mikoian, Tak Bilo (It Was Like This), Vagrus, Moskow, pp. 390-2.
9. Ibid, p. 390.
10. Ibid.
11. Francoise Thorn, (ed.), Sergio Beria, Beria, My Father, Duckworth, 2003, p. 71.
12.Dimitri Volkogonov, Stalin: Triumph and Tragedy, Weidenfeld and Nicolson, 1991, p. 413.
13. Churchill BBC Radio Broadcast, 22 June, 1941 (BBK/C/87).
14. John Colvile, the Fringes of Power, Dowing Street Diariz 1939-1955, Weidenfeld and Nicolson, p. 350.
15.Bullock, Hitler and Stalin, Parallel Lives, p. 768.
16.Joan Beaumont, Comrades in Arms: British Aid to Russia, 1941-1945, Davis-Pointer, 1980, p. 26.
17. Quoted in New York Times, 24 June, 1941, p. 7.
18. Ross Munro, Gountlet to Oveerlord: The Story of the Canadian Army, Mulberry Books, Toronto, 1946, p. 284.

19.Ibid.
20.Ibid, p. 286.
21. Major Blake's report, 28/8/41 FO/371/29492.
22.Memo, 11 September 1941, FO 371/29490.
23.Warner memo, 17 September 1941, FO 371/29490.
24.Text of 7.15 bulletin, 9 September 1941, BBC Empire News, FO 371/29490.
25.Telegram from Cripps to Foreign Office, 9 September 1941, FO 371/29490.
26.Churchill, the Grand Alliance, p. 406.
27.Dallek, Franklin D. Roosevelt, p. 278.
28.Herbert Feis, Churchill-Roosevelt-Stalin: The War They Waged and the Peace They Sought, Princeton University Press, 1957, p. 10.
29.David M. Kennedy, Freedom from Fear, Oxford University Press, 1999, p. 406.
30.James MacGregor Burns, Roosevelt: The Soldier of Freedom, Harvest Books, 2002, p. 114.
31.Dilks (ed.), Cadogan Diariz, p.423, entry for 6 August, 1941.
32.Harold Ickes, the Secret Diary of Harold L. Ickes, Da Capo, 1974, 12 May 1940.
33.Daily Mail, 24 April, 1935.
34.Bullock, Parallel Lives, p. 811.
35.BBC interview.
36.BBC interview.
37.BBC interview.
38.BBC interview.
39.BBC interview.
40.Georgii Kumanev, Ryadom So Stalinym (Next to Stalin), Bilina, Moscow, 1999, pp. 272-73.
41.BBC interview.
42.BBC interview.
43.Hitler's Table Talk, Translated by Norman Cameron and R. H. Stevens, entry for 17 Oktober 1941, Phoenix Press, 2000, p. 68.
44.BBC interview.
45.Dallek, Franklin D. Roosevelt, p. 285.
46.BBC interview.
47.The Crime of Katin, Facts and Documents, Polish Cultual Foundation, London, 1989, p. 87.
48.Interview with Sir Frank Roberts for The Cold War, a BBC/Turner Broadcasting co-pro-duction.
49.Eden's 17 December 1941 Telegram to Churchill via foreign Office, FO 371/29655.
50.Dilks (ed.), Cadogan Diariz, p.422, entry for 17 December 1941.
51.Anthony Eden (RT Hon the Earl of Avon, KG, PC, and MC), The Eden Memoirs: The Recko-ning, Cassell, 1965, p. 302.
52.Sir Frank Roberts, Dealing with Dictators, Weidenfeld and Nicolson, 1991, p. 59.
53. Eden Memoirs, p. 302.
54.Eden telegram to Churchill, 5 January 1942, PREM 3/399/7.
55.Churvhill note to Eden, 7 January 1942, FO 371/32864.
56.BBC interview.

57.BBC interview.
58.Quoted in William Taubman, Khrushchev: The Man and His Era, Free Press, 2003, p. 167.
59.Ibid, p. 168.
60. Laurence Rees, Horror in the East, BBC Books, 2001, p. 72.
61.Churchill to Roosevelt, 7 March 1942, FO 954/25.
62. Roy Douglas, From War to Cold War, 1942-1948, London, 1981, p. 7.
63. BBC interview.
64. John M. Carroll, George C. Herring, Modern American Diplomacy, Roman and Littlefield, 1995, p. 83.
65. Warren F. Kimball (ed.), Churchill and Roosevelt: The Complete Correspondence, vol. 1, Princeton University Press, 1984, p. 421, FDR to Churchill, 18 March, 1942.
66. Eleanor Roosevelt, This I Remember, Greenwood Press, 1975, p. 199.
67. O. A. Rzheshevskii, Voina I Diplomatia, Nauka, Moscow, 1997, p. 170.
68. Hopkins memorandum, 29 May 1942, in Hopkins papers, in FDR Presidential Library, Hyde Park, New York.
69. Alanbrooke, War Diariz, p.269, entry for 21 June 1942.
70. See Professor S. H. Cross (the American interpreter), notes from 11 a.m. conference on Saturday, 30 May 1942, Molotov Visit, Book5, in FDR Library, Hyde Park, New York.
71. O. Rzheshevsky, Vojna I Diplomatia, Moscow, 1997, p. 176.
72. Hopkins memorandum, 3 June 1942, in FDR Library, Hyde Park, New York.
73. Bellamy, Absolute War, p. 421.
74. Ibid, p. 424.
75. See annexe to the minutes of the Chiefs of Staff committee, 16 May 1942, FRO CAB 79/21.
76. Prime Minister's minute to General Ismay, 17 May 1942, PRO D 100/2.
77. Minutes of War Cabinet meeting, 18 May 1942, CAB 65/26.
78. BBC interview.
79. BBC interview.
80. BBC interview.
81. BBC interview.
82. BBC interview.
83. BBC interview.
84. Quoted in Burns, Roosevelt: The Soldier of Freedom, p. 182.
85. REF AND 237/168 PRO.
86. BBC interview.

თავი მესამე: ნდობის კრიზისი

1.BBC interview.
2. Nikolai Baibakov, ot Stalina do Yeltsina (From Stalin to Yeltsin), GazOil Press, Moscow, 1998, pp. 64-5.
3. Stallin to Churchill, 23 July 1942, T 1031/2 FCO.
4. Clark Kerr to Foreigh Office, 25 July 1942, FO 371/32911.

5. *Lord Moran, Winston Churchill, the Struggle for Survival 1940-1965, Heron Books, 1966, entry for 1 August 1942.*
6. *Winston S. Churchill, the Second World War: The Hinge of Fate, London, 2005, p. 428.*
7. *Lord Alanbrooke, remark in BBC interview.*
8. *CAB 66/28/3, p. 19 PRO.*
9. *CAB 120/65, PRO.*
10. *Churchill, the Hinge of Fate, p. 440.*
11. *Martin Kitchen, British Policy Towards the Soviet Union During the Second World War, Macmillan, 1986, p. 136.*
12. *See Churles Richardson, From Churchil's Secret Circle to the BBC, Brassei's, 1991, p. 139.*
13. *Alanbrooke, War Diariz, p. 301.*
14. *Ibid.*
15. *Arthur Bryant, the Turn of the Tide, London, 1957. pp. 461-4.*
16. *Lord Moran diary, entry for 14 August 1942 pp. 60-1.*
17. *Ibid, entry for August 15, p. 62.*
18. *FO 800/300 PRO.*
19. *Pavlov, 'Autobiographical Notes', pp. 98-9.*
20. *Churhill, the Hinge of Fate, pp. 446-7; V. N. Pavlov, 'Autobiographical Notes, pp.98-9; A. H. Birse, Memoirs of an Interpreter, London, 1967, p. 102.*
21. *FO 800/300 PRO.*
22. *Cadogan to Eden, FO 800/404.*
23. *Churchill, Hinge of Fate, p.448.*
24. *Alnbrooke, War Diariz, entry for 13 August, 1942, pp. 299-300.*
25. *BBC interview.*
26. *BBC interview.*
27. *BBC interview.*
28. *BBC interview.*
29. *English translation available at www. Ibiblio. Org.*
30. *Information Bulletin, Embassy of USSSR, 10 November 1942.*
31. *BBC interview.*
32. *Burns, Roosevelt: The Soldier of Freedom, p. 310.*
33. *BBC interview.*
34. *BBC interview.*
35. *BBC interview.*
36. *Burns, p. 315.*
37. *Ibid.*
38. *BBC interview.*
39. *PRO CAB 66/36.*
40. *Ibid.*
41. *John H. Lauck, Katin Killings: In the Record, Kingston Press, 1988, p. 55.*
42. *FO 371/34571 PRO Churchill to Eden 28 April 1943.*
43. *Kimball (ed.), Churchill and Roosevelt: The Complete Correspondence, Vol. 1, pp. 400-402.*

44. O'malley was appointed ambassador to the Poles in February, 1943.
45. Sir Owen O'malley, the Phantom Caravan, John Murrey, 1954, p. 234.
46. FO 371/34577.
47. Ibid.
48. PRO PREM 3/353, p. 101.
49. See Kimball, Churchill and Roosevelt, Vol.III, C-4 12/2, Churchill to FDR, 13 August, 1943, p. 389.
50. Charles Bohlen, Witness to History, Norton, 1973.
51. William H. Standley, Admiral Ambassador to Russia, Chicago, 1955, p. 368.
52. Ibid. p. 369.
53. Joseph E. Davies papers, Manuscript Division, Library of Congress, Washington DC, entry for 20 May 1943.
54. FRUS, Conference at Cairo and Tehran 1943, Washington 1961, pp, 3-4.
55. Reynolds, In Command of History, Penguin Books, 2005, p. 381.
56. Memo, 21 July 1942, CAB 66/26, WP (42) 311 (TNA).
57. Churchill to Attlee, 29 July 1942, PREM 3/499/9 (TNA).
58. Susan Butler (ed.), Arthur Schlesinger (fwd), My Dear Mr. Stalin, the Complete Correspondence of Franclin D. Roosevelt and Joseph V. Stalin, Yale University Press, 2005, pp. 136-8.
59. W. Averell Harriman and Elie Abel, Special Envoy to Churchill and Stalin, 1941-1946, Random House, 1975, pp. 216-7.
60. Churchill to Roosevelt, 25 June 1943, no. 328, Kimball, Complete Correspondence, Vol.II.
61. Churchill to Roosevelt, 28 June 1943, no. 297, Kimball, Complete Correspondence, Vol. II.
62. Harold Nicolson, Diariz and Letters, 1939-1945, Collins, 1967, p. 277.
63. See OSS report no. A-5094, 11 May 1943, and OSS report no. A-9469, 9 August 1943; also George Wiseman to Christopher Warner, British Foreign Office, 11August, 1943, N 4898/66/38, FO 371/36956. Quoted in Bojtsech Mastny, Russia's Road to the Cold War, New York, 1979.
64. Mastney, Russia's Road to the Cold War, pp. 7385.
65. BBC interview.
66. Quoted in Dallek, Franklin D. Roosevelt, p. 543.
67. ამ დღიურის დედანი ინახება მემორიალზე მოსკოვში.
68. BBC interview.
69. BBC interview.
70. BBC interview.
71. Figures from Bellamy, Absolute War, p. 583.
72. This section of Roe's recollections is taken fron his interview for Mother of All Battles, BBC Timewatch, 1993, Dai Richards (producer), Laurence Rees (executive producer).

1. *Speech by President Bush in Riga. Latvia, on 7 May 2005.*
2. *Keith Sainsbury, the Turning Point, Oxford Universisty Press, 1986, p. 11.*
3. *Dallek, Franklin D. Roosevelt, p.423 (for the full minutes of Cairo, see FRUS, The Confe rence at Cairo and Tehran, 1943, pp. 291-455.*
4. *Ibid, p. 426.*
5. *Sovetsko-Angliiskie Otnoshenia vo vremia velikoi otechestvennoi voini, 1941-1945, Isdatel'stvo politicheskoi literatury, Moscow, 1983, Vol. 1, Dokument 301.*
6. *Moran, Winston Churchill, the Struggle for Survival, entry for 28 November 1943.*
7. *Ibid.*
8. *BBC interview.*
9. *See FRUS, The Conference at Cairo and Tehran, 1943, Bohlem minutes, pp.482-6.*
10. *Quoted in William Roger Louis, Imperialism at Ray, Oxford University Press, 1986, p. 181.*
11. *John Morton Blum (ed.), Morgenthau Diariz 1941-1945, Houghton Mifflin, 1967, entry for 15 September 1944.*
12. *PRO CAB 99/25.*
13. *Moran, Winston Churchill, the Struggle for Survival, Entry for 28 November 1943.*
14. *PRO PREM 3/136/8 pp. 2-3 (also recorded in FRS Bohlen minutes, p. 512).*
15. *Chuchill to Edem, 16 January 1944, PRO PREM 3/399/6.*
16. *Remark reported by Sumner Welles, quoted in Gaddis, The United States and the Origins of the Cold War, Columbia University Press, 1972, p. 41. See also Reynolds, From World War to Cold War, Oxford University Press, 2007.*
17. *FRUS Cairo and Tehran, 30 November 1943, p. 584.*
18. *Martin H. Folly, Churchill, Whiteball and the Soviet Union 1940-1945, Macmillan Press, 2000.*
19. *Tehran Conference: minutes of Meetings of Military Experts held at the Soviet Embassy Tehran on Monday 29 November at 10.30 a.m. CAB 99/25, p.128.*
20. *FRUS, pp. 482-6.*
21. *Second Plenary Meeting: see FRUS the Conference at Cairo and Tehran, pp. 533-540.*
22. *FRUS minutes, pp. 552-5.*
23. *Churchill, The Second World War, Vol. 5, pp. 329-30/*
24. *Elliot Roosevelt, As He Saw It, Greenwood Press, 1974, pp. 186-91.*
25. *Moran, Winston Churchill, the Struggle for Survival, Entry for 28 November 1943.*
26. *Alanbrooke, War Diariz, p. 485, entry for 29 November 1943.*
27. *Quoted at Ralph Levering, American Opinion and the Russian Alliance 1939-1945, Uni versity of North Carolina Press, 1976, p.74.*
28. *Alanbrooke, War Diariz, pp.486-7, entry for 30 November 1943.*
29. *As told to Frances Perkins, subsequently recorded in The Roosvelt I Knew, Harper and Row, 1965, pp. 83-5.*
30. *Roosevelt, As He Saw It, pp.174-6.*
31. *FRUS Conferences at Tehran, pp. 594-6.*
32. *Katin Massacre testimory to Senate, p. 2109.*
33. *Ibid, p. 2102.*

34. *PRO PREM 3/136/9, PP. 12-13.*
35. *Clayton Koppes and Gregory Black, Hollybood Goes to War: How Politics, Profits and Propaganda Shaped WWII Movies, Free Press, 1987, p. 191.*
36. *Dallek, Franklin D. Roosevelt, p. 439.*
37. *Samuel I. Rosenman (ed.), The Publik Paperss and Addresses of Franclin D. Roosevelt, Harper, 1938-1950, 13 Vols 1943, pp. 553-62.*
38. *Yablokov and Yazhborovskaya, Mezhdu Proshlim I budushchim (Between the Past and the Future), Nezavisimoe izdatelstbo 'Peak', Moscow, 1999, pp. 272-74.*
39. *Burdenko o Molotov, 2 September 1943, and Molotov's comments on the letter. GARF F 7021, Op 114D 8 L 18-24.*
40. *Moscow embassy to Foreign Office, 25 January 1944, PRO PREM 3/353.*
41. *Moscow embassy to Foreign Office, 23 January 1944, PRO PREM 3/353.*
42. *Quoted in full in Katin Massacre testimory to Senate, testimory of John Melby, p. 2150.*
43. *Ibid. p. 2147.*
44. *Report of 25 January 1944, PRO PREM 3/353.*
45. *Churchill to Eden, 30 January 1944, PRO PREM 3/353.*
46. *O'Malley dispatch, 11 February 1944, PRO FO 371/39390 C2099.*
47. *Katin Massacre testimory to Senate, p. 2111.*
48. *BBC interview.*
49. *See Earle's testimory at the Katin Massacre hearings, p. 2197.*
50. *Ibid, p. 2204-7.*
51. *Letter from FDR to Earle, 24 March 1945. In article by George Earle 'FDR's tragic mistake', Confidentail magazine, August 1958 Vol. 6, no. 3.*
52. *Letter Beria to Stalin, 10 May, 1944. Published in 'Stalin's deportations' 1928-1953, Mezhdunarodniy Fond Demokraticheskaia Rossia 20 vek, Moskow, 2005, p. 496.*
53. *J. Otto Pohl, 'The Deportation and Fate of the Crimean Tatars', paper presented at the 5th Annual World Convention of the Association for the Study of Nationalities, Columbia University, 13-15 April 2000.*
54. *BBC interview.*
55. *BBC interview.*
56. *BBC interview.*
57. *Pohl, 'The Deportations and Fate of the Crimean Tatars'.*
58. *Ibid.*
59. *BBC interview.*
60. *BBC interview.*
61. *M. Blumenson, Salerno to Casino, US Government Printing Office, 1969, p. 286.*
62. *Quoted in Matthew Parker, Monte Cassino, Headline, 2003, p. xvii.*
63. *Ibid, see plate section.*
64. *Quoted in Martin Gilbert, The ROAD to Victory, Heinemann, 1989, p. 667.*
65. *BBC interview.*
66. *Quoted in Parker, Monte Cassino, p. 182.*
67. *Fred Majdalany, Cassino: Portrait of a Battle, Longmans, 1957, p.91.*
68. *Quoted in ibid, p. 215.*

69. *Ardens, an Army in Exile, p. 163.*
70. *BBC interview.*
71. *BBC interview.*
72. *Ardens, an Army in Exile, p. 176.*
73. *BBC interview from episode 1 of D-Day to Berlin, Andrew Williams (producer), Laure nce Rees (executive producer), transmission on BBC1, 20 April 2005.*
74. *Ibid.*
75. *BBC interview.*
76. *Earl Ziemke, Stalingrad to Berlin: the German Defeat in the East, US Army Historical Seriz, Office of the Chief of Military History, Washington DC 1987, p. 316.*
77. *BBC interview.*
78. *BBC interview.*
79. *Brian Glyn Williams, A Homeland Lost. Migration, the Diaspora Experience and the Forging of Crimean Tatar National Identity, PhD dissertation, University of Wisconsin, 1999, p. 56.*
80. *BBC interview.*
81. *Aleksandr Nekrich, the Punished Peoples: The Deportation and Fate of the Soviet Minorities at the End of the Second World War, Norton, 1979, pp. 113-14.*
82. *BBC interview.*
83. *Keith Sword, Deportation and Exile: Polesin the Soviet Union 1939-1948, Macmillan Press, 1994, p. 149.*
84. *Anders, an Army in Exile, p. 191.*

თავი მეხუთე: ევროპის გაყოფა

1. *Norman Davies, Rising 44, Pan Books, 2004, p. 226.*
2. *Quoted in ibid, p. 164-5.*
3. *Quoted in Jan Ciechanowski, The Warshaw Rising of 1944, Cambridge, 1974, p. 285.*
4. *BBC interview.*
5. *Quoted in Dokuments on Polish-Soviet Relations 1939-1945, Vol. 2, 1943-1945. General Sikorski Historical Institute, p. 309, dok. 179.*
6. *Quoted in ibid, p. 309-22, doc. 180.*
7. *Stalin's correspondence with Churchill, Attlee, Roosevelt and Truman, 1941-1945. E.P. Dutton, 1958, doc. 311.*
8. *BBC interview.*
9. *Neil Orpen, Airlift to Warsaw. The Rising of 1944, University of Oklahoma, 1984.*
10. *Quoted in Documents on Polish-Soviet Relations 1939-1945, p. 334. Doc. 189.*
11. *Davies, Rising, p. 321.*
12. *Winston S. Churchill, the Second World War, Vol. 4, p. 118.*
13. *R-606 im Kimball, The Complete Correspondence, Vol. 3, p. 296.*
14. *BBC interview.*
15. *Quoted in Davies, Rising '44, p. 249.*
16. *Trials of War Criminals Before the Nurenberg Military Tribunals, US Government Printing Office, Washington, 1949-53, Vol. XIII, p. 323, and P. Padfield, Himmler, Reichsfuehrer-SS, Henry Holt and Co., New York, 1990, p. 469.*

17. *BBC interview.*
18. *Translated from the Polish minutes of the meeting of Anders and Churchill on 26 August 1944, taken by Lieutenant Lubomirski and now held in the Polish Institute and Sikorski Museum, London, ref. KOA. 4b.*
19. *Churchill to Eden, 7 January 1942, FO 371, 32864.*
20. *BBC interview.*
21. *Davies, Rising '44, p. 302.*
22. *Ibid, p. 348.*
23. *BBC interview.*
24. *General Curtis E. Lemay, MacKinlay Kantor, Mission with LeMay: My Story, Doubleday, 1965, p. 565.*
25. *Henry Morgentau Jnr, „Our Policy toward Germany", New York Past, 28 November 1947, p. 18.*
26. *See Foreign Relations of the United States (FRUS): Quebec 1944, pp. 325-6.*
27. *Moran, Winston Churchill, the Struggle for Survival, entry for 13 September 1944.*
28. *FRUS, Quebek, p. 361.*
29. *The view expressed by John Dietrich in his The Morgentau Plan: Soviet Influence on American Postwar Policy, New York, 2002, p. 54-6.*
30. *Eden Memoirs, p. 476.*
31. *FRUS, p.362, Morgentau's recollections.*
32. *Morgenthau Diary, vol. 783, p.35-9, Franklin D. Roosevelt Library, Hyde Park, New York.*
33. *John Morton Blum (ed.), Morgenthau Diariz 1941-1945, Houghton Mifflin, 1967, p. 342.*
34. *Documents on Polish-Soviet Relations 1939-1945, p. 339, doc. 191.*
35. *Quoted in Moran, Winston Churchill, the Struggle for Survival, Entry for 13 September 1944, and in FRUS, p. 325.*
36. *David Rees, Harry Dexter White: A Study in Paradox, 1974, University of Michigan, p. 270.*
37. *See Venona documentsat at www. NSA. Gov/veona/document, 18 October 1944.*
38. *Quoted in broadcast form in D-Day to Berlin, episode 3 at 8 minutes, Andrew Williams (produser), Laurence Rees (executive producer), transmission BBC1, 4 April, 2005.*
39. *Quoted in Dallek, Franklin D. Roosevelt, p. 477.*
40. *Ibid.*
41. *Frederick Gareau, 'Morgenthau's Plan for Industrial Disarmament in Germany', Western Political Quaterly, Vol. 14, no. 2, June 1961, pp. 520.*
42. *PRO PREM 3/434/2, pp. 4-5.*
43. *Meeting 21 May 1944, FO 371, 39402.*
44. *Stalin's order 31 October 1944 to the 6th air force army. Istoria Sovetsko-Polskix Otnoshenii, Moskva 1944, p. 43.*
45. *PRO PREM 3/66/7 and Clark Kerr's record of the meeting PRO FO 800/30.*
46. *PRO PREM 3/434/2, pp. 10-14.*
47. *FRUS, the Conferences at Cairo and Tehran, 1943, p. 256 and p. 531.*
48. *PM to War Cabinet, 17 October 1944, CHARS 20/181 (CAC).*

49. Geoffrey Roberts, Stalin's Wars, Yale, 2006, p. 220.
50. Russian minutes from meeting with the London Poles, 13 October 1944, published in O. Rzheshevski, Stalin and Churchill, Moscow, Nauka 2004, pp. 444-8.
Translation of Polish transcript, 'Documents on Polish-Soviet Relations' Volume III, London, pp. 405-415, Sikorski Institute.
51. Note on a conversation concerning the Curzon Line between M. Mikolajczyk and Mr Churchill, held in the presence of members of the Polish delegation; GSHI A. 11.49/Sow/4-b. (Translation from Polish) Documents on PolishSoviet Relations 1939 1945, Vol. II 1939-1945, Sikorski Institute.
52. Ibid.
53. Quoted in Yohanan Cohen, Small Nations in Times of Crisis and Confrontation, State University of New York Press, 1989.
54. Quoted in Anders, An Army in Exile, p.239.
55. Quoted in Dallek, p. 503.
56. Kitchem, British Policy towards the Soviet Union, p. 237.
57. CAB 65-48, 157, 27 November 1944.
58. Quoted in Mary Soames, Clementine Churchill, Houghton Mifflin, 1979, p. 361.
59. Quoted in Krisztian Ungvary, Battle for Budapest, I. B. Tauris, 2006, p. 4.
60. BBC interview.
61. BBC interview.
62. Quote in Ungvary, p. 286.
63. BBC interview.
64. BBC interview.
65. BFL XXV 4a 002645/1953 Budapest Capital Archive and Ungvary, p. 287.
66. BBC interview.
67. Milovan Djilas, Conversations with Stalin, Penguin, 1962, p. 76.
68. Quoted in Richard Overy, Russia's War, Allen Lane, 1998, p. 261.
69. Amy Night, Beria, Stalin's First Lieutenant, Princeton University Press, 1993 p. 97.
70. Interview in BBC Reputations on Lavrenti Beria, first transmitted BBC2 1994, Helen Bettison (producer), Laurence Rees (executive producer).
71. Crankshaw, Khrushchev remembers p. 338.
72. Quoted in Gregor Dallas, Poisoned Peace 1945 – the War that never ended, John Murray, 2005, p. 327.
73. Charles de Gaulle, The Complete War Memoirs, Richard Howard (translator), Carroll and Grad, 1998, p.750.
74. Jean Laloy (unofficial Russian-French interpreter), 'A Moscow: Entre Staline ET De Gaulle, Decembre 1944', Revue des Etudes Slaves, Paris, 1982, p. 147.
75. De Gaulle, the Complete War Memoirs, p. 756-7.
76. Robin Edmonds, Big Three, Penguin, 1992, p. 409.
77. Moran, Winston Churchill, the Struggle for Survival, entry for 4 February 1945.
78. Cadogan Diariz, Entry for 8 February 1945, p. 706.
79. Quoted in Martin Gilbert, Road to Victory: Winston S. Churchill 1941-1945, Houghton Mifflin, 1984, p. 664.
80. Stalin's speech quoted in On the Great Patriotic War of the Soviet Union, Moscow, 1944.

81. *FRUS Conferences at Malta and Yalta. Yalta discussions are from pp. 547-996.*
82. *FRUS, p.726.*
83. *Moran, Winston Churchill, the Struggle for Survival, diary entry for 3 February 1945.*
84. *Ibid, entry for 10 February 1945.*
85. *Burns, Roosevelt: The Soldier of Freedom, p. 573.*
86. *Quoted in ibid, p. 572.*
87. *Meeting with Roosevelt, 22 December 1944, FO 371/44595.*
88. *Moran, Winston Churchill, the Struggle for Survival, entry for 9 February 1945.*
89. *Admiral Leahy, Yalta diary, p. 33, entry for 11 February 1945, in William Leahy, I was There, Whittlesey House, 1950.*
90. *Cadogan Diariz entry 11 February 1945, pp. 708-9.*
91. *See the analisis in David Reinolds, Summits; Penguin: Allen Lane, 2007, p.131.*

თავი მეექვსე: რკინის ფარდა

1. *British War Cabinet minutes, 19 February 1945, WM (43) 22.1 CA.*
2. *Pimlott (ed.), Dalton Diariz, entry for 23 February, 1945, p. 836.*
3. *House of Commons debates, 5th seriz, Vol. 408, 27 February 1945.*
4. *Fraser Harbutt, Churchill, America and the Origins of the Cold War, Oxford University Press US. 1986. P. 92*
5. *McJimsey (ed.), Documentary History of the Franklin Roosevelt Presidency: Vol. 14, Yalta. University Publications of America 2001-3, doc. 144.*
6. *Quoted in Harbutt, Churchill, America, p. 93.*
7. *Ibid.*
8. *Vostochnaia Evropa v Documentakh Rossiiskikh Arkhivov, 1944-1953, doc. 151. Quoted in Geoffrey Roberts, Stalin's Wars, Yale University Press, 2006, pp. 247-8.*
9. *Anders, an Army in Exile, p. 256.*
10. *Alanbrooke diary entry for 22 February, 1945, p. 665.*
11. *FO 954/23, 18/1/45.*
12. *FO 954/23, 19/1/45.*
13. *Figures quoted in Dallas, Poisoned Peace, p. 422.*
14. *Bohlen, Witness to History, p. 217.*
15. *Quoted in Robert E. Sherwood, Roosevelt and Hopkins, an Intimate History, Enigma Books, 2008, p. 832.*
16. *Balfour to Warner, 30 May 1945, FO 371/47862/N6417. Quoted in Martin Folly, Churchill, Whiteball and the Soviet Union 1940-45, Hutchinson, 2000, p. 144.*
17. *Martin Folly, Churchill, Whiteball and the Soviet Union 1940-1945, Hutchinson, 2000. P. 146.*
18. *Warren F. Kimball (ed.), Churchill and Roosevelt, the Complete Correspondence, Vol. 3, The Alliance Declining, Princeton University Press, 1984, Kimball C-905, 8 March 1945, p. 547-9.*
19. *Churchill to Roosevelt, 13 March 1945, Kimball C-910, p. 565.*
20. *Cadogan Diariz, 13 February 1945.*
21. *Roosevelt to Churchill, 15 March 1945, Kimball R-718, p. 568.*
22. *Churchill to Roosevelt, 17 March 1945, Kimball C-914, p. 574.*

23. *Churchill to Roosevelt, 30 March 1945, Kimball C-927, p. 597.*
24. *Roosevelt to Churchill, 31 March 1945, Kimball R-731, p. 601.*
25. *Susan Butler (ed.), My Dear Mr Stalin: the Complete Correspondence, Yale University Press, 2005, Roosevelt to Stalin 301, 5 April 1945, p. 315.*
26. *Ibid, Stalin 303, 7 April 1945, p. 318.*
27. *Ibid, Roosevelt's note of 11 April 1945 to Churchill, p. 321.*
28. *Stalin, quoted by Zhukov in John Erickson, Road to Stalingrad, Weidenfeld and Nicolson, 1985, p. 721.*
29. *John Lamberton Harper, American Visions of Europe, Cambridge University Press, p.128.*
30. *BBC interview.*
31. *BBC interview.*
32. *BBC interview.*
33. *jariskac bezuglovis werili, romelic man Tavis kolmeurneobas gaugzavna, miTiTebulia wyaroSi: Catherine Merridale, Ivan's War, Faber and Faber, 2005, p. 260.*
34. *Quoted in Dallas, Poisoned Peace, p. 7.*
35. *Anonimuos, A Woman in Berlin, Virago, 2005, p. 17.*
36. *BBC interview.*
37. *Captured letter. In Bundesarchiv, RH2-2688, 13; also quoted in Merridale, Iban's War, p. 267.*
38. *Milan Hauner, Hitler – A Chronology of His Life and Time, Macmillan Press, 1983, entry for 30 April, 1945.*
39. *Quoted in New York Times, 24 June, 1941.*
40. *Sherwood, Roosevelt and Hopkins, an Intimate History, p. 851.*
41. *Ibid, p. 855.*
42. *Churchill to Roosevelt, 11 April 1945, Kimball, Vol. 3, C-941, p. 624.*
43. *Anthony Eden (Lord Avon), The Reckoning, p.504, entry for 4 January 1945, p. 514.*
44. *Anders, an Army in Exile, p. 275.*
45. *Report by joint planning staff, 22 May 1945, CAB 120/691 109040.*
46. *Alanbrooke, War Diariz, p.693, 24 May 1945.*
47. *Churchill to Truman, 10 May 1945, FRUS, 1945, Foreign Relations of the United States. The Conference of Berlin, 1945. Washington, 1960, Vol. 1, pp. 8-9.*
48. *Churchill to Truman 31 May 1945, FRUS, 1945, the Conference of Berlin, Vol. 1, p. 53.*
49. *Friedrich Naumann Stiftung, Potsdam, 2002, pp. 378-9.*
50. ამ ჟურნალის დამონმებული ასლები იმყოფება საიტზე *www. Trumanlibrary. Org.*
51. *Cadogan Diariz, 17 July 1945, p. 764.*
52. *FRUS, the Conference of Berlin, 1945, Vol. 2, pp. 378-9.*
53. *Norman M. Naimark, The Russians in Germany: A History of the Soviet Zone of Occupa tion, 1945-49, Belknap, 1995, pp. 205-30.*
54. *FRUS, the Conference of Berlin, 1945, Vol. 2, pp. 359-62.*
55. *Pravda, 25 November 1936.*
56. *BBC interview.*

57. *FRUS, 566-9.*
58. *Quoted in Sebag Montefiore, Stalin and the Court of the Red Tsar, p. 508.*
59. *Quoted in Dallas, Poisoned Peace, p. 567.*
60. *Gar Alperovitz, the Decision to Use the Nuclear Bomb, Vintage Books, 1996.*
61. *See, for example, Robert H. Ferrell (ed.), Harry S. Truman and the Bomb: a Documenta-ry History, Worland, 1991; and in particular David Holloway, Stalin and the Bomb, Yale University Press, 1996.*
62. *Alanbrooke, War Diariz, entry for 23 July 1945, p. 709.*
63. *Holloway, Stalin and the Bomb, pp. 42-87.*
64. *Andrey Gromyko, Memoirs, New York, Doubleday, 1989, pp. 391-2.*
65. *BBC interview.*
66. *BBC interview.*
67. *BBC interview.*
68. *Robert Service, 'Comrades': World History of Communism, Pan Macmillan, 2007, pp. 239-50.*
69. *I. S. Yashborovskaya, A, Y, Yablokov and V. S. Parsadanova, The Katyn Poison in Soviet-Polish relations, Rosspen, 2001, pp.185-92. Published in Russian as Katinskii Sindrom v Sovetsko-Polskikh Otnosheniakh.*
70. *Ibid, and Stupnikova's memoirs, Nothing but the Truth – from Nurenberg to Moscow, Moscow, 1998.*
71. *Testimory from Nurenberg trials, day 168, 1 July 1946. Morning session/ Vol. XVII, Nurenberg IMT.*
72. *BBC interview.*
73. *Testimory from Nurenberg trials, day 168, Monday, 1 July 1946. Afternoon session.*
74. *Anders, an Army in Exile, p. 288.*
75. *BBC interview.*
76. *BBC interview.*
77. *A. N. Yakovlev and V. Naumov (eds), Georgi Zhukov, Minutes from the October 1957 Plenum of the USSR and Other Documents, Rossiya XX Vek, Moscow, 2001.*
78. *Yakovlev and Naumov (Eds), Georgi Zhukov, p. 681. Prilozhenia. Footnote 1.*
79. *Quotes gathered from Yakovlev and Naumov (Eds), Georgi Zhukov, pp. 586-91. Appe ndix. Memorandum from S. V. Abakumov. Also from Konev's memoirs as published in B. Sokolov, Neizvestny Zhukov (Unknown Zhukov), Rodiola – Plius, Minsk, 2000, p. 519. See Also P. G. Pikhoya, Soviet Union: History of Soviet Power, 1945-1991, Novosibirsk, 2000, p. 37.*
80. *Y. Gorlizki and O. Khlevniuk, Cold Peace. Stalin and the Soviet Ruling Circle, 1945-1953, Oxford University press, New York,2004, p.198.*
81. *Letter from Molotov to Stalin, 20 January 1949, in Russian State Archive of Social and Political History, F. 17, Op. 163, D 1518, L. 164.*
82. *Quoted in BBC Timewatch: Stalin and the Betrayal of Leningrad, Martin Balazov (producer), Laurence Rees (executive producer), transmission BBC2, 9 August 2002.*
83. *BBC interview.*
84. *Ibid.*
85. *Ibid.*
86. *Teresa Toranska, Stalin's Polish Puppets, Collins Harvill, London, 1987, p. 146.*

პოსტსკრიპტუმი

1. *See article by George Earle in Confidential magazine, August 1958, Vol. 6, no. 3, p. 15.*
2. *John Grigg, 1943: The Victory That Never Was, Methuen, 1980.*
3. *George Orwell, 'The Freedom of the Press', first published in The Times Literary Supplement, 15 September, 1972.*
4. *O'Malley, the Phantom Caravan, p. 232.*
5. იხილე ამ წიგნის 99-ე გვერდი.

მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა დღემდე ვერ მოხერხდა საავტორო უფლების მფლობელის პოვნა და მასთან მოლაპარაკება.

მისი გამოჩენის შემთხვევაში მზად ვარ მოლაპარაკებისთვის. გთხოვთ, მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე:

sandro.tabagari@gmail.com

We did our best to find and contact the copyright owner of this title to ask for Georgian publication permission, but we couldn't manage to find any responsible person. We officially declare that in case such person is found out, we are ready for negotiation and we kindly ask him/her to contact us on the following email address:

sandro.tabagari@gmail.com